! საგანძური „გზაში“ შემდეგი ნომრიდან !

N8 (507) 25/II-3/III-2010 ფასი 1 ლარი

1168
2010

„ჩვენ შორის არაფერი ხდება, მაგრამ ინგასნაირი ქალი რომ შემიყვარდეს, რაზომაც არა?!“

„ასაკობრივი ბარიერი არ არსებობს“...



ელენე გედევანიშვილის სარისკო ნაბიჯი



„ბედრიმ მეუღლე ჩვენთან, ცეკვისას გაიცნო“

ოსმალურ-რუსული შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ

„თბილისელი ოდრი ჰეპბერნი“ და არშემდგარი როლი

ISSN 1987 - 5020

ცრუ მამა ანუ მამა გამოძახებით

ქართული პროზის საგანძური

თქვენთვის და თქვენი შვილებისათვის





4 მარტიდან!

ყოველ ხუთშაბათს,
ჟურნალ „გზასთან" ერთად
თქვენ შეგიძლიათ შეიძინოთ
ცნობილი ქართველი მწერლების თითო ტომი
ქართული კლასიკისა და თანამედროვე პროზის რჩეული ნიმუშები

**ყოველკვირა ერთი წიგნი,
ერთ წელიწადში – მთელი საგანძური!**

**და თქვენი აზრით რა
ელირება ერთი ტომი?...**

ფასი სასიამოვნოდ გაგაოცებთ...

№8 (507)
25 თებერვალი –
3 მარტი, 2010 წ.
ფასი 1 ლარი

■ **მინიატიურები** 5
„თებერვალო! საქართველოს გაზაფხული ხარ!“

■ **ჭრელი მსოფლიო** 6

■ **პოლიტიკა** 7

■ **ექსპანსია** 8
პატრიარქისა და სეპარატისტთა ლიდერის „ისტორიული შეხვედრა“

■ **პროექტი** 10
„პალიტრა L“-ისა და „გზის“ წიგნისკენ მიმავალ გზას ქუთაისელებიც სიხარულით უერთდებიან

■ **ტალანტი** 12
„კლავიშების ცხელსისხლიანი ვეფხვის“ წარმატება და რჩევები მსოფლიოს დიდი მუსიკოსებისგან

■ **პერსონა** 14
„ჩემს პოლიტიკურ სიმპათიებს „დემოკრატების“ ვირივით გარეთ ვტოვებ“

■ **თაობა** 17
„მინდა, ხალხისთვის საყვარელი მომღერალი გავხდე“

■ **წარმატება** 18
საფეხურები, რომლებიც ელენე გედევანიშვილმა ვანკუვერის ოლიმპიადამდე „აირბინა“

■ **გასტროლი** 21
ეგვიპტით მოხიბლული „გვირილა“

■ **კარიერა** 23
„მიმაჩნია, რომ ყველა ეტაპზე გამიმართლა“

■ **ფსიქოპორტრეტი** 25
„ცალად სიარულს არა უშავს, ცალად წოლაა ძნელი“

■ **ფესტივალი** 27
ქართული „მედალიონი“ „სტუდენტურ ოსკარზე“ და ორგზის „რუსული ოკუპანტი“

■ **არდადეგები** 28
ჯაბა ქარსელაძე: „ინგასანაირი ქალი რომ შემიყვარდეს, რატომაც არა, რა მოხდა?!“

■ **ვარსკვლავები** 30
რა საიდუმლოს მალავდა კლაუდია კარდინალე

■ **მინირომანი** 31
არშემდგარი მხატვრის ვნებანი

ქვეყანა

„პალიტრა L“-ისა და „გზის“ წიგნისკენ მიმავალ გზას ქუთაისელებიც სიხარულით უერთდებიან

„ამ აქციის შესახებ მყიდველებისგან შევიტყვე: წაუკითხავთ, რომ წიგნები საოცრად დაბალ ფასში იქნება და მოდიან, კითხულობენ. ერთმა ისიც მითხრა, — თუ რიგი დადგა, ნაცნობობის ხათრით, წიგნი მეც შემახვედრეო. ნეტავ წიგნზე რიგს მოვესწრებოდე და!..“

7

სახე

საფეხურები, რომლებიც ელენე გედევანიშვილმა ვანკუვერის ოლიმპიადამდე „აირბინა“

„სულ პატარა — ორწლინახევრის ელენე ფიგურულ სრიალზე მივიყვანეთ. ცელქი და მოუსვენარი ბავშვი იყო, არავინ იცოდა, რა მოგვეხერხებინა მისი უშრეტი ენერგიისთვის, — ხან კარადის თავზე ამძვრალს ვპოულობდით, ხანაც — საწოლის ქვეშ“.

17

ცხოვრება



„მამა“ – გამოძახებით

„როდესაც გააცნობიერა, რომ მის მეგობრებს მამები ჰყავდათ, თვითონაც გაუჩნდა კითხვა — „სადაა მამაჩემი?“ და დედას მოსთხოვა, მისთვის მამა გაეცნო. დედას უთქვამს, რომ მამა საქართველოშია და ბაბუასთან ერთად მუშაობს და ვინაიდან საიდუმლო დავალებას ასრულებს, დარეკვის საშუალებაც არა აქვსო“.

31

გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო

„ამ ლაპარაკში ვართ და 200 მეტრში რომ ატყდა ავტომატის კაკანიიიი! ვაიმე, ოსებიო და თვალი არ მქონდა დახამხამებული, აღმართის თავში ვიყავით უკვე. აი, ჩემო მარი, აქამდე თუ მილიონ დოლარადაც არ ავდიოდი იმ აღმართზე, ვიღაც ოსის ნასროლ ტყვიაზე სულ „ოთხით“ ავედი...“

83

სიტუაცია 33
როგორ გამოვიდეთ კრიზისიდან

საზოგადოება 35
არატრადიციული ორიენტაცია — მოდას აყოლა თუ მწვავე პრობლემა?

თქვენთვის, ქალბატონებო! 37

ცრუ მამა 38

ოსტატი 41
ფერწერა მძივებით

ეს სამყაროა 43

ავტო 45

ასპარეზი 46
ქართველი ფეხბურთელი „ლოკომოტივიდან“ დაითხოვეს

საკითხავი ქალებისათვის 47

შეუცნობელი 52
ჯადოქრობა და ადამიანის ფიგურა

ტაძარი 54
დასავლეთის ეკლესიაში დამკვიდრებული ცდომილებები

ჯანმრთელობა 56

ამპლუა 59

პროფესია 61
30 წელი სცენაზე

გასაჭირი 64
ოპტიმისტი გოგონას სევდიანი ამბავი

თინეიჯერული პონტები 66
როგორი უნდა იყოს ნამდვილი ქალი

ავტოპორტრეტი 68
ლალი მოროშკინა. მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი (გაგრძელება)

ქართული დეტექტივი 72
გოჩა მანველიძე. ძმები (გაგრძელება)

რომანი 76
სვეტა კვარაცხელია. სევდის სურნელი (გაგრძელება)

რეალური 80
ულტრიხ (გაგრძელება)

გზავნილები 83
გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო

ყველა ერთისათვის 88

მოდელი 95

მოზაიკა 96

ობიექტივი 98

ნამდვილი ამბავი 99
ლოტოტრონში მოგებული ბედნიერება

ერუდიტი 100
რა ნიშნით ირჩევს მეგობრებს პატარა „ერუდიტი“

გასართობი 102

ასტროლოგია 104

სკანვორდი 105

საფირმო კროსვორდი 106

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ნანა გიგოლაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სამყარო

ფერწერა მძივებით

„მაშინ 14 წლის ვიყავი. რეჟისორმა კოლია პიპინაშვილმა ქუჩაში მნახა და ისე მოვეწონე, რომ ჩემთვის როლი გამოიგონა. ამ ფილმში სახელიც კი არ მქვია, აკაკის ძმის საცოლედ მივიჩნევი. გადაღებების დროს მე და მედეა ჯაფარიძე დავმეგობრდით. ამ ფილმმა სახელი გამითქვა, ჩემი და მედეას ფოტოები იყიდებოდა... „ქეთო და კოტეში“, ქეთოს როლზეც დამამტკიცეს, მაგრამ აღარ გადამიღეს“.

41

ადამიანი

ოპტიმისტი გოგონას სევდიანი ამბავი

„დახმარება ვისაც ვთხოვეთ, ყველამ უარით გამოგვისტუმრა. მერე მამამ საიტი გამიკეთა, — იქნებ, უცხოელები მაინც დაგვეხმარონო. 2 თვეა, რაც გამოჯანმრთელების იმედი ჩამესახა და ამავდროულად, ვხვდები, რომ ეს შანსი ხელიდან მეცლება...“

59

ბიბლუსი

ავტოპორტრეტი

დედამ და თალესმა ერთ-მანეთი პედაგო-გიურ ინსტიტუტში გაიცნეს, სადაც ორივე ლექციებს კითხულობდა. თურმე, როცა თალესი პირველად დავინახე, გულში ჩავეკარი და ვეღარაფრით მომაშორეს, — ჩემი მარილ-იანი ცრემლებით დასველებული პერანგი ტანზე ჰქონდა მიბეტონებული.

67

ტაიმ-აუტი

რა ნიშნით ირჩევს მეგობრებს პატარა „ერუდიტი“

„5-6 წლის ვიყავი, როცა ენციკლოპედიებს ვკითხულობდი, რუკას ვაკვირდებოდი, ხოლო მას შემდეგ, რაც წამოვიზარდე, მხატვრულმა ლიტერატურამ გამიტაცა“.

95

„თებერვალო! საქართველოს გაზაფხული ხარ!"

შესავლის ნაცვლად ჰა, თებერვლის ბოლოც მოვიდა — ჩვენთვის, ქართველი „წითლებისთვის" ყველაზე საყვარელი და ტკბილად მოსაგონარი თვე და, ბოლო ოცი წლის განმავლობაში, მგონი პირველად, ნეტარი მოგონებებისა და გარდასულ დიდებაზე ფიქრების გარდა, იმედიც მოგვიტანა თებერვალმა. სწორედ ისე, როგორც იმ ბობოქარ 1921 წელს, როდესაც სახელოვანი „წითელი არმია" მხსნელად მოგვევლინა უდღეური „დემოკრატების" ბატონობისაგან!

ჩვენი — ქართველი კომუნისტებისა და მარქსისტულ-ლენინისტურ-იგორისტული იდეოლოგიის აღორძინების დრო მოვიდა!

ჩვენ საბჭოთა პერიოდში გავიზარდეთ და წერა-კითხვაც იაკობ გოგებაშვილისეულისა და პიონერულ-ოქტომბრული ნაზავის „დედაენით" ვისწავლეთ, რომლიდანაც „აი ია"-სა და „სამშობლო ხევსურისა"-ს გარდა, ორი „მშვენიერი" ლექსი დამამახსოვრდა: ერთი ასე იწყებოდა: „საბჭოთა ჯარისკაცია, სალ კლდეზე უფრო მაგარი...", ხოლო მეორე — ასე მთავრდებოდა: „თებერვალო! საქართველოს გაზაფხული ხარ!"

საბჭოთა პედაგოგიური მეცნიერების, საბჭოთა სასკოლო პროგრამის დახვეწილობასა და საბჭოთა მასწავლებლების პროფესიონალიზმზე მეტყველებდა ისიც, რომ საბჭოთა, „პიტალო კლდესავით მაგარი ჯარისკაცის" ლექსს, ზუსტად 23 თებერვლისთვის — წითელი არმიის დაარსების დღისთვის გვასწავლიდნენ, „საქართველოს გაზაფხულს" კი — „კაკ რაზ" 25 თებერვალს.

ერთი სიტყვით, თებერვალი, განსაკუთრებით — თვის ბოლო, „პრაზნიკებით" იყო დახუნძლული და 30-ით ან 31-ით რომ ყოფილიყო ეს თვე, კიდევ ერთი დღესასწაული არ აგვცდებოდა და ამდენ სიხარულს რა გული გაუძლებდა.

მაგრამ, ვაგლახ! დემოკრატიის ნიღაბაფარებულმა ვაიპატრიოტებმა ჩაგვაშხამეს ეს „სიხარულები", გეოგრაფიის ცოდნაშიც შეგვეჯიბრნენ და ჩვენი „შეცდომა გამოასწორეს" — მზე ჩრდილოეთიდან კი არა (ვითომ მაგათ მოძღვართ-მოძღვარს არ „დაედგინოს" ეს „ფაქტი"), დასავლეთიდან ამოდისო...

მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ ჩაკლეს ჩვენში ის ნაპერწკალი, რომლიდანაც, როგორც დიდი ლენინი ამბობდა, ალი აგიზგიზდება!

და აჰა — იმ დიდი 25 თებერვლიდან თითქმის 90 წლის შემდეგ ამ ალმა გაღვივება დაიწყო:

„ძია ლენინი მომკვდარა,
არ მჯერა, არა, არაო!..."

დაახლოებით ამ ლექსის ტონითა და პათოსით არის გაჟღენთილი პუტინ-მედვედევის ახალი ძმაკაცის ბოლოდროინდელი „დვიჟენიები" და მისი „დერზკი" გამონათქვამები:

„ხალხში არის მოთხოვნილება ჩვენს პლატფორმაზე..."

„ეს საზოგადოებრივი შეკვეთაა და სულ არ გვაინტერესებს ხელისუფლების მორჩილი მედიის აზრი..."

„ამათი დღეები დათვლილია..."

ეს ჯერჯერობით, სანამ ცოტა „მორიდებით არიან" და „ხელების მიტეხასა" და „დიგიწერთ ნეკროლოგებს"-ზე შორს არ მიდიან, მაგრამ ორი-სამი კვირა აცალეთ და უკვე გავიგონებთ:

„ამხანაგო იგორ! ჩამოდით, გელით! თქვენ უნდა გადაგვარჩინოთ!"

„ვლადიმერ ვლადიმერიჩ! გვაპატიეთ ქართველებს! ბოიშვილი ვიყოთ, თუ გინდათ, აჭარა და ჯავახეთიც წაიღეთ, ოღონდ ჩვენც წაგვიყვანეთ!"

იქნება „ხანგრძლივი, მქუხარე აპლოდისმენტები", „საიუზ ნერუშიმი"-ს სიმღერა და „ლენინ-პუტინ-გიორგაძენოღაიდელის" სურათებით მარშირება რუსთაველის გამზირზე... (ხომ გახსოვთ, რომ ბოლო დროს ჩემი ყველა პოლიტ-პროგნოზი ახდა...)

ეჰ, დალოცვილი ძველი დრო — რაიკომებით და კომუჯრედებით, პიონერული ყელსახვევებითა და კარაქის ტალონებით, საშვიდნოემბრო დემონსტრაციებითა და საბჭოთა ჯარში მიღებული „ცხოვრებისეული გამოცდილებით"...

რაც არის, არის — კომუნისტებს არ შეგვფერის ნოსტალგია და პესიმიზმი, მით უმეტეს, რომ მომავალი ნათელია: ჩამოვა თეთრ ცხენზე ამხედრებული „წმინდა იგორი", აქაც დახვდება „წმინდანთა დასი" და განგმირავენ იმ გველეშაპს, რომლის ერთი თავი დემოკრატიაა, მეორე — საბაზრო ეკონომიკა, მესამე — ნატო, მეოთხე — თავისუფალი მასმედია, მეხუთე — წესიერი არჩევნები და ა.შ.

თუმცა სიფრთხილეც გვმართებს — მტერი ძლიერია და ვერაგი. იგი ყველაფერს იკადრებს, უკანონო კანონებით მანიპულირებს, ამ „გველეშაპის თავებიდან" უმეტესობას უკვე თვითონ ჭრის და არც რეპრესიებზე იტყვის უარს (რეპრესიები მაშინ ნახონ, ჩვენ რომ დავბრუნდებით ხელისუფლებაში!)

ასე რომ, დღეს, როგორც არასდროს, გვჭირდება თანადგომა და ძალების დარაზმვა. ამიტომ დღესაც აქტუალურია ჩვენი უკვდავი ლოზუნგის პერიფრაზი: „უნამუსოებო ჩვენი ქვეყნისა, შეერთდეთ!"

P.S. ჟურნალის ხელმძღვანელობას ვთხოვ, ჰონორარი არ გამომიწეროს, რადგან იქნებ გაგეცინოთ კიდეც და, ეს „პროვოკაცია" ზუსტად ცხრა წლის წინანდელი ნომრიდან გადმოვიწერე, მცირედი შესწორებით...

აღარ მახსოვდა და, მაშინაც აქტუალური ყოფილა ეს თემა: დიდი ბოლშევიკ-რევოლუციონერის, კამოს მიერ ფრიად ორიგინალური სადილის მირთმევა და ამით მის იდეურ შთამომავლებში ისეთი აღტაცების გამოწვევა, რომ აგერ 90 წელი გავიდა და კოვზს არ აგდებენ ხელიდან...

პროვოკატორი

ამერიკელმა ზოოლოგებმა სპილოს ენა შეისწავლეს

სან-დიეგოს ზოოპარკის მკვლევრებმა დაადგინეს, რომ სპილოები ერთმანეთს ისეთი დაბალი ბგერების მეშვეობით ეხმიანებიან, რომელთაც ადამიანის ყური ვერ აღიქვამს. მათ ცდა 8 სპილოზე ჩაატარეს და სპილოების ლაპარაკი სპეციალური მგრძნობიარე დიქტოფონების საშუალებით ჩაწერეს. ამერიკელი ზოოლოგები ირწმუნებიან, რომ მიღებულ სიგნალებსა და სპილოების ქმედებას შორის კავშირი არსებობს. ■

იტალიელი ტელეწამყვანი ეთერიდან მოხსნეს



იტალიაში კულინარიული გადაცემა La Prova del Cuoco-ს წამყვანი, ბეპე ბიგაცი ეთერიდან იმის გამო მოხსნეს, რომ ის ტელემაყურებლებს კატის ხორცისგან დამზადებული კერძის საიდუმლოებების შესახებ უყვებოდა. ბიგაცის გადაცემამ თემაზე — როგორ უნდა მომზადდეს კატის თეთრი და რბილი ხორცი, ცხოველთა უფლებების დამცველთა აღშფოთება გამოიწვია. არხის ხელმძღვანელმა ტელეწამყვანი მაშინვე გაათავისუფლა, როგორც კი იტალიის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ, ფრანჩესკა მარტინიმ მას პირადად დაურეკა და უთხრა, რომ სახელმწიფო ტელეარხის თანამშრომელს უნდა რცხვენოდეს მაყურებლებისთვის ისეთი საზიზღარი რამის შეთავაზება, როგორიც კატის ხორცის ჭამაა. ■

ნატომ შეცდომით მშვიდობიანი მოქალაქეები დაბომბა

„ნატოს სამხედრო ძალების საავიაციო დარტყმის შედეგად 27 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა“, — განაცხადა ავღანეთის ცენტრალური პროვინციის მმართველმა ჟურნალისტებთან საუბრისას. ნატოს წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ მშვიდობიანი მოქალაქეები თალიბანთა კოლონად მიიჩნიეს და შეცდომით დაბომბეს. რეგიონს, სადაც შეტევა განხორციელდა, მართლაც, თალიბები აკონტროლებენ. ■

ამერიკელი დღე-ღამის განმავლობაში 7777 ადამიანს ჩაეხუტა

შტატ ოჰაიოს მცხოვრებმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ის დღე-ღამის განმავლობაში 7777 ადამიანს ჩაეხუტა, — იტყობინება სააგენტო Associated Press.

„რეკორდის დამყარების შედეგად მოპოვებული თანხა გულის დაავადებებთან ბრძოლის ამერიკულ ასოციაციას გადაერიცხება, — აღნიშნა 51 წლის ჯეფ ონდაშმა და დასძინა: — ეს ნაბიჯი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც ჩემი ძმა და მამა გულის დაავადებებით დაიღუპნენ“. ■

„ბერლინალე 2010“ თურქული ფილმის ტრიუმფით დასრულდა

საუკეთესო ფილმის წოდებით და „ოქროს დათვით“ თურქული დრამა — „თაფლი“ დაჯილდოვდა (რეჟისორი სემიხ კაპლანოღლუ).

„ვერცხლის დათვი“ კინოკლასიკოსმა რომან პოლანსკიმ, საუკეთესო რეჟისურისთვის მიიღო, მაგრამ ვინაიდან შინაპატიმრობაში მყოფი პოლონელი კინემატოგრაფისტი ბერლინში ვერ ჩავიდა, მის ნაცვლად, პრიზი ფილმის („მწერალი-მოჩვენება“) პროდიუსერს გადასცეს.

ალფრედ ბაუერის სახელობის პრიზი — ნოვატორული იდეებისთვის ფილმში — „სადაც მინდა, იქ ვუსტვენ“ რუმინელ რეჟისორს, ფლორიანუ სერბანუს გადაეცა...

პრიზი — საუკეთესო მსახიობი მამაკაცისთვის რუსებმა: ალექსეი პუსკეპალისმა და გრიგორი დობრიგინმა მიიღეს, საუკეთესო მსახიობი ქალი კი იაპონელი სინობუ ტერაძიმა გახდა. შეგახსენებთ, წლევანდელ ანუ მე-60 „ბერლინალეს“ ჟიურის ცნობილი ავსტრიელი რეჟისორი, ვერნერ ჰერცოგი ხელმძღვანელობდა. ■

რუბრიკა მოამზადა
ხათუნა ბახტურიძემ

ქვეყანა

„ხალხს არ უყვარს ის პოლიტიკოსები, რომლებიც შეხედულებებს ხშირად იცვლიან“...

„რუსეთი უნდა ვაიძულოთ, საქართველოსთან მიმართებით აღებული ვალდებულებები შეასრულოს“, — ეს განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ჩრდილოატლანტიკურ საბჭოში სიტყვით გამოსვლისას გააკეთა. მსგავსი შინაარსის განცხადებები ამერიკის ხელისუფლების წარმომადგენლებმა უკვე არაერთხელ გააკეთეს, მაგრამ მათ სიტყვებს კონკრეტული შედეგი დღემდე არ მოჰყოლია. ამ მხრივ გაცილებით შედეგიანია რუსეთი — ის ჩვენი სტრატეგიული მოკავშირის მაღალჩინოსანთა გამოსვლების შემდეგ კიდევ უფრო აგრესიულად და მიზანმიმართულად მოქმედებს საქართველოს მიმართ... ექსპერტები ფიქრობენ, რომ უახლოეს მომავალში ამერიკის სტრატეგია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვნად შეიცვლება და კონკრეტული შედეგების დანახვაც გახდება შესაძლებელი. რა აძლევს ექსპერტებს ასეთი ოპტიმისტური პროგნოზის გაკეთების მიზეზს და რა რეალურ ცვლილებებს შეიძლება ველოდეთ? — ამ კითხვებით პოლიტიკურ ექსპერტს, პაპა გოგოლაშვილს მივმართე.

ხათუნა ბახტურიძე

— ბატონო კახა, რატომ უნდა გვქონდეს იმის იმედი, რომ ამერიკა გააძლიერებს რუსეთზე პოლიტიკურ ზეწოლას საქართველოს სასარგებლოდ?

— ვფიქრობ, აშშ-ს არასდროს შეუწყვეტია რუსეთზე ზეწოლა — უბრალოდ, ბოლო დროს ვაშინგტონი უფრო კატეგორიული გახდა. აშკარაა — ამერიკა და რუსეთი ვერ თანხმდებიან იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი უნდა იყოს საერთაშორისო წესრიგი, რა პრივილეგიებით უნდა ისარგებლონ დიდმა სახელმწიფოებმა და როგორ უნდა გადაწყდეს პატარა სახელმწიფოების ბედი. ამერიკამ, როგორც დემოკრატიულმა სახელმწიფომ, გაითვალისწინა ის რეალობა, რომ ეს ორი დიდი ქვეყანა ვერ შეთანხმდებოდა, საერთაშორისო ვითარება ძალიან დაიძაბებოდა და ყველაფერი გააკეთა არსებული პრობლემების მშვიდობიანი გზით გადასაწყვეტად. გარდა ამისა, ბარაკ ობამა ხელისუფლებაში მოსვლის პირველ ეტაპზე საერთაშორისო არენაზე ნაკლებად აქტიურობდა, ის ძირათადად, შიდა პოლიტიკური საკითხებითა და რეფორმებით იყო დაკავებული. ჰილარი კლინტონს ვაშინგტონის ადმინისტრაციის მხრიდან ნამდვილად არ ჰქონდა ისეთი ძლიერი მხარდაჭერა, როგორითაც კონდოლიზა რაისი სარგებლობდა ბუშის პრეზიდენტობის დროს. ახლა, როგორც ჩანს, ობამა ნელ-ნელა გამოდის ილუზიებიდან და ხვდება, რომ მეგობრული ურთიერთობითა და კომპრომისებით ვერც საერთაშორისო თანამეგობრობაში შეინარჩუნებს ძველ პოზიციას და ვერც რუსეთთან მოაგვარებს პრობლემებს. მეგობრული ურთიერთობით მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა მოსკოვთან ისევე წარმოუდგენელია, როგორც „აღ ქაიდასთან“. ის ფაქტი, რომ ვაშინგტონში გაკეთებული განცხადებების შემდეგ რუსეთი საქართველოს მიმართ სულ უფრო და უფრო აგრესიულ ქმედებებს მიმართავს, იმაზე მეტყველებს, რომ პუტინი და მედვედევი „ვა ბანკზე“ მიდიან. ისინი ცდილობენ, თავიანთი პოზიციები მაქსიმალურად შეინარჩუნონ, მაგრამ მათ ამერიკა სწორედ ამის გამო დაუპირისპირდება.

„გადატვირთვა“ ჯერჯერობით არ გამოვიდა...“

— ეს დაპირისპირება რაში გამოხატება?

— შესაძლოა, უახლოეს მომავალში ვაშინგტონმა რუსეთის წინააღმდეგ კონკრეტული ღონისძიებებიც კი განახორციელოს და ამ ორ ქვეყანას შორის გავლენის სფეროების გადანაწილებისთვის ნამდვილი შეჯიბრება გაიმართოს.

— ეს ყველაფერი საქართველოს რა შედეგს მოუტანს?

— ვფიქრობ, ეს ყველაფერი საქართველოსთვის კარგია, თუნდაც იმიტომ, რომ შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის გარიგება ჩვენს ხარჯზე არ შედგება. ამერიკისა და რუსეთის მკვეთრი დაპირისპირების შემთხვევაში ჩვენს ტერიტორიულ პრობლემებს უახლოეს მომავალში ნამდვილად ვერ მოვაგვარებთ, მაგრამ იმის საშუალება მაინც მოგვეცემა, რომ ეს პრობლემა გრძელვადიან პერსპექტივაში მაინც განვიხილოთ. ახლა ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ საერთაშორისო მხარდაჭერა შევინარჩუნოთ და ქართველ ხალხს დასავლური ორიენტაციის შეცვლის მიზეზი არ მივცეთ.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ ქართველი ხალხის დიდი ნაწილი დასავლეთის მიმართ უკვე ნდობას კარგავს? სულ რამდენიმე თვის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ზურაბ ნოღაიდელს რამდენიმე ასეული კაცი მაინც დაუჭერდა მხარს, დღეს კი მის ირგვლივ ოპოზიციური პარტიები ერთიმეორის მიყოლებით ერთიანდებიან.

— კი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნოღაიდელის რეიტინგი გაიზარდა. ის მხოლოდ სკანდალური ნაბიჯებით გახდა პოპულარული. პრორუსული ძალები საქართველოში მხოლოდ ფინანსურად ძლიერდებიან, ხალხის მხარდაჭერა მათ ნამდვილად არა აქვთ.

— იმ ფაქტს როგორ შეფასებთ, რომ ნოღაიდელთან თანამშრომლობაზე პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსმა, ირაკლი ალასანიამაც კი არ თქვა უარი?

— როგორც ჩანს, ალასანიას იმედი აქვს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში სწორედ ის იქნება ოპოზიციის ერთიანი კანდიდატი. ალბათ იფიქრა, რომ გაჩეჩილაძესთან, დავითაშვილთან და კუკავასთან დაპირისპირებას ვერ შეძლებდა. მართალია, მათ დაბალი რეიტინგი აქვთ, მაგრამ ცოტ-ცოტა ხმას მაინც წაართმევდნენ. აირჩევს თუ არა გაერთიანებული ოპოზიცია ერთიან კანდიდატად ირაკლი ალასანიას, მომავალში ის მაინც მიხვდება, რომ მცდარი გადაწყვეტილება მიიღო.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ნოღაიდელთან თანამშრომლობით იმ ადამინების მხარდაჭერა დაკარგა, ვინც მას პროდასავლურ პოლიტიკოსად მიიჩნევდა. მერწმუნეთ,

ხალხს არ უყვარს ის პოლიტიკოსები, რომლებიც შეხედულებებს ხშირად იცვლიან და დანაპირებს არ ასრულებენ. პოლიტიკოსი დიპლომატივით ვერ მოიქცევა: მხოლოდ დიპლომატს შეუძლია ორაზროვანი განცხადებების გაკეთება და უკან დასახევი გზების მოტოვება.

— პრაიმერში მონაწილეობა ნოღაიდელის პოლიტიკური კურსის მხარდაჭერას არ ნიშნავს, მაგრამ რა იქნება მაშინ, თუ პრეზიდენტობის ერთიანი კანდიდატი ნოღაიდელი აღმოჩნდება?

— შეიძლება ითქვას, რომ ბოლო დროს ქართულ პოლიტიკაში მოვლენები ძალიან უცნაურად განვითარდა. ყველა ოპოზიციური პარტიის ლიდერი ხედავს, რომ ნოღაიდელის გარშემო გაერთიანება ძალიან დიდ უხერხულობას იწვევს, მაგრამ ამ ნაბიჯზე უარს მაინც არ ამბობს. უფრო მეტიც — ისინი გაცილებით იოლად ამბობენ უარს ალასანიაზე, ვიდრე ნოღაიდელზე. შეგახსენებთ, რომ „ალიანსის“ დაშლამდე დავით გამყრელიძემ და დავით უსუფაშვილმა მთელ ოპოზიციას, ნოღაიდელის გარდა, გაერთიანებისკენ მოუწოდეს. ხომ ხედავთ, რომ მათ პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსის სასარგებლოდ, პუტინის მოკავშირე და ურეიტინგო ფიგურა არ დათმეს?! ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ ნოღაიდელს აქვს ფული და ეს ოპოზიციონერი ლიდერებისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ღირებულებები. სამწუხაროდ, რუსულ ფულზე ვერც ალასანიამ თქვა უარი.

— ალასანიამ უკვე განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში მიიღებს პრაიმერში მონაწილეობას, თუ ნოღაიდელის ფინანსური რესურსი არ იქნება გამოყენებული...

— ეს განცხადება ზუსტად იმისთვის გააკეთა, რომ საზოგადოებაში გაჩენილი ეჭვები გაეფანტა. ჩემთვის გარკვეულწილად გასაგებია, რომ დავითაშვილს და კუკავას თავიანთი პოლიტიკური იმიჯი აღარ აინტერესებთ და ფინანსური რესურსების გამოყენებას ცდილობენ, მაგრამ ალასანიასგან ასეთი ნაბიჯის გადადგმა ნამდვილად გამიკვირდა. მან რეალურად დაკარგა ამომრჩეველი.

— რამდენად რეალური შეიძლება იყოს კუკავას განცხადება იმის შესახებ, რომ ძალიან მალე მთელი არასაპარლამენტო ოპოზიცია საერთო კანდიდატის წარდგენას შეძლებს?

— ეს წარმოუდგენელია. „რესპუბლიკელებსა“ და „ახალ მემარჯვენეებზე“ რომ აღარაფერი ვთქვათ, მათ არავითარ შემთხვევაში, მხარს არ დაუჭერს შალვა ნათელაშვილი. კიდევაც რომ მოახერხონ გაერთიანება და საერთო კანდიდატის წარმოდგენა, ისინი ხალხის მხარდაჭერას მაინც დაკარგავენ. ნათელაშვილის ან გუბაზ სანიკიძის ამომრჩეველი ნოღაიდელს მხარს არასოდეს დაუჭერს.

— ეი. ოპოზიცია ისევ მარცხისთვის არის განწირული?

— ყოველ შეთხვევაში, თბილისში ძალიან გაუჭირდებათ...

■

სამღვდელოება პოლიტიკის სამსახურში ანუ

პატრიარქისა და სეპარატისტთა ლიდერის „ისტორიული შეხვედრა“

მართალია, რუსეთის საპატრიარქო ოფიციალურად, დე ფაქტო აფხაზეთის ეკლესიის აღიარებაზე უარს ამბობს, მაგრამ რუსეთის პატრიარქმა, სეპარატისტი ლიდერი საზეიმო ვითარებაში მიიღო და მასთან ერთად, აფხაზი ერიც დალოცა. მოსკოვური შეხვედრის შემდეგ, დახურულ კარს მიღმა ნახევარსაათიანი საუბარიც გაიმართა. სერგეი ბაღაფშმა კირილს აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარების პროცესში დახმარება სთხოვა. უთანხმოება ჩვენსა და ქართულ ეკლესიას შორის დიდი ხანია, არსებობს; ამ საკითხის გადაწყვეტას ისე არ ვაპირებთ, რომ იმ ქვეყნებს ვავნოთ, რომლებმაც ჩვენი დამოუკიდებლობა აღიარეს ან აღიარებას აპირებენ; ქართველი მღვდელმსახურების ბოლო გამონათქვამები თან მაქვს და შეგიძლიათ, წაიკითხოთ, ჩვენ ასეთ ადამიანებთან საერთო არაფერი გვაქვსო, — განაცხადა ბაღაფშმა კირილთან შეხვედრისას. სეპარატისტმა ლიდერმა სრულიად რუსეთის მწყემსმთავრისგან სასურველი პასუხი ჯერჯერობით ვერ მიიღო, მაგრამ აფხაზეთში იმედს არ კარგავენ, რომ რუსული ეკლესია სულ მალე მათთვის სასურველ გადაწყვეტილებას მიიღებს.

ლალი პაპასკირი

ბაგრატ ბაძაღუა, *აფხაზეთის ეპარქიის წარმომადგენელი:*

— VIII-IX საუკუნეებში, როცა აფხაზეთის სამეფო არსებობდა, აფხაზურმა ეკლესიამ ავტოკეფალიაც მიიღო. ამ პერიოდში აღდგა აფხაზეთის საკათალიკოსოც, რომელიც X საუკუნეში — მას შემდეგ, რაც აფხაზეთისა და საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება მოხდა — მცხეთის საკათალიკოსოს შეუერთდა... მანამდე, აფხაზეთის საკათალიკოსო ეკლესია ავტოკეფალიას ინარჩუნებდა, მაგრამ მცხეთის კათედრალის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და თითქმის ფუნქციადაკარგულად ითვლებოდა. მაშინ ე.წ. გაერთიანებული საქართველოს ეკლესია ორად იყო გაყოფილი: აღმოსავლეთ საქართველოში სასულიერო ცენტრს მცხეთა წარმოადგენდა, დასავლეთ საქართველოში კი — ბიჭვინთა. X საუკუნის დასაწყისში კი, როცა აფხაზეთს მძიმე დრო დაუდგა, აფხაზური ეკლესიის წინამძღოლთა გადაწყვეტილებით, საკათედრო ტაძარი ქუთაისში გადაიტანეს. ამით ისარგებლა აღმოსავლეთ საქართველოს საკათალიკოსომ და აფხაზეთის საკათალიკოსო მიიერთა. ამით დასრულდა აფხაზური ეკლესიის ავტოკეფალიის არსებობაც...



ბაღაფშის ვიზიტი, ერთი შეხედვით, რუსულ-აფხაზური ძმობის განმტკიცებას ემსახურება, მაგრამ ორივე მხარემ ხომ იცის, რომ ასე არ არის...

— ისტორიული ფაქტების დამახინჯებაზე რომ არაფერი ვთქვათ, იმის აღნიშვნაც იკმარებს, რომ X საუკუნემდე არსებულ აფხაზურ საკათალიკოსოში მოხსენიებული სასულიერო პირები ქართველები იყვნენ: ისტორიულ წყაროებში გვხვდება გვარები — ჩხეიძე, საყვარელიძე, გურიელი, მალახია, ერისთავი, ბაგრატიონი და სხვები...

— ეს ქართველი ისტორიკოსების მიერ დაწერილ, გაყალბებულ დოკუმენტებში წერია. მე აფხაზეთის შეულამაზებელი ისტორია მაქვს წაკითხული, სადაც ჩანს, რომ აფხაზური ეკლესიის ხვედრი მძიმეა... ამიტომაც, აფხაზეთის მართლმადიდებლური სამყარო დღემდე იმ რწმენით სუნთქავს და არსებობს, რომ დადგება დრო და მიწაზე, სადაც სიმონ კანანელის საფლავია, ეკლესია-მონასტრებს დამოუკიდებელი სტატუსი ეღირსება... ამ მძიმე მარხვაში, მწვავე განცხადებების გაკეთებას ვერიდები, მაგრამ აფხაზეთის მიწაზე არსებულ ეკლესია-მონასტრებს მსოფლიოს მართლმადიდებლური სამყაროსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს: აფხაზეთში ჯერ კიდევ IV-V საუკუნეებში აგებული მართლმადიდებლური ტაძრები მდებარეობს და მის დამოუკიდებელ სუბიექტად აღიარებას კანონიერება მოითხოვს.

— ცოტა ხნის წინ, აფხაზეთის ეპარქიაში რუსეთის ეკლესიასთან მიერთებაზეც საუბრობდნენ, ამიტომ ცოტა უცნაურია, აფხაზური ეკლესიის დამოუკიდებლობას ასე თავგამოდებით რომ ითხოვთ...

— ჩვენ რუსეთისგან, აფხაზეთის

წესით, რუსულ მრევლში, ბაღაფშის სტუმრობას უკმაყოფილება უნდა გამოეწვია

ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარებას, მისი ავტოკეფალიის აღდგენასა და მფარველობას ვითხოვთ. საქართველოს ეკლესია და კულტურის სამინისტრო აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ ეკლესია-მონასტრებს ქართული იურისდიქციის გავრცელების ზონაში განიხილავენ, რაც უსამართლობაა... აფხაზეთის ეპარქიას ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან საერთო არაფერი აქვს. აფხაზურ ეკლესიას რუსეთის ეკლესია ეხმარება. ჩვენს პრეზიდენტს რუსეთის ეკლესიის მეთაურთან კარგი ურთიერთობა ჯერ კიდევ მის პატრიარქად არჩევამდე ჰქონდა. კირილი ძალიან ჭკვიანი ადამიანია და მისი კეთილგონივრულობის იმედი გვაქვს... მათი შეხვედრის მთავარი მიზანი იყო იმაზე მსჯელობა, თუ როგორ ვაქციოთ აფხაზეთის ტაძრები, კერძოდ — ახალი ათონის კომპლექსი, კამანი და იოანე ოქროპირის სახელობის ეკლესია მართლმადიდებელთა სამლოცველო ადგილებად. ამჟამად წესრიგში მოგვყავს ახალი ათონის მთელი კომპლექსი. რაც შეეხება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებულ უთანხმოებას, — ჩვენ ამ ეკლესიასთან და მსგავს ხალხთან საქმის დაჭერას არ ვაპირებთ, ვიდრე აფხაზური ეკლესიის ავტოკეფალია არ აღდგება.

ლეონიდ რაძიხოვსკი, *რუსი პუბლიცისტი:*

— ბაღაფშის ვიზიტი, ერთი შეხედვით, რუსულ-აფხაზური ძმობის განმტკიცებას ემსახურება, მაგრამ ორივე მხარემ ხომ იცის, რომ ასე არ არის... სამწუხაროდ, რუსეთის სამღვდელოება არათუ ანგარიშს უწევს, არამედ ხშირ შემთხვევაში, პირდაპირ არის დამოკიდებული პუტინი-მედვედევის ნება-სურვილზე, მაგრამ იმედია, ერთმორწმუნე რუსეთის ეკლესია (ზოგჯერ ძალიან მეჩოთირება ასეთი სტატუსი...) ანგარიშს გაუწევს მსოფლიო მართლმადიდებლურ სამყაროს და, საქართველოში 2008 წელს დატრიალებული ტრაგედიის მიუხედავად, ქართულ ეკლესიასთან ღირსეულ ურთიერთობას შეინარჩუნებს... წესით, რუსულ მრევლში, ბაღაფშის სტუმრობას უკმაყოფილება უნდა გამოეწვია, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ დავიკვეხნი, რომ რუს საზოგადოებაში პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა რიცხვი დიდია და ჯანსაღი აზრი დომინირებს. პუტინი-მედვედევის მანქანა ეკონომიკურად დასუსტებულ პოსტსაბჭოთა რუსეთში წარმატებით ავრცელებს მისთვის მისაღებ იდეოლოგიას. მოსკოვის რელიგიისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის, რომან ლუნკინის აზრით, ბაღაფშის მიმართვა კირილისადმი აფხაზეთის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ, საფუძველს მოკლებული არ ყოფილა: მისი მტკიცებით, აფხაზური ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭება აფხაზი ხალხის რწმენის გამყარებასა და სულიერ სიმტკიცეს შეუწყობს ხელს. ამდენად, არც იმის იმედი მაქვს, რომ ბაღაფშის ვიზიტს სათანადო შეფასებას მისცემს. ერთადერთ ნათელ წერტილად, ეკლესიის გონივრულობა რჩება.

— თქვენ მიერ ნახსენები პუტინ-მედვედევის იდეოლოგიის გავლენიდან გამომდინარე, თქვენი აზრით, რომელი მართავს დღეს რუს მრევლს — პოლიტიკა თუ რწმენა?

— ძნელი სათქმელია. რუს მრევლს, როგორც ბევრ სხვა ფასეულობაზე, ასევე რწმენაზეც, თავისებური შეხედულება აქვს. ადამიანები ცოდვასა და გმირობას ერთმანეთისგან ვერ არჩევენ... სანამ საზოგადოების შეხედულებებზე ვისაუბრებდე, რუსული ეკლესიის „ანატომიასაც“ მინდა შევეხო: სტალინის დესპოტიზმი დაუსრულებელი თემაა, მაგრამ მაშინ, როცა მას ლამის ქვეყნიერების დამაქცევრად აცხადებენ, მისი ხატის დაწერის საკითხიც — როგორც მრევლში, ასევე ადგილობრივ სასულიერო პირებში — აქტიურად განიხილება. ქვეყანაში, სადაც მარტოხელა პენსიონერები შიმშილისა და სიცივისგან იხოცებიან, გადარჩენილთა საამებლად, მოსკოვის მერიის გადაწყვეტილებით, 9 მაისს, გერმანულ ფაშიზმზე გამარჯვების წლისთავის აღსანიშნავად, სტალინის პლაკატებს გამოფენენ, რასაც მოხუცები სიამაყით უცქერენ. მერე, შინ წასვლამდე, ისინი სალოცავში შეივლიან და უფალს გაურკვეველ თხოვნას გაუგზავნიან... აღსანიშნავია, რომ იდეოლოგიური თვალსაზრისით, აფხაზეთში უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე რუსეთში: მათ იციან, რისთვის ცხოვრობენ, რას ელოდებიან რუსეთისგან და რატომ არ უნდათ საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა. მრავალმილიონიან რუსეთში კი სამოქალაქო საზოგადოება იმაზე დაბალ დონეზე იმყოფება, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. იქ ჯერ კიდევ გაურკვეველია, რწმენა პოლიტიკის ნაწილია თუ — მრწამსი. აქედან გამომდინარე, გადაჭრით იმის თქმა, — ეს მხოლოდ ეკლესიური საკითხია და პოლიტიკა არ უნდა ჩაერიოსო, — გულუბრყვილობა იქნება... რაც შეეხება აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას, — თუ რუსეთის პირველი პირები პატრიარქის წირვა-ლოცვაზე დასწრებას მოუხშირებენ, ამაში აფხაზური ეკლესიის მისამართით რაღაც სასიკეთო გზავნილების ამოკითხვაც შეიძლება... აქვე შეგახსენებთ — 2009 წლის ნოემბერში აფხაზეთის ეპარქიის ხელმძღვანელმა ბესარიონ აპლიამ რუსეთის პატრიარქს მიმართა თხოვნით, ეშუამდგომლა საქართველოს საპატრიარქოს წინაშე, რომ აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობა დაეკანონებინა, მაგრამ მაშინ არქიეპისკოპოსმა ილარიონმა არაორაზროვნად განაცხადა, რომ აფხაზეთის ეკლესიას მხოლოდ ქართული ეკლესიის შემადგენლობაში ცნობდა. დამერწმუნეთ, რუსეთის ხელმძღვანელობა ამ განცხადებით კმაყოფილი არ დარჩენილა... სხვათა შორის, სეპარატისტული აფხაზეთის ლიდერს ადრეც ჰქონდა მცდელობა, შეხვედროდა რუსეთის

მამა მიქაელ გოტკოველი, *საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანი, დეკანოზი:*

— ამ თემაზე კომენტარს ვერიდები, რადგან იმედი მაქვს, დადგება დრო და აფხაზეთის ეკლესია თავის მშობლიურ წიაღს დაუბრუნდება... რაც შეეხება რუსეთის საპატრიარქოს პოზიციას, — აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერის არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, ერთმორწმუნე რუსეთი მაინც არ აღიარებს მის დამოუკიდებლობას და იმედია, ამ ნაბიჯს არც შემდგომში გადადგამს, რადგან პოლიტიკური დაძაბულობის მიუხედავად, საქართველოსა და ერთმორწმუნე რუსეთს ერთმანეთთან ძალიან დიდი სულიერი კავშირი აქვთ.

სამწუხაროდ, რუსეთის სამღვდელოება არათუ ანგარიშს უწევს, არამედ ხშირ შემთხვევაში, პირდაპირ არის დამოკიდებული პუტინი-მედვედევის ნება-სურვილზე

გაგრძელება იხ. გვ. 14

„პალიტრა L“-ისა და „გზის“ წიგნისკენ მიმავალ გზას ქუთაისელებიც სიხარულით უერთდებიან

ტყუილს ვერ ვიკადრებ და არ ვიტყვი, რომ წიგნს ქუთაისში იმაზე მეტი მკითხველი ჰყავს, ვიდრე დანარჩენ საქართველოში, მაგრამ ეს სულაც არ ხდება იმის გამო, რომ აქაურებმა წიგნის ფასი არ იციან. ყველაფერი დრომ და სოციალურმა გაჭირვებამ მოიყოლა. ისიც, რომ წიგნის მაღაზიაში შესული 10 მკითხველიდან 9 მხოლოდ ათვალიერებს თაროებზე შემოწყობილ საოცნებო წიგნებს. ყიდვის უფლებას კი იმ ათიდან მხოლოდ ერთი თუ აძლევს თავს...

ინგა ჯაყელი

მაია მეგრელიშვილი, *წიგნის მაღაზიის გამყიდველი:*

— ხალხს საშუალება რომ ჰქონდეს, დარწმუნებული ვარ, ხელცარიელი არავინ გავიდოდა მაღაზიიდან. რაღაცნაირი, „გულდაწყვეტილი“ მზერით გადიან ხოლმე, როცა წიგნის ფასს დახედავენ: ზოგი 50-60 ლარიც კი ღირს! გავბედავ და საყვედურს ვეტყვი გამომცემლებს — ზოგჯერ მგონია, სხვა საქართველოში ცხოვრობენ და არ იციან ქართველების ჯიბის შესაძლებლობა. ვერ გამიგია, ამით რას იგებენ. არ სჯობია, ფასი დასწიონ და ხალხს ყიდვის საშუალება მისცენ?!

— გამომცემლობა „პალიტრა L“-ისა და ჟურნალ „გზის“ პროექტიც სწორედ წიგნის დაბალ ფასს ითვალისწინებს...

— ამ აქციის შესახებ მყიდველებისგან შევიტყვე: წაუკითხავთ, რომ წიგნები საოცრად დაბალ ფასში იქნება და მოდიან, კითხულობენ. ერთმა ისიც მითხრა, — თუ რიგი დადგა, ნაცნობობის ხათრით, წიგნი მეც შემახვედრეო. ნეტავ წიგნზე რიგს მოვესწრებოდე და!..

წიგნის მაღაზიიდან გამოსულმა გადავწყვიტე, აღნიშნული პროექტის პერსპექტივაზე იმ ადამიანებსაც გავსაუბრებოდი, ვისაც კომპეტენტური აზრის გამოთქმა შეუძლიათ, უბრალოდ უყვართ წიგნი ან ჩვენი ჟურნალის ერთგული მკითხველები არიან.

თეიმურაზ ლანჩავა, *მწერალი, საქართველოს მწერალთა კავშირის იმერეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, ლიტერატურული გაზეთ „უქიმერიონის“ რედაქტორი:*

— მწერალი კაცი ასეთ პროექტზე კარგის მეტს რას ვიტყვი?! თუმცა შიშს მაინც გამოვთქვამ — ჩვენი ხელფასებისა და სოციალური ფონის გადამკიდე, თუნდაც დაბალფასიანი წიგნი რამდენად კარგად გაიყიდება. ჩვენს მწერალთა სახლთან გავხსენით წიგნის მაღაზია. ყოველდღე შევდივარ, ვათვალიერებ სიახლეებს და ხშირად მეც ვერ ვყიდულობ მოწონებულ წიგნს, ისეთი ფასი ადევს. ჭაბუა ამირეჯიბის წიგნებს ადრე ათასობით ტირაჟი ჰქონდა, ახლა 200-300 ცალი გამოდის და მისი რეალიზაციაც გაჭირდა.

— ჩვენი პროექტით, წიგნს დაბალი ფასი ექნება.

— ჰოდა, ასეთი ჭკვიანური გადაწყვეტილებით, უფრო მოიგებს გამომცემელი. წარმატებას ვუსურვებ მათაც და მწერლებსაც, რომელთა შემოქმედების პოპულარიზაციასაც ხელს შეუწყობს ეს პროექტი.

ქუთაისში ბევრი კარგი მწერალია. კარგი იქნება, თუ მათი შემოქმედებითაც დაინტერესდებიან ამ პროექტის ფარგლებში. ყველა სიამოვნებით ითანამშრომლებს ისეთ გამომცემლობასთან, რომელიც „პალიტრა-L“-ია. რეზო ჭეიშვილი და ოტია იოსელიანიც ქუთაისელები არიან და მადლობა ღმერთს, რომ ისინი მაინც იბეჭდებიან, მაგრამ მკითხველი უნდა იცნობდეს: ავთანდილ ყურაშვილს, ცირა შალაშვილს და სხვასაც, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

გიზო თავაძე, *მწერალი:*

— 14 წიგნის ავტორი ვარ. 30 წელია, მწერლობას ვემსახურები. წიგნი ჩემი ცხოვრებაა. კაცობრიობას წიგნზე უკეთესი არაფერი გამოუგონია და ვერც რამემ შეცვალა იგი. წიგნთან სხვა ინტიმი აქვს ადამიანს. კომპიუტერით ინფორმაციას იღებ, მაგრამ არა — განათლებას. „კვირის პალიტრის“ მკითხველი მისი დაარსების დღიდან ვარ, „ლიტერატურული პალიტრა“ გამოწერილი მაქვს. საოცრება იყო „პალიტრის“ პირველი რედაქტორი, გურული ქალბატონი (*ბატონი გიზო თავადაც გურულია. — ავტ.*), ლალი გუნთაიშვილი — ღმერთმა გაანათლოს მისი სული! რა დამავიწყებს მისი წერილების ციკლს იერუსალიმზე, აღთქმული მიწიდან!.. ვისარგებლებ შემთხვევით და ჩემს სათხოვარსაც გამოვთქვამ: უამრავი ალბომი გვაქვს, მაგრამ მაინც მოუთმენლად ველოდებით „დიდი მხატვრების“ სერიის ყოველი ტომის გამოსვლას, რომელსაც გაზეთთან ერთად ვყიდულობ; სიაში ვერ ვნახე და იქნებ დაამატონ: ტულუზ ლოტრეკი, ამედეო მოდილიანი, ბოსხი... ეჭვი არ მეპარება, „გზის“ ახალი წამოწყებაც გაამართლებს. ტყუილია, რომ ამბობენ, ახალგაზრდობა წიგნს არ კითხულობსო. უამრავი წიგნი მაქვს განათხოვრებული პირადი ბიბლიოთეკიდან ჩემი შვილების მეგობრებზე, ახლობლების შვილებზე. თუ ხელმისაწვდომ ფასში ვიყიდი, ვაჩუქებ და უკეთესს რას გავაკეთებ?! იქნებ ქუთაისელ მწერლებთანაც ითანამშრომლოს „პალიტრა L“-მა. დიდებული მწერლები გვყვანან: ავთანდილ ყურაშვილი, ზაალ ებანოიძე, გივი ტყეშ-



წაუკითხავთ, რომ წიგნები საოცრად დაბალ ფასში იქნება და მოდიან, კითხულობენ. ერთმა ისიც მითხრა, — თუ რიგი დადგა, ნაცნობობის ხათრით, წიგნი მეც შემახვედრეო

ელაშვილი... აქ ცხოვრობდნენ ზურაბ კუხიანიძე და ლილი ნუცუბიძე... მაღალი ფასის გამო ბევრ წიგნზე დამწყვეტია გული: 4 და 5 ლარი თუ ეღირება, უკვე დიდი შეღავათია. წარმატებას გისურვებთ და თქვენთან ვარ!

ავთანდილ ყურაშვილი, *მწერალი, ლიტერატურული ჟურნალ „განთიადის“ რედაქტორი:*

— ამ პროექტს იმ შემთხვევაშიც ექნება გამართლება, თუ წიგნისკენ კიდევ ერთ კაცს შემოაბრუნებს და დაინტერესებს. დაწყებაა მთავარი, მერე — გადამდებია. ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემა რომ იწყებოდა, მისი პირველი რედაქტორი, კერესელიძე ოცნებობდა: ნეტავ, ერთი ხელმომწერი მეყოლებოდესო! — მაგრამ დღემდე ცოცხლობს მისი საქმე. წიგნის ყიდვა უნდა შეაძლებინოს მყიდველს გამომცემელმა. ეს უდიდესი საქმეა — მწერლისთვის, ხალხისთვის, ქვეყნის კულტურისთვის. მაქვს და ისევ სიამოვნებით შევიძენ: ოთარ ჭილაძის, გურამ დოჩანაშვილის, რევაზ ინანიშვილის, ნუგზარ შატაიძის წიგნებს. შოთა არაბული იყო, ყაზბეგელი მწერალი, რომელსაც ფაქტობრივად, არ იცნობენ. ქუთაისშიც შესანიშნავი მწერლები გვყვანან — თეიმურაზ ლანჩავა, რეზო ნაჭყებია, ცირა შალაშვილი. 90-იანი წლების შემდეგ მოსული თაობა არ იცნობს მწერლებს. „განთიადში“ გალაკტიონის და ოტია იოსელიანის სურათს რომ დავბეჭდავ, იმასაც ვაწერ, რომ მწერალია: თუ არ იცნობენ, ვალდებული ვართ, თუნდაც ასე, პრიმიტიულად ვასწავლოთ... ეს აქცია მწერალსაც დაეხმარება მორალურად — მწერალი მქვია და 10-12 წელია, წიგნი არ გამომიცია...

თემურ ამყოლაძე, *მწერალი, ჟურნალ „განთიადის“ რედაქტორის მოადგილე:*

— რა თქმა უნდა, შესანიშნავი ჩანაფიქრია. თან, მარტო ფასიც არაა პრობლემა — ხალხი ისეთ გაჭირვებაშია, ათასი პრობლემის გადამკიდეს, სახლში მიტანილი წიგნის წაკითხვის თავი აღარ აქვს. ჩემი აზრით, ბოლო 20 წლის განმავლობაში საოცრად დაბალი ტირაჟით გამოცემული წიგნების უმეტესობა არც მისულა მკითხველამდე. ყოველთვის ვამბობ, — საქართველოში 150-200-იანი ტირაჟით გამოცემული წიგნი რომ იქნება საკმარისი, ეს კატასტროფის ტოლფასია. „კვირის პალიტრა“ არასდროს ანიჭებს უპირატესობას იაფფასიან აქციებს, ამიტომაც იმედი მაქვს, რომ სკანდალური ნაწარმოებები კი არ დაიბეჭდება, რომლებსაც არაფერი აქვს საერთო მხატვრულ ლიტერატურასთან, არამედ მართლა ღირებული წიგნები და ავტორები.

ნანული ცხვედიანი, *გაზეთ „P.S.“-ის რედაქტორი:*

— ყველამ იცის, თუ როგორი „დანაგვიანებულია“ ახალგაზრდების სასაუბრო ლექსიკა და ქართულმა წიგნმა ამის გამოსწორებაზეც უნდა იზრუნოს. ამას ძირითადად, კლასიკოსების წყალობით მივაღწევთ. მე, ისევ და ისევ, მიხეილ ჯავახიშვილს, ნიკო ლორთქიფანიძეს, გიორგი ლეონიძეს, რევაზ ინანიშვილს, მერაბ ელიოზიშვილს შევიძენდი და წავიკითხავდი. იმ ავტორებს კი ვერ მივიჩნევ მწერლებად, ვისაც მხოლოდ „შიშველი“ ნატურალისტური სცენები აქვთ წიგნში აღწერილი და შინაარსს მხატვრულობასთან არაფერი აქვს საერთო. „პალიტრა “ სერიოზული გამომცემლობაა და იმედი მაქვს, ღირებული იქნება მისი წამოწყებული პროექტიც — მკითხველს ისეთი ავტორების წიგნებს შესთავაზებს, გულგრილს რომ არავის დატოვებს.

გიზო კაკაურიძე, *ლადო მესხიშვილის სახ. დრამატული თეატრის მსახიობი:*

— ცოტა პესიმისტურად ვარ განწყობილი — ასე მგონია, საქართველოში აღარც წიგნს კითხულობს ვინმე, აღარც თეატრი აინტერესებს და არც რაიმე სხვა, მარადიულ ღირებულებებთან დაკავშირებული. ვინც წიგნის ფასი იცის, იმას მისი ყიდვის საშუალება არა აქვს. პროფესორი კაცი გაზეთსაც ვერ ყიდულობს და ნათხოვარ ჟურნალებს კითხულობს, ჯიხურთან ფეხზე მდგომი... პროექტი თავისთავად, დიდებული ჩანაფიქრია და თუ წიგნის ფასიც ქართულ ყოფასთან მიახლოებული და რეალური იქნება, მაგას რა სჯობია?! ჩემთვის წიგნზე ძვირფასი საჩუქარი არ არსებობს და მეც ვაჩუქებ შვილებს, შვილიშვილებს, ახლობლებს. „პალიტრა L“-ში არ შეეშლებათ ღირებულის იაფფასიანისგან გამორჩევა და ამის იმედითაც დაველოდები „გზასთან“ ერთად გამოცემულ წიგნებს. პირველი დოჩანაშვილი იქნებაო, და მაგას ნამდვილად, ვერ გამოვტოვებ.

კამელია მინდაძე, *ფსიქოლოგი, ისტორიის მასწავლებელი, მულტიმედიური ენციკლოპედიის — „საქართველო-3000“ ავტორი:*

— ბავშვებსა და მოზარდებს წიგნისადმი ინტერესის გაქრობა რომ შევამჩნიე, ამიტომ გამიჩნდა მულტიმედიური ენციკლოპედიის შექმნის სურვილი. ნათქვამია — ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობიაო, — და შედეგი იმაზე უკეთესი მივიღე, ვიდრე ველოდი. ჩვენს შემთხვევაში სწორედ ის მოხდა, რომ კომპიუტერმა ბავშვი წიგნისკენ მიგვაბრუნებინა: ეკრანზე გაცოცხლებულმა ისტორიამ მეტის გაგების სურვილი გაუჩინა მათ და ამ დროს მივაწოდე წიგნი, ავუხსენი, რომ ვერანაირი კომპიუტერი ვერ შეცვლის მას ვერც ეფექტით, ვერც პირველად წაკითხვის ბედნიერებით. ოღონდ ძალიან დიდ პრობლემას წავაწყდი — წიგნის ფასს. მე საშუალო ფენის წარმომადგენელი მქვია და 10-ლარიანი წიგნის ყიდვაც მიჭირს, ჩემი მოსწავლეების უმრავლესობას ჩემზე მეტად უჭირს. ხალხს წიგნი არ უნდაო, რომ ამბობენ, არ დაიჯეროთ. 2-3 წლის წინ აქცია იყო: 3 ლარი ღირდა ქართველი კლასიკოსების წიგნები და სულ რიგი იდგა. ახლაც ასე იქნება, თუ „გზასთან“ ერთად გამოცემულ წიგნებსაც რეალური ფასი დაედება. კარგი პროექტია. მის ინიციატორებს — მადლობა! ჩემს მოსწავლეებს ახლავე ჩავაყენებ საქმის კურსში, რომ არ გამორჩეთ რომელიმე წიგნი.

ნინო ზირაქიძე *37-ე საჯარო სკოლის მეათეკლასელი და წარჩინებული მოსწავლეა. ის „გზის“ ერთგული მკითხველია; ეს დამოკიდებულება თავდაპირველად, „გზავნილებმა“ გამოიწვია:*

— მალე მივხვდი, რომ „გზა“ მხოლოდ „გზავნილების“ გამო როდია გამორჩეული ჟურნალი. იქ თითქმის არ არსებობს მასალა, რომელიც შემიძლია, წაუკითხავი დავტოვო. „გზა“ ბებომ შემაყვარა, ის ყიდულობდა თავიდან ყველა ნომერს. ახალი პროექტის შესახებაც მან მითხრა პირველად და დამპირდა, რომ წიგნების შეძენაში დამეხმარება. მშობლებმაც უკვე დაიჭირეს თადარიგი: შენ წიგნი გიყვარდესო და... ასე რომ, მალე მეც მექნება ჩემი პირადი ბიბლიოთეკა. მადლობა ჩემს საყვარელ ჟურნალს!..

რადიოპალიტრა FM 103.9
ჩვენ ვეძებთ ხმებს!
რეკლამებისა და ანონსებისათვის
თუ თქვენ გიყვართ ჰაერი, გინდათ მუშაობა,
გაქვთ მომხიბვლელი ხმის ტემბრი და
გამართული მეტყველება, გამოგზავნეთ CV
რადიო „პალიტრაში“
მისამართზე: info@radiopalitra.ge
დაგვიჰეკეთ: 18-18-68

„კლავიშების ცხელსისხლიანი ვეფხვის“
წარმატება და რჩევები მსოფლიოს დიდი მუსიკოსებისგან

შვეიცარიის ქალაქ შაფჰაუზენში მუსიკოსებისთვის უფასო მასტერკურსები წლეულს მეექვსედ ჩატარდა. მასში სხვადასხვა ქვეყნის ორმოცამდე მუსიკოსი მონაწილეობდა. ისინი აუდიოკონკურსის საშუალებით შეარჩიეს. ქართველ მონაწილეებთან დაკავშირებით, გამოცდილმა ჩელისტმა — ვენ-სინ იანგმა ასეთი კომენტარი გააკეთა: „შაფჰაუზენის 2010 წლის მასტერკურსებზე ქართველმა მონაწილეებმა თავიანთი ნიჭითა და ტემპერამენტით ჩვენი გაოცება შეძლეს: მაგალითად, ჯერ მხოლოდ 16 წლის ალექსანდრე ჯულაყიძე „კლავიშების ცხელსისხლიანი ვეფხვია“ — ყოველგვარი სირთულის გარეშე ფორტეპიანოზე ურთულეს ნაწარმოებებს ასრულებს. იმედი გვაქვს, რომ მას ჩვენი რჩევები დაეხმარება; 22 წლის თამარ ბერაია კი უკვე ჩამოყალიბებული ხელოვანია: მას რჩევები კი არა, აქტიური საკონცერტო აგენტი სჭირდება, რომელიც მსოფლიოს დიდი სცენებისკენ გზას გაუხსნის“...

ეთო ყორღანაშვილი

როგორც შევიტყვეთ, თამარ ბერაია შვეიცარიაშია გათხოვილი. სამაგიეროდ, მასტერკურსების გავლის შემდეგ, ალექსანდრე (სანდრო) ჯულაყიძე მშობლიურ თბილისს დაუბრუნდა და ინტერვიუზეც სიამოვნებით დაგვთანხმდა. ალბათ გაგიკვირდებათ, მაგრამ სანდრო სპორტის საკმაოდ სახიფათო სახეობას — პარკურსაც მისდევს, თუმცა, როგორც პიანისტი, სათანადო სიფრთხილესაც იჩენს...

სანდრო ჯულაყიძე:

— მუსიკალურ ოჯახში გავიზარდე — მშობლებს კონსერვატორია აქვთ დამთავრებული. სიმღერა რომ დავიწყე, წლინახევრის ვიყავი. რადგან მუსიკალური ნიჭი გამოვავლინე, 7 წლის ასაკში ჩემს ამჟამინდელ პედაგოგთან — გომა გეგიასთან მიმიყვანეს. ფორტეპიანოსთან უფრო „ახლოს“ ვიყავი. ამიტომ პიანისტის პროფესია ავირჩიე.

— შაფჰაუზენის მასტერკურსებზე როგორ მოხვდი?

— იყო პერიოდი, როცა ჩემი ყოველი დღე კლინიკაში მისვლით იწყებოდა. საქართველოში თითქმის არც ერთი სამედიცინო დაწესებულება არ გამომიტოვებია, თითქმის ყველგან ვიყავი მისული, მაგრამ დიაგნოზი ვერ დამიდგინეს. გამოკვლევისთვის გერმანიაში გავემგზავრე, სადაც შემთხვევით, ჩემ მიერ შესრულებული მუსიკა ტომას ჰაიზერმანმა (მამაჩემი ანსამბლ „გეორგიკაში“ მღეროდა, ტომას ჰაიზერმანი კი „გეორგიკის“ იმპრესარიო გახლდათ) მოისმინა. მასტერკურსების შესახებ ინფორმაცია სწორედ მან მოგვაწოდა. აუდიოკონკურსისთვის მოცარტის, შოპენის, შუმანის, ბრამსის, პროკოფიევის ნაწარმოებები ჩავწერეთ და შვეიცარიაში გავგზავნეთ. საბედნიეროდ, დადებითი პასუხი მივიღეთ — მასტერკურსებსა და კონცერტზე მიმიწვიეს.

— სანდრო, ვიდრე შვეიცარიაში შენს გამგზავრებაზე ვისაუბრებთ, მითხარი — გერმანიაში ექიმებმა დიაგნოზი დაგისვეს?

— არა, სამწუხაროდ, მათაც ვერაფერი გაარკვიეს.

— რა სიმპტომები აღგენიშნებოდა?

— მაღალი სიცხე. შემდეგ ჩემმა ახლო ნათესავმა ფსიქოლოგიური დახმარება გამიწია: დამარწმუნა, რომ ადამიანი ავად მაშინ ხდება, როცა თავად სურს ეს... მერე გავარკვიეთ, თუ რატომ მინდოდა ცუდად ყოფნა; ამ მიზეზს გარკვეული დროის განმავლობაში ვებრძოდი. ახლა კარგად ვარ.

— შენი ავადმყოფობის მიზეზი რა იყო? რაღაც ცუდი მოხდა შენს ცხოვრებაში?

— ეს ერთ-ერთ კონკურსს უკავშირდება.

— კონკურსზე უსამართლოდ მოგექცნენ?

— ამაზე ლაპარაკი არ მინდა, არ ღირს...

— კარგი, მთავარია, რომ ახლა ჯანმრთელი ხარ. მოდი, შვეიცარიაში მიღებულ პროფესიულ გამოცდილებაზე საუბარს დავუბრუნდეთ. მასტერკურსებს რომელი პროფესორები უძღვებოდნენ?

— 4 არაჩვეულებრივი, ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული მუსიკოსი: მევიოლინე — ანა ჩუმაჩენკო, სახელგანთქმული „გუარნერი-ტრიოს“ წევრი, ჩეხი პიანისტი — ივან კლანსკი, ჩელისტი — ვენ-სინ იანგი, რომელიც საოცარი მუსიკოსია და შეუძლია, დირიჟორის კარიერაზეც იფიქროს; მეოთხე პროფესორს — ვერნერ ბერტჩს რაც შეეხება, ის შაფჰაუზენში მცხოვრები პიანისტი და კომპოზიტორია. მისი საკონცერტო მოგზაურობები თითქმის ყველა კონტინენტს მოიცავს. შაფჰაუზენის მასტერკურსების დამაარსებელიც სწორედ ვერნერ ბერტჩი გახლავთ.

— როგორი იყო მსოფლიოს დიდ მუსიკოსებთან მუშაობის პროცესი?

— მართალია, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის №1 ცენტრალურ სამუსიკო გიმნაზიაში ფორტეპიანოზე დაკვრის ხელოვნებას ძალიან კარგ პედაგოგთან — გომა გეგიასთან ვეუფლები, მაგრამ შაფჰაუზენში მუშაობის პროცესი ჩემთვის განსაკუთრებულად საინტერესო და სასარგებლო იყო მუსიკალური თვალსაზრისით; ჩეხ პიანისტთან — ივან კლინსკისთან ურთიერთობის შედეგად, პროფესიულად გავიზარდე.

— შენ გარდა, მასტერკურსები რამდენმა ქართველმა მუსიკოსმა გაიარა?

— სულ 5 ქართველი ვიყავით, მაგრამ თბილისიდან — მხოლოდ მე გახლდით, დანარჩენები — თამარ ბერაია, ირინა ვარდელი, ნინო კოტრიკაძე და თამუნა ჩიტაძე — საზღვარგარეთ ცხოვრობენ.

— მასტერკურსები რამდენ ხანს გაგრძელდა?

— 6 დღე გაგრძელდა და კონცერტით დასრულდა, რომელიც ვენ-სინ იანგმა მოაწყო. კონცერტი მე გავხსენი.

— ვისი ნაწარმოები შეასრულე?

— შოპენის, რადგან კონცერტი შოპენის დაბადების 200 წლისთავს მიეძღვნა. ამ ფაქტს შვეიცარიულ პრესაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. საკუთარ თავზე ლაპარაკი არ მიყვარს, მაგრამ მაგალითად, ადგილობრივ გაზეთებში გამოქვეყნდა სტატიები, სადაც ნათქვამი იყო: 16 წლის პიანისტმა ფრიდერიკ შოპენის დაბადებიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი გახსნა და მის მიერ მაღალი ხელოვნებით შესრულებულმა ნაწარმოებმა პუბლიკის გულში ღრმად შეაღწიაო (*იღიმის*). თამარ ბერაიამაც დიდი მოწონება დაიმსახურა. ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიაში, მის მიერ შესრულებული პროკოფიევის ნაწარმოები „ცეცხლოვან აფეთქებას“ შეადარეს... მოკლედ, ყველა აღფრთოვანდა!

— კონცერტზე გამოსვლისთვის ჰონორარიც ხომ არ მოგცეს?

— კი. ეს ჩემი პირველი ჰონორარი იყო. თბილისში რომ დავბრუნდი, 4 დღე დასვენება „გამოვაცხადე“ და ის თანხა მეგობრებთან ერთად დავხარჯე (*იღიმის*)... კონცერტის გარდა, აპლოდისმენტების გარეშე მასტერკურსებსაც არ ჩაუვლია: თურმე დედაჩემის გვერდით ერთი იტალიელი კაცი იჯდა; ის დედას მიუბრუნდა და ჩემ შესახებ უთხრა: ბედნიერი ხართ,

ასეთი ნიჭიერი შვილი რომ გყავთო (*იცინის*)! ევროპაში კლასიკური მუსიკა ბევრს უყვარს, ოღონდ — ძირითადად, 50 წელს გადაცილებულებს; ახალგაზრდების მხოლოდ მცირე რაოდენობა ინტერესდება.

— ამის გამო გული გწყდება?

— გული მწყდება, რომ კლასიკა არ აინტერესებთ და მუსიკის ისეთ მიმდინარეობას უსმენენ, როგორიცაა, მაგალითად, რეპი. მიმაჩნია, რომ საკუთარი თავის მუსიკალურად აღზრდა კლასიკით უნდა დაიწყო.

— რეპს რომ არ უსმენ, მივხვდი. კლასიკის გარდა, სხვა მუსიკალური მიმდინარეობებით თუ ინტერესდები?

— კი, დიდი მელომანი ვარ: „ბითლზის“, „ქუინის“, „ლედ ზეპელინის“, მაიკლ ჯექსონის, ენდრიუ ლოიდ ვებერის შემოქმედება ძალიან მომწონს.

— შაფჰაუზენის მასტერკურსებში მონაწილე უცხოელ შემსრულებლებზე რას იტყვი?

— ქართველებთან მოკითხვა ჯულიანო მაცოკანტემ დამაბარა. ის ბევრი ქართველისთვის საყვარელი იტალიელი პიანისტი გახლავთ, რომელმაც თბილისის პიანისტთა IV საერთაშორისო კონკურსზე IV პრემია მიიღო.

— შაფჰაუზენში ალბათ დატვირთული სამუშაო გრაფიკი გქონდა. ქალაქის დასათვალიერებლად თუ მოიცალე?

— ქალაქი ძალიან პატარაა და დათვალიერება მოვახერხე: მდინარე რაინი მიედინება, იქ არის ევროპაში ყველაზე დიდი ჩანჩქერი, ჩვენს სახლთან ახლოს უძველესი ციხესიმაგრე იყო... შაფჰაუზენი ლამაზია. მინდა, რომ თბილისშიც ისეთივე სუფთა ჰაერი იყოს, როგორიც იქაა.

— შვეიცარიაში ვინ გიმასპინძლათ?

— კრაიერების ოჯახმა, რომელმაც მე და დედაჩემი დიდი სიყვარულით მიგვიღო, ყველაფერში ხელი შეგვიწყო. კრაიერებს არც ერთი მასტერკურსი არ გაუცდენიათ — სულ თან დაგვყვებოდნენ. მათი მადლიერი ვარ. კიდევ, დიდ მადლობას ვუხდი იმ ადამიანებს, ვინც შვეიცარიაში ჩვენი გამგზავრება დააფინანსა (მათ საზოგადოებისთვის თავიანთი ვინაობის გამხელა არ ისურვეს).

— საქართველოში დაბრუნებულს მეგობრები როგორ შეგხვდნენ?

— შვეიცარიაში ყოფნისას თბილისი ძალიან მომენატრა. საერთოდ, მეგობრებისთვის, შეყვარებულისთვის ძალიან ცოტა დრო მრჩება, მაგრამ როგორც აღვნიშნე, დასვენების 4 დღე მათ დავუთმე. შაფჰაუზენში პროფესორებისგან სასარგებლო რჩევები მივიღე, რომლებიც ჩემს მუსიკოს მეგობრებსაც გავუზიარე.

— მუსიკის გარდა, კიდევ რას საქმიანობ?

— გურამ რამიშვილის სახელობის მე-20 საჯარო სკოლაში ვსწავლობ.

— გაკვეთილების მომზადებასაც ასწრებ?

— მუსიკა ძალიან ბევრ დროს მართმევს, მაგრამ სკოლაში სწავლასაც ვახერხებ — გამოცდებზე მაინც გავდივარ ხოლმე.

— გული არ გწყდება, რომ გართობისთვის იმდენი დრო არ გრჩება, რამდენიც შენი თანატოლების უმრავლესობას?

— მართალია, თავისუფალი დრო ცოტა მაქვს, მაგრამ გართობასაც ვასწრებ — პარკურით ვარ გატაცებული. სპორტის ამ სახეობის დიდი მოყვარული და გულშემატკივარი გახლავართ. პროფესიონალებს ვერ შევედრები, მაგრამ რაღაც ილეთებს ვფლობ.

— პარკურში ტრავმების მიღების ალბათობა დიდია, შენ კი პიანისტი ხარ და ხელებს განსაკუთრებულად უნდა უფრთხილდებოდე...

— სწორედ ესაა მიზეზი, რომ პარკურში აქტიურად არ ვვარჯიშობ — არ მინდა, ჩემს პროფესიულ საქმიანობას საფრთხე შევუქმნა.

Nachrichten aus Greifensee 18. Februar 2010 Seite 16

Abschlusskonzert des Schaffhauser Meisterkurses

Junge Talente im Konzert

sz. Zum Abschluss des Schaffhauser Meisterkurses hatte die KunstGesellschaft Greifensee bereits zum dritten Mal Jungtalente zum Konzert nach Greifensee eingeladen. Am Sonntag bot sich den Zuhörenden im Landenberghaus ein musikalischer Leckerbissen, der seinesgleichen sucht.

Bereits zum sechsten Mal fanden in diesem Februar die Kurse zur Weiterbildung junger Musikern auf höchstem Niveau statt. Die Kurse in Schaffhausen werden von vier renommierten Dozenten erteilt und bieten den ausgesuchten Teilnehmenden die Möglichkeit, mit allen Künstlern zusammenzuarbeiten. Das Ergebnis der harten, bis zu acht Stunden täglichen Arbeit, fand ihren Abschluss in diesem Konzert.

Violinsonate von Debussy

Die Violinsonate in g-Moll von Claude Debussy gilt als anspruchsvoll, da jeweils ein Instrument die Energie gegen die Melodie und das Motiv des anderen führt. Die gegenseitige Herausforderung schafft Klangfülle und Textur, die Auseinandersetzung bringt die Instrumente einander zugleich näher. Die beiden engagiert spielenden Musizierenden zogen das Publikum gekonnt in ihren Bann.

Den Abschlusspunkt des fulminanten Konzertes setzte das junge Quartett, das den verdienten Applaus sichtlich genoss. (sz)

Poloinaise und eines der letzten Werke von Chopin

Wen-Sinn Yang führte mit seinen spannenden und äusserst informativen Ausführungen durch diesen musikalischen Abend. Der 16-jährige Alexandr Juláskidze machte den Auftakt mit einer Polnaise As-Dur op. 53 von Frédéric Chopin. Geschickt flogen die Finger über die Tasten und die hohe Kunst des Klavierspielens dieses jungen Musikers ging dem Publikum ins Herz über. Das nächste Stück, die Sonate g-Moll op.65 für Cello und Klavier, war eines der letzten Stücke, welche Chopin schrieb. Vom ersten Ton an war die Melancholie und Sentimentalität deutlich zu spüren. Chopin war damals bereits sehr krank und ein Jahr später starb er.

Zum 200. Geburtslag

In diesem Jahr feiert die Musikwelt den 200. Geburtstag des weltbekannten polnischen Komponisten Frédéric Chopin. So war es nicht erstaunlich, dass auch der zweite Teil des Konzertes mit einer Chopin-Komposition begann. Am Klavier spielte der aus Kiev stammende und in Zürich studierende Oleksandr Chugai die Ballade Nr. 3 As-Dur op. 47. Mit Eleganz und ohne jegliche Kraftanstrengung flogen die Finger nur so über die Tasten.

Violinesonate von Ysaÿe

Wen-Sinn Yang freute sich, zum ersten Mal eine Künstlerin aus Übersee, sprich Boston, im Meisterkurs begrüssen zu dürfen. Was Hye-Jin Kim in der Sonate Nr. 4 für Violine solo auf ihrem Instrument vollführte, suchte seinesgleichen. Der Wechsel zwischen den Saiten, vom Streichen zum Zupfen und zurück, Kim beherrscht ihr Instrument in einer Perfektion, die absolut bemerkenswert ist. Eine Virtuosin, die zweifelsfrei eine bemerkenswerte Karriere vor sich hat.

Hohes und höchstes Niveau

Der Abschluss dieses hochstehenden Konzertes bildeten vier Musizierende, welche das Klavierquarett c-moll op.15 von Gabriel Fauré präsentierten. Perfekt aufeinander abgestimmt, harmonierten die Musizierenden im Wechsel und schlossen den Abend mit einem weiteren Höhepunkt.

Es mache ihm etwas Angst, wenn er bedenke, dass der diesjährige Meisterkurs auf absolut höchstem Niveau stattgefunden habe, meinte Yang. Das könne fast nicht mehr übertroffen werden und er sei sehr gespannt, welche Künstler nächstes Jahr dabei sein werden, meint der aus Greifensee stammende Professor der Münchner Hochschule für Musik und Theater. Nach diesem musikalischen Hochgenuss freuen sich die Zuhörer bereits heute auf das Konzert des Schaffhauser Meisterkurses im nächsten Jahr.

Byol Kang aus Korea spielt eine Violinsonate von Claude Debussy.

Der Ton macht die Musik - wir auch!

Dorfmusik Grytesee

— სანდრო, კიდევ რაიმე ჰობი ხომ არ გაქვს?

— კი, ბავშვობიდან ცურვას მივდევ და ხანდახან აუზს ვსტუმრობ. ასევე, კომპიუტერით, ერთ-ერთი პროგრამის მეშვეობით, თვითმფრინავის მართვა ვისწავლე. დარწმუნებული ვარ, თუკი შანსი მომეცემა, თვითმფრინავის მართვას ნამდვილად შევძლებ. ისეთი კომპიუტერული თამაშები არ მიყვარს, რომლებშიც აზრს ვერ ვხედავ... 7 წლის ასაკში მანქანის ტარება ვისწავლე. სამწუხაროდ, ჯერჯერობით მართვის მოწმობა არა მაქვს, მაგრამ როცა საჭესთან დედა ზის, რჩევებს ხშირად ვაძლევ და ვეხმარები.

— დედამიშვილები გყავს?

— მყავს და — 3 წლის ანასტასია. მღერის, მაგრამ ისე — არა, როგორც მე ვმღეროდი მის ასაკში. თუმცა მუსიკას კარგად აღიქვამს. ვნახოთ, რას იზამს...

— სანდრო, ჯერჯერობით ძალიან ახალგაზრდა ხარ; შესაძლებელია თუ არა, მომავალში პროფესია შეიცვალო?

— არა, პიანისტობა არჩეული მაქვს და ეს აზრი უცვლელია! ვიცი, რომ წარმატების მისაღწევად დიდი და რთული გზა უნდა გავიარო, მაგრამ ამისთვის მზად ვარ!

— არ ზარმაცობ ხოლმე?

— იმდენს ვმეცადინეობ, რამდენიც საჭიროდ მიმაჩნია, მაგრამ როგორც წესი, მშობლები ამას ზარმაცობაში მითვლიან (*იცინის*)...

— შაფჰაუზენის მასტერკურსებში მონაწილეობას გაისადაც აპირებ?

— კი. მასტერკურსები 2011 წლის 8-დან 13 თებერვლამდე ჩატარდება. კონკურსს ისევ მიუნხენის პროფესორები — ვენ-სინ იანგი, ანა ჩუმაჩენკო და ვერნერ ბერჩი გაუძღვებიან. მათთან ერთად, დოცენტად მიწვეული იქნება ბრწყინვალე პიანისტი — მანჰემ პრესლერი, რომელმაც საფორტეპიანო ტრიოს — „ბეაუხ არტს“ მსოფლიო აღიარება მოუტანა.

— მასტერკურსებზე ყოფნისას, უცხოელებისგან საინტერესო შემოთავაზება ხომ არ მიგიღია?

— ციურიხში კონცერტში მონაწილეობის მისაღებად მიმიწვიეს. 20 მაისს მივემგზავრები.

— კიდევ რა გეგმები გაქვს?

— საერთაშორისო კონკურსისთვის ვემზადები, რომელიც სომხეთში ჩატარდება. იქ ჩემს პედაგოგთან ერთად მივემგზავრები. იმედია, საქართველოს ვასახელებ.

— წარმატებას გისურვებ!

თუ ხართ ენერგიული, ახალგაზრდა და გაინტერესებთ ჯარიერული ზრდა

შპს „ქართული კაზინოს ჯგუფი“

და **„STORM INTERNATIONAL“**

გეპატიჟებათ სამუშაოდ გოგონებს და ბიჭებს 18 დან 30 წლამდე,
გამოცდილებით და გამოცდილების გარეშე, ინგლისური ან/და რუსული ენის
ცოდნით შემდეგ პოზიციებზე:

კრუპიე / მოლარე

ჩვენ გთავაზობთ: უფასო სწავლებას + სტიპენდიას, სტაბილურ
ხელფასს,მოსახერხებელ სამუშაო გრაფიკს.
გასაუბრებაზე ჩაწერა ტელეფონით 92 25 05 ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა.

დასაწყისი იხ. გვ. 8

პატრიარქს, მაგრამ მაშინდელი მწყემსმთავრისაგან — ალექსი II-ისგან თავაზიანი უარი მიიღო. მისგან განსხვავებით, კირილმა სეპარატისტთა ლიდერი დალოცა და აფხაზ ხალხს ეკონომიკური სიძლიერე და წარმატება უსურვა. ბესარიონ აპლია იმედოვნებს, რომ ეს არ იყო შეხვედრა შეხვედრისთვის... ერთ დღეს ალბათ ისიც ესტუმრება რუსეთის პატრიარქს და აფხაზი მრევლის პრობლემებზე მოახსენებს. და არც ის გამიკვირდება, რომ კირილს აპლიას მიღება ჩვენმა ხელისუფლებამ სთხოვოს. არადა, ლაპარაკია სასულიერო პირზე, რომელმაც ერთ-ერთ ყველაზე დიდ კრიმინალურ ავტორიტეტს — იაპონჩიკს აუგო წესი!.. ბოლოს დავძენ — ნიშანდობლივია, რომ ამ რამდენიმე ხნის წინ მოსკოვის საპატრიარქოს წარმომადგენელმა სერგეი ზვონარევმა ისაუბრა აღნიშნულ თემაზე და ისიც თქვა, — აფხაზეთის ეკლესიის საკითხი ქართულმა და რუსულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიებმა დიალოგის გზით უნდა გადაწყვიტონო...

მამუკა არეშიძე, *ექსპერტი კავკასიის საკითხებში:*

— აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარება ასე ადვილი როდია. დავიწყოთ იმით, რომ მსოფლიოს მართლადიდებლური ეკლესიების ნუსხაში საქართველოს ეკლესია ბევრად უფრო მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს, ვიდრე საქართველოს სახელმწიფო, მსოფლიოს ქვეყნების თანამეგობრობაში. ამიტომაც, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სიტყვა ბევრად მეტს ნიშნავს, ვიდრე სხვა მართლმადიდებლური ქვეყნების სულიერი ლიდერებისა. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის საპატრიარქომ აფხაზეთის ან ე.წ. სამხრეთ ოსეთის ეკლესიების აღიარება გადაწყვიტა, საქართველოს ეკლესიას სრული საფუძველი ექნება, უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალია აღიაროს. ამ ქვეყნის მართლმადიდებლური ეკლესიის ხელმძღვანელობას ძალიან უნდა, დამოუკიდებელი იყოს და საკმარისია, რომელიმე ეკლესიამ აღიაროს, მას ავტოკეფალიის პრეტენზია მაშინვე გაუჩნდება. მოსკოვში ეს კარგად აქვთ გაცნობიერებული.

— მაშ, რას უნდა ნიშნავდეს აფხაზეთის მოთხოვნა და რუსეთის საპატრიარქოში გამართული საზეიმო მიღება?

— რუსეთის მხრიდან ეს — ძალის დემონსტრირებაა. რუსეთის საპატრიარქოს ასეთი ჟესტის გაკეთება ყოველთვის შეუძლია, თუნდაც იმიტომ, რომ სერგეი ბაღაფში — რუსეთის მრევლია. მან კარგად იცის, რომ მისი მოთხოვნა მხოლოდ თვალთმაქცობაა, მაგრამ ისიც ფაქტია, რუსეთში ეკლესია და მთავრობა ერთმანეთთან ისეა გადაჯაჭვული, რომ ძნელი გასარკვევია, სად მთავრდება მთავრობა და სად იწყება ეკლესია, ან — პირიქით... ■

„ჩემს პოლიტიკურ სიმპათიებს „დემოკრატების“ ვირივით გარეთ ვტოვებ“

„ცესკომ იდეალური მეუღლე „წამართვა“

„მე ვარ ის ამომრჩეველი, რომელსაც ყელში ამოუვიდა პოლიტიკოსთა სიტყვების უაზრო რახარუხი, მერკანტილიზმი, ვიწრო ჯგუფური ინტერესები. მინდა, ამ სისტემაში რაც დასალაგებელია, დავალაგო და შემდეგ ჩემს პროფესიას მივუბრუნდე“, — ამბობს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი — პროფესიით მათემატიკოსი, საქმიანობით „ენჯეოშნიკი“, „ოჯახური მდგომარეობით“ — მრავალშვილიანი მამა. როგორ მოხვდა ცესკოში, რით იზიდავს მთა, სხვა რა ინტერესები აქვს, რა დარიგება მიიღო პატრიარქისგან? — აი, კითხვები, რომლებზეც ოჯახურ გარემოში პასუხის მიღებას შევეცადე. ბატონ ზურას დათქმულ დროს შინ ვეწვიეთ. სახლში მისი მეუღლე — მაია იმედაშვილი და შვილები: ლიკა, ნინო, თომა და გიორგი დაგვხვდნენ. მაიამ მოგვიბოდიშა, — ზურას ცოტა დააგვიანდებაო, — და გულთბილად გაგვიმასპინძლდა. ფინჯან ყავასთან საუბარიც დავიწყეთ.

თამუნა კვინიკაძე

— ერთმანეთი როგორ გაიცანით?

— ორივე, უნივერსიტეტში ვსწავლობდით: მე — ინფორმატიკის, ზურა — მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. ერთმანეთი საერთო მეგობართან გავიცანით, როგორც ხდება ხოლმე. ჩვენი ურთიერთობაც ჯერ მეგობრობით დაიწყო და თანდათან სიყვარულში გადაიზარდა. გაცნობიდან 6 წლის შემდეგ დავქორწინდით.

— 6 წელი ბევრი დროა; მეგობრობისა და შეყვარებულობის ხანდან გასახსენებელიც ბევრი გექნებათ...

— უნივერსიტეტი რომ დავამთავრეთ, ორივემ მუშაობა დავიწყეთ: ერთი პერიოდი ერთმანეთს ხშირად ვეღარ ვხვდებოდით, მაგრამ ურთიერთობა მალე განვაახლეთ. კარგი სამეგობრო წრე გვქონდა და დღესაც ასეა. დასასვენებლადაც ხშირად დავდიოდით ერთად.

— ბატონი ზურა სიყვარულში როგორ გამოგიტყდათ?

— ერთხელ მეგობრები ბაკურიანში წავედით. როგორც თავად ამბობს, მისი ჩემდამი სიყვარული ბაკურიანიდან დაიწყო. სიმართლე გითხრათ, ვხვდებოდი, რომ ზურა ჩემ მიმართ გულგრილი არ იყო... ერთ დღესაც რესტორანში დამპატიჟა და სიყვარულში გამომიტყდა. იმ დღიდან მალე დავქორწინდით. ყველაფერი ტრადიციების დაცვით მოხდა. ქორწილიც ვიწრო წრეში გადავიხადეთ.

— როგორი მეუღლეა?

— ძალიან თბილი და ყურადღებიანია. ვეუბნები, — სულ ცოტა გიკლია და იდეალური იქნები-მეთქი.

— ეგ „სულ ცოტა“ რა არის?

— (*იცინის*) ზოგჯერ ბრაზდება, ცოტა ემოციური ადამიანია.

— ფიცხი ხასიათი აქვს?

— არა, ფიცხი ნამდვილად არ არის.

— ყველაზე მეტად რა აღიზიანებს?

— როცა უსამართლობას აწყდება.

— საკუთარ თავს ყოველთვის აკონტროლებს?

— ყოველთვის.

— როგორი მამაა?

— უზომოდ თბილი მამაა. სახლში რომ მოდის, ყველას გვეფერება.

— ბავშვები რა ასაკის არიან?

— ლიკა 11 წლის არის, ნინო — 7-ის, თომა — 6-ის, ყველაზე უმცროსი — გიორგი 4 წლის გახლავთ.

— თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?

— ზურას ძალიან უყვარს მთაში სიარული. სანამ დავქორწინდებოდით მეგობრებთან ერთად მთას ხშირად ვსტუმრობდით. როცა დრო და საშუალება გვაქვს, ვცდილობთ, ეს ტრადიცია ახლაც არ დავარღვიოთ.

— ბოლოს სად იყავით?

— შარშან ზაფხულს ყაზბეგში ვიყავით. ნინოც გვახლდა, ლიკა იქ ბანაკში ისვენებდა — მოკლედ, უფროსი შვილებიც ავიყოლიეთ; თომა და გიორგი ფეხით სიარულს ვერ შეძლებდნენ, ამიტომ თბილისში დავტოვეთ.

— ყოველთვის ფეხით დადიხართ?

— რა თქმა უნდა! ეს ჩემთვისაც და ზურასთვისაც დიდი სიამოვნებაა — მთა ენერგიით გვავსებს. ზურას ზღვა არ უყვარს. ახლა ძალიან უნდა თუშეთში წასვლა, მაგრამ მსმენია, იქ ცუდი გზებიაო და ცოტა მეშინია. ვნახოთ, რას გადავწყვეტთ, მისი მეგობრებიც რას იტყვიან.

უზომოდ თბილი მამაა. სახლში რომ მოდის, ყველას გვეფერება

— **ბატონი ზურას მეგობრები ვინ არიან?**

— უმეტესად, ის ადამიანები, ვისთან ერთადაც სკოლასა და უნივერსიტეტში სწავლობდა. ზურას მეგობრები ეკლესიაშიც გალობენ.

— **მოძღვარი თუ ჰყავს?**

— დიახ. მისი მოძღვარი — მეუფე დავითია. სანამ ცესკოს თავმჯდომარედ დაინიშნებოდა, მისგან კურთხევაც მიიღო.

— **ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მეუღლის დანიშვნას თავად როგორ შეხვდით?**

— თავიდან ცენტრალური საარჩევნო კომისიის რიგით წევრობაზე იყო ლაპარაკი, მერე მოვიდა და მითხრა, თავმჯდომარის კანდიდატად მასახელებენო. სიმართლე გითხრათ, ძალიან განვიცადე: ასე მგონია, რაც უნდა სამართლიანად ჩაატარო არჩევნები, მომდურავი მაინც გეყოლება: ხალხში დიდი უნდობლობაა... ზურა დროის დიდ ნაწილს სამსახურში ატარებს. ვხუმრობ ხოლმე, — ცესკომ ქმარი წამართვა-მეთქი.

— **თავად არ მუშაობთ?**

— ერთი პერიოდი უნივერსიტეტში, ინფორმატიკის კათედრაზე ვმუშაობდი, შემდეგ — საბაჟოზე, მაგრამ ახლა მთელ დროს ბავშვების მოვლას ვუთმობ. ოჯახში რასაც ზურა აკეთებდა, ისიც ჩემი გასაკეთებელი გახდა.

— **ძიძა ან დამლაგებელი არ გყავთ?**

— არა, ყველა საქმეს დამოუკიდებლად ვართმევ თავს. როცა სადმე მივდივარ, ბავშვებს ბებიები იტოვებენ.

— **ბატონი ზურა რამდენად რომანტიკული ადამიანია?**

— სულ დაკავებულია. ვალენტინობას და მსგავს დღეებს არ აღვნიშნავთ. საერთოდ, ამ ადამიანის გვერდით თავს მშვიდად და ძალიან კარგად ვგრძნობ. ამდენი წელია, ერთად ვართ და თუ დამიჯერებთ, არ გვიჩხუბია. ვერ ვიტყვი, რომ ერთმანეთისგან არაფერი გვწყენია, მაგრამ მშვიდად გვისაუბრია და გაგვირკვევია. მოკლედ, თუ ცესკომ არ აგვირია, იდეალური ურთიერთობა გვაქვს.

— **სიურპრიზების მოწყობა თუ ეხერხება?**

— დაბადების დღეს ყოველთვის რესტორანში მეპატიჟება — რომანტიკულ ვახშამზე.

— **ქორწინების დღეს არ აღნიშნავთ?**

— როგორ არა?! ამ დღესაც ყოველთვის ერთად ვატარებთ. დიდი მარხვების დასაწყისშიც სადმე მარტო მივდივართ ხოლმე — მოკლედ, ჩვენ ჩვენი პატარა დღესასწაულები გვაქვს.

— **ქართული სუფრისადმი როგორი დამოკიდებულება აქვს?**

— დალევა არ უყვარს.

— **ტყეში მწვადის შეწვა ეცოდინება...**

— (*იცინის*) მაინცდამაინც არ ეხერხება. მეგობრები თუ შეუწვავენ, გემრიელად მიირთმევს.

ამ დროს შინ ოჯახის უფროსიც მოვიდა. როგორც მაიამ თქვა, ცესკოს თავმჯდომარედ დანიშვნიდან დღემდე, პირველად მოხდა, რომ ზურა სამსახურიდან საღამოს 6 საათზე დაბრუნდა. ბავშვებმაც გაიხარეს. ოჯახური ფოტოსესიის შემდეგ, საუბარი ბატონ ზურასთან გავაგრძელე.

— **ბატონო ზურა, აუდიტორული საქმიანობის შემდეგ, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობა რამდენად რთული აღმოჩნდა?**

— რამდენიმე დღის წინ ჩემმა მეგობარმა დამირეკა (ისიც ერთ-ერთ საერთაშორისო აუდიტორულ ფირმაში მუშაობს) და მკითხა, — როგორა ხარ, მუშაობა ხომ არ გიჭირსო? — აუდიტის შემდეგ აქ რა უნდა გამიჭირდეს-მეთქი?! — ვუპასუხე. უბრალოდ, ეგ არის, რომ ყოველდღიურად ძალიან ბევრ ადამიანთან მიწევს ურთიერთობა...

— **როცა ამ თანამდებობაზე აგირჩიეს, ასეთი რამ თქვით: დიდი მადლობა მათ, ვინც მხარი დამიჭირეს და უფრო დიდი მადლობა მათ, ვინც არ დამიჭირესო. რას გულისხმობდით?**

— ამ თანამდებობაზე ყოფნა — დიდი პასუხისმგებლობაა. ყველა ადამიანს საკუთარი ჯვარი აქვს სატარებელი. დიდი მადლობა ვუთხარი მათ, ვინც ნდობა გამომიცხადა და ეს ჯვარი ამკიდა და მათაც, ვინც ცდილობდა, ჩემთვის ეს ტვირთი აეცილებინა. ადამიანი ხომ მაინც, სულმოკლეა — იმ თვალსაზრისით, რომ პატარა ტვირთის ტარება უნდა... იმ წუთში ძალიან გულწრფელი ვიყავი. არც შიში გამჩენია და არც დავმფრთხალვარ. ვეცდები, ბოლომდე დავიხარჯო, დანარჩენს უფალი შემაძლებინებს. თავმჯდომარედ რომ ამირჩიეს, კათოლიკოს-პატრიარქს ვთხოვე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებს შეგვხვედროდა. იმ დღეებში უწმინდესი ცოტა სუსტად გრძნობდა თავს, გერმანიაში გასამგზავრებლად

ემზადებოდა; ბევრ ადამიანთან შეხვედრას ვერ შეძლებდა, გვთხოვა, მე და ჩემი მოადგილე მივსულიყავით. კურთხევა მოგვცა, დაგვლოცა და გვირჩია, — გულისმიერი გონებით იფიქრეთო. პავლოვის სიტყვები მოიტანა: ადამიანს ორი გონება აქვს — თავსა და გულში; იცოდეთ, გულის გონება უფრო დიდიაო. პატრიარქის ეს სიტყვები სულ მახსოვს; როცა გადაწყვეტილების მიღება მიწევს, ყურს ვუგდებ — გულის გონება რას მეუბნება. არ ვფიქრობ, ამ ნაბიჯზე ვინ რას იტყვის, ან რა შეფასებას მისცემს. ჯერჯერობით წინ ასე მივიწევ და ვნახოთ, რა იქნება.

— რა არის მთავარი? რას აკეთებთ იმისთვის, რომ არჩევნები სამართლიანად ჩატარდეს?

— ყველაფრის წამალი — გამჭვირვალობაა. ჩემი უნარ-ჩვევები და პროფესიული მიდგომა კერძო და საზოგადოებრივ სექტორშია ჩამოყალიბებული. სახელმწიფო სექტორში ერთი დღეც არ მიმუშავია. ამ ყველაფერს პოლიტიკური კუთხით არ ვუყურებ. არა მაქვს პოლიტიკური წარსული და არც მოვალეში ვაპირებ პოლიტიკოსობას. მე მენეჯერი ვარ, ამავდროულად — ის ამომრჩეველი, რომელსაც ყელში ამოუვიდა პოლიტიკოსთა სიტყვების უაზრო რახარუი, მერკანტილიზმი, ვიწრო ჯგუფური ინტერესები. მინდა, ამ სისტემაში რაც დასალაგებელია, დავალაგო და შემდეგ ისევ ჩემს პროფესიას მივხედო. რაც უფრო მალე წამოვალ და ჩემს პროფესიას მივუბრუნდები, მით უფრო ნაკლებ დეკვალიფიკაციას მივიღებ. ირგვლივ ძალიან ბევრი სუბიექტივიზმია, ყველა მოტივირებულია, ყველა ანგაჟირებულია...

ამდენი წელია, ერთად ვართ და თუ დამიჯერებთ, არ გვიჩხუბია

— საარჩევნო კანონში რა ხარვეზს ხედავთ?

— ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ცესკოს დაკომპლექტების წესს შევცვლიდი. ეს ხომ ადმინისტრაციული ორგანოა, რომელმაც არჩევნები უნდა ჩაატაროს! დღეს კომისიის მუშაობა ხშირ შემთხვევაში, დებატების რეჟიმში მიმდინარეობს. როცა ესა თუ ის საკითხია გადასაწყვეტი, ტექნიკური ან პროფესიული მიდგომით კი არ წყვეტენ, არამედ — პარტიის ინტერესებიდან გამომდინარე. ერთმა ამერიკელმა ექსპერტმა სემინარი ჩაგვიტარა. თავად, ამერიკის არჩევნებში, ერთ-ერთი შტატის საარჩევნო კომისიაში რესპუბლიკურ პარტიას წარმოადგენდა. სემინარის დროს მასთან ერთად კომისიაში მყოფი „დემოკრატების“ აქტივისტის სიტყვები გაიხსენა: საარჩევნო კომისიის შენობაში რომ შევდივარ, ჩემს ვირს (ვირი დემოკრატიული პარტიის სიმბოლოა) გარეთ ვტოვებო... პირადად მე არანაირი პოლიტიკური ინტერესები არ გამაჩნია, მაგრამ მაქვს პოლიტიკური სიმპათია ამა თუ იმ პარტიის თუ პოლიტიკოსის მიმართ; მას არჩევნების დღეს, ხმის მიცემის დროს გამოვხატავ, ხოლო მანამდე, მუშაობის პროცესში, ჩემი სიმპათია, „დემოკრატების“ ვირივით, გარეთ რჩება.

— მაგრამ თქვენი მისამართით უკვე გაისმის შემდეგი შინაარსის გამონათქვამები: „მეორე თარხნიშვილი“, „ვანო მერაბიშვილის ბუღალტერი“... გიგი უგულავასთან მეგობრობაშიც „გადანაშაულებენ“. ამ ყველაფერზე რა რეაქცია გაქვთ?

— გიგის მეგობარი თუ ვიყავი, არ ვიცოდი... ამ ქალაქში დავიბადე და გავიზარდე, დიდი სანაცნობო წრე მყავს. გიგისაც ვიცნობ, მაგრამ მეგობრები არასდროს ვყოფილვართ. რაც შეეხება „ვანო მერაბიშვილის ბუღალტრობას“: უნივერსიტეტი როცა დავამთავრე, ქვეყანაში ქაოსი იყო. სამოქალაქო დაპირისპირების დროს მათემატიკოსი არავის სჭირდებოდა. რაღაც ხომ უნდა მეკეთებინა?! მე და ჩემმა მეგობრებმა ბუღალტერთა „ენჯეო“ (*არასამთავრობო ორგანიზაცია. — ავტ.*) ჩამოვაყალიბეთ. ბუნებრივია, სხვა „ენჯეოებთანაც“ ვთანამშრომლობდით. მაშინ ბევრ ისეთ ადამიანთან მქონდა ურთიერთობა, რომელთაგან დღეს ზოგი ხელისუფლებაშია, ზოგი — ოპოზიციაში. იმ წლებში ვანო მერაბიშვილიც ერთ-ერთ „ენჯეოს“ ხელმძღვანელობდა. ვიღაცას ახსოვს მერაბიშვილი, ვახსოვარ მე, როგორც ბუღალტერი და ამ ორ ამბავს ერთმანეთთან არასწორად აკავშირებს. 1998 წელს რამდენიმე თვე ქართულ-ამერიკულ ორგანიზაციაშიც ვმუშაობდი, რომლის ხელმძღვანელიც ქართული მხრიდან, ზურაბ ტყემალაძე გახლდათ. თუ ვინმეს ბუღალტერი და ფინანსისტი ვიყავი, ალბათ ზურაბ ტყემალაძის უფრო, ვიდრე ვანო მერაბიშვილის.

— ბატონო ზურა, საუბრის თემა შევცვალოთ: გავიგე, მთაში სიარული გყვარებიათ.

— კი, ძალიან მიყვარს! ამ მხრივ საკუთარ თავს სტუდენტობის წლებში უფრო ვანებივრებდი. ყოველ ზაფხულს 3-4 კვირას მთაში ვატარებდი, მეგობრებთან ერთად ტყე-ღრეში ზურგჩანთააკიდებული დავეხეტებოდი. თუშეთი, ფშავი, პირიქითა და პირაქეთა ხევსურეთის ყველა ბილიკი და გადასასვლელი გზა ვიცი. სნოს ხეობიდან ჩოხშიც ვარ გადასული. სამწუხაროდ, მთაში სულ უფრო ცოტა ხალხი რჩება. ზაფხულობით თუშეთი უფრო გამოცოცხლდება ხოლმე. თუშების მუსიკა და პოეზია — ცალკე სასაუბრო თემაა. ლექსებით გელაპარაკებიან — საოცრებაა! სუფრასთან თუ მოხვდი და მათთან ერთი-ორი ჭიქა დალიე, იქ რომ კაფიაობა გაიმართება, იმის მოსმენას რა სჯობს?! ამ კუთხის ანალოგი მსოფლიოში არ მოიძებნება, იქ ყველა — პოეტია.

— საზღვარგარეთ მთის კურორტებს არ სტუმრობთ?

— არა, საზღვარგარეთ მოლოცვით ტურებში დავდივარ. პილიგრიმობა მიზიდავს. სინას მთაზე ვარ ნამყოფი, იერუსალიმში, ათონის მთა 5-6-ჯერ მაინც მოვილოცე.

— ეკლესიის წიაღს როგორ დაუახლოვდით?

— ეს სტუდენტობის წლებში მოხდა. 1988 თუ 1989 წელი იყო. პირველი სექტემბრის ნაცვლად, სასწავლო წელი 21 სექტემბერს იწყებოდა. სტუდენტები შევიკრიბეთ და მოვილაპარაკეთ, რომ დავითგარეჯში წავსულიყავით და სამონასტრო კომპლექსის აღდგენაში მიგვეღო მონაწილეობა. 2 კვირით გავემგზავრეთ. იქ სამუშაოს მეტი რა იყო?! უდაბნოს კომპლექსი მთლიანად გავწმინდეთ. მახსოვს, თბილისში წამოსვლის წინადღეს პირველი აღსარება იქ ვთქვი. ესეც უფლის ნება იყო. მას შემდეგ, გარეჯში ხშირად დავდიოდი, 3-4 კვირითაც ვრჩებოდი.

— მორჩილივით ცხოვრობდით?

— არა, უბრალოდ, მონასტრის რეჟიმით ვცხოვრობდი. გარეჯში სხვა სითბო, ენერგია, მადლი ტრიალებდა. როცა განვლილ ცხოვრებას თვალს გადავავლებ, ყველაზე კარგად ის წლები მახსენდება.

— მშვიდი ადამიანი ჩანხართ, ასეა?

— მშვიდი ვარ, მაგრამ გაბრაზებაც ვიცი. ყველაფერი, რაც ცუდია, მაღიზიანებს. ახლა საჯარო პირი ვარ და მეტი მოთმინება მმართებს...

— წარმატება მინდა გისურვოთ, როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში.

— გმადლობთ! იდეალურ არჩევნებსაც აქვს ხარვეზები, მაგრამ ეს იმდენად უმნიშვნელო უნდა იყოს, რომ შედეგზე გავლენა არ იქონიოს. მთავარია, ქვეყანაში სამართლიანობის განცდა იყოს. ■

სახე

„მინდა, ხალხისთვის საყვარელი მომღერალი გავხდე, აი, ისეთი, როგორიც ბიონსეა“

პროექტ „ნიჭიერის“ ერთ-ერთმა კონკურსანტმა — მარიამ კახელიშვილმა საზოგადოების ყურადღება სცენაზე გამოჩენისთანავე მიიპყრო. 14 წლის გოგონამ ბიონსეს რეპერტუარიდან სიმღერის შესრულების შემდეგ, ჟიურის გული უმალვე მოიგო... გაირკვა, რომ მარიამი თურმე 2008 წელს, საბავშვო „ევროვიზიის“ შესარჩევ კონკურსში მონაწილეობდა, მაგრამ მაშინ დაიწუნეს... გასულ კვირას ახალბედა მომღერალი რედაქციაში დედასთან ერთად გვეწვია და საკუთარ წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე გვიამბო.

„ნიჭიერის“ ჩაწერაზე კლასელებიც იყვნენ მოსულები და მგულშემატკივრობდნენ

ელენე გასილიძე

ნატო ჯავახიშვილი, *მარიამის დედა:*

— მარიამი რამდენიმე თვის იყო, როცა მასში სიმღერის ნიჭი აღმოვაჩინე: როგორც კი, მუსიკის ხმას გაიგონებდა, მაშინვე აჰყვებოდა... სიმღერა 3 წლისამ დაიწყო; რადგან წყნეთში ვცხოვრობდით, ბავშვი პირველად, წყნეთის ხელოვნების სკოლაში, რუსუდან ჩიქოვანთან მივიყვანე... მასწავლებელმა როგორც კი მოუსმინა, მისი მონაცემებით აღფრთოვანდა. მარიამი 2008 წლიდან გიგა კუხიანიძის სტუდიაში „ბზიკები“ დადის, სადაც სიმღერას სოფო ოყროშიძე ასწავლის.

მარიამი:

— ყველა მეუბნებოდა, რომ კარგად ვმღეროდი, საქართველოში გამართულ ამა თუ იმ კონკურსზე კი აღმოჩნდებოდა, რომ თურმე ვერ ვმღეროდი. არადა, კონკურსში მონაწილეობა ხშირად მიმიღია, მაგრამ ჩემი გამოსვლა ყოველთვის წარუმატებლად სრულდებოდა (*იღიმება*).

— „ბზიკების“ სტუდიაში როგორ მოხვდი?

— 2008 წელს, „ბზიკებთან“ ერთად, „ევროვიზიის“ შიდა შესარჩევ კონკურსში ვმონაწილეობდი. იმ წელს „ბზიკებმა“ გაიმარჯვეს და მას შემდეგ მივედი კიდეც გიგა კუხიანიძის სტუდიაში, სადაც დღემდე ვმღერი.

— ჟიური „ევროვიზიის“ შესარჩევ კონკურსზე არ გიშვებდა?..

— დამიწუნეს. მაგრამ როდესაც გიგა კუხიანიძემ მომისმინა, რომელიც ამ კონკურსის მუსიკალური ხელმძღვანელი გახლდათ, ჟიურის წევრებს უთხრა, — ამ გოგონას თუ არ მივიღებთ, პროექტს დავტოვებო... კონკურსზე გიგას დამსახურებით მოვხვდი (*იღიმება*).

— მარიამ, რას ნიშნავს შენთვის სიმღერა?

— როცა ვმღერი, თავს კარგად ვგრძნობ; სიმღერას ჩემს ცხოვრებაში დიდი ადგილი უკავია. ის პირველ ადგილზე დგას, შემდეგ მოდის სწავლა, გართობა... რაც მთავარია, სიმღერა სწავლაში ხელს არ მიშლის.

— წყნეთში სწავლობ, ხომ?

— კი, წყნეთში, 137-ე სკოლაში დავდივარ...

— კლასელებმა თუ იციან, ასე კარგად რომ მღერი?

— (*იღიმება*) იციან, გადაცემასაც უყურეს და მანამდეც იცოდნენ, რომ ამ პროექტში მივიღე მონაწილეობა. „ნიჭიერის“ ჩაწერაზე კლასელებიც იყვნენ მოსულები და მგულშემატკივრობდნენ. გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ კი სკოლაში რომ მივედი, ყველა მილოცავდა. დარბაზში ჩემი კლასელები რომ ისხდნენ, სტიმული მომეცა და უფრო უკეთესად ვიმღერე. სიმღერა თითქოს მამხნევებს ხოლმე...

— თუ გახსოვს, პირველად რამხელა იყავი, როცა იმღერე?

— 6 წლის ვიყავი, „ოდელია დელასა“ და „შავ კატას“ ვასრულებდი (*იცინის*). პატარა ვიყავი და შესაბამისად, საბავშვო რეპერტუარიც მქონდა.

— შენ და მარიამ აკობიას ხშირად გადარეკენ ერთმანეთს; როგორც ვიცი, ერთ სტუდიაში დადიხართ, არა?

— მე და მარიამი ერთ სტუდიაში დავდივართ. ის ვანო ჯავახიშვილმა თავის შოუში მიიწვია. მარიამმა იქ ბიონსეს ის სიმღერა იმღერა, რომელიც მე შევასრულე „ნიჭიერში“. ინტერნეტში, ფორუმებზე კი საზოგადოება რატომღაც, სულ ჩვენს მსგავსებაზე საუბრობს და ხშირად — ძალიან ცუდად... არადა, მე და მარიამი ვმეგობრობთ. როცა ჩვენზე ის კომენტარები წავიკითხე, ძალიან დავითრგუნე... თმის ღერიდან ფეხის ფრჩხილამდე ვყავდით ხალხს შეფასებულ-გაკრიტიკებული და ძალიან დამწყდა გული...

— მითხარი, „ჯეოსტარის“ კასტინგშიც ვმონაწილეობდიო...

— კი, მაშინ „ჯეოსტარის“ პირველი შესარჩევი კონკურსი მიმდინარეობდა — მამიდაჩემმა „ჯეოსელის“ გათამაშებაში ტელეფონი მოიგო; დუტამ სთხოვა, იქნებ მობრძანდეთ და შესარჩევ კონკურსზე

რაიმე სიმღერა შეგვისრულოთო! მამიდამ უთხრა: მე არა, მაგრამ ჩემი ძმისშვილი მღერის და თუ გნებავთ, მოგიყვანთო... მიმიწვიეს კასტინგზე. ჟიურიში ნიკა მემანიშვილი, ნანიკო ხაზარაძე, ნატო მეტონიძე და დუტა სხირტლაძე იყვნენ. როცა ვიმღერე, ძალიან მოეწონათ. შემდეგ დამიბარეს და დიპლომიც გადმომცეს. ისე კი დიდი სიამოვნებით მივიღებდი „ჯეოსტარში“ მონაწილეობას, ვნახოთ...

— ისე, პირველი აღიარება მაინც „ნიჭიერმა“ მოგიტანა. თუ ელოდი ამას?

— ამ წარმატებას ნამდვილად არ ველოდი! ამდენი წარუმატებლობის შემდეგ, იმედი უკვე გადაწურული მქონდა და მონაწილეობას აღარ ვაპირებდი. დედამ შეავსო განცხადება და ბოლო დღეს შეიტანა... მჯერა, რომ მეორე ტურში უკეთესად ვიმღერებ და საშუალება მექნება, ჩემი ნიჭი მაქსიმალურად გამოვავლინო. ძალიან გამიხარდა, როცა დავინახე, ჟიურის წევრებს თვალები როგორ გაუფართოვდათ; მაშინ მივხვდი, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ნიჭს ხედავენ და აფასებენ.

— ამ პროექტის შემდეგ, კიდევ გახვალ კონკურსზე?

— თუ იქნება რაიმე კონკურსი, აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას.

— როგორ ფიქრობ — რა არის საჭირო, რომ კარგ მომღერლად ჩამოყალიბდე?

— ჩვენს სტუდიაში ყველანი ძალიან მონდომებულები ვართ, ვცდილობთ, ბევრი ვისწავლოთ, მოვისმინოთ, გვინდა, რომ უკეთესად ვიმღეროთ და წარმატებული მომღერლები გავხდეთ.

— რეპერტუარს რის მიხედვით არჩევ?

— საერთოდ, რომელი სტილიც მიხდება, ვცდილობ, იმ ჟანრის სიმღერა ავარჩიო... ბიონსე ძალიან მიყვარს, ისე კი ჯენიფერ ჰადსონის სტილი უფრო მიხდება.

— მოდი, საყვარელ მომღერლებზეც ვისაუბროთ...

— ძალიან მიყვარს სელინ დიონი, აგრეთვე — არეტა ფრანკლინი, ბიონსე, უიტნი ჰიუსტონი, ის მომღერლები, რომელთაც ხმის ფართო დიაპაზონი აქვთ.

— შენსავით, ხომ?..

— (*იღიმის*) უფალმა ხმით დამაჯილდოვა. ისე, ჩემი ხმა დროთა განმავლობაში, თანდათან დაიხვეწა... მას შემდეგ კი, რაც სიმღერის საკუთარი სტილი ავირჩიე, ჩემი ხმა უფრო გამოჩნდა (*იღიმის*).

— სამომავლოდ რას აპირებ?

— ჯერ „ნიჭიერის“ მეორე ტურია წინ, ვეცდები, კარგად ვიმღერო. ისე კი ვაპირებ, მომღერლობას პროფესიონალურ დონეზე დავეუფლო. ადრე ვამბობდი, ჟურნალისტობა მინდა-მეთქი, მაგრამ ახლა მხოლოდ მომღერლობაზე ვფიქრობ (*იცინის*). მინდა, ხალხისთვის საყვარელი მომღერალი გავხდე, აი, ისეთი, როგორიც, მაგალითად, ბიონსეა (*იღიმის*). დიდი სიამოვნებით ვიმღერებდი ჰოლივუდშიც. ■

წარმატება

საფეხურები, რომლებიც ელენე გედევანიშვილმა ვანკუვერის ოლიმპიადამდე „აირბინა“ და სარისკო ნაბიჯი, რომელიც ოჯახმა გადადგა

„რთული და ძნელი გზის შემდეგ ელენე თავს კარგად გრძნობს, მუშაობს და თავს არ ზოგავს, რომ წარმატებას მიაღწიოს“, — მითხრა ოლიმპიადის არენაზე შვილის გამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე, უკვე სახელოვანი სპორტსმენი გოგონას — ელენე გედევანიშვილის დედამ ქალბატონმა მაკამ, როდესაც მას აშშ-ში ტელეფონით დავუკავშირდი. როგორც ცნობილია, ელენემ წლეულს, ქართული სპორტის ისტორიაში პირველმა მოიპოვა ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი, ამასთან, ე.წ. გრძელი პროგრამის შედეგით, კონტინენტზე მეორეც კი გახლდათ.

ელენეს ასპარეზობა დამთავრებული არ ექნება, როცა ჩვენი ჟურნალის ეს ნომერი გამოვა, ამიტომ ამჯერად მხოლოდ იმედს გამოვთქვამთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე ნაჩვენები ისტორიული შედეგის დარად, ელენე ოლიმპიურ არენაზეც წარმატებით გამოვა და კიდევ ერთხელ გაახარებს ქართველ გულშემატკივრებს. მანამდე კი თვალი გადავავლოთ იმ გზას, რომელიც მოციგურავემ ვანკუვერამდე გამოიარა. ვინაიდან ელენეს განსაკუთრებულად დატვირთული დღის რეჟიმი აქვს, ვრცელი საუბრისთვის დედამისი — ქალბატონი მაკა დავითანხმე.

ქეთი მიქანაძე

— ქალბატონო მაკა, თავდაპირველად, იქნებ მოკლედ გაიხსენოთ — როგორ აღმოაჩინეთ ელენეს ნიჭი და როდიდან დაიწყეთ თქვენ და ელენემ სპორტის ამ სახეობაზე სერიოზულად ფიქრი?

— სულ პატარა — ორწლი-ნახევრის ელენე ფიგურულ სრიალზე მივიყვანეთ. ცელქი და მოუსვენარი ბავშვი იყო, არავინ იცოდა, რა მოგვეხერხებინა მისი უშრეტი ენერგიისთვის, — ხან კარადის თავზე ამძვრალს ვპოულობდით, ხანაც — საწოლის ქვეშ. სპორტულ წრეზე შევიყვანეთ და მის ენერგიას კონკრეტული მიმართულება მიეცა. თავიდანვე ძალიან მოსწონდა ყინულზე სრიალი... ჩვენს ქვეყანაში მძიმე პერიოდი იდგა; არც შუქი იყო და შესაბამისად, არც ყინული. ერთხანს ელენე ტანვარჯიშზე დაგვყავდა. მერე კი კვლავ ციგურებს დაუბრუნდა. 6 წლის იყო, როცა ქალბატონმა თამრიკო ანჯაფარიძემ თავის ჯგუფში აიყვანა. მთელი დღეები ვარჯიშობდა, ხტუნავდა და დადიოდა აკრობატიკაზე... 7 წლის ასაკში საქართველოს ჩემპონატზე გამოვიდა და მესამე ადგილი დაიკავა, ერთ წელიწადში — მეორე, ხოლო მომდევნო წელს საქართველოს ჩემპიონი გახდა. პედაგოგი გვირჩევდა, ელენე მოსკოვში წაგვეყვანა, ამის გამო ის რუსულ სკოლაში შევიყვანეთ. 9 წლის ელენე და მე მოსკოვში გავემგზავრეთ.

— რთული იყო მოსკოვში თავის დამკვიდრება?

— ამაში ბატონი ირაკლი ჯაფარიძე დაგვეხმარა. ელენე იმ სკოლაში შევიდა, სადაც მაშინდელი მსოფლიოს ჩემპიონი ვარჯიშობდა. ქართველმა მოციგურავემ არ იცოდა ტრიალი, არც დიდ, სტანდარტულ ყინულის მოედანზე ვარჯიშის გამოცდილება ჰქონდა; ერთადერთი, რითიც სხვების გაოცება შეეძლო, იყო მისი „სავიზიტო ბარათი“ — ნახტომი: მაშინ ყველა, ე.წ.

ორმაგ ნახტომს აკეთებდა, ელენე კი — ორ-ნახევარს. ბევრი ნიჭიერი ბავშვი ვარჯიშობდა ელენესთან ერთად, კარგადაც სრიალებდნენ, მაგრამ მათ ნახტომების კეთება უჭირდათ. ნახტომი ფიგურულ სრიალში ყველაზე რთული ილეთია...

— ვინ იყო რუსეთში ელენეს პირველი მწვრთნელი?

— პირველი, მარინა სელიცკაია იყო, რომელთანაც ირაკლი ჯაფარიძემ მიგვიყვანა. მარინას ჯგუფში სულ 10 მოსწავლე ჰყავდა და თავიდან ელენე მათ შორის ბოლო ადგილზე იყო; რამდენიმე თვეში მოწინავე პოზიცია დაიკავა, ერთ წელიწადში კი პირველ ადგილზეც გადაინაცვლა. ჩასვლიდან ერთ წელიწადში, ოლიმპიური რეზერვის საციგურაო სკოლების შეჯიბრება გაიმართა. მახსოვს, ნერვიულობისგან მუცლის ტკივილი დაეწყო, მაგრამ ყინულზე გასვლისთანავე ძალ-ღონე მოიკრიბა და პირველი ადგილი დაიკავა. ყველა გაოცდა. ამ შედეგმა საბოლოოდ დამარწმუნა იმაში, რომ გზა, რომელიც ელენეს უნდა გაევლო, ძალზე რთული იქნებოდა. ისიც ნათელი იყო, რომ ფინანსური პრობლემების წინაშე დაგვდგებოდით, რადგან ჩვენ არავინ გვეხმარებოდა. ამას ემატებოდა ის, რომ თბილისში დარჩენილ ელენეს ძმას დიტოს, რომელიც დაზე ორი წლით უმცროსია, ძალიან უჭირდა უჩვენობა; ელენეს, თავისთავად, ძალიან ენატრებოდნენ მამა, ბებია და აქ დარჩენილი ყველა ძვირფასი ადამიანი. გადაწყდა, რომ ოჯახი აუცილებლად უნდა გამთლიანებულიყო და მამა დიტოსთან ერთად, მოსკოვში ჩამოვიდა. დიტოც სრიალებდა და თავდაპირველად, მოსკოვში ისიც ყინულზე დადგა. შემდეგ უკვე თხილამურებს მიჰყო ხელი.

— მოსკოვში პირველ სერიოზულ წარმატებად რას მიიჩნევთ?

— 11 წლის იყო, მოსკოვის ჩემპიონატზე რომ იასპარეზა. შედეგი არცთუ ისე სახარბიელო იყო — სამწუხაროდ, ათეულშიც ვერ მოხვდა. მაგრამ ხელი არ ჩაუქნევია, პირიქით, უფრო მეტი მონდომებით განაგრძობდა ვარჯიშს. და მომდევნო წელს, მოსკოვის ჩემპიონატზე მეორედ გასულმა, პირველი ადგილი დაიკავა. სიხარულით მეცხრე ცაზე იყო, მაგრამ არც ის ავიწყდებოდა, რომ ისევ ბევრი ვარჯიში და დიდი შრომა მართებდა.

ქართველი გოგონას მონაცემებით წარსულში სახელგანთქმული მოციგურავე და ამჟამად მწვრთნელი — ელენა ვოდორეზოვა მოიხიბლა და გადაწყდა, ელენე მასთან გააგრძელებდა ვარჯიშს. ყველა ულოცავდა, რადგან ვოდორეზოვასთან მოხვედრა ძალიან ძნელი იყო. უმაღლესი რანგის მწვრთნელი ძალიან მკაცრი აღმოჩნდა...

რუსეთის ჩემპიონატზე გასულმა ელენე გედევანიშვილმა საპრიზო — მესამე ადგილი დაიკავა, რაც საერთაშორისო შეჯიბრებებისკენ გზას უხსნიდა. უკვე იმ დროს ქალბატონ მაკას ეუბნებოდნენ, — სისულელეა საქართველოს სახელით გამოსვლა და ასპარეზობაო... (საერთოდ, საერთაშორისო შეჯიბრებებზე გასვლის უფლება რუსეთის 6 სპორტსმენს აქვს, ელენე გედევანიშვილი კი ამ დროისთვის უკვე სამეულში შედიოდა.) ლაპარაკობდნენ იმაზეც, რომ საქართველოს სახელით გასულს, მაღალ ქულებს არ დაუწერდნენ... მაგრამ ელენე მხოლოდ თავისი ქვეყნის სახელით ასპარეზობდა. და მიუხედავად პესიმისტური პროგნოზებისა, რამდენიმე შეჯიბრებაზე საუკეთესო ექვსეულში მოხვდა, იუნიორთა მსოფ-

ევროპის ჩემპიონატის კვარცხლბეკზე

ევროპის ჩემპიონატზე ქართული სპორტის ამ სახეობის ისტორიაში პირველი მედალი მოიპოვა – მესამე ადგილი დაიკავა

ლიოს ჩემპიონატზე კი 13 წლის ელენემ მეთორმეტე ადგილი დაიკავა, რაც ძალიან კარგი შედეგი იყო, ხოლო მომდევნო წელს — მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა.

— იმის გამო, რომ ელენე ქართველია, რაიმე უსამართლობას აწყდებოდით?

— ერთ-ერთ ტურნირზე ელენემ მეხუთე ადგილი დაიკავა, ხოლო იმ გოგონამ, ვისზეც ვოდორეზოვას შეგირდებს შორის განსაკუთრებით დიდ იმედებს ამყარებდნენ, — მეთერთმეტე... ელენე შედეგით კმაყოფილი იყო, თუმცა ამას ვერ ვიტყვით სხვებზე. 16 წლის ელენე ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებოდა. შეჯიბრება იანვარში იგეგმებოდა, დეკემბერში ციგურები შეიცვალა და ახალმა ფეხები ატკინა, ყინულზე სისხლიც კი სდიოდა. ამას მწვრთნელი არაფრად აგდებდა და ეუბნებოდა, რომ არ იყო მზად ევროპის ჩემპიონატისთვის; უმტკიცებდა, — ასეთი მასშტაბის შეჯიბრებაში პირველად მონაწილეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და თუ 25-ე, 26-ე ადგილას გავიდოდა, უკეთესი შედეგის მიღწევას ვეღარასდროს მოახერხებდა. ისიც უთხრა, რომ მასთან ერთად არ გაემგზავრებოდა... ელენე ევროპის ჩემპიონატზე მარტო, სხვა მწვრთნელის — ტატიანა ტარასოვას იმედით გაემგზავრა, რომელსაც გოგონასთვის ყურადღების მიქცევა სთხოვეს. არადა, ჩემპიონატზე თითოეულ სპორტსმენს 5 ადამიანი მაინც ახლდა!.. მაინც წარმატებით იასპარეზა. 3 „სამიანი“ ნახტომით ევროპის ჩემპიონატზე მის გარდა, არავინ გამოსულა. ქულების გასაგებად რომ დაჯდა, მის გვერდით ტარასოვა აღმოჩნდა. ამით ელენეს იმიჯიც გაიზარდა. მეხუთე ადგილზე გავიდა — 16 წლის ელენესთვის ეს პირველი დიდი წარმატება იყო.

— მერე წარმატებები ფაქტობრივად, ერთიმეორეს მიჰყვა...

— დიახ, თავიდან მართლაც ასე იყო. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ოლიმპიადაზე გასვლის დრო დადგა. მოკლე პროგრამაში მეექვსე იყო, საბოლოოდ კი მეათე ადგილი დაიკავა. ეს ყველაფერი დიდ სტიმულს აძლევდა, სურდა, მეტი ეშრომა, რომ უფრო სერიოზული წარმატებისთვის მიეღწია. ბედის ირონიით, სწორედ მაშინ, როდესაც თითქოს ყველაფერი აეწყო, საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა გაფუჭდა, დაიძაბა პოლიტიკური მდგომარეობა იმ ქვეყანაში, სადაც ვცხოვრობდით. ზაფხულში საქართველოში ჩამოსულებს ყველა გვეუბნებოდა, რომ რუსეთში დაბრუნება აღარ ღირდა, მაგრამ ჩვენ მალე ისევ მოსკოვში აღმოვჩნდით... ერთხელ, ვარჯიშიდან მომავალი, მე და ელენე მილიციამ გაგვაჩერა. ვუთხარით, რომ ვარჯიშიდან მოვდიოდით, ელენე დაღლილი იყო და ვთხოვეთ, შინ წასვლის ნება მოეცათ. მაგრამ სამართალდამცველებმა ბრძანება შეასრულეს და მილიციის განყოფილებაში წაიყვანეს. საქმე სასამართლოს გადაეცა. ქალბატონი ტარასოვა ცდილობდა ჩვენს დახმარებას, მაგრამ არაფერმა გაჭრა. სასამართლოს განაჩენით, მე 9 დღეში უნდა დამეტოვებინა რუსეთი, — არადა, ერთ კვირაში ელენე ავსტრიაში შეჯიბრებაზე უნდა წასულიყო... მწვრთნელები გვუბნებოდნენ, რომ ელენეს დაეტოვებდნენ, მიხედავდნენ, მაგრამ მისთვის ოჯახის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელი იყო. ერთად წავედით შეჯიბრებაზე ავსტრიაში. იქ ელენემ პირველი ადგილი დაიკავა — მიუხედავად იმ ნერვიულობისა, რომელიც მან გადაიტანა, ბრწყინვალედ გამოვიდა... წინ ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატები ელოდა, მას კი აღარც მწვრთნელი ჰყავდა და აღარც ქვეყანა ეგულებოდა, სადაც ვარჯიშს შეძლებდა... თბილისში ყველა ძალიან კარგად დახვდა, დახმარებას ჰპირდებოდნენ. მე და ირაკლი ჯაფარიძემ ბევრი ვიფიქრეთ იმაზე, თუ სად შეიძლებოდა გამგზავრებულიყო შეჯიბრებებისთვის მოსამზადებლად. ბოლოს, ამერიკა ვარჩიეთ.

— ამერიკაში როგორ მოეწყვეთ? ამხელა ქვეყანაში დამკვიდრება არ გაგიჭირდათ?

— შტატებში პირველი მწვრთნელი გალინა ზმიევსკაია იყო. ელენეს 4 თვე არ ევარჯიშა, ამიტომ ბევრი შრომა იყო საჭირო, რათა ჯერ ძველ ფორმას დაჰბრუნებოდა და შემდეგ წარმატებაზე ეფიქრა. მიუხედავად ამისა, ელენე ორ კვირაში ევროპის ჩემპიონატზე ტალინში გაემგზავრა. მოკლე პროგრამაში მესამე ადგილი დაიკავა, მაგრამ გრძელი პროგრამა კარგად ვერ შეასრულა და საბოლოოდ, მეშვიდე ადგილით დაბრუნდა ამერიკაში. მოგვიანებით, მსოფლიოს ჩემპიონატზე მეჩვიდმეტე ადგილზე გავიდა... ყველაფერი თითქოს უარესობისკენ მიდიოდა. ელენეზე გარდატეხის ასაკმაც ცუდად იმოქმედა, მწვრთნელსაც ვერ შეეწყო და მისი ცხოვრება ჯოჯოხეთს დაემსგავსა. ამ დროს ძალიან სარისკო ნაბიჯი გადავდგით: გადავწყვიტეთ, კონტრაქტის მიუხედავად, მწვრთნელი გამოგვეცვალა. მივედით ახალგაზრდა ნახტომის ტექნიკის სპეციალისტთან, მას სიმკაცრე აკლდა, ამიტომ დამხმარე სპეციალისტი მოვიწვიეთ. ცოტა ხანში ელენე ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრა... მედლის მიღებას ვარაუდობდა, მაგრამ 25-ე ადგილი დაიკავა. ეს მისთვის დიდი დარტყმა იყო. მას სჭირდებოდა არა მარტო კარგი მწვრთნელი, არამედ ფსიქოლოგიური მომზადებაც. მისი ბედი მთლიანად ახალ მწვრთნელს მიანდვეს. სულ მალე ელენე საუკეთესო ათეულში შევიდა, ოლიმპიადის კვალიფიკაცია გაიარა და ორი გრან-პრიც მიიღო.

— ახლა როგორ არის?

— რთული და ძნელი გზის შემდეგ ელენე თავს კარგად გრძნობს, კარგად ეწყობა მწვრთნელს, მუშაობს და თავს არ ზოგავს, რათა წარმატებას მიაღწიოს. ევროპის ჩემპიონატზე ქართული სპორტის ამ სახეობის ისტორიაში პირველი მედალი მოიპოვა. მესამე ადგილი დაიკავა და ეს მისთვის უდიდესი გამარჯვებაა. დღეს ამ წარმატებით გახარებულია, თუმცა მიღწეულით არ კმაყოფილდება და ნატრობს, რომ საქართველოს სახელით, პირველი ოქროს მედალი მოიპოვოს... ■

ეგვიპტით მოხიბლული „გვირილა“ და ქართული ცეკვა და სიმღერა — „მსოფლიოს მერვე საოცრება“

ახლახან, ნოდარ დუმბაძის სახელობის საბავშვო თეატრში, ბექა ავარსკის ქართული დოკუმენტური ფილმის — „ეგვიპტე — მოგზაურობა საოცრებათა ქვეყანაში“ პრემიერა შედგა. ფილმში საბავშვო ანსამბლების („გვირილა“, „ივერიელი,“ „ლომისი“) მოგზაურობაა ასახული: პატარები შობის დღესასწაულს და ძველით ახალ წელს ეგვიპტეში შეხვდნენ, კონცერტები გამართეს, ექსკურსიებზე იყვნენ და საქართველოში შთაბეჭდილებებით სავსე დაბრუნდნენ...

ეთო ყორღანაშვილი

ერნა ფიფურია, *ანსამბლ „გვირილას“ დამფუძნებელი:*

— ფილმის პრემიერას ესწრებოდნენ: გივი სიხარულიძე, ალეკო თეთრაშვილი, მამუკა ლომაშვილი, ეთერ კაკულია, დონარა კინწურაშვილი, ბექა ავარსკი თავის შემოქმედებით ჯგუფთან ერთად... „მოგზაურობას საოცრებათა ქვეყანაში“ დიდი მოწონება ხვდა.

— **როგორ მოხდა ქართული საბავშვო ანსამბლების ეგვიპტეში გამგზავრება?**

— ყველაფერი საახალწლო ფესტივალიდან დაიწყო: მოგეხსენებათ, 29 დეკემბერს, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში საბავშვო ღონისძიება ჩავატარეთ, რომელშიც ანსამბლები — „გვირილა“, „ივერიელი“ და „ლომისი“ მონაწილეობდნენ. ფესტივალის ერთ-ერთი მხარდამჭერი ტურისტული სააგენტო გახლდათ. მის წარმომადგენელს ჩვენი საახალწლო კონცერტი ძალიან მოეწონა და შემოგვთავაზა, რომ „საბავშვო დღეები“ საქართველოს ფარგლებს გარეთაც გაგვემართა.

— **ეგვიპტე როგორ შეარჩიეთ?**

— როგორც ვიცი, სააგენტოს ხელმძღვანელი — ანა დეკანოზიშვილი ეგვიპტელ დიზაინერს — მუჰამედ ალის შეეხმიანა. მუჰამედი კი ქართული კულტურით სერიოზულად დაინტერესდა... გამგზავრებამდე გაგვაფრთხილეს, — ეგვიპტეში საკმაოდ თბილი ამინდებია, საზაფხულო ტანისამოსი წამოიღეთო. მიუხედავად ამისა, ბოლო მომენტამდე არ მეგონა, რომ თბილი ქურქის გახდა მომიწევდა. შობის დღესასწაულს შარმ ალ შეიხში შევხვდით: ცხოვრებაში პირველად საახალწლო ნაძვის ხესთან შორტებსა და მაისურებში გამოწყობილები ვიდექით და ცივ სასმელებს მივირთმევდით. იქაური მოსახლეობის 80% მუსლიმანია, მაგრამ საშობაო სიმღერები მაინც ისმოდა... თბილისში დაბრუნებულს ისეთი ცივი ამინდი დაგვხვდა, რომ ეგვიპტეში გატარებული დღეები ტკბილი სიზმარივით გვახსენდება.

— **ქართველმა ბავშვებმა როგორი**

შთაბეჭდილება მოახდინეს ეგვიპტელ მაყურებლებზე?

— ეგვიპტელების მოთხოვნის თანახმად, 3 კონცერტი (45-წუთიანი) ჩავატარეთ. ბავშვებმა ინგლისური საშობაო სიმღერები, ქართული ცეკვები შეასრულეს. მაყურებლები გვთხოვდნენ, რომ კიდევ ერთი კონცერტი გაგვემართა, მაგრამ დროში ვერ ვეტეოდით — ექსკურსიებზე წასვლაც გვინდოდა (*იცინის*). სხვათა შორის, ეგვიპტელებმა აღნიშნეს, — თქვენი ცეკვებიდან იგრძნობა, რომ ამაყი ერი ხართო! კონცერტების წამყვანი ჩემი ქალიშვილი — ნინო ჩიხლაძე გახლდათ. ის ინგლისურ ენას კარგად ფლობს და მაყურებელს ქართული ცეკვების შექმნის ისტორიასაც უყვებოდა. მოდების ჩვენებაც გავმართეთ, რომელშიც სოხუმიდან დევნილი პატარა ნინო სანაიაც მონაწილეობდა.

შევშფოთდი, — ამ კაცმა ხომ არ მომიგაცა-მეთქი

— დარწმუნებული ვარ, ეგვიპტეში თქვენი მოგზაურობა თავგადასავლის გარეშე არ ჩაივლიდა, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენთან ერთად ბატონი გივი სიხარულიძეც იმყოფებოდა.

— თბილისში გამართული საახალწლო ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორი გივი სიხარულიძეც გახლდათ. ამიტომ ეგვიპტეში ჩვენთან ერთად წამოვიდა. გივი უამრავ ქვეყანაშია ნამყოფი, ეგვიპტეში კი უკვე მეთხუთმეტჯერ იყო, მაგრამ როგორც თავად აღნიშნა, ეს მოგზაურობა მისთვის დაუვიწყარია! მთელი 11 დღის განმავლობაში ცდილობდა, რომ იქაურებისთვის ქართული ენა ესწავლებინა. ერთ დღეს ერთ-ერთი ეგვიპტელი ისეთი სიტყვებით მომესალმა, რომ კინაღამ ცუდად გავხდი — თურმე ქართულად „მისალმება“ მისთვის გივის უსწავლებია (*იცინის*). მერე ის ეგვიპტელი გააფრთხილეს, — რასაც შენ ამბობ, ძალიან ცუდი სიტყვაა და ნუღარ იმეორებო. ეგვიპტეში იციან, რომ გივი სიხარულიძე ცნობილი პოეტი, მსახიობი, მოცეკვავეა. ერთ-ერთმა შეიხმა მას შეიხის სამოსი და ბეჭედიც აჩუქა. გივი ახლაც იმ ბეჭდით დადის. ძალიან საყვარელი და ხმაურიანი ადამიანია (*იცინის*).

— ქართველ ბავშვებს მოეწონათ ეგვიპტე?

— ძალიან, კაიროშიც გავემგზავრეთ, სინას მთაზე ვიყავით, წმინდა ეკატერინეს ტაძარშიც შევედით... შემდეგ დიდი ალფაიედის მამის პარფიუმერიულ ქარხანასაც ვესტუმრეთ, სადაც ლექცია წაგვიკითხეს — რომელი სუნამო როდის უნდა ვიპკუროთ... სხვათა შორის, გუშინ ერთ-ერთმა ბავშვმა დამირეკა და მკითხა: ეს სუნამო საქმიანი ვიზიტის დროს უნდა გამოვიყენოო (*იცინის*)? მიმაჩნია, რომ ბავშვები ბევრს უნდა მოგზაურობდნენ და სხვადასხვა კულტურას ეცნობოდნენ. ემიგრაციაში ყოფნისას, გრიგოლ რობაქიძე წერდა: საქართველოს თავისი მრავალსაუკუნოვანი კულტურა გადაარჩენსო. მისი სიტყვები აბსოლუტური სიმართლეა — ხელოვნება მთელ მსოფლიოს გადაარჩენს! ეგვიპტელებმა ქართული ცეკვა და სიმღერა მსოფლიოს მერვე საოცრებად აღიარეს (*იღიმის*). ისე, ეგვიპტეში ძალიან ეშმაკი ხალხი ცხოვრობს.

— ასე რატომ ფიქრობთ?

— მინდოდა, ბავშვებისთვის პატარ-პატარა სუვენირი მეყიდა. ერთ-ერთი ძველი ქალაქისკენ მიმასწავლეს, — „ტაქსისტს“ 2 დოლარს მისცემ და მიგიყვანსო. ისე გავემგზავრე, რომ არავისთვის მითქვამს. ქალაქის დათვალიერებას შევყევი და შემომაღამდა. ვიფიქრე, რომ სასტუმროში უპრობლემოდ დავბრუნდებოდი, მაგრამ რამდენი ტაქსიც გავაჩერე, ყველა „ტაქსისტმა“ ორის ნაცვლად, 20 დოლარი მომთხოვა — ღამეაო!

— იმედია, საკმარისი თანხა თან გქონდათ.

— კი, ბოლოს ერთ-ერთ ტაქსიში ჩავჯექი. ბევრი ვიარეთ, მაგრამ ტერიტორია არ მეცნო. შევშფოთდი, — ამ კაცმა ხომ არ მომიტაცა-მეთქი (*იცინის*)? შავკანიანი მამაკაცი იყო. კბილებიც კი „შავი“ ჰქონდა და შავი ქუდიც ეხურა. არც ინგლისური ესმოდა და არც — რუსული. მანქანა ჩემთვის უცხო ადგილას გააჩერა და ჩამომსვა. ვცდილობდი, ამეხსნა, რომ ის სასტუმრო არ იყო, რომელშიც მე ვცხოვრობდი, მაგრამ მასთან საუბარს აზრი არ ჰქონდა. შუაღამისას ქუჩაში მარტო აღმოვჩნდი. არადა, იქ ქალები ქუჩაში დღისითაც იშვიათად გამოდიან, თან — მუმიებივით შეფუთულები, მე კი მოკლე სარაფანი მეცვა, რის გამოც მამაკაცები „საინტერესოდ“ მიყურებდნენ (*იცინის*). ერთ-ერთ სასტუმროში შევედი, სადაც საბედნიეროდ, ინგლისური იცოდნენ. მათი დახმარებით, ჩვენს სასტუმროში მშვიდობით დავბრუნდი, თუმცა ახლობლები ძალიან ვანერვიულე.

— ქართველი პატარები ეგვიპტელ ბავშვებს არ შეხვდნენ?

— კი, ექსკურსიაზე გახლდით და რადგან სასტუმროდან შორს ვიყავით, ერთ-ერთი სოფლის რესტორანში შესვლა მოგვიხდა. რესტორნიდან გამოსულებს შავშავი ბავშვები „შემოგვესივნენ“, — გვშიაო... უკან შეებრუნდით, საკვები პარკში ჩავაწყვეთ და გავუტანეთ. ეგვიპტეში, დიდი სიმდიდრის გვერდით, უკიდურესი სიღატაკეა, რაც ძალიან სამწუხაროა...

— ეგვიპტეში ვიზიტი კიდევ ხომ არ იგეგმება?

— ჩვენი მეგობრობა გრძელდება: ამჯერად, ეგვიპტურ კულტურას საქართველოში ვიხილავთ — მარტის ბოლოს, მუჰამედ ალი თბილისში მოდების ჩვენებას გამართავს. მუჰამედ ალიმ აღნიშნა, — ცოლად ქართველი ქალი მინდა, ქართველი ქალები განსაკუთრებულად ეშხიანები არიანო. ასე რომ, ქართველო გოგონებო (*იცინის*)...

— არა მგონია, რომელიმე ქართველ გოგონას სურდეს, რომ მუჰამედ ალის ერთ-ერთი ცოლი გახდეს.

— ის იმედს მაინც არ კარგავს (*იცინის*). სხვათა შორის, ერთი ცოლი უკვე ჰყავს, მაგრამ პრობლემა არაა — მისთვის მრავალცოლიანობა მისაღებია.

— სამომავლოდ, ანსამბლ „გვირილას“ რა შემოქმედებითი გეგმები აქვს?

— ეგვიპტეში იტალიელი იმპრესარიოც იმყოფებოდა, რომელმაც აგვისტოში, ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად ანსამბლი „გვირილა“ იტალიაში მიიწვია. მიხარია, რომ შესაძლებლობა გვექნება, ჩვენი შემოქმედება სხვა ქვეყანასაც ვუჩვენოთ.

მთელი 11 დღის განმავლობაში ცდილობდა, რომ იქაურებისთვის ქართული ენა ესწავლებინა

„მიმაჩნია, რომ ყველა ეტაპზე გამიმართლა“

ჟურნალისტმა ნანა ინწკირველმა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ „რუსთავი 2“-დან თავდაცვის სამინისტროში გადაინაცვლა. იქ ოთხი წლის განმავლობაში საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. მუშაობა თავდაცვის სამ მინისტრთან მოუხდა... ნანას საუკეთესო პიარის სპეციალისტის ტიტულიც კი მიანიჭეს. თუმცა ეკრანი და ტელეკამერა მაინც ენატრებოდა და ამ ნოსტალგიას ფოტოაპარატით ივსებდა. მის არქივში ბევრი საინტერესო ფოტოა. ემოციურად დატვირთული კი აგვისტოს ომის დროს გადაღებული ფოტომასალაა... მოგვიანებით ნანა ისევ ტელევიზიაში დაბრუნდა და უკვე ერთი წელია, რაც „იმედის“ საინფორმაციო სამსახურს ხელმძღვანელობს... ნანამ წარმატებას დაუღალავი შრომით მიაღწია. ამბობს, რომ კარიერის მიღწევაში ოჯახიც დაეხმარა... 18 წლის ასაკში გათხოვდა. ის 3 შვილის ბედნიერი დედაა. ნანამ და მისმა მეუღლემ — რომან ბაბილოძემ ჯვრისწერა საკუთარ ვერცხლის ქორწილს დაამთხვიეს და გასულ წელს, მამა დავითის ტაძარში სიყვარული ერთმანეთს კიდევ ერთხელ შეჰფიცეს...

ცნობილი ჟურნალისტის მიერ განვლილი გზა

თეა ხურცილავა

— ნანა, ჟურნალისტობა რატომ აირჩიეთ?

— ბავშვობაში პოლიციელობა მინდოდა. მაშინ გურიის პოლიციაში ერთი ქალი მუშაობდა, მისი ფორმაში დანახვა, ჩემთვის დღესასწაული იყო, თვალები მიბრწყინავდა. მოგვიანებით კი მივხვდი, რომ ჟურნალისტობა ჩემს ხასიათთან უფრო ახლოს იყო, რადგანაც ადამიანებთან ურთიერთობა ძალიან მიყვარს. ჩემს მშობლებს კი უნდოდათ, რომ სამედიცინოზე ჩამებარებინა და სახელოვანი ექიმი ვყოფილიყავი. მაგრამ ექიმობაზე კატეგორიული უარი ვთქვი, ამიტომ პირველ წელს რაიონიდან თბილისში ჩასაბარებლად რომ ჩამოვედი, პროტესტის ნიშნად, არც გამომყვნენ. დღეს კი დედა აღიარებს, რომ ჩემი არჩევანი სწორი იყო და შვილი პროფესიის არჩევაში არ უნდა შეზღუდო. ინსტიტუტი რომ დავამთავრე, მაშინ „იბერვიზიის“ ფილიალი — გურიის ტელევიზია გაიხსნა. ეს ის წლები იყო, როცა ჩვენში ძმათამკვლელი ომი გაჩაღდა... ასე რომ, ჟურნალისტობის დაწყებამ საინტერესო პერიოდში მომიწია. შემდეგ „ინტერნიუსმა“ კონკურსი რეგიონულ კორესპონდენტზე გამოაცხადა (პროგრამა „კვირა“ მზადდებოდა). გურიის რეგიონში ყურადღება ჩემზე შეაჩერეს. შემოთავაზება რადიო „თავისუფლებიდანაც“ მივიღე, მოგვიანებით კი — „რუსთავი 2“-დან, თუმცა გურიის ბიუროში 4 წელი ვიმუშავე. 1998 წელს თბილისში ჩამოვედი და ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში ჟურნალისტად განვაგრძე მუშაობა.



ყველაზე ცოტა ხანს დავით სიხარულიძესთან ვიმუშავე

— ყოველთვის ცხელ წერტილში გიწევდათ ყოფნა და ფათერაკიც ალბათ ბევრჯერ გქონიათ. ამას როგორ ეგუებოდა ოჯახი?

— ეს ჩემი პროფესია იყო და ვაკეთებდი იმ საქმეს, რაც მიყვარდა და უნდა მეკეთებინა. ოჯახისგან წინააღმდეგობა არასდროს მქონია, პირიქით, მხარდაჭერა და ხელშეწყობა მქონდა.

— რატომ არჩიეთ ექსტრემალურ თემებზე მუშაობა?

— რაც აქტუალური იყო, იმ თემებზე ვმუშაობდი, ეს ეხებოდა კრიმინალს, სამხედრო თემატიკას. როცა მუშაობა დავიწყე, საქართველოში რთული კრიმინოგენური სიტუაცია იყო.

— ქალისთვის ეს რთული არ იყო?

— როგორც ამბობენ, ჟურნალისტს

სქესი არა აქვს. ამ კუთხით, როგორც ქალს, არანაირი შემსუბუქება არ მქონია. სირთულე ყველა საქმეს ახლავს, მაგრამ რასაც ვაკეთებდი, იმდენად მომწონდა, სირთულეს არაფრად ვაგდებდი, არასდროს მიფიქრია, რომ არ გამომივიდოდა.

— იქნებ გაიხსენოთ ის სიუჟეტები, რომლებმაც პოპულარობა მოგიტანათ?

— ჟურნალისტს უნდა გახსოვდეს ის სიუჟეტები, რომლებმაც პოპულარობა მოგიტანა და რომლებმაც დაგიმკვიდრა სახელი. როცა სიუჟეტებს ვიხსენებ, თვალწინ მიდგას ჩემი ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარი — საქმე ოჯახურ ძალადობას ეხებოდა და მიმაჩნია, რომ ჟურნალისტური ეთიკის ნორმა იქ დავარღვიე. დღემდე ბოლომდე არ ვარ დარწმუნებული, რომ ინფორმაცია, რომელიც ეთერში გავუშვი, სწორი და ბოლომდე შესწავლილი იყო...

— დრო არ გეყოთ საქმის საფუძვლიანად შესასწავლად?

— თემაზე ვმუშაობდი, სამი სიუჟეტი მივუძღვენი, მაგრამ დღემდე მაინც უკმაყოფილების გრძნობა მაქვს. შვილი და ბებია მამას შვილის გაუპატიურებაში ადანაშაულებდნენ. თემა საინტერესო და ამაზრზენი იყო, მაგრამ იმ ფორმით, რა ფორმითაც საზოგადოებას მივაწოდე, ვფიქრობ, ბოლომდე მართალი არ ვიყავი. ყველა მხარე კი ჩავწერე, მაგრამ ვფიქრობ, შემეძლო მეტი გამეკეთებინა. მაშინ ღიად ვაჩვენეთ ბავშვის სახე, ესეც დარღვევა იყო... სიუჟეტი, რომელმაც პოპულარობა მომიტანა, ექსკლუზივი გახლდათ, რომელიც აკაკი ელიავას ამბოხს და გუბისწყალზე მოვლენებს ეხებოდა.

— მახსოვს, მართლაც ექსკლუზიური კადრები გქონდათ (თუნდაც ელიავას ლიკვიდაცია), სწორედ თქვენ მასალების წყალობით კი, საბოლოოდ აკაკი ელიავას რეაბილიტაცია მოხდა; იქნებ გაიხსენოთ, როგორ აღმოჩნდით ელიავასთან?

— მე და ჩემმა ოპერატორმა 12 კილომეტრი ფეხით ვირბინეთ. ნამდვილად გამიმართლა, იქ არც ერთ გადამღებ ჯგუფს არ უშვებდნენ. კონკრეტულ ადგილას, სადაც დაბანაკებულნი იყვნენ ამ-

ვერ ვიტყვი, რომ ირაკლისთან ურთიერთობა ძალიან მარტივი იყო

ბოხებულები, აკონტროლებდნენ. ვუთხარი: როგორ არ მიშვებთ, აკაკი მიბარებს, კარგად ვიცნობ და მასთან უნდა მივიდე-მეთქი. მაშინ სახეზე ვერ მცნობდნენ, მიიჩნიეს, რომ შეიძლებოდა, რეგიონულ ჟურნალისტს ურთიერთობა მასთან მართლა მქონოდა. ვიღაც კაცთან მიმიყვანეს, რომელიც გამორჩეული ჩაცმულობით დამამახსოვრდა: შავი ფორმა, თავზე ბენდენა, ზემოთ ბერეტი, ბერეტზე რაღაც სპეციალური ნიშანი. მკითხა: ვინ დაგიბარათო? კაკომ დამიბარა და მითხრა — ამ სიტუაციაში ჩემ გვერდით უნდა იყო, რომ ხალხს მართალი ინფორმაცია მივაწოდოთ-მეთქი. ტანკზე ჯდომა შეგიძლიაო? — კი-მეთქი, — ვუპასუხე. გაირკვა, რომ აკაკი ელიავას წინ ვიდექი; მას ველაპარაკებოდი, მაგრამ არ ვიცნობდი. ამ ფაქტზე მათ ბევრი იხალისეს. ისე უტიფრად ვიტყუებოდი, ეს მართლა იტყვის სიმართლესო და წამიყვანეს. ასე აღმოვჩნდი მის გვერდით ერთადერთი ჟურნალისტი ოპერატორთან ერთად.

— ელიავას და მისი თანამებრძოლების ლიკვიდაციის თვითმხილველი ხართ, როგორ ფიქრობთ, მაშინ ხელისუფლებამ შეცდომა დაუშვა?

— აკაკი ელიავას განადგურების ის ფორმა, მიმაჩნია, რომ შეცდომა იყო და გადაჭარბებულიც. ძალის გადამეტებას ნამდვილად ჰქონდა ადგილი. სასამართლო პროცესზე ერთადერთი მოწმე ჩვენი გადამღები ჯგუფი იყო, ჩვენი მასალებით კი აკაკი ელიავას და მისი თანამებრძოლების რეაბილიტაცია მოხდა...

— იმ პერიოდში არანაკლებ სახიფათო იყო პანკისის ხეობა, საიდანაც ინფორმაციის გამოტანას უპრობლემოდ ახერხებდით, გაიხსენეთ რომელიმე საინტერესო ეპიზოდი.

— პანკისის ცნობილი მოვლენების დროს მე და ჩემმა ოპერატორმა, გიორგი შეწირულმა პანკისში გადასვლა მდინარით მოვახერხეთ. იქ ჩეჩენ მებრძოლებთან საერთო ენის გამონახვაც შევძელით. ყველაფერს შინაგანი ჯარი აკონტროლებდა, ამის მიუხედავად, ჩეჩნებმა ჩუმად გადაგვიყვანეს და პანკისის ხეობაში, ხალაწანში, აღმოვჩნდით. ჰიდროელექტროსადგურ ხადორჰესზე მაშინ დივერსიის მცდელობა რამდენჯერმე იყო, დივერსიის ადგილის გაშუქება და პატარა გამოძიების ჩატარება გვინდოდა. ბუნებრივია, ჩეჩნებს ფულს ვუხდიდით და პატრულირებას გვიწევდნენ. გილაევის რაზმის წევრთა ბანაკში თითქმის ორი კვირა დავყავით, სადაც ორ შვილთან და ქმართან ერთად, მხოლოდ ერთი ფეხმძიმე ქალი ცხოვრობდა, დანარჩენი ჩეჩენი მებრძოლები იყვნენ. მე და ჩემი ოპერატორიც იქ ვცხოვრობდით, სტუმრები მიგვიღეს, მაგრამ მწარე ვაჰაბიტები იყვნენ და როცა ოთახში შევდიოდი, ჯგუფის ნახევარი გარბოდა, ნახევარი კი რჩებოდა. ქალი, რომელიც მასპინძლობას გვიწევდა, ტრადიციის შესაბამისად მოქმედებდა. 20 კაცის, დამატებით ჩემი ოპერატორის ფეხსაცმელს მათი დაძინების შემდეგ წმენდდა. დილით ყველას ფეხსაცმელი გაკრიალებული ხვდებოდა, მარტო ჩემი იყო გასაწმენდი. ყოველთვის გადაღება არ მქონდა და იმ ქალთან მიწევდა ურთიერთობა, მინდოდა რაღაცით დავხმარებოდი. წარმოიდგინეთ, ქალი შეშას მოათრევდა, სადილს ამზადებდა, წყალი მოჰქონდა, ღამით ამდენი კაცის ტანსაცმელს აწესრიგებდა, ეს კაცები კი ისხდნენ და ნარდს აგორებდნენ, ჩაის სვამდნენ ან ვარჯიშობდნენ, ქალი კი სულ შრომაში იყო. ერთ დღესაც დავინახე, რომ შეშას ძლივს მოათრევდა და სიტყვით გამოვედი, არ გრცხვენიათ, ამდენი კაცი ჩაის სვამთ და ფეხმძიმე შეშას რომ მოათრევს, წყლის მოტანასა და შეშის დაჩეხაში მაინც მიეხმარეთ, რა უბედურებაა, დღე-დღეზე უნდა იშობიაროს-მეთქი. ყველა მამაკაცი გაჩუმდა, ქალმა სახეზე ხელი აიფარა და გაიქცა. მივხვდი, რაღაც მიუტევებელი შეცდომა ჩავიდინე, მაგრამ ვერ მივხვდი, რა. საღამოს ერთმა შედარებით პროგრესულად მოაზროვნე ჩეჩენმა დიდი ლექცია წამიკითხა და მითხრა, რომ მამაკაცებს შეურაცხყოფა მივაყენე და ქალისგან მსგავსი შეურაცხყოფის მიყენებას ვერ აიტანდნენ. ქალი იმისთვისაა, რომ კაცს ემსახუროსო. იმ საბედისწერო შეცდომის გამო, მეორე დღეს იქაურობა დამატოვებინეს, ჩემს გაცილებაზეც უარი თქვეს, ჩამსვეს მანქანაში და გამოგვიშვეს.

— როგორ ფიქრობთ, რა არის მთავარი იმისთვის, რომ ჟურნალისტმა წარმატებას მიაღწიოს?

— საკუთარი თავის რწმენა, მონდომება და შრომისმოყვარეობა. ცოტა იღბალიც უნდა გქონდეს და გიმართლებდეს. საჭირო დროს საჭირო ადგილას უნდა აღმოჩნდე და ყველაფერი გამოვა.

— აქტიური ჟურნალისტიკის შემდეგ თავდაცვის სამინისტროში გადახვედით. სამ მინისტრთან მოგიწიათ მუშაობამ... პირველი ირაკლი ოქრუაშვილი იყო.

— ვერ ვიტყვი, რომ ირაკლისთან ურთიერთობა ძალიან მარტივი იყო, ერთად ორ წელიწადზე მეტი ვიმუშავეთ. მანამდეც ვიცნობდი, ისევე, როგორც „ვარდების რევოლუციის“ ყველა აქტივისტს. როგორც რესპონდენტი, უფრო კარგი და თბილი იყო, ვიდრე ხელმძღვანელი. ძალიან მკაცრი ხელმძღვანელი გახლდათ. როდესაც ცოტა ხმამაღლა მოუვიდოდა თქმა, სიცილით ვხვდებოდი; თვითონ თუ გაიბუტებოდა, მე არასდროს ვიყავი გაბუტული. ისე, შინაგანად სულ სხვანაირი იყო, ვიდრე გარედან ჩანდა. თუ მას დაუმტკიცებდი, რომ ასე უკეთესია, აუცილებლად მოგყვებოდა. ყოველთვის იცოდა აზრის კითხვა. ქართულ ჯარში მაშინ ბევრი საქმე გაკეთდა. რთული, დაძაბული რეჟიმით მიწევდა მუშაობა... ისე, სამივე მინისტრთან მუშაობა საინტერესო იყო და თითოეულთან კარგი ურთიერთობა მქონდა. ყველაზე დიდხანს დავით კეზერაშვილთან ვიმუშავე. ყველაზე ცოტა ხანს — დავით სიხარულიძესთან.

— რა შეიცვალა თქვენი მოსვლის შემდეგ ტელეკომპანია „იმედში“?

— ბევრი რამ... ბევრი სირთულე გადაიტანა ამ ტელევიზიამ, მაგრამ დღეს საინფორმაციო სამსახური საუკეთესო გუნდადაა ჩამოყალიბებული. მე ამ გუნდთან ერთად მუშაობა მომწონს.

— თქვენი გავლილი გზით კმაყოფილი ხართ?

— კმაყოფილი ვარ და მიმაჩნია, რომ ყველა ეტაპზე გამიმართლა... დროის დეფიციტის გამო ბევრი ახლობელი და მეგობარი უკმაყოფილოა, რადგან ვერ ვნახულობ. მინდა, ყველას ვუთხრა, რომ არავინ დამვიწყებია და ყველა მიყვარს. კარიერას ნამდვილად არ შევუცვლივარ... ■

ყველაზე დიდხანს დავით კეზერაშვილთან ვიმუშავე

„ცალად სიარულს არა უჭირს, ცალად წოლა უფრო ძნელია“...

„ნატოს“ გენერალური მდივნისა“ და უდიპლომო ფსიქოთერაპევტის პორტრეტი

„დაბალი, უხვი, ოპტიმისტი, ცოტა ფიცხიც, ზოგჯერ გულჩვილიც“, — ასე ახასიათებს საკუთარ თავს ჟურნალისტი და „ნატოს გენერალური მდივანი“ საქართველოში, თენგიზ გოგოტიშვილი.

რაც ყველაზე მეტად მომწონს მასში, იუმორი და მეტყველების მისეული, ზოგჯერ მწარე და ზოგჯერ ცინიკური მანერაა. ამას რომ ენა არ ჰქონდესო... მასზეა ნათქვამი.

მე მისი ფსიქოპორტრეტის შედგენას შევეცადე...

ნინო მჭედლიშვილი

— **როცა ინტერვიუს იღებენ, თუ ცდილობ, იმაზე უკეთესი გამოჩნდე, ვიდრე სინამდვილეში ხარ?**

— ამას ყველა ცდილობს და ყოველთვის. არც მე ვარ გამონაკლისი. სარკეში რომ ვიყურები, მაშინაც ვარწმუნებ საკუთარ თავს, რომ ლამაზი, მაღალი და მხარბეჭიანი ვარ.

— **ახლაც აპირებ კეკლუცობას თუ გულწრფელი იქნები?**

— უკეთ გამოჩენის სურვილსა და კეკლუცობას შორის შუალედს არ მიტოვებ? რაც სათქმელია, ვიტყვი.

— **ცოტაოდენი შენს ბავშვობაზე მიამბე — რა გარემოში იზრდებოდი, გათამამებდნენ თუ არა მშობლები, გყავს თუ არა დედმამიშვილები, რას აშავებდი და რას აკეთებდი...**

— და-ძმა არ მყავს. ძალიან ვნანობ, მაგრამ ჩემი სინანული ამ საქმეს არ შველის. მარტო ვიზრდებოდი-მეთქი, ვერც ამას ვიტყვი, რაკი ბიძაჩემი წლობით უცხოეთში მუშაობდა და, როდესაც დეიდაჩემი იქ აკითხავდა, ჩემი დეიდაშვილები ჩვენთან იყვნენ. ეს, ალბათ, ბავშვობის ერთ-ერთი საუკეთესო მოგონებაა — კეკლუცობის გარეშე ვამბობ. ახლაც, დედმამიშვილების სადღეგრძელო მათზეა... მაშინაც ძალზე ბედნიერი ვიყავი, მე თუ ვრჩებოდი მათთან. დეიდას, ხომ იცი, დედის სუნი ასდის, დეიდაშვილს — და-ძმის. მძიმე ბავშვობა არ მქონია, ვერ დავიჩივლებ. თუმცა გარშემო ვიღაცას, შეიძლება, მეტი სათამაშო ან უკეთესი ბოტასი ჰქონდა, ეგ არაფერი. „შატალოებს“ თუ არ ჩავთვლით, დაშავებით, ბევრი არაფერი დამიშავებია. მაგრამ მაშინაც დედაჩემის დარიგებას ვასრულებდი — ყველა თუ გაიპარება, შენი ფეხი არ დავინახო სკოლაში, მეგობრებთან თავი არ მოიჭრაო. არც მომიჭრია. დასაკარგი არაფერი მქონდა, სამოსანს ნიშანს, აბა, ვინღა დამაკლებდა?!. ყველაზე მწარედ სკოლაში მამაჩემის დაბარება მახსოვს. მეორე კლასში ვიღაცამ გაკვეთილზე დაუსტვინა და მასწავლებელმა გადაწყვიტა, გოგოტიშვილი იყოო. არადა, იმ მასწავლებლის ხსოვნა შემიძლია დავიფიცო, სტვენა მხოლოდ მე-6 კლასში ვისწავლე. მამას არასდროს ვუცემივარ, მაგრამ ისეთ დღეში ჩააგდო ჩემმა დამრიგებელმა, რომ მთელი დღე მაბღავლა. კარგის კეთებაში რა იგულისხმება? რომ არაფერს ვაშავებდი, კარგი არ არის? ორ ენაზე დავდიოდი — ინგლისურსა და გერმანულზე. მუსიკაზე — 4 თვე და მერე გამოვედი. დედაჩემი დღემდე ვერ მპატიობს, მაგრამ წამით არ მინანია. სიგარეტი მესამე კლასში გავსინჯე და იმდენად არ მომეწონა, არც ახლა ვეწევი.

— **სამი სიტყვით დაახასიათე საკუთარი თავი?**

— დაბალი, უხვი, ოპტიმისტი...

— **რა არ მოგწონს შენს ხასიათში?**

— ყველაფერიც მომწონს! არა, ხანდახან ნამეტანი ფიცხი ვარ, თუმცა დროსთან ერთად, მგონი, ვერევი თავს. 20 წელიწადში, იმედია, უფრო მშვიდი ვიქნები, 50-ში — საბოლოოდ დამშვიდებული! კიდევ, არ მიყვარს ბოდიშის მოხდა — ამასაც შეძლებისდაგვარად ვებრძვი. ისე, ყველაზე კარგი წამალია, არაფერი დააშავო.

— **როგორ ადამიანებთან გიჭირს ურთიერთობა?**

— ყველანაირს ვეგუები.

— **რის გამო შეიძლება იტიროს თენგომ?**

— „პატარა უფლისწული“ წამაკითხე და ახლა გაჩვენებ, ბღავილი როგორ უნდა.

— **ბოლოს როდის იტირე?**

— ორი დღის წინ. „რუსთავი 2“-ზე „ვის უნდა 20.000“ გადიოდა და იმ ბავშვის საცოდაობას ვერ გავუძელი.

— **რისი ფობია გაქვს?**

— მგონი, არაფრის. რეგვენებს ვერ ვიტან, ხისთავიანებს. არ მიყვარს ქუჩაში ჩაცუცქული ხალხი, გარშემო რომ ყველაფერი მზესუმზირის ჩენჩოთი და საკუთარი ფურთხით აქვთ სავსე. არ მიყვარს, როდესაც სუფრასთან ერთი მეორეს აჩერებს, „თამადას მოუსმინე, ჩემი დედა... დედების სადღეგრძელოა!“

— **ლიფტში ვთქვათ (მანანა გამსახურდიასთან, ანგელა მერკელთან, შორენა ბეგაშვილთან — აირჩიე) ერთად გაიჭედე, რაზე ისაუბრებთ?**

— გმადლობთ, კიბით ავალ...

— **სამსახურისკენ მიიჩქარი და წინ, მანქანის სავალ ნაწილზე ნინა წკრიალაშვილი გადარბის, შენ თვალწინ ფეხსაცმელზე ქუსლი მოსტყდა; გვერდს აუვლი თუ დახმარებას შესთავაზებ?**

— სანამ მანქანიდან გადავალ, მაგას ბარე ასი დამხმარე გამოუჩნდება. წკრიალაშვილს რა უჭირს?!

— **საშუალება გეძლევა, შენ მიერ ჩადენილი ყველაზე ჯენტლმენური საქციელით მოიწონო მკითხველთან თავი, რას მოგვიყვები?**

— უფრო მეტად მინდა მოვიწონო თავი — მრავლისმეტყველად გავჩუმდები.

— **ამბობენ, მამაკაცები უფრო მეტს ჭორაობენ ქალებზე, ვიდრე ქალები კაცებზეო, ეთანხმები?**

— არა, არა. მაგრამ, პრინციპში, შეგვიძლია ხუთი სიტყვით დავახასიათოთ ნებისმიერი ქალი. თან, არ არის აუცილებელი, ეს სიტყვები ერთობლიობაში წინადადებას ქმნიდეს. მხოლოდ არსებითი სახელები და ზედსართავებია საკმარისი.

— **შენ თუ გილაპარაკია ძმაკაცებთან ქალზე, მაგალითად, „მშფოთვარე“ ღამის შთაბეჭდილებები თუ გაგიზიარებია?**

— მგონი არა. მართლა არ მახსენდება. ყოველ შემთხვევაში, ვინაობას ნამდვილად არ გავამხელდი.

— საზღვარგარეთ ერთ-ერთი სამსახურებრივი მივლინება გაქვს, სასტუმროს ნომერში, სადაც უნდა დაიძინო, სველი საწოლი დაგხვდა. როგორი იქნება შენი რეაქცია, რას გაიფიქრებ, რას იზამ?

— სტანდარტული რეაქცია — ვრეკავ „ლობიში“ კახური ლექსიკით... ეს მხოლოდ ზღაპრებშია, დათვი რომ ბღავის, — ვის ეძინა ჩემს ლოგინში და ვინ შეჭამა ჩემი ფაფაო?!

— საყიდლებზე სიარული გიყვარს?

— კატეგორიულად — არა, თუ საჭმელს არ შეეხება. მაგრამ, თუ მაინც მომიწია „შოპინგმა“, მტრისას — მაღაზიიდან ვერ გამომიყვან.

— მაღაზიის რომელ სექციასთან შეგიძლია, ინტერესით დიდხანს დგომა?

— მხოლოდ ინტერესის გამო — არც ერთთან. თუ რამე მინდა, ვყიდულობ. ერთადერთი, რაც საათობით გრძელდება, სხვისთვის საჩუქრის არჩევაა — თავადაც მეშლება ნერვები, იმდენად მიჭირს გადაწყვეტილების მიღება.

— როცა ძალიან დაწვრილებით გიყვებიან რაღაცას, აწყვეტინებ და ეუბნები, რომ გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, თუ მოთმინებით უსმენ ბოლომდე თანამოსაუბრეს?

— მსოფლიოში საუკეთესო მსმენელი ვარ! ნაძლევს ჩამოვდივარ — ეს ხელოვნებაა და მე მას სრულად ვფლობ. მიმიქარავს ნებისმიერი ფსიქოთერაპევტი!

— როგორ გგონია — თავად დამღლელი არა ხარ ამ მხრივ?

— იმედი მაქვს, რომ — არა.

— ბოლოს გულიანად როდის იცინე და რაზე?

— გულიანი ხარხარი, ცრემლებამდე და ისტერიკამდე, არ მახსოვს და არც მოგატყუებ. ისე კი ვცდილობ, შეძლებისდაგვარად მეტი ვიცინო — სიცოცხლე გავიხანგრძლივო!

— სირცხვილის დაფაზე ერთ-ერთი ქართველი პოლიტიკოსის გამოკვრა რომ დაგავალონ, ვის გაიმეტებდი?

— ჯერ მკითხე, ვის ჩამოხსნიდი-თქო?..

— რომელი უწყების მინისტრი იქნებოდა სიამოვნებით თენგო გოგოტიშვილი?

— ჩემს მტერს მინისტრობა! მართლა არ მინდა, მართლა. მზად ვარ, ნებისმიერი მინისტრის თანამდებობა დავიფიცო! თუ შურია, პარლამენტარებისა უნდა გშურდეს კაცს — აი, ასეთი ცხოვრება მინდა: წელიწადში 2 სესია, 3 ღილაკი, „კი, არა, თავს ვიკავებ“ და ქვეყნის მამა გქვია!

— ყველაზე ურჩ რესპონდენტზე მიამბე.

— შეიძლება, უარესებიც მყოლია, მაგრამ ბოლო ამბავს გეტყვი. 10 დღის წინ სტამბოლში, ნატოს თავდაცვის მინისტრების შეკრებაზე შემთხვევით, იტალიის მინისტრს გადავაწყდი. „ვატაკე“ მიკროფონი — ბატონო ჩემო, იქნებ ქართულ ტელევიზიას უთხრათ ორიოდე სიტყვა-მეთქი. აუ, გაიბადრა კაცი, — როგორ მიყვარს საქართველო, კალაძე, ფეხბურთი, აქეთური და იქითურიო... — მიუხედავად ამისა, 2008 წელს მაპ-ი მაინც არ მოგვეცით-მეთქი. — როგორ თუ არ მოგეცითო? — არ მოგიციათ, თორემ ხომ არ მოგაძახებდით ახლა-მეთქი. გადაულაპარაკა რაღაც თავის ამალას, იმათაც რაღაც იყაყანეს; მომიბრუნდა და სუფთა ინგლისურით აგრძელებს: I am very sorry, but we have no translator in our delegation and I do not speak English, I am really very sorry-ო. კი, როგორ არა, აგერ ახლა ლაპარაკობ გადასარევ ინგლისურზე, შენ და ინგლისურის არცოდნა ვის გაუგია-მეთქი?! — მაგრამ არ გაჭრა. წავიდა „ჩემი“ მინისტრი. იტალიის ჯარის ნახევარი დასდევდა და იმის გამჩერებელი ვიყავი?

— ქრთამი თუ შემოუთავაზებიათ შენთვის ამა თუ იმ რეპორტაჟის ან წერილისთვის?

— ქრთამი — არა. ან იქნებ შემოუთავაზებიათ რაღაც, მაგრამ რომ გაგეცინება, იმავე წუთს გეშვებიან.

— პოეზიასთან როგორ ხარ?

— არც თვითონ მწერს! მე ხომ არ ვწერ და არ ვწერ. საერთოდ, არ ვეკარები არაფერს, თუ 300 პროცენტით არ ვარ დარწმუნებული, რომ გამომივა. გემოვნება ტრადიციული მაქვს. გალაკტიონი, ვაჟა და მერე ყველა სხვა. წიგნში თუ ჩამახედებ ხანდახან, 30-40 ლექსს ზეპირადაც გეტყვი, და გამოთქმით.

— ფრაზა მითხარი ლექსიდან, რომელიც გიყვარს ან რომელიც ახლა გაგახსენდა.

— „სადღეგრძელო იყოს მისი, ვინც ოცნებით იწოდა...“

— როგორი მამა ხარ?

— მგონი, არაჩვეულებრივი! და ვფიქრობ, რომ ჩემს შვილსაც ასე ჰგონია!

— შენმა შვილმა თავისზე 20 წლით უფროსი ქალი რომ შეირთოს ცოლად, რას იზამ?

— რად უნდა?.. ჩემხელა თავი მეზარება, რძალი კი არა. მაგისი ყველაზე ნაკლებად მეშინია, გემოვნება უნაკლო აქვს. ისეთებს არჩევს, მეც მშურს. ახლა, მაგალითად, მზეთუნახავი უყვარს.

— თავად დიდხანს აპირებ ცალად სიარულს?

— პასუხის პირველი ვარიანტი: ცალად სიარული სჯობს ბოლოჟამ დანანებასა. ვარიანტი მეორე: ცალად სიარულს არა უჭირს, ცალად წოლა უფრო ძნელია. ვარიანტი მესამე: ვინ გითხრა, რომ ცალად დავდივარ? ვარიანტი მეოთხე: უკომენტაროდ.

— როგორია შეყვარებული თენგო გოგოტიშვილი?

— ანუ ისევ შემრჩა თუ არა მხიარული თვალები? აივნის ქვეშ ცეცხლმოკიდებული თასებით დგომისა და ასფალტზე გულების ხატვის დრო, მგონი, წარსულს ჩავაბარე.

— შეგიძლია, ქალის გულისთვის თავი გაწირო?

— თავგანწირვაში თუ სიკვდილი იგულისხმება, დიდად არ მეშინია. არც მეჩქარება და არც შიში მაქვს.

— როგორი იქნება თენგო, 80-ს რომ მიუკაკუნებს?

— თუ ძილის წინ საპირფარეშომდე დამოუკიდებლად ვერ მივაღწიე, გაღვიძებულმა კბილის პროთეზი ვერ ვიპოვე და საღამოსკენ ჩემთან ერთად ნახევარი ბოთლის ჩამცლელი ძმაკაცი აღარ შემრჩა, სად და რას მაკაკუნებინებ?! დიდი მადლობა, მაგრამ მირჩევნია, მანამდე მომიკაკუნოს მიქელ-გაბრიელმა!

■



ქართული „მედალიონი“ „სტუდენტურ ოსკარზე“ და ორგზის „რუსი ოკუპანტი“

წელს „სტუდენტური ოსკარის“ დაჯილდოების 36-ე ცერემონიალი გაიმართება და პირველი შემთხვევა იქნება, მასზე ქართულ ფილმს რომ წარადგენენ: ვაკო კირკიტაძის „მედალიონი“ რუსეთ-საქართველოს ომის თემაზეა გადაღებული (ფაბულა მიხეილ ჯავახიშვილის „მდევრიდანაა“ აღებული).

პირადი საქმეების გამო, ახალგაზრდა რეჟისორი — ვაკო კირკიტაძე ამჟამად ამერიკაში იმყოფება. მისი ფილმი — „მედალიონი“ სტუდენტ-კინემატოგრაფისტთა საგანმანათლებლო პროექტ — „ზაფხულის კინოსკოლის“ ფარგლებშია გადაღებული. ამიტომ ფილმზე სასაუბროდ ბატონ მერაბ გეგეჭკორს დავუკავშირდით, რომელიც „ზაფხულის კინოსკოლის“ პრესსამსახურის უფროსი გახლდათ:

გიორგი ცაავა

ეთო ყორღანაშვილი

— თავდაპირველად, ვაკო კირკიტაძეს სხვა სცენარი ჰქონდა, მაგრამ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, გადაწყვიტა, რომ ფილმი ომის თემაზე გადაეღო. თან, მოგეხსენებათ, ჩვენი პროექტის ლოზუნგი „მშვიდობით, იარაღო“ გახლდათ.

— შეგიძლიათ, ცოტა რამ ფილმის შინაარსზე გვიამბოთ?

— რუსი ოკუპანტები სოფელს შეესევიან და მაროდიორობენ. სოფელში ერთი ბავშვია დარჩენილი. მას დედის მედალიონს წაართმევენ. ბავშვი მაროდიორებს დაედევნება და იბრძოლებს მანამ, ვიდრე მედალიონს არ დაიბრუნებს.

— ახალგაზრდა რეჟისორზე — ვაკო კირკიტაძეზე რას მეტყვით?

— ვაკო თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტია. მას სხვა პატარ-პატარა ფილმებიც აქვს გადაღებული. ახლაც ახალ სცენარზე მუშაობს.

— „მედალიონი“ „სტუდენტურ ოსკარზე“ როგორ მოხვდა?

— თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი გაწევრებულია კინოსკოლების საერთაშორისო ასოციაციაში — „სილექთი“. ამ ასოციაციაში თითო სკოლა „სტუდენტურ ოსკარზე“ თითო ფილმს წარადგენს. როცა „სილექთიდან“ ერთ ფილმზე მივიღეთ მოთხოვნა, ჩვენ ვაკო კირკიტაძის „მედალიონი“ შევარჩიეთ.

— მას გამარჯვების მეტი შანსი აქვს?

— ხარისხიანი, საინტერესო ფილმია. ვნახოთ.

— „სტუდენტურ ოსკარს“ დღეს უკვე ცნობილი რომელიმე რეჟისორი თუ გამოუვლენია?

— კი, მაგალითად: სპაიკ ლი, მარკ კირკლანი...

— როგორც ვიცი, „მედალიონის“ პრემიერა თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზეც იგეგმებოდა. სხვა ფილმით რატომ შეცვალეს?

— თბილისის კინოფესტივალზე „ზაფხულის კინოსკოლის“ ყველა ფილმის ერთ ალმანახად ჩვენებას ვგეგმავდით, მაგრამ ტექნიკური პრობლემების გამო, ეს საქმე სამომავლოდ გადავდეთ.

გიორგი ცაავა, *მსახიობი:*

— მიუხედავად იმისა, რომ ვაკო ახალგაზრდაა, ის მშვენიერი რეჟისორი და ძალიან კარგი ადამიანია. მთელი შემოქმედებითი ჯგუფის მიმართ სიმკაცრეს იჩენდა: მაგალითად, გადაღების შემდეგ, ღვინის სმა აკრძალული გვქონდა. ვაკომ თავის საქმეს კარგად გაართვა თავი. „მედალიონზე“ მუშაობა ძალიან საინტერესო იყო. ამ ფილმის „სტუდენტურ ოსკარზე“ წარდგენაც უკვე დიდი მიღწევაა, იმედია, გავიმარჯვებთ.

— „მედალიონში“ ვის როლს ასრულებთ?

— რუსი ოკუპანტის. ოკუპანტები პატარა ბავშვს მედალიონს წაართმევენ, მაგრამ მის დასაბრუნებლად, ბავშვი ბოლომდე იბრძვის.

— ოკუპანტის როლის მორგება არ გაგიჭირდათ?

— მთლიანად იმ ადამიანად უნდა იქცე, ვის როლსაც ასრულებ. სხვა შემთხვევაში, შენს საქმეს კარგად ვერ გააკეთებ. 33 წლის ვარ. ჩემი სიცოცხლის განმავლობაში, საქართველოში იმდენი ომი იყო, რომ 2008 წლის აგვისტოს ჩემთვის რაღაც ახალი არ მომხდარა, სამწუხაროდ. ბუნებრივია, რთულია, როცა სხვა ქვეყნის სამხედრო ფორმა გაცვია და ოკუპანტის როლს ასრულებ, მაგრამ ჩემი პერსონაჟი ძალიან ბოროტი არაა — ფილმის ბოლოსკენ მასში ადამიანური გრძნობა იღვიძებს: თავდაპირველად ბავშვისთვის მედალიონის დაბრუნების სასტიკი წინააღმდეგია. მეორე ჯარისკაცს ეუბნება, — მედალიონი ოქროსია, გავყიდოთო!.. ბოლოს ხვდება, რომ მისი საქციელი სწორი არაა.

რაღე სერბეჯია

— გადაღებები დიდხანს გაგრძელდა?

— დაახლოებით ერთ კვირას. კახეთში, თოხლიაურში ვიყავით. ფილმში პარტნიორობას მსახიობი სანდო სარიშვილი მიწევს, ბავშვის როლს კი მოცეკვავე ბიჭუნა — ზუკა ჩაჩუა ასრულებს.

— როგორც ვიცი, რუსი ოკუპანტის როლი რენე ჰარლინის ფილმშიც — „ჯორჯია“ ითამაშეთ.

— დიახ, კასტინგი გავიარე და რეჟისორმა გადაწყვიტა, რომ რუსი მაიორის როლი უნდა შემესრულებინა.

— დატვირთული როლი გაქვთ?

— საკმაოდ. სერიოზულად ვიმუშავეთ. გადაღებები თითქმის 15 დღის განმავლობაში მქონდა: გორში ტანკებით შესვლა, სროლები, აფეთქებები... შოკში ვიყავი: არ მჯეროდა, რომ ამ პროექტში მიმიღეს და მამუშავეს.

— ფილმ „ჯორჯიაში“ პარტნიორობას ვინ გიწევთ?

— რადე სერბეჯია. ეს გახლავთ ჰოლივუდის საკმაოდ ხნიერი მსახიობი, რომელიც რუსი ეროვნების მამაკაცის როლს ძალიან ბევრ ფილმში თამაშობს.

— ენდი გარსიას თუ შეხვდით?

— კი. გადაღება რუსთაველზე რომ დაგეგმეს, დილიდანვე იქ ვიყავი და ველოდი, როდის გამოვიდოდა. ენდი გარსია პირადად ვნახე და გავესაუბრე, ჩავეხუტე... ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე ასეთი მაღალი დონის მსახიობის გვერდით დგომა და მისთვის ორი სიტყვის თქმა მომიწევდა. ენდი გარსიას ჩემი ემოციები გავუზიარე. ესიამოვნა და წარმატებები მისურვა.

— ჰოლივუდელები ჩვენს ქვეყანაზე, რუსეთ-საქართველოს ომზე რას ამბობდნენ?

— ისინი საქართველოს გულშემატკივრები არიან, სხვათა შორის, მოწვეული იყვნენ რუსი მსახიობებიც (ისინი ფილმში „კასკადიორები“ არიან). ჰოლივუდელების გარდა, რუსებიც ობიექტურები იყვნენ და ჩვენს ქვეყანას მხარს უჭერდნენ. ■

ჯაბა ქარსელაძე: „ინგასნაირი ქალი რომ შემიყვარდეს, რატომაც არა, რა მოხდა?!“



ინგლისი – ორი ცნობილი ქართველის შეხვედრის ადგილი

რამდენიმე დღეა, რაც მომღერალი, მომავალი ფინანსისტი და ბიზნესმენი ჯაბა ქარსელაძე ინგლისიდან ჩამოვიდა. მან არდადეგები ბრიტანეთში გაატარა. მართალია, მას თვითმფრინავის ტრაპთან არ დავხვედრივარ, მაგრამ არც არაფერი დამაკლდა. ჩამოსვლიდან მეორე დღესვე, აკლიმატიზაციის პერიოდში მყოფ მომღერალს დისკომფორტი შევუქმენი, ინტერვიუ ვთხოვე... თუ რას დაუთმო ჯაბამ ინგლისში ყოფნისას დრო, ამაზე თავად გიამბობთ. ამასთან, ინტერვიუზე მომღერლისთვის არაერთ მტკივნეულ საკითხზე საუბარსაც ვერ ავცდით...

ლალი ფაცია

ჯაბა:

— თვე-ნახევარი ლონდონში ვიყავი, ერთი კვირა კი — პარიზში...

— **რა იყო შენი იქ გამგზავრების მიზანი და მიზეზი?**

— ინგლისში 1-ელ იანვარს წავედი. გამგზავრების წინ ისეთ სადღესასწაულო-საქეიფო განწყობილებაზე ვიყავი, რომ კინაღამ თვითმფრინავზეც დამაგვიანდა, ძლივს მივასწარი. ასე რომ, ბედობას ჰაერში შევხვდი. კარგია, მოგზაურობასა და მგზავრობაზე ვგიჟდები და ამ წელიწადში ერთიცა და მეორეც დამებედა. მოკლედ, ინსტიტუტიდან, რომელშიც ვასწავლი, თვე-ნახევარი დასვენება, არდადეგები მქონდა. ამიტომ დრო საკუთარი თავის განვითარებას დავუთმე. ამ საქმეში ჩემმა მეორე სამსახურმაც („პოპულის“ ვგულისხმობ) შემიწყო ხელი. ამრიგად, ვიყავი ოქსფორდში და იმ სასწავლებელში, რომელიც სპეციალურად ბიზნესმენებისთვისაა განკუთვნილი; იქ გავიარე სასწავლო ინტენსიური კურსი და ავიღე სერტიფიკატი, რომელშიც წერია, რომ ინგლისურ ენაში ვაკმაყოფილებ საერთაშორისო სტანდარტების უმაღლეს დონეს, რომ შემიძლია, წავიკითხო ლექცია ინგლისურად და ვისწავლო კიდეც მსოფლიოს ნებისმიერ უნივერსიტეტში... იქ ლექცია დღეში 8 საათის განმავლობაში გვიტარდებოდა, მიმდინარეობდა, როგორც ვთქვი, ინტენსიური სწავლება, რაც ძალიან დამღლელი იყო. ბოლოს გამოცდაც ჩავაბარე, რის შედეგადაც აღნიშნული სერტიფიკატი გადმომცეს... რაც შეეხება ჩემი ინგლისში წასვლის სხვა მიზანს, ის გახლავთ, რომ მაგისტრატურის შემაჯამებელი ეტაპის გავლას ვაპირებ. ერთი გამოცდაღა დამრჩა ჩასაბარებელი.

— **ფინანსებში ხომ ხარ მაგისტრი?**

— კი, მაგრამ როგორც ლიდერსა და მენეჯერს, მინდა, მქონდეს ზოგადი მაგისტრანტობა; ამის კარგი პროგრამა კი მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებს აქვთ. ამიტომ წავალ ან საფრანგეთში, ან — ოქსფორდის უნივერსიტეტში, ან — ჰარვარდში. ვნახოთ. მოკლედ, მოსამზადებელი ეტაპი უკვე დავიწყე...

— **ინგლისში სულ სწავლით იყავი დაკავებული?**

— შაბათ-კვირას სწავლისგან თავისუფლები კი ვიყავით, მაგრამ სასწავლებელი გვაგზავნიდა ხან შოტლანდიაში, ხან თვითონ ინგლისის სხვადასხვა ქალაქში. მათი მიზანი იყო, რომ რაც შეიძლებოდა განსხვავებული აქცენტებისთვის შეგვეჩვია ყური. თან, გვაკვირდებოდნენ, ენა როგორ გვესმოდა. გვიშვებდნენ ისეთ ადგილებში, სადაც რთული იყო საუბარი და ენის ნიუანსების გაგება. ასე რომ, ინგლისში ყოფნისას გართობისთვის სულ სამჯერ მომეცა დრო და დისკოთეკაზე შესვლის საშუალებაც...

— **ჯაბა, ამდენი სწავლით არ დაიღალე?**

— ყველა მაგას მეუბნება. მამაჩემს კი უხარია, რომ ასეთი მონდომებული ვარ, მაგრამ მაინც ვეცოდები... ბევრ ენერგიას ვხარჯავ. მე კი ყველასთვის ასეთი პასუხი მაქვს: ვაკეთებ იმას, რაც მინდა, რომ გავაკეთო...

— **როგორ ფიქრობ — სად მიგიყვანს ამდენი სწავლა?**

— ყველა ლექტორი იმას მეუბნება, რომ დიდი მომავალი მაქვს. თუმცა რომ ვთქვა, რაიმე განსაკუთრებულზე ვოცნებობ-მეთქი, არ იქნება სიმართლე. მაგრამ მგონია, რომ ამ ყველაფერს ცუდი გზისკენ ნამდვილად, არ მივყავარ. ვიცი, რომ სწავლაში დახარჯული ძალა და ენერგია ცუდად არ მომიბრუნდება...

— **ისე, როგორ დაემთხვა, რომ სასწავლებლად ინგლისში იყავი და ამჟამად ინგლისშია სასწავლებლად წასული ინგა გრიგოლიაც — შენი სიმპათია... ეს ყველაფერი უბრალო დამთხვევაა?**

— ინგლისში რომ მივდიოდი, ამის შესახებ ოქტომბერში უკვე ვიცოდი, მაგრამ როგორც მახსოვს, უფრო გვიან შევიტყვე იმის შესახებ, რომ იქ ინგაც აპირებდა წასვლას. ეს უბრალოდ, ბედის ირონიაა და მეტი არაფერი (*იღიმება*)...

— **ინგლისში ყოფნისას თუ შეხვდი მას?**

— შევხვდი...

— **როგორ არის? ყველას ძალიან მოგვენატრა...**

— კარგად არის. სწავლობს და მასაც საოცრად დატვირთული გრაფიკი აქვს; მუდმივად რაღაც თემა აქვს დასაწერი. თავს რომ კარგად გრძნობს, ეს საერთოდაც ეტყობა და ხმაზეც. რაღაც, სხვანაირია — უფრო მშვიდი, გაწონასწორებული, ქალური, ნაზი, არააფორიაქებული... თბილისში უფრო დაძაბულია ხოლმე.

— **ნოსტალგია ხომ არ შეეპარა?**

— არა, რაღა დარჩა? — აპრილში ჩამოვა. 6 თვე არ არის იმხელა დრო, რომ...

— **ჯაბა, პირველად გადაცემა „პროფილში“ თქვი იმის შესახებ, რომ ინგა გრიგოლიას მიმართ სიმპათია გქონდა; ამაზე წინასწარ გქონდა ნაფიქრი თუ ყველაფერი სპონტანურად მოხდა? იმ დღის შემდეგ ჩვენში არ დარჩენილა გასართობი, იუმორისტული გადაცემა, სადაც „თქვენს სიყვარულზე“ არ ეხუმრათ...**

— წინასწარ არ მიფიქრია, რომ ამას ვიტყოდი. იქ საერთოდ, სხვა რაღაცები ვილაპარაკე — ჩემი პირადი თავგადასავლების შესახებ მოვყევი, რაც თავს გადამხდენია. მაგრამ ისინი გადაცემიდან რატომღაც ამოიჭრა და დარჩა ის, რაც ეთერში გავიდა...

— **კარგი, დავუბრუნდეთ ინგას. მოგვიყევი, როგორ ცხოვრობს ლონდონში ცნობილი ჟურნალისტი?**

— ინგა ძალიან „საყვარელ“ ბინაში ცხოვრობს, რომლითაც ძალიან კმაყოფილია. ბევრს შრომობს. ოქსფორდიდან ლონდონში სკაიპითაც ველაპარაკებოდი. მითხრა, რომ პროფესიონ-

ალური თვალსაზრისით, იქ ბევრი რამ შეიძინა, მეტად დაიხვეწა...

— ისე, ჯაბა, ინგამ რით შეგაყვარა თავი?

— გადაცემაში არ მითქვამს, ინგა მიყვარს-მეთქი; ვთქვი, — ინგას მსგავსი შრომისმოყვარე, ძლიერი, მებრძოლი, დამოუკიდებელი და გამტანი ქალები მომწონს-მეთქი. დიახ, ძალიან მომწონს აქტიური ქალები, რომლებიც ქმრებზე ჩამოკიდებულები არ არიან, აქვთ თავიანთი ცხოვრება და კარიერა... ამის შემდეგ ბევრმა მიიჩნია, რომ ინგაზე ვარ შეყვარებული და ცოლად მომყავს; ჩვენთან სახლშიც რეკავდნენ და დედაჩემს ულოცავდნენ... შემდეგ, რომ გაიგეს, ინგლისში წავედი, იფიქრეს, ჯაბა ინგას ხელის სათხოვნელად წავიდაო. ასეთ უაზრო ჭორებზე მეცინება.

— ისე, ბევრმა დაიჯერა და ბევრს ეჭვიც შეეპარა...

— ასეც რომ იყოს, ამაში რა არის ცუდი?! ასაკობრივი ბარიერი? ასაკობრივი ბარიერი წყვილებს შორის, საქართველოში, გინდაც, უცხოეთში, არ არსებობს? მერე რა?! ასაკია მთავარი თუ ურთიერთგაგება? ჩემსა და ინგაზე კი — რა სისულელეა?! ჩვენ შორის არაფერი ხდება. მაგრამ სიტყვაზე, მაგხელა და მასეთი ქალი რომ შემიყვარდეს, რატომაც არა?!

— მოკლედ, ინგას მსგავსი ქალბატონი ცხოვრებაში რომ შეგხვდეს, უარს არ იტყოდი, ხომ, მის ქმრობაზე?

— ასეთი გოგონა რომ შემხვდეს, პირდაპირ ცოლად მოვიყვანდი... ინგამაც თქვა ინტერვიუში: „არ შეიძლება, რომ ცოტათი პატარა ვიყო, ან ჯაბა იყოს ოდნავ უფროსი?..“ მერწმუნეთ, ნებისმიერ ქალს ესიამოვნება, როდესაც ეკრანზე გამოდის მამაკაცი და მას სიყვარულს უხსნის. ისე, ინგა ყოველთვის გრძნობდა, რომ მომწონდა...

— როდესაც ამ საკითხთან დაკავშირებით ამა თუ იმ შოუში ხუმრობა გესმოდა, რას განიცდიდი?

— როდესაც რაღაცაში დარწმუნებული ვარ, უკაცრავად და, ყოველთვის „მკიდია“, ვინ რას ამბობს. აქამდე ამ ბინძურმა შოუბიზნესმა და ჩემმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ მომიყვანა. ძალიან მიყვარს ჩემი ქალაქი, ჩემი ოჯახი, მეგობრები, მაგრამ რაც ინგლისიდან ჩამოვედი, მივხვდი, რომ თბილისში ძალიან შებოჭილი ვარ.

— ინგლისში მეტი თავისუფლება იყო?

— კი. იქ დისკოთეკაზე რომ შევდიოდი, არ მეშინოდა ფოტოაპარატის დაჩხაკუნების, იმისი, რომ ვიღაც ჩემზე რამეს იტყოდა ან ჩაცმულობის სტილს გამიკრიტიკებდა. იქ როგორი ჩაცმულიც დავდიოდი, თბილისში ისე რომ გავიარო, მეორე დღეს გადამივლიან. ისე არ გამიგოთ, რომ მართლაც ისე მეცვა, რომ ვინმეს ვარცხვენდი, მაგრამ შებოჭილი არ ვყოფილვარ...

— მაინც როგორ გეცვა?

— ცოტა სექსუალურად, დისკოთეკაზე გოგოებთან ვერთობოდი... ერთხელ ცხოვრობს ადამიანი და რატომ უნდა შეიზღუდოს თავი რამეში?.. ცხოვრება ხომ წამია! ამაში კიდევ ერთხელ დამარწმუნა იმ ავბედითმა და გულისამაჩუყებელმა შემთხვევამ, ოლიმპიადაზე ქართველი სპორტსმენი რომ დაიღუპა... წამებში გათავდა ადამიანი (სხვათა შორის, იქიდან „იმედის“ პირდაპირ ეთერში ჩავერთე და მის ოჯახსა და მთელ საქართველოს მივუსამძიმრე)... ასე რომ, ამ ცხოვრებაში ყველაფერი წარმავალია. არ გეგონოთ, პესიმიზმს ვქადაგებ, უბრალოდ მიეხვდი, რომ მომავალზეც უნდა ვიფიქროთ, მაგრამ დღევანდელი დღით ვიცხოვროთ. ამიტომ, ჩემზე რაც უნდა სიბინძურე, საშინელება თქვან, რეაქცია არასდროს მექნება, რადგანაც ვიცი, რომ ისე არ ვცხოვრობ, რომ ოჯახი შევარცხვინო და საკუთარ თავს ცუდი რამ შევამთხვიო. ძალიან მიყვარს ჩემი თავი... არავისი საქმეა, ვინ რას აკეთებს. შეუძლიათ, განმსაჯონ ჩემს პროფესიაში, მაგრამ — პირადი ცხოვრება?.. ის ხომ ჩემია!.. ჩემზე ამბობენ, ჯაბა ქარსელაძე მაგრად არ გვევასებაო. ახლა მე მკითხონ, ისინი, ვინც ამას ამბობენ, როგორ მევასებიან?!

— ნუთუ, არავის კრიტიკა არ გაგითვალისწინებია?

— თუ მართლა კრიტიკაა, ვითვალისწინებ, მაგრამ ჩემზე ძირითადად, ისეთ რაღაცებს წერენ ფორუმებზე, ინტერნეტში, რომ გაგიჟდებით. მაგალითად: „პროფილში“ შარფი რომ ეკეთა, ისეთს როგორ გავიკეთებო?! — ან, — ჯინსი რომ ეცვა, ის რა იყოო?!. და ასეთი სისულელეები. ვიმეორებ, ისეთი რამ არასდროს გამიკეთებია, რომ შემდეგ შემრცხვენოდა. უკან რომ ვიხედები, ჩემი განვლილი გზის არ მერიდება. თუმცა ბევრი შეცდომა ნამდვილად დამიშვია, არასწორი რამ გამიკეთებია, რაც ღვთის წინაშე მომინანიებია. ისე, ჩვენში, შურიანების გარდა, ბევრი კარგი ადამიანიც არის... მოკლედ, ჯობია, ყველამ თავისი ცხოვრებით იცხოვროს...

— ისე, გამიგონია, შენზე უთქვამთ, თავში აქვს ავარდნილიო...

ჩემი ბოლო ნამუშევარი ჯექსონის გარდაცვალების შემდეგ ჩაწერილი მისი სიმღერაა

— თავში კი არ მაქვს ავარდნილი. მე მაქვს საკუთარი თავდაცვის მექანიზმი. ადამიანი ქუჩაში რომ დამინახავს, შეიძლება, არ მოვეწონო, რადგანაც მოღიმარი სახით არ დავდივარ. ამით თავს ვიცავ... ირგვლივ იმდენი გარეწარია, ცოტა თუ არ დაიფასე თავი, შეიძლება, რაიმე შარს გადაეყარო. იმას არ ვამბობ, ამპარტავანი ვარ და ყველას ზემოდან ვუყურებ-მეთქი... მინდა, ყველას ვთხოვო — სანამ ადამიანს ახლოს არ გაიცნობენ, მანამდე ნუ გააქილიკებენ, არ შეიძლება. გადაცემა „სიმართლის დროში“, მე რომ ბინძური წარსული მქონოდა, არ მივიდოდი. იქ ისეთი კითხვები დამისვეს, რომ...

— კმაყოფილი ხარ იქ მონაწილეობით?

— კი. პრეტენზია არავის მიმართ არ გამაჩნია. ერთადერთი კითხვა იყო ორაზროვანი: თავი ანრი ჯოხაძეზე ნიჭიერად მიგაჩნია თუ არაო? ამ კითხვაზე ჩავიჭერი. — კი-მეთქი, — ვუპასუხე. ანრი უდავოდ, ნიჭიერი მომღერალია, მაგრამ ჩემს ცხოვრებასაც გადავხედე, ცოტა სხვა კუთხით შევხედე, რა გამიკეთებია, რას ვსაქმიანობ და პასუხი აქედან გამომდინარე გავეცი. ყველა კითხვაზე ბოლომდე გულწრფელი პასუხი გავეცი.

— საერთოდ, აზარტული ადამიანი ხარ?

— კი, მაგრამ, კაზინო და რაღაც თამაშები არ მხიბლავს. აზარტი, რაც ჩემს საქმეს უკავშირდება, მხოლოდ ამასთან დაკავშირებით მაქვს. „სიმართლის დროში“ იმიტომ მინდოდა გამოსვლა, რომ საზოგადოება დამერწმუნებინა მთელ რიგ საკითხებში, რის შესახებაც ჩემ მიმართ კითხვები ყოველთვის ჰქონდათ. ამიტომ, ეს გადაცემა ჩემთვის ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა. არადა, ყველას ეგონა, რომ მე იქ გამაცამტვერებდნენ; მაგრამ დეტექტორის მოტყუება ძნელია. ასე რომ, სუფთა წარსული მაქვს...

— მოდი, ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ შენ მღერი კიდეც. ამ სფეროში რას აკეთებ? რაიმე სიახლე თუ გაქვს?

— ჩემი ბოლო ნამუშევარი, ჯექსონის გარდაცვალების შემდეგ ჩაწერილი მისი სიმღერაა. ამ სიმღერის შესრულებამ ინგლისშიც მომიწია. არ ვაჭარბებ და, ხალხს ცრემლები მოერია. ამ სიმღერის ჩაწერაზე ბევრი ვიწვალე, მაგრამ ზოგადად, ემოციური გამომივიდა. რატომღაც მგონია, რომ ეს ნამუშევარი ჩემთან ახლოს არის. ახლა ჩემი სხვა საქმიანობების პარალელურად, ვაპირებ ძალიან უბრალო, მაგრამ განსხვავებული ვიდეორგოლის გადაღებას... ვერც ვოკალით და ვერც შესრულების მანერით ჯექსონთან ვერასდროს მივალ, მაგრამ მის მიმართ ჩემი დამოკიდებულება ვეცადე, ასე გამომეხატა. ჩემი გულის ნაამბობი გამოვიდა — სიმღერა მშვიდობაზე, სიყვარულსა და ბავშვებზეა. ახლა ცოტა სითბო და კარგი ამინდები მჭირდება, რომ ვიდეორგოლი გადავიღოთ...

— წარმატებებს გისურვებ. ■

ვარსკვლავები

რა საიდუმლოს მალავდა კლაუდია კარდინალე

ჯერ კიდევ უცნობია, როგორ წარიმართებოდა 15 წლის ულამაზესი გოგონას ბედი, რომ არა ეპიზოდური როლები, რომელთა თამაში მოკრძალებულმა მოსწავლემ საკუთარ თავზე ექსპერიმენტის ჩატარების მიზნით გაბედა.

1954 წელს მეგობრებთან ერთად მშობლიურ ქალაქ ტუნისში შემთხვევით ფილმის გადასაღებ მოედანზე აღმოჩნდა, სადაც ფრანგი რეჟისორი რენე რუტიე დოკუმენტურ ფილმს იღებდა. სხვა გოგონების მსგავსად, არაბი ქალის განსახიერება კლაუდიასაც სთხოვეს, რომლებიც სცენარის მიხედვით, ზღვის ნაპირზე იდგნენ და ქმრებს აცილებდნენ. რეჟისორს სურდა, რომ ერთ-ერთი მათგანისთვის ქარს თავსაფარი აეფრიალებინა, კამერას კი მისი ნაღვლიანი სახე უნდა ეჩვენებინა. ეს გოგონა კლაუდია კარდინალე აღმოჩნდა. 1957 წელს რეჟისორმა ფრანკო კრისტალდიმ ეპიზოდური როლის შემსრულებელ მსახიობს კინოსტუდია „ვიდესთან“ კონტრაქტი შესთავაზა.

პროფესიონალური სამსახიობო კარიერის ცდუნება მასწავლებლის პროფესიაზე ბავშვურ ოცნებაზე ძლიერი აღმოჩნდა, მაგრამ ზღაპრული მომავლის შესახებ ოცნება კინაღამ დაიმსხვრა. მის ცხოვრებაში დატრიალებული ტრაგედიის გამო კლაუდიამ სიცოცხლე კინაღამ თვითმკვლელობით დაასრულა. ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა, რომელიც კლაუდიას თანაგრძნობის მოპოვებას დიდი ხნის განმავლობაში წარუმატებლად ცდილობდა, მისი დაპყრობა ძალით მოინდომა. ყველაფერი მშვიდობიანად დაიწყო: ზაფხულის წყნარი საღამო, ქალაქგარეთ მდებარე მყუდრო სახლი და მხიარული კომპანია ავს არაფერს მოასწავებდა... რომანტიკა მაშინ დასრულდა, როდესაც წყვილი მარტო დარჩა. თაყვანისმცემელმა კარი გასაღებით ჩაკეტა და გოგონა გააუპატიურა. კლაუდია დაორსულდა... კლაუდიამ გაბედა და საიდუმლო დას გაანდო. დებმა ერთად გადაწყვიტეს, რომ გარემოს შეცვლა და „ვიდესთან“ თანამშრომლობა მშობლების რისხვას ოდნავ მაინც გაანელებდა. ახალგაზრდა მსახიობი გადაღებებზე იტალიაში გაემგზავრა...

პირველმა სერიოზულმა ნამუშევარმა ფილმში „კვლავ ვიღაც უცნობები“ დამწყებ მსახიობს უდიდესი პოპულარობა მოუტანა. ძალზე ცოტა ადამიანმა იცოდა, თუ რა ტრიალებდა ამ დროს მის სულში. ორსულობის მეშვიდე თვემდე მუცელს როგორღაც მალავდა, მაგრამ კარგად ესმოდა, მალე ორსულობის დაფარვას ვეღარ შეძლებდა, ამიტომ კრისტალდისთან მივიდა და განუცხადა, რომ კინოდან წასვლას აპირებდა! მის გასაოცრად, პროდიუსერმა არც ხმა აიმაღლა და არც კონტრაქტის დარღვევის გამო დაემუქრა, მხოლოდ მშვიდად იკითხა: „ორსულად ხართ?“ კლაუდიამ ყველაფერი აღიარა... შეყვარებულ კრისტალდის შესანიშნავად ესმოდა: საზოგადოებას ბავშვის შესახებ რომ შეეტყო, კარდინალეს სამსახიობო კარიერაზე ფიქრიც კი უნდა დაევიწყებინა, რადგან უკვე „იტალიის ნორჩ საპატარძლოდ“ იყო შერაცხილი. ამიტომ მსახიობს შესთავაზა, მშობიარობის შემდეგ ბავშვის არსებობა უბრალოდ დაემალა...

ასე გადაიქცა კლაუდიას ღვიძლი შვილი პატრიკი მის „ძმად“. ქალიშვილის ქორწინების გარეშე დაორსულებამ დედას თავზარი დასცა, მაგრამ მის რეპუტაციას მაინც გაუფრთხილდა და შვილიშვილი შვილად აღიარა. პატრიკმა მხოლოდ შვიდი წლის ასაკში შეიტყო, თუ ვინ იყო მისი ნამდვილი დედა. ახალგაზრდა მსახიობზე ზრუნვა პროდიუსერმა იკისრა და კლაუდიას იმ კონტრაქტის გაგრძელება შესთავაზა, რომლის თანახმად ვარსკვლავს 18 წლის განმავლობაში გასუქება, თმის შეჭრა და ჩაცმის სტილის შეცვლა ეკრძალებოდა.

კლაუდია კრისტალდის მიენდო, მიეჩვია, მსახიობებისთვის ჩვეული რომანების გაბმას არ ცდილობდა და აცხადებდა, რომ ფლირტსა და წუთიერ კავშირებს ვერ იტანდა. მისი გულის მონადირება ვერც ალენ დელონმა შეძლო, ვერც მარჩელო მასტროიანიმ და ვერც ფედერიკო ფელინიმ. კლაუდიამ თავად მარლონ ბრანდოც კი უარით გაისტუმრა... მაგრამ 1961 წელს სურათის „ლა ვიაჩა“ გადაღებების დროს ახალგაზრდა ჟან-პოლ ბელმონდომ კლაუდიას გულის მოგება მაინც შეძლო, რომელიც „ისეთი მორიდებული იყო, ისეთი საყვარელი, თითქოს ოინბაზობისა და ხუმრობისგან იყო შექმნილი“... მათი რომანი გადაღებების დამთავრებასთან ერთად დასრულდა, მაგრამ კრისტალდისთან ურთიერთობასაც ბზარი გაუჩნდა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა მსახიობის ცხოვრებაში რეჟისორი სკუიტერი, რომლის „დანახვისთანავე მივხვდი, რომ ეს ადამიანი ჩემთვის იმ ცხოვრებასთან გადებული ხიდი გახდებოდა, რომელიც აფრიკაში დავტოვე, ხიდი — ჩემს მეამბოხე ახალგაზრდობასთან“, — მოგვიანებით წერდა მსახიობი მემუარებში, რომელიც 37 წლის ასაკში ცხოვრებაში პირველად იყო შეყვარებული...

სამი წლის შემდეგ კლაუდიას ქალიშვილი შეეძინა. გოგონას პასკუალეს დაჟინებული მოთხოვნით დედის სახელი დაარქვეს.

კლაუდია ძალზე ბევრს მუშაობდა, მსოფლიოს უდიდეს კინოსტუდიებთან თანამშრომლობდა. ფილმის „წითელი კარავი“ გადაღებების დროს საბჭოთა კინემატოგრაფისტებთანაც იმუშავა. დღემდე პასკუალესთან ერთად ცხოვრობს და ირწმუნება, რომ ქმარი ისევე ძლიერად უყვარს, როგორც ადრე უყვარდა. ოფიციალურად დღემდე არ დაქორწინებულან და ეს საკითხი არც აღელვებთ.

70 წელს მიღწეული მსახიობი დღესაც შესანიშნავად გამოიყურება. წლების მიუხედავად, ახლაც უამრავი შემოთავაზება აქვს. მსახიობი რამდენიმე წლის წინ თეატრმა გაიტაცა და ამასთან, იგი იუნესკოს კეთილი ნების ელჩის რანგში მსოფლიოში ბევრს მოგზაურობს.

მაგრამ კლაუდია კარდინალეს ცხოვრებაში, მაინც არის რაღაც, რაც წარსულს გამუდმებით ახსენებს და სულს უშფოთებს. როგორც ამბობენ, დედას უკვე 50 წელს მიღწეულ პატრიკთან კვლავ დაძაბული ურთიერთობა აქვს... შესაძლოა, მათ ურთიერთობას ოდესღაც გამოგონილი „ძმის როლი“ ამძიმებს, ან იქნებ თავად ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული გარემოებანი?.. ■



70 წელს მიღწეული მსახიობი დღესაც შესანიშნავად გამოიყურება

რუბრიკა მოამზადა ნატო მანჯავიძემ

ცხოვრება

არშემდგარი მხატვრის ვნებანი

მარი ჯაფარიძე

ის ახალთახალ დივანზე წამოწოლილიყო და ტელევიზორს უყურებდა. ის იყო, რეკლამა დაიწყო, რომ ტელეფონიც აწკრიალდა. ახალგაზრდა ქალი ზანტად წამოდგა და ტელეფონის აპარატთან მივიდა.

— ალოო, — ყურმილში მამაკაცის ბოხი, ოდნავ ჩახლეჩილი და სასიამოვნო ხმა გაისმა, — მე შენი ტელეფონის ნომერი საერთო ნაცნობმა მომცა. სანდო წყარომ გამიმხილა და დანამდვილებით ვიცი, რომ ერთ დროს გათხოვილი იყავი და შვილი არ გყავს. რაშია საქმე? სადაცაა, 30 წლის გახდები. სადოქტორო დისერტაცია უკვე დაცული გაქვს თუ მთელ თავისუფალ დროს მეცნიერულ მოღვაწეობას უთმობ? — მის შეკითხვაში აშკარად იგრძნობოდა ირონია, — მაგრამ არა უშავს, ეს ხომ მთავარი არაა? ამ საქმის გამოსწორება სულ იოლად შეიძლება. შესაძლოა, სწორედ შენ ხარ ის ადამიანი, ვისზეც დიდი ხნის განმავლობაში ვოცნებობდი? — განაგრძობდა უცხო მამაკაცი, — როგორმე უნდა მოვახერხოთ და ერთმანეთს შევხვდეთ. ეს აუცილებელია.

ქალს სურდა, წამით დაფიქრებულიყო და დასმულ შეკითხვაზე პასუხი ისე გაეცა, მაგრამ მამაკაცის ხმამ ამის საშუალება არ მისცა.

— სიმართლე გითხრა, კარგა ხანს ვიყოყმანე და ბევრი ვიფიქრე, დამერეკა თუ არა, მაგრამ დარეკვა გადავწყვიტე. დავფიქრდი და მივხვდი — რას ვკარგავ? არაფერს! რა თქმა უნდა ძალიან იოლია, ინტერნეტით გავიცნო ვინმე, მაგრამ შესაძლოა, ვინც მომეწონება, ის სხვა ქალაქში ცხოვრობდეს. იქ უნდა ჩავაკითხო, გზაში ფული დავხარჯო. თან, ხელცარიელი ხომ ვერ მივალ? ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ კომპიუტერი არ მაქვს. მისი ყიდვა მხოლოდ იმის გამო, რომ ვინმე გავიცნო, დამეთანხმები, არ ღირს. კიდევ, გაცნობის ცენტრებიც არსებობს, მაგრამ იქ ფული უნდა გადავიხადო და წინასწარ რატომ დავხარჯო ფული, როცა შედეგი შეიძლება, სულაც არ გამოიღოს? შენ კი კარგი ვარიანტი ხარ... ერთ ქალაქში ვცხოვრობთ, ერთი ჰაერით ვსუნთქავთ, ერთსა და იმავე ქუჩებს ვტკეპნით... და როცა გნახავ, თუნდაც არ მომეწონო, რას ვკარგავ? ა-რა-ფერს!

ყურმილში მამაკაცის ხმა შეუჩერებლივ ისმოდა. ლაპარაკობდა და მოსაუბრეს იმის საშუალებას არ აძლევდა, რაიმე ეპასუხა. სიტყვა ვერსად „ჩააკვეხა“ ქალმა. როგორც იქნა, 20-წუთიანი თავის ქების შემდეგ ყურმილის მეორე ბოლოში სიჩუმემ დაისაგურა.

მომავალი „საქმროს“ ბაგეთაგან ქალმა შეიტყო, რომ თურმე 9 წლის განმავლობაში გერმანიაში ცხოვრობდა და რომ ეს წლები (თუ არ ჩავთვლით გერმანული ენის შემსწავლელ კურსებზე სიარულს), არაფერს აკეთებდა, სოციალური დახმარებებით არსებობდა და ამით ამაყობდა კიდეც. მამაკაცი, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში ასე გაუჩერებლივ ლაპარაკობდა და თავს იქებდა, მხატვარი აღმოჩნდა და თურმე, გერმანელებს არაფრით სურდათ მისი გენიალურობის დაჯერება, რადგან ნამდვილი ხელოვნების არაფერი გაეგებათ და სწორედ ამიტომ, მის ნამუშევრებს სათანადოდ ვერ აფასებდნენ.

— თუ ჩვენი საქმე გამოვა, ჩათვალე, ჩემო სიხარულო, რომ ძალიან გაგიმართლა. ჩემნაირი ბევრი არაა! — თავდაჯერებულად დაასრულა ლაპარაკი.

შეხვედრა მეორე დღისთვის დაგეგმეს.

— ისე, არა გიშავს, ხომ იცი, — გასაყიდ საქონელს რომ შეათვალიერებ, ზუსტად ასე შეათვალიერა მამაკაცმა ქალი, — არ ველოდი, რომ ასეთი კარგი იქნებოდი.

ტანდაბალი, შეუხედავი მამაკაცის წინ მაღალი, აშოლტილი, ლამაზი, შავთვალება, ახალგაზრდა ქალი იდგა. შავი, ხვეული თმა მხრებამდე სწვდებოდა. მამაკაცს ლამის კისერი მოეღრიცა, ზევით ყურებით, მაგრამ მაინც გულდასმით აკვირდებოდა მის სახეს.

— მოგეწონეთ? შეგეფერებით? — მხნეობა მოიკრიბა ქალმა და ჰკითხა.

— „პივაზე“ წახვალ, რა... — თითქოს იმედგაცრუებულმა უპასუხა მამაკაცმა და ფეხი მოინაცვლა.

შემდეგ ქალი შინ მიიწვია.

ამ სახლის პატრონი რომ ნამდვილად ეს მამაკაცი იყო, ქალს ეჭვი არ შეეპარვია.

დასარეცხი ჭურჭლის მთა მხოლოდ ნიჟარაში კი არა, მაგიდაზეც იყო, ფანჯრის რაფაზეც... ოთახის ყველა კუთხეში უზარმაზარი აბლაბუდები იყო გაბმული. ნივთები უწესრიგოდ ეყარა მთელ ოთახში. როგორც ჩანს, „დიდი გენიოსისთვის“ ეს შემოქმედებითი არეულობა მუზას წარმოადგენდა.

„გენიოსმა“ კარადიდან 2 ფუჟერი გამოიღო, დიდი ხნის გაურეცხავი ჩვრით გაწმინდა, იაფფასიანი ღვინის ბოთლი გახსნა და ჭიქებში ჩამოასხა.

— მოდი, ჩვენ გაგვიმარჯოს, ჩვენს მტკიცე კავშირს გაუმარჯოს, — ღვინო მოსვა და დაამატა, — ისე ვყოფილიყავით ერთმანეთზე გადაბმული, როგორც ნამგალი და ურო!

არშემდგარი მხატვარი სარკესთან მივიდა, მელოტ თავზე ხელი გადაისვა, გაიღიმა და ჩაწიკწიკებული, თეთრი კბილები გამოაჩინა.

— არ ინერვიულო, ახლა მე და შენ „ავფრინდებით“ და საძინებელში გავალთ... თუ „დაშვება“ წარმატებული იქნება, ჩათვალე, რომ გაგიმართლა და დიდი ხნის ოცნება აგიხდა... მთელი ცხოვრება შენ გვერდით სალვადორ დალი იქნება.

„მსოფლიო მნიშვნელობის“ მხატვარმა საძინებლის კარი გამოაღო და ქალი მიიპატიჟა. არც ერთი წუთი არ დაუკარგავს უქმად... მაშინვე დაიწყო ყველაფრის გახდა, რაც „წარმოების პროცესს“ ხელს შეუშლიდა.

— რას უდგახარ? გაიხადე! დრო გადის! დრო აღარ ბრუუუუნდებაა, — ჩაიღიღინა ბოლოს, ტუჩები მოილოკა, თვალები მოჭუტა და გაიღიმა.

სტუმარმა საათზე დაიხედა.

— უკვე გვიანია, შინ უნდა წავიდე.

— როგორ თუ უნდა წახვიდე? ვერ გავიგე, საყვარელო...

— რა ვერ გაიგე, საყვარელო? — ქალი ცდილობდა, თავი შეეკავებინა და ისე ელაპარაკა, — დღეს აფრენა-დაფრენა არ იქნება!

— აბა, შენა ხარ, რა! — მამაკაცი ქალს მიუახლოვდა და თითის წვერებზე აიწია, რათა თვალებში ჩაეხედა, — სარკეში ჩაგიხედავს? ცარიელი ძვალი და ტყავი ხარ, რას ჰგავხარ? დიდი ვინმე გგონია თავი? არც მკერდი გაქვს და არც საჯდომი... ხელის მოსაკიდებელიც კი არ გაქვს...

— მით უმეტეს, რაში გჭირდები ასეთი მახინჯი? — ჩუმად თქვა ქალმა, მაგრამ ბრაზისგან დუღდა. მიუხედავად ამისა, არ უნდოდა, ამ სასაცილო კაცისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინა.

— კარგი, კარგი, — მამაკაცი მიხვდა, რომ არასწორი სვლა გააკეთა.

ქალის საქციელიდან გამომდინარე, იოლი მისახვედრი იყო, რომ ეს შინაბერა თავისი ფრჩხილებით მასზე ჩაბღაუჭებას არ აპირებდა, — როდის შევხვდებით კიდევ? — გაღიმება სცადა მამაკაცმა, — პატარა ქალაქში ვცხოვრობთ და თუ ღმერთის ნება იქნება, კიდევ შევხვდებით.

ბრაზისგან გაწითლებული და გაცოფებული ქალი შინ დაბრუნდა და თავის ახალთახალ დივანზე წამოწვა. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო: ეტირა თუ ეცინა. ერთი მხრივ, აწყენინეს, შეურაცხყოფა მიაყენეს, ქალური თავმოყვარეობა შეულახეს... მეორე მხრივ კი... ეშმაკს არ სძინავს... შესაძლოა, რამდენიმე წელი გავიდეს და ეს დღესდღეობით არშემდგარი მხატვარი მართლაც მეორე სალვადორ დალი გახდეს... და შემდეგ, მომავალ თაობას მოუყვება, როგორ მიიწვია მსოფლიოში ცნობილმა მხატვარმა სტუმრად.

თანამედროვეობის უდიდესმა, გენიალურმა მხატვარმა — როგორც თავს უწოდებდა მამაკაცი, — პირველი შეხვედრიდან მეოთხე დღეს ამ „გაძვალტყავებულ“ ქალს დაურეკა.

მთელი ეს დღეები მოლბერტთან მჯდარი ოცნებობდა, როგორ დაირეკებოდა კარზე ზარი, როგორი წელში მოხრილი მოვიდოდა ეს ქალი, მუხლებში ჩაუვარდებოდა და პატიებასა და შეხვედრას სთხოვდა... მამაკაცი დღეში ათჯერ მაინც გადიოდა რეპეტიციას და ხმამაღლა წარმოთქვამდა იმ სიტყვებს, რომელიც ამ დროს უნდა ეთქვა, მაგრამ ვინაიდან მისი ოცნება არ ახდა, ქალი არ ჩანდა და ალბათ არც გამოჩნდებოდა, მამაკაცმა თავად დაურეკა.

— საყვარელო, ამ საღამოს თავისუფალი ვარ და ჩემს საძინებელში გელოდები, — წინასწარ გაზეპირებული ტექსტი შეცვალა.

— მაპატიე, მაგრამ მე დაკავებული ვარ, — უპასუხა ქალის სასიამოვნო ხმამ, ხაზის მეორე ბოლოდან.

— როგორ თუ დაკავებული ხარ? — ხმას ოდნავ აუწია მამაკაცმა, — ვერ გავიგე? რას ნიშნავს, დაკავებული ხარ? ყველა საქმე მიატოვე და სასწრაფოდ ჩემთან წამოდი! გელოდები!

— მე სახლში რემონტი მაქვს, კედელზე შპალერს ვაკრავ.

— ნუ მაცინებ! მე შენ სტუმრად გეპატიჟები, შენ კი რაღაცას ჩმახავ და რემონტი მაქვსო, მეუბნები, — ხმაზე ეტყობოდა, რომ მამაკაცი ძალიან გაბრაზებული იყო, — ეგ რა პრობლემაა? რემონტი! ხელოსნები მოიყვანე, ფული გადაიხადე და პრობლემაც აღარ გექნება. ერთ წამში მოაგვარებ მაგ საკითხს.

— თქვენ არ შეგიძლიათ ჩემი დახმარება? — გამბედაობა მოიკრიბა ქალმა და ჰკითხა.

— აბა, შენა ხარ, აი! სპეცტანისამოსი ხომ არ ვიყიდო? დედამ იმისთვის გამაჩინა, რომ შპალერი გავაკრა და რემონტები ვაკეთო? — ხმამაღლა გადაიხარხარა მამაკაცმა.

— მაპატიეთ, რას ვიზამთ... რადგან ჩვენი სურვილები და შესაძლებლობები ერთმანეთს არ ემთხვევა, კარგად ბრძანდებოდეთ, — თქვა ქალმა და ყურმილი დაკიდა.

ასეთ თავხედობას არ ელოდა მამაკაცი. როდესაც ყურმილში მოკლე, წყვეტილი ზუმერის ხმა გაიგონა, მხოლოდ ახალი ნაცნობი კი არა, მთელი ქალთა სქესის წყევლას მოჰყვა. თან ოთახში ბოლთას სცემდა და ერთი კუთხიდან მეორემდე მანძილს სამ ნაბიჯში ფარავდა.

როგორც ჩანს, მომავალ მსოფლიო მნიშვნელობის მხატვარს ქალი მოეწონა, სიამაყის გრძნობა დაძლია და ტელეფონის ზარებით გააბეზრა.

ამასთან, ერთი წამითაც არ ავიწყდებოდა იმის აღნიშვნა, რომ ამ ქალთან შეხვედრა მისთვის ხარჯთან და მატერიალურ ზარალთან არ იყო დაკავშირებული. ასეთი ქალის ხელიდან გაშვება კი ნამდვილად არ უნდოდა.

ღამით, როდესაც საწოლში მარტო წვებოდა, ხშირად წარმოიდგენდა ხოლმე, როგორ იწვა მის გვერდით ახალგაზრდა, ლამაზი, შავთმიანი და შავთვალება ქალი და როგორ ეფერებოდა, როგორ უსვამდა ხელს მის ნაზ კანს და როგორ უკოცნიდა ტკბილ ტუჩებს. ქალი კი ამ დროს მისი ნახატებისა და შედევრების გამო აღფრთოვანებას გამოხატავდა. ამის წარმოდგენა მამაკაცში ახალ ემოციებსა და ეროტიკულ ფანტაზიებს იწვევდა, მკერდზე ბალიშს იხუტებდა და ნეტარებდა.

მათი პირველი და უკანასკნელი შეხვედრიდან 1 თვე გავიდა. მამაკაცი მართლა გაბრაზდა... უკვე ძალიან ბევრჯერ დაურეკა, ბევრი ეხვეწა და ემუდარა... სამაგიეროდ კი ვერაფერი მიიღო... გარდა სატელეფონო ქვითრებისა, რომელზეც, მისი აზრით, საკმაოდ დიდი თანხა იყო დაფიქსირებული.

მამაკაცი ტელეფონის აპარატთან მივიდა. გადაწყვეტილი ჰქონდა, ქალისთვის დაერეკა და მატერიალური ზარალის ანაზღაურება მოეთხოვა. ყურმილში მამაკაცის სასიამოვნო ხმა გაისმა. თავიდან იფიქრა, რომ ნომერი შეეშალა, მაგრამ შემდეგ მაინც გადაწყვიტა, დიასახლისი მოეკითხა — იქ ქალი, ვის გამოც ამდენი ხარჯი გასწია.

ქალის ხმას თავდაჯერება ეტყობოდა. მან მამაკაცს ამცნო იმის შესახებ, რომ მის რჩევას დაუჯერა, ახალგზრდა ხელოსანი დაიქირავა და რემონტის დამთავრებაში ის ეხმარებოდა.

— ფული არ უნდა დაინანო, — მცოდნე კაცივით უთხრა მამაკაცმა, — ახლა შენ თავისუფალი ხარ და ვერც კი წარმოიდგენ, საყვარელო, როგორ მომენატრე. მე, შენი პატარა მხეცუნია, ძალიან განვიცდი უშენობას, ვიტანჯები და ვკვნესი... მომანიჭე ბედნიერება, — ბოლო ფრაზას რომ წარმოთქვამდა, ჩურჩულზე გადავიდა, დაიკრუტუნა და ტუჩები მოილოკა, — როგორ მინდა გაგაშიშვლო, როგორ მინდა, ჩაგეხუტო და ბოლოს და ბოლოს, მივიღო ის, რაც ასე ძალიან მინდა და რაზეც ამდენი ხანია, ვოცნებობ.

— ძვირფასო და პატივცემულო სალვადორ დალი, — უპასუხა მამაკაცის სასიამოვნო ხმამ, — მადლობელი ვარ იმის გამო, რომ თქვენს ნაცნობ ქალბატონს ხელოსნის დაქირავება ურჩიეთ. სწორედ თქვენმა რჩევამ მიიყვანა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ გაზეთში გამოქვეყნებულ ჩემს ნომერზე დაერეკა და რემონტის დასამთავრებლად დამიქირავა. თქვენი დახმარებით შევხვდით ერთმანეთს, ახლა ერთმანეთი ძალიან გვიყვარს და მალე დავქორწინდებით კიდეც.

არშემდგარი მხატვარი კარგა ხანს იდგა ტელეფონის ყურმილით ხელში, საიდანაც მოკლე, წყვეტილი ზუმერი ისმოდა და გაოგნებული ვერ მიმხვდარყო, რა მოხდა... როგორ მოხვდა ეს ახალგაზრდა, სასიამოვნო ხმის მქონე მამაკაცი ამ მარტოხელა, სანდო წყაროს მიერ მიწოდებული ინფორმაციის მიხედვით, განათხოვარი და უშვილო, ახალგაზრდა ქალის სახლში...

■

როგორ გამოვიდეთ კრიზისიდან
ანუ რა მოგების მოტანა შეუძლია 20 ლარს

ჩემს „ჟურნალისტის ბლოკნოტში“ „სიტუაციის“ თემებს გადავხედე და გადავწყვიტე, კარგა ხნის წინ შეგულებული, ერთი თემისთვის მომეფინა დღის სინათლე. გასული წლის ზაფხულს მეგობრები ჩემთან შევიკრიბეთ (კარგია, როცა ოჯახი დასასვენებლადაა წასული და შინ მარტო ხარ). ჰოდა, ამ მთისა ვთქვით, იმ ბარისა, გადავიტყავეთ ენები ლაპარაკითა და ჭორაობით. 3 ქალი ერთად რომ დაჯდება, ხომ იცით, სასაუბრო თემა არ გამოელევა... ასე გადავაგორეთ დღის სიცხე და ხვატი... საღამოს კი რამდენიმე მეგობარი კიდევ შემოგვიერთდა. ზოგმა სასმელი მოაყოლა ხელს, ზოგმა — სამწვადე, ზოგმა — გაყინული ხინკალი და ნამცხვარი და სუფრაც გაიშალა (ისე, ბავშვობის მეგობრებს მართლაც არაფერი სჯობია). მოკლედ, მერე ცეკვა-სიმღერაც მოუნდათ... ხელი რომ გაშალეს, მაშინ გაახსენდათ, მთელი თვე იყო გასული, რაც რესტორანში არ ვყოფილვართ.

მარი ჯაფარიძე

— ახლავე წავიდეთ, — წამოვაყენე წინადადება, მაგრამ იქვე უარყვეს.

— მოდი, ხვალ წავიდეთ, — ეს წინადადება ვახომ წამოაყენა, — მაგრამ ახალი იდეა მაქვს...

კარგა ხანს ვეხვეწეთ, სანამ ამ ახალ იდეას გაგვიმხელდა.

— როცა რესტორანში მივდივართ, ფულს ხომ ყველა „ჩამოვდივართ“ და დანახარჯს ვინაწილებთ?

— კი, — დავეთანხმეთ ყველა.

— ჰოდა, ახლა გთავაზობთ, „ჯოკერი“ ან „დურაკა“ ვითამაშოთ და წაგებულმა რესტორანში დასახარჯი თანხა გამოიმუშაოს.

— ეგ როგორ? — დავინტერესდით.

— როგორ და, ხელფასს კი ნუ დაელოდება, ჩვენ, დანარჩენები, მოგებულები მოვიგონებთ რაიმე ხერხს, იმან კი დავალება უნდა შეასრულოს... მაგალითად, ნაყინი გაყიდოს...

— აუჰ, ნაყინის გაყიდვით რესტორნის ფულის მოგროვება ძნელია, — არ დავეთანხმეთ.

— მაშინ სხვა რამეს მოვიფიქრებთ და ერთობლივად გადავწყვეტთ.

თავიდან ცხვირი ავიბზუეთ, მაგრამ ვახოს მიერ შემოთავაზებული თამაში მაინც ავიტაცეთ და ბანქოც უცებ გავაჩინეთ.

თუუუურმე, „სად ბანაობ“? მე რომ მაღაზიაში „კარტის“ საყიდლად წავედი, ამათ მოულაპარაკიათ, მარის წავაგებინოთ, ეგ არ „გაფუფლოვდება“, თავს მოიკლავს და მაინც ჩაბარებს წაგებულსო... მოკლედ, გამწირეს...

მე კი, როგორც მიამიტ, ალალ და უეშმაკო ადამიანს (მაგრად იცინებენ ჩემი მეგობრები, ამას რომ წაიკითხავენ), ეჭვიც არ შემპარვია, მათ კეთილშობილებაში (ახლაც გაიცინონ) და ასე ბრმად ვენდე. მოკლედ, სამნი ერთის წინააღმდეგ იბრძოდნენ და ცნობილმა ჩემპიონმა „ჯოკერში“, წავაგე და მეგობრების განაჩენს დაველოდე. მათი განაჩენი კი ასეთი იყო: რესტორნის ფული „ტაქსაობით“ უნდა მეშოვა.

გულს კი შემომეყარა, მაგრამ ნაყინის გაყიდვას ნაღდად სჯობდა და სხვა გზა მაინც არ მქონდა, დავთანხმდი, ოღონდ, იმ პირობით, რომ ვახოს მანქანით დანარჩენები უკან გამომყვებოდნენ (რა იცი, რა ხდება) და მარტო არ მიმატოვებდნენ ამ „გასაჭირში“.

გადაწყდა. მეორე დღეს ჯერ ტაქსის ნიშანი მომიტანეს (ელიავაზე 5 ლარი ღირს თურმე), მანქანაზე დაამაგრეს და 20 ლარის ბენზინიც ჩამისხეს.

ჰოდა, დავიძარი.

კლიენტის ძებნაში ნელა მივუყვებოდი წერეთლის პროსპექტს. ისე, სწრაფად წახვალ თუ ნელა, დიდი მნიშვნელობა არ აქვს, შუქნიშანი ყველას ათანაბრებს მაინც...

ეს ჩემი „ოპელიჩი“ ხომ „გაოცებული“ იყო, „ვერ გაეგო“, რა „გვირგვინი“ დაადგეს თავზე და ხალხი კიდევ უფრო გაოცებული, ქალ ტაქსის მძღოლს რომ ხედავდნენ. ახლა ერთი ანეკდოტი გამახსენდა (კლიენტების მიერ მოყოლილ ანეკდოტებს ქვემოთაც მოგიყვებით): ავტოსკოლაში მასწავლებელი გაკვეთილს ატარებს და მომავალ მძღოლებს ეკითხება: ეს გზაჯვარედინია, ეს ავტობუსი, ეს მოტოციკლისტი, ეს — ტრამვაი; რომელი გაივლის გზაჯვარედინს პირველი?

— ტაქსის მძღოლი! — იყო პასუხი.

— რა ტაქსის მძღოლი? საიდან მოიტანე ტაქსის მძღოლი?

— რა ვიცი, სად ჯანდაბიდან მოდიან ეს ტაქსის მძღოლები...

ჰოდა, ალბათ ეს კეთილშობილი მოქალაქეებიც ასე ფიქრობდნენ ჩემზე — სად ჯანდაბიდან მოვიდაო... და არა მარტო მოქალაქეები. ალბათ, დანარჩენი ტაქსის მძღოლებიც, რომლებიც კონკურენტად მიმიჩნევდნენ.

ჰოდა, აგერ, შევნიშნე ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც ისე შეემზადა, მივხვდი, გამაჩერებდა. გულმა უცნაურად დაიწყო ბაგაბუგი. რაღა დაგიმალოთ და ვნერვიულობდი, თან — გვარიანად.

ის იყო, „პავაროტნიკი“ ჩავრთე და მის წინ გაჩერება დავაპირე, რომ უკნიდან ვიღაცამ დიდი სისწრაფით „დამიაბგონა“ და მამაკაცის წინ ოსტატურად დაამუხრუჭა. მოკლედ რომ ვთქვა, სხვა ტაქსის მძღოლმა კლიენტი ამახია...

აჰა... ე.ი. ამის მერე ფხიზლად

უნდა ვიყო, თორემ ასე ვერაფერს გავხდები...

განვაგრძე გზა და აგერ, კიდევ ერთი კლიენტია... მაგრამ ისევ ამახია სხვამ... საერთოდ, მეგონა, რომ თუ გინების ტექნიკას კარგად ფლობ, პროფესიონალი მძღოლი მაშინ ხარ... როცა მეორე კლიენტი დავკარგე, მივხვდი, რომ ნამდვილ გინებას მანამდე ვერ ისწავლი, სანამ ტაქსის მძღოლი არ გახდები...

აჰა�ა... აგერ, ოსტატურად გავასწარი ერთს, გავასწარი მეორეს, მოვატყუე წითელი „ოპელის“ მძღოლი და დიდუბის ეკლესიასთან, ბორდიურზე მდგარ ქალსა და მამაკაცს პირდაპირ ფეხებთან დავუმუხრუჭე მანქანა...

მამაკაცმა ფანჯარაში თავი შემოყო, ჯერ გაუკვირდა, მე რომ დამინახა, მაგრამ არ შეიმჩნია და მკითხა, სააკაძის მოედანზე რამდენად გაგვიყვანო?

დავფიქრდი, დაახლოებით გადავთვალე კილომეტრები და 5 ლარად-მეთქი, ვუპასუხე.

— ოთხად არაო? — შემევაჭრა კლიენტი.

კარგი, დასხედით-მეთქი, ვუთხარი. უკან დასხდნენ. უკანა ხედვის სარკეში ვახოს მანქანას ვუყურებდი. სიცილით იჭაჭებოდნენ ჩემი მეგობრები (ჭირი და დოზანა ჭამონ მაგათ), მე კი სულაც არ მეცინებოდა.

— ძალიან გამიკვირდა, მძღოლი ქალი რომ აღმოჩნდა, — მამაკაცმა საუბარი წამოიწყო.

— რას იზამთ? ასეთია ცხოვრება, ვერ გაიგებ, რა დროს რას დაგაკისრებს, — დავიწყე წუწუნი და გონებაში იმ ამბის ჩამოყალიბება დავიწყე, რომელიც კლიენტების ცნობისმოყვარეობას დააკმაყოფილებდა.

— სამსახური ვერ იშოვეთ, ალბათ, — კაცმა დანანებით გადააქნია თავი.

— ჰო, ვერ ვიშოვე, არადა, 2 მცირეწლოვანი შვილი მყავს, მარტო ვზრდი და სხვა გზა არ მაქვს, — შევაცოდე თავი.

— კი, მაგრამ მანქანა როგორ იყიდეთ? — ლოგიკური კითხვა დასვა.

— მანქანა ნაქირავები მაქვს, დღეში 20 ლარს ვუხდი, — ისევ უცებ მოვძებნე გამოსავალი.

— ჰმ, ვისაც ფული აქვს, ისევ ის შოულობს... ატყავებენ ხალხს, — აშკარად მითანაგრძნობდა კლიენტი.

— ჰო, — მოკლედ და გაურკვევლად ჩავიბურტყუნე და სინდისმა ცოტა კი შემაწუხა.

— თქვენი ტელეფონის ნომერი მომეცით, როცა ტაქსი დამჭირდება, დაგირეკავთ, — ვერ მივხვდი, მართლა გულით ამბობდა ამას თუ ჩემი შებმა ჰქონდა გადაწყვეტილი.

ამ დროს, ისიც შევნიშნე, ქალმა მუჯლუგუნი გაჰკრა გვერდში და გამეღიმა.

— მადლობა, ჩემი თანადგომა რომ განიზრახეთ, მაგრამ კლიენტი ისედაც მყავს, თუ განგება ინებებს, კიდევ შეგხვდებით, — მაინც ჩავაგდე ინტრიგა და ქალის აბზუებულ ტუჩს რომ შევხედე, გამეღიმა.

— აი, მოვედით კიდეც, სად გავაჩერო? — ვკითხე და სვლა შევანელე.

— მერიასთან, — მიმითითა მერიის შენობაზე.

მამაკაცმა ჯიბიდან ხუთლარიანი ამოიღო და ის იყო, ხურდის მოძებნა დავაპირე, რომ გულუხვობა გამოიჩინა და ხურდა არ მინდაო, მითხრა.

მადლობა გადავუხადე და დავიძარი.

აჰა... დაახლოებით 3-4 კილომეტრი გავიარე... ჩემს მანქანას ამ მანძილზე დაახლოებით 70 მილილიტრი ბენზინი უნდა, რომლის ღირებულებაც 12 თეთრს შეადგენს (ესეც დაახლოებით)... ანუ, ახლა მე, სულ რაღაც 5 წუთში, მთელი 4 ლარი და 88 თეთრი გავაკეთე...

ამ დროს ჩემმა მეგობრებმა დამირეკეს, როგორ ხარო? გადასარევად-მეთქი — ვუპასუხე. რამდენი „გააკეთეო“? — არ ვიცი-მეთქი, — არაფრის დიდებით არ გავეცი საიდუმლო...

ისე მომეწონა უცებ ნაშოვნი ფული, რომ მთელი მონდომებით დავიწყე ახალი კლიენტის ძებნა.

გაგარინის მოედანზე ახალგაზრდა მამაკაცმა ამიწია ხელი. ჯერ ახლოს მივედი, დავზვერე, დავრწმუნდი, რომ ნასვამი არ იყო და გავუჩერე.

— ვაააა, ტაქსისტებს ვახლავაარ! — დამინახა თუ არა, ოვაციით შემხვდა. მხიარული ადამიანი ჩანდა.

— რაო, ფულს ვაკეთებთ? — პირველი კითხვა დამისვა.

— მე ვაკეთებ და შენ არა მგონია, ჩემი მოწილე იყო, — მრავლობით რიცხვში ნათქვამ „ვაკეთებთ“-ს გავუსვი ხაზი.

— არა, მე შენი მოწილე ვერ ვიქნები, — გაიცინა ისევ.

— შენ გრამატიკული რიცხვი გერევა, მე მგონი... — ეჭვი გამოვთქვი...

— რატომ? — მთელი სერიოზულობით მკითხა.

— აბა, „ფულს ვაკეთებთ“ მრავლობით რიცხვში მითხარი და „შენ“ მხოლობითში...

— აა, მაპატიეთ, — გონიერი ყოფილა, უცებ მიხვდა, რას ვგულისხმობდი და გამოასწორა.

კლიენტი ნუცუბიძის პლატოზე ავიყვანე, 10-ლარიანი მომაწოდა და ხურდას არც დალოდებია, კარი ისე მოხურა...

სარფიანი საქმე ყოფილა ტაქსის მძღოლობა, ვერაფერს იტყვი...

ამის შემდეგ რამდენიმე, „უფერული“, არაფრით დასამახსოვრებელი ადამიანი მივიყვან-მოვიყვანე და ის იყო, ვაკიდან საბურთალოზე წასვლა დავაპირე, რომ შუქნიშანთან ახალგაზრდა ქალი ისე შემოხტა მანქანაში, ლამის გული გამიხეთქა.

— უი, რა კარგია, ქალი რომ შემხვდა, — მაშინვე აქაქანდა, — თქვენ უფრო კარგად გაიგებთ ჩემს გასაჭირს. ახლა წავიდეთ დიღმისკენ, მცხეთის გზაზე უნდა გამიყვანოთ.

— კი, ბატონო, — კლიენტის სურვილი კანონია...

— ისეთ დღეში ვარ, ისეთ დღეში ვარ, ვერ აგიხსნით. ამ ჩემმა ქმარმა სისხლი გამიშრო. ახლა რას ვუზაააამ... მაგან არ იცის, რა დღე ელის...

— რა მოხდა? — აშკარად ძველმა, ჟურნალისტურმა პროფესიამ დაჯაბნა ახალი და ცნობისმოყვარეობით ლამის მოვკვდი.

— გაგიგონიათ ასეთი რამე? ასეთი დაუოკებელი კაცი არ მინახავს... მაგისმა ქალებმა სისხლი გამიშრეს...

— ააა, თურმე რაში ყოფილა საქმე, — გამეცინა, მაგრამ უცებ მოვსხიპე ღიმილი, ქალს რომ არ სწყენოდა.

— რამდენიმე საყვარელი ჰყავს და ერთმანეთზე ეჭვიანობენ ის ქალები. ჰოდა, თუ ჩემი ქმარი რომელიმესთან ერთად სადმე წავიდა, დანარჩენები მირეკავენ და მეუბნებიან, იქაა და აქაა შენი ქმარი, ამასთან და ამასთან ერთადო... ჭკუიდან უნდათ ჩემი შეშლა, მე მგონი...

— ახლა იქ მიდიხართ, სადაც თქვენი ქმარია?

— ჰო, იქ მივდივარ, დამირეკეს და მითხრეს, ამა და ამ სასტუმროშიაო.

— და თქვენც ყოველთვის ასე დასდევთ?

— ყოველთვის არა, ხანდახან მეზარება, მაგრამ ხშირად...

— საინტერესოა, — აუჰ, რა მასალას გავაკეთებდი ამ ქალთან, ახლა ტაქსის მძღოლი რომ არ ვიყო?! — ჩემთვის, გუნებაში გავიფიქრე.

— ავდგები და გავცილდები! აბა, მაგას ხომ არ შევაჭმევინებ ჩემს ახალგაზრდობას? თქვენ ალბათ ქმარი არ გყავთ.

— არა, მაგრამ, როგორ მიხვდით?

— ქმარი რომ გყავდეთ, ტაქსის მძღოლად არ გამუშავებდათ. ჰოდა, მეც ავდგები და „ტაქსაობას“ დავიწყებ. მერე რა? ხომ ინახავთ ოჯახს?

გაგრძელება იხ. გვ. 40

არატრადიციული ორიენტაცია — მოდას აყოლა თუ მწვავე პრობლემა?

არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მიმდევარი ადამიანები ბოლო დროს იმდენად მომრავლდნენ, რომ საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინების შესახებ კანონის მიღებაზეც ალაპარაკდნენ, რამაც საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ფსიქოლოგ გოჩა გოშაძის აზრით, ჰომოსექსუალიზმისკენ ლტოლვა განსაკუთრებით, მოზარდებში ვლინდება, თუმცა არის შემთხვევები, სექსუალურ ორიენტაციას უკვე ჩამოყალიბებული ადამიანი იცვლის, რისი მიზეზიც ძირითადად არაჯანსაღი გარემოა... ფსიქოლოგის თქმით, ადამიანის არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ პრობლემებთან არის დაკავშირებული, რაც ზოგ შემთხვევაში, თანდაყოლილია. თუმცა, ხშირად ადამიანები ამ ნაბიჯს ცნობისმოყვარეობის გამო დგამენ, რაც შემდგომში ბევრს ცხოვრების წესად ექცა.

ლალი პაპასკირი

— ადამიანები სექსუალური გადახრებით იბადებიან. ეს პრობლემა ყველა დროში არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი თავიანთი ცხოვრების წესის აფიშირებას არ ახდენდნენ, მაგრამ გარშემო მყოფებისთვის მათი განსხვავებული მანერების შემჩნევა ძნელი არ ყოფილა... ასე ხდება ახლაც, მაგრამ წინა პერიოდისგან განსხვავებით, მათი ცხოვრების წესი უფრო ღიაა და თვითდამკვიდრებისთვის, ასე ვთქვათ, თავიანთი ჭიის გასახარებლად, მეტი საშუალება აქვთ... ადამიანი დაბადებიდან პირველ 3 წელიწადში ყალიბდება ანუ მისი ხასიათი ამ ხნის განმავლობაში, მისი აღზრდის სტილით არის განპირობებული. ბავშვს ქალი აჩენს და პირველად ახალშობილს დედასთან აქვს ურთიერთობა და დიდი მნიშვნელობა აქვს, იგი ფსიქოლოგიურად როგორ მიუდგება შვილს. როცა ბიჭუნა გოგოს მანერებით იბადება, ეს უკვე პრობლემაა და მისი მშობლები უნდა ეცადონ, ბავშვი პატარაობიდანვე მამაკაცური სპორტით დატვირთონ. ამის შემჩნევა განსაკუთრებით ადვილია ბიჭებში. თუ იგი თოჯინებით თამაშობს და დედის ნივთებისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს, აშკარაა, რომ მის ორგანიზმში ქალური ჰორმონები ჭარბობს.

— სწორი აღზრდის შემთხვევაში, შესაძლოა, იგი ჩვეულებრივ მამაკაცად ჩამოყალიბდეს?

— ბავშვზე დაკვირვება სწორად, ქრომოსომების შესწავლითა და კვალიფიციური მედიკოსების ჩარევით უნდა მოხდეს. რაიმე საეჭვოს აღმოჩენის შემთხვევაში, აუცილებელია მშობელმა შვილი სპორტის რომელიმე მძიმე სახეობაზე ატაროს. სამწუხაროდ, ყოფილა შემთხვევები, როცა მშობლის მცდელობას უშედეგოდ ჩაუვლია.

— რაც შეეხება იმ ადამიანებს, ვინც სექსუალურ ორიენტაციას მოგვიანებით იცვლის?

— როგორც გითხარით, მამაკაცის „გაცისფერების“ მიზეზი გარემოც შეიძლება გახდეს. მაგალითად — ციხე. თუმცა, არის შემთხვევები, როცა ძლიერი სქესის წარმომადგენლები „უცხო ხილს“ საკუთარი სურვილით „სინჯავენ“, შემდეგ კი აქტიურ „გეებად“ ყალიბდებიან. არსებობს აქტიური და პასიური ჰომოსექსუალი. ჩვენთან ის მიიჩნევა „ცისფერად“, ვინც მამაკაცთან სექსუალურ ურთიერთობას თანხმდება. ის, ვინც ინიციატივას იჩენს, რატომღაც ჰომოსექსუალად არ აღიქმება, სინამდვილეში კი იგი პასიური ჰომოსექსუალია. ჩემი ნაცნობი, რომელიც „ქართული გაგებით“, ჰომოსექსუალი არ არის, მაგრამ „კაცებთან დადის“, ერთ ძველ ბიჭზე მიყვებოდა, — თავი მაგარ კაცად მოაქვს და მასთან „ურთიერთობა“ მქონიაო... ამით ვითომ იმას ამცირებდა, მაგრამ ვერ ხვდებოდა, რომ თვითონაც ჰომოსექსუალი იყო, ოღონდ აქტიური.

— რა არის იმის მიზეზი, როცა ბავშვი ჩვეულებრივი მამაკაცური თვისებებით იბადება, მაგრამ მოზარდობის პერიოდში განსხვავებულ ორიენტაციას ავლენს?

— მამაკაცის არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია შეიძლება, მისმა აღზრდამაც განაპირობოს. ეს უმეტესად მაშინ ხდება, როცა დედას უნდოდა, ქალიშვილი ჰყოლოდა, მაგრამ ვაჟი შეეძინა. ამ დროს ბავშვის დედა თავის მოთხოვნილებას იკმაყოფილებს, შვილს აცმევს კაბას, გოგოსავით ეფერება და ექცევა. ამ დროს იგი თითქოს თავის სურვილს იკმაყოფილებს, მაგრამ სინამდვილეში, ბავშვს ფსიქიკას უმახინჯებს... არის შემთხვევები, როცა მოზარდის არატრადიციული ორიენტაციის ჩამოყალიბებას ზოგჯერ მშობლები გაუცნობიერებლად უწყობენ ხელს. მაგალითად, თუ ბავშვობაში დედა ბიჭს არ ერიდებოდა და მის წინაშე იხდიდა, ასეთი ქცევით იგი მოზარდს მისდა უნებურად ჰომოსექსუალიზმისკენ უბიძგებდა. ამ დროს ბავშვი თავს დედასთან აიგივებს.

— ასეთი პათოლოგიები ადამიანს თანდათან უყალიბდება თუ მის გენეტიკაშიც შეიძლება „იდოს“?

— მსოფლიო მედიცინაში არავის გამოუტანია დასკვნა — რომ ასეთი პათოლოგიები დნმ-ში არსებობს. კვლევებმა უჩვენა, რომ გენური გადმოცემაც არ გამორიცხება... საერთოდ, ამ პათოლოგიით მსოფლიოში ახალი და რაღაც უცნაური აღმოჩენა არავის გაუკეთებია. ძველ ათენში ჰომოსექსუალიზმი ჩვეულებრივი მოვლენა იყო; მოზარდი ვიდრე სრულწლოვანი გახდებოდა, პასიური ჰომოსექსუალი უნდა ყოფილიყო და გარკვეულ ეტაპს „მასწავლებელთანაც“ გადიოდა.

— რატომ?

— ძველი ბერძნები მიიჩნევდნენ, რომ ნამდვილი „დავაჟკაცება“ ასე ხდებოდა... მეცნიერთა დაკვირვების შედეგად გაირკვა, რომ ჰომოსექსუალიზმის შემთხვევა ხშირია ცხოველებშიც. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ამ საკითხის მიმართ თავისებური მიდგომა არსებობს. ზოგან ოჯახები იქმნება, წყვილები ნაშვილებ ბავშვებსაც კი ზრდიან. ქართველ საზოგადოებაში კი ეს პრობლემა არსებობს, მაგრამ ხალხში მათი გამოჩენა მაინც აგრესიას იწვევს. ამ პრობლემისთვის თვალის არიდებით არაფერი შეიცვლება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში „ლესბო-

სელებიც“ არიან, მამაკაცთა ჰომოსექსუალიზმი გაცილებით აქტუალურია. ჰომოსექსუალიზმი და ქალთა ტრფობის საფუძველი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება. მათ სხვადასხვა ფსიქოლოგიური და გენური მახასიათებელი აქვს...

— რას გულისხმობთ?

— ერები ერთმანეთისგან, ჩვეულებრივი ურთიერთობის, საუბრის დროს დისტანციის მანძილის დაცვით განსხვავდებიან, ქართველ საზოგადოებრივ კულტურაში პირადი დისტანციის შემცირება მიღებულია. იმ კომფორტულ დისტანციას ვგულისხმობ, რა მანძილზეც ადამიანები ერთმანეთთან სასაუბროდ სხდებიან ან გნებავთ, დგებიან. როცა პირადი სივრცე მცირდება, ერთ-ერთი მოსაუბრე უკვე დისკომფორტს

განიცდის და იბოჭება, მაგრამ ქართველებში ძალიან „მოკლე დისტანცია“ გვაქვს... ქართული ბუნებიდან გამომდინარე, ჩვენში, როგორც მამაკაცები, ასევე ქალები პირად სივრცეს, სითბოს გამოხატვის მიზნით, ხშირად არღვევენ... მაგალითად, სუფრაზე მამაკაცების დათრობა და ხვევნა-კოცნა ჩვეულებრივია. ეს იმდენადაა ჩვენი ხალხის ბუნებაში გამჯდარი, რომ არც კი გვეხამუშება... რაც შეეხება ქალებს, მათ თავიდანვე აქვთ ბუნებაში, ერთმანეთის მოფერება. მეტიც, ქართული სოციუმი მათ ახალისებს კიდეც ანუ ის ქალბატონები, ვისაც ალერსის თამამად გამოხატვა შეუძლიათ, საზოგადოებაში თბილი და კარგი ბუნების ადამიანებად აღიქმებიან. ქალებს შეუძლიათ, ერთ ლოგინში დაიძინონ და ამაში თითქოს უხერხული არაფერია...

— ანუ ქართველი საზოგადოება მამაკაცების მიმართ უფრო მკაცრია?

— შეიძლება, ასეც ითქვას, რადგან იგივე საქციელი მამაკაცებისგან საზოგადოებაში უარყოფითად აღიქმება. ანუ მამაკაცთა ჰომოსექსუალიზმი, სოციალური თვალსაზრისით, ჩვენს რეალობაში უფრო პათოლოგიურია, ვიდრე ლესბოსელობა. ლესბოსელობას უფრო ადვილად უშვებს საზოგადოება... ამგვარად, სოციალური გარემო რასაც ქალებს „ჰპატიობს“, იმავე ქცევის ნორმა მამაკაცისთვის ჰომოსექსუალიზმად აღიქმება.

— რა გახდა ბოლო დროს არატრადიციული ორიენტაციის მქონე ადამიანების მომრავლების მიზეზი?

— ჩვენი ხალხი ბუნებით წამხედურია, ოღონდ უფრო ცუდის გამეორებისკენ აქვთ მიდრეკილება... არსებობს კიდევ ერთი მიზეზი: ბოლო დროს ამ თემის აქტუალურობაში წვლილი მასმედიის თანამშრომლებსაც მიგიძღვით. პრესასა და ტელევიზიას საზოგადოებაზე დიდი გავლენა აქვს და მათი ნებით თუ უნებური ხელშეწყობით, არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია გარკვეულწილად, მოდურიც კი გახდა. მასმედიამ არარსებული თემაც რომ ააგოროს, ის მართლაც გაჩნდება. ადრე მისი „დაპიარება“ არ ხდებოდა და საზოგადოება ამაზე თვალს ხუჭავდა. ბოლო დროს კი თანდათან მკვიდრდება აზრი, რომ „ცისფერები“ სხვებთან შედარებით კარგი მეგობრები და კარიერაში წარმატებული ადამიანები არიან. თავის მხრივ, მათაც აუწყეს ფეხი თანამედროვეობას და საკუთარი ცხოვრების სტილის გამართლება ყურით მოთრეული ფაქტებით დაიწყეს — ყველა გამოჩენილ ადამიანს ასეთი ორიენტაციისკენ ჰქონდა მიდრეკილებაო.

— ძირითადად რა ასაკის ადამიანები ხდებიან არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის?

— ამის განსაზღვრაც ძნელია, თუ რა ასაკში შეიცვლის ადამიანი სექსუალურ ორიენტაციას. რაც უნდა დაუჯერებელი იყოს, ზოგიერთი ძალიან გვიან იწყებს „კაცებში სიარულს“, ამის მიზეზი ხშირ შემთხვევაში, ცოლთან შექმნილი პრობლემებია.

— ამ პრობლემით პაციენტები ხშირად მოგმართავენ?

— საკმაოდ, ამ პრობლემაზე გულახდილად უფრო ხშირად ქალბატონებს შემოუჩივლიათ — ჩემი ქმარი ცისფერი გახდა, ვიღაც ბიჭთან დადისო... სინამდვილეში კი, „გახდა“ არ არსებობს, — ალბათ ადრეც იყო მასში მამაკაცებისადმი ინტერესი და გარკვეულ დრომდე არ გამოხატავდა...

■

ამ სამი წლის წინ ერთმა ახალგაზრდა ქალმა თავისი მეგობრის შესახებ მიამბო. ამბავი იმდენად ემოციური იყო, ვთხოვე, შემდეგშიც დამკავშირებოდა და მოეთხრო, როგორ დასრულდა ერთ დედა-შვილს შორის გაუთავებელი ომი („... რომ არა დედის ეგოისტური სიყვარული“, „კვირის პალიტრა“, 3 დეკემბერი, 2007 წ.)

მარინა ბაბუნაშვილი

ამბავი პირველი
„საბედისწერო“ ბეჭედი

სამწუხაროა, მაგრამ ზოგიერთი მშობელი შვილს ისე ექცევა, როგორც საკუთარ „ცოცხალ ნივთს“ და მიაჩნია, რომ შვილმა სწორედ ისე უნდა იაზროვნოს და იმოქმედოს, როგორც მას სურს.

რუსუდანი და ედიშერი გვიან დაოჯახდნენ და მაიკო რომ შეეძინათ, ღვთის საჩუქრად მიიჩნიეს. რამდენიმე წლის შემდეგ ედიშერს გულმა უმტყუნა და გარდაიცვალა. დარჩნენ რუსუდანი და მაიკო მარტონი. გოგონა მაშინ მეორე კლასში იყო. რუსუდანი ისედაც სულ თავს დასტრიალებდა შვილს, ქმრის სიკვდილის შემდეგ კი ლამის კალთაზე გამოიბა. გოგონა ძალიან განიცდიდა დედის ასეთ საქციელს, ხან ტიროდა, ხან ებუტებოდა, მაგრამ არაფერი გამოდიოდა.

ნინო (მაიკოს მეგობარი): *შეყვარებული მყავდა. ეს ჩემმა მშობლებმაც იცოდნენ, მათ არაფერს ვუმალავდი, კობა შინაც ხშირად მაკითხავდა და მაიკო ამის გამო გაკვირვებას ვერ მალავდა. არაერთხელ უთქვამს ჩემთვის, — დედაჩემმა ბიჭის გვერდით რომ დამინახოს, ალბათ დამასამარებს. ის ხომ საერთოდ გამორიცხულია, შინ მესტუმროს და შეყვარებულის „სტატუსი“ ჰქონდესო. მეცოდებოდა მაიკო, ასე დაკომპლექსებული რომ ჰყავდა დედამისს. ამიტომ ვცდილობდი, ჩემ გვერდით ხშირად მყოლოდა. ორი წლის შემდეგ (მაშინ უკვე მეორე კურსზე ვიყავით), მე და კობამ დაქორწინება გადავწყვიტეთ. მეჯვარეობა მაიკოს ვთხოვე. გაუხარდა, გადამკოცნა და მომილოცა, მაგრამ ვატყობდი, რაც უფრო ახლოვდებოდა ქორწილის დღე, მით მეტად ნერვიულობდა ჩემი მეგობარი. კობას მშობლებს გურჯაანში ჰქონდათ ქორწილის გადახდა ჩაფიქრებული, დეიდა რუსუდანიც დავპატიჟე, ვიცოდი, მარტოს მაინც არ გამოუშვებდა შვილს. თურმე მაიკოსთვის მაინც აუკრძალავს — არ წახვალ*

სიყვარული თუ ეგოიზმი?

ქორწილშიო. მოვლენები ისე სწრაფად განვითარდა, არაფერი ვიცოდი; მე ჩემს საქორწილო ორომტრიალში ვიყავი ჩაფლული... მაიკომ ულამაზესი ბეჭედი მომიტანა საჩუქრად, თვითონაც მშვენივრად იყო გამოწყობილი... გურჯაანში, ქორწილი ზენიტში იყო, მაიკოს დედას რომ მოვკარი თვალი. ჩემს მეჯვარეს ფერი ეცვალა. მივხვდი, საქმე არ იყო კარგად. მასპინძლებმა, — აქაოდა, მეჯვარის დედა გვესტუმრაო თავი მოიკლეს ხვეწნით — მობრძანდით, სიძეპატარძალი დაგვილოცეთ, მეჯვარის დედას ასე იოლად ვერ შეველევითო... რუსუდანმა არც კი მოგვილოცა, მკაცრად გახედა შვილს და უთხრა: ჩემ დაუკითხავად რომ წამოხვედი აქ, ამის გამო მკაცრად დაისჯები, ახლა კი, დაემშვიდობე ყველას, გარეთ მანქანა გვიცდის, ახლავე თბილისში უნდა დავბრუნდეთო. სახტად დავრჩი, მაგრამ იმასაც მივხვდი, თხოვნას აზრი არ ჰქონდა. მაიკო სასწრაფოდ დამემშვიდობა, „მაპატიეო“ — ჩამჩურჩულა და იქაურობა დატოვა.

სამი დღის შემდეგ თბილისში დავბრუნდით მე და კობა. რა თქმა უნდა, მაიკოს შევეხმიანე. ვთხოვე, ჩემთან მოსულიყო... მთელი საათი ვაწყნარებდი და მომხდარს ვუმსუბუქებდი. მაიკოს ღაპა-ღუპით მოსდიოდა ცრემლები და ამბობდა — დედაჩემი ერთხელაც თავს მომაკვლევინებსო. ძლივს დავამშვიდე.

შემდეგ მე და კობა ორი კვირით სოჭში წავედით. ჩვენს აქ არყოფნაში, როგორც ჩანს, ერთი ომი ისევ მომხდარა დედა-შვილს შორის... ჩამოვედით თუ არა, რუსუდანმა მაშინვე დამირეკა და მითხრა: ჩემს შვილს შენთვის ბეჭედი რომ ეყიდა და პატივი ეცა, ძვირფასი ლარნაკი და ვერცხლის შანდალი გაუყიდია. არ ვიცი, როგორც გინდათ, ისე დამიბრუნეთ ჩემი ნივთებიო. კინაღამ ინსულტი მივიღე. მართალია, რუსუდანი ქვრივი იყო, მაგრამ ცხოვრება მაინც არ უჭირდათ. როცა მაიკომ ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი მომიტანა, მეგონა, დედამისმა მისცა მის საყიდლად ფული. საშინელ დღეში ჩავვარდი. გადავწყვიტე, ბეჭედი დამებრუნებინა. მაიკოს სახლთან სასწრაფო დახმარების მანქანა დამხვდა. ყურადღება არც მიმიქცევია, ისე ავირბინე მესამე სართულზე. რუსუდანი შეშფოთებული იყო. მისაღებ ოთახში ექიმები ფუსფუსებდნენ და მაიკოს თავს დასტრიალებდნენ. თურმე, გაუგონია, დედამისი რასაც მეუბნებოდა ტელეფონით და გამწარებულს თავის მოკვლა უცდია.

ამბავი მეორე
არჩევანით კმაყოფილი და ბედნიერი

ექიმებმა დროზე უშველეს. ამის მერე მაიკომ აღარ ისურვა შინ ყოფნა. ნინომ შესთავაზა, — ჩემს ბებია-ბაბუასთან წაგიყვან მცხეთაში და იქ იყავიო. მაიკოც დაეთანხმა. ის ხუთი თვე, სანამ მოხუცებთან ერთად ცხოვრობდა, ყველაზე მშვიდი და კარგი იყო გოგოს ბოლოდროინდელ ცხოვრებაში. რუსუდანს გაუჭირდა შვილის გარეშე ყოფნა. ორჯერ ჩააკითხა მცხეთაში, ჯერ ეჩხუბა, მერე სთხოვა, დაბრუნებულიყო, მაგრამ მაიკომ სასტიკი უარი უთხრა. ნერვიულობამ თავისი ქნა და რუსუდანს ინსულტი დაემართა. ნათესავებმა მაიკოს უსაყვედურეს, — შენი საქციელის გამო დედა დააავადე, ქალი ცუდადაა, ნუთუ, ახლაც არ მიხედავო? მაიკოს გული მოულბა. მას მართლაც არ შეეძლო ასეთ დღეში დედა მარტო დაეტოვებინა და დაბრუნდა სახლში. მაგრამ რუსუდანი გამომჯობინდა თუ არა, ისევ დაიბრუნა თავისი „ძალაუფლება“ და მაიკომაც მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება — მონასტერში წავიდა.

ნინო (მაიკოს მეგობარი):

მაიკოს გადაწყვეტილების შესახებ გვიან გავიგე. ის უკვე მონასტერში იყო, როცა ჩვენმა საერთო მეგობარმა მითხრა: მე დავეხმარე, დედათა მონასტერში რომ მიეღოთო. გული დამწყდა. კარგა ხანს ვერ მოვახერხე მაიკოს ნახვა. ბოლოს, როგორც იქნა, ვნახე და გაოცება ვერ დავმალე. ისეთი მშვიდი და უზომოდ კმაყოფილი იყო, თვალებს ვერ ვუჯერებდი.

— აქაა ჩემი ადგილი და სიკვდილამდე აქ ვიქნები, იმდენად კარგად ვგრძნობ თავს, არსად წასვლა აღარ მინდაო.

კი, მაგრამ შენ ხომ ძალიან ნიჭიერი გოგო ხარ, შენ საერთო საქმეში უნდა იყო ჩაფლული, შენზე დიდ იმედებს ამყარებდნენ პროფესორ-მასწავლებლები, ძლიერი იურისტი გამოვაო, — ამბობდნენ. ნუთუ, ყველას და ყველაფერს, შენს მომავალსაც ზურგს შეაქცევ-მეთქი?

— ამ გზიდან აღარ გადავუხვევ, ისე მტკიცედ მითხრა, ვეღარაფერი ვუთხარი. თურმე, მაიკოს თავისი ნათესავი სოფლიდან ჩამოუყვანია და უთქვამს, აქ იცხოვრე, მხოლოდ დედაჩემს მიხედე, სხვა არაფერი მინდა შენგანო. იმ გოგოსაც გახარებია. ბევრს ენატრება სოფლიდან ქალაქში ჩამოსვლა და ცხოვრება, მაიკოს ნათესავმა კი მზამზარეულად მიიღო ყველაფერი.

წლები გავიდა. რუსუდანი გარდაიცვალა. მაიკო ხანდახან ჩამოდის თბილისში, თავის სახლში ერთ კვირაზე მეტს ვერ ჩერდება, ისევ მონასტერში ბრუნდება. მიუხედავად მონასტრული ცხოვრების ეტიკეტისა და მკაცრი წესებისა, მაინც იქ მიუხარია. გულს მხოლოდ ის მიმშვიდებს, რომ რამდენჯერაც ვნახავ მაიკოს, ვხვდები, რომ თავისი არჩევანით კმაყოფილია. ■

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ: 899.27.25.61
ან ელფოსტით babunamarina@yahoo.com

„მამა“ — გამოძახებით

ოჯახში, სადაც ბავშვი უმამოდ იზრდება, ადრე თუ გვიან, დგება დრო, როდესაც დედამ შვილის კითხვას პასუხი უნდა გასცეს — „სადაა მამა?“

ადრე დედები ბავშვებს უყვებოდნენ ლამაზ ამბავს, აფეთქებული თვითმფრინავისა და მასთან ერთად, ტრაგიკულად დაღუპული მფრინავის შესახებ. ახლა კი „მამებს“ უბრალოდ, ყიდულობენ, რადგან ქალი როგორი დამოუკიდებელი და ვაჟკაცური თვისებებით შემკულიც უნდა იყოს, ის მამის მაგივრობას მაინც ვერ გასწევს. ამის გამო ქალებმა ეშმაკობას მიმართეს.

როგორც ჩემი რესპონდენტი ირწმუნება, უცხოეთში, მატერიალურად უზრუნველყოფილ და მარტოხელა ქალებში სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება ცრუ მამის ცნება.

„მამობის“ კანდიდატს მკაცრ მოთხოვნებს უყენებენ: ის უნდა იყოს განათლებული, ჭკვიანი, მხიარული, ბავშვების მოყვარული, გავლილი უნდა ჰქონდეს სამედიცინო შემოწმება, უნდა ეწეოდეს ჯანსაღი ცხოვრების წესს: არ უნდა სვამდეს და არ უნდა ეწეოდეს სიგარეტს. შემდეგ, მამაკაცის ასეთი სრულყოფილი „ეგზემპლარი“ წარედგინება მცირეწლოვან ბავშვს, როგორც მამა. ის ნორმალური მამასავით უნდა მოიქცეს: დილით „სამსახურში“ წავიდეს, საღამოს შინ დაბრუნდეს, ბავშვს ეთამაშოს, გაკვეთილები მოამზადებინოს, ავახშმოს და დასაძინებლად დააწვინოს. პარალელურად, ბავშვისთვის იოლად ასათვისებელი ფორმით ჩვეულებრივ, ცხოვრებისეულ ჭეშმარიტებებს უნდა აზიაროს.

როგორც კი ბავშვი დაიძინებს, „მამა“ შინ მიდის, დილით კი ბავშვის გაღვიძებამდე ცხადდება და მას ხალათსა და ფლოსტებში გამოწყობილი ხვდება. სწორედ ასეთ „მამასთან“ საუბრის საშუალება მომეცა...

მარი ჯაფარიძე

— საქართველოს ჯარში ვმსახურობდი. ბოლო რამდენიმე წელია, უმუშევარი ვარ. ბავშვთა საფეხბურთო სკოლა ჩამოვაყალიბე. ყოფილი სპორტსმენი, ფეხბურთელი ვარ და მათ ვავარჯიშებ. ბავშვები ცოტანი არიან და თითქმის ენთუზიაზმზე ვმუშაობ, მაგრამ რადგან დავიწყე, პატარებს აღარ ვუღალატე და მაინც განვაგრძობდით ვარჯიშს. ერთ დღეს ჩემი ძველი მეგობარი და ე.წ. „ჯარის ძმაკაცი“ დამიკავშირდა და საქმე მაქვსო, მითხრა. ტელეფონში არაფრით გამიმხილა, რა უნდოდა. შეეხვდით. აღმოჩნდა, რომ საქართველოში არსებული ერთ-ერთი საელჩოს მაღალი თანამდებობის პირის (მაპატიეთ, მაგრამ ვერ დავკონკრეტდები) შვილი ჩამოდიოდა აქ, რამდენიმე თვით, საცხოვრებლად. შვილი 28 წლის გოგონა იყო, რომელსაც ხელოვნური განაყოფიერებით გაუჩენია შვილი და ახლა ამ ბავშვისთვის „მამას“ ეძებდნენ, რომელიც საიმედო ადამიანი იქნებოდა. თავიდან კარგად ვერ გავიგე, რას გულისხმობდა ჩემი მეგობარი. როგორც მივხვდი, თვითონაც არ იცოდა. შემახვედრა მომავალ „სიმამრს“ და ყველაფერი ნათელი გახდა. კერძოდ, ბავშვი იყო 5 წლის და როდესაც გააცნობიერა, რომ მის მეგობრებს მამები ჰყავდათ, თვითონაც გაუჩნდა კითხვა — „სადაა მამაჩემი?“ და დედას მოსთხოვა, მისთვის მამა გაეცნო. დედას უთქვამს, რომ მამა საქართველოშია და ბაბუასთან ერთად მუშაობს და ვინაიდან საიდუმლო დავალებას ასრულებს, დარეკვის საშუალებაც არ აქვსო. მას შემდეგ, რაც საქართველოში ჩამოვიდოდნენ, აუცილებელი გახდებოდა, ეს „მამა“ გამოჩენილიყო. მერე გავიგე, რომ თურმე უცხოეთში ამის საკმაოდ დიდი პრაქტიკა არსებობს. თავიდან კი ძალიან გამიკვირდა. ეს გარიგება ხელშეკრულების საფუძველზე უნდა მომხდარიყო და თვეში 1000 დოლარს გადამიხდიდნენ.

— **ბუნებრივია, დათანხმდით...**

— რა თქმა უნდა. ეს კარგი შანსი იყო და ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა.

— **კონტრაქტის პირობები როგორი იყო?**

— კონტრაქტი რამდენიმე პუნქტისგან შედგებოდა და დაწვრილებით იყო გადმოცემული ჩემი მოვალეობები. მაგალითად, ისიც კი იყო მითითებული, რომ ბავშვისთვის დილაობით კბილების დამოუკიდებლად გამოხეხვა უნდა მესწავლებინა, საუზმის დროს ფაფაზე უარი არ ეთქვა, დამოუკიდებლად ჩაცმა და ფეხსაცმელზე ზონრის შეკვრაც კი უნდა მესწავლებინა. თამაში, გასეირნება, გართობა... ესეც ჩემს მოვალეობაში შედიოდა.

— **დაძაბული სამუშაო გრაფიკი გექნებოდათ.**

— არც ისე. ჩვეულებრივ დღეებში, დილის 7 საათიდან დილის ცხრის ნახევრამდე (მერე ვითომ სამსახურში მივდიოდი) და საღამოს 6 საათიდან ღამის 11-ის ნახევრამდე. შაბათ-კვირას — დილის 7 საათიდან ბავშვის დაძინებამდე. თუ სასეირნოდ, „მაკდონალდსში“ ან სხვაგან გასართობად მივდიოდით, ამისთვის თანხას ცალკე მაძლევდნენ. ხელფასს კი ყოველ 30-ე დღეს მიხდიდნენ.

— **როგორი იყო თქვენი პირველი შეხვედრა?**

— მე დედა-შვილს, ბაბუასთან ერთად, აეროპორტში უნდა დავხვედროდი. წინასწარ მაჩვენეს სახლი, სადაც ისინი იცხოვრებდნენ და წინასწარ იყიდეს ის საჩუქრებიც, რომელიც ბავშვისთვის უნდა დამეხვედრებინა. ბუნებრივია, აეროპორტში დასახვედრად ყვავილების თაიგულიც მათ იყიდეს. ბავშვი ჯერ ბაბუასკენ გაიქცა და ჩაეხუტა, შემდეგ მე შემომხედა — ეს მამაა? — იკითხა და როდესაც დასტური მიიღო, გამოიქცა და შემომახტა.

— **თქვენი „შვილი“ ბიჭი იყო?**

— დიახ, პატარა ედუარდი ქერა, ჩაპუტკუნებული ბავშვი გახლდათ. ძალიან ლამაზი და საყვარელი. ასეთ შვილზე მართლა არ ვიტყოდი უარს. მას ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ დედამ სიმართლე უთხრა. მე, როგორც წესიერმა მამამ, რომელსაც წლებია, შვილი არ უნახავს და ძალიან ენატრება, გულწრფელი სიხარული გამოვხატე. აღვნიშნე, რომ ამ ხნის განმავლობაში ძალიან გაზრდილა, გალამაზებულა, დავაჟკაცებულა. გამახსენდა, რომ ბავშვობაში ძალიან მომწონდა, როცა მეც ამას მეუბნებოდნენ. ამ დროს მის დედას და ბაბუას გადავხედე და მივხვდი, ჩემი ქცევით კმაყოფილი იყვნენ (მოგვიანებით გავიგე, რომ ამ „თანამდებობაზე“ ძალზე ბევრი ადამიანის კანდიდატურა განუხილავთ და არჩევანი ჩემზე გაუკეთებიათ).

— **რა ენაზე კონტაქტობდით ბავშვთან?**

— ინგლისურად. ქართულ ჯარში სამსახურის დაწყებამდე რამდენიმე წელი ამერიკაში ვცხოვრობდი და ენას სრულყოფილად ვფლობ. ბავშვის მოტყუებას რა უნდა? ბაბუამ სურათებიც კი „დააფოტოშოპა“ და დედა-შვილის გვერდით, სადაც ედუარდი ძალზე პატარა იყო, ყველა სურათში მეც ვჩანდი. შინ რომ მივედით, ბავშვს საჩუქრები „დავახვედრე“. სიხარულისგან ჭყლოპინებდა და ჩემ გარშემო დახტოდა. თუმცა, სათამაშოებისთვის დიდი ყურადღება არ დაუთმია. მას

მე უფრო ვაინტერესებდი. დედის სრულ იგნორს ახდენდა და გვერდიდან არ მშორდებოდა. თითქმის ყველა ოჯახური საიდუმლო გამიმხილა... მიამბობდა, როგორ ცხოვრობდნენ ის და დედა უჩემოდ, რომ დედას მაღაზიების ქსელი ჰქონდა მშობლიურ ქალაქში, რომ დედას ერთ მეგობარს ძალიან ცუდი ჩვევა აქვს — მის „მამაკაცურ ღირსებაზე“ ხელს ჰკიდებს და ყოველდღე ეკითხება, გაეზარდა თუ არა. რომ ის დეიდა ძალზე გულამოჭრილ კაბებს იცვამს და სასაცილოდ იცინის. ჩვენი შეხვედრის გამო მოწყობილი, ოჯახური სადილის შემდეგ თბილისის დასათვალიერებლად გავემგზავრეთ. სწორედ ამ პირველი გასვლის დროს მოვიგე მისი გული საბოლოოდ. ყურადღებით მისმენდა, როცა ამა თუ იმ ამბავს ვუყვებოდი თბილისის შესახებ და ვგრძნობდი, ცდილობდა, დაემახსოვრებინა. მის მიმართ მეც ძალიან კარგად განვეწყე და შემიყვარდა კიდეც. იმავე საღამოს რესტორანში ვივახშმეთ, სადაც, მე და ჩემმა „ვაჟმა“ ვიცელქეთ კიდეც. ვასწავლე, როგორ შეიძლებოდა ბლის კურკის გასროლა, 2 თითის ერთმანეთზე დაჭერით და უფლება მივეცი, ჩემთვის დაემიზნებინა. პირველივე მოხვედრილი „ტყვიის“ შემდეგ მეც „ცეცხლი გავუხსენი“ და კარგა ხანს ასე „ვიომეთ“. ღამის მთელი რესტორნის ყურადღების ცენტრში მოვექეცით. როგორც კი ვთხოვე, „ბრძოლა“ შეგვეწყვიტა, მაშინვე გაჩერდა და დამემორჩილა. დედამისი გაოცდა. მე მის შეჩერებას ვერ შევძლებდი, არ გაჩერდებოდა, სანამ ამას თვითონ არ მოისურვებდაო. რესტორნიდან ისე გამოვედით, თითქოს ბედნიერი ოჯახი ვიყავით. ბავშვი არაფრის დიდებით არ უშვებდა ხელიდან ჩემს საჩვენებელ თითს. მთელი ძალით იყო ჩაბღაუჭებული, თითქოს ეშინოდა, არ დავკარგულიყავი. როდესაც ლოგინში ჩავაწვინე და ძილი ნებისა ვუსურვე, მითხრა, რომ ძალიან ვუყვარდი. მე ოჯახი არ მყავს. ამიტომ, ბავშვის მხრიდან ასეთი სიყვარული ჩემთვის უცხო, მაგრამ ძალიან სასიამოვნო იყო. ერთ დღეში ღამის მართლა შვილივით შევიყვარე ედუარდი. როგორც კონტრაქტის პირობებით იყო გათვალისწინებული, მეორე დღეს, დილის 7 საათზე უკვე მათთან ვიყავი. „ცოლი“ სამზარეულოში ფაფას აკეთებდა. მე „სპეცტანისამოსი“ ჩავიცვი — ხალათსა და ფლოსტებში გამოვეწყვე. ბავშვს რვის ნახევარზე აღვიძებდა დედა და მეორე დღიდან დავიწყე მისი „წვრთნა“. დილით ვივარჯიშეთ, შემდეგ ბავშვმა იბანავა. დედამისი ამბობდა, რომ წინათ ედუარდისთვის ეს ყველაზე უსიამოვნო პროცედურა იყო. ახლა კი სიხარულით შევიდა აბაზანაში, რადგან ავუხსენი, რომ ყველა ნამდვილი მამაკაცი დილით ტანს იბანს. შემდეგ ერთობლივად კბილებიც გავიხეხეთ.

— არც ფაფის შეჭმაზე იტყობდა უარს...

— ეს ყველაზე იოლად გადასალახავი ბარიერი იყო. როდესაც მაგიდაზე „საზიზღარი“ ფაფა დაინახა, შემომხედა და უარის თქმა დააპირა, მაგრამ ჩემს სახეზე ამოიკითხა, რომ ნამდვილი მამაკაცები დილაობით ფაფას ჭამენ და უსიტყვოდ მიუჯდა მაგიდას. სიმართლე გითხრათ, ფაფა არ მიყვარს და ძლივს მოვასუფთავე თეფში, მაგრამ ჩემი ახალი პროფესია მაიძულებდა, ასე მოვქცეულიყავი. შემდეგი რამდენიმე კვირის მანძილზე ბავშვს ბევრი რამ ვასწავლე. ჩემი დამქირავებელი კმაყოფილი იყო შესრულებული სამუშაოთი. ორთვლიანი ველოსიპედის მართვაც კი ვასწავლე. აღარც დედას ეურჩებოდა. როდესაც მივიჩნიე, რომ ბავშვის ყველა უარყოფითი თვისება „გავანადგურე“, აღმოვაჩინე, რომ რასაც კი ბავშვი ხელს ჰკიდებდა, ყველაფერი იმტვრეოდა. ის „მოსიარულე ალიაქოთი“ იყო. რაც ძირს დაგდებით არ იმტვრეოდა, ჩაქუჩითა და სხვა ინსტრუმენტების დახმარებით ახერხებდა ამას. წინათაც ასე ყოფილა, მაგრამ მაშინ ნამტვრევები მთელ ოთახში იყო მიმოფანტული, თურმე. ახლა კი ის შეიცვალა, რომ ამ ნამტვრევებს ბავშვის ოთახში, ერთ კუთხეში ვაგროვებდით და დედა ამითაც კმაყოფილი იყო. მე კი ხელფასით ვიყავი კმაყოფილი.

— რა ხნის განმავლობაში გაგრძელდა თქვენი ურთიერთობა?

— 3 თვე და 2 კვირა. როდესაც ბოლო ხელფასი გადამიხადეს, გამიხარდა, 2 კვირის ნაცვლად მთელი თვის თანხა მომცეს, მაგრამ შინაგანად თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი. ყველაზე რთული მომენტი დგებოდა — განშორება. მე მართალია, უცხო ბავშვს ვემშვიდობებოდი, მაგრამ ის — მამას. წარმოვიდგინე, რომ დილაობით, როდესაც გაიღვიძებდა, მე ვერ დამინახავდა და შემეცოდა, მაგრამ განშორება გარდაუვალი იყო. ისინი თავის სახლში უნდა დაბრუნებულიყვნენ, მე კი აქ უნდა დავრჩენილიყავი. თუმცა, ამჯერად უფლება მეძლეოდა, მისთვის წერილები მიმეწერა და ძალიან იშვიათად ტელეფონზეც დამერეკა. როდესაც ბავშვმა გაიგო, რომ მიემგზავრებოდა, ჯერ ტირილი დააპირა, მერე გადაიფიქრა, რადგან ვუთხარი, რომ ნამდვილი მამაკაცები არ ტირიან. ამის პასუხად მითხრა, როდესაც გაიზრდებოდა, სხვა ქვეყანაში სამუშაოდ არ წავიდოდა და შვილს მარტო არ დატოვებდა. გამოსამშვიდობებელი სადილი მე და ჩემს „შვილს“ კაფეში გვქონდა... საღამოს კი, როდესაც დასაძინებლად დავაწვინე, ვაკოცე და სამუშაო ადგილი სამუდამოდ დავტოვე.

— უცნაური თავგადასავალი გქონიათ. ბავშვის დედის მიმართაც რაიმე გრძნობა ხომ არ გაგიჩნდათ?

— არა, არავითარი. ჩვენ შორის მხოლოდ ისეთი ურთიერთობა იყო, როგორიც შეფსა და ხელქვეითს შორის, მაგრამ უცნაური ის იყო, რომ ცხოვრებაში ძალზე ბევრ საყვარელ ქალს დავშორებივარ, მაგრამ ასე არასოდეს მინერვიულია. მართალია, მითხრეს, რომ აეროპორტში ჩემი მისვლა აუცილებელი არ იყო, მაგრამ მე მაინც მივედი და ბავშვს მალულად ვადევნებდი თვალს. ხშირად ვიღებ მისგან წერილებს, რომელიც ჩემამდე ბაბუამისს მოაქვს და ყველა წერილში მსაყვედურობს იმის გამო, რომ ამდენი ხნის განმავლობაში მის ნახვას ვერ ვახერხებ. საპასუხო წერილებში ვწერ, რომ მენატრება და ვეუბნები, დედას დაუჯეროს. ყველაზე მეტად კი იმის მეშინია, რომ ერთ მშვენიერ დღეს დედამისმა „არ მომკლას“... ისეც ხომ ხდება ხოლმე, რომ მამები, რომლებიც საიდუმლო დავალებებს ასრულებენ, იღუპებიან. ღმერთმა ნუ ქნას...

■

დასაწყისი იხ. გვ. 33

— კი, ვინახავ.

— ლიცენზია უნდა, არა?

— კი, უნდა, — მე ხომ 10 ლიცენზია მქონდა ერთად...

— ჰოდა, მეც შევინახავ ოჯახს... რა პრობლემაა? აი, აი, აქ შეუხვიე, — მითხრა და დიღმის გზაზე ერთ-ერთი სასტუმროს ეზოზე მიმითითა.

შევუხვიე და მანქანა ისე გავაჩერე, რომ გზიდან არ გამოჩენილიყო. ნაცნობს რომ გაევლო და ჩემი მანქანა სასტუმროს ეზოში ენახა, მიდი მერე და უმტკიცე, რომ ტაქსის მძღოლი ვიყავი და კლიენტი მივიყვანე... ვინ „ჭამს“ მაგას?

— გინდათ, გამოგყვეთ? — არ მასვენებდა პირველი და ძველი პროფესიის „ჭია“.

— კი, მინდა, — აშკარად გაუხარდა ქალს.

სასტუმროს ადმინისტრატორს 20 ლარი მისცა, რომლის სანაცვლოდაც, მიიღო ინფორმაცია იმის შესახებ, რომელ ნომერში იყო მისი ქმარი.

— მაღალი, სიმპათიური, შავგვრემანი, მწვანეთვალება კაცია, ცისფერი პერანგი აცვია, აი, იმ მანქანითაა მოსული, — ხელი გაიშვირა ეზოში მდგარი ჯიპისკენ.

იმანაც, ხალისით ჩაუკაკლა ყველაფერი.

კიბეს ავუყევით და მინიშნებულ ნომერს მივადექით. კარი მოსინჯა და ღია დახვდა... შეიჭრა ეს ჩემი კლიენტი ოთახში და დაეცხრა საწოლზე მყოფთ თავზე. იქ ისეთი სიტუაცია „აიწია“, ერთი გადახარხარება ყველაფერს მერჩივნა.

წყვილს როგორც ჩანს, ტკბილად ეძინა და ასე უცებ, ქარიშხალივით თავს დატეხილ ცოლს არ ელოდა. ქალმა ბალიშს წამოავლიო ხელი და დაუშვა თავში ქმარს. ამასობაში ბალიში გაიხა და მისი „ბუმბულები ველად გაჰქონდა ნიავსა“...

ოთახი ბუმბულით გაივსო. ამ ბუმბულის „წვიმაში“ ადამიანების გარჩევაც კი ჭირდა. ქმარი, როგორც იქნა, საწოლიდან წამოხტა და ცოლს ეძგერა. ხელები გაუკავა. ეს ეცა და კბილებით ღიპს ჩააფრინდა. ქმრის საყვარელი კი თმაზე დაეჭიდა, მაგრამ ვერა და ვერ ააგლიჯა კაცს... მოკლედ, დიდი ორომტრიალი იყო...

მე გარეთ გამოვედი, შემთხვევით მეც არ მომხვედროდა. უფრო კი იმისთვის, რომ გულიანად მეხარხარა.

ათიოდე წუთში ჩემი კლიენტიც ტყვიასავით გამოვარდა. როგორც ჩანს, ქმარმა საყელოში ჩაავლო ხელი და გარეთ გამოისროლა. ამას თმაში ბუმბულები ჰქონდა გარჭობილი, სახე გასწითლებოდა და ისეთი დასანახავი იყო, სიცილის შეკავება ნამდვილად გმირობის ტოლფასი იყო.

ვინაიდან მე გმირი არა ვარ, ამიტყდა ხარხარი... ამან შემომხედა, შემდეგ დერეფანში, კედლის სარკეში ჩაიხედა და თვითონაც ახარხარდა. ამ სიცილ-ხარხარზე ნომრიდან მისმა ქმარმა გამოიხედა. ალბათ აინტერესებდა, მისი ცოლი ხომ არ გაგიჟდა და ამიტომ ხომ არ იცინოდა ასე გულიანად. ეს ისევ ეცა, მაგრამ მამაკაცმა კარი ცხვირწინ მოხურა და ქალმა ვერ მოასწრო, თმაში სწვდომოდა...

— წავიდეთ, წავიდეთ, — მითხრა აქოშინებულმა და პირველი დაეშვა კიბეზე.

ისევ ვაკეში წავიყვანე. 50 ლარი გადამიხადა, ბოდიშიც მომიხადა, ტელეფონის ნომერი გამომართვა და წავიდა.

ამის შემდეგ კლიენტმა — არა, მაგრამ პატრულმა წვრილმანი დარღვევისთვის გამაჩერა. კიდევ კარგი, მეგობრების რჩევა გავითვალისწინე და პატრულის მანქანას შორიდანვე თვალი მოვკარი თუ არა, ფანჯრიდან ხელი გავყავი და ტაქსის ნიშანი მოვხსენი, თორემ არ ამცდებოდა ჯარიმა ლიცენზიის არქონის გამო.

მათ მოთხოვნას დავემორჩილე და მანქანა გზის ნაპირზე დავაყენე. ვინაიდან ვიცოდი, რომ წესი დავარღვიე, ხმაც არ ამომიღია, ისე დავეთანხმე მათ მიერ წაყენებულ ბრალდებას და 10-ლარიანი ჯარიმის ფურცელსაც უსიტყვოდ მოვაწერე ხელი.

კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ავტომობილი ფუფუნება კი არა, მძღოლის ჯიბიდან სახელმწიფოს ბიუჯეტში თანხის გადატანის საშუალებაა და გზა განვაგრძე.

შემდეგი კლიენტები ისევ ვაკეში ავიყვანე. საშუალო ასაკის ცოლ-ქმარს საუბრის მანერაზე ეტყობოდა, რომ იმ უბნიდან იყვნენ, სადაც „ფანტანიც“ კი ყავას აფრქვევს. ისინი ყაზბეგის გამზირზე გავიყვანე...

— აი, აქ, ამ სადარბაზოსთან გააჩერეთ, — მამაკაცმა ერთ-ერთი კორპუსის სადარბაზოზე მიმითითა.

— კატა რომ დგას, აი, იქ, — დააზუსტა ქალმა.

— უკაცრავად, წინა თათებთან გაგიჩეროთ თუ უკანა თათებთან? — აშკარად ირონია გავურიე ინტონაციაშიც, ხმაშიც, მზერაშიც და ღიმილშიც, მაგრამ „გადაყლაპეს“ და არაფერი უთქვამთ. ან იქნებ, თავი არ გამიყადრეს? რა ვიცი... რა ვიცი...

მათ შემდეგ 2 მამაკაცი ავიყვანე (რა მძღოლური ტერმინებია, დააკვირდით?!).

გაუხარდათ ჩემი დანახვა.

— ვაა, კარგ ფეხზე გამოვედით, არა? — ჰკითხა ერთმა მეორეს.

— ჰო, მაშ, — კვერი დაუკრა იმან...

— აუ, ერთ მაგარ ანეკდოტს მოგიყვები, ტაქსის მძღოლზე და არ გაგიტყდეს, რაა, — შემომთავაზა პირველმა.

თავი დავუქნიე.

— „კაროჩე“, კაცმა ტაქსი გააჩერა და უკან ჩაჯდა. მიდიან, მიდიან და უცებ, მამაკაცმა ტაქსის მძღოლს მხარზე ხელი დაადო. მძღოლმა შეყვირა, შეხტა, საჭეს ხელი გაუშვა და ხეს შეასკდა. კლიენტმა ნატკენ შუბლზე ხელი მოისვა, მინის ნამსხვრევები გადაიფერთხა. მძღოლი მივიდა და ბოდიშს უხდის. აუ, ძმაო, მაპატიე, რა, 3 დღეა, რაც ტაქსის მძღოლად ვმუშაობ. მანამდე კატაფალკის მძღოლი ვიყავიო...

ახლა აქ შევწყვეტ თხრობას და მომდევნო ნომერში მოგახსნებთ ჩემი დანარჩენი კლიენტების — მღვდლის, შეყვარებული წყვილის, ნარკომანი მამაკაცისა და კიდევ ერთი, ძალიან საინტერესო კლიენტის შესახებ. ახლა მოდაშია სერიალები და მეც ჩემი დღევანდელი სიტუაციის ახალ „სეზონს“, „ტაქსი2“-ს შემოგთავაზებთ. მაშ ასე, დროებით. ■

ითმცა ყოველდ ვეცნობენ, მაინც ვუყვარვართ



სამყარო

ფერწერა მძივებით

ცნობილ მსახიობ ოდრი ჰეპბერნთან მსგავსების გამო, ახალგაზრდობაში მას „თბილისელ ოდრის“ ეძახდნენ. 14 წლის იყო, როცა „აკაკის აკვანში“ გადაიღეს, მერე „ქეთო და კოტეში“, მთავარ როლზეც დაამტკიცეს, მაგრამ... არშემდგარ როლზე დღეს სინანულით ლაპარაკობს. მის ცხოვრებაში იყო წარმატებაც, ბევრი სიხარულიც და დიდი ტრაგედიაც. როცა ეგონა, რომ ყველაფერი დამთავრდა, ახალი ცხოვრება სწორედ მაშინ დაიწყო. ვისაც მძივებით ფერწერაზე არაფერი გსმენიათ, ხელოვან ნელი ბერაიას ფერად სამყაროში გეპატიჟებით. მერწმუნეთ, ნანახი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბებს. თამარ მეფე, ღვთისმშობელი ყრმა იესოთი, დავით აღმაშენებელი — ამ სიწმინდეებთან ერთად, ხელოვანს თქვენთვის კარგად ნაცნობი არაერთი ადამიანის პორტრეტიც აქვს შექმნილი.

„თბილისელ ოდრის“ მეძახდნენ“

ანუ გვიან მოსული მუზა და არშემდგარი როლი

თამუნა კვინიკაძე

— დეიდაჩემი მხატვარი იყო. ის ძალიან ნიჭიერი და ამავდროულად, ზარმაცი გახლდათ. ძალიან მინდოდა, დავეხატე, მაგრამ სიზარმაცე ვერ დასძლია. ამბობდა, ჩემი ოცნება თამარ მეფის დახატვაა, მაგრამ ისე გარდაიცვალა, არც მე დამხატა და არც — თამარი. 14-15 წლის წინ ის სიზმარში ვნახე და ვუსაყვედურე: მთელი ცხოვრება გეხვეწებოდი, დაგეხატე და თხოვნა არ შეისრულე; მე თუ არა, თამარ მეფე მაინც რატომ არ დახატე-მეთქი? რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, შემდეგ მომიბრუნდა და მითხრა: აიღე ფანქარი და თვითონ დახატეო. გავიკვირვე: როგორ, როცა ხატვა არ ვიცი-მეთქი?! მიპასუხა: შენ ამას აუცილებლად შეძლებო! სიმართლე გითხრათ, მაშინ ამ სიზმრისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. გავიდა დრო და ისევ საოცარი სიზმარი ვნახე: ვხედავდი, ჩემი სხეული ჰაერში იყო გაჩერებული. უეცრად, გარდასახვა მოხდა — ჩემ ნაცვლად თამარ მეფე გაჩნდა. აღმომხდა: ცოცხალი ყოფილხართ და საფლავს რატომ ეძებენ-მეთქი? ის იმწუთასვე გაქრა, მე კი შევწუხდი, — ნეტავ, სად წავიდა-მეთქი? ამ დროს ხმა ჩამესმა: იერუსალიმში წავიდაო; სიზმარი რეალურს იმდენად ჰგავდა, რომ თამარის სახეც კი დამამახსოვრდა.

— და დახატეთ, არა?

— არა, ხატვა იმ დღიდან არ დამიწყია. რაღაც დროის შემდეგ, ერთ დღეს, როცა სახლში ვიყავი და ჟურნალს ვკითხულობდი, რაღაც ძალამ ფეხზე წამომაგდო — კარადასთან მივედი, დეიდას დატოვებული ძველი ალბომი გადმოვიღე, სუფთა სახატავი ფურცელი, ფანქარი მოვძებნე და ხატვა დავიწყე. როცა ხატვა დავასრულე, შოკში ჩავვარდი — ჩემ მიერ დახატული თამარი სიზმარში ნანახს საოცრად ჰგავდა... შემდეგ კარადიდან ის მძივები და ბისერები გამოვიტანე, რომელსაც ახალგაზრდობიდან ვაგროვებდი და ნახატზე მივამაგრე. ჩემი პირველი ნამუშევარი ხელოვნებათმცოდნეებმა შედევრად აღიარეს.

— და ის ამჟამად სად ინახება?

— ავსტრიაში, ერთ-ერთმა კოლექციონერმა 5.000 დოლარად შეიძინა. ვფიქრობ, ძალიან დაბალ ფასში გავყიდე — ძვირფასი ბისერები და ჩეხური მძივები მქონდა გამოყენებული.

— როგორც ვიცი, თამარ მეფე რამდენჯერმე დახატეთ...

კადრი ფილმიდან „აკაკის აკვანი“

— დიახ, ჩემი მორიგი ნამუშევარი 10.000 დოლარად, რუსეთში მცხოვრებმა ქართველმა შეიძინა, მერე კი უფრო ძვირად გაყიდა... თამარის ერთი პორტრეტი სახლში მაქვს, მეორეზე კი შოთა რუსთაველთან ერთად გამოვსახე — მას მეფესთან „ვეფხისტყაოსანი“ მიაქვს.

— ერთ სურათზე მუშაობას რამდენ ხანს ანდომებთ?

— თამარის პირველ სურათზე მუშაობას 6 თვე მოვანდომე, რადგანაც მაშინ გამოცდილება არ მქონდა, მერე კი ტექნოლოგია თანდათან დავხვეწე და ახლა გაცილებით ნაკლები დრო მჭირდება.

— ნახატზე ბისერის დასამაგრებლად მხოლოდ წებოს იყენებთ?

— დიახ და სხვათა შორის, წებოს დამზადების ჩემეული ტექნოლოგია მაქვს. ის იმდენად მდგრადია, რომ თამამად შემიძლია ვთქვა: ჩემი ნამუშევრები საუკუნეებს გაუძლებს!

— თქვენს კოლექციაში არაერთი წმინდანის ხატია. მორწმუნე ხართ?

— ღმერთის მწამს, მაგრამ მოძღვარი არ მყავს, ეკლესიური ცხოვრებით ვერ ვცხოვრობ. ერთხელ, ჩემ მიერ დაწერილი ხატები სამებაშიც გამოფინეს და მათ სანახავად პატრიარქი მისულა. სამწუხაროდ, იმ დროს ტაძარში არ



ვიყავი. თურმე, უწმინდესს ნამუშევრები ძალიან მოსწონებია და უთქვამს: თითოეულ მათგანში უდიდესი შრომაა ჩადებულიო.

— არაერთი ცნობილი ადამიანის პორტრეტი და ბევრი კომპოზიციაც გაქვთ გაკეთებული. როგორც ვიცი, პაატა ბურჭულაძის პორტრეტი ახლახან გაყიდეთ.

— დიახ, პაატას პორტრეტი მისმა ერთ-ერთმა მეგობარმა შეიძინა და დაბადების დღეზე მიართვა.

— თუ საიდუმლო არ არის, რამდენი გადაიხადა?

— საკმაოდ რთული კომპოზიცია იყო, ბევრი ფერის გამოყენება მომიხდა. თანაც, სვაროვსკის თვლებით და მარგალიტებით გავაფორმე. მართალია, ის სურათი 5.000 დოლარად შეაფასეს, მაგრამ 4.000-ად გავყიდე... ლეილა აბაშიძის, ნანი ბრეგვაძის, ნინო ანანიაშვილის პორტრეტები ჯერჯერობით, ჩემთან ინახება.

— იმდენად მეტყველი სახეებია, ძნელია დაიჯერო, რომ მძივებითაა შექმნილი; ფერწერულ ტილოებს უფრო ჰგავს.

— ეს არის ფერწერა მძივებით. როგორც მითხრეს, ამ ჟანრში სხვა არავინ მუშაობს.

— ბისერების გარდა, კიდევ რას იყენებთ?

— თმას. აი, ლეილა აბაშიძის პორტრეტს ნამდვილი თმა აქვს. ლეილამ რომ ნახა, ისე მოეწონა, თვალს ვერ აშორებდა. თმის გარდა, ბუმბულსაც ვიყენებ. სხვათა შორის, მძივის და ბუმბულის კომბინაცია ძალიან უცხო და საინტერესოა.

— თქვენს პორტრეტზე რას გვეტყვით? აქ მსახიობ ოდრი ჰეპბერნს ჰგავხართ...

— (*იღიმის*) ახალგაზრდობაში ცუდი გოგო არ ვიყავი. „თბილისელ ოდრის“ მეძახდნენ. ერთხელ მოსკოვში, ქუჩაშიც

გამაჩერეს და მკითხეს: — თქვენ ოდრი ხართო?.. ეს პორტრეტი ფოტოდან გადმოვიტანე.

— ფოტოს ავტორი ვინ არის?

— გურამ თიკანაძე. ჩვენ ერთმანეთის მეზობლად ვცხოვრობდით და ოჯახში ხშირად გვსტუმრობდა. მისი გადაღებული სხვა ფოტოც მქონდა, მაგრამ დავკარგე.

— „აკაკის აკვანში“ ეპიზოდური როლი გაქვთ შესრულებული. გადასაღებ მოედანზე როგორ მოხვდით?

— მაშინ 14 წლის ვიყავი. რეჟისორმა კოლია პიპინაშვილმა ქუჩაში მნახა და ისე მოვეწონე, რომ ჩემთვის როლი გამოიგონა. ამ ფილმში სახელიც კი არ მქვია, აკაკის ძმის საცოლედ მივიჩნევი. გადაღებების დროს მე და მედეა ჯაფარიძე დავმეგობრდით. ამ ფილმმა სახელი გამითქვა, ჩემი და მედეას ფოტოები იყიდებოდა... „ქეთო და კოტეში“, ქეთოს როლზეც დამამტკიცეს, მაგრამ აღარ გადამიღეს.

— რატომ?

— ქეთოს როლის სინჯებზე დამიბარეს. აღმოჩნდა, რომ ტაბლიაშვილს მედეა ჯაფარიძის გადაღება უნდოდა, სამხატვრო საბჭომ კი დიდი ბრძოლის შემდეგ, მე დამამტკიცა. ერთ დღეს დამიბარეს და ხელშეკრულებაც გამიფორმეს. გადაღება 10 მაისიდან უნდა დაწყებულიყო. სიხარულისგან მეცხრე ცაზე ვფრინავდი. დირექციის კიბე სიხარულით ჩამოვირბინე. პირველი მიხეილ ჭიაურელი შემხვდა, მომილოცა და მითხრა: თავი ქუდში გაქვს და აბა, შენ იცი, როგორ ითამაშებო. 10 მაისამდე ბევრი დრო იყო, მე და დედა დასასვენებლად წავედით. ისე მოხდა, რომ გადაღება დათქმულ დროზე ადრე დაიწყეს. მე დირექციაში ჩემი ადგილსამყოფლის მისამართი არ დამიტოვებია და დაიწყეს ჩემი ძებნა. ამ დროს კინოსტუდიაში დეპეშა მივიდა, რუსული ტექსტით: „ნელი ავარიაში მოყვა, უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფება“. ჩემს „კეთილისმსურველს“ ისიც არ დაზარებია, რომ ბორჯომში ჩასულიყო და მეტი დამაჯერებლობისთვის, დეპეშა იქიდან გამოეგზავნა. რა თქმა უნდა, ეს ამბავი ყველამ გაიგო. ტაბლიაშვილმაც, არ დააყოვნა და სასწრაფოდ, მედეა გამოიძახა, გადაღებები დაიწყო. ჩემი ავარიაში მოყოლის ამბავმა ბუნებრივია, ჩემს სანათესავომდეც მიაღწია და ლამის, გამომიგლოვეს. მამა საკმაოდ მკაცრი იყო, ამ ამბავმა ძალიან გააბრაზა და კატეგორიულად განმიცხადა, რომ მსახიობობაზე აღარც კი მეფიქრა! ასე დამთავრდა ჩემი კინოკარიერაც.

ლეილა აბაშიძის პორტრეტი

— თქვენი „კეთილისმსურველის“ ვინაობა ვერ დაადგინეთ?

— დღემდე არ ვიცი, ასე ვინ მოიქცა. დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მედეა ჯაფარიძეს ამ ამბავთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა.

— როგორც ვიცი, პროფესიით ჟურნალისტი ხართ.

— დიახ. ვიდრე ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩავაბარებდი, ნიჭიერთა ათწლედში ვსწავლობდი, სადაც ზურაბ ანჯაფარიძის რჩევით მივედი; შემდეგ სწავლა მოსკოვის კონსერვატორიაში გავაგრძელე, მაგრამ ჯანმრთელობამ არ შემიწყო ხელი — ხშირად ვცივდებოდი და გლანდების ოპერაციის შემდეგ, ხმა საერთოდ დავკარგე. მოგვიანებით, მოსკოვში, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩავაბარე, მაგრამ კინოსტუდიაში მუშაობა მაინც არ ამცდა: ჯერ სცენარებს ვთარგმნიდი, შემდეგ — ტექნიკურ რეჟისორად, ბოლოს კი გახმოვანებაზე ვმუშაობდი. სწორედ იმ წლებში გავიცანი ქალბატონები — სესილია თაყაიშვილი და ვერიკო ანჯაფარიძე, რომლებიც „ბებერ მეზურნეებზე“ მუშაობდნენ. ცხოვრებაში ბევრ საინტერესო ადამიანს შევხვედრივარ. კინოსტუდიაში გავიცანი მსახიობი ირაკლი უჩანეიშვილი, რომელსაც ჩემი ბედი დავუკავშირე. ორივესთვის მეორე ქორწინება იყო და ერთად 11 წელი ვიყავით... ჩემს ცხოვრებაში ორი დიდი ტრაგედია მოხდა.

— რას გულისხმობთ?

— ორი შვილი მყავდა — მარინა და ვაჟა, ორივე დამეღუპა: მარინა 25 წლის იყო, მშობიარობას რომ გადაჰყვა; ვაჟა პროკურორი გახლდათ. 35 წლის ასაკში, როცა დაოჯახებას აპირებდა, ვიღაცები სახლის გაძარცვის მიზნით ბინაში შეუცვივდნენ და მომიკლეს. რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ორივეს გარდაცვალებამდე სიზმარი ვნახე —

შოთა რუსთაველს მეფესთან „ვეფხისტყაოსანი“ მიაქვს

ღვთისმშობელი ყრმა იესოთი

ვიცოდი, რომ ასე მოხდებოდა. იმ სიზმრების გახსენება ყოველთვის ცუდად მხდის. მაპატიეთ, ვერ მოგიყვებით...

— ახლა მარტო ცხოვრობთ?

— მხოლოდ ერთი შვილიშვილი მყავს — ლაშა, რომელიც ოჯახთან ერთად, ქუთაისში ცხოვრობს. ერთმანეთს იშვიათად ვნახულობთ. ტკივილსა და დარდს ეს ნამუშევრები მიმსუბუქებს.

— მუშაობის პროცესში ყველაზე დიდი სირთულე რა არის?

— ყველაზე რთული თვალების, ყურებისა და ხელების გაკეთებაა. ისე, თავიდან უფრო ვწვალობდი, განსაკუთრებით — თვალებზე. არ მინდოდა, თოჯინასავით უმეტყველო თვალები გამომსვლოდა და ამიტომაც, რამდენჯერმე ვშლიდი, ხელახლა ვაწყობდი. ახლა ვიცი, როგორ უნდა ვიმუშაო და აღარც ვწვალობ.

— შეკვეთებს თუ იღებთ?

— დიახ. დავით სარაჯიშვილის სურათი ფოტოს მიხედვით გავაკეთე. მისი დამზადება საიუბილეო საღამოსთვის შემიკვეთეს.

— თბილისში უკვე არაერთი გამოფენა გქონდათ. თქვენი ნამუშევრების საზღვარგარეთ გატანა არ გიცდიათ?

— ამის სურვილი ნამდვილად მაქვს და კარგი იქნება, კულტურის სამინისტროც თუ დამეხმარება. მაისში დიდი გამოფენა-გაყიდვის მოწყობას ვგეგმავ.

— წარმატებას გისურვებთ!

P.S. დასანანია, რომ ნელი ბერაიას ნამუშევრების „სიმდიდრე“ ფოტოზე სრული ეფექტით არ გადადის. მსახიობ ჯემალ მონიავას მის ერთ-ერთ გამოფენაზე, შთაბეჭდილების წიგნში ჩაუწერია: „ეს ნამუშევრები უცხო ხელოვანს რომ ჩამოეტანა თბილისში, წარმოუდგენელი აჟიოტაჟი ატყდებოდა და ყველაფერს პირწმინდად დაიტაცებდნენ, მაგრამ საკუთარ ქვეყანაში, ცოცხალ ხელოვანს ფასი არა აქვს...“ ■

ინდური ტრადიციული ქორწილი და მდიდრული მზითევი

ინდური ქორწილი მსოფლიოში ყველაზე ლამაზ და უძველეს ტრადიციადაა აღიარებული. მიუხედავად რელიგიური მრავალფეროვნებისა (ინდოეთში ბუდისტები, ქრისტიანები, მუსლიმანები და სხვა რელიგიის წამომადგენლები ცხოვრობენ), ამ ქვეყანაში საქორწინო რიტუალი თითქმის ყველას ერთნაირი აქვს. ძველად, ბიჭის მშობლები ვაჟისთვის საცოლეს თავად ეძებდნენ და შვილი ვალდებული იყო, დედ-მამის ნებას დაჰყოლოდა — მათ მიერ არჩეულ გოგონაზე დაქორწინებულიყო.

ინდურ ოჯახში უფროსი ქალი ანუ დედამთილია. თუ გოგონა უმცროს ვაჟს მიჰყვება ცოლად, ის ქმრის უფროსი ძმების რძლებსაც უნდა დაექვემდებაროს. მართალია, ახლა ახალგაზრდები არჩევანს თავად აკეთებენ, მაგრამ რამდენიმე ჩვეულება უცვლელი დარჩა. ქორწილამდე რამდენიმე თვით ადრე, ვაჟის მშობლები წყვილის ჰოროსკოპს ადგენდნენ (ასტროლოგია ინდოეთში სერიოზულ მეცნიერებად მიიჩნევა, მას უნივერსიტეტში სწავლობენ) და თუ შეყვარებულებს ვარსკვლავები ბედნიერებას უწინასწარმეტყველებენ, მათ ქორწინების ნებას რთავენ — ასე ძირითადად, სამხრეთ ინდოეთში ხდება, ჩრდილოეთში კი უპირატესობა კასტას ენიჭება — მთავარია, შეყვარებულები ერთი კასტის წარმომადგენლები იყვნენ. თუ ქორწილი დაინიშნა, გოგოს მშობლები 2-3 თვის განმავლობაში, მზითევს ამზადებენ: უამრავი სარი, ყველა საოჯახო ნივთი და ათეულობით კილოგრამი ოქრო. ქორწილში 700-800 ადამიანს ეპატიჟებიან, ზოგჯერ კი 3000-ზე მეტი სტუმარიც იყრის თავს. კერძების მომზადებაზე მეტი თანხა ბინის მორთვაში იხარჯება. აქტუალურია ხალიჩები, ყვავილები, დეკორაცია და განათება.

ქორწილამდე 4 დღით ადრე ბიჭის ყველა ნათესავი მის ოჯახში გადადის საცხოვრებლად. მასპინძლის ვალია, მათ მდიდრულად გაუმასპინძლდეს და არაფერი მოაკლოს. თუ სიძეს დიდი სახლი არა აქვს, სასტუმროს ქირაობს. მიუხედავად იმისა, თუ რომელი ქვეყნიდან არიან სტუმრები, ყველას ინდური ნაციონალური ტანსაცმელი უნდა ეცვას. ქორწილის დღეს, პატარძლის ოჯახში მისვლამდე, სიძის ნათესავები საქორწინო ცეკვებს ასრულებენ, შემდეგ კი ყვითელ ფერს — მზისა და ერთგულების სიმბოლოს ადიდებენ; შუბლს ყველა ყვითლად იღებავს და ერთმანეთს ამავე ფერის ფხვნილს აყრიან; სამამამთილო ხმამაღლა, წინაპრების სახელს ახსენებს, რათა მათაც გაიგონ, რომ შთამომავალი უბედნიერდებათ. პატარძალთან საღამოს მიდიან. თეთრ რაშზე (ზოგჯერ სპილოზე, თანამედროვე სიძეები კი ლიმუზინსაც ქირაობენ) ამხედრებულ სიძეს ოქროს სირმებით გაწყობილი, ტრადიციული სამოსი უნდა ეცვას. ნათესავები ცეკვა-სიმღერით მიჰყვებიან. საინტერესოა, რომ საქორწინო ცერემონიამდე ნეფე-პატარძალს აშიმშილებენ, მათ არაფრის ჭამის უფლება არა აქვთ. პატარძლის ოჯახში სამლოცველოს აგებენ და პალმის ფოთლებითა და სხვადასხვა სურნელოვანი, ძირითადად, ყვითელი ფერის ყვავილებით რთავენ. სასიძო პატარძლის გამოჩენას ელოდება. წითელ, მდიდრულ სარიში გამოწყობილი პატარძალი რამდენიმე ადამიანს, ტახტრევანით შემოჰყავს. პატარძალი და სიძე სარიტუალო ცეცხლს შვიდჯერ შემოუვლიან და მხოლოდ ამის შემდეგ აქვთ ერთმანეთისთვის შეხედვის უფლება. ბრამინი — ინდოელი მღვდელი, ლოცვების წაკითხვის შემდეგ, სიძე-პატარძალს შუბლზე წითელ საღებავს — ბინდის უსვამს, რაც იმას ნიშნავს, რომ წყვილი დაქორწინდა. ყვავილის გირლანდების გაცვლის შემდეგ, საქორწინო ცეკვა-სიმღერის დრო დგება.



მიუხედავად იმისა, რომ ინდურ ქორწილზე ალკოჰოლურ სასმელს არ მიირთმევენ, ხალხი მაინც მხიარულობს, საქორწილო ცეკვები და სიმღერები დილამდე გრძელდება. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ქორწილის დღეს დანახარჯმა შესაძლოა, 5 მლნ დოლარსაც გადააჭარბოს.

პატარძლის ჩაცმულობა ცალკე თემაა. ტრადიციული ქორწილი 7 დღეს გრძელდება და პატარძალს ყოველდღე სხვადასხვა ფერის სარი უნდა ეცვას: პირველ დღეს ღია ვარდისფერი, ბოლო დღეს — მუქი წითელი. ქორწილის დღეს მას იმდენ ოქროს სამკაულს ჰკიდებენ, რომ დამოუკიდებლად, სხვის დაუხმარებლად გადაადგილება უჭირს; პატარძალს ხელებსა და ფეხებზე ინით სარიტუალო ნახატებს — მეჰენდის უკეთებენ. ტრადიციის მიხედვით, ნახატის ორნამენტებში საქმროს სახელი უნდა იყოს ჩახატული. ნახატისა და სამკაულის გამო, პატარძალს ქორწილის დღეს ფეხსაცმელი არ აცვია. ■

მიძინებული და ბობოქარი ვულკანები

დღესდღეობით მსოფლიოში რამდენიმე მოქმედი და მიძინებული ვულკანია. აი, ზოგიერთი მათგანი:

ვულკანი ეტნა იტალიის სამხრეთით, კუნძულ სიცილიაზე, 3340 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს;

ისლანდიაში ყველაზე მაღალი ვულკანი (1491 მეტრი) ჰეკლაა; აქვეა გინესის წიგნში შესული „ლაქი“. 1783 წელს, მისი გავარვარებული მასა 65-70 კმ-მდე მიედინებოდა;

ელბრუსი 5621 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. სიმაღლის მიუხედავად, მის სანახავად უამრავი ადამიანი მიდის. მათი უდიდესი ნაწილი სიცივეს ვერ უძლებს და გზაშივე იყინება;

3776 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს იაპონიის წმინდა მთა ფუძიამა;

ინდონეზიის ყველაზე სასტიკ ვულკანად ტამბორა მიიჩნევა — 1815 წლის 5-7 აპრილს, მისი ამოფრქვევის შედეგად 92 ადამიანი დაიღუპა. ვულკანმა 150-180 კუბ/კმ ლავა და ფერფლი ამოაფრქვია;

1883 წლის 27 აგვისტოს ვულკან კრაკატაუს ამოფრქვევას საშინელი ხმაური მოჰყვა, რომელიც 4800 კმ-ზე ისმოდა. უბედურების დროს 36380 ადამიანი დაიღუპა და 165 სოფელი განადგურდა. 1972 წელს, ამ ვულკანის ამოფრქვევის შემდეგ კუნძული ანაკ კრაკატაუ („კრაკატაუს შვილი“) წარმოიშვა;

აფრიკაში ვულკანები კონგოს რესპუბლიკაშიც მდებარეობს და კამერუნშიც, მაგრამ ყველაზე ცნობილი კილიმანჯაროა (5895 მეტრი);

მეცნიერების აზრით, ვულკანები ანტარქტიდაშიც უნდა ყოფილიყო და ისინი ყინულის საფარქვეშ ჩამალულ, კუნძულ როსიზე მდებარე ერებუსს ასახელებენ. ამ მწვერვალზე პირველი ექსპედიცია 1908 წელს ავიდა;

ავსტრალიის მაუნთ სიდნეის 3-კილომეტრიანი ყინული ფარავს, მაგრამ მეცნიერების აზრით, 1200 მეტრ სიმაღლეზე მდებარე ვულკანის უკანასკნელი ამოფრქვევა 4,7 მლნ წლის წინ უნდა მომხდარიყო;

სამხრეთ ამერიკაში რამდენიმე ცნობილი ვულკანი მდებარეობს. ყველაზე განთქმულია ეკვადორის ჩიმბორასო (6310 მეტრი) და კოტოპაქსი (5897 მეტრი); პერუში 6377-მეტრიანი კოროპუნა მდებარეობს; ჩილეს, არგენტინისა და ბოლივიის საზღვარზე მდებარე აკონკაგუა (6962 მეტრი) რამდენიმე მეტრით უსწრებს ოხოს დელ სალარდოს (6885 მეტრი), რომელიც უკანასკნელად 1500 წლის წინ ამოიფრქვა; მიძინებული ეგონათ მექსიკური პოპოკატეპეტელიც (5465), რომლის მწვერვალზე სათხილამურო კურორტები იყო გაშენებული, მაგრამ 90-იან წლებში ვულკანმა „გაიღვიძა“;

ახალი ზელანდიის ვულკანებს შორის აღსანიშნავია მოქმედი, 2796 მეტრ სიმაღლეზე მდებარე რუაპეხუ და ეგმონტი;

1963 წელს ისლანდიის სამხრეთით ამოფრქვეული ვულკანის შედეგად კუნძული სურტსეი წარმოიშვა. სხვათა შორის, ვულკანური წარმოშობისაა ჰავაის კუნძულებიც;

მეცნიერებას, რომელიც ვულკანებს იკვლევს, ვულკანოლოგია და გეომორფოლოგია ჰქვია.

უკანასკნელი ბო

დედამიწაზე უამრავი პატარა ტომი ცხოვრობს, რომლის წეს-ჩვეულებებსა და ენას მეცნიერები იკვლევენ. ახლახან ტომის — ბოს უკანასკნელი წევრი, 85 წლის უფროსი-ბოა გარდაიცვალა და მისი ტომის ენაც ბოლომდე ამოუხსნელი დარჩა. ბოს ტომი ანდამანის კუნძულებზე ცხოვრობდა (ანდამანის კუნძული ინდოეთის ოკეანეში, ინდოეთსა და მიანმას შორის მდებარეობს). ლინგვისტების აზრით, მათ ენას აფრიკის უძველესი ტომების სამეტყველო ფორმა ჰქონდა შემორჩენილი. გარდა ამისა, გენეტიკური კვლევის შედეგად დამტკიცდა, რომ ბოს ტომის ხალხი ანდამანის კუნძულზე 70 ათასი წლის წინ, აფრიკიდან გადმოსახლებულა.

ანდამანის კუნძულებზე დაახლოებით, ათამდე ტომი ცხოვრობს და თითოეულ მათგანში 40-50 ადამიანია გაერთიანებული. ისინი ძირითადად, სახელმწიფოს ხარჯზე ცხოვრობენ, რადგან სუსტი ჯანმრთელობის გამო, შრომა არ შეუძლიათ (თავს ნადირობითა და ტყის ნობათის შეგროვებით ირჩენენ). ტომებში ხშირია ალკოჰოლიზმის შემთხვევა. ისინი არაკონტაქტურ ტომებს მიეკუთვნებიან (ასეთი არაკონტაქტური ტომები, რომლებსაც ცივილიზაციასთან შეხება არ ჰქონიათ, დედამიწის სხვა ნაწილშიც — ახალ გვინეაში, ამაზონის კუნძულებზე და პერუში ცხოვრობენ).

დღესდღეობით კუნძულზე ინდოელი ემიგრანტებიც ცხოვრობენ და ადგილობრივები იძულებულნი არიან, მათთან საურთიერთოდ ჰინდი ისწავლონ. 2004 წელს ინდოეთის ოკეანეში მომხდარმა ცუნამიმ კუნძული დააზიანა, რის შედეგადაც დაახლოებით, 5 ათასი ადამიანი დაიღუპა.

მეცნიერების აზრით, დღესდღეობით, 7 ათასი ენა განადგურების პირასაა. მაგალითად, ავსტრალიაში აბორიგენები 250 ენასა და 700 დიალექტზე ლაპარაკობდნენ, დღეისათვის კი მხოლოდ 145 ენაა შემორჩენილი და საინტერესო ისაა, რომ არც ერთ ენას საერთო ფუძე არა აქვს.

Lagonda ჟენევის მოტორშოუზე

კომპანია Aston Martin ჟენევის მოტორშოუზე აღორძინებული მარკის — Lagonda — ახალი კონცეპტუალური ავტომობილის წარდგენას გეგმავს. აღორძინებული მარკის — Lagonda — პირველი კონცეპტ-ავტო — Mercedes-Benz Gl-ის ბაზაზე აწყობილი, V12 ძრავათი აღჭურვილი არასაგზაო გასულ წელს, ჟენევის ავტოსალონზე წარადგინეს. გამოფენაზე ავტომობილი სულ ერთი დღის განმავლობაში იდგა, რის შემდეგაც, იგი Aston Martin-ის დაფიდან მოხსნეს — ასეთი გადაწყვეტილება კომპანიის წარმომადგენლებმა „მჭიდრო გრაფიკითა“ და ავტომობილის სხვა ადგილზე დემონსტრირების აუცილებლობით ახსნეს. მოტორშოუს შემდეგ, ბრიტანულ ავტომწარმოებელს გა-

მოუცხადეს, რომ ამ პროტოტიპის სერიული ვერსია, მსოფლიოში არსებული არასტაბილური ეკონომიკური სიტუაციის გამო, აღარ შეიქმნებოდა. ზოგიერთი საინფორმაციო საშუალების მიერ გავრცელებული ცნობის თანახმად, ეს ყველაფერი ჟენევის გამოფენაზე კონცეპტ-ავტოს — Lagonda — მიმართ პუბლიკის ნეგატიურმა რეაქციამ, ამ ავტომობილით დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარისა და „ასტონ მარტინის“ ერთ-ერთი თანამფლობელის, დევიდ რიჩარდსის უკმაყოფილება გამოიწვია.

სავარაუდოდ, Lagonda Aston Martin-ზე მასობრივ ბრენდად იქცევა და გათვალისწინებული იქნება როგორც არსებული, ასევე განვითარებადი ბაზრებისათვის. „ასტონ მარტინის“ მესვეურები იმედოვნებენ, რომ ამ მარკის მანქანები მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში გაიყიდება. ■

საუკეთესო ავტომობილის ტიტულისთვის 10 მოდელი იბრძვის

საერთაშორისო პრემიის — „2010 წლის მსოფლიოს საუკეთესო ავტომობილი“ — ორგანიზატორებმა 10 მანქანისგან შემდგარი ფინალისტთა სია გამოაქვეყნეს. გამოკითხვაში მონაწილე 31 მოდელიდან, კონკურსის ჟიურიმ ამოირჩია: Audi Q5, BMW X1, Chevrolet Cruze, Kia Soul, Mazda3, Mercedes-Benz E-Class, Opel (Vauxhall) Insignia, Porcshe Panamera, Toyota Prius და Volkswagen Polo. ამასთან, გამოქვეყნდა „მსოფლიოს წლის საუკეთესო სპორტული ავტომობილის“ ნომინაციის ფინალისტთა ჩამონათვალიც: Aston Martin V12 Vantage, Audi R8 V10, Audi TT RS, BMW Z4, Ferrari California, Jaguar XFR, Lotus Evora, Mercedes-Benz E 63 AMG, Nissan 370Z, Porsche 911 GT3 და Porsche Boxter/Cayman. წლის საუკეთესო „მწვანე“ მანქანის ნომინაციაში Ford Fusion Hybrid, Honda Insight, Mercedes-Benz S400 Hybrid, Toyota Prius და Volkswagen-ის BlueMotion-ის სერიის მოდელები — Golf, Passat და Polo — არიან წარმოდგენილი. გარდა ამისა, ჟიურიმ შეარჩია პრეტენდენტები კატეგორიაში — „საუკეთესო დიზაინი“. მასში პირველი ადგილისთვის იბრძოლებენ Chevrolet Camaro, Citroen C3 Picasso, Kia Soul და Toyota Prius. თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებულ მოდელს მიმდინარე წლის აპრილში, ნიუ-იორკის მოტორშოუზე 45 საავტომობილო ჟურნალისტისგან შემდგარი ჟიური გამოაცხადებს. ■

ახალი „სიტროენი“ BMW X6-ს გაუწევს კონკურენციას

კომპანია „სიტროენმა“ სოციალური ქსელის — Facebook — საკუთარ გვერდზე სამკარიანი კონცეპტუალური კროსოვერის — DS High Rider-ის ფოტოები გამოაქვეყნა, რომელიც DS4-ის სახელით ცნობილი ავტომობილის წინამორბედია. პროტოტიპის პრემიერა მარტში, ჟენევის მოტორშოუზე შედგება. სიახლის შესახებ დეტალური ინფორმაცია ჯერჯერობით არ ვრცელდება. წინასწარი მონაცემებით, კომპაქტური კროსოვერი Citroen DS4 მომავალი თაობის ჰეჩბეკ C4-ის პლატფორმაზე აიგება, რომლის დებიუტიც მიმდინარე წლის შემოდგომაზე, სავარაუდოდ, პარიზის მოტორშოუზე შედგება.

DS-ის „პრემიალური“ ხაზიდან პირველ მოდელად ჰეჩბეკ C3-ის აგრეგატზე აწყობილი ავტომობილი, DS3 იქცა. ამ მანქანის პრემიერა 2009 წლის სექტემბერში, ფრანკფურტის გამოფენაზე შედგა. ამ გამიდან კიდევ ერთ მოდელად სპორტული კროსოვერი — DS5-I გამოვა. იგი Citroen C5-ის ბაზაზე აიგება და ჰიბრიდული აგრეგატით აღიჭურვება. „სიტროენის“ მესვეურები იმედოვნებენ, რომ DS5, BMW X6-ს გაუწევს კონკურენციას.

■

ქართველი ფეხბურთელი „ლოკომოტივიდან“ დაითხოვეს

მოსკოვის „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობამ დავით მუჯირთან თანამშრომლობა ნაადრევად შეწყვიტა — მას კლუბთან კონტრაქტი კიდევ ერთი წლით აკავშირებდა — და ამის მიზეზად, ქართველის მიერ დისციპლინის უხეშად დარღვევა დაასახელა. მუჯირი რუსული მხარის ბრალდებას არ ეთანხმება და სიმართლის გარკვევას ფიფაში აპირებს.

„ლოკომოტივის“ პრეზიდენტმა, ნიკოლაი ***ნაუმოვმა*** *განაცხადა:*

— „მუჯირი „ლოკომოტივში“ 2008 წლის დასაწყისში მოვიდა და კონტრაქტის მიხედვით, საკმაოდ კარგი პირობები ჰქონდა. ჩვენ მაშინდელ მთავარ მწვრთნელს, რაშიდ რახიმოვს ანგარიში გავუწიეთ და ეს ფეხბურთელი შევიძინეთ. გუნდში გატარებული პირველი წლის განმავლობაში ის რაღაცას მაინც ცდილობდა და ხანდახან, ძირითად შემადგენლობაშიც ხვდებოდა, მაგრამ სეზონის ბოლოს დავითს ვუთხარი, რომ ჩვენს მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა — კერძოდ, 20 წუთზე მეტხანს სათამაშო ტემპს ვერ უძლებდა. მას რეკომენდაცია მისცეს, მეტი ევარჯიშა, ზედმეტი წონა დაეგდო და კარგ სათამაშო ფორმაში ჩამდგარიყო. ის კი ახალ სეზონში საკუთარი თავისადმი ნაკლებად მომთხოვნი გახდა და გუნდს ჩამორჩა. მიუხედავად ამისა, ზაფხულში „ლოკომოტივში“ დაბრუნებულმა იური სიომინმა ფეხბურთელს შანსი მისცა — მასთან მუშაობა გაძლიერებულ რეჟიმში დაიწყეს. ივლისში პერმში, „ამკართან“ გამართულ შეხვედრაში დავითი სასტარტო შემადგენლობაში დააყენეს, მაგრამ მან შანსი ვერ გამოიყენა. საბოლოოდ, სამწვრთნელო შტაბს მისი ახალგაზრდულ გუნდში გაშვების გარდა, აღარაფერი დარჩენოდა. თუმცა, მუჯირს იქაც პრობლემა შეექმნა — მთავარ მწვრთნელს, რენატ ბელიალეტდინოვს ფეხბურთელის მომზადების დონე არ აკმაყოფილებდა. ნოემბრის ბოლოს მუჯირს შევხვდი და განვუცხადე: 2 წლის განმავლობაში ძირითად შემადგენლობაში პრაქტიკულად, ვერ ხვდები და ამიტომაც, ახალი კლუბი უნდა მოგიძებნოთ; მატერიალურად რომ არ დაზარალდე, მზად ვართ, 7 თვის ხელფასი გადაგიხადოთ და ამგვარად, ზამთარში ან ზაფხულში ახალი გუნდის მოძებნის შანსი მოგცეთ-მეთქი. მუჯირმა ამ წინადადების განხილვაზეც კი უარი თქვა და ადვოკატების პირით გადმომცა, რომ „ლოკომოტივში“ კონტრაქტის ბოლომდე „იჯდება“. ჩვენი მორიგი შეხვედრისას მას განვუცხადე, რომ უბრალოდ „ჯდომა“ არ გამოვა და მან სრული დატვირთვით უნდა იმუშაოს. როგორც კლუბის პრეზიდენტს, არა მაქვს უფლება, ხელფასი ვუხადო ფეხბურთელს, რომელიც „ახალგაზრდულშიც“ კი ვერ ხვდება. დეკემბერში მუჯირმა 28-დღიანი შვებულება აიღო. ის 28 დეკემბერს სამსახურში უნდა ყოფილიყო და ამის თაობაზე გავაფრთხილეთ კიდეც. იმედი გვქონდა, რომ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ძალებს აღიდგენდა, რათა მისთვის ახალი კლუბი მოგვეძებნა. ამ დროისთვის სამწვრთნელო ჯგუფი ჩამოყალიბებული გვყავდა და დახურულ მანეჟში იმ ფეხბურთელებს უნდა ევარჯიშათ, რომლებსაც სურვილი ჰქონდათ, კარგ ფორმაში ყოფილიყვნენ — ასეთი მოთამაშე 10-ზე მეტი არ შეგროვდა. მუჯირი არ ჩამოვიდა, ის მხოლოდ 8 იანვარს, ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებთან ერთად გამოცხადდა. დავითს კონტრაქტში უწერია, რომ დისციპლინის დარღვევისთვის, მისი გუნდიდან გაშვების შემთხვევაში, შეგვიძლია, კომპენსაცია მივიღოთ, რადგანაც თავის დროზე ფეხბურთელში მილიონ ევროზე მეტი გადავიხადეთ. მისთვის ჩემი ყველა შეთავაზება მიუღებელი აღმოჩნდა. სხვა გზა არ დამიტოვა და მისი გათავისუფლების შესახებ ბრძანებას მოვაწერე ხელი.

მუჯირმა *ნაუმოვის ბრალდებებს ასეთი პასუხი გასცა:*

— ვინმეს რომ გავეფრთხილებინე, 28 დეკემბერს ვარჯიშზე უნდა გამოცხადდეო, ჩავიდოდი. შვებულების პერიოდში, 5 იანვრამდე მთავარი მწვრთნელისგან სავარჯიშო გეგმა მქონდა მიცემული და 8 იანვარს მოსკოვში უნდა ჩავსულიყავი. ნაუმოვი უნამუსოდ იტყუება, როდესაც ამბობს, — ბრძანებაში ჩამოსვლის ვადა ეწერაო. ვიმეორებ, არავის გავუფრთხილებივარ, რომ იმ ფეხბურთელებთან ერთად უნდა მევარჯიშა, ვინც ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება. ფაქტია, ნაუმოვი ჩასაფრებულის პოზიციიდან ლაპარაკობს, მე კონტრაქტი არ დამირღვევია. იური სიომინმა მითხრა კიდეც, — ყველა ფეხბურთელი, შენი ჩათვლით, 8 იანვარს იყო დაბარებულიო, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ამავეს გაიმეორებს თუ არა, ვერ გეტყვით. ოფიციალურად, დათხოვნის მიზეზად ბრძანებაში დისციპლინის უხეშად დარღვევა ჩამიწერეს. როდესაც ბრძანებას გავეცანი და ხელი მოვაწერე, ქვემოთ მივუწერე: მიზეზს არ ვეთანხმები-მეთქი. საერთოდ, „ლოკომოტივში“ ყოფნისას, რეჟიმი არასოდეს დამირღვევია და ნაუმოვი რომ ამბობს, — დისციპლინის უხეშად დარღვევისთვის კომპენსაცია უნდა გადაიხადოსო, ეს უბრალოდ, უსამართლობაა... სხვათა შორის, მოსკოვში რომ ჩავედი, სავარჯიშო ფორმა არ მომცეს; გასახდელშიც, ჩემს ადგილზე სხვა ფეხბურთელი იჯდა. შეკრებაზე არ წამიყვანეს და დაახლოებით, 10 დღის განმავლობაში, მარტო ვვარჯიშობდი — ორი მწვრთნელისა და მასაჟისტის მეთვალყურეობის ქვეშ. 26 იანვარს კი გამომიცხადეს, რომ 21-დან დათხოვნილი ვიყავი. გამოდის, ბრძანება 21

იანვარს ჰქონდათ დაწერილი და ეს რომ მცოდნოდა, 5 დღე რატომ ვივარჯიშებდი? სამწუხაროა, რომ ასეთი დონის კლუბში მსგავსი რაღაცები ხდება. საკუთარი უფლებების დაცვას ბოლომდე ვაპირებ.

— თქვენი სიმართლის დამტკიცებას როგორ აპირებთ?

— რუსეთში მტყუან-მართლის გარჩევას არ ვაპირებ, რადგან ამას აზრი არა აქვს. რუსეთის მოქალაქე არა ვარ და ამიტომაც, შემიძლია, სარჩელი პირდაპირ ფიფაში შევიტანო. ეს ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ მთავარია, სამართლიანობა აღდგეს.

— თქვენი ინტერესის დაცვა ვის ანდვეთ?

— რუსეთში არსებობს საერთაშორისო ორგანიზაციის — ფიფპროს წარმომადგენლობა, რომელიც ფეხბურთელებისა და მწვრთნელების ინტერესებს იცავს. 3 წელიწადია, ამ ორგანიზაციის წევრი ვარ და სწორედ ფიფპროს იურისტები გაგზავნიან სარჩელს ფიფაში. იურიდიული საკითხების მოგვარების შემდეგ, თბილისში დავბრუნდები.

რუსეთის ფეხბურთელთა და მწვრთნელების პროფკავშირების (ფიფპრო) გენერალური მდივანი, ***იური გრამატიკოვი:***

— ჩვენ ნიკოლაი ნაუმოვს ვესაუბრეთ და შევეცადეთ, დაგვერწმუნებინა, გაუაზრებელი გადაწყვეტილებისგან თავი შეეკავებინა. თუ ფეხბურთელების გუნდიდან გაშვებას 4 საათის დაგვიანების გამო დაიწყებენ, როგორც ეს მუჯირის შემთხვევაში მოხდა, მაშინ შეგვიძლია, როგორც სატრანსფერო ბაზარი, ასევე ფეხბურთელებსა და კლუბებს შორის ნორმალური ურთიერთობა დავივიწყოთ... საკვირველია, რომ ყოველივე ჩვენი ფეხბურთის ერთერთ ფლაგმანს შეემთხვა, რომელიც დანარჩენებისთვის მაგალითის მიმცემი უნდა იყოს. ნაუმოვს ვუთხარი, რომ ჩვენი ორგანიზაცია მუჯირის ინტერესს დაიცავს, ვინაიდან ის პროფკავშირების წევრია. ნათელია, რომ „ლოკომოტივმა“ სტრატეგიული შეცდომა დაუშვა. ნაუმოვმა გულწრფელად თქვა, თუ ამის გამო „ლოკომოტივს“ ჯარიმას დააკისრებენ, გადაიხდის. საერთოდ, რატომ უნდა მოეთხოვათ ფეხბურთელისთვის, რომ 28 დეკემბერს დაბრუნებულიყო? მას რა უნდა გაეკეთებინა — ნიჩბით თოვლი გაეწმინდა თუ დილის 9:00-დან 18:00 საათამდე ოფისში მჯდარიყო?.. არსებობს ფეხბურთელის მუშაობის სპეციფიკა, რომელიც აბსოლუტურად არ იყო გათვალისწინებული. ვფიქრობ, მუჯირს საკმაოდ სერიოზული თანხის მიღება შეუძლია, კომპენსაციის სახით... ■

მოამზადა ***ლაშა ოიბაგარმა***

ვარჯიშები სახის კანის გასამკვრივებლად

პირველი ნაოჭების გაჩენისთანავე კოსმეტიკურ საშუალებებთან ერთად კანის გასამკვრივებლად სპეციალურ მარტივ ვარჯიშებს თუ მიმართავთ, შედეგი გაცილებით ეფექტიანი და ხანგრძლივი იქნება. ეს ვარჯიშები განსაკუთრებით შედეგიანია, როცა კანი კოსმეტიკური საშუალებებით გადაღლილი და მოდუნებულია. თანაც ამ ვარჯიშების უპირატესობა ისიც არის, რომ მათი შესრულება ნებისმიერ დროსა და ადგილასაა შესაძლებელი.

ტუჩების ვარჯიში

დადექით სწორად, იყურეთ პირდაპირ, პირი დამუწეთ. გაიღიმეთ, რაც შეიძლება ფართოდ, ოღონდ ისე, რომ ბაგეები ერთმანეთს არ დააცილოთ. გაჩერდით ასე 5 წამი, შემდეგ დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. ტუჩები მოკუმეთ და წინ წამოსწიეთ, თითქოს ვინმეს კოცნით. ამ მდგომარეობაში 5 წამი გაჩერდით და საწყის მდგომარეობას დაუბრუნდით. გაიმეორეთ 10-ჯერ.

ყელისა და ღაბაბისთვის

დაჯექით სწორად, თავი უკან გადასწიეთ და ჭერს ახედეთ. პირი დამუწეთ და ყბა ისე ამოძრავეთ, თითქოს კევს ღეჭავთ. მაშინვე იგრძნობთ, რა ინტენსიურად მუშაობს ყელისა და ნიკაპის კუნთები. ვარჯიში შეასრულეთ 20-ჯერ.

ლოყებისთვის

პირი მოკუმეთ, ლოყები ჯერ შესწიეთ, შემდეგ კი გამობერეთ. ორივე მდგომარეობაში, 10-10 წამი გაჩერდით. ვარჯიში 10-ჯერ გაიმეორეთ.

ქუთუთოებისათვის

დაჯექით გამართულად და ისე, რომ თავი არ ამოძრაოთ, გაიხედეთ პირდაპირ, შემდეგ მაღლა, დაბლა, მარჯვნივ და მარცხნივ, გაიმეორეთ 10-ჯერ.

შუბლისთვის

რაც შეიძლება ძლიერად შეყარეთ წარბები, შემდეგ მაღლა აზიდეთ და თვალები ფართოდ გაახილეთ. გაიმეორეთ 5-ჯერ. ■

ბრინჯის სალათა

მასალად საჭიროა:

60 გ ბრინჯი;
30 გ ვაშლი;
ნახევარი კილო პომიდორი;
ნახევარი კილო კიტრი;
ოხრახუში, კამა, მარილი, შავი პილპილი — გემოვნებით.

მომზადების წესი:

მოხარშეთ ბრინჯი და გადაიტანეთ თუშფალანგზე (წყლისგან ბოლომდე უნდა დაიწრიტოს). შემდეგ შეურიეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში, კამა, მარილი და შავი პილპილი. ვაშლი და პომიდორი დაჭერით წვრილად, კიტრი კი — მოგრძო ნაჭერებად. ბრინჯი გადაიტანეთ სასალათე თასზე, გვერდებიდან მოუწყვეთ პომიდორი, ვაშლი და კიტრი. სუფრაზე მიტანის წინ მაიონეზი მოასხით. ■

უნივერსალური რეცეპტები ქალების აღსადგენად

როგორ მოვახერხოთ ძალების მობილიზება და დაკარგული ენერგიის დროულად აღდგენა? გთავაზობთ რჩევებს, რომლებიც თავის სწრაფად მოწესრიგებაში დაგეხმარებათ:

თუ მთელი ღამე თვალიც ვერ მოხუჭეთ, მხოლოდ დილით ჩაგთვლიმათ, წინ კი დაძაბული სამუშაო დღე გელით, ძალების აღსადგენად:

- მიიღეთ კონტრასტული შხაპი;
- მიირთვით 1 ს/კ თაფლი და დალიეთ ცივი წყალი;
- 3-4 წუთის განმავლობაში ივარცხნეთ თმა;
- იპოვეთ კვირისტავთან პატარა ჩაღრმავება და ცერა თითით 1-2 წუთის განმავლობაში იზილეთ;
- სამსახურში მისვლისთანავე სავარძელში ჩაჯექით, მაგრად დახუჭეთ თვალები, ორივე ხელის თითები გადაჯვარედინეთ და სხეული დაჭიმეთ.

როცა მნიშვნელოვანი სამსახურებრივი შეხვედრა გელით:

- ყინულით ან ცივ წყალში დასველებული ხელსახოცით კარგად დაიზილეთ კისრისა და ყელის მიდამოები — ასეთი ქმედებით, ყურადღების უკეთ კონცენტრირებას შეძლებთ;
- რამდენჯერმე მოხარეთ და გაშალეთ თითები — უკეთ განეწყობით სამუშაოდ;

როცა უსიამოვნო შეხვედრა გელით:

- დაიმახსოვრეთ, რომ ამ დროს ძალზე მნიშვნელოვანია ენერგეტიკული თავდაცვა. საუბრის დროს, ხელები და ფეხები გადაჯვარედინეთ და არავითარ შემთხვევაში არ უყუროთ თანამოსაუბრეს თვალებში.

როდესაც შინაგანად აფორიაქებული ხართ:

- დასამშვიდებლად ცივი წყალი დალიეთ;
- 1-2 წუთის განვალობაში ისრისეთ ჯერ ყურის ბიბილოები, შემდეგ — ნიჟარები; ბოლოს კი კისერი დაიზილეთ.

თუკი სამუშაო დღის ბოლოს თავს გამოფიტულად იგრძნობთ, შინ კი თქვენს ყურადღებას და სითბოს მონატრებული ოჯახის წევრები გელიან:

- ჩამოირეცხეთ მთელი დღის უარყოფითი ემოციები კონტრასტული შხაპის დახმარებით;
- 5 წუთით მაინც წამოწექით, დახუჭეთ თვალები და ეცადეთ, არაფერზე იფიქროთ;
- რამდენჯერმე მოხარეთ და გაშალეთ თითები, რაც ყურადღების კონცენტრირებაში დაგეხმარებათ;
- რამდენჯერმე დახუჭეთ და გაახილეთ თვალები.

დაბოლოს: არასდროს დაიძინოთ ვინმეზე ნაწყენმა ან ნაჩხუბარმა. თუ დამნაშავე ხართ, ყოველთვის დროულად მოიხადეთ ბოდიში. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებთ მშვიდად დაძინებას.

საინტერესო ფაქტი: რუსი იმპერატორი ეკატერინე ნერვიულობის დროს, პირში წყალს იგუბებდა და სასახლის ფოიეში მანამ მიდი-მოდიოდა, ვიდრე არ დამშვიდდებოდა. ■

ერიდეთ მაცდურებს...

• მას მაცდურ მამაკაცს უწოდებენ და მისი ამოცნობა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. მას გამუდმებით გარს ახვევია ახალგაზრდა გოგონების მრავალრიცხოვანი არმია, რომელთანაც მხოლოდ პლატონური ურთიერთობები აკავშირებს. ფლირტი მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ქუჩაში აუცილებლად აყოლებს მომნუსხველ მზერას ყველა საინტერესო მანდილოსანს და მზადაა მის მოსახიბლად. მის გვერდით თავს მშვიდად ვერასდროს იგრძნობთ. სამაგიეროდ, უსიამოვნება არასოდეს გამოგელევათ.

• ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ამ ტიპის მამაკაცები გულის სიღრმეში საშინელი ქალთმოძულენი არიან. სწორედ ამიტომაც წარმოადგენს მათი ცხოვრების ძირითად მიზანს ყველა ქალის გულის დაპყრობა. ასეთნაირად თითქოს შურს იძიებენ სუსტი სქესის წარმომადგენლებზე და სასურველი მიზნის მისაღწევად უკან არაფერზე იხევენ.

• ყველა ქალი, რომელიც მაცდურის კლანჭებში მოხვდება, აუცილებლად დაიტანჯება. ეს გარდაუვალია. როგორც უნდა ეცადოს, რაც უნდა მოიმოქმედოს, მის გულს ვერ მოინადირებს, ვერ დაარწმუნებს, რომ სწორედ თვითონაა ის ერთადერთი და განუმეორებელი, რომელიც მას გააბედნიერებს. რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, ზრდასრული ადამიანის ხასიათის შეცვლა თითქმის შეუძლებელია. ამიტომ, თუ უთანასწორო ბრძოლაში არ აპირებთ ჩაბმას და ზედმეტი ნერვიულობა არაფერში გჭირდებათ, ჯობს, ყველანაირად დააღწიოთ თავი მაცდურის ხიბლს. დავიწყეთ ის, როგორც ცუდი სიზმარი.

• აუცილებლად გაითვალისწინეთ — მამაკაცი, რომელიც სიამოვნებით ადევნებს თვალყურს, როგორ იბრძვის რამდენიმე ქალი მის გვერდით „ღირსეული“ ადგილის მოსაპოვებლად, არ იმსახურებს არც ერთის, მით უმეტეს — თქვენს სიყვარულს. თანაც ცხოვრება ისედაც რთულია და ხელოვნურად შექმნილი პრობლემები, ვფიქრობ, არაფერში გჭირდებათ. გახსოვდეთ და გჯეროდეთ: თქვენ უკეთესს იმსახურებთ!

რუბრიკა მოამზადა ეკა გუნთაიშვილმა

საქართველოს „გაწითლება“ — რუსულ-ოსმალური გარიგების შედეგი

1921 წლის 25 თებერვალს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ტფილისში წითელი არმია შემოვიდა — სწორედ ამ დღიდან დაიწყო კომუნისტური მმართველობის 70-წლიანი ერა, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე არაა ჯეროვნად შეფასებული. მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირის დანგრევამდე ეს საკითხი თითქმის ტაბუდადებული იყო და ყოველთვის ცალმხრივად შუქდებოდა. სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდგომაც, ისტორიკოსთა დიდი ნაწილი საქართველოს „გაწითლებას“ კომუნისტური იდეოლოგიის საპირისპირო, მაგრამ მაინც, ცალმხრივი პოზიციიდან აშუქებდა...

მიხეილ ლაბაძე

მე-11 არმიის სარდლობა

1917 წელს რუსეთში მომხდარმა „წითელმა გადატრიალებამ“ მთელ იმპერიაში ქაოსი და ანარქია გამოიწვია. ბოლშევიკებს, მართალია, იმედი ჰქონდათ, რომ ყველაფერს თავადვე მოაგვარებდნენ, მაგრამ მთელი რუსეთის მასშტაბით ხელისუფლების ლეგიტიმაცია ვერაფრით მოახერხეს. „წითლების“ პოზიციები მეტად სუსტი აღმოჩნდა არარუსულ მხარეებში, რასაც რუსეთის იმპერიის ფაქტობრივი დაშლა მოჰყვა — შეიქმნა ამიერკავკასიის, უკრაინის, ჩრდილო კავკასიის, ფინეთის, ვოლგისპირეთის დამოუკიდებელი მმართველობები, რომლებიც სანქტ-პეტერბურგს აღარ ექვემდებარებოდნენ.

მომდევნო წელს, როდესაც პირველი მსოფლიო ომი დასრულდა, რუსეთის იმპერიის ფაქტობრივი დაშლა უკვე დე იურე გაფორმდა — რუსებმა დაკარგეს თითქმის ყველა არარუსული ტერიტორია, რომელსაც ისინი ევროპაში ფლობდნენ. „წითლები“ იძულებულნი გახდნენ, ამ დანაკარგს დროებით მაინც შეჰგუებოდნენ — სხვა გზა არც ჰქონდათ, რადგან ამ დროს რუსეთში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა და მსოფლიოს გავლენიანი ძალები ვლადიმირ ლენინსა და მის მომხრეებს ნაკლებად უწევდნენ ანგარიშს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც 1918 წლის 26 მაისს გერმანიის პროტექტორატის ქვეშ გამოცხადდა, სულ მალე, ბოლშევიკების პირისპირ მოკავშირეთა გარეშე აღმოჩნდა — ჩრდილო კავკასია, რომელიც რუსეთსა და ჩვენ შორის ერთგვარ ბუფერს წარმოადგენდა, 1918 წლის ბოლოს „გააწითლეს“. სხვათა შორის, „წითლების“ მოწინააღმდეგე — რუსეთის იმპერიის აღდგენისთვის მებრძოლი „თეთრი მოძრაობა“ საქართველოს დამოუკიდებლად არსებობას რუსული ინტერესებისთვის აბსოლუტურად შეუსაბამოდ მიიჩნევდა. „თეთრი“ გენერალი ანტონ დენიკინი, რომელიც ჩრდილო კავკასიაში „წითლების“ რისხვა იყო, საქართველოსაც არანაკლები გააფთრებით ებრძოდა.

საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება საერთაშორისო ვითარებას სათანადოდ ვერ აფასებდა — ისინი ძირითადად, სოციალ-დემოკრატები იყვნენ და რაც ყველაზე საინტერესოა, თავს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთ მემკვიდრეებად მიიჩნევდნენ. ვიწრო პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე, ქართველი სოციალ-დემოკრატები მოკავშირეებს მხოლოდ სოციალ-დემოკრატთა შორის ეძებდნენ — ჯერ რუსეთში, მერე კი ევროპაში. მაშინდელი ევროპის მემარცხენე პარტიათა გაერთიანება, ე.წ. „ინტერნაციონალი“ კი სრულიადაც არ იყო ის ძალა, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში, საბჭოთა რუსეთისგან საქართველოს დაცვა შეეძლო. ხელისუფლება რიგიანად ვერც იმას აცნობიერებდა, რომ ქვეყანას მთავარი საფრთხე ჩრდილოეთიდან ემუქრებოდა. 1920 წლამდე „წითელ“ რუსეთს ტფილისში პოტენციურ მოყვარედ უფრო განიხილავდნენ, ვიდრე მტრად — ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ მოსკოვი საქართველოსთან ურთიერთობაში, ტრადიციულად, ორმაგ სტანდარტს იყენებდა: ერთი მხრივ, ქვეყნის შიგნით მოქმედ სეპარატისტულ დაჯგუფებებს აქეზებდა, მეორე მხრივ კი აცხადებდა, რომ ოფიციალურად, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და მის ლეგიტიმურ მთავრობას უჭერდა მხარს.

ნოე ჟორდანია, რომელსაც რუსეთის მარქსისტულ წრეებში ძალიან კარგად იცნობდნენ, თავიდან დარწმუნებული იყო, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატებს რუს ბოლშევიკებთან ურთიერთობა არ გაუჭირდებოდათ — სხვა რომ არა ყოფილიყო რა, ორივე მხარე მემარცხენე იდეებს იზიარებდა, მაგრამ 1920 წლის აპრილიდან, როცა აზერბაიჯანი გასაბჭოვდა, ქართველი სოციალ-დემოკრატებისთვის ცხადი გახდა, რომ „წითელი“ რუსეთის შეფასებაში მწარედ ცდებოდნენ. მიუხედავად ამისა, ქართველ სოციალ-დემოკრატებს რუსეთის საპირწონე გავლენიანი მოკავშირის ძებნით თავი არ შეუწუხებიათ; მათ არც ჰქონიათ ფართო საერთაშორისო კონტაქტები — საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება ისე უღიმღამოდ მოხდა, რომ ამას, ფაქტობრივად, საერთაშორისო რეზონანსი არც მოჰყოლია.

ხელისუფლებისაგან განსხვავებით, მაშინდელი ქართული შეიარაღებული ძალები მოწოდების სიმაღლეზე იდგა — როგორც პირადი შემადგენლობით, ისე — შეიარაღებითაც. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიაში გაერთიანებული იყო რუსული ჯარის ყოფილ მაღალჩინოსანთა ის კორპუსი, რომელიც პირველი მსოფლიო ომის პერიოდში კავკასიის ფრონტზე იბრძოდა და სამხედრო საქმეში უდიდესი გამოცდილება ჰქონდა. სწორედ მათი წყალობით, ქართულ არმიაში დიდი ყურადღება ექცეოდა ჯარისკაცების იდეოლოგიურ-ფიზიკურ მომზადებასაც. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებაში მიიჩნევდნენ, რომ თუ „წითელი არმია“ საქართველოში შემოჭრას გაბედავდა, ქართული არმია მას საკადრის პასუხს გასცემდა.

მიუხედავად ამისა, 1920 წელს საქართველო „წითელმა ციებ-ცხელებამ“ მაინც მოიცვა — ქართველი კო-

მუნისტები სულ უფრო და უფრო აშკარად გამოდიოდნენ ხელისუფლების წინააღმდეგ; გული მიეცათ აფხაზ, ოს და სხვა ეროვნების სეპარატისტებს, ქვეყანაში გაძლიერდა „წითელი ტერორი“ — კომუნისტური პარტიის მიერ დაფინანსებული კრიმინალები ფაქტობრივად, განუსჯელად პარპაშებდნენ მთელ საქართველოში. ხელისუფლების მესვეურები ამ ყველაფერს „შინაურ პრობლემებად“ განიხილავდნენ, მათ რუსული კვალის დანახვა არ სურდათ.

1920 წლის გაზაფხულზე, როდესაც ნოე ჟორდანია მიხვდა, რომ თუკი „წითელი“ რუსეთი საქართველოს საქმეებში უხეშად ჩარევას არ შეწყვეტდა, საერთაშორისო საზოგადოებრიობა საქართველოს დამოუკიდებლობას არ აღიარებდა, ოფიციალურმა თბილისმა მოსკოვთან ხელშეკრულების დასადებად დაიწყო მუშაობა — ეს იყო ერთადერთი საშუალება იმისათვის, რომ „წითლების“ ამბიციები დაეოკებინათ და საქართველოს საერთაშორისო აღიარებისთვის მიეღწიათ.

ამავდროულად, მოსკოვში მიიჩნევდნენ, რომ საქართველოს „გასაწითლებლად“ საკმარისი საბაბი არ არსებობდა. რესპუბლიკის ტერიტორიაზე „წითელი არმიის“ შეჭრა კი, რასაც ქართველი ბოლშევიკები მოსკოვს კარგა ხანია, სთხოვდნენ, დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული — უპირველეს ყოვლისა, „წითელარმიელებს“ არ შეეძლოთ, ქართული არმიის წინააღმდეგობა დაეძლიათ. ჯერ კიდევ 1919 წლის ბოლოს, „წითელი კავალერიის მამამ“ — სემიონ ბუდიონიმ ამის თაობაზე უშუალოდ ვლადიმირ ლენინს წარუდგინა საიდუმლო ანგარიში: „საქართველოს არმია დღეს წარმოადგენს ისეთ ძალას, რომელსაც იოლად ძალუძს ჩვენი შეტევების ეფექტური მოგერიება... მისი პირადი შემადგენლობა და ოფიცერთა კორპუსი ბრწყინვალედაა განსწავლული საბრძოლო ხელოვნებაში. ქართული არმიის მთავარი დამრტყმელი ძალა კავალერიაა, რომელიც განსაკუთრებით კარგადაა მიჩვეული მოქმედებას მთიან ადგილებში“, — ბუდიონის ამ შეფასებამ საქართველოს „გაწითლება“ 2 წლით გადაავადა. ამასთან, მოსკოვში მიზნის მისაღწევად დამატებითი გზების მოძიება დაიწყეს, რათა ქართულ არმიასთან შეიარაღებული დაპირისპირების ალბათობა მინიმუმამდე დაეყვანათ ან საერთოდ, გამოერიცხათ. სწორედ ამიტომ დათანხმდა ლენინი საქართველოსთან ხელშეკრულების დადებას — ამით რუსეთი დროს იგებდა და საქართველოში აგენტურული ქსელის გასაშლელად დამატებითი საშუალებები ეძლეოდა.

საბოლოოდ, რუსეთ-საქართველოს 7 მაისის ხელშეკრულებას, რომელსაც საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრმა გრიგოლ ურატაძემ და რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ლევ კარახანმა მოაწერეს ხელი, მოჰყვა საიდუმლო ზეპირი შეთანხმებაც იმის თაობაზე, რომ საქართველოში ხელისუფლებას კომუნისტური პარტიის მოღვაწეობისათვის ხელი არ უნდა შეეშალა და ყველა კომუნისტი, ვინც კი დაპატიმრებული იყო, უნდა გაეთავისუფლებინათ; ამ შეთანხმების პირნათლად შესრულების შემთხვევაში, რუსული მხარე ქართველებს აღუთქვამდა, რომ საერთაშორისო ასპარეზზე მათ რუსეთისაგან არავითარი პრობლემა აღარ შეექმნებოდათ.

მართლაც, ხელშეკრულების დადების შემდგომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობამ ოფიციალურად აღიარა, მაგრამ კომუნისტური პარტიის სახით რუსული აგენტურის უპირობო ლეგალიზაციამ საქართველოს ბევრი პრობლემა შეუქმნა. ამავდროულად, საქართველოს მეზობლად — ოსმალეთსა და სომხეთს შორის ვითარება ძალზე დაიძაბა: 1920 წლის სექტემბერში, ოსმალური არმია, ქიაზიმ ქარაბექირ ფაშას სარდლობით, ომის გამოუცხადებლად შეიჭრა სომხეთში. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ოსმალეთის ხელისუფლება ამ დროს რუსეთის ფარული მხარდაჭერით სარგებლობდა — მას შემდეგ, რაც ქიაზიმ ქარაბექირ ფაშამ დასავლეთ სომხეთი დაიკავა, აღმოსავლეთ სომხეთში „წითელი არმია“ შეიჭრა და 1920 წლის 25 ნოემბერს იქ საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ფაქტობრივად, სომხეთშიც იგივე სცენარი გათამაშდა, რაც აზერბაიჯანში — რუსეთი ოსმალეთს გაურიგდა.

ასე რომ, კრემლის მესვეურებმა საქართველო ფაქტის წინაშე დააყენეს — ჩვენი ქვეყნის გასაბჭოება უკვე გარდაუვალი იყო, მით უმეტეს, რომ რუსეთის საქართველოში შემოსვლა ოსმალეთსაც აძლევდა ხელს. სამწუხაროდ, ევროპელ სოციალ-დემოკრატთა იმედად მყოფი ნოე ჟორდანია ამას მხოლოდ მაშინღა მიხვდა, როდესაც წინააღმდეგობის გაწევის გარდა, ქვეყანას სხვა გზა აღარც ჰქონდა დარჩენილი — საქართველოს ბედი ქართული არმიის ხელში იყო.

1921 წლის თებერვლის დასაწყისში რუსულ და ქართულ შეიარაღებულ ძალებს შორის გახშირებული შეტაკებები ფართომასშტაბიან დაპირისპირებაში გადაიზარდა. მართალია, ეს რუსეთის აგენტურის მიერ იყო პროვოცირებული, მაგრამ რუსები საქართველოსთან ომით არ იყვნენ დაინტერესებულნი — მათი გაანგარიშებით, „წითელი არმიის“ პროვოკაციების პარალელურად, ქვეყანაში კომუნისტური პარტიის აქტივისტები უნდა გააქტიურებულიყვნენ და მათ მოსახლეობის ფართო მასები ანტისახელმწიფოებრივ აჯანყებაში უნდა ჩაერთოთ. რუსულმა გეგმამ არ გაამართლა, რადგანაც კომუნისტური პარტია საქართველოს მოსახლეობაში პოპულარობით არ სარგებლობდა. ამიტომაც, „წითელ არმიას“ ორმაგი პასუხისმგებლობის აღება მოუხდა — მას, ფაქტობრივად, საქართველო მთლიანად უნდა დაეპყრო.

საბჭოთა კავშირის დანგრევამდე მიიჩნევდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად აჯანყება ლორეს რაიონში დაიწყო, სინამდვილეში კი მაშინ ეს რაიონი სომხეთსა და ჩვენ შორის სადავო ტერიტორიად მიიჩნეოდა და მისი სტატუსი განსაზღვრული არ იყო. „წითელმა არმიამ“ დაიკავა ლორეს ის ნაწილი, სადაც ადრე სომხეთის ჯარი იდგა და ქართულ პოზიციებს მიუახლოვდა. პირველი სერიოზული შეტაკება 11 თებერვალს მოხდა, როცა „წითელმა არმიამ“ მდინარე ხრამთან ქართული ბლოკპოსტების განადგურება სცადა. ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა მტერი უკუაგდო და პოზიციები შეინარჩუნა.

წითელი არმია თბილისში. 1921 წლის 25 თებერვალი

საქართველოს ხელისუფლება დარწმუნებული იყო, რომ რუსეთს ომის დაწყება არ სურდა და ამიტომაც, თბილისში 11 თებერვლის შეტაკება სასაზღვრო ინციდენტად ჩათვალეს. ამავდროულად, ქართველ სამხედროთა კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად, მთავრობამ ჯარს შეტევითი ოპერაციების წარმოების უფლება არ მისცა — ჟორდანია ირწმუნებოდა, რომ რუსეთთან ურთიერთობა დიპლომატიური მეთოდებით, მალევე გაირკვეოდა, ხოლო საქართველოს ამოცანა ის იყო, რომ ომისათვის მაქსიმალურად აერიდებინა თავი. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლების მესვეურთაგან არავინ აღმოჩნდა შორსმჭვრეტელი და ის უპირატესობა, რაც იმ დროისათვის საქართველოს ჰქონდა, ვერ გამოიყენეს — ქართულ არმიას შეეძლო, კონტრშეტევით უკუეგდო მტერი და საბრძოლო მოქმედებები სომხეთის ტერიტორიაზე გადაეტანა.

16 თებერვლამდე ქართული არმია პოზიციებს კვლავაც ინარჩუნებდა, „წითელ არმიას“ კი დაპირისპირების გაგრძელება უფრო და უფრო უძნელდებოდა. საბრძოლო მოქმედებებში „წითლების“ სასარგებლოდ გარდატეხა მოხდა მაშინ, როდესაც ცნობილი გახდა, რომ შულავერში შეიქმნა საქართველოს რევკომი და მისმა მესვეურებმა დახმარება სთხოვეს საბჭოთა რუსეთს. ამან საქართველოს მთავრობა ძალზე დააბნია, რადგანაც რუსეთთან სამხედრო დაპირისპირება უაზრობად მიაჩნდათ. 16-დან 21 თებერვლამდე საბრძოლო მოქმედებების შესახებ ათასგვარი ინფორმაცია ვრცელდებოდა, მაგრამ ქმედით ღონისძიებებს არავინ მიმართავდა.

ამავდროულად, რუსეთს რევკომის შექმნით უკვე მომზადებული ჰქონდა სამართლებრივი ბაზა საქართველოს ანექსიისთვის. ახლა რჩებოდა ერთი მეტად მნიშვნელოვანი სვლა — ოსმალეთთან შეთანხმება. 16 თებერვალს, როცა რევკომის მოთხოვნის საპასუხოდ საქართველოში მე-11 არმია შემოიჭრა, ოსმალეთ-საქართველოს საზღვრებს ოსმალური შეიარაღებული ძალები მოადგნენ; 23 თებერვალს კი, როცა „წითლები“, ჟორდანიას უნიათობის შედეგად, თბილისსაც მოადგნენ, ოსმალეთმა, გენერალ ქიაზიმ ქარაბექირ ფაშას პირით, საქართველოს მთავრობას წაუყენა ულტიმატუმი ართვინის, ბათუმისა და არტაანის რაიონების დაცლის მოთხოვნით. ქარაბექირ ფაშა იმასაც ამბობდა, რომ თუ ეს ულტიმატუმი დაკმაყოფილდებოდა, ოსმალეთი საქართველოს რუსული აგრესიის მოგერიებაში დაეხმარებოდა.

აღსანიშნავია, რომ იმ დროისათვის ოსმალეთში ორხელისუფლებიანობა იყო — დე ფაქტო ხელისუფლება ანკარაში მყოფ მუსტაფა ქემალ ათათურქს ეკუთვნოდა, რომელიც სულთნის და მისი ევროპელი მოკავშირეების წინააღმდეგ ომს ეწეოდა; დე იურე ოსმალეთის სულთანი ისევ უმაღლეს ხელისუფლად მიიჩნეოდა, თუმცა მას ანგარიშს აღარავინ უწევდა. ევროპაში მუსტაფა ქემალ ათათურქსაც არ მიიჩნევდნენ ლეგიტიმურ მმართველად. ოსმალეთი დაშლის საფრთხის წინაშე იდგა.

ქიაზიმ ქარაბექირ ფაშა, ოსმალეთის არმიის სარდალი კავკასიაში

მუსტაფა ქემალ ათათურქი, რომელიც ადრე ე.წ. „ახალგაზრდა თურქების“ დაჯგუფების წევრი იყო, თურქ ნაციონალისტთა ლიდერად მოიაზრებოდა და ევროპის გავლენიანი ძალები მასთან ურთიერთობას თავს არიდებდნენ. ვლადიმირ ლენინი კი მიიჩნევდა, რომ ათათურქის კომუნისტურ ორბიტაზე მოქცევა იოლი იქნებოდა — აქ ისიც უნდა ითქვას, რომ რუსეთის თურქულენოვან ხალხებში თურქთა ახალი ლიდერი პოპულარობით სარგებლობდა და მასთან მოკავშირეობა ბოლშევიკთათვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენდა, რადგანაც ამ შემთხვევაში, რუსეთის მუსლიმანთა 90% „წითლებს“ დაუჭერდა მხარს. რუსეთთან კავშირი ათათურქისთვისაც სწორედ ამიტომ იყო მიმზიდველი — „დიდი თურანის“ შექმნა, რასაც „ახალგაზრდა თურქები“ ასე ესწრაფოდნენ, რუსეთის თურქულ ხალხებთან მჭიდრო ურთიერთობის გარეშე წარმოუდგენელი იყო. თურქთა ლიდერი ბოლშევიკურ რეჟიმს დროებით მოვლენად განიხილავდა — ათათურქი ფიქრობდა, რომ „დიდი თურანის“ შესაქმნელად ბოლშევიკებს გამოიყენებდა და მართლაც, იგი სიამოვნებით იღებდა საბჭოთა რუსეთისაგან იმ დახმარებას, რასაც მოსკოვიდან ასევე სიამოვნებით აწვდიდნენ. მოკლედ, ათათურქისა და ლენინის ურთიერთობა ურთიერთგამოყენებისა და ინტერესთა დამთხვევის პრინციპებს ემყარებოდა, რაც კავკასიის რეგიონის სახელმწიფოებისთვის სახიფათო აღმოჩნდა.

რუსეთ-ოსმალეთის კავკასიური გარიგება, რომელიც ჯერ კიდევ აზერბაიჯანისა და სომხეთის გასაბჭოების წინ მოხდა, ავბედით ბრესტის ზავს ემყარებოდა. გარდა ამისა, საბჭოთა რუსეთს აღიარება სჭირდებოდა, ათათურქს კი — მძლავრი მოკავშირე, რათა შიდა პრობლემები გადაეწყვიტა: ათათურქმა, დასავლეთ სომხეთის დაკავებით (1920 წელს), ხელის ერთი მოქნევით გადაჭრა ე.წ. „სომხური საკითხი“ — 1915 წლის გენოციდის მიჩქმალვა, რუსეთმა კი აღმოსავლეთ სომხეთის გასაბჭოებით შექმნა პლაცდარმი საქართველოს დასაპყრობად. მიუხედავად ყველაფრისა, ლენინი და ათათურქი ბათუმის საკითხში ვერ მორიგდნენ — საქმე დასწრებაზე იყო და საქართველოში შეჭრისას, რუსეთმა და ოსმალეთმა საბრძოლო მოქმედებათა ერთდროულად დაწყება ვერ მოახერხეს. სწორედ ამიტომ, ლენინთან მოლაპარაკებით არცთუ მთლად კმაყოფილი ათათურქი შეეცადა, რუსებისთვის დაესწრო და ულტიმატუმის გზით, ბათუმი უშუალოდ საქართველოსგან მიეღო. ამრიგად, თუკი ნოე ჟორდანია ბათუმს ოსმალებს გადასცემდა, ოსმალეთისა და რუსეთის ინტერესები გადაიკვეთებოდა და ქართველ სოციალ-დემოკრატთა გაანგარიშებით, საქართველოს, ასეთ შემთხვევაში, დამოუკიდებლობას გარანტად ათათურქი დაუდგებოდა. როგორც ყოველთვის, სოციალ-დემოკრატები ამ შემთხვევაშიც შეცდნენ — მათ ვერ გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ რუსეთი მუსტაფა ქემალ ათათურქს ბათუმს არ დაუთმობდა. ამას თავად ათათურქიც ხვდებოდა — მან ბათუმზე, ფაქტობრივად, ბოლო წუთებში თქვა უარი; სამაგიეროდ — ართვინისა და არტაანის რაიონები დაიმტკიცა.

ასე გათამაშდა ოსმალურ-რუსული ფარსი საქართველოს წინააღმდეგ — ნოე ჟორდანია, რომელმაც თბილისი ათათურქის იმედით დატოვა და დასავლეთ საქართველოში გადავიდა, მოტყუებული დარჩა: ოსმალეთი რუსეთის წინააღმდეგ ომში არ ჩაება, საქართველოს დედაქალაქი კი უკვე რუსების ხელში იყო. 1921 წლის 6 მარტს, საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ ბათუმში ბოლო სხდომა ჩაატარა, ხოლო მეორე დღეს მთავრობამ საქართველო დატოვა. ქართულმა არმიამ ბათუმიდან ოსმალები განდევნა და 20 მარტს ქალაქი რუსულ ჯარს ჩააბარა.

P.S. 1921 წელს საქართველოში რუსეთის ინტერვენციის დროს ხელისუფლებამ პოლიტიკური სიბეცე გამოამჟღავნა, რის გამოც, ქვეყანამ დამოუკიდებლობა დაკარგა და 70 წლის განმავლობაში, ველარც აღიდგინა. ქებას იმსახურებს მხოლოდ ქართული არმია, რომელიც სამშობლოს გადასარჩენად ბოლომდე იბრძოდა. ■

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

1. ნიკოლაი კოპერნიკის საფლავი დაკარგულია.

2. „ლაურეატი“ ლათინური სიტყვაა და დაფნის გვირგვინოსანს ნიშნავს.

3. პლანეტა ვენერა საკუთარი ღერძის გარშემო ერთ ბრუნს 243 დღეს ანდომებს.

4. ლეგენდარული ქალაქი — მაჩუ-პიქჩუ ინკების იმპერატორ პაჩაკუტის ბრძანებით აშენდა.

5. კაზიმირ მალევიჩის ერთ-ერთ ტილოზე ლენინი მაგიდაზე ყირამალა მდგარია გამოსახული.

6. თამბაქოს მოყვარული უოლტ დისნეი 65 წლის ასაკში, ფილტვების კიბოთი გარდაიცვალა.

7. ეკვადორელი მზარეულები ზღვის გოჭს ჩვეულებრივი გოჭივით წვავენ და ბოლოკის ნაცვლად, პირში წითელ წიწაკას უდებენ.

8. ძველ რომში პროსტიტუცია ლეგალიზებული იყო და სუტენიორთა საქმიანობა სახელმწიფოს მიერ იბეგრებოდა.

9. „ნახევრად ებრაელი, ნახევრად ამერიკელი და თანაც, ლოთი“, — ასე ახასიათებდა ჰიტლერი ჩერჩილს.

10. პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ლოიდ ჯორჯი გაიძახოდა, — მსოფლიოში უკანასკნელი ომი დასრულდაო.

11. შვეიცარიაში ჩატარებულ ჩემპიონატზე, როცა ბრაზილიის ნაკრებმა მსოფლიოს თასი აიღო, სიხარულისგან აღელვებული პელე მოედანზე გულწასული დაეცა.

12. პაატა ბურჭულაძე პლეხანოველია. ბავშვობაში მომღერალი დედას ეუბნებოდა, — არ დაიჯერო, რომ ოდესმე, ბაფთას გავიკეთებ და სცენაზე გავალ სამღერლადო.



13. ერთხელ შუბერტს მის მიერვე შეთხზული სიმღერის ნოტები ჩაუვარდა ხელში. სხვისი დაწერილი ეგონა, მოეწონა და აღფრთოვანებულმა შესძახა: ეს რა კარგი რამ აღმოვაჩინეო!

14. ტერენკური სამკურნალო სიარულია. იგივე სახელწოდება აქვს კურორტებსა და სანატორიუმებში მოწყობილ სპეციალურ გზებს სამკურნალო სიარულისთვის.

15. ტემპერა ფერწერული საღებავების სახელწოდებაა, რომელშიც კვერცხის გული ან წებოსა და ზეთის ხსნარია შერეული. ტემპერას ეძახიან ამგვარი საღებავებით შესრულებულ ნახატსაც და თვით ფერწერასაც.

16. 19 წლის ივანე ჯავახიშვილი 1895 წელს, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე ჩაირიცხა, სადაც ქართული სიტყვიერების კათედრას ალექსანდრე ცაგარელი ხელმძღვანელობდა, სომხურისას — ნიკო მარი.

შეუცნობელი

ჯადოქრობა და ადამიანის ფიგურა

მოსახლეობის უმრავლესობას დღემდე სჯერა, რომ ადამიანის გამოსახულება უბრალოდ გამოსახულება კი არა, მისივე სულის ნაწილია და თუ მას ვინმე დაეუფლება, ორიგინალზეც მოიპოვებს ძალაუფლებას, შემდეგ კი მისთვის ნებისმიერი ზიანის მიყენებას შეძლებს.

ზემოქმედების ყველაზე გავრცელებული მეთოდი მსხვერპლის თმის კულულის, მოჭრილი ფრჩხილებისა და ტანსაცმლის ნაგლეჯებისგან მისი ფიგურის დამზადება, შემდეგ კი მისი ჯადო სიტყვებით შეკვრაა. ძველად, ადამიანისთვის სხეულის სხვადასხვა დაზიანების მისაყენებლად, მის ფიგურას შესაბამის უბნებში ეკალს ან ქინძისთავს ურჭობდნენ: თავში ჩარჭობილი ქინძისთავი მსხვერპლს გონს ართმევდა, თვალში ან ფეხში — აბრმავებდა და აკოჭლებდა, ხოლო ქინძისთავის გულში ჩარჭობა უმალვე, სულს აფრთხობინებდა. ასევე, ამზადებდნენ მსხვერპლის ცვილის ფიგურას და შემდეგ, მას ცეცხლზე ადნობდნენ — ამ მეთოდით გათვალული ადამიანი განუკურნებელი სენით ავადდებოდა და საბოლოოდ, კვდებოდა კიდეც. ბოროტი თილისმებისგან თავის დახსნის ერთადერთი საშუალება საკუთარი გამოსახულების პოვნა და მისი დაწვა იყო.

საკუთარ მსხვერპლზე შურის საძიებლად მაგიურ ძალას დიდ ბრიტანეთშიც ხშირად იყენებდნენ. 1960 წლის იანვარში, ჰერფორდშირის საოფლო რაიონული გამგეობის შენობის რემონტის დროს, სარდაფში მოჩითულ კაბაში გამოწყობილი, შლაპიანი ქალის ფიგურა აღმოაჩინეს. მას კაბის ნაოჭში ჩატანებული ჰქონდა წერილი, რომელშიც სახელი — მერი ენ უენდი და წყევლა ეწერა.

XIX საუკუნეში, შოტლანდიის მთიან რაიონებში ადამიანზე შურის საძიებლად ანდა მისი სიძულვილის გამო, სქლად მოზელილი თიხისგან მის უხეშ გამოსახულებას ამზადებდნენ და ვიდრე ის გამკვრივდებოდა, სხვადასხვა ადგილას ქინძისთავებს არჭობდნენ; თითოეული ქინძისთავის ჩარჭობას წყევლაც ახლდა. იმ შემთხვევაში, თუ უნდოდათ, მსხვერპლი დიდხანს გატანჯულიყო, მის ფიგურას ნაკადულის ფსკერზე ათავსებდნენ, სადაც ის ნელ-ნელა, წყლით ირეცხებოდა.

ჟურნალ „ფოლკლორის“ 1895 წლის ნომერში დაბეჭდილ სტატიაში რ. მაკლეგანი ერთსა და იმავე მამაკაცზე შეყვარებული ორი ქალიშვილის ამბავს ჰყვება: მას შემდეგ, რაც მამაკაცმა ამ ორი გოგონასგან ერთ-ერთი აირჩია, მეტოქემ მისი თიხის ფიგურა დაამზადა და ნაკადულის ფსკერზე მოათავსა. ქალიშვილი მაშინვე, ავად გახდა და ექიმების თავგამოდების მიუხედავად, მდგომარეობა ყოველდღიურად უუარესდებოდა. საბედნიეროდ, რამდენიმე ხნის შემდეგ ერთმა მწყემსმა ნაკადულში ჩაგდებული ფიგურა შენიშნა და გაანადგურა, რის შემდეგაც, ქალიშვილი საკმაოდ სწრაფად გამოჯანმრთელდა.

ინგლისელი მწერალი უ. სიბრუკი თავის წიგნში — „ჯადოქრობა“ საფრანგეთში მომხდარ ამბავს ჰყვება, რომ ერთი პიანისტის მტრებმა, რომლებსაც უნდოდათ, მათ მსხვერპლს აღარასოდეს დაეკრა, მისი ხელების ცვილის მოდელები დაამზადეს, ხოლო ბერტონ-ონ-დე-უოტერის ჯადოქრობის მუზეუმში ინახება სახმელეთო ჯარების სერჟანტის ფორმაში გამოწყობილი თოჯინა, რომელსაც თვალში ხანჯალი აქვს გარჭობილი. როგორც ამბობენ, ეს 1939 წლის ომის დროს, სერჟანტის მიერ შეურაცხყოფილმა გოგონამ ჩაიდინა.

ედიტ ოლივიეს რედაქციით გამოსულ კრებულში 1922 წელს მომხდარი, ფრიად საინტერესო შემთხვევაა აღწერილი: ერთ ექიმბაშ-მისან ქალს დახმარებისთვის რამდენიმე ადამიანმა მიმართა — მათი ნათესავი მამაკაცი ნევრასთენიით იმდენად დაიტანჯა, რომ აღარც მუშაობა შეეძლო და ცხოვრების ინტერესიც დაკარგული ჰქონდა. ნათესავები ეჭვობდნენ, რომ მამაკაცი ჯადოქრობის მსხვერპლი იყო, მისანმა კი მათი ეჭვი

დაადასტურა და ისიც აუწყა, რომ ამ საქმეში ორი ადამიანი იყო გარეული. გარკვეული დროის შემდეგ, ექიმ-ბაშმა ერთ-ერთი მათგანის ფოტოსურათი მოიპოვა და ამის დახმარებით ავადმყოფს ჯადო მოუხსნა. ამის შემდეგ ფოტოზე გამოსახული ადამიანი მალევე გარდაიცვალა, ჯადოქრობის მსხვერპლი კი სწრაფად გამოჯანმრთელდა.

ჯადოქრობის მიზნით ადამიანის ან ცხოველის გამოსახულების დამზადება მთელ მსოფლიოში ცნობილი და უძველესი დროიდან დღემდე პრაქტიკაში აქტიურად გამოყენებული მაგიის ერთ-ერთი უძველესი ფორმაა. სხვადასხვა დროში სხვადასხვაგვარი ავადმყოფობის გამომწვევ, სიყვარულის დამანგრეველ, ქონების გამფლანგველ, წარმატების ან წარუმატებლობის მომტან და ა.შ. გამოსახულებებს ამზადებდნენ. მათი დახმარებით უნაყოფო ქალი შვილოსნობის უნარს იძენდა, დაშორებული შეყვარებულები ერთმანეთს უბრუნდებოდნენ, ვიღაც ღატაკდებოდა, ვიღაც — გიჟდებოდა, ვიღაცას კი სიკვდილისთვის იმეტებდნენ. ზოგ შემთხვევაში, თიხის ან ცვილის ფიგურის ნაცვლად, მსხვერპლის პორტრეტს ანდა სიმბოლურად, რაიმე საგანს, მაგალითად: ადამიანის ფორმის მქონე ხორბლის კონას ან მის სახელწაწერილ ლითონის ფირფიტასაც იყენებდნენ — მსგავსი ნივთები არანაკლებ ეფექტურად იყო მიჩნეული, ოღონდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი დამზადებისას შესაბამისი რიტუალებიც სრულდებოდა. ■

მოამზადა *რუსუდან გელაშვილმა*

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა ღვალი

უბის წიგნაკიდან:

17. ნიკოლოზ დერიუგინი 10 წლის განმავლობაში, თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში თამაშობდა. პარალელურად, საბჭოთა ნაკრებში მოთამაშე კალათბურთელს ფულს მოსკოვში უხდიდნენ, რის გამოც, მშობლიურ კლუბში ხელფასი აღარ ერიცხებოდა — იმ დროს შეუძლებელი იყო, სრულ სამუშაო შტატში მყოფ მოქალაქეს გასამრჯელო ორ ადგილას აეღო.

18. ელეონორა რუზველტი პრესკონფერენციებს მხოლოდ ქალი ჟურნალისტებისთვის მართავდა. ამის გამო, ბევრი ამერიკული გამომცემლობა იძულებული გახდა, სამუშაოზე სპეციალურად პირველი ლედისგან ინტერვიუს ასაღებად, ქალი ჟურნალისტები აეყვანა.

19. ადამიანის თვალის ბადურა გარე სამყაროს გადაბრუნებულად აღიქვამს და დანახულის გადმობრუნება ადამიანის ტვინში ხდება — დაბადებიდან ორ თვემდე, ბავშვები სწორედ ამგვარად ხედავენ ყველაფერს. დანახულის საჭირო რაკურსით აღქმას კი შემდგომში, ტვინი სწავლობს და ეჩვევა.

20. თურქი აქინჯიები ხელუცდომელი მოისარნი იყვნენ. ბრძოლის დროს ისინი ხშირად იყვნენ დადარაჯებულნი, თუ როდის შემართავდა რკინის აბჯარასხმული მეომარი ხმალს, რათა ისარი სხეულის ნაკლებად დაცულ ნაწილში — იღლიაში მოეხვედრებინათ.

21. იპოლიტე ხვიჩია ქუთაისის თეატრში 27 წელიწადი მუშაობდა. მრავალი დამსახურებისათვის მთავრობამ მსახიობს ქალაქის პრესტიჟულ ადგილზე, ნაკვეთი გამოუყო, სადაც მან სახლის მშენებლობა წამოიწყო. სამშენებლო ადგილს ხალხმა ხუმრობით — „იპსტროო“ შეარქვა. იგივე წარწერა გაუკეთეს სატვირთო მანქანებს ქუთაისელმა მძღოლებმა, რომლებიც სამშენებლო მასალებს ეზიდებოდნენ.

22. „დიაცი იყო და უყვარდა საქმენი სამამაცონი: ნადირობა, ჯირითობა, მხედრობა, — წერდა ლევან სანიკიძე თამარ მეფის შესახებ, — დიაცი იყო და უყვარდა „ხელსაქმარი“ სადიაცონი: მატყლის ჩეჩვა და ძაფის რთვა, ქსოვა და ბეჭვა, ჭრა და კერვა, ქარგვა და კემსვა მანეულებად. დავით სოსლანსა და გიორგი ლაშას მისი ხელით შეკერილი და მოქარგული სამოსელი ემოსათ. საკუთარი ხელით ნაქსოვს თუ ნაკერს საკუთარი ხელითვე აცმევდა ღარიბს, ქვრივს, ობოლს, უძლურს, დავრდომილს. მრავლად დააბიჯებდნენ ქვეყნაზე „ბედნიერი“ მათხოვრები და მაწანწალები — ბედნიერნი, რამეთუ ემოსათ ნახელავნი თამარ შვიდმნათობიერისა...“

დასავლეთის ეკლესიაში დამკვიდრებული ცდომილებები

X საუკუნეში ეკლესიის მთავარი პრობლემა კვლავაც, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის არსებული დაძაბული ვითარებაა. მართალია, ამ პერიოდში მათ შორის საბოლოო განხეთქილება არ მომხდარა, მაგრამ დასავლეთის ეკლესია უკვე აშკარად დგას ცვლილებების — მართლმადიდებლობასთან დაშორების გზაზე და მკვიდრდება ცდომილებები.

შორენა მერკვილაძე

არქიმანდრიტი მაკარი *(აბესაძე):*

— დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის განხეთქილებისა და გაყოფის საფუძველი მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ იჩენს თავს. თუმცა ამის საფუძველი საუკუნეების წინაც შეიმჩნეოდა: ბიზანტიის იმპერია ვერ აკონტროლებდა თავად რომს. როდესაც მის ოლქებს ბარბაროსები ესხმოდნენ თავს, საერო საქმეებში რომის პაპს უწევდა ჩარევა — კრებდა ჯარს, ქრისტიანების დასაცავად საეკლესიო თანხებს იყენებდა, რაც საუკუნეების განმავლობაში სხვაგვარ დამოკიდებულებაში გადაიზარდა — რომის პაპები ცდილობდნენ, ბიზანტიის იმპერიიდან მეტი თავისუფლება მოეპოვებინათ და ეს მათ მიერ ჩამოყალიბებულ სწავლებაში გამოისახა, რომლის თანახმადაც, რომის პაპი იყო ქრისტეს მოადგილე დედამიწაზე... როგორც ვიცით, რომის პირველი ეპისკოპოსი იყო პეტრე მოციქული, რომელსაც უფალმა უთხრა: — შენ გაძლევ შეკვრისა და გახსნის უფლებასო. უფალი ამას არა უშუალოდ პეტრე მოციქულს, არამედ მისი სახით ყველა მოციქულს და ყველა მღვდელმთავარს ეუბნება. თუმცა რომის ეკლესია, რომის პაპები მიიჩნევდნენ, რომ ამის გამო რომს ყველა ადგილობრივ ეკლესიაზე ჰქონდა უფლება. ცხადია, ამ სწავლებას არ იზიარებდა მართლმადიდებლობა — შეუძლებელია, ერთ მღვდელმთავარს მსოფლიო ეკლესიაზე ჰქონდეს უფლება. ასე რომ, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის ურთიერთობა ნელ-ნელა იძაბება და განხეთქილების საფუძველი თანდათანობით ღრმავდება. რომისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოებს შორის ურთიერთდაპირისპირების გაღრმავებას შემდეგი გარემოება უწყობს ხელს: X საუკუნის დასაწყისში ბიზანტიის იმპერატორმა, ლეონ ფილოსოფოსმა, რომელსაც სამი ქორწინებიდან შვილი არ ჰყავდა, მეოთხედ დაქორწინება გადაწყვიტა. კონსტანტინოპოლის პატრიარქი, ნიკოლოზ მისტიკოსი ამ ქორწინების წინააღმდეგი იყო, მაგრამ ერთ-ერთმა კარის მღვდელმა ჯვრისწერა მაინც აღასრულა. პატრიარქმა ნიკოლოზმა მღვდელი ეკლესიიდან განკვეთა, ჯვრისწერა კი გაუქმებულად გამოაცხადა. იმპერატორმა ლეონმა რომის პაპს მიმართა. პაპმა კონსტანტინოპოლში დაუყოვნებლივ გაგზავნა ლეგატები, რომლებმაც პატრიარქი ნიკოლოზი გადაყენებულად გამოაცხადეს და ქორწინება დაუშვეს. ამ ქმედების შემდეგ ნათელი გახდა, რომ რომის საპატრიარქომ ეს მიწიერი უფლებების გაფართოებისთვის ჩაიდინა ანუ იმისათვის, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოზე ჰქონდა ზეგავლენა. ამ პერიოდში რომის პაპი სერგიუს III გახლდათ. რამდენიმე წლის შემდეგ იმპერატორი ლეონი გარდაიცვალა — ამ დროს რომის პაპი იოანე X იყო, რომელმაც წინა პაპისგან განსხვავებით, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსადმი დამოკიდებულება შეცვალა — მან გააუქმა პატრიარქ ნიკოლოზის განკვეთა, იგი პატრიარქის ტახტზე აღადგინეს, ხოლო იმპერატორ ლეონის ჯვრისწერა გააუქმეს. ამის საპასუხოდ, რომის პაპი პატრიარქ ნიკოლოზისგან რომის პაპის უპირატესობის აღიარებას მოელოდა, მაგრამ ნიკოლოზმა ეს არ გააკეთა.

ამ დროისათვის ბიზანტიის იმპერია ახალ ტერიტორიებსაც კარგავს — აღმოსავლეთის მხრიდან უკვე გამოჩნდნენ თურქ-სელჩუკები, რომლებმაც ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე თავიანთი სახელმწიფოც კი შექმნეს. აღსანიშნავია, რომ თურქები თავად კონსტანტინოპოლის საზღვრებთანაც ჩნდებიან. ბიზანტიის იმპერატორს რომზე გავლენა უკვე აღარ ჰქონდა. თავისთავად, რომი მიწიერად კიდევ უფრო ძლიერდება, მან ევროპელი იმპერატორების მხარდაჭერის მოპოვებაც მოახერხა. ამგვარი პოლიტიკური თამაშით, რომის ეკლესია გასეკულარისტდა — მიწიერი გახდა ის მოვალეობა, რაც ეკლესიას აქვს — ადამიანების მიყვანება ღმერთამდე.

ნიკოლოზის შემდეგ კონსტანტინოპოლის პატრიარქი გახდა სერგი, რომელიც ასევე მტკიცედ იცავდა მართლმადიდებლობას. X საუკუნე ფაქტობრივად, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის ურთიერთჭიდილში სრულდება, მაგრამ მათ შორის ჯერ კიდევ არ მომხდარა საბოლოო განხეთქილება. ამ პერიოდში რომის ეკლესია უკვე ცვლილებების, მართლმადიდებლობასთან დაშორების გზაზე დგას და ნათლად იკვეთება ცდომილებები: დასავლეთის ეკლესიამ თითქმის დოგმატად გამოაცხადა „მრწამსში“ შეტანილი ცვლილება — ცდომილება სულიწმიდის გამომავლობასთან დაკავშირებით. ასევე, აქვთ სწავლება რომის პაპის უცდომელობის შესახებ — თითქოსდა, რომის პაპის მიერ მიღებული ყველა საღვთისმეტყველო გადაწყვეტილება უცდომელია. ჭეშმარიტი, მართლმადიდებლური ეკლესიის სწავლებით — უცდომელი არის ეკლესიის, კრებულის აზრი და არა კონკრეტულად რომელიმე პიროვნების მოსაზრება, რაოდენ წმინდა და მართალიც უნდა იყოს იგი...

რომის ეკლესიაში უკვე არსებობს სხვა ცდომილებებიც. მათ ჯერ კიდევ IX საუკუნიდან დაიწყეს ზიარების საიდუმლოს აღსრულება უფუარი სეფისკვერით — ხმიადით. ეს დარღვევა იყო, მაგრამ არა — დოგმატური, ამის გამო სულიწმიდის მადლი რომ დაეკარგა. ასევე მოქმედებს ცელიბატობის ინსტიტუტი — სამღვდელოების აუცილებელი უქორწინებლობა. ეს საკითხი ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე წამოაყენეს რომის ეკლესიის წარმომადგენლებმა, მაგრამ პირველმა მსოფლიო კრებამ არ მიიღო.

ამ პერიოდში, მთელი სამხრეთ იტალიის ეპარქიები, რომლებიც რო-

მის ეკლესიამ მონოთელიტობისა და ხატმებრძოლობის დროს დაკარგა, კოსტანტინოპოლის საპატრიარქოს შემადგენლობაში შედიოდა და რომის ეკლესიამ დაიწყო ქმედებები ამ ტერიტორიებზე არსებული ეპარქიების ხელში ჩასაგდებად... იტალიის სამხრეთ ეპარქიებთან დაკავშირებით, რომისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოებს შორის დავა X საუკუნის მიწურულს დაიწყო...

XI საუკუნის დასაწყისში ბიზანტიის იმპერატორის ტახტზე ლეონ მეცხრე ავიდა, რომელიც ეკლესიის გაერთიანებას შეეცადა. ამ დროს კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ კერულაროსი გახლავთ. ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს შემადგენლობაში მყოფ სამხრეთ იტალიის ეპარქიებში დამკვიდრება დაიწყო ცვლილებებგანცდილმა „მრწამსმა“ და რომის ეკლესიაში დამკვიდრებულმა სხვა ახალმა ტრადიციებმა. კონსტანტინოპოლის პატრიარქმა დაწერა ეპისტოლე, სადაც თავის დაქვემდებარებაში მყოფი ეპარქიების მმართველებს რბილად, მამაშვილური და ძმური სიყვარულით მოუწოდა, არ მიეღოთ დასავლეთის ეკლესიიდან შემოთავაზებული ცვლილებები. მისი წერილი ხელში ჩაიგდეს კარდინალმა ჰუმბერტმა და ეგზარქოსმა (ბიზანტიის იმპერიაში საერო მმართველი) არგირმა, რომელიც ლათინი იყო და ლათინური ანუ პაპისტური ტრადიციების დანერგვას ცდილობდა. კონსტანტინოპოლის პატრიარქის წერილის შესახებ რომის პაპს აცნობეს, მაგრამ თავად ეპისტოლე დაუმალეს და იცრუეს, თითქოს, კონსტანტინოპოლის პატრიარქი რაღაც ახალ მწვალებლობაში ჩავარდა. რომიდან პაპის სახელით მოვიდა წერილი, რომელიც ფაქტობრივად, აღმოსავლეთის ეკლესიის, განსაკუთრებით კი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს შეურაცხყოფდა და სხვადასხვა საკითხში სდებდა ბრალს. ზოგიერთი ისტორიკოსი და თავად კონსტანტინოპოლის მაშინდელი პატრიარქიც ვარაუდობდნენ, რომ წერილი არა რომის პაპმა, არამედ კარდინალმა ჰუმბერტმა და მისმა წრემ დაწერეს...

XI საუკუნის 50-იან წლებში კონსტანტინოპოლში რომის პაპის სახელით, ლეგატები ჩავიდნენ. კონსტანტინოპოლის პატრიარქმა მათთან გამოთქვა ეჭვი, რომ ეპისტოლე რომის პაპის მიერ შედგენილი არ იყო და ლეგატებს მოუწოდა, დაეგმოთ და შეეცვალათ დასავლეთის ეკლესიის მიერ სარწმუნოებაში, მართლმადიდებლობაში შეტანილი ცვლილებები. ლეგატებმა კონსტანტინოპოლის პატრიარქი არაფრად ჩააგდეს და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ჯიუტად სდებდნენ ბრალს — ახალ მწვალებლობაში ხართ ჩავარდნილიო. მათ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სახელზე ანათემის სიგელი შეადგინეს და მსახურების დროს ტრაპეზზე დადეს — ამის შესახებ არსებობს კონსტანტინოპოლის ეკლესიის წევრების, დიაკვნებისა და კლიროსის გადმოცემა, ხოლო თავად კონსტანტინოპოლის პატრიარქი მსახურებას არ ესწრებოდა. ეს ფაქტი საპატრიარქომ მაშინვე არ გამოააშკარავა, ლეგატებმა კი ანათემა კონსტანტინოპოლში დატოვეს და რომში დაბრუნდნენ.

კონსტანტინოპოლის პატრიარქი და კონსტანტინოპოლის ეკლესიის წევრები მიიჩნევდნენ, რომ ანათემის სიგელის შედგენა არავითარ კავშირში არ იყო რომის პაპთან, მის შედგენაში ლეგატები და კარდინალი ჰუმბერტი დაადანაშაულეს, შემდეგ კი ისინი ანთემას გადასცეს. იმ პერიოდში ეს საკითხი არ გახმაურებულა.

დღეს მეცნიერება მიიჩნევს, რომ 1054 წელს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების ურთიერთანათემირება მოხდა, მაგრამ ეს სიმართლეს არ შეესაბამება — ანათემირება მოხდა მხოლოდ კერძო პირებს შორის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმ დროს კონსტანტინოპოლის საპატრიარქო მიიჩნევდა, რომ რომის პაპი არაფერში იყო გარეული (ეკლესია დღესაც ამგვარად ფიქრობს), მით უმეტეს, მაშინ პაპი იოანე XIX ავად იყო და სწორედ იმ პერიოდში გარდაიცვალა კიდეც. შესაძლოა, მან არც არაფერი იცოდა ლეგატების მოქმედებისა და მათი არსებობის შესახებაც კი. რომის პაპის გარდაცვალების შემდეგ, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების დაახლოების მცდელობა ისევ იყო. ასე რომ, მათ შორის განხეთქილებას რომელიმე კონკრეტულ საკითხს ვერ დავუკავშირებთ.



რუბრიკა მოამზადა ნინო ჩარგეიშვილმა

რაქიტი ანუ D ვიტამინის ნაკლებობა

დღევანდელი ჩვენი თემა ეხება რაქიტს, რომელიც შედგენილია მკითხველების შეკითხვების საფუძველზე.

რა არის რაქიტი და რა ასაკის ბავშვს ემუქრება იგი

რაქიტი არის 3 წლამდე ასაკის ბავშვების დაავადება, რომელიც დაკავშირებულია D ვიტამინის დეფიციტთან. მას ახასიათებს ფოსფორისა და კალციუმის ცვლის დარღვევა, ძვლოვან ქსოვილებში სპეციფიკური დაზიანების განვითარება. შეიძლება ითქვას, რომ რაქიტი მოზარდი ორგანიზმის ერთგვარი მდგომარეობაა, რადგან ცვლილებები ხდება უშუალოდ ზრდის ზონებში. მნიშვნელოვანია დიაგნოზის დროული დასმა და მკურნალობის ასევე დროული დაწყება, რადგან დაგვიანების შემთხვევაში, შესაძლოა, ცვლილებები ძვლებსა და შინაგან ორგანოებში მთელი ცხოვრება შენარჩუნდეს.

რატომ ვითარდება რაქიტი

რაქიტის ძირითადი მიზეზებია:

* პათოლოგიური ორსულობა;
* მომავალი დედის არასწორი კვება (არარაციონალური და არაბალანსირებული);
* ახალშობილისთვის მზის სხივების დეფიციტი;
* დღენაკლულობა;
* დაბადებისას ბავშვის დიდი წონა;
* მრავალნაყოფიანი ორსულობა;
* ბავშვის ხელოვნური კვება;
* დამატებითი საკვების გვიან ან არასწორად შეტანა;
* ახალშობილის მოძრაობითი აქტივობის შეზღუდვა;
* დიარეით (კუჭის აშლილობით) მიმდინარე დისბაქტერიოზი;
* კრუნჩხვების საწინააღმდეგო თერაპია;
* გარკვეული დაავადებები: შეწოვის ფუნქციის მოშლა (ცელიაკია, მუკოვისციდოზი და სხვა.), თირკმლებისა და ღვიძლის ქრონიკული პათოლოგიები;
* D ვიტამინისა და კალციუმ-ფოსფორის ცვლის მემკვიდრეობითი ანომალია;
* ეკოლოგიური ფაქტორები.

რა ნიშნები ახასიათებს რაქიტს და რა ასაკში ვლინდება ეს დაავადება

საწყის სტადიაზე რაქიტი აზიანებს ნერვულ სისტემას. ბავშვს პირველი ნიშნები შეიძლება, 4-5 კვირის ასაკშიც კი გამოუვლინდეს, თუმცა მეტწილად, დაავადების მანიფესტირება 2-3 თვის ასაკში ხდება. ამ დროს ბავშვებს ხშირად აღენიშნებათ:

* ძილის დარღვევა;
* ჭირვეულობა და ხშირი ტირილი;
* ხშირი შეკრთომა:
* ცუდი მადა;
* ყიფლიბანდის დიდი ზომა;
* ოფლიანობის მატება, განსაკუთრებით — კეფის არეში, რაც ამ მიდამოში გამელოტებას იწვევს — ბალიშზე სველი თმის ხახუნის გამო.

თუ ღონისძიებები დროულად არ გატარდება, შესაძლოა, ძვლის ქსოვილში ცვლილებები დაიწყოს. კერძოდ, განვითარდება:

* ცვლილებები ქალას ძვლებში: კეფის დარბილება და გაბრტყელება, დიდი და მცირე ყიფლიბანდის კიდეების დარბილება, დიდი ყიფლიბანდის მოგვიანებით დახურვა, თავის ასიმეტრია. ამას მოჰყვება ძვლოვანი ქსოვილის ჭარბად განვითარება, შედეგად კი გამოიკვეთება შუბლისა და თხემის ბორცვები, თავი კვადრატულ ფორმას მიიღებს (ხშირად, რაქიტის დროს თავი შედარებით დიდია და კანქვეშა ვენური ქსელი კარგადაა გამოხატული);
* გულმკერდი დეფორმაციას განიცდის: ნეკნებზე ირიბად (ძვლოვანი ნაწილის ხრტილში გადასვლის ადგილზე) შემსხვილებებია, ლავიწები რამდენადმე დეფორმირებულია;
* ზოგჯერ, მაჯის არეები და ფალანგები შემსხვილებულია;
* ქვედა კიდურების O-სებრი (გარეთ გაზნექილი) ან X-სებრი (მუხლის არეში შიგ შედრეკილი და ურთიერთმიახლოებული) დეფორმაცია. ეს ვლინდება მას შემდეგ, რაც ბავშვი სიარულს იწყებს. დეფორმაციას განიცდის მენჯი და ტერფები.

რითაა საშიში რაქიტი?

რაქიტი სიცოცხლისათვის საშიშროებას არ წარმოადგენს, მაგრამ შორს წასულ შემთხვევაში, შესაძლოა, ბავშვის ფსიქომოტორული განვითარების შეფერხება მოხდეს, რის გამოც, პატარა გვიან იწყებს ჯდომას, ცოცვას, დგომას, სიარულს. ასევე, ხშირად აღენიშნება კუნთების სისუსტე („ბაყაყის მუცელი“), სახსრებში ჭარბი მოძრაობა, უგვიანდება კბილის ამოჭრა, ირღვევა მისი თანამიმდევრობა, არცთუ იშვიათად — ყბებს შორის შეფარდება და თანკბილვა. გარდა ამისა, შესაძლებელია დაუქვეითდეს იმუნიტეტი და შეუსუსტდეს ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარი დაავადებებისადმი. რაქიტი იწვევს შინაგანი ორგანოების — ღვიძლის, ფილტვების, გულის, საჭმლის მომნელებელი სისტემის — ფუნქციის შეცვლას.

რაქიტისათვის დამახასიათებელი ცვლილებები თანდათანობით, უკუგანვითარებას განიცდის, მაგრამ თუ მკურნალობა არ ჩატარდა, ცვლილებები ძვლებში შეიძლება, დიდხანს ან სამუდამოდ დარჩეს.

რა ანალიზები უნდა გაკეთდეს რაქიტის დიაგნოზის დასადასტურებლად

რაქიტის დიაგნოზი, როგორც წესი, პედიატრის მიერ ბავშვის გასინჯვის დროს ისმევა, მაგრამ ზოგჯერ, დამატებითი ანალიზების გაკეთებაა საჭირო. ხანდახან ტარდება სისხლის ბიოქიმიური ანალიზი (რაქიტის დროს მატულობს ტუტე ფოსფატაზა, ქვეითდება ფოსფორის დონე, იშვითად — კალციუმის დონეც), ხოლო შარდის ანალიზის გაკეთება საჭიროებას არ წარმოადგენს. თუ დაავადება სწრაფად პროგრესირებს და მკურნალობას არ ემორჩილება, ძვლების რენტგენოგრაფიული კვლევა ინიშნება. რაქიტის მემკვიდრულ, D-დამოკიდებულ და D-რეზისტენტულ ფორმებზე ეჭვის შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი ბიოქიმიური სინჯები.

როგორ დავიცვათ ბავშვი რაქიტისგან

პროფილაქტიკის დაწყება ორსულობიდანაა საჭირო. მომავალი დედა უნდა სეირნობდეს ყოველდღიურად, იკვებებოდეს სწორად, საჭიროების შემთხვევაში უნდა მიიღოს პოლივიტამინი. გასათვალისწინებელია, რომ თანდაყოლილი რაქიტის მიზეზი შეიძლება გახდეს ორსულებში გვიანი ტოქსიკოზი. რაქიტის პროფილაქტიკურ ღონისძიებებში შედის — ბავშვის ძუძუთი კვება, ყოველდღიურად სუფთა ჰაერზე სეირნობა, რეგულარული ვარჯიში, მასაჟი, ცურვა, დამატებითი კვების დროული შეტანა. 6 თვის ასაკის შემდეგ სასარგებლოა წიწვის აბა-

ეს საინტერესოა

ზანები. ბავშვისთვის, პროფილაქტიკის მიზნით, D და სხვა ვიტამინების მიცემა მხოლოდ პედიატრის კონსულტაციის შემდეგ უნდა მოხდეს — ეს განსაკუთრებით საყურადღებოა ხელოვნური კვების შემთხვევაში, რადგან ბავშვთა საკვების უმრავლესობა D ვიტამინს შეიცავს.

როგორ ხდება რაქიტის მკურნალობა

მკურნალობა აუცილებლად, კომპლექსური უნდა იყოს ანუ სპეციფიკური (მედიკამენტოზური) და არასპეციფიკური (დღის სწორად ორგანიზება, ხშირი სეირნობა სუფთა ჰაერზე, ძუძუთი ხანგრძლივი კვება, მეძუძური დედის სწორი კვება, ბავშვის მასაჟი, სამკურნალო ფიზკულტურა და ცურვა). რაქიტით დაავადებული ბავშვისთვის პირველი დამატებითი კვების სახით რეკომენდებულია ბოსტნეულის წვნიანი (6 თვიდან), ამას თანდათანობით უნდა დაემატოს კვერცხის გული (7-8 თვიდან). უნდა შეიზღუდოს ფქვილის ნაწარმი, რადგან იგი ნაწლავების მიერ კალციუმის შეწოვას აფერხებს.

რაქიტის სპეციფიკურ მკურნალობას წარმოადგენს D ვიტამინის, კალციუმისა და ფოსფორის შემცველი პრეპარატების დანიშვნა. დოზის შერჩევა და მკურნალობის ხანგრძლივობის დადგენა შეუძლია მხოლოდ პედიატრს, ბავშვის მდგომარეობიდან გამომდინარე. არასწორად შერჩეულმა დოზამ შეიძლება, ჰიპერვიტამინოზი გამოიწვიოს, რაც ასევე, დაავადებაა.

რომელი პროდუქტი შეიცავს D ვიტამინს?

D ვიტამინით მდიდარია: რძის პროდუქტები, ნაღების კარაქი, თევზის ქონი, კვერცხის გული, მცენარეული ზეთი, ღვიძლი, კაკალი და სხვა. აღსანიშნავია, რომ ადამიანის ორგანიზმში D ვიტამინი გამომუშავდება ბუნებრივად, მზის სხივების ზემოქმედების შედეგად.

შეიძლება თუ არა რაქიტის დროს აცრების ჩატარება?

მათი ჩატარება შეიძლება ბავშვის მკურნალობის დაწყებიდან მხოლოდ 2-3 კვირის შემდეგ, რათა ორგანიზმმა მკურნალობისადმი ადაპტირება მოასწროს — აცრები თავისთავადაც, დიდი დატვირთვაა იმუნური სისტემისათვის. ეს განსაკუთრებით ეხება დღენაკლულ ბავშვებს, რომელთაც ნევროლოგიური დარღვევები აღენიშნებათ (მათ შორის, რაქიტის ნევროლოგიური გამოვლინება) ან ქრონიკული დაავადებები აქვთ.

■

მკურნალობა შინიდან გაუსვლელად

ერთ-ერთ ამერიკულ უნივერსიტეტში ჩატარებული ექსპერიმენტის ავტორები მიიჩნევენ, რომ ცხვირის გამორეცხვა ძალზე ეფექტიანი სამკურნალო საშუალებაა. გამორეცხვის დროს ძლიერდება ლორწოვანი გარსის მოძრაობა ცხვირ-ხახის მიმართულებით და ცხვირის ღრუში ანთების შედეგად წარმოშობილი, სპეციფიკური ნივთიერებების გარეთ გამოძევება ხდება. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ცხვირის ღრუს გამორეცხვა ცხვირ-ხახის დაავადებათა (მწვავე და ქრონიკული რინიოსინუსიტი, ალერგიული და არაალერგიული რინიტი, არასპეციფიკური რინიტი და ცხვირის ძგიდის დეფორმაცია) მკურნალობის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდი უნდა გახდეს.

■

სამაჯური — კარგად დავიწყებული ძველი მეთოდი

ბრიტანელმა ექიმებმა კვლევის შედეგად დაასკვნეს, რომ მაგნიტურ სამაჯურებს, რომლის ტარებაც პერიოდულად მოდაშია, მართლაც აქვს სასარგებლო თვისებები. მეცნიერების აზრით, სტანდარტული ფორმის მაგნიტური სამაჯურის ტარებით სამკურნალო პრეპარატების მსგავსი, ტკივილგამაყუჩებელი ეფექტის მიღწევაა შესაძლებელი — ეს თვითშეგონებისა და მაგნიტური ველის გავლენის ურთიერთშერწყმით ხდება. მაგნიტური ველის „მუშაობა“ არაა დამოკიდებული მის სიძლიერეზე; ეფექტი მიიღწევა სამაჯურის ხელზე გაკეთებიდან, დაახლოებით, ერთი კვირაში. მაგნიტის გამოყენებას ექიმები განსაკუთრებით, ოსტეოართრიტით დაავადებულებს ურჩევენ. მაგრამ მისი ტარება ეკრძალებათ მათ, ვისაც კარდიოსტიმულატორი უდგას და ვისაც შაქრიანი დიაბეტი აწუხებს.

■

„კეტჩუპი“ საუკეთესო საფენებელია

ამ ბოსტნეულის რეგულარული მოხმარებით იკლებს მკერდის, წინამდებარე ჯირკვლისა და ნაწლავების სიმსივნის განვითარების რისკი; ეს წითელი ბოსტნეული იშემიის განვითარების რისკსაც ამცირებს.

საინტერესოა, რომ პომიდორში, მისი დამუშავების შემდეგაც რჩება სასარგებლო ნივთიერებები. კალიფორნიის სასოფლო-სამეურნეო კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტების აზრით, ნატურალურ ტომატში შემავალი ორგანული კომპონენტები, ხელოვნურ დანამატებში არსებულ კიბოს მარკერებზე 3-ჯერ მეტ სიმსივნის საწინააღმდეგო ქიმიურ ნივთიერებებს შეიცავს.

■

ცუდია, იყო მორცხვი

თუ მორცხვი ბრძანდებით, იცოდეთ, ჰიპერტონიით დაავადება გემუქრებათ. საქმე ისაა, რომ მორცხვი ადამიანები საკუთარ ნაკლზე ამახვილებენ ყურადღებას და გამუდმებით დაძაბულ მდგომარეობაში იმყოფებიან. ასეთი სტრესი კი ჰიპერტონიის რისკ-ფაქტორია.

■

ჰომეოთერაპიის მიმდევრების საყურადღებოდ

ჰომეოთერაპიული წამლები ცუდად ეთვისება პიტნას, ჰოდა, თუ ასეთი პრეპარატებით მკურნალობას გადაწყვეტთ, უარი თქვით პიტნის შემცველ პროდუქტებზე. ამ მცენარის გარდა, ჰომეოპათიური პრეპარატების ეფექტიანობაზე შეიძლება, ცუდად იმოქმედოს ქაფურმა და კოფეინმა.

■

სამედიცინო საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოპოვება შეგიძლიათ საიტზე: www.mkurnali.ge.

P.S. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com ის თქვენს ნებისმიერ კითხვას გასცემს პასუხს.

ახალი ნომერი
ოჯახის
მეუნარეული
ცხონამ იჭიმთონ მიხეკვლო...



ადამიანი

მომხიბლავი პოლიციელი
ანუ ქალბატონი, რომელიც გენერლობაზე ოცნებობს



მინდა გაგაცნოთ ყველაზე ლამაზი და მომხიბვლელი პოლიციელი. ის ალბათ ერთადერთი პოლიციელია, რომელიც, თქვენ წარმოიდგინეთ, მის მიერ დაკავებულ სამართალდამრღვევებსაც უყვართ და პატივისცემისა და მადლიერების ნიშნად, უფროსის მისაღებში ხელში აყვანილიც კი შეუყვანიათ. პოლიციის ლეიტენანტი — ეკა გულუაშვილი შსს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელია და ამავე დროს — მწერალთა კავშირის წევრიც. მისთვის ინტერვიუ უცხო არ არის, რადგანაც სულ ცოტა ხნის წინ, ინტერვიუს სხვებს თავად ართმევდა. ეკა ყოფილი ჟურნალისტია, თანაც — რეგიონში საკმაოდ ცნობილი.

ელენე ხირსელი

— ბავშვობაში რაზე ოცნებობდი?

— ბავშვობაში, როცა ჩემი ტოლი გოგონები კაბებითა და სამკაულებით იწონებდნენ თავს, მე ბაბუის ნაქონ სამხედრო ფორმაში „ვძვრებოდი“ და გულზე მედლებსა და ორდენებს ვიბნევდი; როცა ჩემი მეგობრები მარკებსა და თოჯინებს აგროვებდნენ, მე მედლებისა და სამკერდე ნიშნების შეგროვებით ვიყავი გატაცებული. ამ ნიმუშებს ყოველთვის მკერდზე ვატარებდი, რის გამოც ყველა მაისური გაფუჭებული მქონდა. არ მესმოდა, ჩემს დანახვაზე ქუჩაში, გამვლელებს რატომ ეღიმებოდათ. დედა გმირ ქალებზე ლეგენდებსა და თქმულებებს ხშირად გვიკითხავდა. მინდოდა, მეც მათნაირი ვყოფილიყავი. ახლაც არ მიყვარს უსუსური, მტირალა ქალი, რომელსაც საკუთარი თავის დაცვა არ შეუძლია.

— გეამაყება, პოლიციელი რომ ხარ?

— ძალიან, ქუჩაში რომ დავდივარ, ყოველთვის ვგრძნობ გამვლელთა დაჟინებულ მზერას. მართალია, დღეს ქალების რიცხვმა პოლიციაში იმატა, მაგრამ მაინც იშვიათობაა პოლიციელი ქალი. კომპლიმენტს ხშირად მეუბნებიან...

— სანამ პოლიციელი გახდებოდი, რეგიონში ცნობილი ჟურნალისტი იყავი. როგორ მოხდა შენი ასეთი მეტამორფოზა?

— ძალიან რომანტიკული ბავშვი ვიყავი. ვწერდი რომანებს, მოთხრობებს, ლექსებს. ერთ-ერთი რომანი — „ჩვენ დავბრუნდებით“ 1991-1992 წლებში სამაჩაბლოში დატრიალებულ მოვლენებს მივუძღვენი. ახლა მის გაგრძელებას ვწერ. ვთანამშრომლობდი გაზეთებში — „ყაყაჩო“, „გორის მოამბე“. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დავწერე პროექტი და გორის ტელევიზიაში მივიტანე. გადაცემას „სპექტრი“ დავარქვი. პროექტი ისე მოეწონათ, საცდელი გადაცემის გარეშე, მაშინვე პირდაპირ ეთერში გამიშვეს. სტუდიაში ოცდაოთხი სტუმარი მყავდა, საუბარი სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებს ეხებოდა. იქ ყველაფერი მე ვიყავი: ავტორიც, წამყვანიც, სიუჟეტებსაც თავად ვამზადებდი. ვცდილობდი, რაც შეიძლება, მწვავე თემა ამერჩია და სტუმრებიც ისეთები მომეწვია, რომ გადაცემა ცხარე და სანახაობრივი გამოსულიყო... ერთფეროვნება არ მიყვარს. ამიტომაც მალე მომწყინდა დახურულ სივრცეში მუშაობა და გადაცემის ფორმატი და შინაარსი შევცვალე.

— და რა სფერო აირჩიე?

— გადაცემა — „წარსულიდან აწმყომდე“ მაყურებელს შიდა ქართლის ულამაზეს ადგილებს აცნობდა. მიყვარს ჩემი სამშობლო! — ტყე-ღრეში ხეტიალი, კლდეებზე ძრომიალი... ბალახში ფეხშიშველი დავრბოდი, წყალში ვტოპავდი, ოპერატორი მიღებდა — როგორ ვჩეხდი შეშას, როგორ ვწველიდი ძროხას, თონეში როგორ ვაკრავდი პურს... გადაცემის ჩაწერის პროცესი დიდ სიამოვნებას მანიჭებდა. ისე „შევდიოდი როლში“, ამ ყველაფერს კამერისთვის რომ ვაკეთებდი, მავიწყდებოდა... შემდეგ გადაცემას ატენის სიონის შესახებ ვამზადებდი. ადგილზე რომ მივედით, სიონის ეზოში ბიჭები უპოვართათვის ლეღვს კრეფდნენ. ხეს ძალიან ბევრი ესხა. ვიფიქრე: მივეხმარები, რომ მალე დაამთავრონ და ხელი აღარ შეგვიშალონ-მეთქი და უმალ ხის კენწეროში მოვექეცი. სანამ ბოლო ნაყოფი არ მოვწყვიტე, არ ჩამოვედი. შემდეგ ავედით სამრეკლოზე — იქიდან ატენის ხეობის უმშვენიერესი ბუნება მოჩანს. ერთ-ერთ საეკლესიო დღესასწაულზე ვსაუბრობდი. მაყურებლისთვის მინდოდა, მეჩვენებინა, თუ როგორ სრულდება ზარის ჩამოკვრის რიტუალი: ავხტი და ზარი სამჯერ დავრეკე. თურმე იქ ასვლის უფლება მხოლოდ ბერსა და მოძღვარს აქვს, ქალისთვის კი ეს ყოვლად დაუშვებელია. ატყდა ერთი ამბავი: ეკლესიასთან თვალის დახამხამებაში, თავი უამრავმა დედაომ მოიყარა: რა მოხდა, რა განგაშიაო?! ძალიან შეგვეშინდა, აღარ ვიცოდით, სად დავმალულიყავ-

ით... მოძღვარმა საქციელი გვაპატია და ტრაპეზზეც მიგვიპატიჟა.

— ალბათ სოფელ-სოფელ სიარულიც მალე მოგწყინდა, არა?

— როგორც გითხარით, ცვლილებები მიყვარს. კამერა უკვე აღარ მინდოდა და კალამს მოვკიდე ხელი. გავხდი ერთ-ერთი გაზეთის რედაქტორი. გაზეთის მიზანი იყო — ოსურ-ქართული ურთიერთობების დარეგულირებაში წვლილის შეტანა. არასამთავრობო ორგანიზაცია კონკურსს აცხადებდა. დამიკავშირდნენ და შემომთავაზეს — კონფლიქტის ზონაში ჟურნალისტთა კავშირი ჩამომეყალიბებინა. ჩემი ბოლო ცდა გაზეთი „ლომჭაბუკი“ იყო. თვე-ნახევარი ვიმუშავე და მიეხვდი, რომ ამ სფეროში თავი ამოვწურე. ჩაქრა ის ცეცხლი, რაც თავიდან მქონდა. წასვლის შესახებ განცხადება რომ დავწერე, შვებით ამოვისუნთქე. — ახლა ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი გართობა იყო. ჩემში ახალი საქმის კეთების სურვილი გაჩნდა. დადგა დრო, ბავშვობის ოცნებისთვის ხორცი შემესხა...

— მოდი, ჯერ პირად ცხოვრებაზე, ოჯახზე გვიამბე.

— რომანტიკული თავგადასავლები არასდროს მქონია. ვერ მოვასწარი. არ მიყვარს, როცა მამაკაცი ბევრს ლაპარაკობს და ტვინს ათასი სისულელით „გიჭედავს“. რაც შეეხება ჩემს მეუღლეს, ის ჩემზე ექვსი წლით უფროსია. მეზობელი იყო და ფაქტობრივად, ერთად გავიზარდეთ. მისთვის მე თავიდან მხოლოდ პატარა ბავშვი ვიყავი — ზურგზე შემისვამდა და ასე მატარებდა ხოლმე. მაგრამ ერთ დღეს, ყველაფერი შეიცვალა: ვატყობდი, რომ სხვანაირად მიყურებდა, სხვანაირად მეთამაშებოდა... ცოლად რომ გავყევი, 19 წლის ვიყავი. ტრადიციისამებრ ჯერ დამნიშნეს და შემდეგ კი ვიქორწინეთ. მალე სალომე შემეძინა. მეუღლე მოჭიდავე იყო, მაგრამ ტრავმის შემდეგ სპორტს თავი დაანება. არ ვარ ის ქალი,

ჩემი გოგონა ყველგან თან დამყავდა: რესპონდენტთან, გადაცემის ჩაწერაზე...

ეკა მეუღლესთან ერთად

რომელიც ვინმეზე ან რამეზე არის დამოკიდებული, თავისუფლებას ვერ შეველევი. ჩემი სურვილით სოფლიდან წამოვედით და გორში ბინა ვიქირავეთ. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კი მუშაობაც დავიწყე. ჩემი გოგონა ყველგან თან დამყავდა: რესპონდენტთან, გადაცემის ჩაწერაზე... ახლა თერთმეტი წლისაა და გაცილებით კონტაქტური გახდა, ვიდრე მანამდე იყო. მინდა ძლიერ, დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბდეს.

— მთავარს დავუბრუნდეთ. როგორ გახდი პოლიციელი?

— 2007 წლის ზაფხულში, შემთხვევით გავიგე, რომ უბნის ინსპექტორის შესარჩევი კონკურსი გამოცხადდა. საბუთები ბოლო დღეს შევიტანე. ტესტირება კარგად გავიარე, შემდეგი ეტაპი გასაუბრება იყო. მეგობრები მაფრთხილებდნენ, არ მეთქვა, რომ ჟურნალისტი ვიყავი — არ მიგიღებენო. ასმეცამეტე ნომერი ვიყავი. კომისიის წევრები გადაღლილები ჩანდნენ. „ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“, ამიტომ სიმართლის თქმა ვამჯობინე. ვთქვი, რომ მწერალთა კავშირის წევრი ვარ და წლების განმავლობაში ჟურნალისტად ვმუშაობდი. უცებ გამოცოცხლდნენ, გახალისდნენ, უამრავი კითხვა მომაყრეს; უკვირდათ — მწერალსა და ჟურნალისტს, პოლიციელობა რამ გადაგაწყვეტინაო?! დარწმუნებული ვიყავი, რომ არ მიმიღებდნენ, მაგრამ სასწაული მოხდა და კონკურსში გავიმარჯვე. ერთი თვით თბილისში, სასწავლებლად პოლიციის აკადემიაში გამგზავნეს.

— მეუღლემ როგორ მიიღო ეს ამბავი?

— მან არაფერი იცოდა. მას მოულოდნელად განვუცხადე: პოლიციის აკადემიაში ვიწყებ სწავლას-მეთქი. როგორც გითხარით, დამოუკიდებელი ადამიანი ვარ და ყოველთვის იმას ვაკეთებ, რაც მინდა. მეუღლემ მითხრა: შენგან არაფერი გამიკვირდებაო. მიჩვეული იყო ჩემს სპონტანურ გადაწყვეტილებებს.

— აკადემიაში სწავლას როგორ გაართვი თავი?

— აკადემიაში დიდი სიმკაცრე იყო, სასწავლო გეგმაც რთული გახლდათ. ყოველდღე ორი-სამი გამოცდის ჩაბარება გვიწევდა (სისხლის სამართალში, ადმინისტრაციულ სამართალში). ვინც ვერ აბარებდა, ავტომატურად ირიცხებოდა. ბოლოს რამდენიმე ადამიანი დავრჩით. იქ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე.

— როგორი იყო შენი პირველი სამუშაო დღე?

— აკადემიის დამთავრების შემდეგ უბნის ინსპექტორად დავინიშნე. პატარა ბავშვივით მიხაროდა, ერთი სული მქონდა, როდის გათენდებოდა და ფორმას როდის ჩავიცვამდი. საკმაოდ დიდი გზა ფეხით გავიარე — მინდოდა, ყველას დავენახე. სამსახურში გამოგვიცხადეს: თქვენი სამუშაო დღე იწყება 00 საათზე და მთავრდება 00 საათზეო. იმ დღეს გავიგე, რომ ოცდაოთხსაათიანი სამუშაო გრაფიკით უნდა მეცხოვრა... სამსახურში ერთი კვირის მისული ვიყავი. ოთახში დაკავებული ახალგაზრდა ქალი შემოიყვანეს. ცოტა ხნით მარტონი დავრჩით. ისე გულისამაჩუყებლად ჰყვებოდა თავის ამბავს, თავი ისე შემაცოდა, მეც მასთან ერთად ვტიროდი. ბოლოს მითხრა: რა მექნა, ძალიან მიჭირდა და ამიტომ ვყიდდი ნარკოტიკებსო. ამის შემდეგ ცრემლები აღარ დამიღვრია...

— დამნაშავის აყვანაში თუ მიგიღია მონაწილეობა?

— მიმიღია, თუმცა პოლიციელის საქმე მხოლოდ დამნაშავის დაჭერა არაა, მას საზოგადოებასთან ურთიერთობა, მასზე დადებითი გავლენის მოხდენა უნდა შეეძლოს. მუშაობა ახალი დაწყებული მქონდა. ნდობით აღჭურვილმა პირმა მოგვაწოდა ინფორმაცია, რომ ერთ-ერთ ბინაში ნარკომანები ხშირად იკრიბებოდნენ. ერთ დღესაც ისინი ფაქტზე ავიყვანეთ. სამმართველოს შენობაში რომ გადავიყვანეთ, ერთ-ერთ მათგანს, რომელსაც აღმოჩნდა, რომ სამი წლის ბიჭი ჰყოლია, ბევრი ვესაუბრე მის უსაქციელობაზე; ვუხსნიდი, თუ რა მაგალითს აძლევდა შვილს. იმდენი ველაპარაკე, რომ კამათიც კი მოგვივიდა. დაკავებულებს ადმინისტრაციული სასჯელი შეუფარდეს. ორი თვე რომ გავიდა, სამმართველოში ის ახალგაზრდა მოვიდა და მიკითხა. შენობაში დადიოდა და კარდაკარ მეძებდა. მოულოდნელად დერეფანში შემეფეთა. ძალიან შემეშინდა. ვიფიქრე, ცუდი განზრახვით მოვიდა-მეთქი. ჩამჭიდა ხელი და უფროსის ოთახამდე მიმიყვანა, მერე ხელში ამიტაცა და კაბინეტში ისე შემიყვანა. ყოველთვის ისე მორიდებულად შევდიოდი უფროსთან და ხომ წარმოგიდგენიათ, რა დამემართებოდა, გაოგნებული ვიყავი. მან ჩემს უფროსს უთხრა: ამ ქალბატონმა ცხოვრება შემინარჩუნა, შვილს მამა დაუბრუნაო. ისე მაქო და მადიდა, შემრცხვა კიდეც — გალექსილი ლაპარაკობდა.

თურმე ამ ბიჭზე ისეთი გავლენა მომიხდენია, სურვილი გაუჩნდა, ნარკოტიკებისთვის თავი დაენებებინა. მეორედ ჩვენს ხელში აღარ ჩავარდნილა.

დანამდვილებით ვიცი, ახლა წესიერ, პატიოსან ცხოვრებას ეწევა. ძალიან მიხარია, რომ სამართალდამრღვევებს, რომლებთანაც უშუალო შეხება მქონია, მათთვის ყველაზე ბედნიერ წუთებში ვახსენდები. ახალ წელს ერთ-ერთმა დამირეკა და მახარა, გოგო შემეძინა და შენი სახელი დავარქვიო...

— მაინტერესებს, ასეთი დატვირთული გრაფიკით დიასახლისობას როგორ ახერხებ?

— პოლიციაში მუშაობა რომ დავიწყე, მშობლები შეშინდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ ფათერაკიანი და სახიფათო პროფესია ავირჩიე. ჟურნალისტი რომ ვიყავი, ქმრის ნათესავებს ეამაყებოდათ, ხოლო პოლიციელი რომ გავხდი, არ ესიამოვნათ; იფიქრეს, ოჯახს ყურადღებას მოვაკლებდი. სოფელშიც ჭორაობდნენ: ქალს რა უნდა პოლიციაში. თუმცა, დამერწმუნეთ, ჩემი სამსახური ხელს სულაც არ მიშლის, ვიყო კარგი დედა და კარგი დიასახლისი. ყველაფერს ვასწრებ. შემიძლია, ერთდროულად რამდენიმე საქმე ვაკეთო — მაგალითად, თან ვრეცხო, თან საჭმელი ვაკეთო და თან დავალაგო. არ მიყვარს, როცა ვინმე მეხმარება, პირიქით, ხელს მიშლის. საქმეს როცა მოვრჩები, ბავშვს გაკვეთილებს გამოვკითხავ ხოლმე. საკმაოდ მკაცრი და მომთხოვნი დედა ვარ, არ მინდა ბავშვი სიზარმაცეს შეეჩვიოს.

— მამაკაც კოლეგებთან ურთიერთობისას, ქალი რომ ხარ, ამას თუ გრძნობ?

— ოპერატიული დავალების დროს სქესი არ არსებობს. თანამშრომლები ქალად არ აღმიქვამენ, „ძმაო“-თი მომმართავენ, რაც ძალიან მომწონს. თუმცა, ზრდილობის ნორმებიც არ ავიწყდებათ. თავიდან სამსახურში ეჭვის თვალით მიყურებდნენ, მხოლოდ იმის გამო, რომ ქალი ვარ და თანაც — ყოფილი ჟურნალისტი. ახლა კაცი-მეგობარი მეტი მყავს, ვიდრე ქალი.

— აგვისტოს ომის დღეებშიც თუ გიწევდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება?

— ომის დროს სამმართველოში ერთადერთი ქალი ვიყავი. ამის გამო ჩემი კოლეგები ძალიან ღელავდნენ. უფროსმა ბრძანა: ქალაქიდან გავიყვანოთო. ძალიან მეწყინა, თვალებზე ცრემლი მომადგა. უფროსს პირველად შევეპასუხე: მეც ისეთივე პოლიციელი ვარ, როგორიც ყველა და თქვენ გვერდით ყოფნის უფლება მომეცით-მეთქი. უფროსმა მხოლოდ ხელი ჩაიქნია: რაც გინდა, ის ქენიო. ეს ჩემთვის დიდი პატივი იყო.

— შენი ხასიათიდან გამომდინარე, მიღწეულს არ დასჯერდები...

— ის ჯარისკაცი რა ჯარისკაცია, გენერლობაზე თუ არ ოცნებობს. ახლა ლეიტენანტი ვარ, მაგრამ მეორედ რომ მოხვალთ, უკვე გენერალი მოგცემთ ინტერვიუს!

■

30 წელი სცენაზე ანუ ცეკვის მასწავლებლის თავდავიწყება

„სხვათა შორის, ცეკვებზე ბადრი პატარაკაციშვილიც დადიოდა, მან მომავალი მეუღლე სწორედ ჩვენთან გაიცნო“...

„ეს არის მუსიკის უზარმაზარი, ლამაზი სამყარო, საოცრად დახვეწილი პლასტიკა და გრძნობები. აქ ყველას ერთმანეთი უყვარს, ასაკის მიუხედავად, ყველა ახალგაზრდაა... ცოტას ლაპარაკობენ, რადგანაც მუსიკა ამბობს სათქმელს... საღამოობით, სამსახურიდან, პირდაპირ აქეთ მოეშურებიან და ყოველგვარი ცხოვრებისეული პრობლემა, რამდენიმე საათის განმავლობაში გვერდზე რჩებათ“, — ასე ახასიათებს თავის პროფესიას ლათინურ-ამერიკული ცეკვების მასწავლებელი, ელისო ბაკურაძე. იგი უკვე 73 წლისაა, 30 წელია ცეკვავს. ცეკვის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენლად მიაჩნია. მაინც რით არის ეს პროფესია განსაკუთრებული? რას ნიშნავს ცეკვით „მოწამლული სისხლი“ და რატომ მიაჩნიათ „რუმბა“ სიყვარულის ცეკვად? ამ ყველაფრის შესახებ თავად ქალბატონი ელისო გიამბობთ.

სოფო მინაშვილი

— თბილისში დავიბადე და გავიზარდე. რაც თავი მახსოვს, სულ ვცეკვავ. დედაჩემი კარგად მღეროდა, მაგრამ მოცეკვავე საგვარეულოში არავინ გვყოლია. მახსოვს, საბავშვო ბაღში „მსოფლიო ცეკვების წრე“ იყო და 6 წლის ვიყავი, როდესაც სიარული იმ წრეზე დავიწყე. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ ცეკვებს გვასწავლიდნენ — უკრაინულს, სომხურს, რუსულს და ა.შ. ჯგუფში ყველაზე პატარა ვიყავი. შემდეგ ქართულ ცეკვებზეც დავდიოდი. ცხრა წლის ასაკში კი ბალეტზე შემიყვანეს, მაგრამ ოჯახში ყველა მუშაობდა და ჩემთვის არავის ეცალა. ამის გამო ბალეტს თავი დავანებე, რასაც ძალიან განვიცდიდი. მამაჩემმა ეს შეამჩნია და მირჩია, სიარული ლათინურამერიკულ ცეკვებზე დამეწყო. მაშინ მათ სამეჯლისო ცეკვებს უწოდებდნენ. ლათინურამერიკულ ცეკვებზე თავიდან დიდხანს არ მივლია — მალე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩავაბარე, მოგვიანებით კი ოჯახი შევქმენი. ვსწავლობდი რკინიგზის საინჟინრო ფაკულტეტზე, თუმცა სწავლის დამთავრების შემდეგ მუშაობა რადიოქარხნის საკონსტრუქტორო ბიუროში დავიწყე. პარალელურად პროფტექნიკურ სასწავლებელში ხაზვასა და ლითონოგრაფიას ვასწავლიდი, მაგრამ ხომ გესმით, ეს ყველაფერი ძალიან შორის იყო ჩემი მოწოდებისგან. გული ყოველთვის ცეკვისკენ მიმიწევდა. ბოლოს განვაახლე კიდეც ცეკვაზე სიარული. მას შემდეგ ცეკვისთვის აღარ დამინებებია თავი. უკვე 30 წელია, ვცეკვავ.

— თქვენთან ერთად ბევრი ადამიანი დადიოდა სამეჯლისო ცეკვებზე? ვინ იყო თქვენი პირველი მასწავლებელი?

— იმ დროს თბილისში მხოლოდ ერთი სპეციალისტი იყო — მიხეილ კაფიევი, შესანიშნავი პედაგოგი და ორგანიზატორი, რომელმაც მოგვიანებით ცეკვის სამწლიანი უნივერსიტეტი დააარსა. ძველი თაობის მოცეკვავეები ვინც ვართ შემორჩენილი, თითქმის ყველას გვაქვს იმ

ბოლო 5-6 წელია დამოუკიდებელ პედაგოგად ვმუშაობ

უნივერსიტეტის დიპლომი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ოფიციალურად პედაგოგობის უფლება გენიჭებოდა. შენობა, სადაც რეპეტიციებს ვატარებდით, ამჟამინდელ თავისუფლების მოედანზე იყო. ყოველ წელს მოსწავლეების ახალი ნაკადი მოდიოდა, ზოგჯერ 50 და 100 კაცი, რომელიც საათების მიხედვით, სხვადასხვა ჯგუფში იყო განაწილებული. კონკურსებში მონაწილე ჯგუფები ცალკე ემზადებოდნენ, მოყვარულები — ცალკე და ა.შ. სხვათა შორის, ცეკვებზე ბადრი პატარკაციშვილიც დადიოდა, მან მომავალი მეუღლე სწორედ ჩვენთან გაიცნო...

— როგორ გაიხსენებდით ბადრი პატარკაციშვილს?

— თავიდან ჩვენთან ბადრის მამამ, ბატონმა შალვამ დაიწყო სიარული. 70-იან წლებში სამეჯლისო ცეკვები ძალიან პოპულარული იყო, ყველა ცეკვავდა. არსებობდა უამრავი საცეკვაო კლუბი, საღამოები ხშირად ღია ცის ქვეშაც იმართებოდა. ბადრის მამა უფრო ჩემი თაობის მოცეკვავე იყო და, შესაბამისად, ბადრიზე უკეთ მამამისი მახსოვს. ერთადაც გვიცეკვია. ბადრიმ და მისმა დამ — მზიამ მოგვიანებით დაიწყეს ცეკვაზე სიარული. მომავალი მეუღლეები ორივემ ჩვენთან გაიცნეს. ერთ ჯგუფში იყვნენ თუ არა, აღარ მახსოვს, მაგრამ მასწავლებელი ყველას ერთი ჰყავდა — მიხეილ კაფიევი. ბადრი მაშინ, რა თქმა უნდა, არ იყო ისეთი ცნობილი და მდიდარი, როგორიც შემდეგ გახდა. ამის გამო განსაკუთრებულ ყურადღებას არც იქცევდა, მაგრამ ვიცი, რომ ყველასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ჩვენთან დიდხანს დადიოდა ბადრის და ინას მეჯვარე — დათო ჭიპაშვილიც. მახსოვს, რომ ბადრი და ინა დაქორწინების შემდეგ, საქორწინო მოგზაურობაში წავიდნენ. ბადრის სიცოცხლის ბოლომდე ყველა ძველ მოცეკვავესთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა და ჩვენც ყოველთვის დიდ პატივს ვცემდით.

ბადრი მაშინ, რა თქმა უნდა, არ იყო ისეთი ცნობილი და მდიდარი, როგორიც შემდეგ გახდა

— რამდენადაც ვიცი, ცეკვას თავადაც ასწავლით...

— ბოლო 5-6 წელია დამოუკიდებელ პედაგოგად ვმუშაობ. ჩვენი პედაგოგის გარდაცვალების შემდეგ ძველი თაობის მოცეკვავეები ვინც ვიყავით, გადავწყვიტეთ, დამოუკიდებელი სტუდია გაგვეხსნა. მე და ჩემმა კოლეგებმა — კარლო ენუქიძემ და ასევე ჯემალ ნემსიწვერაძემ ლათინურ-ამერიკული ცეკვების სტუდია — „ფორტუნა“ გავხსენით. თავდაპირველად იმდენი მსურველი მოვიდა, მალე ადგილი აღარ გვქონდა და ბევრს უარს ვეუბნებოდით. სამწუხაროდ, წელს ძალიან ცოტა ხალხი გვყავს — ძველი მოსწავლეებიდან ზოგი მეთორმეტე კლასში გადავიდა და უმაღლესი სასწავლებლისთვის ემზადება, ზოგმა მუშაობა დაიწყო და ა.შ. ახლა სულ 16 მოსწავლე გვყავს, ამის გამო ისინი ჯგუფებად არ არიან დაყოფილნი, თუმცა ცალ-ცალკე ვარჯიშობენ პროფესიონალები და მოყვარულები. ჯგუფში ყველაზე ასაკოვანი 82 წლის მამაკაცია, ის მეცნიერებათა დოქტორია. ყველაზე მცირეწლოვანი კი 15 წლის არის.

— წყვილები ერთმანეთს ასაკის მიხედვით ირჩევენ?

— ეს მათ თავისუფალ არჩევანზეა დამოკიდებული. ზოგჯერ 70 წლის მამაკაცი 23 წლის გოგონასთან ერთად ცეკვავს. თავდაპირველად, როდესაც ახალი მოსულია მოსწავლე და არ იცის, ვისთან უნდა იცეკვოს, პირადად მე ვურჩევ მას მეწყვილეს და ინდივიდუალურად ვმუშაობ მასთან. შემდეგ უკვე კარლო ენუქიძე ყველასთვის საერთო გაკვეთილს ხსნის. როცა მოსწავლე მიხვდება, რომ ვინმეს შედარებით უკეთ ეწყობა, მეწყვილედ მას ირჩევს და სულ მასთან ცეკვავს.

— კონკრეტულად რომელ ცეკვებს ასწავლით?

— ლათინურამერიკულ და ევროპულ ცეკვებს ვასწავლით. ლათინურამერიკული ცეკვებია — მხიარული „ჯაივი“, ცეცხლოვანი „ჩა-ჩა-ჩა“ და „სამბა“, სიყვარულის ცეკვა „რუმბა“, ასევე „სალსა“. ევროპულ ცეკვებს კი მიეკუთვნება — სამნაირი — „ვალსი“, „ბლუზი“, „ტანგო“, „ქვიქსთეფი“, ნელი „ფოქსტროტი“ და სხვა. საკონკურსოდ სულ 10 ცეკვას ვამზადებთ. ევროპულ ცეკვებს უფრო მაღალი ტანის წყვილები ცეკვავენ, რაც ლათინურ-ამერიკული ცეკვების შემთხვევაში გადამწყვეტი არ არის.

— მაინც რითია ცეკვა თქვენთვის ასეთი ახლობელი და რატომ მიიჩნევთ, რომ მის გარეშე არ შეგიძლიათ?

— პირველ ყოვლისა, ცეკვა ჩემთვის ჯანმრთელობა და მუდმივი კარგი განწყობილებაა. ვერ ვიტანს, როდესაც ადამიანი ავადაა ან ცუდად გრძნობს თავს. 30 წელია უკვე ვცეკვავ და ცუდ განწყობილებაზე თითქმის არასდროს ვყოფილვარ. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში უამრავი ადამიანი იტანჯება დეპრესიით. ცეკვა ასევე გეხმარება ფორმის შენარჩუნებაში, რაც განსაკუთრებით ქალებისთვის მნიშვნელოვანია. ბოლომდე გულწრფელი რომ ვიყო, იმასაც გეტყვით, რომ ცეკვა მუსიკის უზარმაზარი, ლამაზი სამყაროა, ეს არის საოცრად დახვეწილი პლასტიკა და გრძნობები. იქ ყველას ერთმანეთი უყვარს და ცოტას ლაპარაკობს, რადგან მუსიკა ამბობს სათქმელს. ასაკის მიუხედავად, იქ ყველა ახალგაზრდაა. როგორც ცეკვის მოყვარულები ამბობენ, თუ ერთხელ „მოგეწამლა სისხლი“ სამუდამოდ „დასნეულდები“. ცეკვა სიყვარულის გარეშე წარმოუდგენელია. მაგალითად „რუმბას“ ვერ იცეკვებ, თუ იმ წუთში თავდავიწყებით არ გიყვარს, იმ წუთში მხოლოდ პარტნიორს ეკუთვნი, საოცრად ლამაზად უხსნი სიყვარულს, ქვეყნიერებას ჩუქნი... მუსიკის დასრულებისას გული გწყდება, რომ ისევ ჩვეულებრივად არის ყველა-

ფერი. ჩვენთან ბევრი წყვილი იყო, რომელსაც ცეკვამ შეაყვარა ერთმანეთი. ჩემი ცხოვრებიდან ერთ მაგალითს გავიხსენებ... ერთ ყმაწვილს ძალიან შევუყვარდი, ჩემზე საკმაოდ ახალგაზრდა იყო, „რუმბას“ ცეკვისას დნებოდა, ხელში მაკვდებოდა. ლამაზად ვცეკვავდით. მე ოჯახი მქონდა, შვილები მყავდა. ჩემი გოგონები თითქმის მისი ტოლები იყვნენ. ვეუბნებოდი... არ მიჯერებდა... რეპეტიციაზე მისულს იებით ხელში მხვდებოდა. სხვასთან არ ცეკვავდა. მეც ქალი ვიყავი და მსიამოვნებდა, მაგრამ თავს მოვერიე... გული ეტკინა... წავიდა... მას შემდეგ აღარ უცეკვია... სხვათა შორის, მას შემდეგ ისე ლამაზად არავისთან მიცეკვია.

— თქვენი მეუღლე სად გაიცანით? მან თუ იცის ცეკვა?

— მეუღლე სამსახურში გავიცანი, საკონსტრუქტორო ბიუროში ერთად ვმუშაობდით. ბევრს ვეხვეწებოდი, წამოსულიყო და ჩემთან ერთად ეცეკვა, მაგრამ ყოველთვის უარს მეუბნებოდა. მახსოვს, ერთხელ ბათუმში ვიყავით ექსკურსიაზე და პირველად იქ ვიცეკვეთ. მან იცოდა, რომ დავდიოდი ცეკვაზე, მაგრამ არასდროს მოსულა და არ უნახავს, სად ვცეკვავდი. როგორ გითხრათ, მას თავისი სამყარო აქვს და თავისი სამეგობრო წრე ჰყავს. ის იქ არის ბედნიერი.

— ცეკვის დროს წამყვანი, ალბათ, მამაკაცია...

— წამყვანი მამაკაცია, რასაკვირველია, თუმცა ქალის ილეთები უფრო რთულია. ქალისთვის ეს აუცილებელი არ არის, მაგრამ კაცმა ქალის ილეთებიც უნდა იცოდეს. ქალს კი უნდა ესმოდეს, რას აცეკვებს კაცი და აჰყვეს მას. წყვილებსაც იმის მიხედვით ირჩევენ — ვის ვისთან უფრო კარგად გამოსდის ცეკვა, ვის უფრო კარგად ესმის მათი სხეულის ენა.

— კონკურსების შესახებაც მიამბეთ... თავად თუ მონაწილეობთ ხოლმე კონკურსებში?

— კონკურსებს ტრადიციულად წლის ბოლოს, საახალწლოდ ვაწყობთ. სამწუხაროდ, ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი გარდაიცვალა და ახლა მის საქმეს მისი შვილი აგრძელებს. მოგეხსენებათ, თბილისში ლათინურამერიკული ცეკვების მრავალი სტუდიაა და ჩვენ თითქმის ყველა მათგანთან გვაქვს ურთიერთობა. ცალ-ცალკე ტარდება კონკურსები პროფესიონალებსა და მოყვარულებს შორის. თავდაპირველად შიდა კონკურსებს ვაწყობთ ხოლმე და როდესაც მთელი საქართველოს მასშტაბით ცხადდება კონკურსი, ჩვენ იქ ჩვენს გამარჯვებულ წყვილს ვგზავნით. ეს სურვილსა და მომზადების დონეზეა დამოკიდებული. კონკურსები ტარდება როგორც ჩვენი, ასევე მთელი კავკასიის მასშტაბითაც, სადაც აზერბაიჯანის, სომხეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებიც მონაწილეობენ. ასაკის შესაბამისად კონკურსები ტარდება როგორც ახალგაზრდებში, ასევე 50 წელზე უფროსი თაობის წარმომადგენლებში. მათ სენიორები ჰქვიათ. პირადად მე, სტუდენტობის დროს არ ვმონაწილეობდი კონკურსებში, შვილები მყავდა. პარალელურად ვმუშაობდი და კონკურსების დრო აღარ მრჩებოდა. ბოლოს საქართველოს მასშტაბით გამართულ სენიორების კონკურსზე გამოვედი და მეორე ადგილი ავიღე.

— თქვენი შვილებიც ცეკვავენ?

— ორი ქალიშვილი მყავს, ორივეს ქორეოგრაფიული ფაკულტეტი აქვს დამთავრებული. ბალერინები არიან. ერთ-ერთი სლოვაკეთში ცხოვრობს ოჯახთან ერთად, ისიც ცეკვას ასწავლის. ჩემი შვილიშვილიც მოცეკვავეა. შეიძლება ითქვას, რომ ცეკვის სიყვარული ჩემს ოჯახში მემკვიდრეობად იქცა.

ოპტიმისტი გოგონას სევდიანი ამბავი და გაოგნებული ექიმები

„ოპერაციას წელს თუ არ გავიკეთებ, მერე ძალიან გვიანი იქნება...“

„ძალიან გთხოვთ, ჩემი წერილი უყურადღებოდ არ დატოვოთ, თქვენ ხომ ბევრს ეხმარებით. სასწრაფოდ უნდა გავიკეთო ოპერაცია, რომელიც ძალიან ძვირი ჯდება, ამის საშუალება კი ჩემს ოჯახს არა აქვს. აღარ ვიცი, რა ვქნა. დიდი ხანია, მსხვილ კომპანიებს მუხლმოდრეკილი ვთხოვ, დამაფინანსონ, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ჰოდა, ახლა მხოლოდ უფლის მოწყალებისა და თქვენი გულისხმიერების იმედი მაქვს. ოპერაცია წელს თუ არ გავიკეთე, მერე აღარაფერი მეშველება. ასე რომ, ჩემი ბედი თქვენს ხელთაა“, — მომწერა 19 წლის ნანა ნაფიშვილმა. მას შინ ვეწვიე, რადგან თავად გარეთ ვერ გამოდის, სიარული და სუნთქვა ძალიან უჭირს...

ლიკა ქაჯაია

— დახმარება ვისაც ვთხოვეთ, ყველამ უარით გამოგვისტუმრა. მერე მამამ საიტი გამიკეთა, — იქნებ, უცხოელები მაინც დაგვეხმარონო. 2 თვეა, რაც გამოჯანმრთელების იმედი ჩამესახა და ამავდროულად, ვხვდები, რომ ეს შანსი ხელიდან მეცლება...

— იქნებ, უფრო კონკრეტულად მითხრა, რა პრობლემა გაქვს?

— კუნთების დისტროფიის ფონზე ხერხემალი გამიმრუდდა, ეს კი ჩემს გულსა და ფილტვებს ნორმალურად მუშაობაში უშლის ხელს. 2 თვის წინ შევიტყვე, რომ თურმე, ჩემი განკურნება შესაძლებელია, ოღონდ, ხერხემლის გასწორებას ქართველი ექიმები ვერ შეძლებენ, ამისათვის საზღვარგარეთ უნდა გავემგზავრო. მე და მამა ინტერნეტის მეშვეობით დავუკავშირდით ავსტრიელ ექიმს, რომელმაც მოგვცა 90%-იანი გარანტია იმისა, რომ ოპერაცია კარგად ჩაივლის — ხერხემალში რაღაც რკინები უნდა ჩამიდგან, რომლის წყალობითაც, მის საბოლოო გამრუდებას ავიცილებ თავიდან, გულსა და ფილტვებს ნორმალურად მუშაობის საშუალება მიეცემა და ამის შემდეგ, იმედი მაქვს, რომ მეც ისევე ხალისიანად ვიცხოვრებ, როგორც ჩემი თანატოლები ცხოვრობენ.



ნანას ძალიან რთული ოპერაციის გადატანა მოუწევს

— ეს პრობლემა ბავშვობიდანვე გაქვს?

— კუნთების დისტროფია რომ მქონდა, ეს დედამ ბავშვობაშივე შემატყო და წლების განმავლობაში, თითქმის ყველა საავადმყოფო შემოვიარეთ; დედა ბოლო „კაპიკებს“ აძლევდა ექიმებს, მაგრამ ჩემი მდგომარეობა, გამოსწორების ნაცვლად, თანდათან გაუარესდა... უკვე 19 წლის ვარ და იმ უცხოელმა ექიმმა მითხრა: — ოპერაციას წელს თუ არ გაიკეთებ, მერე ძალიან გვიანი იქნებაო. ოპერაცია 18 ათასი ევრო ჯდება, ჩემს ოჯახს კი ამის საშუალება არა აქვს.

— მოდი, შენს ცხოვრებაზე, მეგობრებზე მიამბე რამე...

— აბა, რა გითხრა? სკოლაში ისევე დავდიოდი და ვსწავლობდი, როგორც ჩემი მეგობრები. 3 წელია, რაც სკოლა დავამთავრე, მაგრამ სწავლის გაგრძელება 2 მიზეზის გამო ვერ შევძელი: ჯერ ერთი, სიარული მიჭირს და მეორეც, ამაში მატერიალური მდგომარეობაც მიშლის ხელს... ძალიან მალე ვიღლები და გარდა იმისა, რომ ხერხემლის გამრუდების გამო ჩემი გული ცუდად მუშაობს, სუნთქვაც მიჭირს ხოლმე. მოსწავლეობის პერიოდში უფრო აქტიური ვიყავი და სიარულიც არ მიჭირდა, მაგრამ მას მერე, რაც სახლში დავჯექი, კუნთები საოცრად მომიდუნდა... აბა, სად უნდა წავსულიყავი?!.

— რა ვიცი, მეგობრებთან...

— (*მაწყვეტინებს*) ბევრი მეგობარი ნამდვილად არ მყავს. ვინც შემომრჩა, ისინიც მუშაობენ ან სწავლობენ და ჩემთვის აბა, სად სცალიათ?! როცა თავისუფალი დრო აქვთ, ჩემს სანახავად მაშინ მოდიან, რაც ძალიან მახარებს.

— როგორი მოსწავლე იყავი?

— ოთხებზე ვსწავლობდი... ძალიან

კუნთების დისგროფიის ფონზე ხერხემალი გამიმრუდდა

მინდოდა მსახიობობა, ამაზე ვოცნებობდი, მაგრამ ჩემს მდგომარეობაში ეს შეუძლებელია... პატარაობისას მუსიკალურ სასწავლებელშიც დავდიოდი, პიანინოზე დაკვრა ძალიან მიყვარს, მაგრამ ექიმებმა ამიკრძალეს, — შენთვის დიდხანს ჯდომა არ შეიძლებაო...

— ნანა, და ან ძმა გყავს?

— არა, დედისერთა ვარ...

— ანუ დედ-მამასთან ერთად ცხოვრობ?

— არა, მამაჩემი, რომელიც I ჯგუფის ინვალიდია, ცალკე ცხოვრობს.

— მას რა სჭირს?

— იგივე, რაც მე. სხვათა შორის, ეს დაავადება მისგან გადმომეცა — ჩვენ კუნთების პროგრესული დისტროფია გვჭირს. თურმე, 12 წლის ასაკამდე მასაც შეეძლო სიარული, მაგრამ მერე, სავარძელს მიეჯაჭვა და ახლა, ბიძაჩემი და ბებიაჩემი უვლიან... საერთოდ, ეს დაავადება მშობლიდან შვილზე მხოლოდ იმ შემთხვევაში გადადის, თუ პირმშო ბიჭია, მაგრამ სამწუხაროდ, მე გამონაკლისი აღმოვჩნდი...

— დედაშენი რას საქმიანობს?

— მაღაზიაში, გამყიდველად მუშაობს და ხან აქვს სამუშაო, ხან — არა. მისი ანაზღაურება მინიმალურია, მხოლოდ საჭმელში გვყოფნის, ძალიან ეკონომიურად ვცხოვრობთ. ზოგჯერ მამაც გვეხმარება — პენსიას იღებს.

— ნანა, როცა მარტო რჩები, რაზე ოცნებობ ხოლმე?

— ახლა ერთადერთი ოცნება მაქვს — ოპერაციის გაკეთება და გამოჯან-

ნანა მეგობართან ერთად

მრთელება... ძნელია, როცა გამუდმებით სახლში ზიხარ, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს. გართობის მიზნით, ხან წიგნს ვკითხულობ, ხან — ჟურნალს, ხანაც ტელევიზორს ვუყურებ, დედას საოჯახო საქმეებში შეძლებისდაგვარად ვეხმარები, ვქსოვ და ამასობაში, დროც გადის... ხშირად, სევდა მიპყრობს და გული მწყდება, რომ თანატოლების მსგავსად, სასეირნოდ ვერ დავდივარ, ვერ ვსწავლობ...

— **როცა საზღვარგარეთ წახვალ, ოპერაციას გაიკეთებ და კარგად გახდები, პირველ რიგში, რას გააკეთებ?**

— მართალია, ოპტიმისტი ვარ, მაგრამ ამაზე ნამდვილად არ მიფიქრია. ალბათ, ეგრევე მუშაობას დავიწყებ, რათა დედას მხარში ამოვუდგე და რაღაცით მაინც დავეხმარო, ყოფა შევუმსუბუქო...

ირმა, *ნანას დედა:*

— ნანა ყოველთვის ძალიან თბილი ბავშვი იყო. 3 წლის გახლდათ, როცა შევამჩნიე — გაჭიმული ფეხებით, ჯარისკაცივით დადიოდა. სასწრაფოდ, ნევროპათოლოგთან მივიყვანე და დაუსვეს დიაგნოზი — კუნთების დისტროფია. იმ პერიოდში ნათესავი ამერიკაში, ნარკოლოგიურ ცენტრში, კვალიფიკაციის ასამაღლებლად მიდიოდა. მას ნანას სისხლი გამოსაკვლევად გავატანეთ. მოგვივიდა პასუხი, — დიაგნოზი არ დასტურდებაო! ნათესავმა შემოგვითვალა: ამერიკელები სწორხაზოვანი აზროვნების ხალხია და კარგი იქნება, თუ სისხლს ხელახლა გამოგზავნით, გამოსაკვლევადო. სამწუხაროდ, ეს ვერ შევძელით, ამის საშუალება არ გვქონდა. სამაგიეროდ, საქართველოში არ დამიტოვებია არც ერთი ექიმი, ვისაც ნანა არ ვუჩვენე. სამწუხაროდ, მათმა მკურნალობამ შედეგი არ გამოიღო. პირიქით, იმის ნაცვლად, რომ წინსვლა ყოფილიყო, ნანას მდგომარეობა სულ უფრო უარესდებოდა... ერთხელ საქართველოში დაღესტნიდან ჩამოვიდა კაცი, რომელთანაც სამკურნალოდ მთელი 2 კვირა დამყავდა და კარგი შედეგიც ჰქონდა, მაგრამ სამწუხაროდ, ჯანდაცვის სამინისტრომ იმ კაცს ლიცენზია არ მისცა და იძულებული გახდა, საქართველოდან წასულიყო. მართალია, მან თავისი კოორდინატები დაგვიტოვა, მაგრამ მასთან ვერ წავედით — ისევ და ისევ, უსახსრობის გამო... ნანა ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრშიც დამყავდა, სადაც მასაჟებს უკეთებდნენ. მოგვიანებით გავიგე, რომ თურმე, მისთვის მასაჟები არ შეიძლებოდა... 16 წლის რომ გახდა, შვილის გამოჯანმრთელების იმედი საბოლოოდ დავკარგე და გადავწყვიტე, ექიმებთან აღარ მიმეყვანა, აღარ მეწვალებინა... ახლა ნანამ ინტერნეტით მოიძია ინფორმაცია, რომ თურმე, ვიღაც ექიმს შეუძლია, გააკეთოს ოპერაცია, რომლის შედეგადაც, ჩემს შვილს ხერხემალი გაუსწორდება. რაც ყველაზე მთავარია, იმედი კვლავ ჩაგვესახა, მაგრამ თუ საზღვარგარეთ წასვლას ამ ერთი წლის განმავლობაში ვერ მოახერხებს, მერე საბოლოოდ უნდა ჩავიქნიოთ ხელი... ნანას ძალიან რთული ოპერაციის გადატანა მოუწევს და არ ვიცი, ამას როგორ გაუძლებს, მაგრამ თავად ოპტიმისტურადაა განწყობილი, რისკზე მიდის...

— **როგორც ნანამ მითხრა, მისი დაავადება გენეტიკურია...**

— დიახ. ეს ვიცოდი და ამიტომაც, ფეხმძიმობის დროს ყველაფერი გამოვიკვლიე. ექიმმა დამამშვიდა: კარგი ნაყოფია და თანაც, ეს დაავადება მხოლოდ ბიჭებზე გადადის, შენ კი გოგონას ელოდებიო. წლების შემდეგ, იმ ექიმმა ნანას მდგომარეობის შესახებ რომ შეიტყო, ლამის გადაირია: ასეთი რამ მსოფლიო მედიცინის ისტორიაში არავის ახსოვსო... ეს სამწუხარო გამონაკლისი სხვა ექიმებსაც აოცებთ...

— **როცა თხოვდებოდით, თქვენს საქმროს სიარული უკვე უჭირდა?**

— კი, მაგრამ ისე მიყვარდა, რომ გავრისკე და ცოლად გავყევი...

— **ნანაზე მიამბეთ რაიმე...**

— ყოველთვის ვეცოდებოდი, ჩემი დახმარების სურვილი ჰქონდა... სამწუხაროდ, ვერ შევუწყვე ხელი, რომ სწავლა გაეგრძელებინა; ამისათვის არც სახსრები მქონდა და თან, მარტოს ვერსად გავუშვებდი — სიარული უჭირს, მე კი არ შემიძლია, ყველგან თან გავყვე, რომ არ ვიმუშაო, საჭმელსაც ვერ ვაჭმევ... ნანა 5 წელი ემზადებოდა ინგლისურში და იმედოვნებდა, — მოსწავლეებს მოვამზადებო, მაგრამ ეს იმედიც გაუცრუდა.

ნანა:

— ასაკით პატარას არავინ მანდო შვილის მომზადება...

ქალბატონი ირმა:

— სხვათა შორის, ერთი პერიოდი ტაქსის მძღოლობაც სურდა — ტაქსისტებს ბევრი ფული აქვთ და როცა მძღოლად მუშაობას დავიწყებ, შენ სახლში დაგსვამ და არაფერს მოგაკლებ, ყველაფერს გიყიდიო.

— **მატერიალურად ვინმე გეხმარებათ?**

— ვინ უნდა დამეხმაროს, როცა ხალხს საკუთარი ოჯახის გამოკვებაც კი უჭირს. ადრე, როცა ნანა სკოლაში დადიოდა, ჩემი მშობლები და და მეხმარებოდნენ, მერე კი იძულებული გავხდი, შვილი სახლში მარტო დამეტოვებინა და სამუშაო მეძებნა... ნანას მდგომარეობას ძალიან განვიცდი და რაღაცნაირად, დაკომპლექსებულიც კი ვარ. თქვენ წარმოიდგინეთ, იმის ნაცვლად, რომ შვილს ნუგეში ვცე, თავადვე მამშვიდებს... თქვენ რომ დაგირეკათ და შეხვედრა გთხოვათ, ეს მხოლოდ დღეს გამიმხილა და ფაქტის წინაშე დამაყენა. წლების განმავლობაში იმდენი იმედგაცრუება ვიწვნიეთ, რომ უკვე აღარავისი და არაფრის მჯერა. „გზას“ ყოველთვის ვყიდულობ, მის არც ერთ ნომერს არ ვტოვებ და ვიცი, რამდენ გაჭირვებულ ადამიანსაც ეხმარებით. ჰოდა, არ მინდოდა, ჩვენი პრობლემითაც შეგვეწუხებინეთ, მაგრამ ნანა ჯიუტად ცდილობს, ყველა გზა მოსინჯოს, რათა მომავალში თანატოლების მსგავსად, ნორმალურად სიარული შეძლოს. ის საოცარი ოპტიმისტია. ჰოდა, რა ვიცი, იქნებ, მისმა სიჯიუტემ და ოპტიმიზმმა შედეგიც კი გამოიღოს.

ეს დაავადება
მისგან გადმომეცა
– ჩვენ კუნთების
პრგრესული
დისტროფია გვჭირს

გთხოვთ, ყველანი ერთად, შეძლებისდაგვარად დავეხმაროთ ნანას. შეგიძლიათ, იხილოთ მისი საიტი: www.nana.unico.ge **და გადარიცხოთ თანხა მის სახელზე გახსნილ ანგარიშზე:**
ბანკი „რესპუბლიკა“,
ანგარიშის ნომერია: 10434320061
ნანა ნაფიშვილი.

ჩოგოჩი უნდა იყოს ნამდვილი ქალი

ფორუმებზე ხეტიალისას, საინტერესო რუსულენოვან მოსაზრებას წავაწყდი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი ქალი, რასაც ქართველი, სავარაუდოდ — მამაკაცის, ვინმე მ.დ.უ.-ს მიერ შედგენილი „20 მცნება“ კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

ანუ 20 მცნება „ქალთმოძულე“ მამაკაცისგან

ლიკა ქაჯაია

ზ.გ. (რუსული საიტიდან):

„ქალი უნდა იყოს ნაზი, ნარნარი და კაცის გულს სიამით ავსებდეს. ის მამაკაცზე უნდა იყოს დამოკიდებული, მის გულმკერდში თავჩარგული, თავს უმწეო არსებად უნდა გრძნობდეს და არა — კაცად, რომელიც ჩვილს ეფერება. კარგია, როცა ქალს აქვს ინტელექტი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბევრს არ უნდა ლაპარაკობდეს. ის უნდა ერკვეოდეს თითქმის ყველა საკითხში და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უნდა იყოს ბუნებრივი — ქირურგიული ჩარევით ხომ ყველა თოჯინას ემსგავსება...“

მ.დ.უ-ს მიერ შედგენილი 20 მცნება:

1. ნამდვილი ქალი რადიო „არ დაიდარდოში“ ბიჭებს სიმღერებს უნდა უძღვნიდეს;
2. ნამდვილი ქალი სამრეცხაოში ტანსაცმლის საყიდლად უნდა შედიოდეს;
3. ნამდვილ ქალს CD ბრელოკი უნდა ეგონოს, რომელსაც სამარშრუტო ტაქსიში ჰკიდებენ;
4. ნამდვილი ქალი თავს მარტო ყელს ზემოთ უნდა უვლიდეს;
5. ნამდვილი ქალი ისე მაინც უნდა გამოიყურებოდეს, რომ მასთან ფეხბურთის თამაში არ გაგიტყდეს;
6. ნამდვილ ქალს ჭკუაზე მოკლე კაბა და ინტელექტზე დიდი მკერდი უნდა ჰქონდეს;
7. ნამდვილი გაუთხოვარი ქალი თავს უნდა იმშვიდებდეს, რომ ყველა მამაკაცი ნაგავია;
8. ნამდვილი ქალი სიტყვების — „მადლობის“, „სანთებლისა“ და „საღეჭი რეზინის“ ნაცვლად უნდა იძახდეს: „სპასიბა“, „ზაჟიგალკა“ და „ჟვაჩკა“;
9, ნამდვილი ქალი ყველა რუსს პიდარასტს უნდა ეძახდეს და მერე უკვირდეს, საიდან იციან რუსებმა ქართული;
10. ნამდვილი ქალი უფრო ხშირად უნდა იცინოდეს და ნაკლებს ლაპარაკობდეს;
11. ნამდვილ ქალს მხოლოდ ვერტიკალური სიყვარული უნდა შეეძლოს;
12. ნამდვილი ქალი გამორთულ ტელევიზორს უნდა უყურებდეს;
13. ნამდვილი ქალი ბევრჯერ უნდა იყოს ქალიშვილი;
14. ნამდვილი ქალი მოდელი უნდა იყოს და პოლიტიკაში მოსვლა უნდოდეს;

15. ნამდვილ ქალს უამრავი პლასტიკური ოპერაცია უნდა ჰქონდეს გაკეთებული და წუწუნებდეს, თუ როგორი ძნელია ნამდვილი მამაკაცის პოვნა;
16. ნამდვილი ქალი ერთად გატარებული ღამის შემდეგ, შენი ბინის დიზაინის შეცვლაზე უნდა იწყებდეს ფიქრს;
17. ნამდვილი ქალი ელექტროჩაიდანში წყალს უნდა ასხამდეს და შემდეგ, მას ღუმელზე დგამდეს;
18. ნამდვილი უმაკიაჟო ქალი, სპეცეფექტების დაზოგვის მიზნით, საშინელებათა ფილმებში უნდა მონაწილეობდეს;
19. ნამდვილი ქალის საყვარელი კომპლიმენტი უნდა იყოს: „ვა, რა მაგარი ნაშა ხარ!“
20. ნამდვილი ქალი საკუთარი სახლისაკენ მიმავალ სამარშრუტო ტაქსის „პროტივზე“ უნდა ელოდებოდეს.

აი, ასეთია ის 20 მცნება, რომელიც ალბათ, „ქალთმოძულე“ კაცმა დაწერა, იმედია, მხოლოდ იმიტომ, რომ გოგონები გაებრაზებინა და არა იმიტომ, რომ მართლაც ასე ფიქრობს. ფაქტი კი ისაა, რომ მისმა სიტყვებმა ბევრი გააღიზიანა და ერთ-ერთმა გოგონამ გახსნა თემა: „ქართველი კაცები“:

SATURNGIRL:

„ქართველ ქალებს რომ გადაეკიდეთ, ახლა ობიექტურად შევაფასოთ კაცების საკითხი. თავის მოვლას რაც შეეხება, ამ მხრივ, ნამდვილად არ გამოირჩევით... ვერც იმას ვიტყვით, რომ ქართველი მამაკაცები გარეგნობით გამოირჩევით, განსაკუთრებით — ჩემი თაობაა რაღაც სასწაული... მაგრამ სიმართლე უნდა ვთქვა: ქართველი კაცი მირჩევნია სხვა ეროვნების მამაკაცებს! „ვოტ“! ქართველი კაცი ისეთი მომწონს და მიყვარს, როგორიც არის! ნუ, უმრავლესობას როგორი მენტალიტეტიც აქვს, ეს ყველამ იცით და ამაზე სხვებმა ილაპარაკონ...“

CIRCUS CLOSET:

„კაცმა ქართველი ქალების 90%-ს რომ უთხრას, — თავს ვუვლიო, იფიქრებენ: ფუ, პიდარასტიო და გაიქცევიან!“

CORLEONE:

„კაცი უნდა იყოს მამაკაცური ანუ „იმენა“, „მუჟიკი“, რა. ამ ბოლო დროს კაცები განაზდნენ, რაც ქალისადმი სქესობრივი ლტოლვის ნაკლებობამ გამოიწვია... შესაბამისად, „ტეხავს“ მამალი ქალები“.

მაკ-კი:

„ღიპებს თუ მოიშორებენ და თავს ისე მოუვლიან, როგორც სხვა ეროვნების კაცები, ყველას აჯობებენ. ვინც თავს უვლის, ძალიან სიმპათიურია“.

დონ აჩო:

„ქალი? ქალი მიყვარს, მიყვარს ქალი,
ღვინოც — ოღონდ არა ქარხნის,
პურიც — ოღონდ არა ფურნის,
პური — თონის, ღვინო — ჭურის,
ქალი — მსგავსი გაზაფხულის.

აი, ესაა ჩვენი, ქართველი მამაკაცების მთავარი ფილოსოფია ამ საკითხში. სხვათა შორის, ამ ლექსის ავტორი მუხრან მაჭავარიანია... ქალის მიმართ პატივისცემა ყოველთვის იყო ჩვენში და ასეც დარჩება, ისევე, როგორც მამაკაცის პატივისცემა მანდილოსნების მხრიდან“.

EXPLOIT:

„ეგ ლექსი სიტყვების რახარუხია, რეალურად კი საქართველოში ქალი მამაკაცს და მამაკაცი ქალს გაუუცხოვდა, ბევრი მიზეზის გამო. ჰოდა, ამიტომაც არის, რომ ოჯახური ძალადობის ფაქტებმა კატასტროფულად იმატა“.

კახა:

„და მაინც, ქართველი კაცი, კაი კაცია!“

NIKEE:

„ნამდვილად :))“.

P.S. ამ ადამიანებს დაავიწყდათ იმის აღნიშვნა, რომ ქართველი კაცი კაი კაცია ისევე, როგორც ქართველი ქალია კარგი, მისაბაძი მანდილოსანი. ■

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

ა

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-6

ანწუხი — წვეტიანი სარი.

ანჯამა — ღეროთი შეერთებული ორი თამასა კარის ან ფანჯრის ჩამოსაკიდებლად (რუს. პეტლი).

აოდდება — მარცვლის დასრულებამდე დაჭკნება (ჰურეულის ნათესი მცხუნვარე მზისგან, ცხელი ქარისგან).

აოშვა — ხელმეორედ არაღრმად მოხვნა, გაფხვიერება.

აპეური — ტაბიკების გადასაბმელი თოკი (ტაბიკი — ურმის ნაწილი, თავმსხვილი ჯოხი. უღელში წყვილ-წყვილად არის ჩაყრილი საქონლის შესაბმელად.)

აპლომბი ფრ. — საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა და შესაბამისი ლაპარაკი ან ქცევა — რიხი.

აპოსტი — შესანახად გამხმარი ხორცი.

აპრობაცია ლათ. (წიგნ.) — დადასტურება, მოწონება წინასწარი შემოწმების შემდეგ.

აჟურული ფრ. — ბადისებრი, გამჭვირვალე (ა. ქსოვილი)

არაქისი — მიწის თხილი.

არასჩინი თურქ. — თხელი ქსოვილის საშინაო ქუდი.

არგა — შინდის ხის ტოტებისგან გაკეთებული ეზოს ცოცხი (იციან ლეჩხუმში).

არგანი (ძვ.) — გრძელი საბჯენი ჯოხი.

არზა სპ. (ძვ.) — წერილობითი თხოვნა, საჩივარი.

ართურმა თურქ. — იგივეა, რაც ორთურმა, საბავშვო თამაშობა ერთგვარი: ერთმანეთის მიყოლებით ჩაკუზულ ამხანაგებზე რიგრიგობით გადახტომა.

არიერგარდი ფრ. — ჯარის ნაწილი, რომელიც უკან დახევისას მთავარ ძალებს ბოლოში მიჰყვება და იცავს მათ მტრის თავდასხმისაგან (საპირისპ. ავანგარდი).

არილი (წიგნ.) — მზის შუქი, რამეზე დამდგარი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

წვეთი პოეზია

* * *

(მელიქიშვილის გამზირი...)

მელიქიშვილის გამზირი,
ია, ვარდი და ბზა...
უშენოდ ვეღარ გავძელი,
ჩემი ბალღობის გზავ.

გზად სტუდენტობა იჩქარის,
მძებნელი მზის და გზის.
სად არის ახლა ის ქალი?!
ალბათ, აკვანთან ზის.

იქნებ რუსთავი არჩია,
იქნებ სამგორშიც ქრის,
იქნება ისევ ბავშვია,
თვალებიც შერჩა შვლის.

და ელანდება დამწველი
ყვლავ სტუდენტობის გზა –
მელიქიშვილის გამზირი,
ია, ვარდი და ბზა.

მურმან ლებანიძე

მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი

„Всё обнажённое прекрасно, лишь раздетое смешно!“ (Юкио Мисима)

დასაწყისი იხ. „გზა“ №2 – 7

იმ ავბედითი 1997 წლის მარტში საღამოს ეთერში სამუშაოდ მისულს გზად მამუკა არეშიძე გადამეღობა.

— დღეიდან ახალი უფროსი გყავს, შენზე მკითხა, ვინ მფარველობსო? ჰოდა, ახლა შენ იცი, ალბათ, საუბარი მოგიწევს.

— შენ?

— არ ვიცი, ალბათ, პარლამენტში, — მამუკა ნაღვლიანი და, როგორც ყოველთვის, ლაკონიური იყო.

— მობრძანდი, მობრძანდი, — შემომეგება ახალი შეფი, — მოროშკინა, რას იტყვი ახალს?

— არაფერს, — ცივად ვუპასუხე და საეთერო კოსტიუმი რომ არ დამჭმუჭნოდა, სავარძლის საზურგეზე გადავკიდე.

— იმაზე რას იტყვი, სიუჟეტებზე რომ გადაგიყვანო?

— რატომ? მე სიუჟეტებზე 5-6 წლის წინ „თამარიონსა“ და „იბერვიზიაში“ ვმუშაობდი, — ჩემთვის ეს ეტაპი უკვე გავლილი და უინტერესო იყო, თანაც, არცთუ დალაგებულ ვითარებაში ქუჩაში მიკროფონით სიარული არ მხიბლავდა.

ან სტუდია, ან არაფერი. მე შეუვალი ვიყავი.

— გადადი სიუჟეტებზე, მერე მეტყველებას დახვეწ და უკან დაგაბრუნებ.

წინადადება „შთამბეჭდავი“ და საკმაოდ ორაზროვანი იყო.

— მეტყველება უნდა, გამოვასწორო? — უხეშად ვკითხე ახალ შეფს.

— დიახ, თუ არა და ახლავე დავემშვიდობებით ერთმანეთს, — ასევე უხეშად მიპასუხა ხმამ სავარძლიდან, — შენ რუსული აქცენტი გაქვს და მორჩა!

— საიდან, ქართული სკოლიდან? — არ ვეშვებოდი მე.

— აი, ეს უკვე სულ არ მაინტერესებს! მიპასუხა უფროსმა.

განაჩენი გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა!

— დღეიდან საქმე ჩემს ადვოკატთან გექნებათ, თქვენ კი თქვენს პროვინციულ აქცენტზე იზრუნეთ, — მივუგდე და კარი გამოვიჯახუნე.

რა ადვოკატი? რის ადვოკატი? ან საიდან მოვიტანე? აი, ესაა ჰოლივუდის ფილმების გავლენა, მაგრამ უბრძოლველად ხომ არ დავყრიდი ფარ-ხმალს? თანაც ერთხელ დათხოვნილს რუსული „აქცენტის“ გამო, ტელევიზიის კარი სამუდამოდ დამეხურებოდა. ბრძოლა იწყებოდა, გადამწყვეტი ბრძოლა „მეს“ შესანარჩუნებლად! ხელში კი თვალებახვეულ თემიდასავით მხოლოდ ჩემი ტკივილი და სიმართლე მეჭირა.

მეგობრებთან კონსულტაციის შემდეგ გეზი ადვოკატისაკენ ავიღე.

ებრაული წარმოშობის, მომცრო ტანისა და გამჭოლი მზერის მქონე სათვალიანმა ადვოკატმა ყურადღებით მომისმინა.

— საქმე მომგებიანია, საკვირველია, რომ ამგვარი პრაქტიკა საქართველოში არ მქონია, მაგრამ რატომაც არ უნდა ვცადოთ? თუ თქვენ მზად ხართ საბრძოლველად და გზაში არ დაიღლებით, ჩამოვართვათ ერთმანეთს ხელი და პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ. თქვენ ორი რამ მოგეთხოვებათ: ცნობა თეატრალური ინსტიტუტიდან მეტყველების შესახებ და ცნობა „ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციიდან“, დანარჩენი ჩემი საქმეა, შრომის ხელშეკრულებაში რამდენიმე მუხლი დარღვეულია, შანსი გვაქვს! — თქვა საქმიანად ბატონმა სიმონმა და ქაღალდებში ჩარგო თავი.

მე გაოგნებული შევცქეროდი ადვოკატს, აი, რა პროფესია უნდა ამერჩია! რა მაგარია — ნიჭი, ცოდნა, გამოცდილება და ყოველი გადარჩენილი ადამიანის სიცოცხლე შენი პირადი გამარჯვებაა!

როგორც გაირკვა, ბატონი სიმონი ცნობილ ადვოკატთა დინასტიიდან იყო და პრაქტიკა, არც მეტი, არც ნაკლები, ამერიკაში ჰქონდა გავლილი. მე მივხვდი, რომ სწორად მოვედი.

ბატონი გიზო ჟორდანია, თავისი საქმის დიდი პროფესიონალი და საზოგადო მოღვაწე, ჩემმა თხოვნამ გააოცა.

— ლალი, რა ცნობა გჭირდება, ვერ ვხვდები! ამდენი წელია, ეკრანზე ხარ და აქცენტი რომ გქონოდა, აქამდე არც გაგაჩერებდნენ, მით უმეტეს, მამუკა არეშიძისთანა პროფესიონალი, — იჩეჩდა მხრებს ბატონი გიზო.

— ბატონო გიზო, სწორედ ამის დამადასტურებელი ცნობა მინდა, ოფიციალური, თქვენი ბეჭდით, ადვოკატთან მაქვს მისატანი.

— გადამრევს ეს გოგო, შენისთანა ქართულით ძირძველი ქართველები ვერ ლაპარაკობენ!

— ჰოდა, დამიწერეთ ეს ყველაფერი, ბატონო გიზო. რასაც მეუბნებით, დამიწერეთ, — ვუხსნიდი მაესტროს და თან ჩემს თავზე ვბრაზობდი, რა სისულელეზე შევაწუხე ამხელა კაცი-მეთქი, მაგრამ შურისძიების მოლოდინი ისე ტკბილი იყო, რომ დროებითი დისკომფორტი მეორეხარისხოვანი ხდებოდა.

სანუკვარი „ჟორდანიასეული“ დასკვნით გავეშურე „ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში“, პავლოვის ქუჩაზე. ბატონი სანდრო კავსაძე სიმპათიური, ულვაშებიანი, გამხდარი მამაკაცი გახლდათ, რომელსაც ბატონი გიზოსი არ იყოს, არანაკლებ გაუკვირდა ჩემი თხოვნა.

— დაგიწერო, რომ ეთნიკური ნიშნით დევნა უკანონოა? კი, მაგრამ, შვილო, ვის ეპარება ამაში ეჭვი? — იკითხა ბატონმა სანდრომ და სათვალის ზემოდან გადმომხედა.

— არიან, ბატონო სანდრო, ასეთებიც, — ავიჩეჩე მხრები მე.

— ჰოდა, თუ არიან, ქალბატონო მოროშკინა, გაეცნონ საერთაშორისო ნორმებს, — მკაცრად თქვა ბატონმა სანდრომ და სანუკვარი საბუთი გამომიწოდა.

ორმხრივად შეიარაღებული, ადვოკატისაკენ გავეშურე, რომელსაც უკვე გადაბულბულებული ჰქონდა მუხლი უკანონო დარღვევებზე, კერ-

ძოდ, წინასწარ აუცილებელ გაფრთხილებაზე, შრომის ხელშეკრულების უმიზეზოდ დარღვევაზე და ა.შ...

მოგეხსენებათ, იმდროინდელი ბიუროკრატიული აპარატი დიდი მოქნილობით არ გამოირჩეოდა. მე კი წინ იმდენი პრობლემა მელოდებოდა, რომ სატელევიზიო ეთერი მასთან შედარებით ბავშვის ტიტინად მეჩვენებოდა...

* * *

ცივი მარტი ძვალ-რბილში ატანდა, თითქოს მასაც ესმოდა, რომ ამ ქვეყნის ამაოებას ერთი გულანთებული პატრიოტი და ჩემი გამზრდელი მ ა მ ა ტოვებდა...

ოდესმე შეხვედრიხართ კეთილ ჯადოქარს? ან თუ გიცხოვრიათ მასთან ერთად ერთ ჭერქვეშ?

დედამ და თალესმა ერთმანეთი პედაგოგიურ ინსტიტუტში გაიცნეს, სადაც ორივე ლექციებს კითხულობდა. თურმე, როცა თალესი პირველად დავინახე, გულში ჩავეკარი და ვეღარაფრით მომაშორეს, — ჩემი მარილიანი ცრემლებით დასველებული პერანგი ტანზე ჰქონდა მიბეტონებული.

თალესი იძულებული გახდა, ჩვენთან წამოსულიყო, წამოსულიყო და სამუდამოდ დარჩენილიყო. ის ჩემი რჩეული იყო. ჩვენ შორის განსაკუთრებული, უხილავი კავშირი არსებობდა. მე ვგრძნობდი მას, ის კი მგრძნობდა მე. შემდეგ გაჩნდა ერეკლე, ოქროსფერი ხვეული თმით. ჩემი ძმა! მე ყოველთვის მერიდებოდა თალესის, მაგრამ ეს არ იყო უხერხულობა, ეს იყო მოკრძალება და პატივისცემა, რომელსაც მის მიმართ განვიცდიდი. ხშირად მიფიქრია, მე რომ მამასთან მეცხოვრა, როგორი ურთიერთობა გვექნებოდა? ამაზე ჰარმონიული ურთიერთობა ძნელად წარმოსადგენია. ერთი კი ნამდვილად ვიცი: ის, რომ მე სულით ხორცამდე ქ ა რ თ ვ ე ლ ი ვარ, თალეს შონიას დამსახურებაა. ის, რომ საქართველოს ისტორია, რელიგია, კულტურა შევისისხლხორცე, მიყვარს და ვეთაყვანები, — ამას თ ა ღ ე ს ს უნდა ვუმადლოდე.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ჩემთან დაკავშირებულ ცხოვრებისეულ მომენტში თალესი, მხოლოდ მისთვის ჩვეული დიდი ტაქტის გამო, აზრს ხმამაღლა არ გამოთქვამდა, მე მისი სუნთქვით, ჩიბუხის მოწევის მანერით ან წაჩურჩულებით: „დრუნჩი, რამე ხომ არ გიჭირს?“ — ვხვდებოდი, რას ფიქრობდა. მისი აზრი ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო.

— თავს გაუფრთხილდი, ორი-სამი დღე იქნებ არ გახვიდე გარეთ, — მისი მოკრძალებული ნათქვამი გაფრთხილება იყო, რომ რაღაც უსიამოვნება მელოდა.

— თალეს ბიძია, ჩვენც გვითხარით რა, რა გველოდება? რა იქნება? — მოსვენებას არ აძლევდნენ ჩემი მეგობრები, რომლებსაც უზომოდ უყვარდათ თალესი.

— წადით აქედან, თქვე ყურუმსაღებო, ხომ იცით, თქვენ სამივე ყველაზე ბედნიერი ქალები იქნებით? — ღიმილითა და დიდი მოთმინებით პასუხობდა თალესი.

— არა, ჩვენ დეტალები გვაინტერესებს, — ზმუოდნენ თალესის ყურადღებით განებივრებული ქეთი და მარიკუნა.

სულსწრაფობა, ალბათ, ადრეული ასაკის თანამდევია. გამუდმებით ტვინის ბურღვა თალესს ჩვენგან გამოწერილი ჰქონდა, ხან სახლში, ხან ექსკურსიაზე, ხან კი საკუთარი ხელით აშენებულ იახტაზე, რომელიც თბილისის ზღვაზე იდგა და ჩვენ ხშირად გვმასპინძლობდა.

ჩემი ოჯახის დანგრევა თალესისათვისაც დიდი შოკი იყო, მით უმეტეს, რომ ნუკრი შვილივით უყვარდა. სანდრო, ჩემი უფროსი ბიჭი, მის კალთაში გაიზარდა და თალესს არასოდეს განუსხვავებია ღვიძლი შვილიშვილებისაგან.

საქმე ის არის, რომ თალესის პირველი მეუღლე ადრე გარდაიცვალა და მის უფროს გოგონას, მარინა შონიას, თალესის დედა, ქიმიის პედაგოგი, არისტოკრატი ქალბატონი თამარი ზრდიდა. მე და მარინამ პირველივე დღიდან შევიყვარეთ ერთმანეთი, ან რა გვქონდა გასაყოფი? მას დედა არ ჰყავდა, მე კი — მამა. ამ უმწიკვლო ურთიერთობის დადებითი მუხტი, უპირველეს ყოვლისა, დედაჩემი იყო, რომელიც არასოდეს გვასხვავებდა.

8 წლის სანდრო საკმაოდ ცელქი და მოუსვენარი ბავშვი გახლდათ. ერთ-ერთი მისი ანცობა იმით დამთავრდა, რომ თვალში გირჩის ნაფოტი მოხვდა და თვალი მძიმედ დაუზიანდა. ქართველი ექიმების ვერდიქტი ავისმომასწავებელი იყო: ან მოსკოვი, ან სიბრმავე.

მეორე დღეს სამივე, მე, დედა და სანდრო მოსკოვში, ჰერმან ფონ ჰელმჰოლცის სახელობის ოფთალმოლოგიურ კლინიკაში მივფრინავდით.

„ჰელმჰოლცში“ ცივად და უხეშად შეგვხვდნენ. კვალიფიციური ექიმების დასკვნა ასეთი იყო, — სასწრაფო ოპერაცია. კლინიკის განაწესის თანახმად, მშობლებს ეკრძალებოდათ შენობაში დარჩენა, ასე რომ, სოლიდური თანხა დამიჯდა ორი ღერი რუსულის უცოდინარ სანდროსთან წინასაოპერაციო ღამის გატარება.

მოგეხსენებათ, 90-იან წლებში მობილური ტელეფონები იშვიათობა იყო, ამიტომ ჩვენი ერთადერთი კავშირი სამყაროსთან კლინიკის პირველ სართულზე არსებული ჯაბახანა სატელეფონო ჯიხური გახლდათ. მანანა სასტუმრო „პეკინში“ გველოდებოდა, თბილისში კი — ბებია ნანა და თალესი.

— სანდრო დამალაპარაკე, — მითხრა თალესმა, როცა ოპერაციის ამბავი შეიტყო.

— რაო, ბიჭო, ხომ არ გეშინია? — ჰკითხა მან.

— არა, ბაბუ, — პასუხობდა სანდრო ვაჟკაცურად, — ისე, ეს რუსები ძაან უცნაური ხალხია.

— რა იყო, ქართულად ვერაფერს აგებინებ? — იცინოდა თალესი.

— ვერა, არაფერი ესმით, — პასუხობდა სანდრო.

— ბაბუ, მთელი ღამე ტელეფონით რომ მელაპარაკო, გაძლებ? — ჰკითხა თალესმა სანდროს.

— კი, ბაბუ, მაინც არ დამეძინება.

— მაშინ დედას უთხარი, არ ინერვიულოს და ზუსტად 12 საათზე დამირეკეთ.

თალესის ნათქვამი, ცოტა არ იყოს, უცნაურად მეჩვენა, მაგრამ უცნაურობები ხომ ჩემი ოჯახის კრედო იყო.

— Что, он с ума сошёл? —

გააკეთა კომენტარი დედაჩემმა, — хотя, не знаю...

სამაგიეროდ მეორე დილას სასწაული გველოდა.

— Не может быть, — გაიძახოდ-

ნენ ექიმები და სანდროს მარჯვენა თვალთან სამედიცინო ინსტრუმენტებით ერთმანეთს ენაცვლებოდნენ.

40-წუთიანი ჩოჩქოლის შემდეგ, კლინიკის მთავარმა ექიმმა მოგვიბოდიშა და გვითხრა, როგორც ჩანს, რაღაც შეგვეშალა, ბავშვი ჯანმრთელია და შეგიძლიათ წაიყვანოთო.

დედაჩემი დერეფანში გველოდებოდა.

— დე, გვიშვებენ, არაფერი არ გჭირდებათო, — ვუთხარი დაბნეულმა მანანას.

— როგორ, აბა, სასწრაფო ოპერაცია, თორემ მეორე თვალიც დაუზიანდებაო? — გაიკვირვა მანანამ.

— ოო, სასტუმროში ილაპარაკეთ რა, თან გზაში „მაკდონალდსში“ გამატარეთ და „ლეგო“ მიყიდეთ, — თქვა ცხოვრებით კმაყოფილმა სანდრომ და სრულიად ჯანმრთელი თვალი ჩაგვიკრა.

მე და მანანა ერთდროულად ვწვდით სანდროს ქეჩოში.

— თალესი? — ერთდროულად ვიკითხეთ ჩვენ.

— ჰო.

— რა, ჰო? რა გითხრა?

— არაფერი, მზის პირველ სხივამდე ლოცვებს მიკითხავდა, — თქვა სანდრომ და ოცდათორმეტივე კბილი გადმოაგდო, წავედით „მაკდონალდსში“? — აწუწუნდა ახალგან-

კურნებული. ტყუილად კი არ ეძახიან ჩემი მეგობრები სანდროს დღემდე „კრაკადილას“...

...თალესთან ყოფნა გარკვეულწილად ცხოვრების იმუნიტეტს გაკარგვინებდა, ყველაფერი ისედაც დღესავით ნათელი იყო. „იქ არ წახვიდე“, „აი, ახლა დროა“ „ცოტა ჩქარობ“, „იქითა კვირაში ჯობს“ და ვინ იცის, რამდენი ასეთი. იმ მომენტში გგონია, რომ ეს ცოდნა შენი პრივილეგიაა და მუდამ დაგიცავს, მაგრამ....

დედას სახლის გენერალური დალაგება ჰქონდა გაჩაღებული. იფერთხებოდა ყველაფერი: ხალიჩები, სავარძლები, ფარდები და ჩვენი ჯიბეებიც კი. ერთ-ერთ ასეთ გადმობერტყვას თალესის უბის წიგნაკი გადმოჰყვა და „მიმზიდველად“ გადაიშალა. აბა, მითხარით, რომელი ცოლი ჩაუვლის გულგრილად ქმრის გადაშლილ უბის წიგნაკს? დედაჩემიც არ იყო გამონაკლისი.

— ლალიკო, ვერ წარმოიდგენ, რა უნდა გითხრა, — მომესმა ტელეფონში მანანას აკანკალებული ხმა.

— რა მოხდა, დედა? — ვიკითხე მე მანანას ტირადით დაძაბულმა.

— ის მიდის, სადღაც შორს, არ ვიცი, სად და ვისთან?

— ვინ? სად? — შუა გზიდან ლაპარაკის დაწყება მანანას სტილი იყო, დანარჩენს გუმანით უნდა მიმხვდარიყავი.

— თალესიკო მიდის! უბის წიგნაკში უწერია, 1996 წლის მარტში დიდი შეხვედრა მაქვს და ყველაფერს ვემშვიდობებიო! — მანანა სასოწარკვეთილი იყო. — Представляешь, მე ვუვლი, глажу сарочки, стираю носки, ის კი მიდის, — არ ცხრებოდა მანანა.

— კარგი რა, დედა, ალბათ, ისე დაწერა, — ვუთხარი მე, — Плод фантазий.

— ჰო, შენ სულ იცავ მაგას, ესე იგი, მე მეჩვენება?

მანანა ყოველთვის ჩვენი ქილიკის ობიექტი იყო, მისი რუსულნაზავი აქცენტი და თავისებური სლენგი მუდამ მხიარულების საგანი გახლდათ.

მახსოვს, ერთხელ სატელევიზიო გადაცემიდან დაბრუნებულ თალესს მანანა აცრემლებული დახვდა.

— რატომ უნდა გაეგო მთელ საქართველოს, რომ შიშველი ციური გყავს ნანახი? Почему, За что, — საყვედურობდა მანანა თალესს და თან ცრემლები ახრჩობდა.

— ვინ ციური, მანჩო, ხომ არ გადაირიე? — ამბობდა გაკვირვებული თალესი.

— აბა, სულ გაიძახოდი, ციური სხეულები, ციური სხეულებიო?

— მანჩოოოო, ეს სხვა რამეა! — იხრჩობოდა სიცილით თალესი, — Тела небесные, ქალო!

1994-1995 წლებში მანანა, თალესი და ირაკლი გერმანიაში, ბერლინში გადაბარგდნენ. თალესი ლექციებს კითხულობდა, თანაც გერმანულ სამხედრო ბაზაში ჩატარებულ ცდებში მონაწილეობდა. მე და სანდრო ხშირად ვსტუმრობდით გადახვეწილ ოჯახს. საქართველოსათვის ურთულესი წლები ჩვენ შედარებით ადვილად, ნახევრად გზაში გავიარეთ. წლის ბოლოს მანანა და ირაკლი დაბრუნდნენ.

— ვეღარ ვძლებთ უშენოდ, თანაც თალესი შეთავაზებულ პირობებს არ თანხმდება, წარმოგიდგენია, სამხედრო ბაზაზე გვტოვებენ, დიდი ხელფასითა და ბინით ბერლინში, ოღონდ იმ პირობით, რომ საქართველოში არ ჩამოვალთ, არასოდეს ჩამოვალთ! Он отказался! Мы отказались! საქართველოს გარეშე არ გვინდა!

* * *

თვითმფრინავი ბერლინიდან ჩვეულებისამებრ იგვიანებდა. 8-9-საათიანი ლოდინის მერე, როგორც იქნა, ჩვენი რეისი გამოაცხადეს. მაშინ აეროპორტში ერთი-ორი ნაცნობი თუ გყავდა, მგზავრს პირდაპირ ტრაპთან დახვდებოდი. დაგვიანებული მგზავრები ბარგით, „დუტი ფრის“ პარკებითა და უამრავი ბოხჩით ცვლიდნენ ერთმანეთს. თალესი იგვიანებდა. მანანა ნერვიულად სცემდა ბოლთას.

სამი თვის უნახავი ქმარი არსად ჩანდა.

უცბად ტრაპთან ავადმყოფურად გამხდარი კაცის სილუეტი გამოჩნდა, მან ჩემი ყურადღება მხოლოდ იმიტომ მიიქცია, რომ მის ხელში წითელი „ლორანის“ ჩანთა მეცნო.

— თალესი? — მე და მანანა ერთმანეთს ვთხოვდით პასუხს. იმ წუთიდან მისი 1996 წლის „დიდი შეხვედრა,“ ჩემთვის დღესავით ნათელი იყო.

— რატომ გახდი ასე? — არ ეშვებოდა მანანა თალესს და თან ხელებსა და სახეს უკოცნიდა.

— მომენატრე, მან... — ამოილუღლუღა თალესმა.

ონკოლოგებმა საყლაპავის კიბო დაუდგინეს.

დაუჯერებელია, ჯანმრთელი, ათლეტური, საღ-სალამათი კეთილი ჯადოქარი და კიბო? არ არსებოოოოოოოობს!

— არსებობს!

— არა, მაინც არ არსებობს!

სენი მალე მოედო სხეულს, მაგრამ არც უფიქრია, სულს გაჰკარებოდა, ის მასზე ძლიერი იყო!

ცივი, საშინელი მარტი, შეშის ღუმელი და ჩვენ — პირისპირ დარჩენილები მის უდიდებულესობა სიკვდილთან!

როგორც ჩანს, ვიღაცას იქ, შორეულ ევროპაში ხელს არ აძლევდა ქართველი მეცნიერის უარი, ალბათ, მან იმაზე მეტი იცოდა, რაც ჩვეულებრივ მოკვდავს სიცოცხლის გარანტიას აძლევს.

პროცესი ჩქარა მიიწევდა წინ არაჰუმანური, არალოგიკური აღსასრულისაკენ.

ექიმების პროგნოზი არ გამართლდა, ეს არ იყო კიბო, ეს არ იყო სიმსივნე. მიუხედავად იმისა, რომ თალესმა ოპერაციულ ჩარევაზე უარი თქვა, დიაგნოზი მაინც აცდენილი იყო რეალობას. ის უბრალოდ დნებოდა, ლამაზად, უჩუმრად, სანთელივით იღვენთებოდა ჩვენში, სამყაროში, ყველაფერში, რაც ასე ძალიან უყვარდა.

— მან, არ გეწყინოს რა... ასე ჯობს, ომის დროს იმდენი ბიჭია წასული, პატრონი ხომ უნდათ? — ამბობდა თალესი.

— ლალი, რა, მე ეს უნდა გავიგო? — მეკითხებოდა გაფითრებული მანანა და მისი ერთადერთი სურვილი ამ ადამიანთან ერთად გალღობა და გაუჩინარება იყო.

მძიმეა ესოდენ საყვარელი ადამიანის ბოლო წუთების გახსენება, მაგრამ ეს უკვე არა მარტო ჩემი, არამედ ჩვენი ისტორიაა.

წვეთ-წვეთ დაღვენთილი თალესი ოჯახის წევრებს სათითაოდ გვემშვიდობებოდა და ბოლო დარიგებას გვაძლევდა.

— დრუნჩი, შენ ისეთი მაგარი გახდები, ყველაფერს გაუძლებ, გამაგრდები, რკინად იქცევი და იცოდე, თუ ვინმეს ვერ მოერევი, მე სულ გვერდით ვიქნები. დამიძახებ და ვიქნები, თუმცა დაძახებაც რად მინდა?

— კარგი რა, მამა, ამათ რა ვუყო? — ვეკითხებოდი თალესს და ღაპაღუპით წამოსულ ცრემლებს ვიწმენდდი.

— ესენი? ესენი შენი ნაწილია, შენ გაუძლებ! დრუნჩი, ერთი თხოვნა მაქვს, ხომ იცი, დედაშენი რა ტიპია? ვერ მოითმენს... როგორც კი გავითიშები, არაფერი გამიკეთოთ, ასე, სუფთა უნდა წავიდე, ოკეი, შევთანხმდით? — ისე მეკითხებოდა თალესი, თითქოს ფეხბურთის სათამაშო ახალ ბურთს ვარჩევდით.

— ჰო, — უსუსურად აღმომხდა მე.

საღამოს მამუკა არეშიძემ დამირეკა.

— მოსვლა მინდა, რაღაცა მაქვს სათქმელი, ხომ შინ იქნებით? — მკითხა მან.

— აბა, სად ვიქნებით? — იყო პასუხი.

საღამოს მამუკამ თავისი სიზმარი გვიამბო, 17-ში წავალ და არ მაწვალოთო, — ასეთი იყო მამუკას სიზმრად მოვლენილი თალესის ნება.

17-ის დილა თენდებოდა. თალესის სხეული აღარ რეაგირებდა გარე ფაქტორებზე, და ჩვენ მაინც ვაწვალეთ! ვაწვალეთ ხელოვნური სუნთქვითა და წვეთოვანებით, თითქოს ცხოვრებამ დააკლო წვალება, ჩვენ დავუმატეთ! მაგრამ, მეორე მხრივ, როგორია უსაყვარლესი ადამიანის — ქმრისა და მეგობრის უსაზღვროდ მოყვარული ქალის შეჩერება? იქნებ ეშველოს, იქნებ კიდევ არსებობს შანსი, თუნდაც უკანასკნელი?

* * *

გამოძახებულმა სასწრაფო დახმარებამ სიკვდილის ფაქტი დააფიქსირა და მიუხედავად არსებული წესებისა, სამყაროს საწინააღმდეგოდ, თალესმა მარჯვენა ხელი ასწია, მანანასა და ერეკლეს კარისაკენ მიუთითა, მე კი დამიტოვა, ძლიერად მომიჭირა გათიშული, თითქმის



აღარარსებული სხეულის ხელი და თითქოს ძალა ჩამბერა მე, მის არა სისხლისმიერ, არამედ სულიერ შვილს.

1996 წლის 21 მარტს თალესი სამუდამოდ ცაში ავიდა, მიწაზე დარჩენილებს კი „განდობა“ დაგვიტოვა.

განდობა

მამა ღმერთის შეწევნით, ძის თანადგომით, სულიწმინდის შთაგონებით შეიქმნა ეს „განდობა“.

მრავალი შესანიშნავი, საუკუნეებით გამოცდილი ლოცვაა ადამიანის საშველად, მაგრამ თუ თვით ადამიანმა თავისი თავი არ შეიცნო და არ განიწმინდა, ძნელია, იწამო ღმერთი, აღზევდე ყოველ ბოროტზე და აკეთო სიკეთე, რაც ახლა უფრო სჭირდება ადამიანს.

და რადგან ღმერთმა იგი სახედ და ხატად თვისად შექმნა, სიყვარულის, სიკეთის გზასავალი უბოძა, ასწავლა ამქვეყნიური ცხოვრება ისე, რომ მუდამ იზეიმოს სულმა, ამიტომ ყველას აქვს უზენაესისგან ბოძებული უფლება, რომ თვითონ იპოვოს გზა განწმენდისაკენ და თავისი ლოცვა, თავისი ღაღადიც აღავლინოს სხვა წმინდა ლოცვებთან ერთად.

„განდობა“ სულის ამოძახილია. ხმამაღლა ნათქვამი ფიქრი იმაზე, თუ როგორ ცხოვრობდნენ ძენი კაცისანი და რა უნდა ვაკეთოთ ჩვენ დღეს: მე, შენ, მან, რომ დავიცვათ დედამიწა, ჩვენი მოდგმა ღვთისა და ბუნების რისხვისაგან.

იგი მოკრძალებული ცდაა, მომხდარიყო ფრაზის, სიტყვის, ბგერის წყობა-ერთობლიობის, მთხრობელის ტემბრის, ადგილის, ეკლესია-მონასტრების, რიტუალების, ქართული ცეკვისა და კოსმოსური, მრავალხმოვანი სასიმღერო ჰანგების ენერგეტიკული ვიბრაციების რეზონანსული შერწყმა, რომელშიც ყველა ის სიხშირე-მახასიათებელია, რომლებიც ამშვიდებენ გარემოს, აჯანსაღებენ ფიზიკურ სხეულს და სულიერად ამაღლებენ ადამიანს.

გარემო აღაგზნებს ადამიანს და იგი მოქმედებს გარემოზე: ურთიერთობის ეს ჩაკეტილი წრე მსხვრევადია, მას გაფრთხილება-განმტკიცება უნდა, რათა გადარჩეს ადამის მოდგმა და მისი ფაქიზი სახლი... ცისფერი დედამიწა.

„ქმენით სიკეთე და ბოროტება ვერ მოგაგნებთ თქვენ“.

(*ბიბლია*)

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი
იხ. „გზა“ №37, 2009
— №7, 2010

გოჩა მანველიძე

ცოტნე ფიფია — ასე ერქვა ერეკლეს მეგობარს, რომელმაც მოხალისეებისგან დაიხსნა გოგა. შემდეგ თავის ოთახშიც აიყვანა: დაისვენე, აქ არავინ შეგაწუხებსო.

— სად არიან ერეკლე და სტავრო? — ჰკითხა გოგამ და საწოლზე ჩამოჯდა.

— კოლხიდაში... პოზიციებზე, — უპასუხა ცოტნემ. — მეც იქ ვიყავი. დღეს დილით დავბრუნდი გაგრაში. ტყვიაწამალი და საჭმელი უნდა ჩავუტანო ბიჭებს.

— როდის წახვალ? — გამოკითხვა განაგრძო გოგამ.

— ალბათ ხვალ. იქ ყოფნა მირჩევნია. არ მიყვარს ბიჭების მარტო დატოვება, მაგრამ პატარა ჯგუფებად მგზავრობა საშიშია. აფხაზები ტრასას ცხრილავენ.

— ერეკლე არ აპირებს გაგრაში ჩამოსვლას?

— აპირებდა, მაგრამ იქ ყოველი კაცი საჭიროა. წინ და უკან სიარულით საქმე არ გაკეთდება. დამაბარა: საავადმყოფოში შეიარე და იმ კაცის ამბავი გამირკვიეო. რომ სცოდნოდა, იქ რაღა გააჩერებდა?! მარტოს ხომ არ დაგტოვებდა. ორივე ჩამოვიდოდა, — პასუხობდა ცოტნე და თან ჟურნალების მაგიდაზე სუფრას შლიდა.

რამდენიმე წუთში მაგიდაზე პური, ძეხვი და კონსერვები გაჩნდა. ბოლოს ცოტნემ არაყიც მოიტანა და ჭიქები შეავსო.

— აბა, ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს! ცოტა უცნაურ ვითარებაში კი შევხვდით ერთმანეთს, მაგრამ არაფერია. მთავარი ისაა, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა, — უთხრა გოგას და ჭიქა გამოცალა.

გოგამ უხმოდ დალია არაყი.

— ბიჭებზე ნაწყენი ხომ არ ხარ? — ცოტნემ ისევ შეავსო ჭიქები.

— არა... უარესიც შემმთხვევია.

— გულში ნუ ჩაიდებ. ხომ ხედავ, რაც ხდება. მეზობელი მეზობელს მოეკიდა მტრად, ძმაკაცი — ძმაკაცს. ყველა დაძაბულია. ამდენი სისხლი დაიღვარა, ამდენი ბიჭი დაიღუპა!.. კიდევ კარგი, იქ ვიყავი, თორემ ბიჭები ისე არიან გაცოფებულები, რომ მარტო კონდახს არ გაკმარებდნენ... ეეჰ... მოდი, დაღუპული ბიჭების შესანდობარი ვთქვათ! — თქვა ცოტნემ და ჭიქა ასწია.

— ამინ! — უპასუხა გოგამ და თვითონაც ჭიქას წაეტანა.

— რა მოგივიდა?.. — ცოტნე ყურადღებით ჩააცქერდა სახეში, როგორც კი გოგამ ცარიელი ჭიქა მაგიდაზე დადო. — უცებ გაფითრდი. ცუდად ხომ არ ხარ?

— ტვინის შერყევა მაქვს გადატანილი. ჩემთვის სასმელი არ შეიძლება.

— მაშინ, დაისვენე. მე გავალ, გავარკვევ, როდის გავა კოლონა კოლხიდისკენ. შეიძლება, დღეს გავიდეს. თუ ასე მოხდა, მე გავყვები, უკან მობრუნებისას კი ერეკლესა და სტავროს გამოვუშვებ, — თქვა ცოტნემ და არყის ბოთლი გვერდზე გადადგა.

გოგას ეძინა, როდესაც სანატორიუმში ხმაური ატყდა.

— ყველა გარეთ! — ყვიროდა ვიღაც სანატორიუმის ეზოში.

მალე ავტომატის ჯერიც გაისმა. ამან მაშინვე გამოიღო შედეგი. მოხალისეებმა გაიღვიძეს. დერეფანში ჩექმების ბრაგაბრუგი გაისმა და სულ მალე ეზოში ორმოცდაათიოდე მოხალისემ მოიყარა თავი.

— რა მოხდა?.. ვინ და რატომ ისროლა?.. — კითხულობდნენ ისინი.

— აფხაზებმა კოლხიდას შეუტიეს. შტაბი ყველას, ვისაც ხელში იარაღის ჭერა შეუძლია, იქ გზავნის!.. დროზე, ბიჭებო! იქ ჩვენი ძმები იხოცებიან! — უპასუხა კითხვებს შტაბის წარმომადგენელმა.

მოხალისეები სწრაფად შებრუნდნენ სანატორიუმში და იარაღის ასხმას შეუდგნენ.

გოგას ხმაურის ატეხისთანავე გაეღვიძა. ნამძინარევი ვერ მიხვდა, რა ხდებოდა და ვითარების გასარკვევად დერეფანში გავიდა. ამ დროს გადააწყდა ორ მოხალისეს, რომელსაც ხვნეშით მოჰქონდა ყუმბარმტყორცნის ჭურვებით სავსე ყუთი.

— რას დამდგარხარ?! — ბრაზით შეუძახა ერთ-ერთმა. — მოგვეხმარე!..

გოგა გვერდში ამოუდგა მოხალისეს და ყუთს ხელი მოჰკიდა. გზად მათ კიდევ ორი მებრძოლი შეუერთდა და სულ მალე ყუთი სანატორიუმის ეზოში აღმოჩნდა.

ეზოში უკვე იდგა ოთხი ქვეითთა საბრძოლო მანქანა, რომელსაც მოხალისეები კოლხიდამდე უნდა მიეყვანა. მებრძოლები სწრაფად სხდებოდნენ მანქანებში. ყუმბარმტყორცნით შეიარაღებულმა რამდენიმე მებრძოლმა ყუთიდან ჭურვების ნაწილი ამოიღო. დანარჩენი ჭურვები კი საბრძოლო მანქანაში ჩატვირთეს.

— დროზე, ჩაჯექი! — გოგას საბრძოლო მანქანის ღია კარისკენ უბიძგა მოხალისემ, რომელსაც ყუთის ზიდვაში დაეხმარა.

— მეე?! — დაიბნა გოგა.

— აბა, აქ დარჩენას ხომ არ აპირებ?! ვერ ხედავ, რა ხდება?! აფხაზები კოლხიდაში შევიდნენ. მოდი, დაჯექი! — ტყვიამფრქვევის ჯერივით მიაყარა მოხალისემ.

გოგას აღარაფერი უთქვამს. მაშინვე შებრუნდა და მანქანაში ჩაჯდა. იმავე წამს რომელიღაც მოხალისემ საძვრენი დაკეტა. მანქანა ადგილიდან დაიძრა და მუხლუხების ხრჭიალით გაემართა გზატკეცილისკენ.

საბრძოლო მანქანა გუგუნ-ზრიალით მიუყვებოდა გზას. ვიწრო ნაკვეთურში ათზე მეტი მებრძოლი იჯდა. ისეთი სივიწროვე იყო, ერთმანეთს მიკრული მებრძოლები განძრევას ვერ ახერხებდნენ. გოგამ თავის უკან, ზუსტად კეფის სიმაღლეზე სამზერი შენიშნა. გახედვაც სცადა, მაგრამ ვერაფერს მოჰკრა თვალი. გარეთ ბნელოდა. სადღაც მოშორებით მხოლოდ გზისპირას აღმართული ხეების მუქი სილუეტები მოჩანდა. ამასობაში რომელიღაც მოხალისეს სივიწროვე მოჰბეზრდა და ზედა საძვრენის გაღება სცადა.

— რას აკეთებ?! — შეუძახეს სხვებმა.

— აღარ შემიძლია. ლამისაა, გავიგუდო. „ბრონზე“ ავალ, — უპასუხა მოხალისემ.

— ახვალ და ეგრევე „მოგხსნიან“: აქაურობა აფხაზებით იქნება სავსე, — არ გაუშვეს დანარჩენებმა.

თითქოს მათი სიტყვების დასტურიაო — როგორც კი მოხალისემ ხელი შეუშვა საძვრენს, საბრძოლო მანქანის გვერდით ყუმბარა აფეთქდა. მანქანა

შეზანზარდა, მაგრამ სვლა არ შეუნელებია. მებრძოლებმა ავტომატის ლულები ამბრაზურებში გაყვეს და სროლა დაიწყეს.

მანქანის გარეთ და შიგნით ნამდვილი ჯოჯოხეთი დატრიალდა. ფერდობებზე ჩასაფრებული აფხაზები გაოფთრებულები უშენდნენ ტყვიებსა და ყუმბარებს გზაზე მოძრავ ქართულ საბრძოლო მანქანებს. ჯავშანს შეხეთქებული ტყვიები ნაპერწკლებს ყრიდა და შიშის მომგვრელად წუოდა. ქართველი მეომრები გაოფთრებულები პასუხობდნენ მოწინააღმდეგის ცეცხლს. ავტომატების გაბმული კაკანისგან საბრძოლო მანქანაში აღარაფერი ისმოდა. კვამლი თვალებს სწვავდა და სუნთქვის საშუალებას არ აძლევდა ვიწრო ნაკვეთურში მყოფთ. ერთ-ერთი ყუმბარა მანქანასთან ძალზე ახლოს აფეთქდა. წითელმა ღრუბელმა წამიერად გაანათა სამზერები. მანქანა ძლიერად შეირყა. გოგას გვერდით მჯდომ ერთ-ერთ მოხალისეს ნერვებმა უმტყუნა. მან ყველასთვის მოულოდნელად შეწყვიტა სროლა და უკანა საძვრენი გააღო.

— რას აკეთებ?! დაკეტე!.. — უყვირეს აქეთ-იქიდან, მაგრამ უკვე გვიან იყო. მოხალისე წელში მოიხარა და მანქანიდან გადახტა. მან მხოლოდ ერთი ნაბიჯის გადადგმა მოასწრო, მერე დენდაკრულივით შეხტა, ხელები აქეთ-იქით აიქნია და მიწაზე დავარდა.

— დაკეტე საძვრენი! — გოგას უყვირეს მოხალისეებმა.

— ის ბიჭი?! — გაოცებით წამოიძახა მან.

— დაკეტე!.. მანქანა თუ გაჩერდა, აგვაფეთქებენ! — უპასუხეს მოხალისეებმა.

გოგამ კიდევ ერთხელ გახედა უძრავ სხეულს, რომელსაც სწრაფად შორდებოდა საბრძოლო მანქანა და საძვრენი დახურა.

დაბა კოლხიდაში გაოფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა. სიმშვიდე, რომელიც ბოლო ორი კვირის განმავლობაში სუფევდა, მოჩვენებითი აღმოჩნდა. მთელი ამ დროის განმავლობაში აფხაზური ქვედანაყოფები იერიშისთვის ემზადებოდნენ. ეს სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა ქართული მხარისთვის. ყველასთვის ცნობილი იყო, რომ სოჭში საქართველოს, რუსეთისა და აფხაზეთის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელსაც საომარი მოქმედებები უნდა შეეჩერებინა. აქედან გამომდინარე, ქართული მხარე აქტიურ მოქმედებებს აღარ მიმართავდა და მხოლოდ აქამდე დაკავებული პოზიციების შენარჩუნებით იყო დაკავებული.

თავიდან ქართველებმა აფხაზთა გააქტიურება ჩვეულებრივ სადაზვერვო ოპერაციად მიიჩნიეს. ასეთი თავდასხმები ფართომასშტაბიან ხასიათს არ ატარებდა. აფხაზები გარკვეულ მანძილზე უახლოვდებოდნენ ქართულ პოზიციებს, ხსნიდნენ ცეცხლს და ხანმოკლე შეტაკების შემდეგ უკან იხევდნენ. ამჯერად იგივე აღარ განმეორდა. აფხაზებმა მძიმე ტექნიკის, რამდენიმე ტანკისა და საბრძოლო მანქანის მხარდაჭერით შეუტიეს ქართველებს და რამდენიმესაათიანი ბრძოლის შემდეგ კოლხიდის ნაწილი დაიკავეს.

საბრძოლო მანქანებმა დანაკარგის გარეშე გაარღვიეს აფხაზთა ჩასაფრება და კოლხიდაში შევიდნენ. უკვე თენდებოდა. ბრძოლა შეწყვეტილი იყო. აფხაზები ძალებს იკრებდნენ და იერიშის გასაგრძელებლად ემზადებოდნენ. დაბის საპირისპირო მხარეს კი ქართველები ემზადებოდნენ ბრძოლისთვის.

საბრძოლო მანქანები ორსართულიანი შენობის გვერდით გაჩერდა. ეს ყოფილი სკოლა იყო. ამჟამად კი იქ კოლხიდის დაცვის დროებითი შტაბი მდებარეობდა. გოგა მოხალისეებთან ერთად გადმოვიდა მანქანიდან და იქვე გაჩერდა. თავიდან მოეჩვენა, რომ ირგვლივ სრული ქაოსი სუფევდა. ქართველი მებრძოლები დიდ და მცირე ჯგუფებად გროვდებოდნენ, რაღაცაზე კამათობდნენ, მერე სადღაც მიდიოდნენ. მათ მაგივრად კი შენობასთან სხვა რაზმები მოდიოდნენ. ყველაზე დიდი ხმაური მაშინ იწყებოდა, როდესაც მებრძოლებს ტყვია-წამალს ურიგებდნენ. ისინი ჯგუფებად მიდიოდნენ სატვირთო მანქანასთან და ხმაურით ითხოვდნენ დამატებით ტყვია-წამალს.

— შენ აქ საიდან გაჩნდი? — მოულოდნელად ჩაესმა გოგას.

ის შებრუნდა. მის პირისპირ ცოტნე იდგა და გაოცებული შესცქეროდა.

— იმ ბიჭებს გამოვყევი, — მოხალისეებზე ანიშნა გოგამ.

— ბოლო „ბეემპეში“ იჯექი?

— ჰო.

— მერედა, რატომ?.. — გაოცებით განაგრძო ცოტნემ. — შენ ხომ აზრზე არა ხარ, რა ხდება აქ?! არც იარაღი გაქვს და არც არავის იცნობ!

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს?! უკან მაინც ველარ დავბრუნდები.

— გოგა!.. — ცოტნე მხრებში ჩააფრინდა და ძლიერად შეანჯღრია. — აზრზე მოდი, ბიჭო! აქ ომია, ომი!.. იცი, რა ხდება კოლხიდაში?! აფხაზებმა და ჩეჩნებმა მოულოდნელად დაგვარტყეს და დაბის ნახევარი აიღეს. ახლა აქედან ას მეტრში დგანან. ჩვენი დაღუპულები იქ ჩარჩნენ. ახლა ერთ ან ორ საათში უკან თუ არ გავრეკეთ, პოზიციებს გაამაგრებენ და მერე ფეხს ველარ მოვაცვლევინებთ. რამ წამოგიყვანა აქ, თანაც — უიარაღოდ?!

— ერეკლეს მოვძებნი, — უპასუხა გოგამ.

— ვერ მოძებნი. ახლა ერეკლე სანაპიროს მხარესაა, ეს ხალხი კი ტრასის მიმართულებით შეუტევს.

— მაშინ, შენთან ერთად წამოვალ, — არ მოეშვა გოგა.

— შენ მე გამაგიჟებ!.. — ცოტნემ სწრაფად მიმოიხედა, მერე შებრუნდა და თქვა: გამომყევიო.

გოგა ვერ მიხვდა, რა ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ მაინც გაჰყვა.

ცოტნემ სკოლაში შეიყვანა, სადაც საველე ლაზარეთი იყო მოწყობილი. იქ იატაკზე რამდენიმე დაჭრილი მეომარი იწვა, რომელსაც სანიტრები დასტრიალებდნენ თავს.

— აი, შენი საქმე. ამაზე კარგს ვერაფერს გააკეთებ. ტრასის გასწვრივ აფხაზები არიან ჩასაფრებულები. ვიდრე იქაურობას არ გავწმენდთ, დაჭრილებს გაგრაში ვერ გადავიყვანთ. დაეხმარე ბიჭებს. ამაზე კარგს ვერაფერს გააკეთებ, — თქვა ცოტნემ.

დაჭრილების დანახვამ, რომლებიც ტკივილისგან იტანჯებოდნენ, გოგას უმალ შეახსენა, რომ ექიმი იყო.

მისდა გასაოცრად, სანიტრებს ძალიან მწირი სამკურნალო საშუალებები აღმოაჩნდათ. მათ ჰქონდათ შესახვევი პაკეტები, სისხლდენის შესაჩერებელი ლახტები და მცირე რაოდენობის ანტიბიოტიკები.

— ტკივილგამაყუჩებლები?.. — ჰკითხა გოგამ სანიტრებს.

პასუხად ერთ-ერთმა ირონიული მზერა ესროლა.

— შესახვევი საშუალება ცოტაა, — განაგრძო გოგამ.

— ბრძოლა მთელი ღამე მიმდინარეობდა. ბევრი დაიჭრა, — უპასუხა სანიტარმა.

— სად არიან ის დაჭრილები?

— აფხაზები ასე ღრმად არ იყვნენ შემოსული კოლხ-

იდაში და გაგრაში გადაყვანა მოვახერხეთ. ახლა იძულებული ვართ, აქ დავტოვოთ.

ვიდრე გოგა დაჭრილებს დასტრიალებდა, კოლხიდის აღმოსავლეთ ნაწილში გააფთრებული ბრძოლა ატყდა. შეტევა ქართულმა არტილერიამ და მძიმე ტექნიკამ დაიწყო. ზარბაზნების გუგუნმა არემარე გააყრუა. ღამით დაკავებულ პოზიციებზე გამაგრებულ აფხაზებს, ათობით ჭურვი დაატყდა თავს. ცოტა ხნის შემდეგ გზატკეცილზე ქართულმა ტანკმა და საბრძოლო მანქანებმა ჩაიგრუხუნეს. მათ კი უკან ქართველი მებრძოლები მიჰყვნენ.

ქართული ქვედანაყოფების შეტევა წარმატებით წარიმართა. აფხაზები თავგამოდებით იბრძოდნენ, მაგრამ მალე ბრძოლის ხაზმა აღმოსავლეთით გადაიწია. აფხაზთა წინააღმდეგობის მიუხედავად, ქართველი სამხედროები წინსვლას განაგრძობდნენ. მაგრამ შეტევას უსისხლოდ არ ჩაუვლია. ბრძოლის დაწყებისთანავე სკოლასთან დაჭრილების მოყვანა დაიწყეს. მაგრამ ახლა მათი იქ დატოვება უკვე აღარ იყო საჭირო. როგორც კი ქართულმა ქვედანაყოფებმა მოწინააღმდეგეს უკან დაახევინეს, გზატკეცილზე ჩასაფრებული აფხაზებიც, რომლებსაც ალყაში მოხვედრა დაემუქრათ, მათ მიჰყვნენ. ამიტომაც, როგორც კი გოგა და სანიტრები ჭრილობებს შეუხვევდნენ, დაჭრილები მაშინვე გაგრის საავადმყოფოში მიჰყავდათ.

მორიგი დაჭრილი გაგრის მოხალისეთა ბატალიონის წევრი აღმოჩნდა. მტრის ტყვიას მარცხენა მკლავი დაემსხვრია მისთვის. გოგამ ლახტი გადაუჭირა ჭრილობის ქვემოთ, მკლავი მკერდზე დაუმაგრა, რათა მოძრაობისას რაც შეიძლება ნაკლები ტკივილი ეგრძნო და შემდეგ ჰკითხა: ერეკლე ასათიანი და სტავრო ხომ არ შეგხვედრიანო?

— საიდან იცნობ? — ჰკითხა დაჭრილმა.

— ჩემი მეგობრები არიან.

— ბოლოს ფერმებთან ვნახე. სტავრო დაჭრილი იყო. „ასკოლკა“ მოხვდა შუბლში, მაგრამ უკან მაინც არ წამოვიდა, ბიჭებთან დარჩა. იქ წასვლას ხომ არ აპირებ? — ჰკითხა დაჭრილმა.

— როგორ უნდა წავიდე?!

— „ბეემპე“, რომელმაც მე მომიყვანა, „სნარიადებს“ შეივსებს და ფერმებთან დაბრუნდება. — ამ სიტყვებთან ერთად, დაჭრილმა საბრძოლო მანქანაზე მიანიშნა, რომელშიც ეკიპაჟის წევრები სწრაფად აწყობდნენ ზარბაზნის ჭურვებს.

გოგა ცოტა ხანს შესცქეროდა საბრძოლო მანქანას, მერე კი წამოდგა და სწრაფი ნაბიჯით წავიდა მისკენ.

— მოიცა! — შეძახილით შეაჩერა დაჭრილმა.

გოგა შედგა და უკან მიბრუნდა.

— ასე სად მიდიხარ?! აჰა, წაიღე... — თქვა დაჭრილმა და ავტომატი და სამი მჭიდი გაუწოდა.

გოგამ იარაღი გამოართვა და სირბილით გავარდა საბრძოლო მანქანისკენ.

საბრძოლო მანქანა ბრძოლას მოწყურებული მტაცებელივით მიიწევდა წინ. არად აგდებდა კოლბოხებს, ორმოებსა თუ ღობეებს. ყველაფერს მუხლუხებით თელავდა და სწრაფად ამცირებდა ბრძოლის ველამდე დარჩენილ მანძილს. თავად გოგას ყოველთვის უყვარდა მანქანის დიდი სისწრაფით მართვა, მაგრამ ახლა ისეთი შეგრძნება დაეუფლა, რომ წარმოუდგენელი სისწრაფით მიქროდა. გამოცდილი მექანიკოსის ხელში, მძიმე მანქანა ციბრუტივით ტრიალებდა. ხან ერთ მხარეს გაუხვევდა, ხან — მეორე. მერე ბექობზე აიჭრებოდა, მძიმედ დაეხეთქებოდა მიწაზე, ღობეს გაანგრევდა და ისევ მოუმატებდა სისწრაფეს. სულ მალე მანქანამ დანიშნულების ადგილს მიაღწია. მექანიკოსმა ნანგრევებად ქცეული სახლის უკან გააჩერა მანქანა და საძვრენი გახსნა.

— სად ხარ ამდენ ხანს?! ხომ იცი, რომ „ბეემპეს“ „პადდერჟკის“ გარეშე შეტევას ვერ გავაგრძელებ!.. — ბრაზით მიმართა მექანიკოსს ტანმაღალმა წვეროსანმა, მერე კი გოგას მიუბრუნდა, რომელიც ამასობაში უკანა საძვრენიდან გადავიდა, და ჰკითხა: შენ ვინღა ხარო?

— ერეკლეს ვეძებ, — უპასუხა მან.

— ასათიანს?

— ჰო, — თავი დაუქნია გოგამ.

— იქ არის, — კვამლადენილ სახლზე მიანიშნა წვეროსანმა, რომელიც ორასიოდე მეტრით წინ მდებარეობდა, — ფრთხილად წადი, სნაიპერები მაგრად მუშაობენ!

დაბის ეს ნაწილი საშინელი სანახავი იყო. ყველგან მოჩანდა გაფანტული შეტაკებების კვალი. მთელი, არც ერთი სახლი არ გადარჩენილიყო. ზოგი საერთოდ, მიწასთან იყო გასწორებული, ზოგი ჯერ ისევ იწვოდა, ზოგისთვის ჭურვებს სახურავი აეხადა ან კედელი შეენგრია. ყოველ მხარეს მოჩანდნენ ქართველი მეომრები, რომლებიც მოწინააღმდეგეს სეტყვასავით აყრიდნენ ტყვიებს. ტყვიებსა და ყუმბარებს აფხაზებიც არ იშურებდნენ. დროდადრო ქართული ქვედანაყოფის პოზიციებზე გამაყრუებელი გრიალით ფეთქდებოდა ჭურვები. მებრძოლების თავს ზემოთ კი ავად ზუზუნებდა ტყვიები. გოგას თავადაც უკვირდა, მაგრამ ყუმბარების აფეთქებებსა და ტყვიების ზუზუნს საერთოდ არ შეუშინებია. თავს მშვიდად გრძნობდა და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რაც შეიძლება სწრაფად მიეღწია სახლამდე, რომლის მახლობლადაც ერეკლე იმყოფებოდა. მისდა საბედნიეროდ, იქით წასასვლელად ოთხი მოხალისე ემზადებოდა, რომელსაც ტყვია-წამლის მარაგი უნდა მიეტანა თანამებრძოლებისთვის.

— მოგეხმარებით! — გოგა სწრაფად მიიჭრა მოხალისეებთან, რომლებიც მძიმედ დატვირთულები დაიძრნენ სახლის მიმართულებით.

მოხალისეებმა ყურადღებით შეათვალიერეს და მერე ავტომატის ტყვიების შეკვრებით სავსე ზურგჩანთა მისცეს.

ხუთკაციანი ჯგუფი სირბილით მიიწევდა წინ. ახლა მალვასა და სიფრთხილეს არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. არავინ იცოდა, როდის და სად ჩამოვარდებოდა ჭურვი, ან კიდევ, საიდან მოფრინდებოდა ბრმა ტყვია. გადარჩენის და დავალების შესრულების ერთადერთი გზა, სახლამდე რაც შეიძლება სწრაფად მისვლა იყო.

ჯგუფმა დარჩენილი მანძილი სირბილით გაიარა. ამან იმდენი ძალა წაართვა ბიჭებს, რომ სახლთან მისულებმა ფეხზე დგომაც ველარ შეძლეს და მოცეღილებივით დაცვივდნენ მიწაზე. პოზიციებზე მყოფმა მეომრებმა მაშინვე შენიშნეს ზურგჩანთებიანი თანამებრძოლები და ტყვია-წამლის მარაგის შესავსებად მათკენ წამოვიდნენ.

— ერეკლე სად არის? — ერთ-ერთ მათგანს ჰკითხა გოგამ.

— სახლიდან მარცხნივ... ბაღის ბოლოში ნახავ, — მიასწავლა მებრძოლმა.

ბაღის ბოლოში ქვის ღობე მოჩანდა. ღობესთან ექვსი მეომარი იყო გამაგრებული. მათ შორის იყვნენ ერეკლეცა და სტავროც.

მებრძოლებიდან ერთ-ერთი, ყუმბარმტყორცნით იყო შეიარაღებული. ისინი სინქრონულად მოქმედებდნენ: ორი მათგანი ერთდროულად დგებოდა და ცეცხლს ხსნიდა, ცოტა ხანში ყუმბარმტყორცნელი მოწინააღმდეგის მიმართულებით ყუმბარას ისროდა, შემდეგ ყველანი ერთად, კედელს ეფარებოდნენ; ცოტა ხანში იგივე მეორდებოდა, ოღონდ ამჯერად სროლას ორი სხვა მებრძოლი იწყებდა.

გოგა ხოხვით მიუახლოვდა კედელს და მეგობრებს შეეხმიანა.

— ერეკლე... სტავრო!..

ერეკლემ და სტავრომ ერთმანეთს გადახედეს, მერე კი ორივემ ერთად გამოიხედა უკან და გაოცებისგან ადგილზე გაშეშდა.

— საიდან გაჩნდი აქ?! — ერეკლე პირველი გამოერკვა.

— გრძელი ამბავია, — უპასუხა გოგამ და კედლისკენ დაიძრა.

— დაწექი! — შესძახა ერეკლემ, როგორც კი გოგა მისკენ წამოიწია, მერე კი ელვის სისწრაფით გადახტა წინ, უბიძგა და მიწაზე დააგდო.

— გაგიჟდი?! ვერ ხედავ, რა ამბავია?! მათი სნაიპერები გაფანტულები ნადირობენ!

— აქ მოსვლამდე ყველა ასე მაფრთხილებდა და ჯერ ერთი მათგანიც არ მიხილავს, — ჩაილაპარაკა გოგამ.

— სნაიპერს ვერც დაინახავ, მაგრამ მან თუ მოგკრა თვალი, ველარაფერი

გიშველის, — ამ სიტყვებთან ერთად, ერეკლე მხარში ჩაეფრინდა და კედლამდე მიიყვანა.

— როგორ ხარ, ძველო? — მეგობრულად გადაკოცნა კედლის ძირში ჩამჯდარმა სტავრომ.

— ვარ, რა... თავი ხომ არ გაწუხებს? — შუბლზე დადებულ სახვევზე მიანიშნა გოგამ, რომელზეც წითელ ლაქად დამჩნეოდა გამოჟონილი სისხლი.

— განაკაწრია, — უდარდელად უპასუხა სტავრომ.

— მაინც როგორ მოხვდი აქ? — განაგრძო ერეკლემ.

— საავადმყოფოში ყოფნა მომწყინდა და აქეთ გამოვისეირნე.

— ხუმრობის ხასიათზე რომ ხარ, კარგია, მაგრამ ეს ხუმრობისთვის შეუფერებელი ადგილია. მეორე დღეა, ვიბრძვით. ბევრი სისხლი ვადინეთ, მაგრამ ჩვენიც საკმაოდ დავღვარეთ. მარტო ჩვენს ბატალიონს ხუთი ბიჭი დაეღუპა, ორი მაგდენი დაიჭრა... — ერეკლემ პაუზა გააკეთა და მერე ჰკითხა: — ცოტნე სად არის?

— სადღაც გზატკეცილის მხარეს.

— რატომ დაგანება თავი?

— არ ღირს მაგაზე ლაპარაკი. ნაღდად, შემთხვევით მოხდა ყველაფერი.

— იცის, აქ რომ ხარ?

— არა, — თავი გაიქნია გოგამ, — შენი ძებნა ამიკრძალა და დაჭრილებთან დამტოვა. მაგას რა მნიშვნელობა აქვს?! მთავარია, რომ აქ ვარ და მოდი, გამარკვიე, რა ხდება და რა უნდა გავაკეთო.

— „რა უნდა გავაკეთო“?! — ბრაზით გაიმეორა ერეკლემ. — სადაც საჭირო არ არის, იქ არ შეეტენო და რომელიღაც ჩრდილოკავკასიელი ან ახვარი კაზაკის ტყვიას არ შეუშვირო შუბლი!.. სხვა საქმე შენ არა გაქვს!.. იმედი არ მაქვს, რომ კოლხიდიდან მშვიდობით გააღწევ, თორემ ახლავე უკან მიგაბრუნებდი. მაგრამ არაფერია, დიდხანს მაინც ვერ იბლატავებ. როგორც კი კოლხიდას აფხაზებისგან გავწმენდთ, მე თვითონ ჩაგიყვან სოხუმში და მერე თბილისში გიკრავ თავს!

— კარგი, რა, ერეკლე, ნუ ამოხადე ბიჭს სული, — ჩაურთო სტავრომ, — რა მოხდა?! პირველი თბილისელია თუ ბოლო, რომელიც გაგრაში ჩამოვიდა?

— რას ჰქვია, რა მოხდა?! — ბრაზით გახედა ერეკლემ. — ახლა ამაზე ვიფიქრო თუ აფხაზებზე?!

— კარგი... გეყოფა, — თქვა გოგამ და კედელზე გაკეთებული ამბრაზურიდან გაიხედა.

იქიდან ის ბაღები და სახლები მოჩანდა, რომლის სიახლოვესაც გამაგრებულიყვნენ ერეკლეს თანამებრძოლები. სადღაც იქ უნდა ყოფილიყვნენ აფხაზებიც, მაგრამ გოგას არც ერთი მათგანისთვის არ მოუკრავს თვალი. სამაგიეროდ, ხედავდა ყუმბარებს, რომლებიც ქართული პოზიციებისკენ ბაღებიდან მოფრინავდა, ესმოდა ავტომატებისა და ტყვიამფრქვევების კაკანი. დროდადრო სროლის ხმას ლანძღვაგინება ერთვოდა:

„ეე გრუზისნკიე ბლიადი, ვსეხ პორეშიმ! დავაიტე, ლეზტე სიუდა!“

ქართველები არანაკლები მონდომებით პასუხობდნენ:

„თქვენი დედაც, ნაბიჭვრებო!.. ერთს არ დაგტოვებთ ცოცხალს!.. ყველას დაგბრიდავთ!“

შემდეგ საქმეში ისევ ავტომატები, ტყვიამფრქვევები და ყუმბარმტყორცნები ერთვებოდა.

ამ დროს, კედელთან გამაგრებული ქართველი მებრძოლები ყურადღებით აკვირდებოდნენ აფხაზთა პოზიციებს.



— მარცხენა სახლი, მეორე სართულის ფანჯრიდან „პულიმიოტი“ ურტყამს... ხედავ? — ყუმბარმტყორცნელს მიანიშნა ერთ-ერთმა.

— ვხედავ, — დაუდასტურა მან.

— დროა! — ჩაესმა გოგას ერეკლეს ერთ-ერთი თანამებრძოლის ხმა.

იმავე წამს ორი მებრძოლი წამოიმართა და აფხაზთა პიზიციებს ცეცხლი გაუხსნა. აფხაზებმა სროლა შეწყვიტეს. წამი, რომელიც ყუმბარის გასასროლად იყო საჭირო, მოგებული იყო. ყუმბარმტყორცნელი მუხლზე წამოიმართა, წინასწარ მონიშნული ფანჯარა მიზანში ამოიღო და სასხლეტი დაუშვა. ყუმბარმტყორცნმა ყურისწამღებად იგრიალა და პოზიცია კვამლში გახვია. ყუმბარა კი წითლად მოელვარე ბურთივით გაფრინდა აფხაზებისკენ და პირდაპირ სახლის ფანჯარაში შევარდა.

— წავედით! — სწრაფად თქვა ერეკლემ და თან გოგას ხელით ანიშნა: გამომყევიო.

ქართველი მებრძოლები მაშინვე მოშორდნენ საფარს და ორმოცდაათიოდე მეტრით უკან დაიხიეს. ის იყო, ახალი საფარი მოძებნეს, რომ ყუმბარებისა და ტყვიების ნიაღვარი დაატყდა კედელს. ორმა ძლიერმა აფეთქებამ მისი ნაწილი ჩამოშალა.

— ისევ დაბრუნდა! — ერეკლემ ბრაზით გახედა აფხაზურ პოზიციებს.

— ვინ? — ჰკითხა გოგამ.

— აფხაზების „ბეემპეა“. კრაზანასავით ინესტრება. ვერც ვხვდებით, როგორ ასწრებს სროლას. ციბრუტივით ბზრიალებს. უცებ გამოჩნდება, შეუჩერებლად ისვრის და მაშინვე მიდის. ყუმბარმტყორცნებმა თხუთმეტჯერ მაინც ესროლეს, მაგრამ ერთხელაც ვერ მოარტყეს...

ერეკლეს სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ მათ უკან ძრავას გუგუნი და მუხრუჭების ღრჭიალი გაისმა. პოზიციას მძიმედ მიუახლოვდა ქართული ტანკი. როგორც ჩანს, ტანკისტებს არ სურდათ, დროზე ადრე თავის გამჟღავნება. ტანკი ოდნავ გასცდა დანგრეულ სახლს და კოშკურა აფხაზების პოზიციების მიმართულებით შეაბრუნა.

— იმ „ბეემპეზე“ ნადირობს. თუ გაანადგურა, შეტევაზე გადავალთ!.. — ერეკლე მაშინვე ჩასწვდა ტანკის გამოჩენის მიზეზს. მერე გოგას მიუბრუნდა და ლაპარაკი განაგრძო: — ძმურად გთხოვ — თავგადასავლების ძებნას ნუ დაიწყებ. შეტევაზე თუ წავედით, აქ დარჩი!.. ეს ერთი დღე მაჩუქე და მერე მე ვიცი, როგორც მოვიქცევი!

გოგას პასუხი არ ჰქონდა გაცემული, რომ ქართული პოზიციებიდან ზედიზედ ორჯერ გაისროლეს ყუმბარმტყორცნიდან. სატყუარამ გაამართლა: სახლებს შორის მიმავალ გზაზე საბრძოლო მანქანის დაბალი სილუეტი გამოჩნდა. ქართველი ტანკისტები სწორედ ამას ელოდნენ — ტანკის ლულამ იგრიალა. გასროლა ზუსტი და გამანადგურებელი აღმოჩნდა. ჭურვმა ფოლადის მანქანა ხმელი ფოთოლივით აისროლა ჰაერში. ცეცხლსა და კვამლში გახვეული საბრძოლო მანქანის ხილვისას, ქართულ პოზიციებს სიხარულის ყიჟინამ გადაურბინა. ამასობაში კი ტანკი ადგილიდან დაიძრა. უახლოეს სახლს, რომელშიც აფხაზები იყვნენ გამაგრებულები, ზედიზედ ორი ჭურვი ესროლა, შემდეგ კი მუხლუხების ხრჭიალით გავარდა წინ. შეტევაზე გადასულ ტანკს უკან ორი საბრძოლო მანქანა მიჰყვა. შემდეგ კი ქართველი მებრძოლებიც წამოიშალნენ პოზიციებიდან.

— ხომ გაიგე, რაც გითხარი?! აქ დარჩი!.. — გასძახა გოგას ერეკლემ და თანამებრძოლებთან ერთად წინ გაიქცა.

გოგამ უკმაყოფილო მზერით გააცილა მეგობარი. მერე კი ავტომატი ჩაბღუჯა და დაწინაურებულ მებრძოლებს დაედევნა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

სევდის სურნელი

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“,
№ 51, 2009 - №7, 2010

მას უკვე მოესწრო ტანსაცმლის გამოცვლა — ამჯერად თეთრი მაისური და შორტი ჩაეცვა... გარუჯული კანი სასიამოვნოდ ულაპლაპებდა... ვცდილობდი, არ შემემჩნია, არაჩვეულებრივად რომ გამოიყურებოდა. ისე მომინდა მასთან ჩახუტება, უზარმაზარი ნერწყვი გადავაგორე...

— ისიამოვნე? — რაც შეიძლებოდა, მხიარულად ვკითხე.

— ჰო. წყალმა ცოტათი გააგრილა ჩემი სიმხურვალე, — ირონიულად მიპასუხა.

მის სიტყვებზე ყურადღება არ გავამახვილე, არც შევხედე... ასე მეგონა, ჩემი სურვილები უკვე შუბლზე მეწერა.

— სადილად მხოლოდ სალათა გვექნება. მეტ... — წინადადების დამთავრება ვერ მოვასწარი, ეგრევე დავმუნჯდი, რადგან კახიმ მაჯაზე წამავლო ხელი, ტუჩებით ოდნავ შემეხო ყურის ბიბილოზე და აღგზნებით მიჩურჩულა:

— მშვენივრად იცი, რომ ამწუთას სადილი სულაც არ მაინტერესებს.

— ნუთუ ეს ის ადამიანია, რომელიც მეუბნებოდა, გემრიელ კერძებზე ჭკუა მეკეტებაო? — ალეწილი, მაქსიმალურად ვცდილობდი, შექმნილი სიტუაცია განმემუხტა.

— ხანდახან მე თვითონაც მეეჭვება ამის, — ოდნავ ჩახრინწული ხმით წარმოთქვა და სახე მომიახლოვა, — შენს ტუჩებში ხეტიალი მომინდა...

ალმური უარესად წამეკიდა სახეზე, ძალიან ავღელდი... სუნთქვაც გამიხშირდა...

— კახი, გთხოვ... — ძლივს გასაგონი ხმით გავაპროტესტე მისი შემოტევა, მაგრამ წამიერად მაინც „გამოვეხმაურე“ მისი ტუჩების მაცდუნებელ გამოძახილს.

— რას მთხოვ? „გთხოვ, არ გინდა“ თუ — პირიქით? — ეშმაკურად შემომღიმა და, ჩემდა გასაკვირად, უეცრად გამერიდა.

ეს მე თავადაც არ ვიცოდი. ერთდროულად თავის დანებებასაც ვთხოვდი და არდანებებასაც... სიგიჟემდე მინდოდა მასთან...

— აქაც კი აღწევს ზღვის სურნელი, — დაძაბულმა ვთქვი, რათა სხვა თემაზე გადამეტანა საუბარი.

— მართლა? რატომღაც, მე ვერ ვგრძნობ ამას...

— რას ამბობ! ღრმად შეისუნთქე ჰაერი და იგრძნობ, — ოდნავ მომეხსნა დაძაბულობა.

— მე სხვა რამეს ვგრძნობ... — ხმა შეეცვალა კახის. — ისევ შენი სევდის სურნელი მოვარდა საიდანღაც...

საოცრად შემძრა მისმა ნათქვამმა. თვალები დავხარე, რომ არ შემეხედა და თავი არ გამეყიდა.

— ქეთი... — თითქოს შორიდან ჩამესმა მისი ხმა.

— ბატონო...

— ახლა რომ გითხრა, ჯულისთან არაფერი მაკავშირებს-მეთქი, ეს რამეს შეცვლის? — მამაკაცი კვლავ მომიახლოვდა.

ამის გაგონებაზე შუბლი შევიკარი.

— გინდა მითხრა, რომ უკვე მიატოვე იგი? — ახლა კი თამამად შევხედე.

— მე ეს არ მითქვამს.

— აბა? მან მიგატოვა? — ვიკითხე და საკუთარ სიტყვებში თავადვე შემეპარა ეჭვი. განა შესაძლებელია ასეთი მამაკაცის მიტოვება? მაშინ ქვის გული უნდა ჰქონდეს ქალს...

— არა, არც ეგ მიგულისხმია.

— ვერაფერი გავიგე, — უმწეოდ ავიჩეჩე მხრები და უნდობლად ჩავაშტერდი თვალებში.

— უბრალოდ, ჯული აქ არაფერ შუაშია.

ძალიან ძნელი დასაჯერებელი იყო მისი სიტყვები. კვლავ ავილეწე და ერთი ნაბიჯით უკან დავიხიე, რომ მისი სიახლოვით ათრთოლებულს სისუსტე არ გამომეჩინა.

— შენი არ მჯერა.

— თუ გინდა, ნუ დამიჯერებ, მაგრამ ეს ერთადერთი სიმართლეა, რომელიც შემიძლია გითხრა, — მტკიცედ წარმოთქვა, — ჯული თავისი გზით მიდის, მე — ჩემით.

— თქვენს დილანდელ საუბარში, სამწუხაროდ, ეგ არ შეინიშნებოდა... მე სულ სხვა შთაბეჭდილება დამრჩა...

— ჩვენ მხოლოდ კარგი მეგობრები ვართ და მეტი არაფერი. ერთმანეთის ყველაფერი ვიცით. სულ ეგ არის.

— მართლა? ჩვენი წუხანდელი „უმანკო“ თავგადასავალიც იცის? რაღაც არ მახსენდება, მისთვის ეს გეთქვას. თუ ეგ სატელეფონო თემა არ იყო? — წამომცდა და მაშინვე ენაზე ვიკბინე.

ამის თქმას სულაც არ ვაპირებდი. საშინლად გავბრაზდი ჩემს თავზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა ანდრონიკაშვილმა მითხრა:

— ქეთევან, ნუ ეჭვიანობ ჯულიზე, არ არის საჭირო, გარწმუნებ.

— არ ვეჭვიანობ, — ზედმეტად მხიარულად გამომივიდა ნათქვამი, — რატომ უნდა ვიეჭვიანო? წუხანდელი ღამე შეცდომა იყო, გგონია, არ ვიცი? გგონია, არ მესმის? უბრალოდ, საღ გონებას ვნებამ გადასძალა, თანაც ძალიან ცოტა ხნით... იქნებ, აჯობებს, დროზე შევჩერდეთ?

— შენ ფიქრობ, რომ სინამდვილეში ეს შესაძლებელია?

მის მზერას თვალი ავარიდე.

— არა, — უხასიათოდ ვუპასუხე, — მაგრამ ცდა შეიძლება. სხვა რაღა გვრჩება?

— მე ვიცი, რაც...

მისმა თავხედურმა ტონმა შემაკრთო...

— მაგით რისი თქმა გინდა? რომ ჩემი შეცდენა განიზრახე? — აღელვებუ-

ლი საკუთარი მკერდის აღმა-დაღმა მოძრაობას ვერ ვაჩერებდი. — არ გეჩვენება, რომ ეს შვებას არც ერთს არ მოგვიტანს? რომ ამით უკეთ ვერ გავხდებით?

— პირადად მე სწორედ რომ უკეთ გავხდები, — კიდევ უფრო თავხედურად მომიგო.

გაოცებულმა ავხედე.

— იცი, რა? ერთ დროს მეგონა, რომ მიყვარდა ერთი ადამიანი, რომელსაც ახლა ძალიან გამსგავსებ.

შევამჩნიე, რომ ჩემმა მძულვარებით ნათქვამმა სიტყვებმა მასზე გავლენა ვერ მოახდინა.

— რას მელაპარაკები! — წარბები აზიდა გაღიმებულმა.

— მეუბნებოდა, რომ ჩემთან შეხვედრა ყველაზე დიდი დღესასწაული იყო მის ცხოვრებაში, — გავაგრძელე, — რომ მთელ სამყაროში ყველაზე მეტად ვუყვარდი... მერე კი აღმოჩნდა, რომ ზუსტად იმავეს ეუბნებოდა სხვა ქალსაც... სიმართლე გითხრა, ამწუთას შემიძლია მხოლოდ თანავუგრძნო ჯული მარგველაშვილს... მეცოდება იგი.

— შენს ყოფილ შეყვარებულზე ჰყვები? რატომღაც, მასსა და ჩემ შორის მსგავსებას ვერ ვხედავ, ქეთევან. იმისთვის, რომ ლოგინში შემეტყუებინა, არასდროს არც ერთი ქალისთვის არ მითქვამს, მიყვარხარ-მეთქი. ნაძირალა არ ვარ და არც ვყოფილვარ.

— ჰო, რა თქმა უნდა, ამის დაჯერებას რა დიდი ძალისხმევა უნდა? — სარკასტულად შევნიშნე და გავტრიალდი, მაგრამ მკლავში მტაცა ხელი.

— არ მითხრა, რომ წუხელ ყურში სასიყვარულო ფრაზებს ჩაგჩურჩულებდი... მე შენთვის სიყვარული არ ამიხსნია, — უხეშად წარმოთქვა, — ასე არ არის?

წამით გავქვავდი... ყურებს არ ვუჯერებდი... ამას მე ვინ ვგონივარ? სიბრაზემ ერთიანად მომიცვა... თვითონაც არ ვიცი, საიდან მომეცა ძალა, ერთი ძლიერად გავულაწუნე სახეში და მის რეაქციას არ დავლოდებივარ, გემბანზე ისე ავვარდი.

ერთიანად ვკანკალებდი, როცა მივხვდი, რაც ჩავიდინე. ამავდროულად, დარწმუნებული ვიყავი, რომ კახიმ ჩემი სილა დაიმსახურა.

მამაკაცი გამომეკიდა, დამეწია, მაჯაში ჩამაფრინდა და სახით მისკენ შემაბრუნა.

— პირველ რიგში, მინდა, ბოდიში მოგიხადო, — შეცბუნებულმა სწრაფად წარმოთქვა.

— რა თქმა უნდა, ურიგო არ იქნება, — ძალიან უხეშად მომიგო.

— გეყოფა, კახი... წელან ისეთი თვითკმაყოფილი სახე გქონდა, უბრალოდ, თავი ვერ შევიკავე და მოთმინება დავკარგე.

— საინტერესოა, რამ გამოიწვია შენი ასეთი აფეთქება? იმან, რომ მე შენთვის სიყვარული არ ამიხსნია?

— თავს სასაცილო მდგომარეობაში ნუ იგდებ, გთხოვ... არც ველოდი შენგან, რომ მსგავს რამეს მეტყოდი. წუხელ მე უბრალოდ... უბრალოდ... ერთი სიტყვით, ცოტა სისუსტე გამოვიჩინე, შემთხვევით გაცნობილ მამაკაცებთან ინტიმური ურთიერთობა არასდროს მქონია, — ვთქვი და ამჯერად სიმწრის ნერწყვი გადავაგორე, — არც სიყვარულის ახსნას მოველოდი შენგან. არც ახლა მითხოვია ეს. ერთი რამ მინდოდა მხოლოდ, გამეგო — რა გრძნობები გაკავშირებდა ჯულისთან.

— ეს უკვე აგიხსენი, თანაც, მგონი, გასაგებად, — მის ხმაში თავდაჯერებამ გაიჟღერა.

— რა ამიხსენი? — არ დავუთმე. — ძალიან ცოტა რამ მითხარი, თუ სიმართლე გაინტერესებს.

— შენ კი ნებისმიერი უსიამოვნო წვრილმანის გაგება გსურს, არა? — მის ამ უცნაურ შეკითხვაში ისეთი რამ იგრძნობოდა, მის ხმაშიც, მის გამოხედვაშიც, რომ გული ძლიერ შემიტოკდა.

არ ვიცი, ჟურნალისტურმა ინსტინქტმა მიკარნახა თუ ქალურმა ინტუიციამ, მაგრამ მივხვდი, რომ მათ შორის ყველაფერი ისე არ იყო, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანდა.

მომაკვდინებელი სიჩუმე ჩამოვარდა. ერთხანს უხმოდ მივჩერებოდით ერთმანეთს. არ ვიცოდი, რა მეპასუხა. კახიც დამუნჯდა.

ამ დროს, ორივესთვის მოულოდნელად, სადღაც ახლოს, უცნაური გუგუნი გაისმა. კატერის ძრავას ხმაურს მივამსგავსე. მამაკაცი სწრაფად გამერიდა.

— აუუუ! მოგვაქციეთ ყურადღება, თუ შეიძლება! — უეცრად ქალის მელოდიური ხმა შემომესმა.

— მე კი მეგონა, სიმშვიდესა და სიწყნარეში მოვახერხებდით დღის გატარებას, — უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა კახიმ და იახტის მოაჯირს გადაეყუდა, ქვემოთ რომ ჩაეხედა.

მეც უკან მივყევი. ლურჯ ტალღებზე ჩვენსაზე გაცილებით პატარა კატერი ქანაობდა.

— ნება მომეცით, გემბანზე ამოვიდე, კაპიტანო! — მოკლეთმიანმა და შავთვალა ქალმა, რომელსაც ძალზე „თამამი“ წითელი ბიკინი ეცვა, გულიანად გადაიკისკისა და ხელი დაგვიქნია.



მერეღა ვიცანი იგი, კახი ამოსვლაში რომ მიეხმარა.

— ლალი! ძვირფასო! რა სიუპრიზია! — ნაძალადევი ღიმილი გამოესახა „კაპიტანს“ სახეზე. — აქაც მომაგენი?

როგორ არ მესიამოვნა მისი დანახვა! ჩემი თავი დავიჭირე იმაში, რომ ცოტას ამ ქალზეც ვეჭვიანობდი... რა უნდოდა, რისთვის მოვიდა? რას დასდევს ამ კაცს კუდში? — ნირწამხდარმა გავიფიქრე, თან შევეცადე, სახეზე იმედგაცრუება არ შემტყობოდა. თუმცა...

თუმცა იმედგაცრუება არაფერი იყო იმასთან შედარებით, რამაც რამდენიმე წუთში შოკში ჩამაგდო...

გემბანზე, კისერზე ჩამოკიდებული ფოტოაპარატით... თემური ამოდიოდა...

ლალის წამითაც არ გაუჩერებია ენა, რაღაცას ქაქანით ელაპარაკებოდა კახის, მე კი მისი ერთი სიტყვაც არ მესმოდა. თავზარდაცემული მივჩერებოდი მის თანამგზავრს.

— ეს ჩემი მეგობარია, თემურ არაბიძე, გაიცანით.

ჩემი ქართველ-ამერიკელი „ტიმ-თემური“ კახის მიუახლოვდა და ხელი მძლავრად ჩამოართვა. მისმა გამოჩენამ მთლად მომიღო ბოლო. ამას აქ რა უნდა? საიდან გაჩნდა? ბედის ირონიაც ამას ჰქვია!

— ეს კი ნუკის ძიძაა, — თქვა ლალიმ და კეკლუცად წარბებშეკრული მე მომიბრუნდა, — მაპატიეთ, მაგრამ ვერაფრით ვიხსენებ თქვენს სახელს...

— ქეთი... ქეთევანი... — დასახმარებლად მთელ ჩემს ნებისყოფას ერთიანად მოვუხმე და თემურს ხელი გავუწოდე.

— ძალიან სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, ქეთი, — „ტიმ-თემურმა“ მრავალმნიშვნელოვნად გამიღიმა, თითქოს ამ ღიმილით მეუბნებოდა, ხედავ, რა ეშმაკურად მოგაგენიო...

მან საჭიროზე დიდხანს დააყოვნა ჩემი თითები თავის ხელში.

ვიგრძენი, როგორ მითრთოდა სხეული, ღონემიხდილი თავს ძლივს ვიმაგრებდი, რომ არ წავქცეულიყავი.

— დალევთ რამეს? — თავაზიანად იკითხა კახიმ და დაუპატიჟებელ სტუმრებს კიჩოზე გაშლილი შეზლონგებისკენ გაუძღვა.

— გააჩნია, რას დაგვალევინებ, — კვლავ აკისკისდა ლალი და თვალი ჩამიკრა, — წითელი ღვინო თუ გექნება, სიამოვნებით... თან, „ზაგარსაც“ მივიღებ.

გახევებული, ადგილიდან ვერ ვიძვროდი. ამასთან, თვალს არ ვაშორებდი ცინიკურად მოღიმარ თემურს. თანდათან უფრო მზარავდა მისი აქ გამოჩენა.

არა, რა თქმა უნდა, წამითაც არ მიფიქრია, რომ აქ ჩემ გამო იყო. რა მიხვე-

დრა იმას უნდოდა, რომელმა ქარმა გადმოისროლა ქობულეთში ან რა განზრახვით ამოყო თავი კახის იახტაზე? ისიც ხომ ჟურნალისტია, ამავე დროს, ფოტოგრაფიც... ანდრონიკაშვილზე მასალის მოსაძიებლად ჩამობრძანდა ვაჟბატონი! ღმერთო, რაღა მე შემეფეთა? როგორ მოვიქცე? კიდევ კარგი, არ წამოსცდა ჩემზე, ვიცნობო... დელიკატურად კი მოიქცა... მთლად წყალწაღებულიც არ ყოფილა! მაგრამ ეგ რა შეღავათია? აი, სად დაგერხა, ქეთი! როგორ არწმუნებდი წეღან ანდრონიკაშვილს? შემთხვევითი კავშირები მამაკაცთან არასდროს მქონიაო?! ხედავ, რა უმოკლესი ფეხები ჰქონია ტყუილს? აუუუ! ნეტავ სიზმარი აღმოჩნდეს ეს ყველაფერი! ამწუთას აღარაფერი მინდოდა, ოღონდ კი აქ არ ვყოფილიყავი. შემზიზღდა ჩემი თავიც, თემურიც, კახიც და... ლალი ხომ ისედაც არ მეხატებოდა გულზე!

არა, როგორმე უნდა დავძლიო შიში! ასე არ შეიძლება! ასე ძალიან იოლად გავყიდი თავს! გონს მოდი, ქეთი! ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულა! ახლა მოვლენები შენ უნდა მართო, თუ გინდა, რომ საქმე არ გაგიფუჭდეს!

თავი გავაქნიე, ჩავახველე და თვალი კვლავ არაბიძისკენ გავაპარე. არა უშავს, მშვენივრად გამოიყურება. ახლა უფრო სიმპათიური მომეჩვენა, ვიდრე იქ, ნიუ-იორკში. ქერა თმა... დაკუნთული მკლავები... მომნუსხველი გამოხედვა... რა ლამაზი თვალები ჰქონია, თითქოს პირველად შევამჩნიე. ფეხებიც კი ქალივით ჩამოსხმული აქვს! ამას კი ნამდვილად არ მოველოდი! შორტში ხომ არასდროს მინახავს. ფოტოაპარატი? პროფესიონალური კამერაა, ვერაფერს იტყვი! ეს კი სწორედ რომ გაბედული საქციელია მისი მხრიდან.

— ქეთევან! — მივხვდი, რომ კახი მეძახდა და მსწრაფლ გამოვფიზლდი.

ნეტავ, როგორი ფერი მადევს სახეზე? გარუჯულს ვითომ რამე შემეტყობოდა?

— ბატონო! — გაუბედავად ვუპასუხე და მორჩილად მივაჩერდი ჩემს ბოსს.

— შეგეკითხე, რას დალევ-მეთქი, — მშვიდად მომმართა ანდრონიკაშვილმა.

— „ნაბეღლავს“.

— ესე იგი, ორი ლუდი, ღვინო და...

— მე ამოვიტან, კახი... — გავაწყვეტინე მამაკაცს.

ახლა ერთი წუთით მაინც უნდა დავრჩენილიყავი მარტო, რომ თავი ხელში ამეყვანა და ყველაფერი გამეაზრებინა, — თან ბავშვსაც დავხედავ.

— კარგი, დიდი მადლობა, — მომაძახა კახიმ და დაჯდა.

კაიუტაში ჩასულმა ვიგრძენი, როგორ მიკანკალებდა მუხლები, ერთიანად ცვახცახებდი. ჩემი ბრალია! წუხელ უნდა მეთქვა სიმართლე კახისთვის, ყველაფერი უნდა მომეყოლა და ამ დღეში არ ჩავვარდებოდი!

ბავშვს შევხედე. ნუკი მშვიდად იჯდა მანეჟში და მატყუარას გამალებით წოვდა. ჩემი დანახვა ისე გაუხარდა, აჭყლოპინდა და ხელ-ფეხის ქნევა დაიწყო.

— როგორც ჩანს, ძიძის სამუშაოს თანდათან ეჩვევი! — გაისმა ჩემს ზურგს უკან თემურის ხმა. ვერც გავიგე, ასე უჩუმრად როგორ ჩამოიარა საფეხურები.

მოულოდნელობისგან შევხტი, ლამის შევკივლე კიდეც.

— როგორ ხარ, საყვარელო? — მამაკაცი მომიახლოვდა და ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ჩემ წინ გაჩერდა.

ცივად შევხედე.

— ასე ნუ მომმართავ! — ჯიქურ გავუსწორე მზერა.

— რატომ? ამით რამე დაგიშავდება?

— იქნებ ამიხსნა, აქ რა ჯანდაბას აკეთებ?

— გუშინ ანდრონიკაშვილის მანქანაში გამოჭიმული რომ დაგინახე, ზუსტად იგივე კითხვა დამებადა მეც, — ლაკონიურად გამცა პასუხი.

— აჰა... ესე იგი, არ შევმცდარვარ! შენც იყავი იმ ჟურნალისტებს შორის, არა?

— შემამჩნიე?

— შენ წარმოიდგინე!.. მაგრამ მეგონა, მივამსგავსე-მეთქი. ნამდვილად არ გელოდი.

— რატომ? მეც ხომ შენსავით რეპორტიორი ვარ, ყოველთვის „ცხელ“ წერტილებში დავდივარ.

— მე კი მეგონა, შენი „ცხელი“ წერტილები მხოლოდ უცხოეთი იყო და კიდევ... ამერიკის აეროპორტებში ქართველი ქალების შებმა, — დავგესლე.

— მე ყველგან ვარ, სადაც საქმეს სჭირდება და ყველაფერს ვაკეთებ, რაც საქმეს სჭირდება, — ვალში არ დამრჩა არაბიძე, — წესით, ახლა გერმანიაში უნდა ვყოფილიყავი, მარგველაშვილის „მოსანახულებლად“, მაგრამ გულმა მიგრძნო, რომ აქ შენ დამხვდებოდი და მეც აქეთ გამოვეშურე, — თემურმა ღიმილით კიდევ უფრო ახლოს მოიწია ჩემკენ, — რამდენი დღეა, ერთმანეთი არ გვინახავს... არაჩვეულებრივად გამოიყურები, ქეთ! — დამცინავად დააყოლა ბოლოს და უტიფრად ააყოლა ჩემს სხეულს თვალი.

შეშინებულმა კიბეს ავხედე, უცებ კახი არ გამოჩნდეს-მეთქი, განზე გავდექი და ირიბად გავხედე მამაკაცს.

— შენნაირები აშაყირე, თუ შეიძლება!

— სულაც არ გაშაყირებ, სრული სერიოზულობით გეუბნები. რამდენი ხანი გავიდა, რაც ბოლოს გნახე? სამი კვირა? ოთხი? მაგარი „ზაგარი“ მიგიღია, გიხდება!

— ეგეთები არ გინდა! — ზიზღით ტუჩები მომებრიცა.

— როდის აქეთ გახდი ასეთი უკარება? თუ ეს ქართული ნიღაბია? ჰა, ქეთ! ამერიკული იქ დატოვე, ნიუ-იორკში? ხედავ, როგორია ცხოვრება? აი, ჩვენ კვლავ შევხვდით ერთმანეთს, ისევ ერთად ვართ, — თემურმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადმოდგა და ძალიან ახლოს აღმოჩნდა ჩემთან.

— არ მომეკარო! — მტკიცე ხმით გამოვუცხადე. — დარჩი, სადაც დგახარ და არ გაინძრე! რას ნიშნავს, „ისევ ერთად ვართ“?

— იმას, რომ ერთად ვმუშაობთ, ერთ საქმეს ვაკეთებთ. ნუ გეშინია, სასტუმროში გატარებულ დღე-ღამეს არ ვგულისხმობ, — ღვარძლიანად გაიცინა, — ჰო, მართლა, ძალიან დიდი მადლობა იმისთვის, წუხელ ღამით ჭიშკარი რომ გამიღე.

ამის გაგონებაზე გულში ისეთი ჩხვლეტა ვიგრძენი, თითქოს დანა გამიყარესო.

— ჭიშკარი შენთვის არ გამიღია, სხვათა შორის, — მისი ნათქვამით თავზარდაცემულმა უნებლიეთ წამოვიყვირე: — ეს შენ იყურებოდი ფანჯარაში, არა?

— მინდა გითხრა, რომ ძალიან მყუდრო ატმოსფერო გქონდათ შექმნილი.

— ვინ მოგცა ჩემი თვალთვალის უფლება?! როგორ ბედავ?!

— ოი, ოი! ძალიან გთხოვ, ახლა ნუ გახდები მორალისტი. არ გიხდება, დამიჯერე, — საჩვენებელი თითი დამიქნია თემურმა, — გუშინ დაგინახე თუ არა, მაშინვე დავრეკე შენს რედაქციაში და მამუკას ველაპარაკე. ყველაფერს მომიყვა შენი რედაქტორი, იმასაც კი, როგორ შეაღწიე ანდრონიკაშვილის სახლში. ვაღიარებ, რომ ძალიან მოხერხებული და ჭკვიანი ყოფილხარ. არ დაგიმალავ და, რაც მეტად გეცნობი, მით უფრო მომწონხარ.

— შენ კი საზიზღარი და გაიძვერა ხარ. ეს დიდი ხანია, დავამტკიცე. მამუკაც კარგი სულელი ყოფილა, კარტები თუ გაგიხსნა.

— მას ეს ხელს აძლევდა, ჩემო კარგო. მთხოვა, კარგ ჰონორარს გადაგიხდი, თუ ფოტოების გადაღებას მოახერხებო. ქეთი ვერ შეძლებს ამის მოგვარებას და შენი იმედი მაქვსო. მას პროფესიონალი ფოტოგრაფის დახმარება სჭირდებოდა და მეც ვეხმარები. ასე რომ, ამ წუთიდან მე და შენ პარტნიორები ვართ. გინდა, თუ არა გინდა, სხვა გამოსავალი არ გაქვს.

— შენი პარტნიორი არასდროს ვყოფილვარ და არც ვიქნები! — აღელვებულმა მივახალე.

— არ ყოფილხარ? შენ არ იყავი, ჩემს მკლავებში რომ კვნესოდი იმ მშვენიერ დილას?! დაგავიწყდა? მართალია, მაშინ საქმიანი შეხვედრა არ გვქონია, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს?! საქმეშიც თუ ისეთი გამოცდილი ხარ, როგორიც ლოგინში, მით უკეთესი! ყველაფერი ხუთიანზე გამოგვივა!

კბილი კბილს დავაჭირე, რომ არ გამერტყა. რა სიამოვნებით დავუმუჯავებდი ამ ლამაზ ცხვირ-პირს, ნეტავ იცოდეს! მაგრამ შემეშინდა, ხელი არ შემომიბრუნოს-მეთქი. საერთოდ არ ვიცნობდი მას, ამიტომ, არ იყო გამორიცხული, მწვავე

რეაქცია ჰქონოდა... რაც შემეძლო, თავი შევიკავე.

— სულ რომ უმუშევარი დავრჩე და მხოლოდ ამაზე იყოს დამოკიდებული მთელი ჩემი ცხოვრება და კარიერა, შენთან არაფრის დიდებით არ ვითანამშრომლებ, ამაში დარწმუნებული იყავი!

— ნუ ბრაზობ, ქეთი... არც ეს გიხდება! — უდარდელად წარმოთქვა. — ჩვენ ხომ პროფესიონალები ვართ. უმაგრესი მასალის გაკეთება შეგვიძლია. განა ეს არ არის მთავარი?

ანდრონიკაშვილის დედაც!..

ამის გაგონებაზე თვალთ დამიბნელდა. უკვე მიჭირდა თავის მოთოკვა.

— სულაც არ ვბრაზობ, — რაც შეიძლებოდა მშვიდად შევეპასუხე, — უბრალოდ, შენთან თანამშრომლობა არ მინდა. ეს ჩემი სტატიაა და არ მინდა, ვინმემ ხელი შემიშალოს — არც შენ და არც სხვამ.

თემურს ჩემი სიტყვებისთვის უმცირესი მნიშვნელობაც კი არ მიუნიჭებია.

— წუხელ იცი, ჩემი ფოტოაპარატით რა შესანიშნავი კადრი დავაფიქსირე? სადაც შენ და ეს კაცი ერთმანეთს კოცნით... რას იტყვი?

— რას ვიტყვი და იმას, რომ თუ ახლავე არ მოშორდები აქაურობას, ყვირილს დავიწყებ. კივილის ხმაზე კახი შემოვარდება და მიგახრჩობს. მერე კი სასამართლოშიც გიჩივლებს იმისთვის, რომ მის პირად ცხოვრებაში დაუკითხავად ყოფ ცხვირს. როგორ მოგწონს? — ნიშნის მოგებით შევხედე.

ნერვი არ შესტოკებია ჩემს სიტყვებზე.

— თუკი ამას გააკეთებ, იძულებული გავხდები, ვთქვა, რომ შენ თვითონაც უკანონოდ ხარ აქ შემოჭრილი... ასე რომ, მარტო მე კი არა, ორივეს ერთად მოგვისვრიან აქედან, — არაბიძემ ცალი წარბი ასწია და გამარჯვებულის იერით გამომხედა.

— ამას ვერ გაბედავ, — შეცბუნებულმა ხმას დავუწიე.

— მერედა, როგორ გავბედავ!

— აუტანელი ხარ!

— შენ კი — ძალიან ლამაზი! სულაც არ მიკვირს, ანდრონიკაშვილმა თავის სახლში რომ შემოგიშვა.

— მე მისთვის მხოლოდ მოსამსახურე ვარ და სხვა არავინ.

— თუმცა სულ სხვა თვალით გიყურებს. ამის დამტკიცება შემიძლია. რამდენიმე ისეთი არაჩვეულებრივი კადრი მაქვს ფოტოაპარატში დაფიქსირებული, რომ... თან, მსხვილი პლანით...

— შენ ხომ არ გააფრინე?! — ისევ ავფეთქდი. — ანდრონიკაშვილს ჯული უყვარს.

— მერედა, ვინ ლაპარაკობს სიყვარულზე?! პირადად მე მხოლოდ სექსი ვიგულისხმე. მარგველაშვილი ახლა აქ არ არის... შენ კი ულამაზესი გოგო ხარ...

— მაპატიე, უნდა ავიდე, სასმელი ავიტანო, თორემ კახი რაღაცას აუცილებლად იეჭვებს, — შევეცადე, ცოტა ხნით მაინც მომეშორებინა იგი თავიდან.

— მეც მოგეხმარები, — დამთანხმდა მამაკაცი, დაფაცურდა და მაცივრის კარი გამოაღო.

— ლალის გაცნობა როგორ მოახერხე? — ვკითხე და თემურის მოწოდებული ლუდის და ღვინის ბოთლების ლანგარზე დალაგება დავიწყე.

— ცოტა ვიდეტექტივე და ყველაფერი გამომივიდა, — კმაყოფილმა ჩაიცინა და მზერა ნუკის მიაპყრო, რომელიც ორივეს ისე გვიყურებდა, თითქოს ყველა სიტყვა ესმისო. — ქეთი, გამოუღე ბავშვს მატყუარა პირიდან, კომპოზიციას აფუჭებს. მის გარეშე უფრო ლამაზი კადრი გამოვა, — საქმიანად მომმართა და კისერზე ჩამოკიდებულ ფოტოაპარატს წაავლო ხელი.



— არა, არ გამოვუღებ! — შევყვირე და სასოწარკვეთილი მანეჟს ავეფარე.

როგორ მეზიზღებოდა ეს ბიჭი!.. და ჩემი თავიც...

— კარგი, მერე იყოს. შენ ის მითხარი, სტატიის საქმე როგორ მიდის? რამე საინტერესო თუ ათქმევინე? — ამჯერად დამნებდა არაბიძე.

— თუნდაც ასე იყოს, შენ მაინც არ გეტყვი, — აგდებულად ვუპასუხე.

— ამ წუთიდან შენ ან მუშაობ ჩემთან, ან საერთოდ არ მუშაობ. გასაგებია?

— ეს რა, მუქარაა? — მშვიდად შევეკითხე.

— არა, მუქარა არა, უფრო შეპირებაა, — აი, შენი „ნაბეღლავი“, ესეც დადე და წავედით. კახის შევპირდი, თქვენს ძიძას მივეხმარები-მეთქი. დროზე ავიდეთ, თორემ მართლა შეიძლება, რამე იფიქროს.

— სულ არ მადარდებს, კახი რას იფიქრებს, — მხრები ვითომ უდარდელად ავიჩეჩე.

— რას მეუბნები, მართლა?! — დამცინავად შემომღიმა. — მაშინ, გადასარევი საშუალება გეძლევა, ადგე და ყველაფერი მოუყვე.

ამ დროს კაიუტის თავთან ნაბიჯების ხმა მოისმა. ვერაფერი ვუპასუხე, რადგან კახი უკვე კიბის თავთან იდგა.

— ბატონო თემურ, მეგონა, გზა აგებნათ და ქეთის ვერ მიაგენით, — მშვიდად მიმართა არაბიძეს და დინჯად ჩამოუყვა საფეხურებს.

— თქვენს მომხიბვლელ ძიძასთან საუბრით გავერთე... რის თქმას აპირებდით, ქეთი? — ჯერ კახის გაუღიმა თემურმა, მერე მე მომიბრუნდა.

ეს უკვე დაუფარავ გამოწვევას ნიშნავდა. ამწუთას ან ყველაფერი უნდა მეთქვა ანდრონიკაშვილისთვის, ან არაბიძესთან თანამშრომლობას უნდა დავთანხმებოდი.

— მე... მე... სადილზე ვწუხდი... იმედია, ყველას გვეყოფა. მოულოდნელი სტუმრები არ გაგვითვალისწინებია, — მსწრაფლ მოვიფიქრე სათქმელი, — რა ვქნა, სალათაც ავიტანო?

— რა თქმა უნდა, — თავი დამიქნია კახიმ, — ხომ არ მოგეხმარო?

— არა, არ მინდა, თვითონ მოვახერხებ. ყველიც გვაქვს, კიტრიც და პომიდორიც.

— მაშინ, მე ნუკის წავიყვან, — მამაკაცმა ბავშვი მანეჟიდან ამოიყვანა, — სუფთა ჰაერი არ აწყენდა, — თქვა და ამ სიტყვებით მაღლა ავიდა.

თემური კმაყოფილი მიღიმოდა. გამიღიმე, გამიღიმე! გეგონოს, რომ გაიმარჯვე! ვერ ეღირსები! მაინც არ ვითანამშრომლებ შენისთანა ნაძირალასთან! რის ფასადაც უნდა დამიჯდეს! ცოტაც მაცალე! როგორც კი კახისთან მარტო დავრჩები, ყველაფერს მოვუყვები. იმაზე უარესი რა უნდა მოხდეს, რაც ახლა ხდება?! არ ვიცი, რა იქნება, მაგრამ... ხომ არ მომკლავს, ბოლოს და ბოლოს? იქნებ მაპატიოს კიდეც!

ერთადერთი, რაც დანამდვილებით ვიცოდი, ის იყო, რომ კახი მიყვარდა. ამის უარყოფას უკვე აზრი არ ჰქონდა. ტყუილად ვცდილობდი ჩემი თავის დარწმუნებას იმაში, რომ ეს ურთიერთობა მხოლოდ გატაცება იყო. გამიძნელდებოდა იმის თქმა, როდიდან დაიწყო ეს ყველაფერი, მაგრამ ის კი ვიცოდი, რომ სტატიას ახლა ჩემთვის მეათეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა.

ღმერთო, ოღონდ მშვიდობიანად ჩაიაროს ამ დღემ და მერე მე ვიცი. არაბიძეს არ გავახარებ! არ მივცემ იმის უფლებას, გამომიყენოს და გამარჯვება იზეიმოს. ეშმაკსაც წაუღია სტატიაც და მამუკაც თავის გაზეთიანად! ანდრონიკაშვილს არ გავწირავ ამ გარეწრების გულისთვის. ის ამას არ იმსახურებს. ვიცი, რაც უნდა გავაკეთო, ვიცი! ოღონდ კი ეს დღე სკანდალის გარეშე ჩამთავრდეს!..

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მარი ჯაფარიძე

— ლევან! — ხმამაღლა დაუძახა ანამ, თითქოს მისი გამოფხიზლება უნდოდა, მაგრამ მიხვდა, რომ მამაკაცს პირველი ნაბიჯის გადადგმა უჭირდა. პატარა ანა და მამამისი კი უკვე მანქანისკენ მიდიოდნენ და შესაძლოა, ისე წასულიყვნენ, დღესაც ვერ ენახა ქალს ბავშვი ახლოდან.

მანქანის კარი გააღო, გადავიდა და არც დაფიქრებულა, ისე დაუძახა რამაზს:

— უკაცრავად, თქვენ აქ ცხოვრობთ?

— დიახ, — რამაზი მობრუნდა და ქალი თავიდან ბოლომდე გულდასმით შეათვალიერა.

ანა მიუახლოვდა.

— აქ სადღაც ახლოს ნოტარიუსი უნდა იყოს, ხომ არ იცით, როგორ მივაგნოთ? როგორც მითხრეს, სწორედ თქვენს კორპუსში უნდა ყოფილიყო.

მამაკაცმა გულდასმით აუხსნა, სად მდებარეობდა ნოტარიუსის უახლოესი ოფისი. ანა თითქოს ინტერესით უსმენდა, მაგრამ ბავშვს თვალს არ აშორებდა. ის მამის გვერდით მორჩილად იდგა და ანას ლამაზი თვალებით შეჰყურებდა.

— რამაზ, როგორ ხარ? — ანამ ზურგს უკან ლევანის ხმა გაიგონა და მიხვდა, რომ ბოლოს და ბოლოს, გამბედაობა მოეკრიბა და მანქანიდან გადმოსულიყო.

— ვა, ლევან, „კაკიმი სუდბამი“?! სად დაიკარგე, საერთოდ აღარ ჩანხარ, — მამაკაცებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, თბილად გადაეხვივნენ, ზურგზე ხელი მოუტყაპუნეს და მოიკითხეს.

— ანუშკი, როგორ ხარ, პატარავ? — ლევანმა გოგონას წინ ჩაიმუხლა. — არ გინდა, მაკოცო? — ლევანს ნერვიულობა საერთოდ აღარ ეტყობოდა. ან ძალიან კარგი მსახიობი იყო, ან მართლაც გათავისუფლდა და დაძაბულობა მოეხსნა.

გოგონა მიუახლოვდა და ლევანს ჩაეხუტა.

— პატარავ, როგორ ხარ? ხომ არ დაგავიწყდი? — თვალებში ჩახედა ბავშვს.

— არ დამავიწყდით. თქვენ როგორ ხართ? — დიდი გოგოსავით სერიოზული იყო ანა.

— ნახე, ვინ უნდა გაგაცნო, ეს ჩემი მეგობარია და ამასაც შენსავით ანა ჰქვია, — ანაზე მიუთითა ბავშვს.

ქალი აქამდე გაშეშებული, მკლავებჩამოყრილი იდგა და ლევანისა და ანას შეხვედრას თვალყურს ადევნებდა. ლევანის სიტყვებმა გამოარკვია და ბავშვს მიუახლოვდა. გოგონამ მისკენ გადაინაცვლა.

— გამარჯობა, ანა, — ქალი წელში მოიხარა და ბავშვს თვალებში ჩახედა, თითქოს მის თვალებში ცდილობდა იმის ამოკითხვას, თუ როგორი რეაქცია ექნებოდა, როგორი განწყობილებით შეხვდებოდა, მიიღებდა თუ არა მას, როგორც მამის მეგობრის, ლევანის მეგობარს.

ბავშვმა სახე მიუახლოვა და თვითონაც თვალებში ჩააშტერდა. ანას ლამის მუხლები მოეკვეთა და იქვე ჩაიკეცა, მაგრამ თავს შეუძახა და გმირულად გაუმკლავდა გოგონას ჩუმ იერიშს.

ანამ ქალს ლოყაზე აკოცა. ქალმა კი ანგარიშმიუცემლად, გულში ჩაიკრა, მკლავები შემოხვია. გოგონამ კისერი კისერზე გადააჭდო. ანამ თვალები დახუჭა. ცრემლს ძლივს იკავებდა. „ახლა ტირილი არ შეიძლება, ახლა ტირილი არ შეიძლება, ანა, არ იტირო!“ — თავს იმხნევებდა და თვითონაც გაუკვირდა, რომ ამ გამოცდას გაუძლო.

ეს ჩახუტება სულ რამდენიმე წამს გაგრძელდა, მაგრამ ანას მოეჩვენა, რომ საუკუნე გავიდა. ლევანი მათ წინ აეფარა და რამაზს საუბრით ართობდა, რათა ანასა და გოგონას გულისამაჩუყებელი შეხვედრისთვის ყურადღება არ მიექცია.

— ძალიან ლამაზი ხართ, ანა დეიდა, — უთხრა ბავშვმა, როდესაც ქალს მოშორდა. ის ძალზე გულწრფელი იყო და ინტერესით ათვალიერებდა ქალს.

— შენც ძალიან ლამაზი ხარ, პატარავ, — ანამ კიდევ ერთხელ აკოცა ლოყაზე და ოდნავ ჭორფლიან ცხვირზე თითით შეეხო, — ნამდვილი პატარა პრინცესა ხარ.

— მამაც პრინცესას მეძახის, — გადაიკისკისა გოგონამ.

— იმიტომ, რომ მართლა პრინცესა ხარ.

— ჩემხელა რომ იყავი, შენც პრინცესა იყავი? — უცებ გაუშინაურდა ბავშვი.

— ჰო, მეც პრინცესა ვიყავი.

— ახლა?

— ახლა ანა ვარ.

— არა, პრინცესები რომ იზრდებიან, მერე დედოფლები ხდებიან.

— მე ვერ გავხდი დედოფალი, მაგრამ შენ აუცილებლად გახდები, — ანას გული ყელში მოებჯინა.

— შენც გყავს პატარა პრინცესა?

— ჰო, მყავს, ისიც ნამდვილი პრინცესაა.

— ლამაზია?

— ძალიან.

— ჩემზე ლამაზია?

— შენსავით ლამაზია, — მიუგო ანამ და ყელში გაჩხერილი ნერწყვი ძლივს გადაყლაპა.

„არა, ბავშვობაში მე ასეთი დარწმუნებული არ ვიყავი ჩემს სილამაზეში. ეტყობა, ყველა იმას უჩიჩინებს, რომ ძალიან ლამაზია და ბავშვს ეს სისხლსა და ხორცში აქვს გამჯდარი“, — გაიფიქრა ქალმა.

— ჰო, მართლა, რამაზ, გაიცანი, ეს — ანაა, ჩემი... — ვერ გადაწყვიტა, რა „სტატუსი“ მიენიჭებინა ანასთვის. — ჩემი ახლობელი, მეგობარი და ძალიან კარგი ადამიანი, — მაინც რაღაც საშუალო არჩია მამაკაცმა.

— გამარჯობა, ანა, — მამაკაცმა ხელი გაუწოდა. ანამ მარჯვენა შეაგება. — კარგი, ლევან, ჩვენ წავალთ, ანა ძიძასთან უნდა დავტოვო, მე კი სამსახურში მაგვიანდება. სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა, ქალბატონო ანნა, — რატომღაც ორი „ნ“ თქვა რამაზმა. — ლევან, არ დაიკარგო, აუცილებლად გვესტუმრე. ანა, თქვენც გეპატიჟებით, გამიხარდება, თუ ლევანთან ერთად მოხვალთ.

გოგონამ ანასა და ლევანს ხელი დაუქნია გამომშვიდობების ნიშნად და მანქანაში ჩაჯდა.

ანა ნელი ნაბიჯით გაემართა მანქანისკენ. ლევანიც უკან მიჰყვა.

ირაკლის ხმა არ ამოუღია, არაფერი უთქვამს და არც უკითხავს მათთვის. ის შორიდან უყურებდა მომხდარს და ცრემლსა და ყელში მომდგარ ბურთს ერთად ყლაპავდა.

— ახლა საით? — მხოლოდ ეს იკითხა.

— ახლა ლევანი თავის მანქანასთან მიიყვანე, მე — ჩემს მანქანასთან.

ლევანი ისე გადავიდა, სიტყვა არ უთქვამს, მხოლოდ დაემშვიდობა იქ მყოფებს. ირაკლის არც იმის შემდეგ ამოუღია ხმა, როცა ის და ანა მარტონი დარჩნენ. დუმდა და ანა ამის გამო მისი მადლიერი იყო. ახლა მას მარტო დარჩენა სურდა და იმის გარკვევა, სიცილი უნდოდა თუ ტირილი...

— საით აპირებ წასვლას? — ჰკითხა მამაკაცმა, როდესაც ანა მანქანიდან გადადიოდა.

— რუსთავში. ეთერი არ დამვიწყებია. ანას ბებია უნდა მოვინახულო და

თუ თავს კარგად გრძნობს, დაველაპარაკო კიდეც.

— გინდა...

— არა, არ მინდა, — ანა მიხვდა, ირაკლი გაყოლას შესთავაზებდა და სიტყვა გააწყვეტინა.

— კარგი, როგორც იტყვი. დამირეკე. — ეს იმას ნიშნავდა, რომ ირაკლი აღარ შეაწუხებდა მანამ, სანამ ანას თვითონ არ გაუჩნდებოდა მასთან დაკონტაქტების სურვილი.

ძრავა აამუშავა თუ არა, ანამ შვება იგრძნო.

„არა, ყველაფერს მაინც მარტოობა მირჩევნია. მგელივით, მარტო მიყვარს პრობლემასთან შეჭიდება. ცხოვრების ყველა ეტაპზე მყავდა საიმედო საყრდენი, მაგრამ მაინც მარტო ვიბრძოდი. არ ვიცი, რატომ, ალბათ იმიტომ, რომ პასუხისმგებლობა მხოლოდ საკუთარ თავზე ამეღო, ან იმიტომ, რომ მეგონა, ჩემზე უკეთ სხვა ვერ გაართმევდა თავს, ან იქნებ იმიტომ, რომ ჭკუის დარიგებასა და ზედმეტ კითხვებს ვერიდებოდი... ფაქტია, რომ ჩემს პრობლემასთან მარტო ყოფნა მირჩევნია. ფიქრი, აზროვნება, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება. ახლა ხომ შეიძლებოდა, ირაკლი წამომეყვანა, მაგრამ — არა! მე, მარტომ უნდა გავაკეთო ყველაფერი. ასეთი ხასიათი ბავშვობიდან მაქვს და ალბათ მუდამ ასე ვიქნები“, — ფიქრობდა ანა და რუსთავისკენ მიქროდა.

ტრასაზე გასულმა ფანჯრები ბოლომდე ასწია, კონდიციონერი და რადიო ჩართო. რადიოდან იტალიური სიმღერის ჰანგები დაიღვარა. მოეწონა... გუნება უცებ გამოუკეთდა...

„ალ ბანოა“, — გაიფიქრა და გაეღიმა. ბავშვობა გაახსენდა, მაშინ ამ მომღერლის ფანი იყო. ალ ბანოსა და რომინა პაუერის დუეტის ყველა სიმღერა ზეპირად იცოდა. ბავშვობამ ისევ ანა გაახსენა. ახლა მიხვდა, რომ ამ ბოლო დროს, როდესაც თავისი ბავშვობა ახსენდებოდა, გონებაში თავის ადგილზე ანას წარმოიდგენდა ხოლმე. ანა დარბოდა მის მაგივრად, ანა იტყავებდა მუხლს, ანა ტიროდა და იცინოდა...

„არა, მე ყაჩაღანა ვიყავი, ეს უფრო ნაზია, მართლაც ნამდვილი პრინცესაა“.

ამ წუთში ისევ სინანულმა დაჯაბნა სიხარულის გრძნობა. ანამ რადიოს ბოლომდე აუწია და აქსელერატორის პედალს ფეხი ბოლომდე მიაჭირა.

— „ლიბერტაა“, — მღეროდა ალ ბანო.

— „ლიიიბერტაა“... — მთელი ხმით აჰყვა ანა.

— „ქუანტი ჰაი ფატტო პიანჯერე“, — აგრძელებდა იტალიური ესტრადის ვარსკვლავი.

— „ქუანტი ჰაი ფატტო პიანჯერეეეე“...

— „ლიბერტაა“...

— „ლიბერტაااა“... — გულით და სულით მღეროდა ანა და თან თვალებიდან ცრემლი სდიოდა.

— „ქუანდო უნ ცორო სალზერაა“, — თითქოს ვინმე აიძულებდა, რომ ემღერა, — „ცანტერაა... პერ ავერე ტეეეე“... — ხმა უცახცახებდა, ცრემლი ღვარად სდიოდა, მაგრამ მაინც მთელი ხმით მღეროდა, რადგან სულს ემღერებოდა, სული ხარობდა, თუმცა ცრემლი სიხარულის არ იყო; მომავლის შიშის, სინანულის, გულისტკივილის და დაშვებული შეცდომების მონანიების სურვილი შერწყმოდა ერთმანეთს.

ანამ რადიო გამორთო, მანქანა გზის კიდეზე გადაიყვანა, გაჩერდა და ადგილიდან მანამდე არ დაიძრა, სანამ ტირილით გული არ იჯერა.

„შორიდან მაყურებელს ეგონება, რომ სადარდებელი არაფერი მაქვს, ბევრი ალბათ შურითაც კი სკდება, შემომნატრის და ჩემს ადგილზე ყოფნას ნატრობს... ვინ რა იცის, რა ხდება შიგნით, სულში... რის ფასად მიჯდება თითოეული გათენებული დღე“, — ფიქრობდა ანა.

— მე ყველაფერს შევძლებ! მე ყველაფერს მოვერევი! მე ძლიერი ვარ! — თქვა ხმამაღლა, ცრემლები პატარა ბავშვივით, ორივე ხელის ზურგით მოიწმინდა და მანქანა ადგილიდან დაძრა.

საავადმყოფოში მისულმა ჯერ ეზო დაზვერა, რომ შემთხვევით რამაზს არ შეჩეხებოდა და შენობაში შემდეგ შევიდა.

ეთერის პალატიდან რამდენიმე ადამიანის ხმა ისმოდა. ცოტა ხანს შეყოვნდა, სანამ მნახველები წავიდოდნენ და შემდეგ შეაღო კარი.

ეთერი ფანჯარასთან მიდგმულ სავარძელში იჯდა და გარეთ, სივრცეს გაჰყურებდა. კარის ხმაზე მოიხედა და ანას გაუღიმა. თითქოს ელოდა და მისი დანახვა არც გაჰკვირვებია.

ანას სალამზე სალმით უპასუხა, წამოდგა და მოშორებით მდგარი მეორე სავარძელი მოაჩოჩა.

ისინი ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ.

— მიხარია, რომ კარგად ხართ, — საუბარი ანამ წამოიწყო.

— ღვთის მადლით, გადავრჩი. ექიმმა მითხრა, ცოტა რომ დაგგვიანებოდათ, ვერ გიშველიდითო. თქვენი მადლიერი ვარ.

— როგორ გეკადრებათ?! მე რომ არ მოვსულიყავი თქვენთან, ასე ცუდად არც გახდებოდით: ექიმმა მითხრა, ნერვიულობის ნიადაგზე დაემართაო.

— ვგრძნობდი, რომ ადრე თუ გვიან, მოხვიდოდი და სულ მეშინოდა ამის. შინაგანად თითქოს მზად ვიყავი, მაგრამ მაინც იმოქმედა... არც იმ კაცის დანახვა გამკვირვებია, რომელიც თქვენამდე მოვიდა ჩემთან.

— ის გამომძიებელია, კერძო დეტექტივი, რომელიც იმისთვის დავიქირავე, რომ ბავშვი მომეძებნა.

— მივხვდი, — ეთერმა თვალი აარიდა ანას.

— მე ბავშვის წართმევას არ ვაპირებ. მინდა, რომ ეს დაიჯეროთ, — გულწრფელი იყო ანა.

— აბა, რა გინდათ?

— ჩემი გოგონა ჩემმა ბიძაშვილმა გააშვილა ისე, რომ მე არ ვიცოდი. წლების განმავლობაში ეკლესიაში სანთელს ვანთებდი და ჩემი პატარა ანგელოზის სულისთვის ვლოცულობდი... თურმე გოგონა საღ-სალამათი და ჯანმრთელი ყოფილა... თქვენ რომ ასეთი რამ დაგმართოდათ, ჩემს ადგილზე როგორ მოიქცეოდით?.. დარწმუნებული ვარ, მოძებნიდით. მინდა, რომ მომიყვეთ, როგორ მოხვდა ანა თქვენთან, როგორ იზრდებოდა... მომიყევით მისი პატარაობის შესახებ, მისი სურათები მაჩვენეთ...

— გოგონა ჩვენთან თქვენი ბიძაშვილის, მურთაზის წყალობით მოხვდა. მურთაზს და ჩემს ცხონებულ მეუღლეს საერთო მეგობრის შვილი ჰყავდათ მონათლული. სწორედ ნათლიისგან გაიგო, რომ ჩემს შვილსა და რძალს ბავშვის აყვანა უნდოდათ და როცა შევიტყვეთ, რომ ამის რეალური შანსი გაჩნდა, ძალიან გაგვიხარდა. ექიმმა 3 ათასი დოლარი მოითხოვა სიჩუმის სანაცვლოდ და ბავშვი წამოვიყვანეთ. ჩემი შვილიც და რძალიც თავს ეკლებოდნენ, საკუთარი შვილივით შეიყვარეს და მეც ასევე; არა მგონია, საკუთარი შვილიშვილი უფრო მეტად მყვარებოდა. მზე და მთვარე ანაზე ამოგვდის... ჩემი შვილი რამდენიმე წლის წინ დაქვრივდა და გოგონა გვერდიდან არ მოუშორებია. ის ზრდის ახლაც. მურთაზის გარდაცვალების ამბავი რომ გავიგე... ღმერთო, მაპატიე, მაგრამ შვებით ამოვისუნთქე. მეგონა, საიდუმლო თან წაიღო...

— მისი სიკვდილის წინ გავიგე ეს ამბავი, — ჩაილაპარაკა ანამ.

— ახლა რას გვიპირებ, შვილო? — ქალს თვალებში შიში ჩაუდგა.

ანა ადგა, ქალს მიუახლოვდა და მის წინ ჩაიმუხლა. მისი ხელები ხელებში მოიქცია და თვალებში შეხედა.

ლევანი მათ წინ აეფარა და რამაზს საუბრით ართობდა, რათა ანასა და გოგონას გულისამაჩუყებელი შეხვედრისთვის ყურადღება არ მიექცია

— ისეთს არაფერს, რაც თქვენ გულს გატკენთ. არაფერში გადანაშაულებთ. პირიქით, მადლობელი ვარ, რომ ჩემი შვილი ასეთი სიყვარულით გაზარდეთ, და მზრუნველობას არ აკლებდით და თუ მაინც ასე უნდა მომხდარიყო, ღმერთის მადლიერი ვარ, რომ ასეთ კარგ ოჯახში მოხვდა და არც აღზრდა დაჰკლებია და არც სიყვარული და ყურადღება. მაგრამ, ქალბატონო ეთერ, მეც უნდა გამიგოთ... რაც ის ამბავი გავიგე, რომ ჩემი შვილი ცოცხალია, მოსვენება დავკარგე... თქვენს შვილიშვილს სახელიც კი ჩემი ჰქვია...

— მამამისმა დაარქვა... სადაა მისი ნამდვილი მამა?

— იმანაც იცის ანას არსებობის შესახებ და ისიც ჩემსავით განიცდის. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ან მე, ან ის ახლავე მივცვივდებით ბავშვს და გულს გავუხეთქავთ ახალი ამბით. თქვენ უნდა დამეხმაროთ მასთან კავშირის დამყარებაში... ანას დედა არ ჰყავს და არ მინდა, რომ დედის სითბოს გარეშე გაიზარდოს...

— იქნებ ჩემს შვილს ცოლად გაჰყვე? დარწმუნებული ვარ, მოეწონები, — გაუღიმა ეთერმა, ერთი ხელი გაითავისუფლა და ანას თავზე გადაუსვა.

— ეს გამორიცხულია...

— იქნებ არაა გამორიცხული? იქნებ შეგიყვარდეთ ერთმანეთი? ასე უფრო უკეთესი იქნება...

— ქალბატონო ეთერ, — ანა წამოდგა და სავარძელს დაუბრუნდა, — ერთი თხოვნა მაქვს: ჯერჯერობით თქვენს შვილს ნუ ეტყვით ჩემი გამოჩენის შესახებ. თუ უკვე არ გითქვამთ, რა თქმა უნდა...

— მე მხოლოდ ის ვუთხარი, რომ ვიღაც კაცი და ქალი მოვიდნენ და ანათი დაინტერესდნენ.

— ჰოდა, მეტს ნურაფერს ეტყვით, სანამ დრო არ მოვა. შემისრულებთ ამ თხოვნას?

— კი, შეგისრულებთ...

— ანას სურათებს როდის მაჩვენებთ? მის შესახებ დაწვრილებით როდის მომიყვებით?

— საავადმყოფოდან რომ გამოვალ, მაშინ. ხვალ გამწერენ... ჩემი ტელეფონის ნომერი ჩაიწერე, დამირეკე და მესტუმრე, შვილო...

— კარგი. ახლა კი წავალ, არ გადაგღლით, — ანამ ეთერს ლოყაზე აკოცა და კარისკენ გაემართა.

— მე ვიცოდი, რომ ანას დედა ძალიან კარგი გოგო იქნებოდა და ასეც აღმოჩნდა... — ეთერის ნათქვამი კართან წამოეწია.

— გმადლობ, — გაუღიმა ანამ და ხელი დაუქნია.

თბილისისკენ მიმავალმა იმ დღის მოვლენებს კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი...

უეცრად, დილანდელი სცენა წარმოიდგინა და ირაკლის სიტყვები გაახსენდა, დედამისს რომ უთხრა — „თქვენი მომავალი სიძე ვარ“...

„სიძე? სიძე... მაგრამ მასზე გათხოვებას ვერ გავბედავ, სანამ... სანამ იმ არაბულად დაწერილი ფურცლების საიდუმლოს არ ამოვხსნი და მესამე გვერდს არ ვიპოვი“, — გაიფიქრა და სახე მოეღუშა.

გულში მტკიცედ გადაწყვიტა, რომ მოეძებნა ძველი არაბული ენის მცოდნე ადამიანი და გაეგო, იმ ფურცლებზე რა ეწერა.

ამასობაში თბილისში შემოვიდა და ვინაიდან იმ დღეს მომხდარმა მოვლენებმა საკმაოდ დაღალა, გადაწყვიტა, პირდაპირ შინ წასულიყო. დედა გაახსენდა და საკუთარი შვილის ადგილზე წარმოიდგინა თავი... თვითონ რომ აღმოჩენილიყო ასეთ მდგომარეობაში, რას იზამდა? ვერ წარმოიდგინა, როგორ შეიძლებოდა, სხვა დედა ჰყოლოდა. გული მოეწურა, დედა შეეცოდა, რაღაცნაირად. გადაწყვიტა, მისთვის ესიამოვნებინა და მეტროსთან გაჩერდა, ყვავილები რომ ეყიდა. ყვავილების ჯიხურში შევიდა და თაიგულის არჩევა დაიწყო. ამ დროს წვიმა წამოვიდა და ჯიხურის სახურავზე წვეთები აკაკუნდა. ანამ შემინული კედლიდან გახედა ქუჩას და სწორედ ამ დროს მეტროს ჩასასვლელთან, კიბეზე, 10-12 წლის გოგონა შენიშნა, რომელიც მობუზული იდგა, ხელში დამჭკნარი ყვავილების რამდენიმე თაიგული ეჭირა და გამვლელებს სთავაზობდა.

ანა ჯიხურიდან გამოვიდა და გოგონასკენ გაემართა.

— ყიდი? — ჰკითხა და მეგობრულად გაუღიმა, გოგონა რომ არ დაეფრთხო.

— კი, ვყიდი.

— მომეცი, სულ მომეცი, — ანამ 50-ლარიანი გაუწოდა და გოგონას დაკვირვებით შეავლო თვალი.

ჭუჭყიან კაბას ქარი უფრიალებდა, დაუბანელი თმა ჭუჭყიანი ლენტით ჰქონდა შეკრული. ხელისა და ფეხის თითები, სახესთან შედარებით, ისეთი შავი ჰქონდა, თითქოს მაზუთი ესვა...

გოგონამ ყვავილები გაუწოდა.

— ხურდა არა მაქვს, — უმწეოდ თქვა.

— არა უშავს, ხურდა არ მინდა...

— სულ 5 ლარი ღირს. 45 ლარი უნდა მოგცეთ, — გოგონამ ქაღალდის კუპიურა უკან გაუწოდა.

— ახლა შინ ნახვალ? — ჰკითხა ანამ.

— დიახ.

— წამოდი, მე წაგიყვან, თორემ დასველდები, — ანამ როგორც კი ეს უთხრა, გოგონამ შორიახლოს მდგარი მისი მანქანისკენ გაიხედა. როგორც ჩანს, ანა ადრევე შენიშნა. — წამოხვალ?

გოგონამ თავი დაუქნია. ანა მანქანისკენ გაიქცა და ისიც უკან მიჰყვა.

— რა გქვია? — ჰკითხა ანამ, როდესაც ადგილიდან დაიძრნენ.

— ბელა.

— რამდენი წლის ხარ?

— 12-ის.

— სად ცხოვრობ?

— სასაფლაოზე.

ამის გამგონე ანა გველნაკბენივით შეხტა.

— ეს ყვავილები სასაფლაოდან გაქვს წამოღებული?

— არა, — თქვა გოგონამ, მაგრამ ისეთი სახე ჰქონდა, რომ ანა მიხვდა, ატყუებდა.

— ჩემთან სტუმრად წამოხვალ?

— ვერ წამოვალ, — ძლივს ამოთქვა ეს ორი სიტყვა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ საქმე მაქვს.

— სად გაქვს საქმე, სად მიგიყვანო?

— სასაფლაოზე.

კარგა ხანს იარეს... შემდეგ გოგონა ანას დაემშვიდობა, მადლობა გადაუხადა და ფეხით გაუყვა გზას საფლავებს შორის.

ანამ წასვლა გადაიფიქრა, მანქანიდან გადმოვიდა და გოგონას კვალს მიჰყვა. კარგა ხანს იარა საფლავებს შორის, მაგრამ ბელას კვალს ვერ მიაგნო. შემდეგ სასაფლაოს დარაჯს მიაკითხა და ბელას ადგილსამყოფელი იკითხა. დარაჯმა სასაფლაოს ბოლოში მდგარი, გაუქმებული ელექტროსადგურის შენობაზე მიუთითა.

ანამ ყავისფრად შეღებილი რკინის კარი გამოაღო. ოთახი საცხოვრებლად მოეწყოთ. კედლებზე გაურანდავი ფიცრებისგან შეჭედილი თაროები ეკიდა, კუთხეში მიდგმულ საწოლზე, უთეთრეულო ქვეშაგებზე ვიღაც იწვა. ბელა კი იქვე დადგმულ ღუმელს სულს უბერავდა და ეტყობოდა, დანთებას ცდილობდა. ხმაურზე უკან მიიხედა და ანას დანახვაზე თავი უხერხულად იგრძნო.

— ბელა... მაპატიე... აი, ეს მოგიტანე, — დამჭკნარი ყვავილები გაუწოდა. — ისევ იქ დააწყვე, საიდანაც აიღე, — რამდენიმე ნაბიჯი წინ წადგა და ისიც გაარჩია, რომ საწოლზე ქალი იწვა.

— ეს ბებიაა, — დამნაშავესავით ჩაიბურტყუნა გოგონამ.

— ავადაა?

— დიახ. ფილტვების ანთება ჰქონდა, მაგრამ ვერ ვუმკურნალე და გაურთულდა, — დიდი ქალივით ლაპარაკობდა ბელა, — ბებია ვეღარ მუშაობს და მე იძულებული ვარ, ყვავილები გავყიდო და პურის ფული ასე ვიშოვო.

— მოდი, ბებია საავადმყოფოში წავიყვანოთ და ვუმკურნალოთ, — დაფაცურდა ანა და „სასწრაფო დახმარების“ ბრიგადა გამოიძახა.

ერთი საათის შემდეგ მოხუცი პალატაში იწვა, ანა კი ექიმს ელაპარაკებოდა. არაფერი დაიშუროთ, მისი მკურნალობის ფულს მე გადავიხდიო, — დასძინა.

მოხუცი იქ დატოვეს, ბელა კი თან წამოიყვანა და შინ მისულმა გაოცებულ დედას წარუდგინა:

— დედა, ეს ბელაა. დღეიდან ჩვენთან იცხოვრებს...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ფეიკბილეები

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა, ჩემო კარგებო. ჰაერში გაზაფხულის სუნი დატრიალდა და ალბათ განწყობილებაც გამოგიკეთდათ, არა? დარწმუნებული ვარ, ერთმანეთს რომ ჭამდით (მე კი დესერტად მაყოლებდით), სულ ამ საზიზღარი ზამთრის ბრალი იყო. ჰოდა, „გადაივლის ეს ზამთარი, მიყურდება მთებში ქარი“ და იმედია, თქვენც შეიცვლებით. ჩემი სიტყვები ყველას არ ეკუთვნის, მაგრამ ვფიქრობ, უმეტესობამ ნამდვილად ყურად უნდა იღოს ჩემი ნათქვამი და ცოტა შეარბილოს მესიჯების შინაარსი. საქმე ის გახლავთ, რომ ზოგიერთი მსაყვედურობს, რა არის, ჩემს მესიჯს რომ ცვლი, სალანძღავ სიტყვებს რომ არ მიბეჭდავ, სხვებს რატომ უბეჭდავო? სალანძღავ და ზღვარს გადასული შინაარსის მესიჯებს ყოველთვის ვცვლი და თქვენ რომ იმ მესიჯების საწყისი ვარიანტები წაიკითხოთ. შესაძლოა, გული გაგისკდეთ. კიდევ ერთი რამ... ბევრი მსაყვედურობს, რომ მის მესიჯზე სხვისი მესიჯია მიკრული და „მიწებებული“, მაგრამ ეს ჩემი ბრალი ნამდვილად არაა. როცა ერთდროულად ბევრი მესიჯი მოდის, სამწუხაროდ, ტელეფონი თვითონ ურევს მესიჯებს (ამაში ელენე დამეთანხმება, რადგან „გზავნილებს“ რომ ვაკეთებდი, თავზე მედგა და თავისი თვალით ნახა, როგორ ვარჩევდი ერთმანეთისგან 3 სხვადასხვა ადამიანის მესიჯს). ერთადერთი გამოსავალი, ასე რომ არ მოხდეს, ისაა, რომ ვრცელი მესიჯები არ უნდა გამოგზავნოთ. თითო-თითო, 160-სიმბოლოიანი მესიჯი არასოდეს ირევა სხვის მესიჯში. ახლა ერთ მაგალითს მოგიყვანთ. უბრალოდ, დავბეჭდავ ერთმანეთში არეულ 2 მესიჯს: „ახლა მერაბა გამახსენდა. თქვენ არ იცნობთ მაგას, პრინციპში, არც მე ვიცნობ. :) ერთ დღეს საქმეგამოლეული, „კომპს“ მივუჯექი და „ოდნო“ გავხსენი თუ არა, ეგრევე/ ჩვენგან განსხვავებით, გამხმარი იდეების მქონე პიროვნებითად უშანგიმ შემოგვთავაზა: წამო, მეორე ნაპირზე გავიდეთო. დაბნეული ბატებივით ყველამ ერთდროულად, წამო, წამოო,/ დედაჩემს გავძახე, ყავა მომიტანე რეკლამის პონტში, ეგებ მაგის არომატით გადმოვათრიო „კომპიდან“ და ვურტყა დაკლებამდე-მეთქი, მაგრამ დედაჩემი/ თითქოს მარათონულ რბოლაში მონაწილეობდა... მეორე დღეს, როდესაც ყველას, რა თქმა უნდა, ერთი სასაუბრო თემა გვქონდა, მივადექით ერთ უღრან ტყეს (ყველა ზღაპრის ზღაპრული ატრიბუტი). ტყეს არა, მაგრამ 300-მეტრიანი რადიუსის მოცულობის ორმოს და შიგ ჩასხმულ წყალთან კი/ ყველანი გავისუსეთ, თითქოს სუნთქვაც შევწყვიტეთ და გამეტებული მზერით დავუწყეთ ცქერა ყინულის იმ მონაკვეთს, სადაც უშანგის მარჯვენა ფეხის ქუსლი უნდა შეხებოდა“. ეს გახლავთ 2 ადამიანის მიერ გამოგზავნილი მესიჯი, რომელიც ერთმანეთისგან ვერაფრით გამოვარჩიე (ავტორები იცნობენ ალბათ). ჩემი აზრით, სადაც მე გამყოფი ხაზები ჩავწერე, იქ უნდა წყდებოდეს ერთი და იწყებოდეს მეორე, მაგრამ ნახეთ, რა ოსტატურად აბამს ტელეფონი... ისე, ხანდახან ამ ხერხს ხომ არ მივმართოთ და ასე საინტერესოდ გადმოგცეთ თქვენი ამბები?

ახლა კი მივხედოთ საქმეს და მესიჯებს (რომელიც დავალაგე და გავარჩიე) გავეცნოთ.

გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო

ვინ როგორ ცხოვრობს

„წინა „სიტუაციის“ წაკითხვის მერე, თავისთავად დამებადა კითხვა: ნორმალური ქალი ვარ? ახლავე შევამოწმებ.

06:30 მობილური ჯო დასენის „კლასიკით“ მაღვიძებს. კოცნაზე ბოდიში (არ გინდოდა გათხოვება? ჰოდა, ჩუ!).

07:30 აბაზანა, სამზარეულო, აკვარიუმში თევზის მონახულება, ბოლო გაჩერება გარდერობის წინ და მარადიული კითხვა — რა ჩავიცვა?

08:00 გაჩერება, სიცივისგან გაწითლებული ცხვირი, ყვითელი ავტობუსი და საყვარელი კონტროლიორები.

10:00 „ნორმალური“ ქალი რომ იღვიძებს, მე მეორე ლექცია მეწყება (უკვე შემერყა რწმენა, რომ „ნორმალური“ ვარ). ნუშის გელი, სასწორი, სალონი და დაკუნთული მამაკაცის მიერ გაკეთებული მასაჟი (აფსუს!) ავტომატურად გამოირიცხა. საფულე კი ბუტიკის გარეშეც განახევრებული მაქვს.

16:00 ისევ გაჩერება და უკან, შინისაკენ! თაიგულის ნაცვლად, კარში გარჭობილი ქვითრებით „სიამოვნების“ მიღება.

22:00 მეცადინეობა და შიგადაშიგ, მესიჯობა.

21:00 ბრილიანტისთვლიანი ბეჭედიც „გავმაზე“.

23:00. „ჰაუსის“ ყურება ან „პროფილზე“ ბღავილი.

24:00 ჩემი და მახარებს, რომ ჰოროსკოპის მიხედვით, სასიამოვნო მოგზაურობა მელის, საყვარელ ადამიანთან ერთად, რომ შეფი (არ მყავს, მაგრამ მაინც) დამაწინაურებს და მატერიალურ მდგომარეობას გავიუმჯობესებ. იფ!

01:00 რა დროს აბრეშუმის თეთრეულია, ამ ყინვაში? ეგვიპტური ნელსაცხებლების აბაზანა... დაიძინე, რა.

02:00 საყვარელ პლუშის სპილოსთან ჩახუტება, რომელიც ბევრ კაცს ჯობია და ვიცი, რომ არც დათვრება, არც „თათბირზე“ წავა, არც მოწევს, არც სხვისი სურნელი ექნება, ჩემი სუნამოს გარდა და რაც მთავარია, არ იხვრინებს (ერთი ეგაა, ვნებიანი ჩურჩული არ შეუძლია, მაგრამ მზერით მეტყველებს, მზერით!) და ძილი. მართალია, „არანორმალური“ აღმოჩნდი, მაგრამ გაუმარჯოს „არანორმალურად“ თავისუფალ ცხოვრებაასს! პარიჟანკა“.

მობერძნულ-მოფრანგულე

„მოგესალმებით, ჩემო მონატრებულებო. როგორც გიჭირდეს, ისე გიღხინდესო, მართლაც ბრწყინვალე ნათქვამია და მეც ამ გაჭირვებამ გადმომხიზნა საბერძნეთში. მოკლედ, ჯერ იყო და, ძლივს დავადგი თავი ამათ ენაზე ამეტყველებას, რომ მოსავლელი მოხუცი ბებიისთვის რაიმე გამეგებინებინა და ის იყო, შვებით ამოვისუნთქე, ენის ბარიერი გადავლახე-მეთქი და ეს ჩემი ცოდვით სავსე, საწოლიდან გადმოვარდა, დასცხო თავი მარმარილოს ძვირფას იატაკს და სამი დღე ეძინა. მეოთხე დილიდან კი ფრანგულად ალაპარაკდა და მე ახლა ქართულ-ფრანგული ლექსიკონით დავრბივარ, რომ ამის ამნეზიან ტვინში მომწიფებული აზრების გადათარგმნა შევძლო. პარლე ვუ, ფრანსე, მადმუაზელ?“.

ბებერი ავხორცი

„საბერძნეთიდან ქალბატონი გწერდათ, თუ როგორ ვცხოვრობთ უცხო ქვეყანაში. მინდა, მეც მოგწეროთ ჩემი წამების შესახებ. 30 სამსახური გამოვიცვალე, 4 წელიწადში. რატომ? გეტყვით: არ მაჭმევდნენ ზოგიერთ სამსახურში და ჩემს უბანში ქუთაისელი ქალები მაწვდიდნენ საჭმელს. რესტორანში ვიმუშავე 2 თვე, ქართველ გოგოსთან ერთად და ძველ საჭმელს გვაჭმევდნენ. ღმერთმა მაპატიოს და ღამე პურს ვიპარავდით და ჩუმად ვჭამდით. ცოტას გვაჭმევდნენ და არ გვყოფნიდა. ზოგიერთები ადამიანად არ მთვლიდნენ. დამცირებას ვგრძნობდი და ვტოვებდი სამუშაოს. ახლა 100 წლის პაპას და 90 წლის ბებიას ვუვლი. თვენახევარი ისე კარგად მექცეოდნენ, ვთქვი, ღმერთმა გადმომხედა და მეშველა-მეთქი, მაგრამ მოვტყუვდი. პაპას ვბანდი და იცით, რა მაკადრა ამ აქოთებულმა, 100 წლის ბებრუხანამ? როცა მბან, ქალი მინდებაო. გავლანძღე, ეგ როგორ მაკადრე, მამასავით გბან და შვილივით უნდა მიყურებდე-მეთქი. და ასე მითხრა, ბერძენი მოსამსახურე მაფერებინებდა და ფულს ვჩუქნიდიო. მილიონი რომ მომცე, როგორც კაცს, როგორ შემოგხედავ-მეთქი? ღამის 4 საათზე ადგა და ჯოხით დამადგა — თუ ჩემთან არ დაწვები, ახლავე წადი, თორემ ჯოხს ჩაგარტყამ თავშიო. იმ წუთში დავურეკე მის შვილებს. ღამე მოვიდნენ და გალანძღეს, რა აღარ უწოდეს ამ აყროლებულ პაპას. ნეტავ გენახათ, რა ჭუჭყიანი და აქოთებულები იყვნენ და გავასუფთავე. სახლი სარკეს დავამსგავსე. მუნიანებივით იქექებოდნენ. ფეხები ისეთი ჭუჭყიანი ჰქონდათ, „პემზის“ ქვა ვიყიდე და ვუხეხავ და კიდევ ვერ დავუსუფთავე. 3 თვეა, არ მძინებია. ბებიას შაქარი აქვს და ყოველ 15 წუთში ოთახში ისაქმებს. იქ უნდა ვყავდე და ვყნოსო განავლის სუნი, თორემ შავ დღეს დამაყრის. 3 თვეა, არ მიჭამია ადამიანურად. როცა ვჭამ, ბებია ჯოხით აბრახუნებს, მალე ჭამეო და სიჩქარისგან ენაზე ვიკბინე. არავინ შემედაოს, ამხელა წლოვანების არიან, ჭკუა არ აქვთ და რას სთხოვ მოხუცებულ ხალხსო. პაპა კროსვორდებს ავსებს, 100 წლის კაცია და ჩემზე მეტი ჭკუა აქვს. გვაწამებენ, რადგან თანხას გვიხდიან. კარგი რა, ხალხო, განა ქართველები ასე მოვექცევით ვინმეს? ისეთი დაღლილი ვარ, თავი მისკდება, ბეჭები მეწვის, მაგრამ სად გავიქცე და თავი რას ვახალო, არ ვიცი. შვილები ამ ყველაფერს რომ არ დაგვიფასებენ, აი, მაშინ ვიქნებით ცოდვები. მინდა, ღამე დამეძინოს და აღარ გამეღვიძოს. სახლი არ მაქვს თბილისში და იმიტომ ჩამოვედი. ბევრი მაქვს მოსაყოლი, მაგრამ ნერვები არ მყოფნის“.

ეშმაკობა

„სონი ცემას მიპირებს... სასაცილოდ გადავწყვიტე მგზავნელი სონის ერთ ადამიანთან შერიგება. ახალი ნომერი ავიღე და მესიჯი მივწერე, გიგა ვარმეთქი. მისგანაც მოვიდა პასუხი: „რამ შეგაწუხა?“ მეც გავუბი — მომენატრე-მეთქი. სოფიმ იფიქრა, ეტყობა, ნომერი გამოცვალაო და გიგას ნომერზე ზარი გაუშვა. გიგამ არ უპასუხა. ამან ჩემს წისქვილზე დაასხა წყალი და მწერს: „რა გვარი ხარ?“ გადავატრიალე მთელი „ადნაკლასნიკი“ და ძლივს ვიპოვე გიგას გვარი, მაგრამ ამ ძებნაში გიგა უკვე სოფის ეჭუკჭუკებოდა. სოფის სათქმელი რა ჰქონდა? ზარი ჰქონდა გაშვებული და... ისევ დატრიალდა „ათინათი“ და გიგა სოფის აღარ ეშვება. და მადლობა ვის? ნესუკას! თუმცა, სონი ცემას მიპირებს, სადაც მნახავს, მაგრამ მისი ნაცემი ჯერ არავინ მინახავს. ნესინესუკა“.

„ვიღაც“ კაცი

„ცხოვრებაში ყველაზე საშინელი მომენტი მქონდა, როდესაც დედაჩემის მაგივრად მივიღე გადაწყვეტილება, მამაჩემთან არანაირი ურთიერთობა არ გვქონოდა. ვიცი, უკანასკნელი, დამპალი სულის ეგოისტივით მოვექეცი დედაჩემს, როდესაც არჩევანის გაკეთება მოვთხოვე ჩვენ ორს შორის, მაგრამ იმ კაცს მამას ვერასოდეს დავუძახებ და ვერც აღვიქვამ მამად, რადგან როდესაც 16 წლის ბავშვთან „ვიღაც“ კაცი მოვა და გეტყვის, როგორ ხარ, შვილო? მაშინ, როდესაც ბოლო 6 წელი ციხეში იჯდა და ის წლები გამოტოვა, როდესაც ყველაზე მეტად მჭირდებოდა. არადა, ერთ დროს, ძალიან მაგარ ქალაქში, ყველაზე პრესტიჟულ უბანში ვცხოვრობდით და ძალიან მაგარ წრეში ვტრიალებდით. ჰო, შეიძლება შანსი უნდა მიმეცა, მაგრამ ვერ გადავლახე ის უზარმაზარი კედელი ჩვენ შორის. მინდა იცოდე, რომ შენი ბრალია, ასეთი ცივი, უგრძნობი, უხეში რომ ვარ. ისიც შენი ბრალია, რომ ვერავის ვეღარ ვენდობი ამქვეყნად. ის, რომ ტკივილის გრძნობა განულებული მაქვს და მინდა იცოდე, რომ მეზიზღები! ატარექსია“.

მეგობრები

„ცხოვრებამ იმდენი გაჭირვება მაჩვენა ამ 17 წლის განმავლობაში, მგონი ყველაზე სწრაფად მორბენალი ადამიანი ვარ. თამ, გახსოვს, სიღნაღში შენს კლასთან ერთად ექსკურსიაზე რომ წამოვედი? ორი კვირის გაცნობილი მყავდი და უზომოდ გენდობოდი. გახსოვს, როგორ არ მაპატიე, გაუფრთხილებლად სახლიდან გასვლა? არაფრად ჩააგდე ჩემი ხვეწნა, ერთ წუთს გამოდი, რაღაც მინდა გითხრა-მეთქი. შენ კი იკას არ შორდებოდი. აი, მაშინ გამიჭირდა ყველაზე მეტად, უცხო ქალაქში, უცხო ხალხში, მარტო რომ მიმაგდე, მე კი როგორი მოვრბოდი?! არც კი

მახსოვს, ცენტრში როგორ ამოვყავი თავი. დღემდე დამცინის ჯურდანა, რა „რივოკი“ გაქვსო?! :) ორი წელი გავიდა, დღეს უკვე ჩემი დაქალი ხარ, მაგრამ ის გრძნობა არასოდეს გაქრება. შენ გაჭირვება მიჩვენე, მე კი — გაქცევა... დრო გადის. არავინ იცის, ხვალ რა მოხდება, მაგრამ ერთი რამე უნდა გითხრა: შენ წყენა ნახევარ საათში დაგავიწყდა, მე კი ვერასოდეს დავივიწყებ. ბარტყაჭუნა“.

მოცურავე

„გაჭივრება“, ხომ? უჰ, სულ „გაჭივრებულ“ დღეში არ ვარ? ე.ი. რა ხდებოდა, შარშანწინ, ზაფხულში: ერთ უმშვენიერეს დღეს, ზღვის ნაპირზე ვიფართხალე (ცურვა არ ვიცი, სირცხვილოოოო!), შემდეგ ჩემები ნავით გადიოდნენ ზღვაში და მეც გავყევი, „შორეულ კრუიზში“. შორს რომ გავედით, ყველა წყალში გადახტა და ერთობოდა, მე კი ვიჯექი ნავში და საკუთარ თავს მეათასჯერ ვუკურთხებდი, რომ ცურვა ვერა და ვერ ვისწავლე. გამახსენდა, რომ მითხრეს, ცურვა ღრმა წყალში უნდა ისწავლოო და რა ვქენი? დიახ, დიახ, ვისკუპე წყალში და... თავიდან მართლა გავცურე, რის გამოც, როდესაც ავფართხალდი და წყალი ავაქაფე, არ დაიჯერეს, რომ ვიხრჩობოდი, ეგონათ, ვკაიფობდი. კარგა ხანს ვიყვინთავე. ყურადღება რომ არა და არ მომაქციეს, თან ვატყობდი, ძალა გამომეცალა და სულ ცოტაც და მართლა დავყვინთავდი სამუდამოდ, სხვა გზა აღარ დამიტოვეს და... ქართლური გინება მოგისმენიათ ოდესმე? დამიჯერეთ, კახურს არაფრით ჩამოუვარდება. თან ბოლო ხმაზე ვღრიალებდი. ამ კივილზე ჩემმა დეიდაშვილმა გამოიხედა და გადამარჩინა. შარშან კი დედამ გამაფრთხილა, ზღვაში ჩასული არ დაგინახოო! და ასე ვიტანჯებოდი, არასწორი ნახტომისთვის. წელს კი ამას აღარ შევეგუები და ამ „გაჭივრებიდანაც“ ვნახავ გასაქცევს. გაკოცეთ ყველას. ატარექსია“.

ვინ გაასწრებს?

„მაარ, შენ ალბათ მაგ თემის საათაურს გადატანითი მნიშვნელობით გულისხმობ. აი, მე კი, პირდაპირი მნიშვნელობით მოგიყვებით. ე.ი. 6 წლის წინ, გაგანია ზაფხულია, აი ის მომენტი, ასფალტს რომ ბუღი ასდის. სოფელში ვარ, რომელიც ცხინვალიდან გაწიგამოწი, იქნება 50 კილომეტრში. ჰოდა, ამ „მდუღარე“ აგვისტოში რა გაგვაჩერებდა სახლში ამ ღაწირაკ ბავშვებს და დავეშვით მდინარეზე. ნუ, ვიჯერეთ გული ბანაობით და სახლში წამოსვლაც გადავწყვიტეთ. სოფელში რომ ამოხვიდე, 2 უშველებელ-უგრძელესი აღმართი უნდა აიარო. ამიტომ, ჩვენც ჭყუმპალაობისგან გადაღლილები, აღმართამდე მივიდოდით და იქ ველოდებოდით ურემს ან ტრაქტორიან შალო პაპას, რომ სოფლამდე ავეყვანეთ. ამ ლოდინში ენას არ ვაჩერებდით და ერთმანეთს ვეჯიბრებოდით ახალი მაგალითების მოყვანაში. აი, ვთქვათ, მილიონიც რომ მომცეთ, ამ აღმართზე მაინც არ ავალ და ა.შ. ამ ლაპარაკში ვართ და 200 მეტრში რომ ატყდა ავტომატის კაკანიიიი! ვაიმე, ოსებიო და თვალი არ მქონდა დახამხამებული, აღმართის თავში ვიყავით უკვე. აი, ჩემო მარი, აქამდე თუ მილიონ დოლარადაც არ ავდიოდი იმ აღმართზე, ვიღაც ოსის ნასროლ ტყვიაზე სულ „ოთხით“ ავედი... ესეა, რა. თქვენ გაჭირვება მიჩვენეთ და ისე „მოვპორჭყნიიიი?!“ უპს, ღმერთმა დაგვიფაროს. დამავიო“.

ხელი – 50 ლარად

„ერთ წელიწადს, ტყემლის არც ისე კარგი მოსავალი იყო. აქა-იქა ესხა ხეებს. ავცუნცულდი ხეზე, მივიხედ-მოვიხედე, მაგრამ სადაა ტყემალი? ჰოდა, კი შევამჩნიე კენწეროზე და მივღოღავ... სადაცაა, უნდა მივწვდე და ტკაც! მოტყდა ტოტი და გავადინე ბრაგვანი, მაგრამ, რომ დავხედე მარჯვენა ხელს, სამკუთხედად იყო მოხრილი და ავტეხე ყვირილი — ვაი, დედაა (მაგრამ სად არის დედა? სამსახურში.). ჰოდა, ამ ჩემი სოფლიდან 8 კილომეტრშია ცენტრალური საავადმყოფო და უკან მოუხედავად გავზქურე. მიმაგნებინეს ექიმს. ჰოდა, ჯერ სურათი გადამიღო, ვნახო, როგორ არის ძვალიო. ე, ბიძია, დროზე ქენი, 8 კილომეტრი ფეხით ჩამევირბინე-მეთქი, მარა გამიგონა? ახლა უნდა გაგისწორო და წყნარად იყავიო, რომ დამავლო ხელი ავყვირდი, მარა ვაი, ამნაირ აყვირებას... ნუ, ჩამისვა თაბაშირში მარჯვენა და მეუბნება, ვაჟკაც, 50 ლარი გაქვს გადასახდელიო. ახლა მართლა ვაი დედა, სად მაქვს 50 ლარი-მეთქი? წელანდელზე ხმამაღლა ავყვირდი. 8 კილომეტრი იმიტომ ვირბინე, ფული რომ არ მქონდა-მეთქი დაააა... ნახევარი საავადმყოფო ავახარხარე. მაგრები ვართ რა, ეს იმერლები იუმორში. რა მეცინებოდა აბა, ხელმოტეხილს? იუდას კაცი“.

ყველაზე ძალიან ადგილებზე ამოთეში იბმდება

ზოროს დამწვარი ყურები

„დედაჩემი ურეკავს ჩემს დას და ეუბნება, ხბო აღარ მოვიდა შინ, ეტყობა დაიკარგაო და წუხს. ამ დროს, ჩემი 4 წლის დისშვილი, აჩი ამშვიდებს: ბებო, მეც დავკარგე ძაღლი, მაგრამ კი არ მიტირიაო. არადა, დედაჩემი დიდი რუდუნებით უვლიდა ამ ხბოს (პერსპექტივაში — ძროხას). ამ საღამოს კი დედა პურს აცხობდა და მამას პურებისთვის ყურადღების მიქცევა ევალებოდა. ჰოდა, გაერთო მამა სერიალების ყურებით და დედამ დაუძახა, დაიწვა პურიო. სუნი რომ დატრიალდა, მამამაც გაბრაზებულმა დაიყვირა: დაეწვას ზოროს (ერთ-ერთი სერიალის გმირია) ყურებიო! ელისო“.

ვერცხლისმედალოსანი

„ყოველწლიურად ტარდება სკოლებს შორის მძლეოსნობაში შეჯიბრი. ჰოდა, მე, როგორც მრავალმხრივი სპორტსმენი, ვმონაწილეობ ხოლმე. შეჯიბრის დღეს მითხრეს, კილომეტრიანი დისტანციაა და სხვადასხვა სკოლის 20 მონაწილეს უნდა შეეჯიბროო. სტარტიდან რომ დავიძარით, ზოგი ერთმანეთს ახტებოდა. ამ დროს, საიდანღაც, ბილიკზე ჩემ უკან დიდი და გაბრაზებული ძაღლი გამოვარდა ყეფით და ვაი, ეს რა მომდევს-მეთქი, შემეშინდა და სადღაც, ბოლოში რომ მივრბოდი, წამებში ფინიშის ხაზთან აღმოვჩნდი და იმ წელს ვერცხლის მედალი ავიღე. მადლობა იმ ცუგას, ვითომ დახმარებისთვის. მუდამ თქვენი კეთილის მსურველი, კოზანოსტრა (ბისკვიტი)“.

ვის ახსოვდა ჩაიდნები?

„რამდენიმე წლის წინ, ზაფხულში ბაკურიანში მამიდაშვილებთან ერთად ვისვენებდი და მაგრად ვერთობოდით. ერთ დღეს მშობლებმა წყაროზე გაგვიშვეს, წყლის მოსატანად. სხვა რა საქმე გვქონდა და 3 გოგო ჩაიდანვედროებით „შეიარაღებულები“ წავედით. წყაროზე ერთმანეთი გავწუწეთ, ვიცინეთ, ვიმხიარულეთ და სახლში დაბრუნებას ვაპირებდით, მეზობლის ძაღლი რომ გამოგვეკიდა. ვაიმეეე, ჩაიდნები ვისღა ახსოვდა? მარი და გვანცა ხეზე აძვრნენ და თავს უშველეს. ვინაიდან და რადგანაც ახლომახლო ვერანაირი ასაძრომი ვერ ვნახე, ჩემს ფეხებს მივენდე და მანქანის ირგვლივ საყვარელ ძაღლს „დაჭერობანა“ ვეთამაშე (ახლა მეცინება, მაგრამ მაშინ...). ყველაფერი „კარგად“ მიდიოდა, მაგრამ უცებ ვიგრძენი, რომ ფეხი რაღაცაში ჩამეფლო. დავიხედე და... ფუნაააა. კიდევ კარგი, ამ დროს ძაღლის პატრონი გამოვიდა და შეათრია ეზოში ცხოველი, თორემ ჩემს „სურნელოვან“ ფეხს რომ ჩაეკონებოდა, ვეღარც ამაწიწკინდნენ. გადავრჩი! მანდილოზავრი“.

„აკაწრული“

„მოგეხსენებათ აგვისტოს ომი... ჩემი სოფელიც ცხინვალთან ახლოსაა და ოკუპირებულ ზონაში ვიყავით. ჩემი მეზობელი, რომელიც „კაი მეზობლობით“ გამოირჩევა, გაიძახოდა, რას ამბობთ? რუსიც რომ დამადგეს თავზე, მაინც არ დავტოვებ სოფელსო. მაგრამ, როცა სოფელში მაროდიორებმა შემოყვეს აყროლებული თავები და სხვა მეზობელს მანქანა მოსტაცეს, თვითონ პატრონი კი კაი მაგრად მიჩექმეს, უცბად გატეხა თავისი სიტყვა და ისე „აკაწრა“ სოფლიდან, ქუსლებსღა მოვკარი თვალი. მიყვარხართ. ნინია“.

უცნაური მოდა

„მე და ჩემი და ერთმანეთისგან ცა და დედამიწასავით რომ განვსხვავდებით, ჩვენმა საახლობლომ კარგად იცის. მე ხომ ჩემდა ჭირად, ასეთი გულჩვილი გავჩნდი, ყველაფერზე „ვღვარღვარებ“. აი, ჩემს დას კი ცრემლები მხოლოდ და მხოლოდ გულიანი სიცილის დროს თუ გადმოუგორდება. მე აქტიურად ავუწყვე ფეხი ცხოვრების რიტმს. მესიჯობა და ვირტუალური ნაცნობობა როგორც კი „შემოვიდა მოდაში“, უცებ გავიწაფე და ვირტუალური შეყვარებულიც კი გავიჩინე. თუმცა, ეს სხვა საკითხია. მოკლედ, მე რომ მესიჯობა და საერთოდაც, მობილურის დანახვა შემჯავრდა, ჩემმა დამ მაშინ აღმოაჩინა... მიროს ნათესავმა ახლობელი ბიჭი გააცნო და ერთმანეთი მოეწონათსავით, მერე — შეუყვარდათსავით. ცოტა ხანში კი შოთა სამუშაოდ წავიდა, დატოვა ჩემი ბედოვლათი და ეულად. რამდენიმე კვირა ჩემი მობილურით სარგებლობდა მირო, მერე კი მეც ამომივიდა ყელში ამდენი ხვეწნა — ტელეფონი მათხოვეო, ისიც დაიღალა და მამას „ტელეს“ ყიდვა სთხოვა, მაგრამ მესიჯობამ დიდად ვერ მოხიბლა. ერთ დღესაც, პირდაღებული დამტოვა, როცა სიხარულით შემომთავაზა, ჩემს „ლოვეს“ შენ ემესიჯე, მე მეზარებაო (ეზარება, კაია). ესღა მაკლდა-მეთქი, გავიფიქრე. თუმცა, დისთვის უარი არ მითქვამს. არ გამჭირვებია შოთასთან ურთიერთობა, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ძალიან უინტერესო „მესიჯომანი“ აღმოჩნდა. მოკლე-მოკლე პასუხებით თავი მაღე მომაბეზრა და ბოდიშის მოხდით დავუბრუნე ჩემს დას, მობილურიც და სატრფოც. სულ მცირე, იმას მაინც ველოდი, რომ გულდაწყვეტილი დარჩებოდა, მაგრამ არ მოუკლავს დარდით თავი. დავშორდები და ეგ იქნებაო, საკმაოდ მშვიდად მითხრა. იქიდან გამომდინარე, რომ ჩემს დას შეყვარებული საერთოდ არ ჰყოლია, გადავწყვიტე, მისთვის „პაკლო“ შემენარჩუნებინა და ისევ გავაგრძელე დის მაგივრად შოთასთან ურთიერთობა. იმ სისხლგასაშრობმა დამაწყვიტა ნერვები, ისეთ უაზრო მესიჯებს მწერდა. თუმცა, ჩემი დიდი მონდომების შედეგად, საკმაოდ „გემრიელი მესიჯების“ წერა დაამუღამა. ჩემი და ჩვენს მესიჯებს კითხულობდა, მასთან რომ არ ჩაჭრილიყო და ჩვენი საიდუმლო არ გამჟღავნებულიყო (ქალბატონს კითხვაც კი ეზარებოდა). შოთა ქართულ სიტყვებს ხშირად ამახინჯებდა, რასაც ჭკუიდან გადავყავდი. ჰოდა, ამის გამო, ერთ დღესაც გემრიელად გამოვლანძღე. იმანაც არ დამაკლო და დაშორება გადაწყვიტა. შიშის კანკალით შევაპარე ეს ამბავი ჩემს დას იმის იმედად, რომ არ გამიწყრებოდა, მაგრამ იმ ჩემი ცოდვით სავსემ თავი გაიგიჟა, ეს როგორ გამიკეთეო? როცა ყველაფერი დაწვრილებით ვუთხარი, რა ვაკადრე მის „პაკლოს“, გაცოფებულმა გამომგლიჯა ტელეფონი ხელიდან და იმის მერე თვალით აღარ მინახავს. დილიდან საღამომდე ემესიჯება, ძლივს შეირიგა ვაუბატონი და სხვათა შორის, მესიჯობამაც გაიტაცა. ასეა, ბატონო, საქმე რომ ჩავუფლავე, მერეღა მიხვდა დანაშაულს და იკადრა, შეყვარებულთან მესიჯობა. არა, მე რას მერჩოდა, მაინც ვერ მივხვდი?.. ლუნა“.

უკუღმა, ასინეთა!

„ამ შემოდგომაზე დედამ გადაწყვიტა, ბინა გაეყიდა და უფრო კომფორტული, კერძო სახლი ეყიდა. ვისაც გამოცდილება გაქვთ, გეცოდინებათ, რა დიდ ამბებთან არის დაკავშირებული ყიდვა-გაყიდვა. დილიდან საღამომდე კლიენტები მოდიოდნენ და ათვალიერებდნენ ჩემს „ტიტანიკს“. ასე გრძელდებოდა 2 თვე. ერთ დილას მაკლერმა მოიყვანა კლიენტი — საშუალო ასაკის ქალბატონი, ნატო. როგორც კი შემოვიდა, ბინა დათვალიერებულიც არ ჰქონდა, მაშინვე თქვა, ვყიდულობო და ბეს მოსატანად გავარდა. მოიტანა 500 დოლარი და დაიდო ხელშეკრულება, რომ თუ მყიდველი უარს იტყოდა ბინის ყიდვაზე, ბეს კარგავდა, ხოლო თუ გამყიდველი გადაიფიქრებდა, ორმაგს აბარებდა. ისე მოხდა, რომ დედამ ბინის გაყიდვა გადაიფიქრა, მაგრამ 1000 დოლარი არ ჰქონდა. ნატო ხშირად იყო ჩვენი სტუმარი. მორიგი მოსვლის დროს აღმოაჩინა, რომ ლოჯიაში მინა იყო გაბზარული, რომ მთელ სახლში მეზობლისგან წყალი ჩამოსულია და „კუხნაში“ ლინოლეუმი აგია, მეთლახის ნაცვლად და გაგიჟდა. არადა, ყველაფერი თავიდანვე ასე იყო. უბრალოდ, თავად არ მიუქცევია ყურადღება. საღამოს დედას დაურეკა — ქალბატონო დალი, უკაცრავად, მაგრამ თქვენს ბინას ველარ ვიყიდი, არ მომწონსო და გაუთიშა. დედას ძალიან გაუხარდა, რადგან ყველაფერი ისე მოხდა, როგორც თავად სურდა. ამ ზარის მერე აღბათ დაფიქრდა და მიხვდა, რომ უსაშველო ჩვენს სახლს არაფერი სჭირდა და ტყუილად ატეხა განგაში. მეოთხე დღეს ისევ დარეკა — ქალბატონო დალი, მოაწესრიგეთ საბუთები? გასაღებს, როგორც შევთანხმდით, 28-ში ხომ გადმომცემთო? აქ კი დალი აყვირდა, მიაჩმორა, ტელეფონი გაუთიშა და ბეც გემრიელად შეირგო. მთელი სანათესაო ხალისობდა ამ თემაზე: დალი, აწი ასე გააგრძელე, ვითომ ბინის გაყიდვა გინდა და ბეებით სულ დახატავ შენს სახლსო. ჭრიჭინა“.

გაქცევის კლასი

„რამდენიმე წლის წინ, კახეთში ყოფნისას, გაქცევის ისეთი კლასი ვაჩვენე, დღემდე გული მწყდება, მაყურებელი რომ არ მყავდა. ერთი ბებიისგან მეორესთან წასვლა გადავწყვიტე. ჯერ იყო და ბებია ცოცხალ ქათამს მატანდა მძახალთან და ძლივს დავაღწიე თავი პაპას დახმარებით, მაგრამ მერე შემათვალიერა და მკითხა, რომ მიდიხარ, არ უნდა ჩაიცვაო? არადა მეგონა, გადასარევად გამოვიყურებოდი, ვიწრო ქვედაბოლოსა და ზურგმოშიშვლებულ მაისურში. წვრილქუსლიანი ფეხსაცმლის თასმებს კი ლამის ნახევარი საათი ვიხვევდი ფეხზე. მოკლედ, როგორც იქნა, წავედი. „მარშრუტკიდან“ რომ ჩავედი, მივხვდი, ძალიან გამიჭირდებოდა სიარული, მაგრამ უცხო ხალხთან არ შევიმჩნიე და ნარნარად გავიარე. ორღობეში რომ შევუხვიე, ვიფიქრე, თვალს მივეფარე-მეთქი და შვებით ამოვისუნთქე, მაგრამ თურმე ნაადრევად გავიხარე. პირდაპირ ძროხა შევნიშნე და მუხლებში სისუსტე ვიგრძენი. ბავშვობიდან მეშინია ამ რქოსანი არსების და რადგან სხვა ალტერნატივა არ მქონდა, გზა კანკალით განვაგრძე. ცოტა რომ გავცდი, დაიბღავლა და არც მიმიხედავს, წარმოვიდგინე, როგორ მომდევდა ჩემზე რქებდამიზნებული ცხოველი. ნუ, მე იქ სიჩქარე განვავითარე?! შემირცხვენია „ფერარი“. ჩემი „შპილკების“ გახდა აზრადაც არ მომსვლია, კაბა ნაკერზე შევხსენი და ისე გავქუსლე. სამშვიდობოს ანუ ბებოს ეზოს რომ მივაღწიე, უკან მივიხედე და მტვრის კორიანტელში ვერც ჩემი მდევარი ძროხა გავარჩიე და ვერც გზაზე დარჩენილი ხელჩანთა. P.S. მას მერე სოფელში 5 სმ-ზე მაღალი ფეხსაცმლით არ ვმოძრაობ, რადგან არ ვიცი, გაჭირვება კიდევ როდის გამაქცევს. პარიჟანკა“.

„აფხეკილი“

„ზამთარია. მე და ჩემი დაქალი მივკუსკუსებთ „მასწთან“. ეს ჩემი დაქალი ქაქანებს, მარა, რას ქაქანებს?! ჰოოდა, აუცდა ფეხი და ისეთი დაბზრიალდა ფეხაწეულიიი... :) ბალეტის მოცეკვავეს რომ დაენახა, შეშურდებოდა. ბედი არ მაქვსო, მაგან უნდა თქვას. როგორც იქნა, „ავფხიკე“ თოვლიდან და წამოვაყენე. ვინ აცალა ადგომა? იქვე მდგარმა ხარმა წითელი „კურტკა“ რომ დაინახაა, ცხვირიდან სულ ბოლი ყარა და გამოუდგა მაგ საწყალს. :) მირბის ეს ჩვენი თამო გამწარებული და არანაკლებ გამწარებული მისდევს ხარი. როგორც იქნა, შეასწრო მაღაზიაში და გადარჩა. მე კი დღემდე მაგას ვახსენებ და ვკვდები სიცილით. მარ, დამიბეჭდე, რაა, გთხოვ, შენს მოსწავლეებს გაფიცებ. სანტა“.

შუმახერა – ფეხით

„პატარა ბავშვი რომ ვიყავი, დედუცის სახლიდან გავეპარე. ნუ, არ მახსოვს, სად და როგორ ვიარე, მაგრამ ის კი მწარედ მახსოვს, ჩემთვის საძულველი მეზობლის ძაღლი რომ გამომეკიდა

და ისე მარბენინა, შუმახერის ავტოს ფეხით გავასწრებდი :). დეტალურად არც ის მახსოვს, ხეზე როგორ აღმოვჩნდი 5-6 წლის ბავშვი, მაგრამ ვინაიდან სიმაღლის მეშინოდა, მოვეჭიდე ხეს და დავხუჭე თვალები მაგრად. ამასობაში დედას ჩემი ძებნა დაუწყია. როგორია, სოფელში დაიკარგოს შენი 5 წლის შვილი? მოკლედ, მთელი სოფელი მეძებდა. ბოლოს, ერთ-ერთ მეზობელს დავუნახივარ, ხის ტოტზე შემოკვანძული. დაბლა კი თომა მელოდებოდა (ის საძაგელი ძაღლი). ნუ, ჩამომხსნეს და გადამარჩინეს, მაგრამ ვინ? იმან, ვისაც ხეზე ასვლის ყველაზე მეტად ეშინოდა (ჩემს შემდეგ). მოკლედ, ეს ამბავი ორმაგად ეხება თემას. :) ერთი ის, რომ გაჭირვებამ ხეზე ამიყვანა (იმის მერე დაიწყო ჩემი, როგორც „ქალი ტარზანის“ მოღვაწეობა) და ჩემი მეზობელიც გაჭირვებამ (ანუ ჩემი ძირს დაძნეყვების შიშმა) აიყვანა ხეზე. ჩუპი“.

გაწბილებულები

„ბავშვობაში, სოფელში, მეგობართან ერთად ჩაიში დავბორიალებდით, ვთამაშობდით და ერთხელაც ძაან მაგარი „ბმვ“-ს მარკის ავტომობილი დავინახეთ, რაც იშვიათი იყო იმ დროს საქართველოში. ჩვენ 8-9 წლისები ვიყავით; ვხედავთ, ეს მანქანა გამწარებული ქანაობს, თან დაბურული მინები აქვს. ვიფიქრეთ, რომ ქალი და კაცი რაღაც ცუდს აკეთებენ შიგნით. დაგვაინტერესა ძალიან და ველოდეთ, ველოდეთ და ისევ ქანაობს, დაახლოებით ერთი საათი. ბოლოს, ჩემს ძმაკაცს ვაქეზებ, მიდი, ქვა ესროლე-მეთქი. ამან პატარა ქვა ესროლა და გაბზარა მინა, მაგრამ მანქანამ მაინც გააგრძელა ქანაობა. მერე მე დიდი ქვა ავიღე და ჩავტეხე მინა, მაგრამ ეს მანქანა კიდევ ქანაობს. ბოლოს, შიგნით ჩავიხედეთ და არავინ დაგვიხვდა. გაგვიკვირდა და მანქანას შემოვუარეთ. რას ვხედავთ? 3 ღორი აფხანს ამ მანქანას ტანს და რეაქცია არ აქვთ, ჩვენს დანახვაზე. დავრჩით გაწბილებულები. ამისთვის მერე ძაან ბევრიც მოგვხვდა... ჰანიბალ“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„მარ, ჩემო საოცნებო ადამიანო, ეგ ანდაზა ჩემზე არ ჭრის, ისევ იმ ადგილს ვტკეპნი, სადაც გაჭირვებას „ვხედავ“. როგორც მწერი ობობას ქსელში, ისე ვარ შიგ გაბმული. ვცდილობ, თავი დავაღწიო, მაგრამ არაფერი გამომდის. ყოველ ახალ ნაბიჯზე, უფრო მეტად ვეხვევი მტანჯველ აბლაბუდაში და საკუთარ უსუსურობაზე მეტირება. რა ცოდვის საზღაურს ვზღავ, ის მაინც ვიცოდე. როგორ მინდა, შენს თბილ გულში ჩაკვრა, მარ, შენი ტკბილი სიტყვების გაგონება. მარ, ძალიან მიყვარხარ! ვიცი, ეს იცი... ერთადერთი, ხუთშაბათი დღე მიხაროდა და ის დღეც მომპარეს, მაგრამ ჩემი გულიდან ვერავინ მომპარავს შენი და მგზავნელების სიყვარულს. ვიცი, ნიკით თუ უნიკოდ, ყველა ჩემს მესიჯს ცნობ მარი. ამიტომ არც არაფერს მივაწერ. მიყვარხარ ყველაზე დიდი და დაუსრულებელი სიყვარულით“.

„ამას წინათ ფეხი ამოვიგდე. ისე, რაღა ამას წინათ, ერთი თვე კი გავიდა. ჰოდა, ახალი ჩასმული მაქვს თაბაშირში და ყავარჯნებით დავკვანძალობ. ჰოდა, მაღაზიაში მივდივარ და ძაღლი გამომეკიდა. ძაღლია ისეთი, ერთ ღუკმად არ ვეყოფი. ჰოდა, გამომეკიდა და მოვკურცხლე, ამ ნატკენი ფეხით. ვიღას ახსოვდა ტკივილი? ისე მოვკურცხლე, დოღის ცხენს შეშურდებოდა. ათენიდან“.

„გადარეულის მესიჯი მეც მეწყინებოდა, შენს ადგილზე. მე ის მიხარია, რომ 2 მესიჯს მიბეჭდავ და პრეტენზია რავა უნდა მქონდეს? სანტა“.

„უამრავი პრობლემა მაქვს. მაგ.: უამრავი გამოთაყვანებული „პაკლო“ მყავს, ყველა მეგობარი დავკარგე და ვერავინ ვერ იტანს ROCK-ს. რატომ ხდება ასე? რატომ ვარ უბედური? ამდენი რამე რომ მოხდა, ზუსტად იმიტომ ვუსმენ რამშტაინს და „ტოკიო ჰოტელს“, იმიტომ ჩავიკეტე ჩემს თავში, რომ აღარავის ვუყვარვარ. იმიტომ „გავნაგლდი“, რომ ყურადღებას არ მაქცევენ და ჩემს კლასელებს დამაშორეს. იმიტომ გავბოროტდი, რომ ჩემს უსაყვარლეს ადამიანს, რომელიც ძმად მიმაჩნდა და ვენდობოდი, გაურკვეველი მიზეზების გამო ჩემი ნახვა აღარ უნდა. აი, ამიტომ, იმ საყვარელი, მეგობრული, მხიარული მარიკოსგან მხოლოდ თავის თავში ჩაკეტილი გოგო დარჩა, რომელსაც ორი მეგობარი ჰყავს: როკი და მარი ჯაფარიძე. მარ, არც ვიცი, ასე რატომ გენდობი. მიყვარხარ. ROCK SMILE“.

„გადავშალე ჟურნალი და თემამ გული ამიჩუყა და მატკინა. სათაურით, მეგობრის სიყვარულითო. მე კი ჩემს თემას დავარქმევ, სამშობლოს სიყვარულით ჩემმა მეუღლემ ფორმა ჩაიცვა თავისი ხელით და მართლა ვეღარ გაიხადა. აგვისტოს ომმა მართლა ბევრი ოჯახი გაამწარა და გულები ატკინა. ობლად დატოვა თავისი ორი პატარა ანგელოზი. ერთი ნანახიც კი არ ჰყავდა. ბადრი, უფალს შევთხოვ, ნათელში ამყოფოს შენი სული და ილოცე შენი შვილებისთვის. შენი პატარა ბადრიც შენსავით გმირი იქნება, მე გავზრდი ასეთს. მენატრები, ბადრი და უზომოდ მიყვარხარ. ქეთი, 21 წლის“.

„მაშინ მივიღე სხვის მაგივრად გადაწყვეტილება, როდესაც უნივერსიტეტში ლექტორმა სია წაიკითხა, მის მაგივრად მე ავდექი და ვარ-მეთქი, ვთქვი, მაგრამ ჩემს სახელსა და გვარზე ვერ ავდექი და „არა“ ავიკარი. ესეც მინუს ერთი ქულა. :-) მზე20“.

„აუ, მაგარი „პრიკოლიი“... :) ოთხშაბათს მამაჩემს ვეკითხები დიდი სერიოზულობით, აუ, მამი, ჩვენ რომ „გზა“ ოთხშაბათს ვიყიდოთ, არ შეიძლებამეთქი? :):):) ნამდვილად არ ვიცი, რატომ დამემართა ასე. სვანი ნამდვილად არ ვარ... :) MOONSHINE“.

„2 კვირის წინ, თურქეთიდან ვბრუნდებოდი. 9 საათს იყო გადაცილებული, თბილისში რომ შემოვედით. დაღლილი, მაგრამ ბედნიერი ვიჯექი, რომ სახლში მალე ვიქნებოდი და ჩვენ წინ მიმავალ მსუბუქ ავტომობილებს ვაკვირდებოდი. უცებ თვალი მოვკარი პატარა „ოპელს“, რომელსაც ღმერთო ჩემო! უკანა მინაზე რამდენიმე პატარა გული ჰქონდა მიკრული. — მარი! წამოვიყვირე და დავიძაბე. ავტობუსმა „ოპელს“ გაუსწრო. მზერა გავაყოლე და ვიცანი, ის იყო, იის! ჩვენი ოპელიჩი, ჩვენი მარიამული! გიჟივით დავიწყე ხტუნვა და ხელების ქნევა. ჩვენი გზები სულ 2 წუთით გაიყო და ისევ შევხვდით ძველ ციხეებთან. ისევ დავუქნიე ოპელიჩს ხელი... ისიც ჩემსავით, სახლში მიდიოდა. მარიამულ, ნეტავ თუ დამინახე? ძალიან მენატრები. შენ ვერც კი წარმოიდგენ, ისე. ძნელი ყოფილა შენი სიყვარული, ძნელი... მანაველი“.

„თემასთან დაკავშირებით გამახსენდა: ცნობილია ჩემს სამეგობროში, რომ ნელა დავრბივარ. ჩემს სირბილზე იცინის ყველა. ჰოდა, ერთხელაც, მე და ჩემი დაქალი მეცადინეობიდან მოვდიოდით, რომ დიდი ნაგაზი გამოგვენთო... ოოო, მაშინ კი შეუძლებელი შევძელი და იმ წუთში თვით ოლიმპიურ ჩემპიონსაც გავასწრებდი სირბილში. მას შემდეგ მთელი სამეგობრო იცინოდა ჩემს მიღწევაზე, მე კი სწორედ ამ ანდაზით ვიმართლებდი თავს: „გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო“.

„აჭარის სოფლებში ძირითადი მოსახლეობა მუსლიმანურ რელიგიას მისდევს. ერთ-ერთ დღესასწაულზე შესაწირავად საქონელს კლავენ. ჰოდა, ეს ამბავიც ამ დღესასწაულზე მოხდა. ერთ-ერთმა გამორჩეულად დიდი ხარი მოიყვანა შესაწირავად და მისი დრო რომ მოვიდა, საწყალი ხარი გაკოჭეს და წააქციეს. წამოადგა ყასაბი და ყელში რომ გამოუსვა დანა, ამ ხარმა სიმწრისგან აიწყვიტა და ყელგამოჭრილი, ყასაბს გამოეკიდა. ჩვეულებრივ, სოფლიდან ცენტრამდე 40 წუთის სავალია. ჰოდა, ეს გზა ყასაბმა და ყელგამოჭრილმა ხარმა 15 წუთში გაირბინეს. კოზანოსტრა (ბისკვიტი)“.

■

„გზავნილების“ მომდევნო თემად გთავაზობთ — „შეშლილი, შეშლილი, შეშლილი სამყარო“.

გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე:

marorita77@yahoo.com

„თუ უყვარხარ, მისი თავი არავის დაუთმო!“

„გოგონებო, სახიფათო სამკუთხედს ნუ ქმნით...“

„გზის“ №7-ში დაიბეჭდა 20 წლის ბოთეს მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა: „სულ ორჯერ ვიყავი შეყვარებული. ერთხელ დაქალი მიპირებდა საყვარელი ადამიანის „ახევას“. მეც ავდექი და, დავუთმე, — საზიარო კაცი არ მჭირდება-მეთქი... ახლა, როცა მეორედ შემიყვარდა, მამიდაშვილი ცდილობს, „ლოვე“ „ამახიოს“ და ჩემი სახელით „ესემესებს“ სწერს. რაც მთავარია და როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, შეყვარებული მასაც ჰყავს...“

ლიკა ქაჯაია

თეო:

„ჩემო კარგო, შევდივარ შენს მდგომარეობაში. ადექი და შეყვარებულს უთხარი, რომ მამიდაშვილი შენი სახელით სარგებლობს, იმ გოგოს კი ჭკუა უნდა ასწავლო — როგორც თვითონ გადაგთელა, შენც ისე გადაუარე“.

ლუნა:

„პირველი სიყვარული არ უნდა დაგეთმო, მისთვის უნდა გებრძოლა. იცოდე, მხოლოდ ის იმარჯვებს, ვინც იბრძვის. თუ შეყვარებულს მამიდაშვილსაც დაუთმობ, სულ მარტო დარჩები. და კიდევ, როცა კაცი შეყვარებულია, ის სხვაში არ გაგცვლის. ჩემო კარგო, „ლოვესთან“ გულწრფელი და თბილი უნდა იყო; გაუმხილე ის, რისიც ასე გეშინია და აუცილებლად გაგიგებს. ბიჭები დიდი ბავშვები არიან (რა, ასე არაა?), რომლებსაც სითბო და სიყვარული სჭირდებათ. ჰოდა, აგრძნობინე შენს „ლოვეს“ სითბო, ხანდახან გაებუტე კიდეც და აი, ნახავ, მის თავს ვერავინ წაგართმევს... არც კი ვიცი, შენს მამიდაშვილზე რა ვთქვა, მისი საქციელით გაოგნებული ვარ. P.S. თუ გინდა, მომწერე და ცოტას წაგეჭორავები“.

გრუზინკა:

„მერე რა, რომ გენათესავება?! გენაცვალე, შენს ადგილას რომ ვიყო, თმით ვითრევდი და ჭკუასაც უცებ ისწავლიდა... P.S. ჩემი რჩევა გაითვალისწინე“.

MIIS:

„მგონი, სიყვარულზე ცოტა არ იყოს, მცდარი შეხედულება გაქვს. რას ჰქვია, „აგახია“? როცა ორ ადამიანს ნამდვილი სიყვარული (და არა უბრალო გატაცება) აერთიანებს, მათ ვერაფერი დააშორებს. პირველ „ლოვეს“ რომ ჰყვარებოდი, არ გიღალატებდა, თანაც — შენს დაქალთან; თუ ამჟამინდელ შეყვარებულს ნამდვილად მოსწონხარ, სხვა გოგოსთან ურთიერთობას არ გააბამს. ასე რომ, დინებას მიჰყევი. ჩემო კარგო, რად გინდა ისეთი „ლოვე“, რომელიც შესაძლოა, ვიღაცამ „აგახიოს“?! წარმატებებს გისურვებ!“

სალი (სვანი):

„თუ მართლა უყვარხარ, შენს მამიდაშვილზე კი არა, ანჯელინა ჯოლიზეც არ გაგცვლის. ჩემო კარგო, სიყვარულისთვის უნდა იბრძოლო. თუ „ლოვეს“ უყვარხარ, მისი თავი არავის დაუთმო!“

კუდრაჭა:

„გასაოცარია, რა. მაინცდამაინც შენს რჩეულებს რატომ ადგამენ თვალს შენივე ახლობლები?.. პირველ რიგში, უნდა გაარკვიო, რატომ იქცევა მამიდაშვილი ასე და თუ აღმოჩნდება, რომ ცუდი ზრახვები ამოძრავებს, შენი სახელით „ესემესების“ გაგზავნა კატეგორიულად უნდა აუკრძალო; ისიც უთხარი, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, უკიდურეს ზომებს მიმართავ და სამუდამოდ დაკარგავ!.. საყვარელ ადამიანსაც დაელაპარაკე და ყველაფერი დაწვრილებით უამბე. თუ შენ მიმართ მართლა გულგრილი არაა, გაგიგებს. ამის შემდეგ კი ერთ კარგ სტრატეგიას მიმართეთ: პაროლის სახით აიღეთ სიტყვა, რომელიც მხოლოდ თქვენ ორს გეცოდინებათ და ყოველი „ესემესის“ ბოლოს ეს საიდუმლო სიტყვა მიაწერეთ, რაც იმის მანიშნებელი იქნება, რომ ნამდვილად თქვენი მესიჯია — ამით წერილების გაყალბებისა და საყვარელი ადამიანის დაკარგვის ნაკლები შანსი იქნება. არავის მისცე უფლება, ტკივილი მოგაყენოს. შენი სიყვარულის გადასარჩენად ყველაფერი უნდა გააკეთო. მთელი გულით, ბედნიერებას გისურვებ!“

დამავოი:

„გენაცვალე, პირველ „ლოვეზე“ ისე ამბობ, — დაქალს დავუთმეო, გეგონება, სათამაშო იყო. ალბათ, თქვენ შორის ჭეშმარიტი სიყვარული არ იყო, თორემ შენი ვაიდაქალი მას ასე იოლად ვერ „აგახევდა“. რაც შეეხება მამიდაშვილს, შენს ადგილას გემრიელად დავიფრენდი. ვინ მისცა უფლება, ვიღაცას სხვისი სახელით ემესიჯოს? შეყვარებულს სიმართლე უთხარი და ისიც მიხვდება, შენი მამიდაშვილი როგორი კეთილის მსურველიცაა. წარმატებები!“

გუდა:

„მამიდაშვილსაც ველარ უნდა ენდო, რა... ბოთე, შენ მაშინაც შეცდი, როცა საყვარელი ადამიანი დათმე და შეცდომას კიდევ ერთხელ ნუ დაუშვებ. „ლოვეს“ დაელაპარაკე და ყველაფერი უთხარი. შენს მამიდაშვილს კი ერთი მაგარი გალანძღვა არ აწყენდა...“

მეამგზავე სული:

„ჩემო კარგო, არ გეწყინოს, მაგრამ შენს ნიკზე გამეცინა. შენ ბოთე კი არ ხარ, უბრალოდ, ორგული ადამიანები გახვევია გარს. თუ იმ ბიჭს მართლა უყვარხარ, არ დაგკარგავს. მამიდაშვილს რატომ აძლევ უფლებას, მას შენს ნაცვლად ემესიჯოს, ხელები შენს ცხოვრებაში აფათუროს? იმ გოგოს „დაახვევინე“ და საკუთარ ცხოვრებაში ნურც სხვებს ჩაახედებ. მაგრად დადექი. ხომ ნახე, ზედმეტმა მიმნდობელობამ ერთხელ უკვე დაგაკარგვინა სიყვარული და მსგავს შეცდომას მეორედ ნუ დაუშვებ“.

გადარეული:

„შენი მამიდაშვილი კარგად უნდა მიბეგვო. რას ჰქვია, „ლოვეს“ „გახევს“? მას ან შენი შურს, ან კიდევ, არ ვიცი, არ ვიცი...“

ლა-ლოლა:

„მამიდაშვილს დაელაპარაკე და მოსთხოვე აგიხსნას, თუ რატომ იქცევა ასე. რაც მთავარია, არ დანებდე, საკუთარი სიყვარულისთვის იბრძოლე“.

რუსპირი:

„ძალიან ცუდი დაქალები გყოლია და მგონი, არც მამიდაშვილში გაგიმართლა. რაც ყველაზე უარესია, შენი ცხოვრების ორივე სიყვარული ულირსი აღმოჩნდა. იცი, მგონი, ხალხის ცნობა არ შეგიძლია, არ იცი, ვისთან უნდა იმეგობრო და ვის უწოდო დაქალი. ამაზრზენია, როცა გოგოს (მით უმეტეს, ქართველს) შეყვარებული ჰყავს და მიუხედავად ამისა, სხვისი ბიჭებისკენ აცეცებს თვალს; არც შენი გრძნობა აღმოჩნდა

მტკიცე, წინააღმდეგ შემთხვევაში, საკუთარი სიყვარულის შესანარჩუნებლად იბრძოლებდი ანუ „ლოვეს“ რომ ჰყვარებოდი, თავს არ დაგანებებდა და მას არც შენ დათმობდი, გახუნებული მაისურივით... რაც შეეხება შენს მამიდაშვილს, მას ალბათ, შენი შურს. თუკი „ლოვე“ ჰყავს, შენგან რა უნდა?.. დამიჯერე, თუ ერთმანეთი მართლა გიყვართ და გრძნობა ორმხრივია, შენი მამიდაშვილი კი არა, მის თავს ბიონსეც ვერ წაგართმევს. ჩემო კარგო, ორმხრივ და ნამდვილ სიყვარულს უფალი იცავს და მას სხვის ბიჭებზე მონადირე, შურიანი მამიდაშვილი ვერ დაგინგრევს. იქნებ, ნათესავს რაღაც აწყენინე და ახლა სამაგიეროს გადახდას ცდილობს?! მიდი, დაელაპარაკე და ყველაფერი გაარკვიე. ისე, ურთიერთობაში მესამე პირი ყველაფერს თავდაყირა აყენებს ხოლმე. დღეს ვნება და სიყვარული ერთმანეთში გვერევა. შენ ნამდვილად იცი, რომ გიყვარს და უყვარხარ? თუ ასეა, შიშის მიზეზიც არ გაქვს. ყოველივე საუკეთესოს გისურვებ!“

ROCK BIBI:

„პრობლემა შენშია, სუსტი ხარ. უნდა გაუფრთხილდე იმას, რაც შენია! იცოდე, საყვარელი ადამიანი არავის დაუთმო და თუ დათმობ, ე.ი. არ გიყვარს. P.S. გოგოებო, კაცებს ნუ ენდობით, ისინი დღეს ერთს ფიქრობენ, ხვალ — სხვას. გკოცნით თქვენი გიჟი გოგო“.

მეგობარი:

„ნუ მაფიქრებინებ, რომ შენს ნიკს ამართლებ. თუ იცი, რომ შენ მიმართ სიმპათიები მასაც აქვს, მაშინ მამიდაშვილს ამდენის უფლებას რატომ აძლევ? მაქსიმუმი გააკეთე იმისათვის, რომ თავი ბედნიერად იგრძნო. აბა, შენ იცი“.

პაპუტკილი-პატარა:

„შენი მამიდაშვილი მაგარი ტუტუცი და გოიმი გოგო ყოფილა. მოდი, სამაგიერო გადაუხადე და აეჭვიანე — მის შეყვარებულს გაეპრანჭე. იქნებ, ამის მერე მაინც მიხვდეს, თუ რა ცუდია, როცა ვიღაც შეყვარებულის „ახევას“ ცდილობს. ისე, თუ ვინმეს ნამდვილად უყვარხარ, მის თავს ვერავინ წაგართმევს. აბა, მიდი, შენი იმედი მაქვს“.

ეკუნა:

„ლოვეს“ ყველაფერი უთხარი. ნამდვილ სიყვარულს ვერავინ „აგახევს“.

ქეთი, 13 წლის:

„ასეთი ამბავი ბევრისგან მსმენია. გულს ნუ გაიტეხ, ჩემო კარგო. „ლოვეს“ იმიტომ გართმევენ, რომ ალბათ, განსაკუთრებული ხარ და შენი შურთ. სიყვარულის გამო იბრძოლე, შენი მტერი არ უნდა გაახარო. შენ გვერდით მიგულე“.

სვანის ასული:

„თუ ეს ამბავი რეალურია, გამოდის, რომ ყოველთვის გადასარევ ბიჭებს ირჩევ და შენი ახლობლები შურით გულზე სკდებიან. აბა, სხვა რა უნდა ვიფიქრო? ეცადე, შეყვარებულის ნდობა მოიპოვო, არასდროს მოატყუო. მას შენს მამიდაშვილთან არანაირი შეხება არ უნდა ჰქონდეს; შეეცადე, ერთმანეთს არსად გადაეყარონ, არაფერი მოუყვე და შენს საქმეებში არ ჩარიო... ბოთეს მამიდაშვილის მსგავსი გოგონების საყურადღებოდ კი მინდა, ვთქვა: სახიფათო სამკუთხედს ნუ ქმნით, თქვენს საქმეებს მიხედეთ და დააცადეთ ადამიანებს ბედნიერად ცხოვრება, თორემ ერთხელაც, ვიღაც ნიღაბს ჩამოგხსნით და თავადაც მიტოვებული აღმოჩნდებით“.

უცნობი:

„სიხარულო, თუ მამიდაშვილმა შენს შეყვარებულს დაადგა თვალი, ამაში დარწმუნებული ხარ და იმასაც ამჩნევ, რომ ის შენს „ლოვესაც“ მოსწონს, ე.ი. ისინი შენთან ურთიერთობის ღირსნი არ არიან. სამივენი უნდა დასხდეთ და დაილაპარაკოთ; გაარკვიეთ, რას ფიქრობთ ერთმანეთზე“.

საკალელი გოგო:

„ასეთი რაღაცები აღარ მიკვირს — დღეს და დას „ახევს“ შეყვარებულს და ძმა ძმას — საცოლეს. მამიდაშვილს საკადრისი პასუხი გაეცი, „ლოვესთან“ კი ყველაფერი გაარკვიე“.

ია:

„შენ მართლა ბოთე ხომ არ ხარ? „ლოვე“ სხვას როგორ დაუთმე ან მან როგორ დაგთმო ასე ადვილად? — ე.ი. არ ჰყვარებიხარ... იცოდე, შენს მეორე „ლოვეს“ თუ უყვარხარ, არავისში გაგცვლის.“

გუსუნა:

„შენს მამიდაშვილს დაელაპარაკე და ყველაფრის ახსნა მოსთხოვე. „ლოვესაც“ დაელაპარაკე და თუ მის ერთგულებაში დარწმუნდები, მაშინ აღარაფერზე იდარდო“.

გუზლუნა:

„საკუთარ თავს ბოთეს ნუ უწოდებ. გირჩევ, შეყვარებულს უთხრა, შენ მაგივრად სხვა რომ ემესიჯება, მამიდაშვილს კი ნუ მისცემ უფლებას, მას „ესემესები“ უგზავნოს. კარგი იქნება, თუ შენი „ლოვე“ ტელეფონის ნომერს შეიცვლის. თუ გიყვარს, ფარ-ხმალი არ დაყარო, სიყვარულისთვის ბოლომდე იბრძოლე! ოღონდ, გაითვალისწინე, სიფრთხილეც გმართებს, ისე არ მოიქცე, რომ ბოლოს, ყველაფერი სანანებელი გაგიხდეს. ეკლესიაში იარე, ილოცე და უფალი დაგეხმარება. შეიძლება, „ლოვეს“ ახლაც დაშორდე, მაგრამ მერწმუნე, ცხოვრების გზაზე აუცილებლად შეხვდები ისეთ ადამიანს, რომელიც შენი ღირსი იქნება. უფალმა დაგლოცოს. წარმატებებს გისურვებ!“

ჭრიჭინა:

„ქალს შეყვარებული ჰყავდეს და სხვებზე „ნადირობდეს“? — მსგავსი არაფერი გამიგონია. ძალიან მიმტევებელი და უკონფლიქტო ჩანხარ. ჩემნაირი რომ იყო, შენი მამიდაშვილი „თავს არ აიტკივებდა“... პირველ „ლოვეს“ რომ ჰყვარებოდი, შენს დაქალს მისთვის თვალი კი არა, ფეხიც რომ დაედგა, არ მიგატოვებდა... შენი მამიდაშვილის საქციელმა აღმაშფოთა. რას ჰქვია, შენი სახელით ემესიჯება? ახლავე „დაატორმუზებინე“, თორემ მერე შესაძლოა, გვიანი იყოს. მკაცრად დაელაპარაკე!“

■

„ცუდი ყურთასმენის გამო დამცინიან...“

მარიანა, 18 წლის:

„თქვენი რჩევები ძალიან მჭირდება. ყოველთვის ვკითხულობ რუბრიკას — „ყველა ერთისათვის“ და მიხარია, რომ კარგი ადამიანები კიდევ არსებობენ. გთხოვ, ეს მესიჯი უახლოეს ნომერში დამიბეჭდე. „ლოვესთან“ პრობლემა ნამდვილად არ მაქვს, უბრალოდ, ყურში კარგად არ მესმის და ამის გამო დავრჩი ასე, მარტოსული. ჩემს ასაკში სიცოცხლე ყველას უხარია, მე კი სიკვდილი მინდა. ცუდი ყურთასმენის გამო, ჩემზე ზურგს უკან ჭორაობენ და დამცინიან კიდეც. გული მტკივა... ლიკა, ამას უნიკოდ გწერ და თქვენი იმედი მაქვს“.

მიყვარს და მისი დაკარგვა არ მინდა“

ია:

„ძალიან გთხოვთ, რჩევას ნურც ჩემთვის დაიშურებთ. მყავდა შეყვარებული, რომელმაც რაღაც პერიოდის შემდეგ მითხრა, რომ ვუყვარვარ, მაგრამ ძალიან არა და მთხოვს დროს, რათა საკუთარ გრძნობებში გაერკვეს, ეს კი ჩემთვის მიუღებელია და ცოტა არ იყოს, დამამცირებელიც... მაგრამ ძალიან მიყვარს და მისი დაკარგვა არ მინდა. გთხოვთ, მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?“

P.S. მაშ ასე, თუ მარიანასა და იას წერილების წაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.

■

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. გავიცნობ მორწმუნე, 25 წლამდე ბიჭს, რომელიც მეგობრულად დამიდგება გვერდით. 19 წლის.

2. გავიცნობ ჯერ მესიჯებით და მერე ოჯახის შექმნის მიზნით, დასაქმებულ, სერიოზულ მამაკაცს. ვარ დადებითი პიროვნება, ქვრივი, უზრუნველყოფილი ბინით, ბავშვით, 42 წლის. არასერიოზულებმა არ დარეკოთ.

3. ჯიუტი, პრეტენზიული, აუტანელი ხასიათის, ცნობისმოყვარე გოგო გაიცნობს ჭკვიან, სიმპათიურ, სერიოზულ ადამიანს. პპ24.

4. გავიცნობ მხოლოდ დაოჯახების მიზნით. 27 წლის, განქორწინებული. მქვია ემა.

5. მსურს გავიცნო 37 წლამდე ასაკის, დასაქმებული, თბილისში მცხოვრები, პატიოსანი მამაკაცი. ვცხოვრობ რაიონში, ვარ 33 წლის. არ ვარ გათხოვილი. სუფთა წარსულით.

6. გავიცნობ თბილისელ, თბილისში მცხოვრებ ბიჭს, 23-32 წლამდე, ოჯახის შექმნის მიზნით. არც ფული მაინტერესებს, არც გარეგნობა. სოფლელები და სოფლიდან ჩამოსულები არ შემეხმიანოთ.

კაცები

7. ნატალის გაცნობა მინდა. ოთო, 25 წლის.

8. მსურს გავიცნო 27 წლამდე ასაკის მანდილოსანი. დავეხმარები. ვარ მარტო.

9. გავიცნობ 20-24 წლამდე გოგონას.

10. ვარ 27 წლის ბიჭი, მცხეთის რაიონიდან. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 20-25 წლამდე გოგოს. მსურველები გამომეხმაურეთ.

11. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ გოგოს, 18-დან 25 წლამდე.

12. ვარ 26 წლის, სიმპათიური მამაკაცი. გავიცნობ 19-დან 20 წლამდე ასაკის, ღამაზ მანდილოსანს.

13. ვარ 27 წლის, 170 სმ. სიმაღლის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 20-30 წლამდე ქალს. სასურველია, რაიონიდან. ქალის წარსულსა და ეროვნებას მნიშვნელობა არ აქვს.

14. ვარ 38 წლის, უცოლო, სიმპათიური მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 35 წლამდე ასაკის, ქალაქში ბინითა და მატერიალურად უზრუნველყოფილ მანდილოსანს. სასურველია, იყოს დედისერთა. განათხოვრები და ქვრივებიც გამომეხმაურეთ.

15. გავიცნობ 30-36 წლამდე ქალბატონს, თუნდაც განათხოვარს და ჰყავდეს 5 წლამდე პატარა. დანარჩენი — პირადად.

16. ვარ 26 წლის მამაკაცი, დედოფლისწყაროდან. გავიცნობ 19-დან 25 წლამდე ასაკის, ღამაზ მანდილოსანს.

სხვადასხვა

● მუშკუდ, სიხარულო, ძალიან მენატრები. ერთი სული მაქვს, როდის გამოხვალ.

● როგორ ხარ, ჩემო კარგო? ჩვენთან ყველაფერი კარგადაა. გელოდებით და გვენატრები. ელენე.

● არ ვიცი, ახლა სად ან ვისთან ხარ, მაგრამ ვიცი, რომ არ ფიქრობ ჩემზე, ეგ გულგრილობა გთხოვ, მეც მასწავლე, რომ აღარასდროს ვიფიქრო შენზე. მეგრელი.

● ზუკას მინდა ვუთხრა, რომ მისი ბრალი არ არის და თავის დადანაშაულებას აზრი არ აქვს. ახლა ძლიერი უნდა იყოს და მეგობრის ოჯახს გვერდით დაუდგეს. ჯარისკაცი ხარ. მზე20.

● მელფი გიორგაძე, მეგონა, ჩვენ შორის რაღაც ხდებოდა, მაგრამ თურმე შენ არაფერი შეგძლებია, გარდა ტყუილისა.

● შოთიკო ტყეშელაშვილს: შოთ, ყველა საბუთი მზად მაქვს, ერთი აკლია. მანდ შენ უნდა დაელაპარაკო მოძღვარს, დახასიათება მოგცეს. იქნებ რამენაირად გააკეთო. მიყვარხარ. ე.კ.

● შოთ, 24-ში უნდა შევიტანო ეს საბუთები. ამ კვირას მძიმე მარხვაა და საპატრიარქო არ მუშაობდა. ბოლო ვადაა 26. შენ მაინც ეცადე. იქნებ რამენაირად გამოვიდეს. მენატრები. ე.

● სანთელს ავანთებ, ხატთან ვილოცებ, დაგლოცავ ჩემი სპეტაკი გულით, შენ გაგიმარჯოს, ჩემო ღვთაებავ, შენ მაგრძნობინე მე სიყვარული.

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

• ილო, მტკიცედ იდექი, ლოცვა არ დაგავიწყდეს. გვჯეროდეს, ერთად ვიქნებით. ცოტაც მოითმინე. გვენატრები. მზია რუსოსთანაა, სახლში გურგენაა. გკოცნით. გკოცნით.

• მარ, „გზა“ ჩემი თილისმაა. თქვენ ხართ უკვე ჩემი ოჯახი. ყველას გიცნობთ შორიდან და გავბედე. მიმიღებთ? მზე20.

• როგორ ხართ? „ოსკარიდან“ აქეთ გადმოვბლაყუნდი. მიმიღებთ? ROCK BIBI.

• დათო კახიძეს მინდა ვუთხრა, რომ ჩემი ცხოვრებაა. ROCK BIBI.

• გამარჯობა, „გზა“ და „გზაელებო“, როგორ ხართ? თქვენი უუუუერთგულესი მკითხველი ვარ. ბერბიჭას ენიგმობას რომ აბრალებენ, თავისი ფოტო გამოაგზავნოს და ყველაფერი გაირკვევა.

• ASHLEY PCD, ნამდვილად არ ვაპირებ დაკარგვას. ისე მომწონს თქვენთან, ვერსად გამაგდებთ. გეხუტუნეთ ყველას. P.S. შენი ლექსები რომ ძაან მომწონს, აღვნიშნე უკვე? მპაა. MISS.

• ისე, მინდა აღვნიშნო, რომ მგზავნელებში პროვოკატორები მომრავლდნენ. ვისი რა საქმეა, ვის რამდენი კაცი ჰყავს? ნუ ყოფთ ცხვირებს სხვის ცხოვრებაში.

• არ შემიძლია, არ მოვესიყვარულო ყველა ემიგრანტს. მინდა, ყველას გამძლეობა ვუსურვო და იმედი მაქვს, ღვთის წყალობით მალე დაუბრუნდებით თბილ კერას და ლამაზ ოჯახებს.

• ვალერი მამასახლისო, იმედი გქონდეს, ყველაფერი კარგად იქნება. რწმენა არ დაკარგო, მამაო მალე გაზიარებს. ყველას ენატრები. მიყვარხარ, შვილო, ჩემო მონატრებულო. გკოცნი. დედა.

• მაარ, უძალიანმაგრესი ადამიანი ხარ! ვგიჟდები შენს „მინირომანებზე“ და ჩემდა სასირცხვილოდ ახლაღა შევამჩნიე, რომ ULTRIX-ის ავტორიც შენ ხარ. ისე, ამდენს როგორ ახერხებ?

• მე ახალი ვარ, მაგრამ თქვენი ერთგული მკითხველი. ყველანი მაგრები ხართ, განსაკუთრებით ენიგმა, ბერბიჭა და ASHLEY PCD. გაკოცეეეთ H1N1.

• იქნება გეცადა, გული გადაგეშალა, ოცნება გაგენდო, ეს დარდი გაგექრო, ან იქნებ ჩემთვის ლამაზად გეკოცნა და შენ ამ კოცნით გული გაგეთბო.

• WOW! „იმედზე“ გადავრთე და სერიალ „შურისძიების ნიღაბის“ სიმღერა რომ გავიგე, ვიკივლე. ეგ სონგი 2007 წელს მქონდა ტელეფონში. ბიონსე და ალესანდრო სანზი მღერიან და „ამორ გიტანო“ ჰქვია. მეკეტება მაგ სიმღერაზე! შემიძლია, დაუსრულებლად ვუსმინო. ASHLEY PCD.

• დოლარა ხარ თუ ვიღაც, ერთ რამეს ნაღდად ვხედავ, შენნაირი სულით ხორცამდე გარყვნილი და ზნეადაცემული აქ არავინ ამესიყვარებს. ყველას კბენ და გინდა შეჭამო. ნეტავ, რით ვერ გაძეხი? მაგარი გოთვერანი ხარ და „გზა“ ნუ ააყროლე, შენი არსებობით. წაეთრიე „გზიდან“ და დაანებე თავი სხვების გინებას, შე მართლა გარყვნილო.

• მოგესალმები მარი და ყველა მგზავნელს. იცი, ჩემო მარი, რა მინდა გითხრა? ძალიან დასანანია და დამღლელია „გზაში“ ამდენი ლანძღვაგინების წაკითხვა. ერთმანეთს ჭამენ და იმაზე არ ფიქრობენ, რომ სხვებსაც ნერვებს უშლიან. რა დაგემართათ ხალხო, რამ გაგაბოროტათ? თავი შეიკავეთ ყველამ და გაუფრთხილდით ერთმანეთს, ეს ცხოვრება ხომ ისედაც რთულია. დავიჯერო, ტკბილი და თბილი სიტყვების თქმა ასე რთულია? მე ძალიან მწყინს, რომ გამუდმებით ჩხუბობთ და არ ინდობთ ერთმანეთს. იდუმალი.

• მარიაااამ, იცი, რა მაინტერესებს? ჩვენი „გზა“ ძალიან პოპულარული ჟურნალია და საიტი რატომ არ აქვს? MISS.

• გოეთეს უთქვამს: „თუ ვინმე გიყვარს ადამიანი ხარ, თუ ვინმეს უყვარხარ — ღმერთი“. ჰოდა, გაუმარჯოს ისეთ სიყვარულს, როცა ადამიანიც ხარ და ღმერთიც. MISS.

• ASHLEY, შენ რატომ უნდა წახვიდე? თუ ვინმეს არ მოსწონხარ, ეგ შენი პრობლემა არაა. თანაც, შენი ლექსები რომ მოგვაკლდება, რა ვქნათ მერე?

• ASHLEY, (პ)ონჩიკის (ც)ომივით (დ)ონდღლოვ, საკუთარი თავი ჰოლივუდის მაგარი ნაშა გგონია? მე მხოლოდ ნასვამი დაგიკავშირდი თავის გასახალისებლად, შენთან შესარიგებელი რა მჭირს? ისე, ზოგის მესიჯზე ვხალისობ, ვბრაზდები, მაგრამ შენს მესიჯებზე ყოველთვის მეცინება, ოღონდ — ირონიულად. ამხელა გოგო მართლაც რომ ასეთი ბანძი მეთოდებით ცდილობ (უხარისხო აზრებით დატვირთული) თავის წარმოჩენას? მეტი ვერ მოიფიქრე, ვიდრე „გზაში“ ყველა ახალმოსულის თბილად შეგებება და მათი მადლობის მეშვეობით „მობილი-ზაციაში“ შენი სახელის მუდამ ტივტივი? ჩხრიალასი არ იყოს, ვის რაში აინტერესებს შენი თვალწასული კოლჰოტი, გაუთლელი ტუში და გაძენძილი ზმანები? იცოდე, მსხვერპლად საკუთარი თავის შეურაცხყოფა გავიღე, რომ ამხელა მესიჯს გწერ. ჰო, მართლა, ერთი კვირა აღარ გავიცინებ, რომ შენს პასუხზე ერთიანად ვიხალისო. გელი! :-) მისტერ.

• ანტიდეპრესანტ, კეთილი იყოს შენი მოსვლა, მგზავნელების ოჯახში. მე არც თუ ისე ახალი ვარ და სიამოვნებით გაგეცნობოდი, მაგრამ არც მე ვიცი, როგორ.

• CRAZY GIRL, მადლობა მოკითხვისთვის, საყვარელო... კარგი ხარ ძალიან! MISS.

• უი, შავი მიწა დაგაყარე დოლარავ, მაგ შავ გულზე. ელინური კულტურა ქართულთან რა შუაშია, ან შენ წმინდანს ჰგავხარ? დეგენერატო, ბერბიჭამ არ გიხმარა და ბრაზობ? ელენიკო.

• ატარექსია, მდედრი თუ ხარ, მოგეხუტები მეც. :) CRAZY-ს ჩავუკოცნე ლოყები. :) GREEN GIRL.

• მარი, ნათკა არა. შეგეშალა, ჩემო ტკბილო. კნაწკა ჩიქოვანი მოგწერე მე. მხოლოდ ასე მიპოვიან „ოდნოზე“. :) FACEBOOK-ზე უფრო ხშირად ვარ, ისე. :) GREEN GIRL.

• ვალერი მამასახლისო, მაგრად იყავი, არ იდარდო, ვაჟკაცები ციხეში არიან. ბევრი უდანაშაულოა, შენსავით. გარეთ ლაჩრები დადიან, ზოგიერთები. დიდი სასწაული მოხდება!

• აბა, როგორ ხართ? ძალიან საყვარლები ხართ. ცაკალელი გოგო.

• ყველანი კარგები ხართ. „ოდნოში“ თქვენი „გრუპა“ ვერსად ვნახე, რა�ა. ცაკალელი გოგო.

• იცი, რას ნიშნავს ერთი წუთი თუნდაც უშენოდ? არ ვიცი, რა ვქნა და თან ჩემს თავს როგორ ვუშველო, თვალებს დავხუჭავ, მეტირება, რატომ — არ ვიცი, ალბათ უშენოდ ყოფნას გული ძლიერ განიცდის, სული მელევა და გული მტკივა, როცა მარტო ვარ, ასე მგონია, უშენობამ დამიმარტოვა. კუდრაჭა.

• CRAZY GIRL, გმადლობ, ჩემო კარგო! მიხარია, რომ გახსოვარ. ძალიან კარგი ხარ! ნიბუც ძალიან საყვარელია, პირადად ვნახე. ნუ, თითქმის მეზობელია, რა. ჩეგე, გკოცნიიი. დამავი.

• EKO BOY (აჭარელი ხარ და ასე ვხუმრობთ შენზე, რამდენიმე მგზავნელი), კარგი ბიჭი ხარ, რომ დაბრუნდი. დავივიწყოთ ძველი წყენა. იკუშკების დაბრუნებაც მიდა, კამელიასიც.

• ვალერი მამასახლისს: ვალერ, შვილო, დიდი ხანია არ მინახავხარ. მე ხომ სიარული არ შემიძლია. ვერ განახულობ. გელოდები, როდის განახავ, ჩემო ერთადერთო ბიჭო. გკოცნის ნუკრი.

• როგორ ხართ, გიჟებო? მოვიკითხავ ყველას, განსაკუთრებით კი იმათ, ვისაც ვახსოვარ. ჭრიჭინი, რა ამბავია, შენ და ცდუნებამ ნუ გამაწითლეთ „გზაში“, არაა საჭირო ამდენი ქება-დიდება და თუ მოგენატრა ჩემი ნახელავი, მისამართი ხომ იცი ჩემი? ჰოდა, მობრძანდი. გაკოცეთ ყველას და თქვენი ჩხუბი არ გამაგონოთ. აბა, ჰე. იდუმალი-ქალი.

• მიგმართავ ბორჯომში, მაიკო ცოცხალაშვილს. გთხოვ, გამომეხმაურე, ჩემო მაიკო. ნუთუ მეგობრობა დანაშაულია? მადლობას ვწირავ უფალს, ვიცი, კარგად ხარ, მაგრამ შენ არ იცი, რომ იმ დღიდან ჩემი ცხოვრება ჯოჯოხეთად იქცა. შენ იყავი ჩემთვის საუკეთესო მეგობარი, დაც და ყველაფერი და ჩემთვის მუდამ ასე იქნები. ჩემი გული ტკივილითა და ტანჯვითაა სავსე, რადგან დავიწყება არ შემიძლია. განა შემიძლია და დავივიწყო? მაპატიე, მაპატიე თუ შეგიძლია. ვტირი, ახლა ცრემლებია ჩემს თვალზე. ნუ დამტანჯავ, ჩემო მაიკო. გული ხომ გაქვს, ცუდი არაფერი გამიკეთებია, ბედნიერი ვიყავი მაშინ, რომ ასეთი კარგი მეგობარი ვიპოვე, შენი სახით, ახლა კი უბედური ვარ. გთხოვ, შემიბრალე მაიკო.

• მაიკო, ჩემო კარგო, გამომეხმაურე... შეიძლება ამ ჟურნალს არც კითხულობდეს. თუ ვინმე იცნობთ, გთხოვთ, წაკითხოთ. მარტყოფი.

• გაიხარე აშლეიკუნა. არიადნა, შეიძლება, გაგეცნო? მოკითხვა ენიგმას და უკვდავ ხმას. გენაცვალეთ სუყველას. ირაკლი ბოა.

• მადლობა ჩემო ცხრათვალავ, რომ ხარ ასეთი შემტევი, ხან ისე სრულყოფილი ხარ, რომ ჩემთვის არ მემეტები. ხატივით შემოგცქერი და ასე უცოლოდ ვბერდები. ბერბიჭა.

• შეგეწიოს მემეე მადლი ნათლობისა, ჯერ გათხოვდი, თვე გალიე თაფლობისა, შვი სიცოცხლე ულამაზეს ვაჟთა, ქალთა და გბირდები, რომ მეცხრე ვაჟს მოგინათლავ. გაკოცე. ბერბიჭა.

• დოქი მიყვარს ღვინით სავსე, ქალი, სავსეუბიანი, ყველაფერი ლამაზი გაქვს, არაფერი — წუნიანი. ცისი, ეგრე რითი მხიბლავ, თუ არა ხარ კუდიანი? ჰა? ჰაა? ჰა�ა? გაკოცე. ბერბიჭა.

• მიყვარს შენი გზავნილები, ამას განა ვმალავ? ჰოი, კაპასებს და დაბოღმილებს არა ჰგავხარ დამავო. კეთილ გზაზე გევლოს მუდამ ასე თბილო გულისაო. ხატითა და ღვთით შეგეწიოს ანგელოზი უფლისაო. ბერბიჭა. დოლარ, შე ბოზო დიაცო, ღირსო მემკვიდრევ დედისა, ვირუსშეყრილო რესურსო, ვენერიული სენისა. უძირო ქვევრი სხვამ გიგსოს, ტაკოზეც სხვებმა გიბწკინონ, განა ნაგავზე ვიპოვე? თავი რომ წაგაბილწინო. მადლობა სანტას და ცისმარს. ASHLEY, ყიფლიბანდი თავის ქალის შემაერთებელი ქსოვილია. კაი ადგილზეა, რაა. ბერბიჭა.

• ვანსკი, ვანელი არა, მაგრამ ბაღდათელი კი ვარ. ნუ, მეზობლები ვართ, რა. სკარლეტს და კოზანოსტრას მოკითხვა. SWEET, შენი ფოტო ალამაზებს ჩემს მობილს. იკა ბოა.

• აუ, ნაგლო და დოლარავ, გააჩერეთ ეგ ტილიანი ენები. ასე თუ გექავებათ, ჩემი ძაღლის სავარცხელს გაჩუქებთ და იფხანეთ. ბერბიჭას და ენიგმას ნუ ეხებით. ნინია.

• მარ, ისევ მე ვარ, როგორ ხარ? ყველა მომენატრეთ და მიყვარხართ. ASHLEY PCD, მაგარი ხარ. გადარეულო, როგორ ხარ? იცი, მეც გადავირიე, მგზავნელების სიყვარულით. ნინია.

• ჰმ, საოცარია. წუთისოფელში უფულო უსულოს ნიშნავს. ესაა ამ ცხოვრების ცინიზმი-ტრაგიკომედია. ეჰა, ღამეე, სულის ჩემისამებრ ბნელო, მამცნე იდუმალი ზრახვანი შენნი... მემე.

• ჭრიჭინ, გეხუტე. მადლობა მატყუარა გინეკოლოგს, რადგან მას რომ არ ეცრუა, თბილი, კეთილი და სულით ამაღლებული მეგობარი არ მეყოლებოდა, შენი სახით. მიყვარხარ. ფლამინგო.

• თუ ჩემით არავინ გაიხარებს, ჩემი პირი კუპრის სწორია. გაითვალისწინე დოლარ, არ წააგებ. ბოდიში, მაგრამ შენი კოკა ყარს და არა ბერბიჭასი ან ენიგმასი. ასე ჩანს. მემე.

• ჭრიჭი, ჩემო ანგელოზო, აზიელო, ჩემო უტკბილესო ფერიავ, ჩემო ძამიკო, თბილო და კეთილო ოლეგარიო, ედე-ციკო, ჩემო ლამაზო, არ გეგონოთ, დამავიწყდით. მიყვარხართო. ფლამინგო.

• ტირიფო, ღმერთმა გვიმრავლოს შენნაირი თბილი ადამიანები. აუცილებლად გახდები დედა. P.S. ძამი, სასწაულები მართლა ხდება. მზეც ამოვა... ჰო, მოხუცი რა გვექნაო? მემე.

• დოლარავ, გოლე-გოლეო, გეტყვი და გაიგონეო. გეყოს, რაც ჩემთან ჭიდილით, რეკლამა აიგორეო. როცა არ გბმარობ, ნუ იხდი, ტრუსები გაისწორეო. ენიგმა. P.S. დოლარ, „გზით“ გიცხადდებ, რომ ხარ მეძავი, დაგიფრინე და ამიტომ მლანძღავ. თუ ვტყუი, მაშინ თქვი, ვინ ხარ, რა დაგიშავე? მარიმ და მგზავნელებმა გაგვსაჯონ. თუ არ იტყვი და შენი ... მარ, არ დამბლოკო, ნუ აძლევ ბოზებს მწვანე გზას, თორემ ჩამექცა უკვე სისხლი. იწვნიონ ამ მათხოვრებმაც, როგორია დედის გინება. ენიგმა.

• გიჟუნია, ყველაფერი კარგად იქნება. რწმენა არ დაკარგო. მე და თემოს ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ. შენზე ფიქრებით ვცხოვრობთ. მიყვარხარ, გკოცნი. შენი სუსუ.

• აი, კიდევ რა: ნუ მკიდია, თუ ვინმეს კოცნიან, დაახარბეთ ხამები. ვისაც კითხვები გაქვთ, პასუხების არ მეხათრება და მოეშვით ჩემს ტელეფონზე ანონიმურ მესიჯის გზავნას. ენიგმა.

• სოფი19, მაგარი ყურადღებიანი ხარ. მოკითხვა პარალელურკლასელ ეშლის. რუისპირო, ტელეფონი რატომ გაქვს გათიშული? შენს დასაც გათიშული აქვს. უკვე ვნერვიულობ. ჭრიჭინა.

• მე ერთგულება არ მაპატიეს. თუ ვინმეს ჩემი ჩრდილი ჩრდილავდა? დღის მოლოდინში ღამე ათიეს, მაგრამ დღეც ღამედ ამოყირავდა. დათო.

• არ ველოდი, ასე მალე პასუხს თუ გამომიგზავნიდით, ბატონო ლევან. ძალიან მიყვარხართ და გაფასებთ. ჯერ არ წამიკითხავს, მაგრამ გმადლობ. ირმა27.

• მოგესალმებით მგზავნელებო. მე ვარ პრინცესა. ჩემი ნიკი კი სხვებმა მიითვისეს. დღეიდან ბათუმის პრინცესა ვიქნები. დიდი სიამოვნებით გაგიცნობდით. გთხოვთ, მესიჯს როცა დაწერთ, მიუთითეთ, ვის ეკუთვნის და ვისგანა. მოვიკითხავ მარი ჯაფარიძეს, რომელიც ყველას გვიყვარს. მარტის თვეში ვისაც აქვს დაბადების დღე, ჩემი თამადობით, ვულოცავ ყველას. გკოცნით. ბათუმის პრინცესა.

• მოგესალმებით. თითქოს რაღაც კი გავიგე, მაგრამ მაინც დამიკონკრეტეთ, თუ შეიძლება, ვინ არიან მგზავნელები ან როგორ უნდა გახდე მგზავნელი? ნებისმიერი თემა შეიძლება?

• მაარ, „ჩემი მწვანე მთვარე“ რომ წავიკითხე, სულ დამბურძგლა და ცრემლები გადმომცვივდა. :(მაგარია ეს მინირომანები. სანტა.

• ASHLEY, რას ჰქვია წახვალ? ზოგიერთი ბოღმიანი ადამიანის ყბედობას ყურს ნუ უგდებ. შენებურად გააჯაზე, რااა... :) მე მაგალითად, სიამოვნებით ვკითხულობ შენს გზავნილებს. ზოგიერთო შურიანო ხალხო, ასე ნუ უფრთხილდებით სხვის ანგარიშებს, რااა. ყველა კარგ ადამიანს მპუა. სანტა.

• პირველად ვწერ მესიჯს. თან ჩემი და მიმტკიცებს, იმდენ მესიჯს უშვებენ, არა მგონია, დაგიბეჭდოსო. მინდა, რაღაც მოგწერო. ეს დამიბეჭდე და მოგწერ. გთხოვ. თამო.

• ემიგრანტებო, რა საჭიროა იმის აფიშირება, აქ რას ვაკეთებთ? ვინ გვეხვეწებოდა, ჩამოდითო ან ახლა ვინ გვახევს კალთებს, დარჩითო? მე პირადად 1 წელი იმისთვის ვიმუშავე, რომ აქ წამოსასვლელად აღებული ვალი დამეფარა. მაგრამ მიღირს აქ შრომა იმად, რომ შვილებს განათლება მივაღებინო და აღარ ვაშიმშილო. ვის რას ვამადლით? სირცხვილია ამდენი წუწუნი! ყოველდღე ვილოცოთ, ღმერთს მშვიდობა, ჯანმრთელობა, მოთმინება და ოჯახებში მალე დაბრუნება შევთხოვოთ! ემიგრანტი.

• აუ, მარი, გთხოვ, ნუ გამიბრაზდი, რა? უცებ ავღელდი და იმიტომ მოგწერე ასე. აწი გთხოვ, დამიბეჭდე ჩემი მესიჯები. გენაცვალე, კარგი გოგო ხარ. გადარეული.

• ახლა შენს მესიჯებს ვკითხულობ და იცი, რომელი ვიპოვე? თითქოს შენ უფრო გიყვარვარ, მაგრამ როდესაც ვჩხუბობთ, ყოველთვის მე ვჩნდები შესარიგებლად. რატომ არასოდეს მწერ პირველი, მაინც ვერ ვხვდები. და აი, მოგწერე მხოლოდ იმიტომ, რომ აღარ გქონდეს სათქმელი. უხეშად ჟღერს, არა? მაგრამ სამწუხაროდ, ეს არის რეალობა! მახსოვხარ ყოველ წუთსა და წამს. მიყვარხარ ზუსტად ისევე, როგორც სულ თავიდან მიყვარდი. ყოველთვის ჩემი კუნკულიკო ხუთკუნჭულა იქნები. უზომოდ მენატრები. მშვიდობით!

• ახლა „გზავნილებს“ ვკითხულობ და რა მიკვირს, იცი? ერთი ადამიანის 3 სხვადასხვა მესიჯია დაბეჭდილი და არიან ადამიანები, ვისი გზავნილებიც დღის სინათლეს ვერ ნახულობს.

• ცისი, მეგონა ხუმრობდი,/ ჟურნალს უხდება ინტრიგა,/ პარდონ, თუ გული გატკინა/ ჩემმა სიტყვებმა, ირიბმა./ ვეძებ და ვერ მიპოვია,/ შენი ტკივილის წამალი,/ რით გაგინელო, არ ვიცი,/ მაგ ურჩი გულის ხანძარი./ დრო გავა და ყველაფერი/ გჯეროდეს, კარგად იქნება,/ ხვეწნა-მუდარას არ გირჩევ,/ შეინარჩუნე ღირსება. ემიგრანტი.

• მარი, გამარჯობა. არ ვიცი რა თემა გაქვს, მაგრამ მინდა ყველა მგზავნელი მოვიკითხო და მოვეფერო. მიყვარხართ ყველა. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. პაწუკა.

• ყველა ემიგრანტს გაუმარჯოს, გაძლებას და ღმერთის მფარველობას ვუსურვებ. მალე დავბრუნებოდეთ ჩვენს ოჯახებს და საქართველო მალე ისე აღორძინდეს, რომ ესენი გახდნენ ქართველების მოსამსახურეები და მიხვდნენ რა ძნელია ემიგრანტობა და ნოსტალგია (თუ საერთოდ იციან, რა არის ნოსტალგია ან მშობლის სიყვარული?). იტალია.

• შენი ერთი მესიჯიც რომ მივიღო, შეიძლება სიხარულისგან გავგიჟდე. სასწაულები არ ხდება, მაგრამ...

• იქნებ გამიმართლოს რა, მარ. უკვე თქვენზე მაფანატებს. მიყვარს ეს ჟურნალი და რა ვქნა? ყველანი კარგები ხართ.

• ისე, ეს დაბლოკვა კაი რამე ბედენაა, ამ „ოდნოში“. ამდენ სიგიომეს ვეღარ უძლებს ჩემი გული და ან „ოდნო“ უნდა გავაუქმო, ან გულიც დამარტყამს-მეთქი, ჯერ კიდევ როდის ვთქვი ეგ, მარა მერე ვიღაზე ვიკაიფო? P.S. ძაან ცუდად ვარ მარ, მაგრამ მე ძლიერი გოგო ვარ. ფეშენა.

• OK, მარიამულ, შევეცდები გაგიგო და ვიმეგობროთ და დავიწყოთ ერთად მეგობრობის კედლის აგება. მე ძველი EKO აღარ ვარ, მორწმუნე ადამიანი გავხვდი და ეკლესიურად დავიწყე ცხოვრება. EKO BOY.

• შეყვარებულს ვეჩხუბე და დამშორდა. საბა98.

• არ გინდათ, ერთითი მეტი მეგობარი გყავდეთ? საბა98.

• ASHLEY PCD, აუცილებლად განახავ „ოდნოებში“. :) ძაღლს რაც შეეხება, მართლა ძალიან მიყვარდა, მარა რას ვიზამთ? ჰო, მართლა, JUST NAT და JUST DO IT, ორივე მე ვარ, მაგრამ ინგლისური ასოებით არ ბეჭდავს მარი და ამიტომ იყოს ისევ MOONSHINE.

• აუ, მარის ცვეტში არ ვევასები, რა... :(მესიჯებს არ მიბეჭდავს... მარიიი! რა დაგიშავე, გოგო? :) მგზავნელებო, თქვენ მაინც მომაქციეთ ყურადღება, რااა... MOONSHINE.

• კაი, მაშინ ვიჩხუბებ, ვინმეს ორნიკიანობას დავაბრალებ და იქნებ შემამჩნიოთ? კამ-კამა.

• ეეჰ, მარი, მარი, როგორ ცუდად ვარ, რომ იცოდე და ეს თქვენი ბრალია. ყოველთვის ვცდილობ, „გზაში“ ვიაქტიურო, მაგრამ იმდენად უყურადღებოდ ტოვებთ ჩემს მესიჯებს... ვიჩხუბო მაინცდამაინც, რომ ყურადღება მივიქციო? კამ-კამა.

• მარტოსულო, მეგობრობა რა პრობლემაა? დიდი სიამოვნებით. კარგი ხარ. კამ-კამა.

• უკვდავო ხმავ, სად ჩამოსულმა ვერ განახე?! ახლაც მაწყდება ნერვები. ჩურჩხელას მაინც მაჭმევდი, რა. კამ-კამა.

• ვიცი მარი, ბევრი რაღაც მოხდა. არ მინდა წარსულის ქექვა. აფერისტი ადამიანი არ ვარ და ყოველთვის მყავს მტერი ამის გამო. თუმცა, ბევრჯერ ცილისწამების მსხვერპლიც ვხდები. მადლობა შექებისთვის და თბილი სიტყვებისთვის. „გზავნილებში“ მანამ ვიქნები, სანამ დავინახავ, რომ ხალხს ვუყვარვარ და ჩემი ადგილია. გაიხარე. უკვდავი ხმა.

• მარი, უდროო მშვიდობისა! ძალიან გთხოვ, არ მომსპო და არ გამაუბედურო, საუკუნეში 1-ჯერ თუ სხვა გისაყვედურებს, ჩემი ობოლი მესიჯი შეიბრალე, მე ხომ არ გსაყვედურობ?

• ეჰ მარი, მარი, რითი მოვინადირო შენი გული, რომ SMS-ბი დამიბეჭდო, ააა? ნამეტანს მავიწროვებ!

• პრივეტ, მარ, ASHLEY ვარ. შენი შეცდომების გამო ვიღაც 13 წლის ღლაპი ინგლისურის არცოდნაში მადანაშაულებს, როცა 5 წლიდან ინგლისურზე დავდიოდი და სუფთად ვფლობ. მე სწორად ვწერ, შენ კი არასწორად მიბეჭდავ. ან ბალღი ვალ დავწერე? ბალტყი ვალ-მეთქი. მეზიზღება სოფლური გამოთქმები და მსგავსი რაღაცები! მთელი დღეა, მოშხამული მაქვს მაგის გამო ხასიათი! ხალხს მაგარი უვიცი და დერევნია ვეგონები!

• ცისიას საცოდაობით გული მეწვის, რაა! და რა მაინტერესებს, იცით? რატომ გვიკრძალავს რელიგია მრავალცოლიანობას? კაცები მაინც დაძვრებიან აქეთ-იქით, არც ქალები თაკილობენ საყვარლის სტატუსს და ეს ოხერი, ბარემ ცოლი ერქვას და კუკუდამალობანა აღარ დასჭირდეთ, არ აჯობებს? რა ვიცი, რა ვიცი... აგერ მაგალითად, ჩვენი ბერბიჭა რამდენს გაახარებდა, ა? მისი კლონები მაინც შექმნან, თორემ დაგვრჩა გაუთხოვარი ეს ანგელოზივით ბაღნები! ემიგრანტი.

• განა ვტირი? ალბათ წვიმა შემხვდა გზაში, სინამდვილემ ოცნებები ჩემში სძლია, ავქვითინდე? არავითარ შემთხვევაში, სიყვარული უცრემლოდაც შემიძლია. ახლა მძულხარ, უფრო მეტად გაცილებით, ძველ იარების არაფერი შეუცვლია, მერე რაა, გამშვიდებენ ქარ-წვიმები, სიყვარული განა ყველას შეუძლია? 9717.

• ნუ გაექცევი შენი ტუჩების მაძებარ ტუჩებს, ვინ იცის, მეტჯერ აღარ გაჩუქონ ალერსი ტკბილი, ამ სანუთროში ღმერთის ნებით ომენენ ტკივილს, დანებდებიან შუაღამის უგონო კივილს. ელოდებიან სიყვარულით გავსებულ მთვარეს, აპრილის მოსვლას... და მხოლოდ მერე კეტავენ კარებს, შეცოდებაა უსიყვარულოდ მიწაზე მოსვლა, უფრო ცოდვაა, შეყვარებულნი კვდებიან როცა. ნუ გაექცევი შენი ტუჩების მაძებარ ტუჩებს და აყვავებულ ალუჩებზე ისწავლე ლოცვა... 9717.

• მერე რაა, რომ ბერბიჭა ენიგმა იყოს? არაჩვეულებრივია. თქვენ რატომ ხარჯავთ ასე ნერვებს, ხალხო? მიდი, ბერბიჭ, ერთი ნიკით კიდევ დაამესიჯე, ამათთვის. კამ-კამა.

• უკვდავ ხმას ნუ ეჩხუბებით, რა. თქვენ არ მყავდეთ ახლა მამა აბრაამის ბატკნები. ძალიან მაგარი ადამიანია. კამ-კამა.

• გამარჯობა მარი და მგზავნელებო. JUST DO IT, მადლობა, მეც მოგიკითხავ. CRAZY, სად დამეკარგე? მოკითხვა. უკარება, გილოცავ... ლოვე კაია, ლომიც კაია, მაგრამ მე ალერგია მაქვს მაგ ცხოველის ბეწვზე. სო-ნიიი, ჩემი კატა გამომწვევად კი არა, სულ ვეღარ მიყურებს თვალებში, ყველი შემიჭამა და სირცხვილით იწვის, თვალს ვერ მისწორებს. სვანის ასული, კარგი ხარ, სოფი, გენაცვალე. ჭორიკანა, ვიტაცებთ? ნიკი შეიცვალე, რა. უკვდავო, გენაცვალე, ლიმონა, კანიბალკა, იდუმალო, აფხაზეთის პრინცესა, ცხოვრებაში მეგრელი არ მომნატრებია და თქვენ მომენატრეთ, სად ხართ, სად? ნიკოლ, ბაო, მავნე, თქვენ რაღა გჭირთ? გურულიც მომენატრა. იცით, რომელი? რაჭველის სისწრაფით რომ მწერდა. მაგარი ხარ, იკუშ. კიდევ? კიდევ ერთი მგზავნელი მენატრება ძალიან, ძალიან მენატრება... კიდევ მაგდა მუშლაძეა მაგარი ადამიანი, არა, თავადის ქალო? ლელუჩიაც დაიკარგა (ისწავლე არაბული)? კიდევ ჩორი, იკჩო, კახელოც წავიდა „გზიდან“, კიკო? სადაა? GREEN, შენ? დამეკარგე? პარიჟანკა? სევდიანი? პატარა მეგიგოგო? კახელი სალომე, დაბრუნდი „გზაში“, აბეზარა და კამ-კამა მომენატრა. ყველას მოკითხვა, რა. :-) 9717.

• სონი, ჩემი დახატული ხარ. ეშმაკუნა, მე აგისრულებ ჩემი ბავშვობის ოცნებას. ტირიფი73, მომენატრე. ოლეგარო, მოგიკითხავ დიდი სიყვარულით და თქვენთან ერთად კიდევ ერთ ადამიანს მოვიკითხავ, რომელიც ვიცი, კითხულობს „გზას“. მოვიკითხავ დიდი მონატრებით და ვუსურვებ ღვთის მფარველობას. მიყვარხართ

ოო. ნესი-ნესუკა.

• ბერბიჭ, საქმე ცუდად არის,/ ვხედავ ისრებს გესვრიან,/ ვერ გაუძლებ, ვშიშობ, მალე,/ ვარსკვლავურ სენს შეგყრიან./ აუ, რამდენს მოსდებია,/ შენი ტრფობის ალები,/ მტერზე უფრო საშიშია, ვნებიანი ქალები./ ვფიქრობ, მალე გადაჯოკრავ,/ ფანთა რიცხვით ბრედ პიტსაც,/ ჰოლიივუდში თუ ის ბრწყინავს,/ მობილ-ვუდში ბერბიჭა. ემიგრანტი.

• მარი, შენ ხომ არ გინდა, ჩვენ ერომანეთს ცოცხლად ვჭამდეთ? ხომ არ გსიამოვნებს, ასე ნაფლეთ-ნაფლეთ რომ ვგლეჯთ ერთმანეთის სიყვარულსაც, მეგობრობასაც და სიკეთესაც? მარი, დედას გეფიცები, გაოგნებული ვარ! უბრალოდ, გული მტკივა და სიამოვნებით ვიტირებდი ამ მასკარადზე. რამდენი წელი უნდა გაგრძელდეს ეს უბედურება? დღემდე რატომაა საუბარი ენიგმას მშობელზე, ვერ ვხედები. დაგიშვავთ იმ ქალბატონმა ვინმეს რამე? ქართველები არ ხართ, ხალხნო? რა უფლება გაქვთ, სხვის მშობელს აუგად რომ მოიხსენიებთ? შეეშვით სხვის გაკრიტიკებას და საკუთარ ცხოვრებას მიხედეთ, რა. ასევე ASHLEY-ზე შემიძლია იგივეს თქმა. მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთთან მთლად კარგად ვერ ვართ და უფრო მეტიც, ნაჩხუბრები ვართ, მაინც არ მსიამოვნებს მის სახელზე მოსული ათასი საზიზღრობა. ესენი არც პირველები არიან და დარწმუნებული ვარ, არც უკანასკნელები! უბრალოდ, მთელი გზავნილეთის სახელით გთხოვ, ამ კვირიდან ყოველგვარი ბოროტული მესიჯი დაბლოკო, თუნდაც „მობილი-ზაციაში“ მოსული! თუ ასე გაგრძელდა, „გზავნილებს“ დაერხევა და დარწმუნებული ვარ,

მარ, შენ ეს არ გინდა. ამავდროულად, ამ ლანძღვის ფონზე უამრავ ნიჭიერ მგზავნელსაც დაკარგავ. ჩვენ აქ გასართობად და ერომანეთის სიყვარულისთვის უნდა ვიყოთ და არა შურ-ბოროტებისთვის. მარი, დაგვეხმარები? თუ ნებას მისცემ, აქ, ჩვენს სამყაროში ისეთმა ხალხმა იბოგინოს, ვისაც გული შურით უსკდება? იმედია, არა... დარწმუნებული ვარ, ჩემი მესიჯი ბევრს განარისხებს და რამდენიმე უნიკოდაც მიმალანძღავს, მაგრამ აღარ მადარდებს! ცხოვრებისეული პრობლემებიც ბლომად მაქვს და აღარ მინდა თქვენს ვაისენსორულობას ვუყურო. მარ, დაგვეხმარე, ვი-ღუ-პებით! დამავიო.

• SWEET-მა თქვა, არ ვნანობ მგზავნელობასო. მე ვნანობ! ვნანობ ჩემთვის საყვარელი ადამიანი აქ რომ გავიცანი. იმდენად ბინძური სულის ადამიანები აღმოვაჩინე აქ, იმათ გვერდით ჩემი თავის დანახვის მრცხვენია. ნეტავ, უბრალოდ შორიდან მეყურებინა თქვენთვის და ასეთი ბევრი და ცუდი რამ არ გამეგო. ვნანობ, თან ძალიან... გუდა.

• მარ, მართალია არ გიცნობ, მაგრამ ისე ლაპარაკობენ შენზე მგზავნელები, სიყვარულით და აღფრთოვანებით, რომ მეც შემიყვარდი, მართლა. :) იმედია, ოდესმე გავიცნობთ ერთმანეთს. MOONSHINE.

• უკვდავი ხმა, საღოოოოოლ. აი, იმენა, ჩაგეთვალა რა, მაგარი სონგი გამოგივიდა. :}:) MOONSHINE.

• GREEN GIRL, უეჭველი გნახავ „ოდნოში“ და რა ვი, იმედია, ვიმეგობრებთ. :) რას იტყვი? ჯუსტ ნათ, შევცვალე და ჩემი ნიკია MOONSHINE.

• ეჰ, მარი, მაინცდამაინც მაშინ გაგაბრაზეს, როცა ბევრი ლექსის გამოგზავნას ვაპირებდი. გთხოვ, ეს მაინც დამიბეჭდე: ძალიან ვწუხვარ ნოდარ ქუმარიტაშვილის გარდაცვალების გამო. ბაკურიანში მათთან ახლოს ვცხოვრობდით და დღეში რამდენჯერ გამივლია იმ სახლთან. ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს, მის სულს. სვანის ასული.

• ეჰ, მარი, უფულობას რა ვუთხარი, თორემ მე ახლა „უგზოდ“ უნდა ვიყო? ლარიანი არ მაქვს, ჟურნალი რომ ვიყიდო. არც დაირიცხა ხელფასები. თავდაცვა თუ შინაგანი, მაინცდამაინც 28 თებერვალი უნდა იყოს, ხელფასები რომ დარიცხონ? ვზივარ სახლში და მივშტერებივარ „რუსთავი2“-სა და „იმედს“, უნიჭო სერიალებს. ფსიქიატრიულის ნომერი მინდა, ჩემი ფეხით მივალ. უუუუ! მგონი მართლა გავგიჟდი! ჭორიკანა ასინეთა.

• სანტა, გავიდა ახალი წელი, შეიცვალე ნიკი. :) ახლა აღდგომა მოდის და აღდგომას რომ შეეფერება, ისეთი ნიკი დაირქვი. მაგალითად, პასკა-პასკა. ხომ მაგარია? :) გადარეული.

• მარ, როგორ ხარ, საყვარელო? ASHLEY, ხომ იცი, რომ უნდა დარჩე? ძალიან მიყვარხარ! ყველანი მიყვარხარო! მარ, გადარეული გავიცანი, ძალიან კარგი ადამიანია და რომ არ გაუბრაზდე — არა? ;)) ჰო, ძალიან გამიხარდა, EKO BOY-მ და მის რეალმა რომ მოგიბოდიშა. კარგი, წავედი, გკოცნით, გეხვევით, გებღაუჭებით... CRAZY GIRL.

• ახლა გადავაბუნტულე ძველი „გზები“ ისეთ კარგ ხასიათზე დავდექიიი... :) იმდენი ვიცინეეეე... :) გეიხარეთ თქვენა, რომ არსებობთ. მმა. :) სანტა.

• მარ, გულით გთხოვ, როგორც უნდა მლანძღონ, ნუ დამინდობ და დაბეჭდე, მაგრამ მართლა ძალიან ცუდად ვხდები, როცა ეს ქუჩის ქალები დედაჩემის ხსენებას ბედავენ და ამას ბეჭდავ. არც შენი ვაჟი შეარჩენს ვინმეს დედის აუგად ხსენებას. მარ, დედას ვფიცავარ, ცხოვრებაში არ მითქვამს: ბოზიშვილი ვიყო, ჩემი დედა და ა.შ. ნუთუ ქართველი ვაჟკაცისთვის დედისადმი პატივისცემა მოდაგასული ცნებაა? როდისმე ვინმეს დედას შეეხებივარ? მარ, ძალიან გთხოვ, მიმართე დოლარას, თქვას, ვინაა და რა დავუშავე. მიზეზის გარეშე ასე ლანძღვა შეიძლება? ყოველთვის ვცდილობ, ასეთებს, ვირტუალური სექსისკენ რო მიბიძებენ, მშვიდობიანად დავემშვიდობო, მაგრამ რა ჩემი ბრალია, თუ ლიბიდოთი აზროვნებენ? ჰკითხე, დედა ვაგინე? ვინმე მოვუკალი? მაგისთანას ცეცხლში ჩასაგდებად არ დავინდობ. გთხოვ, „მობილიზაციაში“ არაფერი დამიბლოკო, თორემ გასკდა გული. ენიგმა.

• იბადებოდი და ჩემს მკვლელად გწერდა უფალი, იბადებოდი იმისთვის, რომ გეტანჯე მუდამ, შენ მიტომ გაჩნდი, რომ არ ვიყო თავისუფალი, მთელი ცხოვრება შენ რომ მყავდე ფიქრად და დარდად, იბადებოდი, რათა მუდამ შენთვის მელოდა, იბადებოდი, ჩემს შემშლელად გწერდა განგება, იბადებოდი ჩემი ურჩი, ჩემი თავნება. ეს კი დიდი სიყვარულით, „გზას“ და მგზავნელებს. მიკრი.

• შენი სურნელი დაუკარგავს ყველას გონებას, შენი ტუჩები აიძულებს უხმოდ მონებას, ყოველი კაცი ცის ანგელოზს თუ ემონება, შენს სილამაზეს ანგელოზიც დაემონება. მარიკუნა, ეს პატარა ლექსი — შენ. სიყვარულით, მიკრი.

• ინტრიგნებიც ხართ და არც რაა... სულაც არ ეწერა ჩემს მესიჯს ლუნა და ეგ იმის ბრალია, ვინც ჩემს მესიჯს ლუნას მესიჯი „ჟუვაჩკით“ მიაწერა. თუ ლუნას მესიჯი მიაწერა ჩემსას? ინტრიგნები ისინი ხართ, ვინც სვეტას, კახუს და ანას ერთდროულად შეუტიეთ. თქვენც მეყოფით დაწყობილები. ამდენი თავის ქება გამიგია? ტყუილად გაგაღვიძეთ, მაინც გძინავთ და ისევ უკვდავ ხმას ხედავთ სიზმარში... მშვიდობაში მოგახმაროოთ.

• ...„ყველაზე ჩემი“... გაავგიჟდებიიიიი... თითქოს ჩემი გზავნილია, იმდენად ჩემია... გული მიკვდება, ნელ-ნელა. უიმისოდ უბრალოდ ვერ ვიქნები. დათუნა ჩემი დილაა, ჩემი ღამეა, ჩემი ყველაფერია. ასეთი უმწეო ცხოვრებაში არ ვყოფილვარ. ვასასი.

• ყველა მგზავნელს მივესალმები და მარის განსაკუთრებით მოვიკითხავ. მართალია, ხშირად ვეღარ გწერთ, მაგრამ ყველანი ძალიან მიყვარხართ. პირველად „გზის“ კითხვას „გზავნილებიდან“ ვიწყებ. მიხარია, რომ ახალგაზრდები ასეთი აქტიურები არიან და ცდილობენ ჩვენს გამხიარულებას. კვირა დღე ჩემთვის ორმაგად სასიამოვნოა. „გზას“ რომ ვკითხულობ, თავი საქართველოში მგონია. გაიხარეთ, ჩემო საყვარელო ხალხო. მუდამ ვლოცულობ, რომ მშვიდობიან, აყვავებულ და ლამაზ საქართველოში დაბრუნდე. უფალი გვფარავდეს ყველას. ნანუკა24.

• ჩემო საყვარელო მგზავნელებო, ახლა ამ მესიჯს საოცრად დაღლილი და ძალგამოცლილი ვწერ. ერთი სული მაქვს, როდის დავდებ თავს ბალიშზე და მოუთმენლად დაველოდები ჩემს ძილის ანგელოზებს, რომლებსაც გიოს SMS დამიფრთხობს. მგონი შეყვარებული ვაარ... ASHLEY, სიხარულო, „ოდნოში“ დაგამატე. ძალიან მომენატრეთ. ჩაგკოცნეთ. თოლია.

• ნახე, როგორ წვიმს, ქუჩას ატყვია სველი წვეთების ლამაზი კვალი, ცხელი სინაზით ამბორს გიგზავნის ლოდინით ძლიერ დაღლილი ქალი. მესმის, ხმაურში ღონდება დილა, სევდის ფერებით იმოსავს სახეს, შენს დაბრუნებას ისევ მოველი, ისევ ვათენებ ეულად ღამეს. ცრემლად მოვლენილ სიყვარულს ვლოცავ, ოცნებებში რომ ვხატავდი ნათლად, მივყვები ქუჩას და მიმაცილებს გაცოცხლებული სულები ქვათა. ისე დავცილდი შენს გულის კარებს, სულის ძახილმა ვერ მოაღწია, რომ ერთადერთი, ვინც მართლა მიყვარს, ღამეულ სიზმრად გადამიქცია. ნახე, როგორ თოვს, ქუჩას ატყვია, ფიფქებში შენი განვლილი კვალი, ისევ მოგელის მთელი არსებით, შენზე მლოცველი პატარა ქალი.

• ნიკო გომელაურზე ვგიჟდები. მაგარი კაცია ძაან. სანტა.

• მარ, როგორ ხარ? მჯერა, ასეთი კარგი მგზავნელები მოწყენის საშუალებას აღარ მოგცემენ, გეხუტუნე. მარ, ცოტა მოგვიანებით, მაგრამ ჩემი დაუვიწყარი ვალენტინობის ამბავი უნდა მოგწერო: ჩემმა ქალბატონმა შეყვარებულის მაგივრობა გამიწია და ვალენტინობას დიდი საჩუქარიც გამიკეთა. არ მკითხავ, რაა? დიდი დათვი, რომელსაც ყელზე შოკოლადით სავსე გუდა ქონდა მოკრული და პატარა, წითელი გული ეჭირა თათებით. ვერ წარმოიდგენ, რა სიხარული განვიცადე. მართალია, შეყვარებულისგან გაკეთებული საჩუქარი სხვაა, მაგრამ ეს ლამაზი და დაუვიწყარი რამ იყო ჩემთვის, რაც კი ოდესმე გაუკეთებიათ. გაიხაროს ყველა ასეთმა ბერძენმა, ვინც ჩვენს გახარებას ცოტათი მაინც ცდილობს. ნანუკა24.

• ASHLEY PCD, გნახე „ოდნოებში“. ძალიან საყვარელი გოგჩო ხაარ. GREEN GIRL, შენც მოგძებნე, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ გნახე, სხვა ამომიგდო. :(MOONSHINE.

• მარიამულ, ნეტავ ვიცოდე, რაზე კამათობენ და ჩხუბობენ? ვინ რამდენი ნიკით დაამესიჯებს, ვისი რა საქმეა? თუ შენ არ მოგწონს, სხვას მოსწონს და ნუ მიაქცევ ყურადღებას, მაგრამ ზოგ-ზოგიერთებს არ შეუძლიათ ბოღმის გარეშე სიცოცხლე. ენიგმა და ბერბიჭა, დაიკიდეთ ყველა არამკითხე და ნერვების მომშლელი. იმკითხაონ, ერთი პიროვნება ხართ თუ არა. ყველა ტკბილ და თბილ მგზავნელს გაუმარჯოს! ბოროტების დედაც, დღეში ასჯერ, ოჯახიანად! თამარი იტალია.

• ცხრათვალას: ღირსეული ხარ, გეტყობა/ მართლაც რომ ბედი გქონია/ ბერბიჭას გულზე რადგანაც/ შენ დაგრჩა მონოპოლია/ ცხრა თვალი ფხიზლად გეჭიროს,/ არ მოადუნო გონია,/ ასეთი კაცის ცოლობა/ ბევრ ხიფათს შეგყრის, მგონია. ემიგრანტი.

• მარ, ბერბიჭას, ცხრათვალას და ცისიას კაფიები მოვაგროვე, დავალაგე და ერთ მძივად ვაქციე, რადგან დამენანა დასაფანტავად. მშვენიერი მინიპომმა გამოვიდა. თუმცა, რაღა მინი, 11 ფურცელი გავავსე და ბერბიჭას ქორნილამდე ვაპირებ გაგრძელებას. მერე კი ნეფე-დედოფალს გამოვუგზავნი საჩუქრად. ჩაგეხუტეთ, მარი და მგზავნელებო. ყველა მიყვარხართ, განსაკუთრებით — პოეზიის მოყვარულები. ემიგრანტი.

• მე გზავნილიდან განდევნილი ვარ ანგელოზი, ცით დავენარცხე და ისევე ვიქეცი ქალად, ვიბედოვლათე, რომ განვსაჯე სხვათა ცხოვრება და ამიტომაც ყოვლისშემძლემ დამსაჯა მკაცრად. ცოდვა მაქვს დიდი, ღვთაებრივ ნიჭს ვანათხოვრებდი, უაზრო ბოღმით მიხარჯია რითმების ჯარი, თუმც ვლოცულობდი ყოველნაირ სამგზავნელოზე და ამიტომაც ღია მქონდა ყოველთვის კარი. გამომიცდია, თუ როგორია, რომ ხარ ეული, რომ ცივად გიმზერს სათვალიდან ვიღაცა შიშველს, გამომიცდია, რა გრძნობაა, რომ ხარ მგზვნელი, სტატუსი კი გაქვს, მაგრამ შიგნით არავინ გიშვებს. იყო დრო, როცა თავი მართლა მეგონა „ვინმე“, ამპარტავნობით ლიმონაც კი მოვირგე ნიკად, ციტრუსების და სამეგრელოს დედოფალ მგონი, ისევ მაქცია რეალობამ იმად, რაც ვიყავ. ცცხოვრობდი „გზაში“ სიხარულსა და წუხილს შორის, მგზავნელობის ჟამს მუდამ მდევდა სევდა ტიალი, თუმც ჯაფარიძემ ჩემ სარკმელთან ინათა შუქად და მის რეალის დაბრუნებით გაკრთა ციალი. მე მგზავნელობა არა მწამდა ლიკას გარეშე, მის დაბრუნებამ მეც მაქცია მასთან უკვდავად, „გზას“ დაუბრუნდა დაკარგული, თეთრი მერცხალი, სამგზავნელომაც გადაიძრო მუქი სუდარა. გაზაფხულია... მზის სხივებით გამითბა გული, სულში სიმები ააჟღერა მარტმა გიტარად, გაზაფხულია, მგზავნელებო, სალამი, ჰეი, მე რეალობამ საოცნებო კარტი მიტარა. ლიმონა. P.S. ყოველ ფურცელზე მეგულება ულევი სითბო და ყოველ გვერდთან სინდისია დარაჯად მდგარი, ყოველ გზავნილში ქართველური იგრძნობა სიტკბო, თუმც ყოველ სიტყვას დარჩენია ჩემს გულში კვალი... P.P.S. ბერბიჭ, დარჩი, ძმურად... საქმემან ჩვენმან გამოგვაჩინოს ჩვენ... ლიმონა-მანიუ.

• მარი, შვილო, უკვე 9 თვის ხარ, ჩემო ანგელოზო. დედიკოს ძალიან უყვარხარ და ენატრები. ყოველთვის შენთან ვარ, ჩემო ნამცეცავ, დილის გათენება შენით მიხარია, მარიამ, შვილო. გპირდები, ძალიან მალე დაგიბრუნდები და სულ ერთად ვიქნებით. აღარასოდეს დაგტოვებ. სიზმარში გეფერები ბევრს. ძალიან მალე ავიხდენ სიზმარს, ჩემო პატარა ანგელოზო. ვერავინ შეძლებს, შენი თავი წამართვას. მიყვარხარ და ტკივილამდე მენატრები, მარიამ ქელბაკიანო. სალომე.

• ზღვა დაშრება, შენს ლოდინში დაილევა, მზე დაჭკნება, ჩამოწყდება ატამივით, საუკუნე საფერავში აირევა და შეცდება ადამივით. სიყვარულს გთხოვ, რომლისთვისაც გული დავთმე, გთხოვ, ნუ მომკლავ ჯოჯოხეთურ განაჩენით, შენ მე დარდით ღამენათევს შემხვდი სადმე, მერე თავად ღმერთმა იცის, დანარჩენი. სვანის ასული.

• რა უდროო დროს გამოგეცხადე, მშვიდად ცხოვრება არ დაგაცადე, მაგ სულის ფსკერზე მსხვილ მარგალიტებს, ქვიშა და ლამი გადავაცალე. შეგამჩნიეს და ატყდა კამათი, ვინ რა მოიმკო, ვინ რა დათესა და ჩემთვის ყველას ისე შეშურდი, მე არ გაქციე თითქოს ასეთად. სვანის ასული.

• ყვავ-ყორნებს ტყვიას უგზავნის/ ვარდთ უძღვნის ტკბილსა გალობას,/ ნეტავ, რა დედამ გაზარდა,/ ვენაცვლე მისსა ქალობას,/ პირდაპირია ბერბიჭა,/ არვის არიდებს თვალებსა,/ არც ვინმეს ვალი არ უნდა,/ არც სხვას შეარჩენს ვალებსა./ ორლესული აქვს მახვილი,/ რითმაც ტკბილ-მწარედ ალესა,/ ორ ფრონტზე ებრძვის გმირულად,/ იქით მტრებს, აქეთ

— ქალებსა. ემიგრანტი.

• აუ, რა მშვიდი და უშფოთველი იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, ამდენი ნერვების ამწეწ-ამთქვლეფავი რომ არ გვყავდეს გვერდით, არაა? მაგრამ არავის მივცემ უფლებას, ჩემი ნერვების ხარჯზე ისწავლოს ცხოვრება... დღეიდან ვიმოქმედებ უკვდავი პრინციპით — დაიკიდე, მოგეშვება... ნუ, იმედია, მოვახერხებ და შედეგებსაც მოგახსენებთ... SWEET-GIRL.

• მა�არ, ძალიან კოშმარული კვირა მქონდა და ვერაფერი მოგწერე სახალისო. არადა, რამდენი მქონდა მოსაყოლი?! ეჰ, ამ უხასიათობას რა ვუთხარი, თორეეემ... SWEET-GIRL.

• ვანსკი თელავს წარმოვადგენ, კახეთის დედაქალაქსაო, ყველა კუთხეს პატივსა ვცემ, ვუქებ კაცსა და ქალსაო. „გზაში“ მიტომ მოვფრენილვარ, ლექსად გიძღვნით სალამსაო, ვეფერები ჩემს მეგობრებს, უცხოებს თუ დაქალსაო...

• ჩემი ფიქრი მინდა განდოთ, ლექსად თქმული მრავალსაო, მისს ალასანიას ვეტყვი, ბევრს ნუ მისხამ ყავასაო, რომ მიყვარხარ, ისეც იცი, კიდევ გეტყვი ამასაო. შემოვევლე ჩუპის, კიკოს, და ლიმონა ქალასაო. სიკვდილ, გკოცნი რეალ-ურად, არ დავიწყებ კამათსაო, კოზანოსტრას მოვიკითხავ და ყველას, ჩემსა ძმასაო. ათენ23-ს ვულოცავ, აბედნიერებს ქალსაო. ისევ ლექსისთვის ვაწუხებ, თქვენსა უკვდავსა ხმასაო.

• წინა ნომერში ვეღარ მოვასწარი მოწერა... უუუღრმესი მადლობა იუდას კაცს, ჩემი მისამართით ნათქვამი თბილი სიტყვებისთვის... თუ მართლა ძალიან მაფასებ, შეიძლება, რაღაც გთხოვოოო? ნიკი შეიცვალე, რააა. საყვარელი ადამიანი ხარ და ეგ ნიკი შეუსაბამობაში მოდის, შენს პიროვნებასთან... SWEET-GIRL.

• სულგრძელ ადამიანად არ მივიჩნევ თავს, მე ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, ჩემი მინუსებითა და პლუსებით... ბევრჯერ მეტკინა გული და ბევრი სიხარული მიგემია... აქ არიან ჩემი მეგობრები და ამიტომ ვარ აქ მეც. მადლობა მინდა ვუთხრა იმ ადამიანებს, ვინც ამ ხნის განმავლობაში არ დამივიწყა და მთხოვდნენ „გზაში“ დაბრუნებას. მე თქვენთვის დავბრუნდი... მინდა ვთქვა, არანაირ კამათში არ ჩავებმები. მე მხოლოდ ჩემსას დავწერ და თუ რაიმე ცუდი დაიბეჭდა ვინმეს მიმართ, იცოდეთ, რომ ეს მე არ ვარ და პროვოკაციაა. გაიხარე, ჭრიჭო, ASHLEY, ოლე, სოოფ, ცდუნება, ჭორიკანა და ყველამ, ვისაც გახსოვართ და ჩემთან ხართ. გკოცნით... P.S. ჰო, მართლა, მიტევების დღე ყოფილა რამდენიმე დღის წინ. მიპატიენია ყველასთვის, ვინც პატიება მთხოვა და მეც მაპატიეთ... უკვდავი ხმა.



გილოცავ!

• ჩემს სიცოცხლე და სიხარულ შვილს, გიგა ზარიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. 22 თებერვალს 14 წლის ხდება. ბევრი ლამაზი და ბედნიერი წელი შეგემატოს.

• დაბადების დღის იმ ლამაზ ღამეს, შენი აკვნისთვის ღმერთს ულოცია, ერთი სიცოცხლე რაა შენთვის და ისიც შენთვის დამილოცნია. იხარე და იბედნიერე, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

• 17 თებერვალს ათენში მყოფ მამუკა ბენდელიანს დაბადების დღეს ვულოცავ და ვუსურვებ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას, ოჯახთან ერთად.

• 23 თებერვალს დაბადების დღეს ვულოცავთ ბესო კაპანაძეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და ღვთის წყალობას. სიყვარულით, მეუღლე თეა და შვილი გიორგი. გმადლობთ.

• დაბადების დღეს ვულოცავთ დიდი სიყვარულით, ირმა მიგრიაულს. ვუსურვებთ ყველაფერს საუკეთესოს. გიორგი, ბესო და თეა, ახალციხიდან.

• სოფელ წყალაფორეთში ჩვენს საყვარელ დედას, ნათელა ხიჯაკაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს, 26 თებერვალს. ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და უფლის წყალობას. შვილები.

• სოფელ წყალაფორეთში ჩემს საყვარელ ნათელა მამიდას ვულოცავ დაბადების დღეს, 26 თებერვალს. მამიდ, რაც სურვილი გაქვს გულში, ყველაფერი აგსრულებოდეს. შენი თოკო.

• რუსთავში თოდრიას 3-ში, ჩემს საყვარელ მამიკოს, სოსო ჭიპაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 27 თებერვალს. მამი, დიდხანს სიცოცხლეს გისურვებ, ოჯახთან ერთად. შენი თოკო.

• ჩვენს ბიძას და უფროს ძმას, სოსო ჭიპაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, 27 თებერვალს. ანდრეევიჩ, მრავალს დაესწარი და გფარავდეს უფალი. ვოვა და მიშა ხიჯაკაძე.

• ნათია მახარაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, 27 თებერვალს. ჯანმრთელობასა და ბედნიერებას ვუსურვებთ. ღვთის წყალობა არ მოჰკლებოდეს. ნინო და ნათია.

• ნინო კომახიანს დაბადების დღეს ულოცავენ ძმა, ირაკლი კომახიანი, შვილები, მარიამ და ბექა ბუკიები და მეუღლე, კახა. უსურვებენ ულევ სიხარულსა და სიყვარულს.

• ჩემს გოგონას, სოფო ზუბაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 28 თებერვალს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ყოველივე კარგს. უფალი გფარავდეს. დედა.

• გურიაში, დაბა სუფსაში მცხოვრებ ტიკარაძე ვარდოს, საუკეთესო დედასა და ბებიას მინდა მივულოცო დედის დღე, 3 მარტი. ვარდო დედა, გისურვებ ჯანმრთელობას, სიკეთეს და იმდენ წელს, რამდენიც ღამაზი ვარსკვლავია ცაზე. მინდა გითხრა, რომ ხარ ბედნიერი დედა და ბებია, საუკეთესო შვილებისა და შვილიშვილების აღზრდისთვის. ღვთის ძალა და მადლი გფარავდეთ. ბაჯელიძე.

• საბერძნეთში მცხოვრებ გვანცა სოხაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. სიხარულო, სულ ბედნიერი და გახარებული მენახე. ღმერთი იყოს შენი მფარველი. გკოცნი. ნინჩო.

• ხონში მცხოვრებ მედიკო ტვილდიანს ვულოცავ 3 მარტს, დედის დღეს და ვუსურვებ ჯანმრთელობასა და სიხარულს. დედა, მინდა მოგეფერო და გისურვო ბევრი ღამაზი წელი. შენ ხომ ჩვენი იმედი და ბურჯი ხარ. მენატრები. ნესტანი.

• ათენში დროებით მცხოვრებ ქართველ ემიგრანტს, ქალბატონ ნინო ხარშილაძე-კურტანიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. გილოცავ ნინო, ძვირფასო და გისურვებ, რომ შენი სიცოცხლის დარჩენილი წლები შენი საყვარელი შვილების გვერდით გაგეტარებინოს. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს. დალი კოჭლამაზაშვილი.

• ქუთაისში გურიკა კიკნაველიძეს 27 თებერვალს ულოცავს ღამზირა ბიცოლა, დაბადების დღეს. გურიკა, ბიცოლა, იყავი ჯანმრთელი და დამჯერი ბიჭი, რომ შენი დედიკო გაახარო.

• ჩემს სიცოცხლეს, 5 წლის უნახავ შვილს, ლიკა ცისკარიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 19 თებერვალს. სიხარულო, გისურვებ ჯანმრთელობასა და ჩანაფიქრის ასრულებას. ძალიან მიყვარხარ და სიგიჟემდე მენატრები.

• უსაყვარლესო ლანუკა, გილოცავთ დაბადების დღეს. ღმერთმა გაგზარდოს სასახელო შვილი. გაგეხარებინოს შენი დედიკოს და მამიკოს გული. გვიყვარხარ ძალიან. გკოცნით.

• ჩემს პირველ სიხარულს, შვილიშვილს, ლაშა მერმანიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს 23 თებერვალს. ჩემო სიამაყევ, ჭკვიანო, ბრძენო, გიკოცნი ლამაზ თვალებს. მანანა, ნანა, ჯონი, ზაალი, ლელა. გფარავდეს უფალი, მენატრები ძალიან. მინდა ჩაგეხუტო, მოგეფერო, ბებოს გულავ. შენი ცისანა ბებო.

• ლანა, გილოცავ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი. გისურვებ ჯანმრთელობასა და ღამაზ ბავშვობას. შენი გუგა.

• დაბადების დღის ბედნიერ ღამეს შენი აკვნისთვის ღმერთს ულოცნია, დიდხანს სიცოცხლე ცოტაა შენთვის, ტკბილი სიცოცხლე დამილოცნია. 23 თებერვალს ჩემს დედიკოს ვულოცავ დაბადების დღეს. დედიკო, მრავალს დაესწარი, შენს ოჯახთან ერთად. მუდამ ბედნიერი მენახე. ძალიან მიყვარხარ და მენატრები. გკოცნი შორიდან, შენი თეო.

• ჩემს ძმას, ნუგზარ მამადაშვილს და რძალს, ნინო ჩეკურიშვილს ვულოცავ გაბედნიერებას. ყველაფერი კარგი და საუკეთესო თქვენთვის ყოფილიყოს, ჩემო კარგებო. ბედნიერები ყოფილიყავით, თქვენი ცხოვრების მანძილზე. თქვენი ნინო.

• ჩემს პატარა, ლამაზ, ბებოს სიხარულს, თინიკო გველესიანს მინდა მივულოცო დაბადების დღე, 24 თებერვალი. გაიზარდე ჯანმრთელი, ბედნიერი და სასახელო. ყოფილიყავი ჯერ კარგი შვილი, მერე კარგი მეუღლე და კარგი დედა. გკოცნი და გეფერები, ჩემო კუდრაჭავ. შენი თინიკო ბებო.

• ათენში დროებით მცხოვრებ ჩემს მეგობარს, ია მკერვალიძეს მინდა მივულოცო გაზაფხულის მოსვლა. ჩემო გაზაფხულივით მშვენიერო, ქალო ლამაზო, რომელსაც გამშვენებს ადამიანური თავმდაბლობა, მეგობარო სულისაო... სულ მენატრები, სულ განუწყვეტლივ მენატრები, მაშინაც კი, როცა შენი ხმა მესმის. ასმათ ლოზულაშვილი.

• ქუთაისში ჩვენს ბიძაშვილს, გურიკა კიკნაველიძეს 27 თებერვალს ვულოცავთ დაბადების დღეს. გური, მრავალი დაბადების დღე მოგვეღოცოს. ზურიკო და თორნიკე კიკნაველიძეები.

• ქუთაისში გურიკა კიკნაველიძეს, ჩემს მაზლიშვილს, 27 თებერვალს ვულოცავ დაბადების დღეს. გურიკა, ჯანმრთელი და გახარებული მენახე მუდამ. შენი ბიცოლა ღამზირა.

• მონატრებულ შვილს, ბესიკ ცხოვრებაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 27 თებერვალს. ჯანმრთელობა და სიხარული არ მოგიშალოს ღმერთმა ლალისთან, მარისთან და გიორგისთან ერთად. ჩემო შრომით დაღლილო, დედა გკოცნის და გეფერება შორიდან. მაია.

• ლილე სვანაძეს ვულოცავთ იუბილეს. ვუსურვებთ ულევ სიხარულსა და ბედნიერებას. ღმერთმა დაგლოცოს. მამიკო და დედიკო.

• დაბადების დღეს ვულოცავთ ღალი კვაჭანტირაძეს. გვინდა, რომ სულ ბედნიერი იყოს. ღმერთის წყალობა არ მოგკლებოდეს. შოთიკო და ნათია.

• 28 თებერვალს, ჩემს ლამაზ ძმისშვილს, ანი ქავთარაძეს ვულოცავ დაბადების 8 წლის იუბილეს. ჯანმრთელი და გახარებული მიმყოფოს ღმერთმა შენი თავი, მამიდას დახატულო. ღმერთი გფარავდეს, ჩემო ანგელოზო, შენს მშობლებთან, ძმებთან და ყველა შენს ახლობლებთან ერთად. შენი მამიდა, შორენა ქავთარაძე.

• ირმა დევიძეს 23 თებერვალს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, სიყვარულს, სიხარულს ღამაზ ქმარ-შვილთან ერთად. მენატრებით, მიყვარხართ. დედა, ნატო დევიძე.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ფაიმ-აუტი

17 წლის ქართველი მოდელის წარმატება და ნამცხვრის დიეტა

„ლამაზ თოჯინასთან ერთად ოჯახს ვერ შევქმნი“

სამოდელო სააგენტომ — VIP — ჩაატარა კონკურსი — „მის ინტერნეიშენალ ჯორჯია“, რომლის გამარჯვებული, 17 წლის ანი მეტრეველი უახლოეს მომავალში შანხაიში, საქართველოს სახელით გაემგზავრება. იმედია, მსოფლიოს ულამაზეს გოგონებს შორის ანი საკუთარი თავის წარმოჩენას შეძლებს და „მის მსოფლიო ინტერნეიშენალის“ ტიტულსაც მოიპოვებს. ანი რედაქციაში ჟიურის ერთ-ერთ წევრთან, მოდელ მარია სარჩიმელიასთან ერთად მოვიწვიეთ.

„მის ინტერნეიშენალ ჯორჯია“

ლიკა ძაჯაია

ანი:

— სულ 15 კონკურსანტი ვიყავით. თავიდან, ექვსეული შეარჩიეს, შემდეგ — სამეული, ბოლოს კი „მის ინტერნეიშენალად“ დამასახელეს. ძალიან ბედნიერი ვარ და ყველანაირად შევეცდები, საკუთარი თავი წარმოვაჩინო.

მარია:

— მგონი, გამარჯვებას არ ელოდა. მისი სახელი რომ გამოაცხადეს, ისე დაიბნა, სცენაზე არ გამოდიოდა.

ანი:

— მეათე ნომერი ვიყავი, მაგრამ რატომღაც, მეგონა, რომ მეცხრე ვიყავი — ადრე რამდენიმე კონკურსში ვმონაწილეობდი და ისე მოხდა, რომ ყოველთვის №9 გახლდით. როცა გამარჯვებულად დამასახელეს, ერთ-ერთმა კონკურსანტმა „გამომაფხიზლა“, — რას ელოდები, გადიო (*იცინის*)!.. სერიოზული კონკურენტები მყავდა. მათი სახით ახალი მეგობრები შევიძინე, რაც ძალიან მახარებს. თითოეული მათგანი მართლა, საოცრად მეგობრული იყო და რა თქმა უნდა, ძალიან ლამაზიც... აქვე აღვნიშნავ, რომ „პირველი ვიცე-მისი“ მარია ავალიშვილი გახდა, ხოლო „მეორე ვიცე-მისი“ — თამუნა ქაცარაძე.

— ვიდრე „მის ინტერნეიშენალ ჯორჯია“ გახდებოდი, რას საქმიანობდი?

— 2 წელია, რაც სამოდელო სააგენტო „ლეონში“ დავდივარ და ჩვენებებში ვმონაწილეობ; 2006 წელს გავხდი „მის სკოლა 2006“ და ვმონაწილეობდი „მის სპორტის“ შესარჩევ კონკურსში... ვსწავლობ სკოლაში — მეთერთმეტე კლასში გახლავართ, მომავალში კი ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ვაპირებ ჩაბარებას. ეს პროფესია ბავშვობიდან მომწონდა.

— ალბათ, ტელეჟურნალისტიკა გიზიდავს...

— დიახ, წამყვანის ამპლუაში ყოფნის პერსპექტივა მხიბლავს (*იცინის*).

— მარია, შენ ამ კონკურსზე ჟიურის წევრი იყავი. ანის მანამდეც იცნობდი?

— არა, ჩვენ ერთმანეთი კონკურსზე გავიცანით. სიმართლე გითხრათ, ანი თავიდანვე, ჩემი ფავორიტი იყო, მაგრამ მან ჟიურის დანარჩენი წევრებიც ისე მოხიბლა, რომ „მის ინტერნეიშენალ ჯორჯიად“ ყველამ ერთხმად დავასახელეთ.

— ანიმ რითი მოგხიბლათ?

— ყველაფრით, პირველ რიგში კი თავისი არაჩვეულებრივი ღიმილით. წელს შანხაიში საიუბილეო, 50-ე კონკურსი ტარდება. ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ ეს კონკურსი საქართველოსთვის წარმატებით ჩაივლის და ანი პირველ ადგილზე თუ არა, სამეულში მაინც მოხვდება. სხვათა შორის, ანის რამდენიმე ფოტო უკვე გავგზავნეთ და კონკურსის ორგანიზატორები მისმა გარეგნობამ აღაფრთოვანა, ძალიან მოეწონათ.

— საქართველოს ფარგლებს გარეთ პირველად მიდიხარ?

ანი:

— დიახ და ამის გამოც, ძალიან ვღელავ.

— ასეთი გარეგნობის გოგონას ალბათ, ბევრი თაყვანისმცემელი გყავს...



მოდელი ყველაფერს მონატრებულია

— ისევე, როგორც ყველა გოგოს, თაყვანისმცემლები მეც მყავს, მაგრამ მათგან ზედმეტად განებივრებული ნამდვილად არ ვარ. სხვათა შორის, ჯერჯერობით არც შეყვარებული მყავს.

— „მისტერ საქართველომ“ ცოლობა რომ შემოგთავაზოს, გაჰყვები?

— არ ვიცი, ამაზე არ მიფიქრია...

— ბევრი ამბობს, რომ არ მოსწონს ისეთი მამაკაცი, რომელიც თავის წარმოჩენას საკუთარი გარეგნობით ცდილობს...

მარია:

— თუ ამ ყველაფრის უკან ნამდვილი მამაკაცი იდგება, მას ცოლად სიამოვნებით გავყვები, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ერთმანეთი შეგვიყვარდება; მაგრამ თუ ეს „მისტერი“ უბრალოდ, ლამაზი თოჯინაა, მასთან ერთად ოჯახს ვერ შევქმნი.

ანი:

— მარიას ვეთანხმები. ალბათ, ვერც მე გავყვები ასეთ კაცს ცოლად. ამასთან, მამაკაცი, რომელიც შემიყვარდება, უნდა იყოს ყურადღებიანი, ქალის ფასი უნდა იცოდეს.

— საინტერესოა, სკოლაში რა ნიშნებზე სწავლობ?

— ნორმალურად ვსწავლობ, უფრო მეტად კი ჰუმანიტარული საგნები მიზიდავს... ჩემი სამოდელო კარიერის გამო, სკოლაში პრობლემები მექმნება, რადგანაც გაკვეთილების გაცდენა მიწევს ხოლმე, მაგრამ მასწავლებლები ცდილობენ, ხელი შემიწყონ...

— თავისუფალ დროს რას საქმიანობ?

— ვცდილობ, თავისუფალი დრო, რომლის ნაკლებობასაც ვუჩივი, მეგობრებთან ერთად გავატარო. ასეთ შემთხვევაში პირდაპირ კაფე-ბარებში მივდივართ ხოლმე.

— მოდელობა რთული საქმეა?

მარია:

— რთულია, მაგრამ საინტერესო. სააგენტოები ცდილობენ, ყველა პირობა შეგიქმნან, ყველაფერში შეგიწყონ ხელი, მაგრამ მაინც, მერწმუნეთ, მოდელი ყველაფერს მონატრებულია.

— ალბათ, დიეტაზე ყოფნა ხშირად გიწევთ...

— ჩვენ არავინ არაფრის ჭამას არ გვიკრძალავს — თუ ფორმას დავკარგავთ, ისევ ჩვენ დავზარალდებით. ახლა ერთ კურიოზს მოგიყვებით, რომელიც ჩინეთში ყოფნისას შემემთხვა. საერთოდ, ჩინური სამზარეულო არ მიყვარს და ამ ქვეყანაში ყოფნისას, მხოლოდ მოხარშულ ბრინჯს გეახლებით ხოლმე. ერთხელაც, მომბეზრდა ამ ბრინჯის ჭამა და ერთი კვირის განმავლობაში მხოლოდ ნამცხვარს მივირთმევდი, თან, მეშინოდა, ფორმა არ დამეკარგა; ჩემი შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა — იმის ნაცვლად, რომ გავსუქებულიყავი, წონაში ისე დავიკელი, რომ მითხრეს: რას დაემსგავსე, სასწრაფოდ, ცოტათი უნდა მოიმატოო (*იცინის*)!

მამაკაცი, რომელიც შემიყვარდება, უნდა იყოს ყურადღებიანი

— მარია, დაახლოებით, რამდენია მოდელის შემოსავალი წელიწადში?

— მოდი, ამას საიდუმლოდ დავტოვებ, თორემ იმდენი ციფრის დასახელება მიმიწევს, რომ ჯობია, საერთოდ არაფერი ვთქვა (*იცინის*). ერთს გეტყვით, საქართველოში, მხოლოდ მოდელობით, თავს ვერ ირჩენ! აი, საზღვარგარეთ კი ყველაფერი სხვაგვარადაა.

— საზღვარგარეთ წასვლაზე და კარიერის იქ გაგრძელებაზე არასდროს გიფიქრია?

— მიფიქრია და მიწვევაც არაერთხელ მქონდა, მაგრამ გადაწყვეტილების მიღება გამიჭირდა. თანაც, ახლა უკვე ისეთ ასაკში ვარ, როცა წესით, სამოდელო კარიერას თავს ანებებენ.

— რამდენი წლის ხარ?

— 25-ის და მალე, პენსიონერი მოდელი ვიქნები (*იცინის*).

— კარგია, პენსიას მაინც თუ გადაგიხდიან...

— სამწუხაროდ, პენსიას არავინ გადამიხდის (*იცინის*).

ანი:

— როცა რაღაცას აკეთებ, მატერიალური მხარეც ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ მოდელობა ისეთი საქმეა, რომ უფულოდაც ჩაგითრევს. მე ამ პროფესიას ვერ შეველევი.

— შემოთავაზების შემთხვევაში, თუ წახვალ საზღვარგარეთ, კარიერის ასაწყობად?

— ჯერ პატარა ვარ და დამოუკიდებლად ცხოვრება გამიჭირდება, საზღვარგარეთ კი ცხადია, მთელ ოჯახთან ერთად ვერ გადავსახლდები. ასეც რომ იყოს, მეგობრებსა და ახლობლებს ვერ შეველევი, სხვა ქვეყანაში ცხოვრება გამიჭირდება...

■

მილიონერები და ზოდიაქო

სტატისტიკური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ „ფორბსის“ მიერ შედგენილ მილიონერთა სიაში ქალწულის ნიშნით (23 აგვისტო-22 სექტემბერი) დაბადებული ადამიანები ჭარბობენ. ასტროლოგების აზრით, ეს არცაა გასაკვირი, რადგან ქალწულის ნიშნით შრომისმოყვარე, მიზანდასახული და ანალიტიკური აზროვნებით დაჯილდოებული ადამიანები იბადებიან. სხვათა შორის, ამ ნიშნითაა დაბადებული უორენ ბაფეტი და ლარი ელისონიც.

ქალწულს არც შეუპოვარი ვერძი ჩამორჩება. მილიონერების სიაში 8% ვერძია და მათ შორის გახლავთ ტელეწამყვანი ოპრა უინფრი.

სიის ყველაზე მდიდარი ადამიანი — ბილ გეიტსი მორიელია. ამბობენ, რომ მიზნის მისაღწევად მორიელი უკან არაფერზე დაიხევს და საწადელის ასრულებისთვის კანონსაც დაარღვევს.

სიაში 6% მშვილდოსანია, მათ შორის, რეჟისორი სტივენ სპილბერგიც გახლავთ.

სიაში მრავლადაა მილიონერი კუროც — იგი მიზანსწრაფულობითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩევა. „მილიონერი კუროა“ კომპანია „რედ ბულის“ დამაარსებელი დიტრიხ მატეშიტცი და მტვერსასრუტების კომპანია „დაისონის“ მფლობელი ჯეიმს დაისონი.

■

10 ყველაზე ცნობილი ქერათმიანი ქალი

ავსტრალიურმა ჟურნალმა Harper`s Bazaar ყველაზე ცნობილი ქერათმიანი ქალის ათეული გამოაქვეყნა, რომელიც ასე გამოიყურება: შესანიშნავი მერილინ მონრო, 50-იანი წლების სიმბოლო და ფრანგული კინოს ლეგენდა — ბრიჟიტ ბარდო; ჯგუფ Blondie-ის ლიდერი დებორა ჰარი; პოპის დედოფალი, მსახიობი და მრავალშვილიანი დედა — მადონა; ინგლისელი ტოპმოდელი — კეიტ მოსი; „ფლეიბოის“ ვარსკვლავი პამელა ანდერსონი; მოდელი კლაუდია შიფერი; ჰოლივუდის ახალგაზრდა ვარსკვლავი რიზ უიზერსპუნი; ჯგუფ No Doubt ყოფილი სოლისტი — გვენ სტეფანი, რომელმაც მეუღლისა და ორი ვაჟის გამო მომღერლის კარიერა მიატოვა; ბრიტანელი მოდელი აგნეს დეინი. ■

მოგებისა და წაგების სახლი

პირველი გასათბობი სახლი ძველ რომსა და საბერძნეთში გაიხსნა. კაზინო მრავალი ადამიანისთვის მოგების, წაგებისა და გართობის საშუალებაა. კაზინო შიგნიდან ისეა მოწყობილი, რომ ადამიანი დააბნიოს: მასში არაა საათი და ფანჯრები, უამრავი კიბე, ჩიხი, გასასვლელ-შესასვლელი კი ადამიანს კაზინოდან გამოსვლის საშუალებას არ აძლევს. გასართობ სახლში შესულ ადამიანს სადღესასწაულო განწყობილება ეუფლება. გასართობი პროგრამები, სტრიპტიზი, მუსიკალური ჯგუფებისა და არტისტების გამოსვლა, უფასო სასმელი, ძვირად ღირებული ნივთების გათამაშება, ლატარია, — ეს ყველაფერი ტვინს უმღვრევს.

დღესდღეობით, ყველაზე პოპულარული თამაშებია: „რულეტკა“, „პოკერი“ და „ბლეკ ჯეკი“: „რულეტკის“ დაბადების თარიღად 1655 წელს ასახელებენ, ხოლო მის გამომგონებლად ფრანგი მათემატიკოსი, ბლეზ პასკალი მიიჩნევა; „პოკერი“ 1526 წელს შეიქმნა; „ბლეკ ჯეკის“ („შავი ვალეტი“) წესები XVII საუკუნეში, საფრანგეთში დაადგინეს.

XIX საუკუნეში კაზინოში სათამაშო აპარატები გაჩნდა. მათი განთავსება აკრძალულია საცხოვრებელ სახლებში, საავადმყოფოებში, სასწავლო და სამედიცინო დაწესებულებაში, აეროპორტებში, სადგურებში...

საინტერესო ფაქტები თამაშსა და კაზინოზე:

* სათამაშო აპარატით ყველაზი დიდი თანხა — 39 მლნ დოლარი ამერიკელმა პროგრამისტმა მოიგო, რომელიც გასართობ ცენტრში კალათბურთის საყურებლად შევიდა და გართობის მიზნით, ითამაშა კიდეც.

* ნიუ-იორკელი დიასახლისი, კელინ ბრეევერი კაზინოში ერთადერთხელ შევიდა და 10 მლნ დოლარით გამდიდრდა.

* პეტერ ო'ბრაინმა „ბლექ ჯეკში“ 3 მლნ დოლარს გამოჰკრა ხელი, ხოლო ლეგენდარულმა მოთამაშემ — ბენო ვინკელმა კაზინო ერთი ხელის მოსმით, 2 მლნ დოლარით გაყვლიფა.

* 1814 წელს, ბადენ-ბადენის კაზინოში გენერალ ბლიუხერმა მლნ მარკა, ხოლო 1926 წელს დოვილში, კონცერნ „სიტროენის“ დამაარსებელმა ანდრე სიტროენმა 13 მლნ ფრანკი წააგო.

* იაპონიაში ფულზე თამაში აკრძალულია, ამიტომ მოგებულს სათამაშო მონეტებს, სათამაშოებს, სიგარეტს, საღეჭ რეზინსა და სხვა წვრილმანს ჩუქნიან.

* 1979 წელს სემიოლების ინდიელთა ტომის წარმომადგენლებმა, ფლორიდის კანონების მიუხედავად, რეზერვაციის ტერიტორიაზე ბინგო-ჰოლი გახსნეს. ისინი აცხადებდნენ, რომ ტომის სუვერენულ ტერიტორიაზე ფლორიდის კანონები არ მოქმედებს. საქმე სასამართლოში აღიძრა და რამდენიმეწლიანი გარჩევის შემდეგ, 1987 წელს ინდიელების გამარჯვებით დასრულდა.

* მონტე-კარლოს კაზინოს ისტორიაში ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა მოთამაშეს წაგებული თანხა სრულად დაუბრუნდა: სამხედრო გემის კაპიტანმა მთელი ბიუჯეტი წააგო და ამის გამო გაბრაზებულმა, გემზე არსებული მთელი საბრძოლო იარაღი კაზინოს მიუშვირა, მისი დანგრევით დაიმუქრა. კაზინოს მმართველმა აზარტულ კაპიტანს წაგებული თანხა უსიტყვოდ გადასცა. ■

მოამზადა რუსუდან გელაშვილმა

ფირზე აღბეჭდილი ქართული რეალობა

ლალი პაპასქირი

*პორტრეტი, პეიზაჟი, ფოტოეტიუდი, ფოტოგრაფიკა და ფოტორეპორტაჟი — ამ ჟანრის ფოტონამუშევრებს მედიასახლ „კვირის პალიტრის“ ფოტოგრაფის, **მიხეილ როსტომაშვილის** გამოფენაზე ნახავდით. ფოტოხელოვანმა დამთვალიერებელს 1974 წლიდან, ჯერ კიდევ „ზენიტის“ აპარატით გადაღებული ფოტოები გააცნო. მათ შორის გახლდათ 2002 წელს, ფერეიდანში აღმოჩენილი პატარა საქართველო, რომლის გადაღებისთვისაც ხელისუფლებამ ღირსების ორდენით დააჯილდოვა.*

— გამოფენა საკუთარი სახსრებით მოვაწყვე და 60 ფოტოსურათი გამოვფინე. მათ დასათვალიერებლად ჩემი თაობის ფოტოგრაფებიც მოვიდნენ: რუბენ რუხიანი, იური მეჩითოვი და სხვები... ვცდილობ, ფირზე რეალობა ანუ ის აღვბეჭდო, რასაც ვხედავ. გამოფენაზე გამოტანილი მქონდა არა მარტო ციფრული ფოტოაპარატით, არამედ „ზენიტით“ გადაღებული ფოტოსურათებიც. პირადად მე, შავ-თეთრი ფოტოები უფრო მომწონს, ნახევარფონები ნებისმიერ ჟანრს აცოცხლებს... მარტში კიდევ ერთი გამოფენის მოწყობას ვაპირებ, სადაც მთლიანად, ფერეიდანში ნანახი და ფირზე აღბეჭდილი ქართული რეალობა იქნება ასახული.



ლოტოტრონში მოგებული ბედნიერება

ინგა ჯაყელი

ორი დიპლომი აქვს ანდროს: ინჟინრის და იურისტის, მაგრამ განათლების სამინისტროს დირექტორების შესარჩევი კონკურსი რომ არ გამოეცხადებინა, თანაც მეტად უჩვეულო ფორმით — მთავარი სურვილია, თორემ განათლებით პედაგოგი ხარ თუ მატარებლის გამცილებელი, არა აქვს მნიშვნელობაო — სკოლისკენ გახედვა აზრადაც არ მოუვიდოდა...

მატარებელი შემთხვევით არ მიხსენებია — ანდრომ 10 წელი სწორედ რკინიგზაში იმუშავა, ინჟინრად და რომ ჰკითხოთ, თავადაც ვერ გეტყვით, თუ რა ფუნქცია ეკისრებოდა. შტატების შემცირებაში რომ მოაყოლეს, არ გაჰკვირვებია, მაგრამ ეწყინა: ჩემზე უსაქმურებიც იყვნენ და მათ არ შეხებიანო — ამიტომ უფრო დაიწყო ბრძოლა სამართლიანობის აღსადგენად, რისთვისაც იურიდიული განათლებაც დასჭირდა და კანონების შესწავლამ ისე გაიტაცა, რომ ერთ-ერთ „იაფფასიან“ ინსტიტუტში იურისტის დიპლომიც აიღო. ეგაა, სამსახურის შოვნა ვერ მოახერხა. ათასგვარ კონკურსში მონაწილეობდა, მაგრამ „იაფად“ მიღებული განათლება გამოცდის ჩასაბარებლად არასაკმარისი აღმოჩნდა.

აი, სკოლის დირექტორებისთვის გამართულ კონკურსში კი, სადაც ბევრი ტესტის პასუხი გაუაზრებლად შემოხაზა, — ვინ იცის, იქნებ, „გავარტყაო“! — გაუმართლა და არც სამინისტროში დაუბლოკავთ მისი კანდიდატურა: ჩვენი სისტემა მამაკაცების დეფიციტს განიცდის, ნამდვილად გვჭირდებითო!.. მერე ლოტოტრონი დატრიალდა და ეს ინჟინერ-იურისტი კაცი ერთ-ერთი სკოლის დირექტორად გაამწესეს.

ანდრო ვერც გარეგნობით დაიკვეხნის და ვერც სიტყვა-პასუხით: სიგრძე მეტრ-ნახევარზე ოდნავ მეტი აქვს, გამხდარია,

თითქმის მელოტი — მხოლოდ აქა-იქ შერჩა წითური თმა, ბარაქიანი ცხვირი კი ჭორფლით აქვს დაფარული... ისე გახდა 45 წლის, ქალებს მისთვის ერთხელაც არ შეუხედავთ, პრინციპში, ვერც კი ამჩნევდნენ. არც ენა ჰქონდა ისეთი, რომ სიტყვით მოეხიბლა ვინმე, ჰოდა, ამიტომაც, ოჯახის შექმნაზე ოცნებასაც შეეშვა...

სკოლაში მისული, კაბინეტიდან კარგა ხანს არ გამოდიოდა, ხოლო როცა მის დასახვედრად გამართულ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე 40 პედაგოგიდან მხოლოდ 5 მამაკაცი დათვალა, გაქცევასაც ფიქრობდა, მაგრამ... ვინ აცალა?!

მის კაბინეტში მასწავლებლები რიგრიგობით შედიოდნენ, ეცნობოდნენ და ისე მაცდურად უღიმოდნენ, აღარ იცოდა, რა ეფიქრა, ვერ იჯერებდა, რომ კაცად მიიჩნევდნენ და ეპრანჭებოდნენ...

საქმეთა მმართველს მასწავლებლების პირადი საქმეები მოსთხოვა, მათ გაცნობას ორი დღე მოანდომა და როცა თანამშრომლებს შორის 20 გაუთხოვარი და 4 ქმარს გაშორებული ქალი აღმოაჩინა, აღარ იცოდა, უნდა სწყენოდა თუ გახარებოდა. არადა, ცოტა ხანში, გაუთხოვრებმა კი არა, გათხოვილებმაც დაუწყეს თვალების ჟუჟუნი, მერე სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ ისიც გაუმხილა:

— უცოლო რომ იყავით, იმან გაქციათ ერთპიროვნულ ლიდერად და სხვა კანდიდატები აღარც განგვიხილავს... იცოდეთ, ბედს ძებნა სხვაგან რომ დაუწყოთ, იმწუთას აჯანყებას მოგიწყობთ და აქედან გაგაძევებთ!..

ანდროს თავი სიზმარში ეგონა... ცოტა ხანში გასათხოვრების პირადი საქმეები კარგად შეისწავლა, ხოლო როდესაც ახალი დირექტორის მოსვლა რესტორანში აღნიშნეს, იქ თითოეულის გარეგნობაც შეაფასა.

რომ მოენდომებინა, 25 წლის გოგოც არ ეტყოდა უარს, მაგრამ „პატიოსნად“ მოიქცა და 30 წლის ნინოს დასჯერდა, რომელიც ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, დედისერთა და შეძლებული ოჯახის ერთადერთი მემკვიდრეც აღმოჩნდა.

ახლა ნინო ფეხმძიმედაა.

ბოროტი ხმები იმასაც ამბობენ, — ანდრო ქმარგაყრილ, „ფეხსუსტ“ მარინასაც ეკურკურებაო. სკოლის დირექტორი ქალების ყურადღებამ ისე შეცვალა, რომ ხალხი გაიძახის: — აშკარად, სიმაღლეშიც მოიმატა, წონაზე რომ არაფერი ვთქვათო!..

ანდროსთან რომ ლოტოტრონის და მისი დამტრიალებლის ძვირი წამოგცდეთ, კაბინეტიდან ცოცხალი ვერ გაასწრებთ... ■

რა ნიშნით ირჩევს მეგობრებს პატარა „ერუდიტი“

იმ ასაკში, როცა ბავშვები ანბანს სწავლობენ, „ყველაზე ჭკვიანის“ ფინალისტი, დემეტრე ხოფერია ენციკლოპედიებით ყოფილა გატაცებული. ამბობს, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის დედაქალაქის სახელი იცის, ყველაზე კარგად კი ისტორიული თარიღები ამახსოვრდება. 12 წლის დემეტრეს უყვარს თხილამურებით სრიალი, იცის ინგლისური, რუსული და თურქული ენები, მომავალი წლიდან კი გერმანულის შესწავლასაც აპირებს.

„5-6 წლის ასაკში ენციკლოპედიებს ვკითხულობდი“

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგივრ

— დემეტრე, შენ ისეთი ყოჩაღი ხარ, მომავალი პროფესიაც არჩეული გექნება.

— მინდა, ფინანსისტი გამოვიდე. შესაძლოა, მომავალში გადაწყვეტილება შევცვალო, მაგრამ ახლა ასე ვფიქრობ.

— რომელ კლასში ხარ და ყველაზე დიდი ინტერესით რომელ საგნებს სწავლობ?

— VII კლასში ვარ, დემირელის სახელობის სკოლაში დავდივარ. საერთოდ, ყველაზე მეტად შემეცნებითი საგნები მიყვარს, ისტორია და გეოგრაფია მაინტერესებს. ისე, მათემატიკაც მომწონს. ჩვენს სკოლაში ყველა საგანს, გარდა მშობლიური ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და გეოგრაფიისა, ინგლისურ ენაზე გვასწავლიან. თურქულ ენასაც იქ ვსწავლობ.

— სკოლაში ალბათ, ყველა გცნობს, არა?

— სკოლაშიც მცნობენ და ქუჩაშიც, უცნობი ადამიანები მეფერებიან.

— შენთვის პოპულარობა მოსაბეზრებელი ხომ არ არის?

— (*იცინის*) არანაირად.

— ვიცი, რომ ბევრი წიგნი გაქვს წაკითხული, მათგან რომელს გამოარჩევ?

— ძალიან მომწონს „ჰარი პოტერი“. ამ წიგნში მოვლენები სწრაფად ვითარდება, საინტერესო დიალოგებია.

— შენი საყვარელი ავტორები ვინ არიან?

— ჟიულ ვერნი, ჩარლზ დიკენსი, ვაჟა-ფშაველა, აკაკი წერეთელი, გალაკტიონი... 5-6 წლის ვიყავი, როცა ენციკლოპედიებს ვკითხულობდი, რუკას ვაკვირდებოდი, ხოლო მას შემდეგ, რაც წამოვიზარდე, მხატვრულმა ლიტერატურამ გამიტაცა.

— რომელ ლიტერატურულ პერსონაჟთან იმეგობრებდი?

— ახლახან ჟიულ ვერნის „საიდუმლო კუნძული“ წავიკითხე და ამ ნაწარმოების გმირთან — მისტერ სმიტთან სიამოვნებით ვიმეგობრებდი.

— საერთოდ, მეგობრებს რა ნიშნით ირჩევ?

— ჩემი მეგობარი კეთილი და განათლებული ადამიანი უნდა იყოს.

— საეკლესიო ნაგებობის რომელ ტიპს განეკუთვნება ჯვრის მონასტერი?

— ჯვარგუმბათოვანს, არა?

— რა თქმა უნდა! რა ჰქვია ძვირფასი ქვების წონის ერთეულს?

— კარატი.

— თბილისის მიდამოებში არსებული რომელი გეოგრაფიული სახელია ნაწარმოები „ხმელი ტბიდან“, რაც წყალმცირეობაზე მიგვანიშნებს?

— (*ფიქრობს*) ტაბახმელა ხომ არა?

— დიახ. ვინ იყვნენ ბარენცი, ბერინგი, კუკი, კოლუმბი?

— მოგზაურები.

— რა ჰქვია ხელოვნებაში მიმდინარეობას, რომელიც საგნების რეალურად გამოსახვას უარყოფს?

— აბსტრაქციონიზმი.

— რომელი წმინდანის ხსენების დღეა 19 დეკემბერი?

— წმინდა ნიკოლოზის.

— რა ფერებია ავსტრიის დროშაზე?

— ო! დროშები და ქვეყნების დედაქალაქები კარგად ვიცი. ავსტრიის დროშა წითელი და თეთრი ფერებისგან შედგება.

— გაიხსენე, რა არის გამოსახული ჩინეთის დროშის წითელ ფონზე?

— ვარსკვლავები.

— რა დრო სჭირდება დედამიწას მზის გარშემო ერთი სრული ბრუნის გასაკეთებლად?

— 365 დღე და 6 საათი.

— „უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი,/ არა დაღვრილის — დასაღვრელის ალბათ მაცნეა,/ არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი,/ არ გამაჩნია!“, — ვინ არის ამ სტროფის ავტორი?

— მურმან ლებანიძე.

— ირანი, ერაყი, საქართველო, რუსეთი — ჩამოთვლილთაგან, რომელი ქვეყანა არ ესაზღვრება თურქეთს?

— რუსეთი.

— ხელბურთი, ფეხბურთი, ჩოგბურთი, წყალბურთი — სპორტის რომელ სახეობაში არ არსებობს საჯარიმო დარტყმა?

— ჩოგბურთში.

— რას შეისწავლის ენტომოლოგია?

— ვერ გიპასუხებთ.

— მწერებს. რომელი რელიგიის მსახურია იღუმენი — ბუდიზმის, მაჰმადიანობის, მათლმადიდებლობის თუ კათოლიციზმის?

— არ ვიცი.

— იღუმენი მართლმადიდებლური რელიგიის მსახურია. რა ეწოდება საგანგებოდ მოწყობილ საცავს, სადაც ბოთლებში ჩამოსხმული სხვადასხვა მარკის ღვინის კოლექცია ინახება?

— ვერც ამ კითხვაზე გიპასუხებთ.

— ენოთეკა. მტკვარი, რიონი, არაგვი, ქსანი,

ყვირილა, ძირულა — რომელ მდინარეს არ გადაკვეთს ქუთაისიდან თბილისში ავტომანქანით მომავალი მგზავრი?

— (*ფიქრობს*) არაგვს.

— ვინ არის დაკრძალული მცხეთაში, იესო ქრისტეს კვართთან ერთად?

— სიდონია. იგი ელიოზის და გახლდათ.

— რა თანამდებობა ჰქონდა ავთანდილს როსტევანის კარზე?

— ვაიმე! „ვეფხისტყაოსანი“ კარგად არ ვიცი, სრულად სკოლაშიც არ გვისწავლია.

— „იყო ავთანდილ სპასპეტი ძე ამირსპასალარისა“. რა ეწოდება თვალის ფერად გარსს?

— არ ვიცი.

— ირისი. რომელი მეფის შვილი იყო გეოგრაფი, ისტორიკოსი და კარტოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი?

— არ ვიცი.

— ვახტანგ VI-ის. როდესაც ფრენსის დრეიკმა ამერიკის დასავლეთ ნაწილს მიაღწია, გარკვეულ ტერიტორიას თავისი სახელი უწოდა. რა ჰქვია დღეს იმ ადგილს?

— არ ვიცი.

— კარგად დაფიქრდი, ყურადღება მის სახელზე უნდა გაამახვილო.

— სან-ფრანცისკო. გამოვიცანი?

— გამოიცანი. აბა, თუ იცი, დრეიკის სრუტე სხვა სრუტეებისგან რით გამოირჩევა?

— მსოფლიოში ყველაზე განიერი სრუტეა.

— დიახ. რომელი ნივთიერება უწყობს წვას ხელს — წყალბადი, ჟანგბადი თუ ნახშირორჟანგი?

— ჟანგბადი, მაგრამ პასუხში დარწმუნებული არა ვარ.

— პასუხი ამ კითხვაზეც ჩაგეთვალა. ახლა კი, მომავალო ფინანსისტო, ერთი შეკითხვა მათემატიკიდანაც უნდა დაგისვა: ოჯახში დედის, მამის და შვილის წლოვანებათა ჯამი 60 წელს შეადგენს. მამის წლოვანება დედის და შვილის წლოვანებათა ჯამის ტოლია, ხოლო დედა 5-ჯერ უფროსია შვილზე. რამდენი წლის არიან მამა, დედა და შვილი?

— მარტივი კითხვაა: შვილი 5 წლის არის, დედა — 25-ის, ხოლო მამა 30 წლის გახლავთ.

— ყოჩაღ! დაამტკიცე, რომ მათემატიკას კარგად სწავლობ. არსებობს თუ არა ისეთი რიცხვი, რომლის დასახელება შეიცავს იმდენ ასოს, რამდენსაც ეს რიცხვი გამოხატავს?

— კითხვა ვერ გავიგე...

— მაგალითად, „ათი“ 3 ასოსგან შედგება, ეი...

— (*მაწყვეტინებს*) და არა იმდენისგან, რამდენსაც გამოხატავს (*ფიქრობს*) არა, ასეთი ციფრი არ არსებობს.

— როგორ არა, ეს ციფრია 4-ია. ვის ეკუთვნის ფერწერული ტილო — „საკადრისი პასუხი“?

— არ ვიცი.

— მიგანიშნებ, ამ ტილოს ავტორმა ქაშუეთის ტაძარი მოხატა.

— ლადო გუდიაშვილი.

— რომელ მცენარეს აქვს ყველაზე დიდი ნაყოფი?

— ვერ გიპასუხებთ.

— გოგრას. რომელი ოპერა უძღვნა ზაქარია ფალიაშვილმა ნაადრევად გარდაცვლილ ერთადერთ შვილს?

— „აბესალომ და ეთერი“.

— საქართველოს რომელ რაიონშია თავმოყრილი ისტორიული ძეგლები: ტიმოთესუბანი, მწვანე მონასტერი, რომანოვების სასახლე?

— ვერ გიპასუხებთ.

— ბორჯომში. სად გამოვიდა პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი — „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“?

— ვერ ვიხსენებ.

— რომში, ეს 1629 წელს მოხდა. ევროპის ჯუჯა სახელმწიფოთაგან, რომელი მდებარეობს საფრანგეთ-ესპანეთის საზღვარზე?

— ანდორა.

— რომელია ქართული ზღაპრის ჯადოსნური გრძნეული ფრინველი, რომელიც მთაზე ან ქვესკნელში ცხოვრობს და გმირებს მფარველობს?

— ფასკუნჯი.

— თითოეული გუნდიდან რამდენი მანქანა მონაწილეობს „ფორმულა 1“-ის შეჯიბრებაში?

— ორი-ორი მანქანა მონაწილეობს.

— რომელ ნაწარმოებს უწოდებენ „ბეთჰოვენის მუსიკალურ ანდერძს“, რომელიც მან დაყრუების შემდეგ შექმნა?

— „მთვარის სონატას“.

— ცდები.

— მაპატიეთ, მე-9 სიმფონია უნდა მეთქვა.

— რომელი ქართველი მეფის მამას და შვილს ერქვა ბაგრატი?

— ვერ ვიხსენებ.

— მიგანიშნებ, იგი ერთიანი საქართველოს მეფე გახლდათ.

— სამწუხაროდ, ვერ გიპასუხებთ.

— გიორგი I-ის. რა იყიდება მსოფლიოში ცნობილ სოთბისა და კრისტის აუქციონებზე?

— ანტიკვარები.

— და სამუზეუმო ნივთები. ვინ არის ის, ვის სახელსაც ატარებს სრუტე, რომელიც მან გაიარა, კუნძული, რომელზეც გარდაიცვალა და ზღვა — წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში?

— (*ფიქრობს*) მოგზაური ბერინგი.

— ამერიკის ეს პრეზიდენტი ახალგაზრდობაში მოჯამაგირედ, მიწისმზომლად, ტყიმსმჭრელად და ფოსტის მოხელედაც კი მუშაობდა. დაასახელე იგი.

— ლინკოლნი.

— მწერების რომელი ოჯახია დაყოფილი ფენებად — დედალი, მუშა, ჯარისკაცი და მონა?

— ფუტკრების.

— ცდები, ჭიანჭველების ოჯახი. რომელი ქართული ფილმის გმირები არიან ბოლოკა და ბეთჰოვენა?

— „ღიმილის ბიჭების“.

— „წელს გადავწყვიტე, მეცხვარეობა დამეწყო და ამ ხელობის შემწეობით მომევლო მთა და ბარი, გამეცნო ხალხი და გამომეცადა ის შიშით და სიამოვნებით სავსე ცხოვრება, რომელიც მწყემსს განუშორებლივ თან სდევს. რასაკვირველია, პირველი ჩემი ნაბიჯი, განურჩევლად ყველამ მასხრად აიგდო, რადგანაც ამბობდნენ, რომ მებატონეს და მასთან, სახელიანი კაცის შვილს უბრალო მეცხვარეობა არ ეკადრებაო“, — რომელი ცნობილი მწერლის ცნობილ ნაწარმოებში ვკითხულობთ ამ სიტყვებს?

— ალექსანდრე ყაზბეგის „ნამწყემსარის მოგონებებში“.

— ალჟირი, კაირო, ნაირობი, ჯაკარტა — ჩამოთვლილთაგან, რომელი არ არის აფრიკის კონტინენტზე?

— ჯაკარტა.

— რომელი ქვეყნის პოეტია რობერტ ბერნსი?

— შოტლანდიელია.

— დემეტრე, ამ რუბრიკის შემდეგ სტუმარს რა კითხვას დაუტოვებ?

— (*ფიქრობს*) დაასახელეთ კოლუმბიის დედაქალაქი.

ანეკდოტები

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. რის მფარველად გამოაცხადა რომის პაპმა ისიდორე სევილიელი?

2. რა არის ჭიგო?

3. როგორ ანანისტს ადარებენ რუსები ინგლისურის არმცოდნე პროგრამისტს?

4. ვის ეკუთვნის სიტყვები: „ქვეყნად არაფერია უმრავლესობაზე უფრო ამაზრზენი“?

5. ვისი ნამდვილი სახელი და გვარია ნორმა ჯინ ბეიკერი?

6. ვის ეძახიან ცივი ომის უკანასკნელ სიმბოლოს?

7. რის განათებაზე იხარჯება ელექტროენერგიის 9 პროცენტი, რომელსაც პარიზი ერთ ღამეში მოიხმარს?

8. ვის ეძახდნენ ძველად ბრანდმეისტერს?

9. რა არის გორგომიჭელა?

10. რატომ ატარებდნენ სპარტელები წითელ მოსასხამს?

11. რა არის გამოსახული კვიპროსის დროშაზე?

12. როცა ეს ქართველი მოცეკვავე მოსკოვის საბალეტო სკოლაში მოხვდა, თანასკოლელთა სისასტიკით გაოგნდა — მათ საშინლად შურდათ მისი ნიჭისა და ფენომენალური მონაცემების. ერთხელ მასწავლებელმა დედამისი დაიბარა და უთხრა: თქვენს შვილს უთხარით, რომ სასწავლებლის კიბეზე სიარულისას ხელი მოაჯირს მოჰკიდოს, თორემ შეიძლება, ხელი ჰკრან, დაამტვრიონ და მთელი ცხოვრება ინვალიდად დატოვონ, აქ მსგავსი რამ არაერთხელ მომხდარაო. დაასახელეთ იგი.

* * *

სვანმა შარფი იყიდა და მეორე დღეს დააბრუნა, — ძალიან მიჭერსო.

* * *

მიხო მიტოს უყვება:

— გუშინ ზაქრუას სახლი დაეწვა. თავიდან ვიფიქრე, რა ჩემი საქმეა-მეთქი, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც მესიამოვნა.

* * *

— მიხო, სახლში წამოსვლას აღარა ფიქრობ? — ეძახის ცოლი.

— ჰო!

— მერე?!

— ცოტა ხანს კიდევ ვიფიქრებ!

* * *

— მომილოცე, ახალი პიესა დავწერე!

— რა პიესა?

— „ჰამლეტი“!

— ხუმრობ? ეგ ხომ შექსპირის დაწერილია!..

— საოცარია პირდაპირ! როცა „მაკბეტი“ დავწერე, მაშინაც ეგ ტიპი მიხსენეს!..

* * *

სვანი ტუალეტში შევიდა, უნიტაზზე დაჯდა და დააბოყინა:

— მგონი, უკულმა დავჯექი!

* * *

— რას უჩივით? — ეკითხება ფსიქიატრი პაციენტს.

— სულ მეჩვენება, რომ ვიღაც მომდევს!

— დიდი ხანია?

— მას შემდეგ, რაც ციხიდან გამოვიპარე!

* * *

— ძვირფასო, მოგწონს ჩემი ცისფერი თვალები?

— ჰო.

— ხომ ლამაზი მკერდი მაქვს?

— ჰო.

— თმაც ხომ ლამაზი მაქვს?

— ჰო.

— ვგიჟდები, როცა ასეთ კომპლიმენტებს მეუბნები.

* * *

თუთიყუში ნახევარი საათი უყურებდა, თუ როგორ ცდილობდა პატარძალი ქათმის მომზადებას. ბოლოს, ვეღარ მოითმინა და იყვირა:

— კიდევ დიდხანს უნდა აწვალო მიცვალებული?!

* * *

ებრაელი კვდება:

— სარა, შემომფიცე, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ არავის საკუთრება არ გახდები!

— თუ გამოჯანმრთელდი?

* * *

მასწავლებელი მოსწავლეს აფრთხილებს:

— სანდრო, ხვალ მშობლების გარეშე არ მოხვიდე!

— ზეგ, მასწავლებელო?

* * *

გურულს თვალი აქვს დალურჯებული:
— რა მოგივიდა? — ეკითხება მეზობელი.
— შვილმა მცემა...
— ეგრე რავა გაგიმეტა?
— დედა შევაგინე და...
— კიდე კაი, თლა ფაქტზე არ წაგასწრო...

* * *

— მამი, ამდენს მუშაობ და სიმდიდრე მაინც ვერ დააგროვე! — საყვედურობს მიხოს შვილი.
— ეჰ, შვილო, მუშაობით რომ სიმდიდრე გროვდებოდეს, ჩვენი ვირი მილიონერი იქნებოდა!

* * *

ცოლი:
— ძვირფასო, ფული მჭირდება.
— როგორ, ისევ?!
— კი, თითქმის აღარაფერი დამრჩა.
— იცი, რა, შენ ჭკუა უფრო გჭირდება, ვიდრე ფული.
— კარგი, რა, მე ხომ ისეთ რაღაცას არ გთხოვ, რაც შენ არა გაქვს.

* * *

ქორწინებიდან სამი კვირის შემდეგ, ატირებული ქალი დედასთან რეკავს:
— დე, რა ვქნა, რა მეშველება? ჩვენ აქ ისეთი ოჯახური სცენა გვქონდა!.. საშინელებაა, პირდაპირ!..
— დაწყნარდი, შვილო, ყველა ცოლქმარს აქვს თავისი პირველი კონფლიქტი, როგორმე უნდა გადაიტანო.
— ჰო, მაგრამ გვამს რა ვუყო?!.

* * *

ავადმყოფი ქმარი ლოგინში წევს, ცოლი გვერდით უზის და რაღაცას წერს:
— შაქრო, რომელია სწორი, „დაკრძალვა“ თუ „დასაფლავება“?

* * *

გურულებმა ჩინელებს ომი გამოუცხადეს. ჩინელებს გაეცინათ:
— იცით, რამდენი ვართ?
— რამდენი?
— მილიარდ ორასი მილიონი.
— ტიტუუუ!.. ამდენს რა დამარხავს!..

* * *

ორი გურული ერთმანეთს შეხვდა:
— რაო, ძმა, რა ქნა ჩვენმა გუნდმა, თუ იცი?
— 11:0 წოუგიათ.
— კი მარა, მეკარე რატომ არ წაიყვანეს?

* * *

— მინდა, დაბადების დღეზე ცოლს ისეთი რამ ვაჩუქო, რომ იაფიც დამიჯდეს და მასაც გაუხარდეს.
— ანონიმური სასიყვარულო წერილი მისწერე.

* * *

გურული ჭიშკარს მიადგა:
— მასპინძელო!
— მობრძანდით!
— ერთი, შენს გახარებას, წყალი დამალევინე, თორემ ისე მშია, ღამე სად გავათიო, არ ვიცი.

* * *

— აუ, გუშინ კინოში რა სასიყვარულო სცენები ვნახეეე...
— ფილმს რა ერქვა?
— არ ვიცი. როცა შუქი აანთეს, მაშინღა მივხვდი, რომ ეკრანს არ ვუყურებდი, ზურგით ვიჯექი.

* * *

გურულს ეკითხებიან:
— კლაუდია შიფერი გინდა თუ...
— არ უნდა მაგას „თუ“!

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ინტერნეტისა და მის მომხმარებელთა მფარველად.
2. ვაზის სარი.
3. უხელებოს.
4. იოჰან ვილფგანგ გოეთეს.
5. მერილინ მონროსი.
6. ფიდელ კასტროს.
7. ეიფელის კოშკის.
8. სახანძრო რაზმის მეთაურს.
9. კაკლის მთლიანი ლებანი.
10. რათა მას სისხლის კვალი არ დამჩნეოდა.
11. თავად კუნძული კვიპროსი.
12. ნიკოლოზ ცისკარიძე.

ჩვენი ფოტო მაღლიერია



რუბრიკა მოამზადა თემურ ივანიძემ

ჰოროსკოპი

25 თებერვალი - 2 მარტი

ვირი:
ახალი საქმე ბევრ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. მიუხედავად ამისა, ნუ დაივიწყებთ ოჯახის წევრებს. დასვენების დღეები შემოქმედებით საქმიანობას დაუთმეთ.

კურო:
ყველა საქმეს ერთდროულად ნუ წამოიწყებთ. კვირის ბოლოს იმიჯის შეცვლაზე იზრუნეთ. კარგი იქნება, თუ მეგობრებთან ერთად ქალაქგარეთ გაემგზავრებით.

ტყუპი:
უცხო ადამიანებს სახლში ნუ მიიყვანთ. კარგი იქნება, თუ მთელ დროსა და ენერგიას ახალი იდეების განხორციელებას დაუთმობთ. უქმე დღეები ქალაქგარეთ გაატარეთ.

კიბორგანტი:
ეს კვირა სიურპრიზებით იქნება სავსე, ყველგან და ყველაფერში გაგიმართლებთ. კარგი დროა იდეების განსახორციელებლად. კვირის ბოლოს ძველ მეგობრებს შეხვდებით.

ლომი:
ოჯახის წევრებისგან ძალიან ბევრს მოითხოვთ. ეცადეთ, მათ ყველაფერში შეუწყოთ ხელი. კარგი პერიოდია ცოდნის მისაღებად, ახალი ხელობის შესასწავლად.

ქალწული:
თუ დროს სწორად გადაანაწილებთ, ყველა საქმეს მოასწრებთ. მთავარია, ცუდი ფიქრები თავიდან მოიცილოთ და გამხიარულდეთ. მშობლების დახმარების იმედი გქონდეთ.

სასწორი:
განწყობილებას ახლობლებთან ურთიერთობა და მათი მხარდაჭერა გამოგიკეთებთ. კარგი პერიოდია შემოქმედებითი საქმიანობისთვის. კვირის ბოლოს საქმიანი შეხვედრა გელით.

მორიელი:
არ გაგიკვირდეთ, თუ რჩევისთვის მოგმართავენ. დასახულ მიზნებს იოლად მიაღწევთ. თუ არ გსურთ, საყვარელი ადამიანი საბოლოოდ დაკარგოთ, მას ნუ აწყენინებთ.

მშვილდოსანი:
ამ პერიოდში ახალი საქმეების წამოწყებას არ გირჩევთ. დაკმაყოფილდით იმით, რაც გაქვთ. მეტი დრო გაატარეთ ბავშვებთან და საყვარელ ადამიანებთან.

თხა:
თუ არაფერში გიმართლებთ, მიზეზი საკუთარ თავში ეძიეთ. დროა, დამთმობი და ლოიალური გახდეთ. ხშირად ისეირნეთ ბუნებაში და მეტი დრო გაატარეთ მეგობრების წრეში.

მეწყლული:
ახალი საქმეების დაწყებისას, რჩევა პროფესიონალებს ჰკითხეთ. შუა კვირაში ნუ გაასესხებთ ფულს. ურთიერთობის გასამყარებლად, მეტი დრო გაატარეთ საყვარელ ადამიანთან.

თევზები:
სამსახურში დაძაბულობა მოიმატებს. ეცადეთ, ყველა საბუთი წესრიგში გქონდეთ. ნუ წამოიწყებთ ახალ საქმეებს. განტვირთვის მიზნით, რამდენიმე დღით დაისვენეთ.

ანეკდოტები მენიოსობენ

გაზეთ „კვირის პალიტრის“ არქივიდან

5 წლის ნინო დოგრაშვილმა ფეხმტკივან ბებიას ეზოდან მოზრდილი ჯოხი ამოუტანა და უთხრა:
— აჰა, ბებია, საკოჭლაო ჯოხი მოგიტანე.

5 წლის გიორგი სულემანიშვილს ძიამ მინერალური წყალი დაუსხა.
— რა ჰქვია ამ წყალს? — იკითხა გიორგიმ.
— „ლომისა“, — უპასუხა ბიძამ.
— რატომ, — გაუკვირდა გიორგის. — შიგ ლომები ყრია?

პირველკლასელი გიორგი ბებიასთან ერთად, რუსთაველის გამზირზე მიაბიჯებს.
— რატომ არ მიესალმე მასწავლებელს? — ეკითხება ბებია.
— ახლა ხომ არდადეგებია?! — უპასუხა გიორგიმ.

3 წლის სალომეს უთხრეს, პირში წებო არ ჩაიდო, თორემ ტუჩები დაგეწებება და ვეღარ ილაპარაკებო. ამ დროს ტელეფონი რეკავს, ყურმილი სალომემ აიღო. ხმას არავინ იღებს.
— წებო ჭამე? რა ცოდო ხარ?! — ჩასძახა ბავშვმა ყურმილში.

3 წლის მარიამ კიზირიას ბებომ ნახატი უჩვენა:
— ეს არის მთა, ეს არის ბარი. მთა არის მაღლობი, ბარი რა იქნება?
— დაღლობი, — უპასუხა მარიამმა.

ბავშვები დედასთან ერთად, უყურებენ ფილმს ჩარლი ჩაპლინის მონაწილეობით.
— დედიკო, ჩარლი ჩაპლინის დროს ლაპარაკი ჯერ კიდევ არ იყო გამოგონებული? — ეკითხება 4 წლის მარიამ არახამია დედას.

დედა ნიკას ეკითხება:
— სად არის შენი დღიური? რატომღაც, ვერ ვიპოვე.
— ზურამ მთხოვა, თავისი დედიკოს შესაშინებლად.



1. სტალინის ნამდვილი გვარი
2. მფრინავი ძუძუმწოვარი ცხოველი
3. ქალაქი საქართველოში
4. ამერიკის შტატი
5. ძვირფასი ქვა
6. მხარე საქართველოში
7. ჩინური სამაგიდო თამაში
8. მდინარე საქართველოში
9. ბუდა
10. სპორტის სახეობა
11. მგალობელი ფრინველი
12. იგივეა, რაც ბირმა
13. წარწერა კინოფილმის კადრზე
14. მიწაში ამოთხრილი ადგილი
15. ქვეყანა ევროპაში
16. კოლხეთის მითური მეფე
17. ძაღლის ჯიში
18. ქვეყანა ბალტიისპირეთში
19. იტალიის ტელევიზია
20. რელიეფის ნაწილი
21. სამკუთხა ფორმის დროშა
22. წყლის ტრანსპორტი
23. უეშმაკო, მოუხერხებელი
24. ბიბლიური წინასწარმეტყველი
25. რისამე დასასრული, დამთავრება
26. ბოსტნეული
27. ჯიბის ქურდი
28. იაპონური ავტომობილი
29. გულუბრყვილო ადამიანი
30. გარეული ღორი
31. თამბაქოს ნაწარმი
32. ბოლოს გაჩენილი უმცროსი შვილი
33. სუბტროპიკული კულტურა
34. ლითონის ფული
35. გაზაფხულის თვე
36. ოქროს ძაფი
37. საჰაერო ფლოტი
38. თურქი მომღერალი
39. იგივეა, რაც ხახა

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. სუბმარინა; 2. ბაგირი; 3. მგელი; 4. ორატორი; 5. გალაქტიკა; 6. არგენტინა; 7. ნარკოლოგია; 8. ლორი; 9. ანძა; 10. გობსეკი; 11. ვისკი; 12. გორილა; 13. კაკო; 14. პანამა; 15. სევილია; 16. ორბიტა; 17. რომი; 18. მაიორი; 19. კარაველა; 20. დებოში; 21. იგი; 22. პალო; 23. ნატო; 24. ჰეგემონია; 25. ფერმა; 26. იაფეტი; 27. კარზაი; 28. დიონი; 29. იო; 30. კედარი; 31. ტრიუცკი; 32. მსაჯი; 33. ფოსფორი; 34. კოლორიტი; 35. ბია; 36. აისბერგი.

სურათებზე: 1. სკარლეტ იოჰანსონი; 2. ბენისიო დელ ტორო.

საფერმო კროსვორდი



შევსების წესი: **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

გ. სომეხი მწერლის, ჰოვანეს თუმანიანის ცნობილი მოთხრობა; **ზ**. მთიდან დიდ გროვად წამოსული, ჩამორღვეული თოვლი; **ა**. სმიტი, პენკროფი, ჰერბერტი, ნაბი, სპილეტი. ვინ აკლია? (ჟიულ ვერნის „საიდუმლო კუნძული“); **გ**. ვულკანური წარმოშობის ცხელი წყარო, საიდანაც პერიოდულად სცემს წყლისა და ორთქლის შადრევანი; **ზ**. ნოდარ წულეისკირის რომანი; **ი**. დაცინვითი შინაარსის ლექსი; **ს*** . ოქროს ნივთი, რომელსაც ჩუქნიან წლის საუკეთესო მოდელიერს; **თ*** . თავის ქალას ზედა ნაწილი; **ვ*** . რა ერქვა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივან მჟავანაძეს; **ი*** . კუნძული, რომელზეც მდებარეობს ინდონეზიის დედაქალაქი ჯაკარტა; **ს*** . ჩეხი კომპოზიტორი, დირიჟორი და პიანისტი; **ა*** . სოფლის სახელწოდება ჩრდილოეთ კავკასიასა და შუა აზიის ზოგიერთ ქვეყანაში; **ო*** . რა ერქვა ხევისბერი გოჩას შვილს; **მ*** . ქართული ანდაზის თანახმად, როგორი წიწაკაა შაქარზე უფრო ტკბილი; **კ*** . ვულკანის ჩაღრმავებული ნაწილი, საიდანაც ლავა გადმოდის; **ი*** . მდინარე, რომელშიც მოინათლა იესო ქრისტე; **თ*** . ქალაქი, სადაც 1943 წლის 30 ნოემბერს (ჩერჩილის დაბადების დღეს) ერთმანეთს შეხვდნენ სტალინი, ჩერჩილი და რუზველტი; **ხ*** . ძროხის ან ცხვრის მშრალად მოხარშული, შეუკაზმავი ხორცი; **ვ*** . პურის ჭამა საღამოხანს; **ე*** . საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც განაგებს ეპისკოპოსი; **ლ*** . მზის სადიდებელი სვანური სიმღერა; **ი*** . დოდო აბაშიძის პერსონაჟის სახელი ფილმში „პირველი მერცხალი“; **ს*** . იაპონური ტრადიციული ჭიდაობა; **თ*** . ერთდროულად მცხოვრები დაახლოებით ერთი ასაკის ადამიანები; **ვ*** . რა ერქვა გერმანიის რესპუბლიკას 1918-1932 წლებში; **ი*** . უწყინარი ხასიათის დამცინავი დამოკიდებულება რაიმესადმი; **ს*** . ბრინჯის არაყი; **ა*** . გამოუწვავი აგური; **ო*** . თამაშგარე მდგომარეობა ფეხბურთში.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

შ* . შეგირდი; **ე*** . ეგზემა; **ნ*** . ნიაგარა; **ა*** . აორტა; **რ*** . რეა; **შ*** . შამფური; **ე*** . ერმაკი; **მ*** . მაორები; **ცვ*** . ცუღლუტი; **დ*** . დრაკონი; **ა*** . აკლდამა; **რ*** . რვალი; **ხ*** . ხედი; **ა*** . ატაშე; **რ*** . რიბოკი; **ა*** . ამერიკა; **რ*** . რურუა; **ჩ*** . ჩხიკვი; **ე*** . ესკიმო; **ვ*** . ვუალი; **ა*** . ანცი; **ნ*** . ნამაზი; **შ*** . შვაბრა; **ი*** . ირონია.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:
გზა რამ მოღალა და ბერიკაცმაო

იაპონური სენსაცია სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

7	1	5	9	6	4	2	8	3
4	6	8	2	7	3	5	1	9
3	2	9	5	8	1	4	7	6
1	9	7	6	5	2	3	4	8
8	4	6	3	1	9	7	5	2
2	5	3	7	4	8	9	6	1
9	8	4	1	3	5	6	2	7
5	7	2	8	9	6	1	3	4
6	3	1	4	2	7	8	9	5

3	8	7	2	4	1	6	5	9
9	6	5	3	8	7	2	1	4
2	1	4	9	6	5	8	3	7
1	2	9	5	3	4	7	6	8
6	7	3	1	9	8	5	4	2
4	5	8	7	2	6	1	9	3
7	4	2	6	1	3	9	8	5
8	9	6	4	5	2	3	7	1
5	3	1	8	7	9	4	2	6

6	1	7	2	8	4	9	5	3
8	9	3	1	5	6	4	2	7
2	4	5	7	3	9	8	1	6
4	8	6	5	9	3	2	7	1
1	5	2	6	7	8	3	9	4
3	7	9	4	1	2	5	6	8
5	6	4	3	2	1	7	8	9
9	2	1	8	4	7	6	3	5
7	3	8	9	6	5	1	4	2

* მარტივი

		6	8				2	3
	5		7			1		
		2		6				8
		9			1		8	
	8		3	7			1	
	7			8		3		
5				4		7		
		4			7		5	
6	1				8	2		

** საშუალო

		8			6	5		
	3			1				6
	5			4				
4			6	2				9
		6		7		3		
7					3			8
				6			5	
3				5			1	
		7	9			4		

*** რთული

		8			1		5	
			6					8
	1				7			2
	5				2	7		
		4	7			9		
		1	8		9		4	
8			9				3	
7					3			
	3		4			6		

ფოტოკუთხეები

ეს სამყაროა

წიგნების კიდევ ერთი საოცარი

სერია „კვირის პალიტრისგან“

შეიძინეთ
„კვირის პალიტრასთან“
ერთად

მხოლოდ 1 მარცვალი

ტომი №1 რაინდები და ციხე-კოშკები

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის
სპეციალური ფასი 15 ლარი!

„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ!
წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდით „ელვა.ge“-ს
ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ

ყოველთვიურად მიიღეთ ერთი ახალი ტომი საყმაწვილო სერიიდან -„ ეს სამყარო“. სამყარო, რომელიც უფროსებსაც გააოცებს!